


ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ტარიელ ფუტყარაძე

ქართველები

ნაწილი I
ქრისტიანობამდელი ეპოქა

2005



ისტორიული საცხოვრისი

დედაენა

დიალექტები

Akaki Tsereteli Kutaisi State University
Dialectology Research Institute

Tariel Putkaradze

The Georgians

The Kartvels

Historical Home
Mother Tongue
Dialects

Part I
Pre-Christian Period

2005

AKAKİ TSERETELİ KUTAIŞI DEVLET ÜNİVERSİTESİ
DİYALEKTOLOJİ BİLİMSSEL ARAŞTIRMA ENSTİTÜSÜ

Tariel Putkaradze

Gürcüler

Kartveller

Tarihsel Yerleşim
Anadili
Lehçeler

1. Kısım
Milattan Önceki Dönem

2005

Kitabın birinci kısmında, Kartvellerin (Gürcülerin)* eski tarihiyle ilgili konular, dilbilimi, arkeoloji ve etnoloji alanlarındaki araştırmaların ve belgesel kaynakların karşılaştırmalı tahlilleri yapılarak

Tarih öncesi Kartveli (Gürcü) kavimlerinin ve Kartvellerin tarihsel yerleşim alanları;

Kartvel (Gürcü) edebi dilinin dilbilimsel temeli olarak, ortak Kartvelgil dil;

Kartvellerin (Gürcülerin) ana dilinin - Kartvelgil edebi dilin ve lehçelerin ses bilgisi, yapı bilgisi ve cümle bilgisi ile sözcük hazinesi arasındaki ilişkiler;

Çeşitli Gürcü bölgelerinde oturan Gürcü kavimlerin (Megrel-Lazlar, Svanlar, Meshler, Acarahlılar, Kartlililer v.s) tarihi ortak edebi dilin oluşmasına, nasıl katkıda bulduklarına dair kaynaklar;

Kartvelgil halkların kendilerini kime, niçin ve hangi millete ait ettikleri konular;

Gürcü ulusunu ifade eden terimlerin etimolojisi ve tarihi: Kartvel, Kolh, Mosok, İber, Virk, Gürcü, Gurgan, Abhaz, Obez, Gruzin gibi terimler;

Özel Kartvelgil kabileler ve toplulukların isimleri;

Bununla birlikte topluluk, kabile, etno, ulus, edebi dil, sözlü dil (yazılı olmayan dil), lehçe, resmi dil, ulusal dil, anadil, yabancı dil, lehçe gibi terimler incelenmiştir.

Kartvelgil kavimlerin bir kısmının (Megrel, Svan, Lazlar, Acarahlılar, Meshler v.s.) yazısı olmayan halklar oldukları ileri sürülerek, bu halklar Kartvellerin atalarının kurduğu büyük yazı kültüründen koparılmak istenmektedir. Kitabımızda bu konudaki iddialara ilişkin belgelere dayalı cevaplar bulunmaktadır.

Gürcüstan'daki Kartveloloji çalışmaları, Gürcüstan dışında az bilindiği için bu kitapta İngilizce ve Türkçe kısa bilgiler sunulmaktadır.

****Etonimler olan "Kartvel" ve "Gürcü" kelimeleri sinonimlerdir, bu nedenle metnin esas kısmında "Kartvel" kelimesi kullanılmıştır.***

წიგნში განხილულია ქართველთა ენობრივი და ეთნიკური ისტორიის საკითხები, კერძოდ:

- წინარქართველური ტომებისა და საკუთრივ ქართველების ისტორიული საცხოვრისის საზღვრები;

- საერთოქართველური ენა, როგორც სამწიგნობრო ქართული ენის საბაზო ენობრივი სტრუქტურა;

- ქართველთა დედაენის - ქართველური სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების ფონემატურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ლექსიკური მიმართებები;

- მრავალსაუკუნოვანი ქართველური სამწიგნობრო ენის ქმნადობის პროცესში სხვადასხვა კუთხის ქართველთა (მეგრელ-ლაზთა, სვანთა, მესხთა...) მონაწილეობის ამსახველი მასალა;

- ქართველური მოსახლეობის თვითაღქმა;

- ქართველი ერის აღმნიშვნელი ეთნონიმებისა (ქართველი, კოლხი, მოსოქი, იბერი, ვირქი, გურჯი, გურგანი, გეორგიან, აფხაზი, ობეზი, გრუზინი...) და ცალკეულ ქართველურ ტომთა/თემთა სახელწოდებების ისტორია-ეტიმოლოგიები...

საქართველოს გარეთ ნაკლებად იცნობენ საქართველოში შექმნილ ქართველოლოგიურ კვლევებს, ამიტომაც, ქართულის არმცოდნეთათვის წიგნს ახლავს შედარებით მოკლე ინგლისურენოვანი და თურქულენოვანი ვარიანტები; შესაბამისად, ნაშრომი ბევრ სიახლეს შეიცავს მისთვის, ვისაც საკმარისი ინფორმაციის ვერფლობის გამო ჰგონია, რომ ქართველთა ნაწილს - მეგრელებს, ლაზებს, სვანებს, მესხებს - არა აქვთ ისტორიული სამწიგნობრო ენა.

გამომცემლობა "ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"

© ტ.ფუტყარაძე

ISBN-99928-79-64-X

The present book deals with **the questions of the linguistic-ethnic history of the Georgians (/the Kartvels), in particular:**

- **The boundaries of the historical home of the proto-Kartvelian tribes and the Georgians proper;**
- **The common Kartvelian language, as the basic linguistic structure of the Georgian literary language;**
- **Phonemic, morphological, syntactic and lexical relations of the mother tongue of the Georgians – the Kartvelian literary language and the Kartvelian dialects;**
- **The material demonstrating the participation of the Georgians of various provinces (Megrels, Laz, Svans, Meskhs, etc.) in the process of the formation of the centuries-old Kartvelian literary language;**
- **The identity of the Georgians/Kartvels;**
- **History and etymologies of the ethnonyms denoting the Georgian Nation (Kartvel, Colchian, Mosoch, Iberian, Virk, Gurj, Gurgan, Abkhazian, Obez, Gruzin, etc.) and individual Kartvelian tribes and communities.**

The Kartvelological studies written in Georgia are little known abroad; therefore, the book is accompanied by comparatively brief versions in English and Turkish, for persons not speaking Georgian. The study will hopefully help those who, due to lack of relevant information, think that the mother tongues of the Megrels, the Laz and the Svans are unwritten continua.

Press “Kutaisi State University“
© T.Putkaradze
ISBN-99928-79-64-X

ინგლისური თარგმანი - ირინე კუცია;
თურქული - აბდულაჰ ზორლუ (არჩილ ზოიძე), გიგა ქამუშაძე; პატივისცემით ალვნიშნავთ, აგრეთვე, ლელა გაჩეჩილაძის, იასინ მსხალაძისა და რაინ ყავრელიშვილის ღვაწლს.

ნაშრომის გამოქვეყნების პროცესში თანადგომას მიწვევდნენ: ეკა დადიანი, ია ვაშაკიძე, ლევან ვაშაკიძე, შალვა კირთაძე, ბუბა კუდავა, თეიმურაზ ფუტყარაძე, ფაჰრედინ ჩილოღლუ, ემზარ ჭანტურიძე, ხათუნა ჯავახაძე.

სარჩევი
Contents
İÇİNDEKİLER

ქართული ასონიმების სატრანსლიტერაციო სქემა..... transliteration diagram.....	23-24
Gürcüce, İngilizce, Almanca, Türkçe, Rusça ve Uluslararası harflar.....	23-24
წინასიტყვაობა	25-32
Preface	397-403
Önsöz	333-337
თავი I - ტერმინოლოგიური პრობლემები	33-200
Chapter I - Terminological problems	404-447
I Bölüm - Terminolojik Sorunlar	338-370
1.1. ენისა და კილოს მიმართების საკითხი და ერი.....	33-78
The relation of language and dialect and nation.....	404-420
Dil ile Lehçe arasındaki ilişki ve ulus.....	338-350
1.1.1. თემი, ტომი, ეთნოსი, ერი.....	33-41
Community, tribe, ethnos, nation.....	404-408
Topluluk, kabile, etno, ulus.....	338-341
1.1.2. სამწიგნობრო ენა, უმწიგნობრო ენა, დიალექტი; სახელ- მწიფო ენა, ეროვნული ენა, დედაენა, უცხო ენა.....	42-70
Literary language, unwritten language, dialect; state language, national language, mother tongue, foreign language.....	408-414
Edebi dil, sözlü dil (yazısız), lehçe, resmi dil, ulusal dil, anadil, yabancı dil, lehçe.....	342-346
1.1.3. ქართველთა თანამედროვე ენობრივი ერთეულების დაჯგ- უფების საკითხი.....	71-78
Towards the grouping of modern linguistic units of the Georgians.....	415-420
Kartvellerin çağdaş dilsel birimlerinin sınıflandırılması....	346-350

1.2. ქართველთა აღმნიშვნელი ძველი და ახალი სახელები..	79-185
Old and new names denoting the Georgians.....	420-443
Kartvelileri tanımlayan eski ve yeni isimler.....	351-368
1.2.1. წინარექართველურ (იბერიულ-კავკასიურ-წინააზიურ) და ქართველურ ტომთა აღმნიშვნელი სახელები.....	79-159
The names denoting proto-Kartvelian (Iberian-Caucasian- Western Asian) and Kartvelian tribes.....	420-439
Proto-Kartvelgil (İberyli-Kafkasyalı-Ön Asyalı) ve Kart- velgil kavimleri tanımlayan isimler.....	351-363
1.2.2. ქართველთა თვითსახელწოდება – ქართველი.....	160-181
The self-designation of the Georgians – <i>Kart- veli</i>	439-443
Kartvelilerin kendilerine verdikleri isim - “Kartveli”.....	363-366
1.2.3. ქართველების აღმნიშვნელ ეთნონიმთა და თემონიმთა ლინგვისტური მიმართების ამსახველი სქემა.....	182-185
The diagram of the linguistic relations of the ethnonyms and themonyms denoting the Georgians.....	443-446
Kartvelleri tanımlayan terimlerin dilbilimsel şeması.....	366-368
1.3. სხვადასხვაენოვანი ქორონიმები და სხვადასხვა ისტორიული ეპოქა	186-200
Choronyms of different languages and various historical periods.....	447-450
Çeşitli tarihi çağlar ve ülkelerin çeşitli dillerdeki adlandırılmaları.....	368-370
თავი II - ქართველები უძველესი დროიდან ქრისტიანობამდე; საერთოქართველური ენის თეორიული მოდელისა და დათარიღების საკითხები	201-322
Chapter II - The Georgians from the ancient times to Christianity; towards the theoretical model and dating of the common Kartvelian language.....	451-486
II. Bölüm - Milattan Önce Kartveller; Ortak Kartvelgil dilin tarihlendirilmesi ve kuramsal modeli	371-389
2.1. კავკასიურ-ქართველური ეთნოსის თავდაპირველი საცხოვრების საკითხი.....	201-259
The original home of the Caucasian-Kartvelian ethnos.....	451-464
Kafkas-Kartvelgil etnonun anayurdu.....	371-379

2.1.1.	ბიბლიური და მიტოლოგიური თვალთახედვა	201-209
	Biblical and mythological viewpoints.....	451-453
	Kitabı Mukaddes'te ve mitolojide görüşler.....	371-372
2.1.2.	მეცნიერული მოსაზრებანი.....	210-236
	Scholarly views.....	453-461
	Bilimsel görüşler.....	372-378
2.1.2.1.	მიგრაციის თეორია	210-220
	The theory of migration	453-457
	Göç kuramı.....	372-375
2.1.2.2.	ამიერკავკასიაში ავტოქთონობის თეორია	220-225
	The theory of autochthony in Transcaucasia	457-457
	Transkafkasya'da yerli topluluklarla ilgili kuramlar	376-376
2.1.2.3.	კავკასია-წინააზიაში ავტოქთონობის თეორია	225-236
	The theory of autochthony in Caucasia – western Asia.....	457-461
	Kafkasya-Ön Asya'da yerli topluluklarla ilgili kuramlar....	376-378
2.1.3.	წინააზიური კულტურული სამყარო და ქართველურ-კავკასიური (იბერიულ-კავკასიური) ენობრივი ველი; წინააზიურ-კავკასიურ მონათესავე ენათა მიმართების სქემა.....	237-258
	The cultural world of western Asia and the Kartvelian-Caucasian (Iberian-Caucasian) linguistic field; the diagram of the relation of the kindred western Asian – Caucasian languages.....	461-464
	Ön Asya'nın kültürel dünyası ve Kartvelgil - Kafkasyalı (İberyalı-Kafkasyalı) dil alanı, Ön Asyalı-Kafkasyalı akraba dillerin ilişki şeması.....	378-379
2.2.	აიეტიდან ფარნავაზამდე: კოლხური კულტურა; აიეტის ქვეყნის შესაძლო ოფიციალური ენის - საერთოქართველური ენის - თეორიული მოდელი და არსებობის დრო.....	259-297
	From Aetes to Parnavaz: the Colchian Culture; the theoretical model and time of existence of the probable official language of the country under Aëtes - the common Kartvelian language.....	465-474
	Aieti'den Parnavaz'a kadar: Büyük Kolh uygarlığı; Aie-	

	ti'nin ülkesinin olası resmi dili olan ortak Kartvelgil dilin var olduğu dönem ve bu dilin kuramsal modeli.....	380-389
2.2.1.	კოლხური კულტურის საზღვრების საკითხი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.....	259-263
	The boundaries of the Colchian culture according to archeological evidence.....	465-466
	Arkeolojik bulgulara göre Kolh uygarlığının sınırları.....	380-381
2.2.2.	კოლხური კულტურის შემქმნელი ეთნოსის ენის საკითხი.....	264-279
	The language of the ethnos creating the Colchian culture.....	466-472
	Kolh uygarlığını yaratan etnonun dili.....	381-382
2.2.3.	საერთოქართველური ენის თეორიული მოდელის საკითხი და მისი არსებობის დრო.....	280-297
	The question of the theoretical model of the common Kartvelian language and the time of its existence.....	472-474
	Ortak Kartvelgil dilin kuramsal modeli ve var olduğu dönem.....	383-384
2.3.	ქუჯისა და ფარნავაზის საქართველო; 23 საუკუნის წინანდელი საქართველოს სახელმწიფო ენა და ქართველური დიალექტები; ქართველთა ასომთავრული დამწერლობა.....	298-322
	Georgia under Kuji and Parnavaz; the state language of Georgia and the Kartvelian dialects 23 centuries ago; the Georgian alphabet.....	474-486
	Kuci ve Parnavaz döneminde Gürcistan, 23 yüzyıl önce Gürcistan'ın resmi dili ve Kartveli lehçeler, Gürcü alfabesi.....	384-389
2.3.1.	ისტორიული რეალიები	298-302
	Historical realia.....	474-476
	Tarihsel olgular.....	384-385
2.3.2.	ქართული ანბანი და ფარნავაზისდროინდელი სახელმწიფო ენის ფონემატური მოდელის საკითხი.....	303-307
	თქვე ცუორგიან ალპაბეტ ანდ ტჰე პჰონემიკ მოდელ ოფ ტჰე სტატე ლანგუაჟე ინ ტჰე პერიოდ ოფ წარნავაზ	476-478

Parnavaz döneminde resmi dilin sesbirimsel modeli ve gürcü alfabesi.....	385-386
2.3.3. თანამედროვე ქართველურ დიალექტთა ჩამოყალიბების დრო.....	308-322
The problem of dating the formation of the modern Kartvelian dialects.....	473-486
Çağdaş Kartvelgil lehçelerin oluşması ve tarihlen-dirilmesi.....	386-389
დასკვნის ნაცვლად	323-329
By way of a conclusion	487-492
Sonuç olarak	390-393
ს. ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი დებულებები	323-327
Main propositions of the study.....	487-491
Kitapta yer alan genel düşünceler.....	390-393
ღ. იბერიულ-კავკასიური ენების, საერთოქართველური ენის, სამწიგნობრო ქართულისა და ქართველთა თანამედროვე დიალექტების მიმართების ამსახველი სქემა.....	328-329
The diagram of the relationship of the Iberian-Caucasian languages, the common Kartvelian language, literary Georgian and modern Georgian/Kartvelian dialects.....	491-492
Iberiya-Kafkas dillerin, ortak Kartvelgil dilin, edebi gürcü dilinin ve çağdaş gürcü lehçelerinin ilişki şeması.....	392-394
მოკლე თურქული ვარიანტი	331-394
Brief Turkish version.....	331-394
Kısatılmış Türkçe Metin.....	
მოკლე ინგლისური ვარიანტი	395-492
Brief English version.....	395-492
Kısatılmış İngilizce Metin.....	
დამოწმებული ლიტერატურა	

References	493-528
Seçilmiş kaynakça.....	493-528
საძიებელი Index Dizin	529-566
ს. გაანალიზებული ფუძეები, სიტყვაფორმები და ტერმინები.....	531-544
... Analyzed stems, word forms and terms	
Kökler, Sözcükler, Terimler.....	
ღ. პირთა სახელები და წყაროები.....	549-546
Personal names and sources	549-546
Ad-Soyadlar ve Tarihi Kaynaklar	
ღ. ena-kiloebi, eTnonimebi/Temonimebi, adgilis saxelebi.....	546-569
Languages-dialects, ethnonyms/themonyms, place names.....	
Dil-Lehçeler, Etnonimler, Temonimler ve Yer Adları	
ქართველთა სხვადასხვაენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული, თურქული, გერმანული) ეთნონიმები/თემონიმები, ქორონიმები, ენა-კილოები	571-578
Ethnonyms, choronyms and languages/dialects of the Georgians in various languages (Georgian, English, Russian, Turkish, German)... Kartveliler'in çeşitli dilsel (Gürcüce, Almanca, İngilizce, Rusça, Türkçe...) etnonimleri, koronimleri ve lehçeleri.....	
I დანართი I Appendix I Ek (Eleştirim yazıları) თ.გვანცელაძე - ქართველური ენები თუ ქართველური დიალექტები? (გამოხმაურება).....	579-612
T. Gvantseladze - Kartvelian languages or Kartvelian dialects ? (Response).....	
T.Gvanceladze - Kartvelgil Dilleri mi Kartvelgil Lehçeleri? (Görüş yazısı).....	
II დანართი II Appendix II Ek (Eleştirim yazıları) სქემატური რუკები Schematic Maps Haritalar	613-622
ს. ხურიტულ-ხათურ-კავკასიური მოსახლეობის განფ-	

	ენის ველი ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში.....	
	The area of diffusion of the Hurrian-Hattic-Caucasian population and the Sumerians in the 3rd millenium BC.....	615
	M. Ö. IV-III yüzyıllarda Hurit, Hat ve Kafkas halkların yerleşim alanı.....	
ღ.	კოლხური კულტურა და ქართველურ-კავკასიური ტომები ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში.....	
	Colchian culture and Kartvelian-Caucasian tribes at the end of the 2nd millenium BC and the beginning of the 1st millenium BC.....	616
	M. Ö. II. binyılın sonu ile I. binyılın başlarında Kartvelgil-Kafkasyalı kavimler ve Kolh kültürü.....	
ღ.	ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ტომები ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდში.....	
	The Kartvelian and other Caucasian tribes in the middle period of the 1st millenium BC.....	617
	M. Ö. I. binyılın ortasında Kartvelgil ve diğer İberiyalı-Kafkasyalı kavimler.....	
ბ.	ქართველური სახელმწიფოები წელთაღრიცხვათა მიჯნაზე.....	
	The Kartvelian states at the turn of our era.....	618
	M. Ö. I. binyılın son döneminde Kartvelgil Prenslikleri.....	
გ.	საქართველო და მისი ყმადნაფიცი (ვასალი) ქვეყნები ახ.წ. XI-XII საუკუნეებში.....	
	Georgia and her vassal countries in the 11th-12th centuries.....	619
	XI-XII yüzyıllarda Gürcistan ve Gürcistan'a tabi olan ülkeler.....	
დ.	თანამედროვე ქართველური დიალექტების რუკა... The map of modern Kartvelian dialects.....	620
	Çağdaş Kartvelgil lehçelerinin haritası.....	
ე.	თანამედროვე კავკასიისა და ანატოლიის რუკა..... The map of modern Caucasia and Anatolia.....	621
	Çağdaş Kafkasya ve Ön asya haritası.....	

ფ.	თანამედროვე საქართველოს ადმინისტრაციული რუკა.....	622
	The administrative map of modern Georgia.....	
	Büyük Gürcistan'ın Bögesel haritası.....	

წიგნის მეორე ნაწილის (შზადდება გამოსაქვეყნებლად) შინაარსი

Contents of Part Two of the Book (Forthcoming)

Kitabın II. Kısmı (yayıma hazırlanmaktadır)

İçindekiler

ქრისტიანობის ეპოქა

Period of Christianity

Milattan Sonraki Dönem

თავი III - ქართველები I-X საუკუნეებში; ქართული (ზოგადქართული, ქართველური) სამწიგნობრო ენის განვითარების ახალი ეტაპი - საეკლესიო მწერლობის ენა

Chapter III - The Georgians in the 1st – 10th centuries; a new stage of the development of the Georgian (common Georgian, Kartvelian) literary language – the language of ecclesiastical writing

III. Bölüm - I-IX. yüzyıllarda Gürcüler, Gürcü (Ortak Gürcü, Kartvelgil) edebi dilinin gelişmesinde yeni aşama-dini yazı dili

3.1. სრულიად ქართლი (საქართველო) I-IV საუკუნეებში

All Kartli (Georgia) in the 1st – 4th centuries

I-IV. yüzyıllarda Bütün Kartli (Gürcistan)

3.1.1. სრულიად ქართლის დანაწევრება

Division of Kartli

Bütün Kartli'nin parçalanması

3.1.2. ქრისტიანობა - ქართველური კულტურის ახალი ორიენტირი; კაბადოკია და ოშკის საკათალიკოსო; იოანე ლაზი და პეტრე იბერი; ქრისტიანული ლიტერატურის წარმოქმნა

Christianity as a new landmark of Kartvelian culture; Cappadocia and the Catholicosate of Oshki. John the Laz and Peter the Iberian; rise of

-
- Christian literature
- Kartvelgil kültürün yeni simgesi Hıristiyanlık; Kapadokya ve Oşki piskoposluğu; Laz Iovane ve Petre İberi; Hıristiyan edebiyatın oluşturulması
- 3.1.3. სახელმწიფო ენის საკითხი საქართველოს (სრულიად ქართლის) ტერიტორიაზე I-IV საუკუნეებში
- The state language on the territory of Georgia (Kartli) in the 1st-4th centuries
- I –IV yy. Gürcüstan (Bütün Kartli)'da resmi dil
- 3.2. გორგასალის ეპოქა - დიდი ქართლის ნაწილობრივი აღდგენა; სამწიგნობრო ენაში ასახული ქართველური კილოები
- The period of Vakhtang Gorgasali – revival of Kartli; the Kartvelian dialects reflected in the archaic literary language**
- Gorgasali dönemi -Kartli'nin kalkınması; Edebi dilde Kartvelgil lehçeler
- 3.2.1 სრულიად ქართლის საზღვრები
- The boundaries of Kartli
- Bütün Kartli'nin sınırları
- 3.2.2. ქართული/ქართველური ორიგინალური ქრისტიანული ლიტერატურის ენა
- The language of original Kartvelian Christian literature
- Gürcü (Kartvelgil) Özgün Hıristiyan edebi dili
- 3.2.3. ქართველთა დიალექტები
- The dialects of the Georgians
- Kartvelgil lehçeleri
- 3.3. სრულიად ქართლი VII-X საუკუნეებში; ქართული მესიანიზმი და ქართველთა დედაენა
- Kartli in the 7th -10th centuries; Georgian Messianism and mother tongue of the Georgians**
- VII-X. yüzyıllarda Bütün Kartli; Kartvelgil Mesih düşüncesinin ortaya çıkışı ve anadil

-
- 3.3.1. დაყოფილი საქართველო; დიდი ხიზნობა დასავლეთ საქართველოში; შიშინა დიალექტური წრის ფორმირების დასასრული
- Divided Georgia; the influx of refugees into western Georgia; the formation of the dialectal circle of the hushing sounds
- Gürcüstan'ın parçalanması; Batı Gürcüstan'a büyük göç; Sert ünsüzlerin kullanıldığı diyalektik alanın oluşumu
- 3.3.2. ქართული მესიანიზმის საფუძვლები; “ქებაჲ ქართველთა და ქართველთა ენისაჲ“
- Foundations of the Georgian Messianism; “Praise and Glorification of the Georgian Language”
- Kartvelgil Mesih düşüncesinin temelleri; “Kartvellerin ve Gürcü dilinin methi”
- 3.3.3. “ქართლად ფრიადი (მრავალი) ქუეყანად აღირაცხების...“ - ქართიზაცია/ქართველიზაცია თუ ქართველთა მორიგი კონსოლიდაცია?
- Georgia is reckoned to consist of those numerous lands...- Kartization/ Kartvelization or a new stage of the consolidation of the Georgians
- "Kartli-Gürcüce ayın okunulan bölgeler"- Kartlileşme/Gürcüleşme ya da Kartvellerin birleşmesinde yeni dönem

თავი IV - ქართველები XI-XVIII საუკუნეებში; სამწიგნობრო ქართულის სტილური ვარიანტები

Chapter IV - The Georgians in the 11th-18th centuries; stylistic varieties of literary Georgian

IV. Bölüm - XI-XVIII. Yüzyıllarda Kartveller; Gürcü edebi dilinin üsluba ilişkin çeşitleri

4.1. საქართველოს ოქროს ხანა

Georgia's Golden Age

Gürcüstan'da "Altın Çağ"

- 4.1.1. კულტურულ-ისტორიული ფონი ევრაზიაში; დიდი საქართველოს საზღვრები (ყმადნაფიცვი ქვეყნების ჩათვლით)

The cultural and historical background in Eurasia; the boundaries of Great Georgia (including the Trebizond Empire)

-
- Avrasya'da kültürel durum, Büyük Gürcüstan'ın sınırları (Trabzon Krallığı ve diğer prenslikler dahil)
- 4.1.2. ქართველთა კულტურული კერები
Cultural centers of the Georgians
Kartvellerin kültürel merkezleri
- 4.1.3. ქართული სამწიგნობრო ენის სტილური ვარიანტები
Stylistic varieties of the Georgian literary language
Kartvelgil yazı dilinin çeşitleri
- 4.2. **მონღოლობიდან თემურ-ლენგამდე**
From the Mongol Period to Tamerlane
Moğol'lardan Timur'a kadar olan dönem
- 4.2.1. ცოტნე დადიანისა და გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფოებრივი აზროვნება
State mentality of Tsothe Dadiani and Giorgi the Brilliant
Tsothe Dadiani'nin ve V.Giorgi (Parlak)'ın devlete ilişkin görüşleri
- 4.2.2. ერთიანი კულტურულ-საგანმანათლებლო ველი ორად გაყოფილ საქართველოსა და კავკასიაში
The single cultural and educational field in Georgia divided into two and Caucasia
Kafkasya'da ve ikiye bölünmüş Gürcüstan'da genel kültürel ve eğitimsel alanlar
- 4.2.3. ქართველური ანბანი ჩრდილო კავკასიაში
The Kartvelian alphabet in northern Caucasia
Kuzey Kafkasya'da kartvelgil alfabe
- 4.3. **ქართველები XV-XVIII საუკუნეებში**
The Georgians in the 15th - 18th Centuries
XV-XVIII. yüzyıllarda Kartveller (Gürcüler)
- 4.3.1. პატარ-პატარა საქართველოები
Several small Georgian principalities
Küçük Gürcü krallıkları

-
- 4.3.2. ქართველური კულტურული მემკვიდრეობისა და სახელმწიფო ენის საკითხი ქართულ სამეფო-სამთავროებში
The Kartvelian cultural heritage and the state language in the Georgian principalities
Gürcü krallıklarında ve prensliklerinde Kartvelgil kültürel miras ve resmi dil
- 4.3.3. “იბერიელთა ერთობის ტრაქტატი“
“The Treaty on the Unity of the Iberians”
"İberyalıların Birlik Antlaşması"
- თავი V - ქართველები XIX-XX საუკუნეებში; სამწიგნობრო ქართულის გავრცელების ველის შეზღუდვა**
Chapter V - The Georgians in the 19th – 20th centuries; limitation of the diffusion area of literary Georgian
- V. Bölüm - XIX-XX yüzyıllarda Kartveller, Kartvelgil yazı dilinin yayılma alanının daralması
- 5.1. **საქართველოს ანექსია და ოკუპაცია მეფის რუსეთის მიერ**
Annexation and occupation of Georgia by Tsarist Russia
Gürcüstan'ın Çarlık Rusya'sınca işgali ve ilhakı
- 5.1.1. ქართულ სამთავროთა ორიენტირები და მკაცრი სინამდვილე
Landmarks of Georgian principalities and the reality
Gürcü Prensliklerinin durumu, Siyası eğilimleri ve gerçekler
- 5.1.2. რუსეთის იმპერიის შეტევა ქართველურ ცნობიერებაზე: ენობრივი დივერსია
The attack of the Empire against the Kartvelian consciousness
Kartvelgil bilinç ile dile Rus İmparatorluğu'nun baskısı
- 5.1.3. მოწინავე ქართული აზრი რუსეთის კულტურული აგრესიის წინააღმდეგ; 1918 წლის “საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი“ და სამწიგნობრო ქართულისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის აღდგენა
Progressive Georgian thought against Russia's cultural aggression; the “Act of the Declaration of Independence of Georgia” in 1918 and the re-

-
- establishment of literary Georgian as the state language
- Rusya'nın kültürel baskısı karşısında entelektüel gürcü düşüncesi, 1918 yılında Gürcüstan'ın bağımsızlığını ilan etmesi ve Gürcüce'nin resmi dil kimliği kazanması
- 5.2. საქართველოს ანექსია ბოლშევიკური რუსეთის მიერ; საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკის ორი ასპექტი
- Annexation of Georgia by Bolshevik Russia; two aspects of the language policy of the Soviet empire
- Boşşevik Rusya'nın Gürcüstan'ı ilhak etmesi, Sovyet İmparatorluğunun dil politikasının iki yönü
- 5.2.1. კულტურულ-ისტორიული ფონი ევრაზიაში; საქართველოს ოკუპაცია და ანექსია; ქვეყნის ტერიტორიის მორიგი შემცირება
- The cultural and historical background in Eurasia; occupation and annexation of Georgia; further reduction of the frontiers
- Avrasya'nın kültürel ve tarihi durumu, Gürcüstan'ın ilhakı ve işgali, sınırlarının daralması
- 5.2.2. იმპერიის ენობრივი დივერსიის ახალი ეტაპი; სტალინის ე.წ. “მცირე ერები” და ისაკ ჟვანიას “ყაზახში გაზეთი”
- New attempt of the empire to undermine the Georgian language; Stalin's so-called small nations and Isak Zhvania's “Qadzakhishi Gazeti”
- İmparatorluğunun Gürcü Dili'ni yok etmek için yeni teşebbüsü, Stalin'in sözde küçük ulusları ve İshak Jvania'nın gazetesi (Kadzahishi Gazeti)
- 5.2.3. ქართველთა ბრძოლა “ინტერნაციონალური” კულტურული ანექსიის წინააღმდეგ (გრ. რობაკიძე, პ. ინგოროყვა, კ. გამსახურდია...)
- The struggle of the Georgians against "international" cultural annexation (G.Robakidze, P.Ingoroqva, K.Gamsakhurdia...)
- გürcüler'in kültürel işgale karşı savaşı (P. İngorokva, G. Robakidze, K. Gamsahurdia...)
- 5.3. 1991 წლის “საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი”; რუსეთის იმპერიის მიერ ორგანიზებული ახალი პუტჩი
- “The Act of Restoration of Independence of Georgia” in 1991; new

putsch organized by the empire

1991 yılında Gürcüstan'ın bağımsızlığını ilan etmesi, Sovyet İmparatorluğunun Gürcüstan'da düzenlediği yeni darbe.

- 5.3.1. პოლიტიკური სიტუაცია მსოფლიოში; 1991 წლის “საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი” და მალტის შეთანხმება
- Political situation in the world; the Malta deal and the 1991 Act of Independence
- Dünyada politik durum, Malta antlaşması ve 1991 yılında Gürcüstan'ın bağımsızlığını ilan etmesi
- 5.3.2. 1991-93 წლების იმპერიულ-კრიმინალური პუტჩი და ქართველთა ენობრივი და ეთნიკური დაშლის მცდელობის ახალი ეტაპი; ე.წ. სამენოვანი გაზეთი “გალი”
- The 1991-1993 putsch and a new attempt to divide the language and consciousness of the Georgians; the so-called trilingual newspaper “Gali”
- 1991 – 1993 yıllarındaki yasadışı emperyal darbe, Gürcülük bilincini ve gürcü dilini parçalamak için yeni teşebbüs ; sözde üç dilli gazete “Gali”
- 5.3.3. ქართველები ვულგარული გლობალიზმის წინააღმდეგ; ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმის მემორანდუმი (ქუთაისი, 2002 წელი)
- The struggle of the Georgians against vulgar globalism; the memorandum of the Ninth Symposium of the Kartvelologists (2002)
- Kartvellerin vulgarist, küresel, kültürel işgale karşı mücadelesi, Kartvelologların IX. sempozyum bildirisi (2002)

ძირითადი დასკვნები

Main conclusions

Genel Sonuçlar

ქართული ასონიშნების საერთაშორისო (ლათინური), ინგლისური, გერმანული, თურქული და რუსული შესატყვისები (სატრანსლიტერაციო სქემა)

The international (Latin), English, German, Turkish and Russian correspondences of the Georgian letters and graphemes (transliteration diagram)

Ortak Kartvelgil yazı diline veya Gürcü lehçelerine ait kelime köklerinin analizi sırasında, Gürcüce sesleri (fonemleri) Latin alfabesine dayanarak yazabilmek için aşağıdaki şema kullanılmaktadır. Gürcüce, İngilizce, Almanca, Türkçe, Rusça ve Uluslararası harflar.

ქართული ანბანი			საერთა- შორისო	ინგლი- სური ანბანი	გერმან- ული ანბანი	თურქ- ული ანბანი	რუს- ული ანბანი
მხედრ. ანბანი	ასომთ. ანბანი	ნუსხ. ანბანი					
ა	Ⴀ	Ⴁ	a	a	a	a	a
ა̄			ā		ā		
ა̆			ä		ä		
ბ	Ⴂ	Ⴃ	b	b	b	b	б
გ	Ⴄ	Ⴅ	g	g	g	g	г
დ	Ⴆ	Ⴇ	d	d	d	d	д
ე	Ⴈ	Ⴉ	e	e	e	e	e
ე̄			ē		ē		
ვ/უ	Ⴊ	Ⴋ	v(w)	v(w)	w	v	в
ზ	Ⴌ	Ⴍ	z	z	z	z	з
თ	Ⴎ	Ⴏ	t	t	t	t	
ი	Ⴐ	Ⴑ	i	i	i	i	и
კ	Ⴒ	Ⴓ	k	k	k	k	к
ლ	Ⴔ	Ⴕ	l	l	l	l	л
მ	Ⴗ	Ⴘ	m	m	m	m	м
ნ	Ⴚ	Ⴛ	n	n	n	n	н
ო	Ⴜ	Ⴝ	y	y			

ო	ჲ	Ⴣ	ო	ო	ო	ო	ო
ქართული ანბანი			საერთა- შორისო	ინგლი- სური ანბანი	გერმან- ული ანბანი	თურქ- ული ანბანი	რუს- ული ანბანი
მხედრ. ანბანი	ასომთ. ანბანი	ნუსხ. ანბანი					
ჭ			ö		ö	ö	
პ	Ⴖ	Ⴗ	p	p	p	p	п
ჟ	Ⴘ	Ⴙ	ž	dz	dsj	j	ж
რ	Ⴚ	Ⴛ	r	r	r	r	р
ს	Ⴜ	Ⴝ	s	s	s	s	с
ტ	Ⴟ	Ⴐ	ţ	t	t	t	т
უ	Ⴒ(ჳ)	Ⴓ	u	u	u	u	у
უ̄			ū		ū		
უ̆			ü		ü	ü	
ფ	Ⴔ	Ⴕ	p	p	f(v)	p	ф
ქ	Ⴖ	Ⴗ	k	k	q	k	
ქ°			k°				
ღ	Ⴘ	Ⴙ	ğ	gh		ğ	
ღ°			ğ°				
ყ	Ⴚ	Ⴛ	q	q			
ყ̄			ŷ				
შ	Ⴜ	Ⴝ	š	sh	sch	š	ш
ჩ	Ⴟ	Ⴐ	č	ch	tsch	č	ч
ც	Ⴒ	Ⴓ	c	ts	c		ц
ძ	Ⴔ	Ⴕ	j	dz			
წ	Ⴖ	Ⴗ	č	ts			
ჭ	Ⴘ	Ⴙ	ĉ	ch	ch		
ხ	Ⴚ	Ⴛ	ħ	kh	ch		x
ც	Ⴜ	Ⴝ	ĥ				
ჯ	Ⴖ	Ⴗ	j	j	dsh	c	
ჰ	Ⴚ	Ⴛ	h	h	h	h	
შ			ŷ				

წინასიტყვაობა

ერის წერილობით წყაროებამდელი წარსული შეუძლებელია შევისწავლოთ ამ **ხალხის ენის** ისტორიის გათვალისწინების გარეშე; გარდა ამისა, ბიბლიიდან მოყოლებული დღემდე, ერი (ეთნიური გაგებით) და ენა ლამის სინონიმურ ცნებებად ითვლება; მაგალითად, ქართველურ სააზროვნო სივრცეში, ძველთაგანვე, **ენა, ერი** და **სახელმწიფო** ერთმანეთის განმსაზღვრელად მიიჩნევა:

გიორგი მერჩულე: “ქართლად (საქართველოდ) ფრიადი (მრავალი) ქუეყანად (მხარე) აღირაცხების (ითვლება), რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულეხის”;

გრიგოლ ორბელიანი: “რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“;

ილია ჭავჭავაძე: “ენა ისტორიაა ერისა... პირველი ნიშანი ერის ვინაობისა - ენაა“;

ვაჟა-ფშაველა: “ერი დედაა ენისა“;

ზვიად გამსახურდია: “...ქართულში, ისევე როგორც სხვა ძველ ენებში, **ენა** მხოლოდ ენას კი არ ნიშნავდა, არამედ ხალხს, **ეროვნებას**, მოდგმას“...

შდრ.: ვ.ჰუმბოლტის, ლ.ვაისგერბერის, გ.რამიშვილისა და მრავალ სხვათა მიხედვით, **ერი** განიმარტება, როგორც **ენობრივი ერთობა**; შდრ., აგრეთვე, გ.რამიშვილი, 2000, გვ.172: “ენა სხვა არაფერია, თუ არა ერის მსოფლხედვა“.

ერისა და ენის მიმართების საკითხს სხვა მხრითაც შევხედოთ:

როგორც წესი, მსოფლიოში არსებული ენობრივი ერთეულები ენად თუ კილოდ იწოდება არა საკუთრივ ლინგვისტური (ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, სემანტიკური) პარამეტრების, არამედ მოცემული ხალხის ეთნოკულტურულ-ეროვნული თვითაღქმის მიხედვით; კერძოდ, თუკი კონკრეტული საზოგადოება თავს დამოუკიდებელ ერად/ნაციად, ან ნაციის შემადგენელ ერთეულად თვლის, მისი მეტყველებაც, შესაბამისად, ენად ან კილოდ განისაზღვრება; საზოგადოების **თვითაღქმას** (მეობას, თვითობას) განსაზღვრავს არა მხოლოდ გენეტიკური კოდი, არამედ ცოდნა თავისი ტრადიციული (წერილობითი თუ უმწერლობო) კულტურის ისტო-

რიისა... შესაბამისად, მოცემული ხალხის ისტორია ენისა და კულტურის ისტორიასთან შეპირისპირებით უნდა მიეწოდოს მომავალ თაობას თუ უცხოელს, რაც სულაც არ არის იოლად გადასატრევი პრობლემა.

შენიშვნა: თანამედროვე გამოკვლევებში ერად იწოდება მოცემული სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა; ასეთ შემთხვევაშიც კი გვერდს ვერ ავუვლით ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისა და სახელმწიფო ენის ისტორიის ურთიერთმიმართებით განხილვას.

საკუთარი ერისა და ენის ისტორიის ცოდნა არსებითია პიროვნების თვითაღქმის თვალსაზრისითაც:

პიროვნების **ეროვნული მეობის** (თვითობის) განმსაზღვრელ ფაქტორთაგან, როგორც წესი, ძირითადია დედაენის ცოდნა; დედაენის ფლობაში ვგულისხმობთ ან სამწიგნობრო ენის, ან მისი რომელიმე კილოს (მაგ., ქართველის შემთხვევაში: აჭარულის, ლაზურის, მეგრულის, ლაშხურის, ლენტეხურის, იმერხეულის, სამცხურ-ჯავახურის, ლივანურის და სხვ.) ბაზაზე აზროვნებასა და, სულ მცირე, საოჯახო კომუნიკაციას. **დედაენის ფლობა თავისთავადი, იმანენტური ცოდნაა საკუთარი ეროვნულობისა.** აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინდივიდის **ეროვნული მეობის განმსაზღვრელ წახნაგთა** (დედაენა, ტრადიციული სარწმუნოება, ეთნიკური ფესვების ცოდნა...) ძალა ერთგვაროვანი არ არის სამშობლოში მცხოვრებ, სამშობლოს გარეთ მცხოვრებ და საკუთარი მიწა-წყლითურთ სხვა სახელმწიფოს იურისდიქციაში მოხვედრილ პირთა თვითაღქმაში; მაგ., თურქეთის რესპუბლიკის იურისდიქციის ველში მცხოვრებ შავშელ თუ იზმითელ ქართველთა ნაწილს აღარა აქვს არც დედაენა (დავიწყებული აქვს ქართული სამწიგნობრო ენაც და მშობლიური კილოც), არც ისტორიული სარწმუნოება, მაგრამ თავს მაინც თურქეთის მოქალაქე ქართველად აღიქვამს **თავისი ქართული წარმომავლობის ცოდნის**

გამო: დედაენის ვერფლობის პირობებში საკუთარი ეთნოკულტურული ფესვების ცოდნა დიდწილად განსაზღვრავს ეროვნულ თვითმიკუთვნებას, შესაბამისად, **ეროვნულ მეობას**. შდრ., ქართველ მუჰაჯირთა ნაწილი, მშობლიური მიწა-წყლისა და დედაენის დავიწყების პირობებში, სხვებს ემიჯნება თუნდაც მხოლოდ თავისი ცეკვის სტილით, ოჯახში შემორჩენილი ქართული ტრადიციული კერძებითა თუ თვითობის განმსაზღვრელი სხვა ნიშნით მაშინ, როცა აჭარაში (საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებში) მცხოვრები აჭარელისთვის თავისი ქართველობის მთავარი ნიშანი დედაენის ფლო-

ბაა.

ყველა ადამიანს უფლება აქვს, იცოდეს საკუთარი ენობრივ-ეთნიკური ისტორია, მაგრამ სხვა ეთნოსის სახელმწიფოში მცხოვრებ ინდივიდს ყოველთვის არა აქვს **ობიექტური ცოდნა საკუთარი ფესვების** შესახებ (მაგ., თურქეთში მცხოვრებ ლაზებს).

ობიექტური სწავლების პროცესს ართულებს ისიც, რომ ყოველი ერის ისტორიის რამდენიმე ვარიანტი იქმნება; კერძოდ, ისტორიას ქმნიან უამთაღმწერნი, მოცემული ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურების როგორც ობიექტური, ისე მედროვე მემატიანენი და სხვადასხვა ხედვის მქონე ისტორიკოსები; აგრეთვე, შორეული წარსულიც კი ალბეჭდილია ხალხის მესხიერებაში, ვინაიდან ამბავთა ციკლი, გადადის რა თაობიდან თაობაზე, ლეგენდურ-ფრაგმენტული სახით ეძლევა შთამომავლობას... თქმულებებ-გადმოცემებიდან, დოკუმენტური წყაროებიდან თუ მიწას შემორჩენილი არქეოლოგიური მონაცემებიდან მკვლევარნი აღვადგენთ სავარაუდო წარსულს, თუმცა, თავისი კონკრეტული ეროვნულ-ენობრივი თუ ერთდარგობრივი ხედვის გამო, სამწუხაროდ, მეცნიერთა ნაწილიც თავს ვერ აღწევს მიკერძოებას (რაც ყოველთვის მაქსიმალურად უნდა დაიძლიოს)...

სინამდვილის კვლევას დიდად უშლის ხელს სამეცნიერო ასპარეზის პოლიტიზებაც, რაც, როგორც წესი, იმპერიული სახელმწიფოების ნებისამებრ ხორციელდება. სამწუხაროდ, ბოლო 80 წლის განმავლობაში, როცა მეცნიერული აზრი მთელ მსოფლიოში შთამბეჭდავად განვითარდა, ქართველი ერის ცხოვრების, კულტურის თუ ენის ისტორია, ძირითადად, საბჭოთა იმპერიის სქემით იწერებოდა; მაგ., „რატომღაც“ ნაკლებპერსპექტიულად ითვლებოდა: ქართველური და ძველი წინააზიური კულტურების მიმართების ჰიპოთეზა, ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჰიქობავას მიერ ნალოლიავები იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის თეორია და სხვა; სამაგიეროდ, მეტისმეტი სუბიექტურობითა და ინტენსივობით შუქდებოდა რუსეთ-საქართველოს „მეგობრული“ თანაცხოვრება; უმწერლობო ენებად მიჩნეული ქართველური დიალექტების ბაზაზე, რუსეთის იმპერიის იდეოლოგიური მრწამსის (დასაპყრობი ტერიტორიის მფლობელი ერის დაშლა-დაქუცმაცება!) შესაბამისად, **კულტურული ქველმოქმედების ნიღბით**, დაჩაგრულ „ხალხებს“ უქმნიდნენ „სამწიგნობრო ენებს“ (იწყებდნენ მოცემულ კილოზე სახარების თარგმნით); ამ გზით ცდილობდნენ ქართველთა ერთი ნაწილისთვის გაეუცხოებინათ არა მხოლოდ საკუთარი ისტორიული

მწიგნობრობა, არამედ სხვა ქართველებიც:

ქართველობა წარმოადგინებოდა რამდენიმე დამოუკიდებელ ნაციად: საკუთრივ ქართველებად, ხევსურებად, თუშებად, სვანებად, ლაზებად, მეგრელებად, აჭარლებად, მესხებად... საბჭოური ინერცია დღესაც არსებობს; გარეშე ძალები დღესაც ცდილობენ საქართველოში **ენობრივ უმცირესობად** გამოაცხადონ და ამ გზით დიდ სამწიგნობრო კულტურას მოწყვიტონ: **ლაზები, მეგრელები, სვანები** (ამგვარი ენობრივი დივერსია ზოგსაც უნებურად გამოსდის საკმარისი სამეცნიერო ინფორმაციის ვერფლობის გამო; იხ., მაგ., „ევროპის ენების ცენტრის“ გრიფით 2002 წელს ესპანეთში გამოქვეყნებული წიგნი „Europe of the Peoples“); მათი მიზანი უცვლელია: **ქართველობის ჯერ ენობრივად დაშლა, შემდეგ ეთნიკურად, ბოლოს კი - ტერიტორიულად.**

მეცნიერების პოლიტიზების თვალსაზრისით, საინტერესო მსჯელობა აქვს გ.მელიქიშვილს:

“ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ძლიერდება XIX საუკუნის ბოლოს; ამავე პერიოდში გამოქვეყნდა ფ.ჰომელის ახალი სამეცნიერო თეორია, რომლის მიხედვითაც ქართველობის წინაპრებად მიიჩნეოდა კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის დიდ ნაწილში განფენილი წინარეინდოევროპული მოსახლეობა - **ხალხთა აღაროდიული ოჯახი**: ელამელები, კასიტები, ურარტუელები (მათი შთამომავლები არიან ქართველები), პელაზგები, ეტრუსკები, ბასკები... ფ.ჰომელის სამეცნიერო თეორიამ გააძლიერა ქართველთა კონსოლიდაცია, მაგრამ ამ დროს ქართველობის წინააღმდეგ ანტაგონისტურად განეწყვნენ რუსეთის იმპერიის მესვეურნი და ამიერკავკასიაში არსებული ძლიერი სომხური ბურჟუაზია...” (გ.მელიქიშვილი, ნარკვევები, I, გვ.329)... ქართველთა ისტორიის მიმართ თვისობრივად ამგვარი (“გათიშე და იბატონე”) დაპირისპირება გაგრძელდა საბჭოთა იმპერიის პერიოდში და საზღვარგარეთულ გარკვეულ წრეებში გრძელდება დღესაც (იხ., მაგ., ჯ.ჰიუიტის, ი.ზეირეკისა და ვ.ფოიროშტაინის შემოქმედება).

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოშიც შესაძლებელი გახდა მეცნიერული აზრის ბუნებრივი და თავისუფალი განვითარება; გაიოლდა საზღვარგარეთულ (ევროპულ, ამერიკულ, აზიურ) ცენტრებთან თავისუფალი თანამშრომლობა. განსაკუთრებული

კეთილგანწყობით აღსანიშნავია ის, რომ თურქეთისა და ირანის ხელისუფლებამ ქართველ მკვლევრებს უფლება მოგვცა, დაგვეწყო მათ სახელმწიფოებში მცხოვრები ქართველური წარმოშობის მოსახლეობის მეტყველების, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლა; ამგვარი კულტურულ-სამეცნიერო თანამშრომლობა გადაარჩინს დიდ კულტურულ მემკვიდრეობას და ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლური ურთიერთობების მყარი საფუძველიც გახდება (ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპული ორიენტაციის თურქეთი)...

უკანასკნელი წლების ლინგვისტური, კულტუროლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური გამოკვლევების შედეგებით, აგრეთვე, ზოგი **პრობლემის, ცნებისა** თუ **ტერმინის** კრიტიკული გააზრებით, საფუძველი მომზადდა, საბჭოური “ტრადიციისგან” განსხვავებულად - **არაპოლიტიზებულიად, მეცნიერულ დებულებებზე დაყრდნობით** - განვიხილოთ ქართველთა ენობრივი ერთეულების ისტორიული ურთიერთმიმართება და ქართველთა ისტორიის ზოგადი ქარგა; შესაბამისად, ნაშრომში “ქართველები” მიზნად დავისახეთ ქართველი ერის ისტორიის ლოგიკური სქემის აგება (მდრ., ა.ტონინი: **ენის ისტორია, ერის ისტორიის კონსპექტი**).

საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ნაშრომის ხასიათი დიდწილად განსაზღვრა “ქუთაისურმა საუბრებმა”:

დიალექტოლოგიური ხასიათის კვლევები წარმატებული ვერ იქნება ისტორია-ეთნოლოგიის გარეშე და, პირიქით; შესაბამისად, ისტორიული დიალექტოლოგიის პრობლემებზე მუშაობისას თავიდან დიდ სირთულეებს ქმნიდა სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელე და მომიჯნავე სამეცნიერო დარგებს შორის ინფორმაციის გაუცვლელობის ხელოვნური, საბჭოური ტრადიცია; ამიტომაც, ჩვენი ინიციატივითა და რექტორატის აქტიური ხელშეწყობით 1994 წლიდან ქუთაისის აკ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ორგანიზებას უწყევს ქართველოლოგთა ყოველწლიურ საერთაშორისო (თემატურ) სიმპოზიუმს - “ქუთაისური საუბრები”, რომელზეც ვიწვევთ ლინგვისტებს, ეთნოგრაფებს, ფოლკლორისტებს, ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, კულტუროლოგებს, ანთროპოლოგებს; რამდენიმე სიმპოზიუმში მიეძღვნა ტერმინოლოგიურ პრობლემებსაც (სიმპოზიუმების მასალები ყოველწლიურადვე იბეჭ-

დება ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულში: “ქართველური მემკვიდრეობა”). ამ შთამბეჭდავ სამეცნიერო ფორუმებზე წარმოდგენილი დისკუსიებიც აისახა წინამდებარე წიგნში. აქვე აღვნიშნავთ, რომ, რამდენადაც “**ქართველები**” მოიცავს მომიჯნავე სამეცნიერო დარგებს, მისი ზოგი მონაკვეთი უფრო მიმოხილვითი ხასიათისაა, მაგ., ზოგად შტრიხებში წარმოდგენილი წინარექართველურ და ქართველურ ტომთა ისტორია **უფრო** განკუთვნილია არაისტორიკოსთათვის, ხოლო სახელური და ზმნური ძირითადი პარადიგმები - არალინგვისტთათვის.

წიგნის ძირითად სტრუქტურულ მოდელად ჩამოყალიბდა შემდეგი ბიბლიურ-მითოლოგიურ-ისტორიული ქარგა:

ძველ მემატრიანეთა წარმოდგენით, სხვა ძირძველ ხალხთა მსგავსად, ქართველთა ისტორიაც სათავეს ღვთაებრივი კალთიდან იღებს; ნოე-**იაფეტ**-იავან-თარშიშ-თარგამოსის ბიბლიური გზის მითოლოგიურ სახესხვაობად პირობითად შეიძლება დავსახოთ ზევსამდელი ღვთაების - **იაფეტის** ძის - ამირან-პრომეთეოსის - პროტობერითული (წინარებერძული) კულტურის პერიოდი; ქართველთა წინარეისტორიულ ხანად ვვარაუდობთ კავკასიასა და წინა აზიის დიდ ნაწილში განფენილ მტკვარ-არაქსის კულტურის ქმნადობის პერიოდს. ვავითარებთ აზრს, რომ **კოლხური კულტურა** შეიქმნა საერთოქართველური ენის მქონე ხალხისგან და იგი მოიცავდა:

პიტიუნტიდან (ბიჭვინთიდან) სინოპიმდე შავიზღვისპირეთს, ანატოლიის ნაწილის, რიონ-ყვირილას, ჭოროხის, მტკვრის ზემო წელის (მცხეთამდე) ხეობებს, აგრეთვე, ცხინვალისა და ყობანის რეგიონებს; **პირობითად**, ამ კოლხურ/საერთოქართველურ სახელმწიფოს **აიეტის ქვეყანას** ვუწოდებთ.

ქართველი მემატრიანენი კონკრეტულ მეფეთა აღრიცხვას **აზოს, ფარნავაზისა და ქუჯის** ისტორიით იწყებენ - სწორედ ამ დროიდან ბერძენთათვის კარგად ცნობილი “ოქრომრავალი აია-კოლხეთი” ისევ აღორძინდა ერთიან **სახელმწიფოდ**, ოღონდ უფრო მცირე ტერიტორიაზე და ძირითადი ცენტრით - მცხეთაში (პირობითად - ფარნავაზის სახელმწიფო).

წელთაღრიცხვათა მიჯნიდან უკვე იოლია ქართველთა სამწიგნობრო ენისა და, ზოგადად, ქართველობის ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთებად წარმოდგენა...

უძველესი პერიოდიდან დღემდე ქართველი ერის **სავარაუდო** ის-

ტორიული ჯაჭვი ასეთ სახეს მიიღებს:

წინარექართველური (იბერიულ-კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კულტურის) ეპოქა - ძვ.წ. V-III ათასწლეულები;

კოლხური (საერთოქართველური) კულტურის ეპოქა - ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდამდე;

სრულიად საქართველოს აღორძინება აზოს, ქუჩისა და ფარნავაზის ქართლად - ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი;

გარდამავალი ფაზა - წელთაღრიცხვათა მიჯნა;

ქრისტიანობიდან გორგასალის მკვლელობამდე - ახ.წ. IV-V საუკუნეები;

არაბობიდან ქართულ მესიანიზმამდე - VII-IX საუკუნეები;

დავით აღმაშენებელი და თამარი - ოქროს ხანა;

დრო ლაშა-გიორგიდან გიორგი ბრწყინვალემდე;

სპარს-თურქობის დიდი პერიოდი - პატარა-პატარა საქართველოებად დაშლა;

რუსობის პერიოდი - მეფე გიორგი მეთორმეტედან - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობამდე.

წარმოდგენილ ისტორიულ ქარგასთან მიმართებით განხილული ქართველთა ენობრივი ისტორია, ვფიქრობთ, ადეკვატურად და არგუმენტირებულად წარმოაჩენს ერთიანი ეთნოკულტურული სისტემისა და მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენის მქონე **ქართველი ერის** - მრავალწახნაგოვანი ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და მრავალფეროვანი დიალექტების პატრონი ხალხის - **მოზაიკურ სახეს**.

Υ Υ Υ

ქართველი ერის ისტორია და აწმყო თვითგადარჩენისთვის ბრძოლა; როგორც წესი, მომხდურნი აგრესიის ორ ძირითად ფორმას იყენებენ: ხალხის ფიზიკური მოსპობისა თუ გადასახლების შემდეგ იმკვიდრებენ ცარიელ ტერიტორიას, ან თავიანთი ენისა და რელიგიის თავსმოხვევით თანდათანობით იმსგავსებენ ადგილობრივ მოსახლეობას... დაპყრობის ორივე სახე **აგრესიული გლობალიზაციის** გამოვლინებაა. ისტორია ადასტურებს, რომ ხალხის ფიზიკურ-გენეტიკური მოსპობა თითქმის შეუძლებელია: ერისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს აგრესიის მეორე სახეობა - ენობრივ-კულტურული (ცნობიერი) ასიმილაცია წარმოადგენს; ეროვნულ-კულტურული თავის

ვისთავადობის (ეროვნული მეობის, თვითობის) შენარჩუნებისათვის იმედდაუკარგავი ბრძოლის კარგი მაგალითია ქართველი ერის ისტორია, თუმცა ქართველობამ თავისი ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგა... კვლევის ამ ეტაპზე ქართველთა ქვეყანაში სემიტების, ხეთების, ძველი ბერძნების თუ ბიზანტიელების, სპარსების, არაბებისა და თურქების იმპერიული ენობრივი პოლიტიკის ამსახველ მასალაზე მეტია ის დოკუმენტური წყაროები, რომლებიც საქართველოში (კავკასიაში) იმპერიული რუსეთის ენობრივ პოლიტიკას ასახავენ, ამდენად, ერთ-ერთ თავში სამაგალითოდ ვრცლად განვიხილავთ რუსეთის ენობრივ აგრესიას XIX-XX საუკუნეების საქართველოში.

ბოლოს, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ წინა თაობების მკვლევართა (მ.ბროსე, ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, არნ.ჩიქობავა, გ.ახვლედიანი, ა.შანიძე, ვ.თოფურია, გ.მელიქიშვილი, მ.ქალდანი, გ.რამიშვილი, გ.როგავა, ო.ჯაფარიძე, ო.ლორთქიფანიძე, გრ.გიორგაძე, ბ.ჯორბენაძე, ქ.ლომთათიძე, თ.გამყრელიძე, თ.უთურგაძე, ი.ზიცარი, ჰ.ფენრიხი...) დიდი პატივისცემით, მაგრამ, გარკვეულწილად, მათგან განსხვავებული ხედვით შექმნილი ჩვენი **წიგნის პირველი გამოცემა** მიზნად ისახავს დისკუსიის გაშლას განხილული პრობლემატიკის ირგვლივ. აქვე მადლიერებას გამოვხატავთ პროფესორების: თეიმურაზ გვანცელაძის, ქევიზ თუთიას, მანანა სანაძის, მანანა ტაბიძის, გიორგი ქავთარაძისა და ვახტანგ ჯაფარიძის მიმართ, რომელთაც გამოქვეყნებამდე წაიკითხეს ნაშრომი; მათი რჩევით განვივრცო რამდენიმე საკითხი. წიგნის მეორე გამოცემისას სიამოვნებით გავითვალისწინებთ ახალ აღმოჩენილ წყაროებსა და სხვა სპეციალისტთა არგუმენტირებულ მსჯელობებს.

თავი I

ტერმინოლოგიური პრობლემები

1.1. ენისა და კილოს მიმართების საკითხი და ერი

1.1.1. თემი, ტომი, ეთნოსი, ერი

გავრცელებული შეხედულებების მიხედვით, **ეთნიკური ერთობის, ეთნიკური ჯგუფის, ეთნოსის, ერის** ძირითადი მახასიათებლებია: **ისტორიული** დედაენა (ერთიანი ენობრივი ხედვა-აღქმა), **ისტორიული** კულტურა (ტრადიციული რელიგიურ-კულტურული ღირებულებანი), **ისტორიული** მესხიერება, **ისტორიული** ფსიქიკური წყობა (ტრადიციულ გარემოსთან მიმართებით ფორმირებული ენობრივ-კულტურული მენტალობა) და **ისტორიული** ტერიტორია/სახელმწიფო (შდრ.: დიდი წარსული - მაღალი ღირსების განცდა).

მეცნიერთა ერთი ნაწილი ტერმინებში: **ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი, ეთნოგრაფიული ჯგუფი** მოიაზრებს როგორც ერსა და ტომს, ასევე, ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობასაც; სანიმუშოდ შევხებით ქართულად თარგმნილ ერთ სახელმძღვანელოს:

1991 წელს გამოცემული “ეთნოგრაფიის” შესავალში ვკითხულობთ:

“ეთნოგრაფიული ჯგუფის ქვეშ იგულისხმება ეთნოსის გარკვეული ნაწილი, რომელიც გამოირჩევა სალაპარაკო ენის, კულტურისა და ყოფის ლოკალური სპეციფიკით, ზოგჯერ გააჩნია თვითსახელი და როგორც **გაორებული თვითშეგნება**... ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფებია: ქართლები, კახელები, ხევსურები, იმერლები, გურულები, ინგილოები, მეგრელები, რაჭველები და სხვა“... სამეცნიერო ლიტერატურაში **ეთნოგრაფიული ჯგუფის** პარალელურად გამოიყენება ტერმინი - **სუბეთნოსიც**.

წინასწარვე შევნიშნავთ, რომ ამგვარი მცდარი კვალიფიკაციების სათავე ტერმინოლოგიური აღრევაა: ტერმინი “ეთნოგრაფიული ჯგუფი” რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც კი “ეთნიკური ჯგუფის” პარალე-

ლურად იხმარება; მაგ., ლ. ტოლსტოვას ტაჯიკებისა და უზბეკების გვერდით გამოყოფილი აქვს ისეთი ეთნოგრაფიული ჯგუფები, როგორებიც არიან: შუა აზიის ბოშები, ირონები, ქურთები, თურქები, ყივჩაყები და სხვ. (მსჯელობისათვის იხ. მ.გეგეშიძე, 1971, გვ.117)... ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოს შესავლიდან გამოდის, რომ **როგორცაა გაორებული ცნობიერება** შეიძლება ჰქონდეს ქართლელს, კახელს, მეგრელს, აჭარელს, გურულს, თუშს... რაც თავისთავად გამოირიცხულია, ვინაიდან ქართლელი, კახელი, მეგრელი, გურული, აჭარელი თუ თუში იმიტომაც ქართველი, რომ ქართლელია, კახელია, მეგრელია, გურულია, აჭარელია, თუშია! “გაორებული ცნობიერება” შეიძლება ჰქონდეს საფრანგეთში ახალდამკვიდრებულ იტალიელს, თურქეთში - ბერძენს, საქართველოს მოქალაქე სომეხს და ა.შ. შესაბამისად, საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები არაქართველები ჩაითვლებიან ეთნიკურ თუ ეთნოგრაფიულ ჯგუფად, **სუბეთნოსად** თუ **ეთნიკოსად**...

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, წინააღმდეგობანი გვაქვს თვით არნ. ჩიქობავას რედაქტორობით გამოქვეყნებულ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეკომენდებულ (რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკეულ ლინგვისტურ, ეთნოლოგიურ თუ ისტორიოგრაფიულ გამოკვლევებზე), რომელიც, თავისთავად, მეტად ძვირფას და აკადემიურ გამოცემას წარმოადგენს; კერძოდ, ლექსიკონში **გურულები, იმერლები, ფშაველები, კახელები, მეგრელები** და სხვა განმარტებულია, როგორც “საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მკვიდრნი;“ ხოლო აჭარლები, თუშები და სვანები - როგორც “ერთ-ერთი ქართველი ტომი“...

აქ, პირველ რიგში, მიუღებელია აჭარის, თუშეთისა და სვანეთის თანამედროვე მცხოვრებთა მიმართ ტერმინ **ტომის** გამოყენება, ვინაიდან ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ამ ცნების ქვეშ იგულისხმება **პირველყოფილი ეთნიკური უკრედი**; ასევე, გაუგებარია სვანის, თუშისა და აჭარელის განსხვავებული ტერმინოლოგიური კვალიფიკაცია ხევსურთან, გურულთან, კახელთან შედარებით... სამწუხაროდ, ზოგ ენათმეცნიერულ ფუნდამენტურ გამოკვლევაშიც კი დასანანი უზუსტობებია; მაგ., ბ.ჯორბენაძის მიერ ცალკეულ **ეთნოსებადაა** ჩათვლილი: კახელი, გურული, ქართლელი და სხვა; ამ “ეთნოსთა” საცხოვრისები მიჩნეულია ეთნიკურ კუთხეებად, ხოლო მეტყველებები - “ეთნიკურ დიალექტებად“ (ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ.29, 42).

უცხოურ თუ ზოგ ქართულ გამოცემებშიც (საინტერნეტო ცნობარებში, ენციკლოპედიებში, სახელმძღვანელოებში, ცალკეულ გამოკვლევებში), არაიშვიათად, საქართველო წარმოდგენილია არაბუნებრივად მრავალენოვან და მრავალენიკურ ქვეყნად; ზოგჯერ კომენტარების სახით დამატებულია ისიც, რომ საქართველოში სხვა ეთნოსთა უფლებები ილახება; გარდა ამისა, ზოგი პოლიტიზებული უცხოელი დღესაც აქტიურად იღვწის, ქართველთა ნაწილი, მაგ., მეგრელ-ლაზები, გამოცხადდეს სხვა ხალხად/ხალხებად (ნაციად/ნაციებად) და, შესაბამისად, არის მცდელობა, მეგრულ და ლაზურ კილოებზე შეიქმნას ახალი სალიტერატურო ენები (იხ. ჯ.ჭიუიტი, 2004; ვ.ფოიროშტაინი, 2003). ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მეგრელ-ლაზებს **გამორჩეულად აქტიური მონაწილეობა** აქვთ მიღებული საერთაქართველო ენობრივ კოინეზე დაფუძნებული მრავალსაუკუნოვანი ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენის შექმნაში; ვის სჭირდება ლაზ-მეგრელთა კილოების მიხედვით, “გათიშე და იბატონეს” **პრინციპით** შექმნილი სალიტერატურო ენები? ვის აძლევს ხელს დიდი ქართველური კულტურის თანაავტორი საზოგადოებების გამოცხადება დამწერლობის არმქონე ენობრივ უმცირესობებად?

არაიშვიათად, ლაზ-მეგრელები არაქართველებადაა ჩათვლილი ზოგი ევროპელი მეცნიერის მიერაც. კეთილსინდისიერი უცხოელი ავტორების მიერ ქართველურ სინამდვილესთან მიმართებით დაშვებული ამგვარი შეცდომების სათავე, ზოგ შემთხვევაში, ლაზ-მეგრელთა ისტორიის არცოდნაა, ზოგჯერ კი - ქართველ მეცნიერთა შრომები; კერძოდ, როდესაც ადგილობრივი მეცნიერის გამოკვლევაში უზუსტოდაა გამოყენებული ლინგვისტურ-ეთნოლოგიური ტერმინები და ქართველთა ცალკეული ჯგუფები - **ეთნოსებად**, შესაბამისად, სხვადასხვა კუთხის ქართველთა კილოები დამოუკიდებელ **უმწერლობო ენებადაა** გამოცხადებული, საქართველოს ისტორიის არმცოდნე უცხოურ საზოგადოებაში ბუნებრივად ჩნდება აზრი, დაეხმარო “დაჩაგრულ” და “ჩამორჩენილ” ეთნოსებს: შეუქმნა მათ დამწერლობა, სახელმწიფო და ა.შ. მაგალითად, არაქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ვინაიდან სვანეთის, ლაზეთისა და სამეგრელოს მცხოვრებთა საოჯახო-სამინაო მეტყველებანი სალიტერატურო ქართული ენისაგან მეტად განსხვავებულია, ვიდრე სხვა ქართველური დიალექტები, სვანები, ლაზები და მეგრელები უმწერლობო ენების მქონე დამოუკიდებელი ეთნოსებია, რომელთაც კულტურის

რის ასპარეზზე “გამოყვანა” სჭირდებათ; შესაბამისად, ცდილობენ, ამ უძველესი წერილობითი კულტურის მქონე ქართველებს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ) უმწერლობო ენებად “მონათლული” კილოების მიხედვით შეუქმნან ანბანი, სამწიგნობრო ენა, უთარგმნონ სახარება, კლასიკოსთა შემოქმედება და სხვ.

სამწუხაროდ, ასეა დღესაც: ზოგი თანამედროვე ქართველი მკვლევარიც ვერ იზღვევს თავს უნებლიე შეცდომებისგან; მაგ., კვაბუნიას აზრითაც, მეგრელები, სვანები, ლაზები და ქართველი ცალკეული ქართველური **ეთნიკური ჯგუფებია**, ხოლო ზანური და სვანური - უმწერლობო ენები (კვაბუნია, 2004, გვ.172-177).

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ **ქართი** ხელოვნურად შექმნილი ტერმინია (იხ. ქვემოთ), გარდა ამისა, მოცემული საზოგადოების ეთნოსად თუ თემად სახელდება გაუმართლებელია ერთი რომელიმე ნიშნით (გენეტიკური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური თუ რელიგიური თავისებურებით), რამდენადაც, **ეთნოსი და ერი ენობრივ-კულტურულ-ფსიქიკური ისტორიული ერთობაა**, ხოლო კონკრეტული **თემი** ერის, როგორც ზოგადეროვნული ერთობის კონკრეტული ვარიანტია (შემადგენელი ნაწილია); შესაბამისად, მოცემული საზოგადოების სტატუსზე მსჯელობისას საკითხს კომპლექსურად უნდა მივუდგეთ; ჩვენს შემთხვევაში, ქართველი ერი, როგორც ისტორიული სუპერორგანიზმი, ჩამოყალიბებულია რამდენიმე ათეული მონათესავე ტომისგან; ქართველური **ეროვნული მეობის**, ქართული კულტურის და ქართული სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბებაში თავ-თავისი წვლილი შეტანილი აქვს ქართველურ დიალექტებზე მოლაპარაკე ყველა საზოგადოებას - ისტორიული თუ თანამედროვე საქართველოს ყველა კუთხის **ქართველს**, ამდენად, როცა ვლაპარაკობთ დღევანდელი ქართველი ერის ეთნოსტრუქტურასა და კულტურაზე, თავისთავად მოიაზრება ის ზოგადქართველური ფენომენი, რომელიც **სამწიგნობრო ენისა და ერთიანი თვისსახელწოდების** ჩამოყალიბების შემდეგ მაინც ერთიან ეთნოსად უნდა განვიხილოთ...

ქართულ სინამდვილეში ეთნიკურ ტერმინთა არასწორ გამოყენებას რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა (გ.გეგეშიძე, ვ.ითონიშვილი), სადაც აღინიშნა არაქართველ ავტორთა მცდელობა, ქართველი ერის შემადგენლობიდან გამოაჯალკეონ სვანები, მეგრელები, გურულები, კახელები და სხვ... ეთნოლოგთაგან უკანასკნელად ამ პრობლემას საყურადღებო

წერილი უძღვნა რ. თოფჩიშვილმა (რ.თოფჩიშვილი, 1995; რ.თოფჩიშვილი, 2005); ქართველი ერის ისტორიისა და ეთნოისტორიის საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ ის სამართლიანად ასკვნის:

“საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობის — აჭარლების, გურულების, მეგრელების, იმერლების, სვანების, თუშების... მოხსენიება არ შეიძლება ეთნოსად, ეთნიკურ ერთობად, ეთნიკურ ჯგუფად, ხალხად, ტომად, ეთნოგრაფიულ ჯგუფად, სუბეთნოსად და მისთ; ასეთი აღრევა გარედანაა თავს მოხვეული. დასახელებული ტერმინები ეთნოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ ერს, ეროვნებას, ან ჯერ ერთად ჩამოუყალიბებელ ენობრივ-კულტურულ თვითშეგნების მქონე ერთობლიობას; ეთნოსებია: ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები, ქართველები და ა.შ., ხოლო ტომი მხოლოდ წინაფეოდალური გაერთიანებების აღსანიშნავად შეიძლება იყოს გამოყენებული და არა თანამედროვე მოსახლეობის მიმართ.“

წარმოდგენილი მნიშვნელობით ტერმინ ტომის გამოყენება იმიტომაც არის გაუმართლებელი, რომ ძველ ქართულ ორიგინალურ თუ თარგმნილ ძეგლებში საშუალო სპარსულიდან ნასესხები ეს სიტყვა დამოუკიდებელ ეთნოსს აღნიშნავდა (იხ., მაგ., “შუშანიკის წამება“, სახარების თარგმანები და სხვ.; ტერმინის ისტორიისათვის იხ. დ.მელიქიშვილი, 1998). ტერმინი “ტომი“ უნდა დამკვიდრდეს, როგორც მხოლოდ პირველყოფილი საზოგადოებრივი გაერთიანების - წინარეეთნოსის - აღმნიშვნელი სიტყვა.

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების მოსახლეთა აღსანიშნავად თანამედროვე ავტორები იწერციით მაინც იყენებენ არაზუსტ ტერმინებს. მაგალითად, ვ.ითონიშვილთან დაფიქსირებულია: **ეთნოგრაფიული ჯგუფი, ეთნოლინგვისტური ჯგუფი, ეთნოტერიტორიული ჯგუფი...** რ.თოფჩიშვილი გვთავაზობს ახალ ტერმინს - **ეთნოგრაფიულ-დიალექტოლოგიური ერთეული**; ჩვენი აზრით, მის დამკვიდრებასაც რამდენიმე გარემოება შეუშლის ხელს: ა) მოუხერხებელია სამსიტყვიანი ტერმინი; ბ) ცნება “ეთნოგრაფიულ-დიალექტოლოგიური“ მაინც ვერ გამოირიცხავს ეთნიკურობის გაგებას...

აღნიშნული მნიშვნელობით ისეთი ერთსიტყვიანი ტერმინი უნდა გამოვიყენოთ, რომელიც უფრო ტექნიკური ხასიათისა იქნება და თავისთავში არ მოიაზრებს ეთნიკურობას; გარდა ამისა, ვინაიდან, საქართველოს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობა არის ქართველი ერის ერთი კერძო

სახე (როგორც, მაგალითად, აჭარული კილო არის ქართული ენის ერთი მიკროვარიანტი), ტერმინმა ხაზი უნდა გაუსვას სწორედ ამ ასპექტს: თანამედროვე ქართველობა არ წარმოადგენს მეგრელთა, გურულთა, სვანთა, აჭარელთა, იმერელთა და სხვათა მექანიკურ ჯამს; მაგ., **მეგრელი** თუ **კახელი ქართველის** კერძო გამოვლინებაა; ზოგადად, ქართველი, როგორც ეთნოფსიკურ-ენობრივი ერთეული, კონკრეტულად განხორციელებულია სხვადასხვა თაობის სვანად, მეგრელად, აჭარელად, გურულად, კახელად, თუშად, იმერელად, ტაოელად... და, ამდენად, თითოეული ეს ჯგუფი ისევე მიემართება **ქართველის** ცნებას, როგორც საერთო ენას მისი რეგიონალური ნაირსახეობანი - კილოები...

ამ და სხვა მიზეზების გამო, ჩვენი აზრით, სხვადასხვა კუთხის ქართველების: აჭარლების, გურულების, სვანების, კახელების და ა.შ. აღსანიშნავად მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ ისტორიული ტერმინი **თემი**.

თემი ბერძნულიდანაა შემოსული; დასავლურ-ქართულ დოკუმენტებში XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დამოწმებული (თ. ბერაძე, 1976, გვ.225)); საბასთან **თემი** განმარტებულია, როგორც “ქვეყნის ერთი ნაწილი,“ დ.ჩუბინაშვილთან - როგორც “ხალხი ერთი თემისა“ (“народ одной области”); ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით დამოწმებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც: “ამ თვეში გურის თემი შეიყრის თავს ჩვენს სოფელში“ (ე.ნინოშვილი). საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების მოსახლეობის აღსანიშნავად **თემს** იყენებს მიხაკო წერეთელიც, ივანე ჯავახიშვილიც და ნიკო ბერძენიშვილიც...

ქართულში **თემს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: ის, როგორც ტექნიკური ტერმინი, ნიშნავს საზოგადოების ერთ სოციალურ-ეკონომიკურ მთლიანობა; გამოყენებულია “ხევის“ თუ “ერთი გვარის“ ხალხის აღსანიშნავადაც და ა.შ. მაგალითად, სვანეთში ტერმინი “თემი“ გულისხმობს როგორც დასახლებულ პუნქტს (მაგალითად, ლენჯერის თემი, ლატალის თემი) ასევე, მთელ ხეობას: ჩუბე თემ /ჩუბე ხეუ (ქვედა თემი /ქვედა ხევი - იგულისხმება ბალსქვემო სვანეთი), ყიბე თემ /ყიბე ხეუ (ზედა თემი /ზედა ხევი - იგულისხმება ბალსზემო სვანეთი)... აღ.ჭინჭარაულის ცნობით, ხევსურეთში გამოიყენება **თემწყალი**: “ჩვენი თემწყალისა არის,“ ე.ი. ჩვენი ხეობის, ჩვენი თემის კაცია (მდრ.: მაკროთემი - კუთხის, მხარის მოსახლეობა, მიკროთემი - ხეობის მოსახლეობა).

ამგვარად, ეთნიკური ტერმინებით: “ეთნოსი“, “ეთნიკური ჯგუფი“, “სუბეთნოსი“ და მისთ. უნდა აღინიშნოს დამოუკიდებელი ეთნოსტრუქტურისა და ენის მქონე ადამიანთა ერთობები; ტექნიკური ტერმინით: **თემი** კი - ერთი ეთნოსის შიგნით არსებული ლოკალური ჯგუფები (შდრ.: **ეთნოსი - თემი - პიროვნება** ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც **ენა - კილო - იდიოლექტი**); მაგ., ეთნოლოგიური თუ ლინგვისტური ასპექტით, ქართველი ერის ცალკეული თემებია: აჭარლები, გურულები, ჩაღმათუშები, წოვათუშები, იმერლები, ჰერები (ინგილოები), მეგრელები, ლაზები, მთიულეები, იმერხეველები, მაჭახლელები, სამცხელები, შავშელელები, ლივანელები, ტაოელები, მოხევეები, სვანები, ფერეიდნელები, ჯავახები, ხევსურები, ქართლელები, ფშაველები, კახელები, რაჭველები, ლეჩხუმელები...

შენიშვნა: წარმოდგენილი სიტყვების (ერი, ტომი თემი...) მყარ ტერმინებად ქცევას გარკვეულწილად ხელს უშლის მათი პოლისემანტურობა...

ისტორიულად ქართველი ერის ერთ-ერთ თემად მოიაზრება აფხაზებიც, მაგრამ რუსეთის იმპერიის ზეწოლით მათი ერთი ნაწილი თავს ქართველად აღარ აღიქვამს (მეტეც, მათს გაორებულ ცნობიერებას დღესდღეობით ანტიქართული მიმართულება აქვს; აფხაზთა თვითაქმისა და ეროვნული მეობის გაორების ისტორიისათვის იხ.: ზ.პაპასკირი, 1994; ზ.პაპასკირი, 1998; თ.გვანცელაძე, 2000; თ.გვანცელაძე, მ.ტაბიძე, რ.შეროზია, რ.ჭანტურია, 2001 და სხვ.).

ევროპულ სახელმწიფოებში, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, სხვა კონტინენტიდან ჩამოსულიც კი, თუკი ის მოცემული ქვეყნის მოქალაქე გახდება, სახელმწიფოს ძირითადი (სახელმდებელი) ერის შემადგენელ ნაწილად ითვლება, რამდენადაც ის უკვე ფლობს სახელმწიფო ენას და ემორჩილება სახელმწიფო კანონებს. საქართველოში ჩამოსახლებული ეთნიკური ჯგუფების: ოსების, თათრების, რუსების, სომხების (და სხვ.) **ერთი ნაწილი** ისტორიის ამ ეტაპზე ქართველი ერის ნაწილად ვერ მიიჩნევა, ვინაიდან ეს ადამიანები ვერ ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას, არ აღიარებენ საქართველოს კანონმდებლობას და სახელისუფლებო სტრუქტურებთან დღემდე რუსული პოლიტიკის ინტერესების შესაბამისად ურთიერთობენ. დამოუკიდებელი საქართველოს შემდგომი განვითარება სწორედ იმ მიმართულებით უნდა წარიმართოს, რომ საქართველოს **ყველა მოქალაქეს, ეთნიკური წარმომავ-**

ლობის მიუხედავად, **ჰქონდეს** პატრიოტული გრძნობა თავისი სამშობლოს - საქართველოს - მიმართ, **შეეძლოს** თავისუფალი ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფო ენით და **გააჩნდეს** მოთხოვნილება, დაემორჩილოს საქართველოს კონსტიტუციას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ის თავისუფალი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი საქართველოში... მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება ჩვენ ვთქვათ, რომ, მსგავსად ფრანგი, გერმანელი, ესპანელი... ერებისა, ქართველ ნაციას, ძირითად - ქართულ (ქართველურ) ეთნოსთან ერთად ქმნიან სხვა ზემოთ დასახელებული ეთნიკური ჯგუფებიც...

ბევრ სერიოზულ შეცდომას უღებს სათავეს, აგრეთვე, ტერმინ **ეთნონიმი**ს არასწორი გამოყენება; სპეციალურ ლიტერატურაში “ეთნონიმად“ ჩათვლილია არა მხოლოდ ერის/ნაციის აღმნიშვნელი სიტყვები (ქართველი, რუსი, ოსი...) არამედ, თემთა სახელებიც; მაგ.: კახელი, ქართლელი, მეგრელი, იმერელი და სხვა (გ.იარცევა, ლ.ტოლსტოვა, პ.ცხადაია, ნ.ხაზარაძე, თ.ოჩიაური, ბ.ჯორბენაძე, გ.თოფურია, ვ.ითონიშვილი და მრავალი სხვა); ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ **ეთნონიმად** ჩაითვალოს მხოლოდ ის ისტორიული ლექსიკა, რომელიც ერის, ეთნოსის, ეთნიკური ჯგუფის, ტომის აღმნიშვნელ საკუთარ სახელად დამკვიდრდა (სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ეთნონიმის საკუთარ სახელად მიჩნევის შესახებაც: ზოგი მას თვლის ონიმად, ზოგი ნომენად).

თემის აღმნიშვნელ სახელს შეიძლება ვუწოდოთ **თემონიმი**; იგი სხვა ენებშიც შეიძლება გამოვიყენოთ (**temonym**), ან ახალი ტერმინი შევქმნათ ინგლისური სიტყვიდან **community** “თემი“, “ერთობა“, “მხარის მოსახლეობა“. შდრ.: **ქომიუნონიმი/კომუნონიმი**... თუკი მოვერიდებით ახალი ტერმინის შემოღებას, ასეთ შემთხვევაში, უმჯობესი იქნება, გამოვიყენოთ სინტაგმა **წარმომავლობის სახელი** და არა - **ეთნონიმი**; გურულის, მესხის, სვანის, კახელის, ქართლელის... მიმართ **ეთნონიმის** გამოყენება აშკარად გაუპართლებელია.

ამგვარად, რამდენადაც **ქართველი ერის** თემებად ანუ ქართველი ერის შემადგენელ ნაწილებად ერთნაირად განიხილებიან: სვანებიც, მეგრელებიც, ლაზებიც, აჭარლებიც, გურულებიც, კახელებიც, ქართლელებიც, რაჭველებიც, იმერლებიც, ფშაველებიც, ხევსურებიც, თუშებიც, ინგილოებიც, ტაოელებიც, შავშელელებიც, იმერხეველებიც, ფერეიდნელებიც,

ბიც... მათი აღმნიშვნელი სახელები ერთნაირად უნდა ჩავთვალოთ არა "ეთნონიმებად", არამედ წარმომავლობის სახელთა განსაკუთრებულ ჯგუფად - **თემონიმებად**.

ზოგ ლინგვისტურ ლექსიკონში "ეთნონიმების" გვერდით განხილულია არამხოლოდ თემონიმები, არამედ - რეგიონების მცხოვრებთა აღმნიშვნელი სახელებიც და ლოკალურ ჯგუფთა სახელწოდებებიც; შდრ., მაგალითად: "К этнонимам близки названия жителей, образующиеся от разл. типов топонимов. Это могут быть этнохоронимы - названия от имен обширных регионов (хоронимов): "Европа - европейцы" и т. п. - или названия жителей крупных или малых поселений: "Москва - москвичи" и т.п. а также неофициальные, исторически сложившиеся прозвищные обозначения групп населения, напр., "Казачи", "москалы", "чалдоны"... (Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990, გვ.598).

ჩვენი აზრით, ასეთი გაუდიფერენცირებელი მასალა ერთი ტერმინის ქვეშ ვერ გაერთიანდება; დასახელებული სიტყვების ერთი ნაწილი წარმომავლობის სახელია, ხოლო მეორე ნაწილი (კაზაკები, მოსკალები) კი - თემონიმები.

ცალკე სამსჯელოა ქართულ ლინგვონიმთა (ენა-კილოების სახელთა), ეთნონიმთა, თემონიმთა, ქორონიმთა და წარმომავლობის სახელთა უცხოენოვანი დაწერილობაც; განსაკუთრებული ტრადიციის არარსებობის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს ქართულისთვის დამახასიათებელი ძირითადი მიმართება ეთნონიმსა (თემონიმსა) და ქორონიმს შორის; შდრ.: **ქართულშიც ზოგჯერ თემის/ტომის სახელია ამოსავალი კუთხისთვის** (სვანი - სვანეთი), **ზოგჯერ კი - ქორონიმისგან იწარმოება საზოგადოების სახელი** (აჭარა - აჭარელი). გარდა ამისა, გეოგრაფიული სახელების უცხოურად დაწერილობისას დაცული უნდა იყოს ქართული სიტყვის სტრუქტურა (სქემა იხ. გვ. 567-575).

შენიშვნა: წიგნის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილ თემონიმთა, ეთნონიმთა, ქორონიმთა და ლინგვონიმთა ლექსიკონში ზოგჯერ მოცემულია ფუძის ერთზე მეტი ვარიანტი (მაგ., Бальсземойский / Верхнобальский...), რაც აიხსნება იმით, რომ ჩვენ მიზნად არ დავგისახავს ქართველური ეთნონიმების, ქორონიმების... უცხოური შესატყვისების სარეკომენდაციო ვარიანტების წარმოდგენა: **პირველად ვწერთ ჩვენთვის მისაღებ ვარიანტებს**. აქვე აღვნიშნავთ, რომ წიგნის შესავალში მოცემული სატრანსლიტერაციო სქემის (გვ. 23-24) ლათინური ვარიანტები შევარჩიეთ კომპიუტერული სიმბოლოების მიხედვით.

1.1.2. სამწიგნობრო ენა, უმწიგნობრო ენა, დიალექტი; სახელმწიფო ენა, ეროვნული ენა, დედაენა, უცხო ენა

თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში მსოფლიოში არსებულ ენათა რაოდენობა მერყეობს 4000-დან 7000-მდე. დაახლოებით სამი ათასი ენობრივი ერთეულის სტატუსი სპეციალისტების მიერ სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი; შდრ., არნ.ჩიქობავა, 1952, გვ.119: "მსოფლიოში ორი ათასზე მეტ ენას ითვლიან; ეს ციფრი უდავოდ გადაჭარბებულია: ბევრი დიალექტი ენადაა მიჩნეული, რადგან ბევრი ენა თუ დიალექტი ჯეროვნად არ არის შესწავლილი"...

მრავალი **ენობრივი ერთეულის** სტატუსის განსაზღვრას დღესაც აბრკოლებს: ენისა და კილოს გასამიჯნ საკვალიფიკაციო კრიტერიუმთა სხვადასხვაობა, მსჯელობისას გამოყენებული ტერმინების (ცნებების) სიჭრელე, ეთნოსის ისტორიის სხვადასხვაგვარი გააზრება და სხვ. (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. მ.ტაბიძე, 2000).

წარმოდგენილ პრობლემაზე მსჯელობისას, ჩვენი აზრით, ტერმინების მკაფიო განმარტების შემდეგ, არსებითია, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდეს პრობლემის ხედვის ორი ასპექტი:

— ისტორიულად (ტრადიციულად) რა პრინციპების მიხედვით მოხდა უკვე არსებული ენობრივი ერთეულების სახელდება ენებად თუ კილოებად;

— თანამედროვე მეცნიერთაგან რა კრიტერიუმებია შემოთავაზებული ენისა და დიალექტის გასამიჯნავად.

ასევე, სხვადასხვა განზომილების მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღებითაა შესასწავლი ის ენობრივ-ენთიკური და ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება, სადაც მძაფრი კამათია ლინგვისტური ერთეულის ენად თუ დიალექტად მიჩნევის გამო.

მსოფლიოს ტრადიციულ ენებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ენად კვალიფიცირება ხდება "სისტემური იგივეობა-სხვაობების" მიუხედავად, კერძოდ, **ენთიკურ-პოლიტიკური ნიშნით ენებადაა კვალიფიცირებული ანალოგიური ფონემატურ-გრამატიკული სისტემის მქონე ერთეულები** (ბელორუსული და რუსული, რუმინული და მოლდოვური, აზერბაიჯანული და თურქული და სხვ.) და პირიქით, **ფონემატურ-გრა-**

მატიკული სისტემის მიხედვით საგრძობლად განსხვავებული ბუნარული და ალჟირული, პრუსიული და ბავარიული (და სხვ.) **ერთი ენის კილოებადაა მიჩნეული**. როგორც წესი, **მონათესავე ენობრივი ერთეულების ერთი ენის ვარიანტებად თუ სხვადასხვა ენებად ჩათვლა უშუალოდ უკავშირდება მოცემული საზოგადოების** (საზოგადოებების) **მიჩნევას ერთი ისტორიული კულტურის მქონე ეთნოსად** (თუ ნაციად). არაიშვიათად, ენის სტატუსი განისაზღვრება რელიგიური ან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მიდგომის მიხედვითაც (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. მ.ტაბიძე, 1999; მ. ტაბიძე, 2002; მ.ტაბიძე, 2003); ეს უკანასკნელი კი მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოთა შორის საზღვრების პრობლემასთან და ქვეყნების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციებთან; კერძოდ, ეთნიკურ-პოლიტიკური კონფლიქტები ზოგჯერ “ენობრივი კონფლიქტებიდან” იწყება (პ.პ.ნელდე); შდრ., გ.რამიშვილი, 2000, გვ.172: “გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერთა შორის კონფლიქტის მიზეზი, აგრეთვე, ლინგვისტურია“. არაიშვიათად, აგრესორი ქვეყნების მესვეურნი თვითმიზნურ ენობრივ პოლიტიკას იდეოლოგიურ იარაღად იყენებენ (**გლობალიზაციის ენობრივი ასპექტი!**):

დასაპყრობი ტერიტორიის მცხოვრებთა **ერთიანი ეროვნული ცნობიერების დასაშლელად** დიალექტებს აცხადებენ ენებად; ამ ე.წ. ენებისთვის ქმნიან ანბანს, სალიტერატურო ენას და ასეთი ფორმით ახალ “ერად” შობილ ხალხს უბიძგებენ კულტურულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ; პარალელურად, იმპერია ამ “დამოუკიდებელ” ხალხს თავს ახვევს იმპერიულ ენასა და კულტურას. მაგ., საბჭოთა იმპერიის მშენებლობის დასაწყისშივე ი.სტალინის მიერ დაიხვეწა მეფის რუსეთში შემუშავებული იმპერიული კონცეფცია, რომელიც თითქოსდა ემყარებოდა ენებისა და ერების თანასწორობისა და “ჩაგრული” “ერებისადმი”, “ენებისადმი” დახმარების იდეას; სინამდვილეში, ერთი რომელიმე კუთხის მოსახლეობის დამოუკიდებელ ეთნოსად, ხალხად, ხოლო მისი დიალექტის ენად გამოცხადებით იმპერიის მესვეურნი მიზნად ისახავდნენ ისტორიული ერის (ენის) და ახალწარმოქმნილი “ხალხის” (“ენის”) “გათანასწორებლობას”, შესაბამისად, დასაპყრობი ქვეყნების ისტორიული მოსახლეობის წარმოდგენას ეთნიკურ-ენობრივ კონგლომერ-

ატად - მცირე იმპერიებად (რუსეთის პოლიტიკის შედეგებისათვის აფხაზეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში, დაღესტანში... იხ., თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, 2001).

საკუთრივ ქართულ სინამდვილეში ი.სტალინმა თავისი “ენის” მქონე ეროვნებებად გამოაცხადა არა მხოლოდ მეგრელები, ლაზები და სვანები, არამედ - აჭარლებიც, ქობულეთლებიც, ინგილოებიც; მისი აზრით, ჯერ უნდა აყვავებულიყვნენ ამ პატარა “დაჩაგრული” ერების ენები, შემდეგ კი ყველას გზა უნდა დაეთმო ერთი მსოფლიო ენისთვის - თავისთავად ცხადია, დიდი რუსი ერის ენისთვის (იხ. ი.

ი.სტალინის ნაშრომები: “მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, “ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“; მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე, ა.ნიკოლეიშვილი, 2000, გვ.34-35). ი.სტალინმა დაიწყო კიდევ **ერთა** და, შესაბამისად, **ენათა** დაახლოება-შერწყმის პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მომავალში ენათა სრული შერწყმით უნდა დასრულებულიყო (თ.ბოლქვაძე, 2003, გვ.9). სასტიკი საბჭოური იდეოლოგიური წინების პირობებში სახელგანთქმული მეცნიერებიც კი ვეღარ ბედავდნენ ამ საკითხებზე პროფესიონალური აზრის გამოთქმასა თუ მსჯელობას...

ი.სტალინის საბჭოთა ეპოქის სულისკვეთების გაგრძელებასა და რეციდივს წარმოადგენს ჯ.პიუიტის, ვ.ფოირშტაინის და სხვათა მსჯელობა (ჯ. პიუიტი, 2004; ვ. ფოირშტაინი; 2000; კაჩკარი, 2003...) ლაზური და მეგრული სალიტერატურო ენების შექმნის აუცილებლობის შესახებ; ნებისით თუ უნებლიეთ, ეს უცხოელები **მეგრელებსა და ლაზებს ართმევენ საკუთარ უდიდეს წერილობით კულტურას - ქართველურ მწიგნობრობას**, რომელსაც, ახ.წ. V საუკუნის მოღვაწე იოანე ლაზით დაწყებული დღემდე, სხვა ქართველებთან ერთად ქმნიან ჭოროხისა და რიონ-ენგურის აუზებში მოსახლე ლაზ-მეგრელებიც.

მონათესავე ენობრივ ერთეულთა შეფარდებითი განსაზღვრა-კვალიფიკაცია, როგორც წესი, იოლად ხერხდება ერთი ისტორიული ნაციის/ეროვნების ფარგლებში (საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად გართულდა ქართველური ენობრივი ერთეულების კვალიფიკაციის საკითხი); მეტიც, ადრეც და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც, ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად გაჩენილი მსგავსებების გამო, არამონათესავე ლინგვისტური ერთეულიც კი მოცემული ენის დიალექტად კვალიფიცირდება; **კერძოდ**, სამეცნიერო ლიტერატურაში არამონათესავე

ენობრივი ერთეულის დიალექტად ქცევის განსასაზღვრავად შემუშავებულია ე.წ. **გადაფარვის კრიტერიუმი** (იხ. ი.გოსენსი, 1977); სანიმუშოდ განვიხილავთ პრუსიული მეტყველების ისტორიას:

1230-1284 წლებში გერმანელებმა დაიპყრეს ლიტვური მოდემის ტომები – პრუსიელები; დროთა განმავლობაში პრუსიის მოსახლეობა გაგერმანელდა (გ.ტივაძე, 1970, გვ.101-102); მე-17 საუკუნემდე არსებული ძველი პრუსიული ენის - ლიტვურის მონათესავე ბალტიკური ენის - “მემკვიდრე“ ახალი პრუსიული მეტყველება დღეს უკვე რამდენიმე გერმანულ (ბრანდენბურგულ) დიალექტად განიხილება; შდრ., ასევე, ვ.ჟირმუნსკის პოზიცია სლავთა ტერიტორიაზე - **საქსონიის მიწაზე** - ჩამოყალიბებული აღმოსავლურ შუაგერმანული დიალექტების შესახებ (ვ.ჟირმუნსკი, 1956, გვ.24); შდრ., ა.ონიანის შეფასება: **გერმანული ენისა და დიალექტების სპეციალისტები ზემოგერმანულ და ქვემოგერმანულ ენებს, ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დიალექტებს უწოდებენ** (იხ. ა.ონიანი, 2003, გვ.139-140).

მეცნიერთა მიერ ენისა და დიალექტის პრობლემის არაარსებითად ჩათვლა ან პოლიტიკის ინტერესების სფეროდ მიჩნევა კაცობრიობისათვის ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ენისა და დიალექტის მიმართების თითქოსდა უწყინარ ლინგვისტურ პრობლემასთან დაკავშირებულია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნისა და ერის ბედი, არამედ სხვადასხვა ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრების პერსპექტივაც.

ჩვენი აზრით, ენისა და დიალექტის მიმართების პრობლემა სინქრონულადაა განსახილველი საზოგადოებრივ-ისტორიული, ეთნიკურ-კულტურული, რელიგიური და საკუთრივ ლინგვისტური ასპექტებით; ასევე, საჭიროა მეცნიერთა კვლევის შედეგების გასაზოგადოებრობა, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება მოცემული საზოგადოების მოწყვეტა თავის კულტურულ წარსულთან: ხალხს ექნება გაცნობიერებული არჩევანი თვითდენტიფიკაციისათვის და, რაც მთავარია, **დაცული იქნება ადამიანის თუ ეთნოსის უფლება, იცოდეს თავისი წარსული**; სამაგალითოდ მოვიყვანთ თურქეთში მცხოვრები ლაზი გოგონას წერილს, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ **მჟორაში** (შდრ.: ლაზ. მჟორა/ბჟორა, მეგრ. ბჟა, სვან. მიჟ და სამწიგნ. ქართ. მჟე) და 2002 წლის ოქ-

ტომბერში ინტერნეტითაც გამოქვეყნდა (**Lazebura.com**); წერილის სათაურია: “ერთი ქალაქელი გოგონას “ეგოისტური“ სიყვარული“; მოვიყვანთ წერილის ძირითად ფრაგმენტებს:

“წლების მანძილზე მეგონა, რომ მე მუსიკის არმქონე კულტურის შვილი ვიყავი, რადგანაც, ლაზურ გარემოცვას მოწყვეტილი, ერთი შორეული ქალაქის კულტურის პირობებში გავიზარდე...

ჩიზეს ფინდიკლის რაიონის სოფელი პიზხალა ჩემი სოფელია. მე პიზხალას ხეობის შვილი ვარ. დედაჩემიც იმავე რაიონის სოფელ დერბენტთანაა. ესე იგი, მე ორივე მხრიდან ლაზი ვარ. მაგრამ 1972 წელს იზმითის გოლჭუქის რაიონში დავბადებულვარ. თვრამეტ წლამდე იქვე, შემდეგ კი, უნივერსიტეტის წლების გამოკლებით, სულ სტამბოლში ვცხოვრობდი და ვცხოვრობ.

ვნედავ, რომ ლაზები, როგორც ეთნიკური კოლექტივი, ვიმღებთ და სადაცაა იმ წერტილზე მივალთ, როცა აღარ ვიარსებებთ.

ჩემი მშობლები საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში, როგორც ყველა, რეალურ სინამდვილეს გამოექცნენ და მოვიდნენ უცხო ქალაქში... დედა - სასწავლებლად, მამა კი - სამუშაოდ.

ყოველ ზაფხულს დავდიოდით სოფელში. ჩემი მშობლების იქ ყოფნა და გაჩაღებული კერია ახლაც მახსოვს. ყვავილიან და მსხლის ხეებიან ბაღს, ვიწრო არხით ორად გაყოფილ ეზოსა და დედ-მამისაგან უჩუმრად გასახმობად ვაფენილი თხილის მოპარვას როცა ვიგონებ, თვალები ცრემლებით მეცხება ხოლმე...

1992 წლის 10 ივლისს დედ-მამა დავკარგე. ორი წლის შემდეგ კი 90 წლის და ჩემთვის “მოსიარულე ბიბლიოთეკად“ მიჩნეული ბაბუაც მივაბარეთ მიწას... მათ დიდი მონატრებით ვიხსენებ...

მათთან გამომშვიდობების შემდეგ არც სოფელი შემრჩა და აღარც სახლი. ქალაქმა უფლება არ მომცა, მათ დავპატრონებოდი. უკვე აღარც მოხუცები მყავს, აღარც ყანები და ბაღები მაქვს და არც სოფელში წასვლის შესაძლებლობა. 1997 წლის ოქტომბრის თვეში, როცა ბოლოს ჩავედი სოფელში, სახლის ჭერიდან ცის კამარა მოჩანდა უკვე. არადა, სიტყვა მქონდა მიცემული, რომ როცა გავიზრდებოდი, აღვადგენდი. დიახ, გავიზარდე, მაგრამ მე სახლი აღარ დამელოდა. ჩავიკეცე შუა ოთახში და ვიტყვი ჩვენი დაქცევის გამო.

ყველა ეს ჩემი უბედობა და ნაღველი ცოტა ხნით დავივიწყებ და იმას მოვიტოვებ, თუ დღევანდელ შეგნებამდე როგორ მივედი.

1994 წელს ჟურნალ **OGNI**-ს საშუალებით შევიტყვე ზუგაში ბერაპეს მუსიკალური მოღვაწეობის შესახებ. ხაზის რადიოთი ლაზური პროგრამებისა და ზოგიერთი გადაცემის, ასევე ბიროლ თოფალოღლუს “**HEYAMO**“-ს წყალობით შეგნებამ იმისა, რომ მე ლაზი ვარ, მთლიანად მომიცვა.

გუდასტურის სულში ჩამწვდომი ხმა, ლაზურ ენაზე სიამოვნებით მოსმენილი ნაწარმოებები, მათში გამოთქმული არსი და შინაარსი მე თითქმის თავს მა-

კარგინებს... მიხარია, რომ ჩვენც გვქონია დესთანები და შეტირებები, მუსიკალური კულტურა; ბოლო ორ წელიწადში ლაზურს კარგად დავეუფლეთ. ნაწარმოებების სიტყვების გაგებაც დავიწყე და უკვე ლაზურად შემიძლია ლაპარაკი.

ახლა ლაზური ჟურნალი MJORA-ც გვაქვს. მე მჯერა, რომ, მისი წყალობით, ერთმანეთის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია გვექნება, ერთმანეთს უფრო გაუწევდნენ დახმარების ხელს.

უწინარეს ყოვლისა, მიმაჩნია, რომ, ისევე როგორც ყველა ხალხმა, ლაზებმაც თავიანთი წარსულისა და წარმომავლობის ძიება უნდა დაიწყონ. ამისათვის თანადგომა და მხარდაჭერა აუცილებელია, რადგანაც თანადგომის გარეშე დარჩენილი კოლექტივი თანდათან მცირდება, დეგრადირდება და ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში “მკვლარ ენათა კათედრებზე” მხოლოდ საკვლევად იყენებენ. ჩვენც ასევე შეიძლება დაგვემართოს, მაგრამ, საბედნიეროდ, ვარსებობთ და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიმავალი კულტურა ვართ.

მე, სიყვარულითა და პატივისცემით, რწმენითა და ენთუზიაზმით სავეს ერთი ლაზი გოგონა, უახლოეს მომავალში შეხვედრის და აზრთა გაზიარების სურვილით ყველას გესალმებით“. **პატივისცემით: რეფიკა ყადიოღლუ (თურქულიდან თარგმნა გიგა ქამუშაძემ).**

ამკარაა, რომ თურქეთში მცხოვრებ ლაზთა უდიდესი ნაწილისათვის ჯერჯერობით მიუწვდომელია არა მხოლოდ თავიანთი ისტორიული წარსულის, სამწიგნობრო ენის თუ მშობლიური ლიტერატურის, არამედ საკუთრივ ლაზური ფოლკლორის არსებობის ცოდნაც. მაგ., **რეფიკა ყადიოღლუმ** არ იცის, რომ იოანე ლაზი, სტეფანე სანანოისძე, იოვანე მინჩხი, იოვანე პეტრიწი, გიორგი ჭყონდიდელი, იოვანე მარტუშისძე და **მრავალი სხვა ლაზი თუ მეგრელი** დიდი **ქართველური** წერილობითი კულტურისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ბურჯნი არიან; ასევე, მას არა აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ლაზთა დაგეგმილი ასიმილაცია: რა გულმოდგინებით ცდილობდა ქემალისტური თურქეთი ლაზთათვის საკუთარი წარსულის დაიწყებას - ლაზთა გათურქებას. ამ საკითხს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მაგ., დავიმოწმებთ წათე ბაწაშის მიმოხილვის **ვრცელ ფრაგმენტს** (წ.ბაწაში, 1988, გვ.13-15):

“საყოველთაოდ ცნობილია, რომ სულთნის “ქვეშევრდომნი” თავის თავს მკვეთრად განასხვავებდნენ ეთნიკური გაგებით. ბუნებრივია, რომ ქართველები (ლაზები), ალბანელები, არაბები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები არასოდეს უწოდებდნენ თავს თურქებს. ამასთან ერთად, **ლაზეთის მთავრები, რამდენადაც ეს შესაძლო იყო, ანარჩუნებდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას.** ამას ისინი ახერხებდნენ XIX საუკუნის შუა წლებამდე, თუმცა ევალებოდათ, ომის შემთხვევაში გამოეყვანათ

ლაშქარი ოსმალეთის დასახმარებლად, მაგრამ ლაზთა რაზმები თურქული ჯარისაგან ყოველთვის განცალკევებით იდგნენ და მასთან არასოდეს ჰქონდათ ურთიერთობა“ (АКТЫ КАК, ტ. 3 გვ.53)...

მიუხედავად დიდი სურვილისა, რომ წაშალონ ყველაფერი, რაც მიუთითებს ლაზების (ქართველების) არათურქულ წარმოშობაზე, თურქეთის მმართველი წრეები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ლაზები მიეკუთვნებიან კავკასიური ჯგუფის ხალხებს და წარმოადგენენ ერთ-ერთ ქართველ ტომს. ამასთან, ცდილობენ, ეს პრობლემა მოაქციონ წმინდა ლინგვისტურ ჩარჩოებში. ყველა თურქული ლექსიკონი ერთხმად ამტკიცებს, რომ “ლაზები არიან ლაზურად მოლაპარაკე, პატარა კავკასიური ტომის წარმომადგენლები, ხოლო სტამბოლში მიღებული აზრი, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ყველა მცხოვრებს ეწოდოს ლაზი, მცდარია“ (თურქული ენის დიდი ლექსიკონი, სტამბოლი, 1977, გვ.786; ახალი თურქული ლექსიკონი, სტამბოლი, 1980, გვ.649; თურქულ ენაზე).

ოფიციალურ თურქულ ისტორიოგრაფიაში ლაზი მოღვაწის ლაზად ხსენება მიღებული არ არის და თურქი ერისათვის მავნედ არის მიჩნეული. როგორც ი.დანიშმენდი წერს, “სახელწოდება “ლაზ“-ს აკუთვნებდნენ ტრაპიზონელებს. იქაური მოსახლეობა ამჟამად იჩემებდა ლაზობას. ამ ცუდი ჩვევის ბევრი მაგალითი გვაქვს“ (ი.დანიშმენდი, ოსმალეთის ისტორიის განმარტებითი ქრონოლოგია, IV ტომი, 1955, გვ.492; თურქულ ენაზე). მაგრამ იმავე ისტორიკოსს რატომღაც ავიწყდება იმის თქმა, თუ რატომ იჩემებდნენ ასე ამჟამად ლაზები ლაზობას და არა ალბანელობას, არაბობას და ა.შ.; მეორე მხრივ, ისლამის ენციკლოპედიაში გარკვევით წერია, რომ “ლაზები” არიან სამხრეთ კავკასიური (ქართული) ტომის წარმომადგენლები და ისტორიულად უკავიათ შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთ-აღმოსავლეთი“ (ისლამის ენციკლოპედია, VII ტომი, სტამბოლი, 1955, გვ.25; თურქულ ენაზე). დოღან ავჯიოღლუ თავის “თურქულ ისტორიაში” პირდაპირ უთითებს, რომ “XI საუკუნის დასაწყისში თურქმენების (სელჯუკების - წ.ბ.) მოსვლამდე, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში ჰარბობდნენ ქართველები და ლაზები, მათ ენაზე ლაპარაკობდა მოსახლეობის უმრავლესობა“ (დ.ავჯიოღლუ, თურქების ისტორია, წიგნი I, სტამბოლი, 1979, გვ.44, 144; თურქულ ენაზე).

ფარს თულღაჯის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: “ლაზური ენა ახლოა ქართულთან და წარმოადგენს მეგრული ენის კილოს“ (ფ. თულღაჯი, ენციკლოპედიური ლექსიკონი “ოკეანე“, IV ტომი, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა “ჯემნიეთი“, 1978, მაისი, გვ.1776; თურქულ ენაზე). “ენა, რომელზეც ლაპარაკობენ ლაზები, მიეკუთვნება კავკასიური ენების სამხრეთულ ჯგუფს და ძალიან ახლოა ქართულთან“ (ი.ა.გოგვი, ახალი ლექსიკონი და ენციკლოპედია ილუსტრაციებით, გვ.1954; თურქულ ენაზე). ქემალ ქარადენიზლი თავის “ტრაპიზონის ისტორიაში“ ამბობს: “ტრაპიზონის, გირესუნის, რიზეს, თორულის და სხვა ადგილების მოსახლეობა შედგება ლაზებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ ქართული წეს-ჩვეულებებით და აქვთ საერთო წარმოშობა, რჯული და ადათი“ (ქ.ქარადენიზლი, ტრაპიზონის ისტორია, სტამბო-

ლი, 1877, გვ. 68; თურქულ ენაზე). ავტორი იძულებულია აღიაროს: “ეს ქვეყანა და-სახლებული იყო ჭანებით, ლაზებით და ქართველებით, რომლებიც, მართალია, სულთნის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, მაგრამ არ ცნობდნენ ცენტრალურ ხელ-ისუფლებას და ექვემდებარებოდნენ მხოლოდ თავის ბეგებსა და ალებს”...

თურქული ისტორიოგრაფია ვერ ახერხებს, უარყოს ლაზებისა და ქართველების ნათესაობა და ეთნიკური ერთობა, მაგრამ მაინც ცდილობს, “მეცნიერულად” და-ამტკიცოს ლაზ-ჭანთა თურქული წარმოშობა. ამ საკითხს გარკვეულ ადგილს უთ-მობენ სახელმძღვანელოებსა და პოპულარულ გამოცემებში. ეწვევიან იმის პრობაგან-დას, თითქოს ლაზ-ჭანები განეკუთვნებიან ალთაური წარმომავლობის თურქულ ეთ-ნიკურ ჯგუფს“.

ლაზთა საკითხი უფრო და უფრო რთულდება:

საკუთარი ეროვნული ისტორიის არცოდნის გამო, ქართველობას თავისი ნებით ემიჯნება თურქეთში მცხოვრებ ლაზთა ერთი ნაწილი; მათ არ იციან, რომ ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენის, კულტურ-რისა და სახელმწიფოებრიობის შექმნაში არსებითი წვლილი სწორედ ლაზ-მეგრელებისაა; რომ, განსხვავებით გერმანული, იტალიური, ესპანური და სხვა ენებისგან, ქართველთა **სამწიგნობრო ენა** საერთოქართველური ენის ბაზაზე შეიქმნა (და **არა რომელიმე** კილოს მიხედვით); რომ მათი წინაპრები საუკუნეების მანძილზე სხვა ქართვე-ლებთან ერთად საერთო ენაზე ქმნიდნენ სამწიგნობრო კულტურას... საქართველოში მცხოვრები და განათლებული ლაზებისთვის ცნობილია ეს ისტორიული სიმართლე; შდრ.: უცხოეთში მყოფ ზოგ ლაზს ეს სინამდვილე ე.წ. ქართული იმპერიული აზროვნების გამოვლინება ჰგო-ნია. არაიშვიათად, ლაზთა ამგვარი განწყობა მართულია რომელიმე იმ-პერიის მესვეურთა მიერაც.

ქართველურ კულტურასთან ლაზთა თვითგაიგივებას, თვითიდენტი-ფიკაცის ართულებს საერთო ქართველური ენის დივერგენციის ის მცდარი ქრონოლოგიებიც, რომლებიც აქამდე იყო დამკვიდრებული; სა-ნიმუშოდ მოვიყვანთ გერმანიაში მოღვაწე ლაზი გუბაზ ჩიბარისის მსჯ-ელობის ფრაგმენტს წერილიდან: “მეგრელ-ლაზები და საქართველო“ (სტატია თურქულად გამოქვეყნდა Lazebura . com-ის გვერდებზე 2003 წლის მარტში):

“მეგრელი (? - ტ.ფ.) არქეოლოგი და ისტორიკოსი ლორთქიფანიძე აღნიშ-ნავს, რომ იბერიული კულტურა და კოლხური კულტურა ერთმანეთისაგან სრუ-ლიად განსხვავებული მატერიალური კულტურის მფლობელები არიან. ასეთი

ვითარება გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში მეგრელ-ლაზებსა და იბერიელებს (ქარ-თველებს) შორის კავშირი ან არ არსებობდა, ანდა ისეთ დონეზე იყო, რომ ერ-თმანეთზე გავლენას ვერ ახდენდნენ. კოლხური კულტურა, მეგრელ-ლაზთა გა-ქრისტიანების პერიოდამდე, ესე იგი, ჩვ. წ. აღ-ის მე-4, მე-5 საუკუნეებამდე გრძელდება (აფაქიძე). ელინური და რომაული კოლონიზაცია და ამ კულტურე-ბის გავლენაზე დამოკიდებული მეგრელ-ლაზები გაქრისტიანების შემდეგ საბერ-ძნეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაზე იყვნენ დამოკიდებულნი და ეკლესიის ენა ბერძნული იყო.

ქართველებისა და მეგრელ-ლაზების შესაძლო პირველი სერიოზული კულ-ტურული შეხება მეგრელ-ლაზთა ადრეულ საუკუნეებში ქართულ ორთოდოქ-სულ ეკლესიასთან დაკავშირებით დაიწყო...

ქართველები და მეგრელ-ლაზები დაახლოებით 3000 წელი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ. კოლხური კულტურა იბერიული (ქართული) კულტურიდან დაახლოებით 700 წლით გვიან იწყება.

გნებავთ ენობრივი, გნებავთ ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, ნა-თლად ჩანს, რომ მეგრელ-ლაზები ქართველებისაგან (ქორთუებისგან) განსხვა-ვებული ეთნიკური ჯგუფია. ამ ორი ხალხის ფიზიონომიური სახეებიც კი თავი-სუფლად შეიძლება განვასხვავოთ. მოკლედ რომ ვთქვათ, მეგრელ-ლაზთა და ქართველებს შორის ყველაზე ახლო კავშირები მხოლოდ ამ ორი ენის ერთი და იმავე ენათა ოჯახის წევრობაა...

მეგრელ-ლაზთა, ქართველთა და სვანთა ერთ ხალხად გამოცხადება და “ქარ-თველიანებად“ სახელდება ისტორიულად და ლინგვისტურად ალოგიკურია. თუკი ყველანი ქართველები ვართ, ესე იგი, ერთი ხალხი ვართ, მაშინ მეცნიერე-ბისა და ლიტერატურის ენად ქართულის გამოყენება ფარული ასიმილაციის ტოლფასია. აქ არსებული ალოგიკურობა ქართულის ჩვ. წ. აღრიცხვამდე 4000-5000 წლებში დაშლის შედეგად წარმოქმნილი ენის ვერდანახვა, ანდა, დანახვის უსურველობაა. ლაზები უკვე თავისი ნებით, ქართველებისა და თურქების სურ-ვილებს არ თანაუგრძობენ; მათი ასიმილაციის მსურველთა უმართებულობა ცხადია“ (თურქულიდან თარგმნა გიგა ქამუშაძემ).

გუბაზ ჩიბარისის მსჯელობა ეფუძნება ქართველურ დიალექტთა და-შლის იმ მცდარ ქრონოლოგიას, რომელიც პირველად წარმოადგინა გ.კლიმოვმა. აქ მოკლედ ვიტყვით (ვრცლად იხ. ქვემოთ): დღეს ბუნებაში არ არსებობს თვისობრივად უცვლელი არც ერთი ენა, რომელიც არსებ-ობდა 5000 წლის წინ; რაღა სვანური, ქართული თუ ლაზურ-მეგრული შემორჩა დედამიწას? ბევრი წყარო და ლოგიკური არგუმენტი არსებობს საიმისოდ, რომ ვთქვათ: **საერთო ქართველური ენის კილოებად დი-ვერგენციის უფრო ლოგიკური და რეალობასთან ახლო მყოფი თარი-**

ღია წელთაღრიცხვათა მიჯნა (ტ.ფუტკარაძე, 2000, გვ.98-100); გარდა ამისა, ამ დროს საერთოქართველურიდან იღებს სათავეს სამწიგნობრო ქართულიც (შდრ., არნ.ჩიქობავა, 1966, გვ.92), მეგრულ-ჭანურიც, ქართლურ-კახურიც და სხვა ქართველური კილოებიც. შესაბამისად, ქართული სამწიგნობრო კულტურა ისევეა ლაზების კუთვნილება, როგორც - აჭარლების, ქართლელების, რაჭველების, სვანების, კახელებისა თუ მესხებისა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: **ეთნიკურ-ეროვნული თვითაღქმის** თვალსაზრისით, არსებითია ცოდნა საკუთარი ფესვებისა; შდრ.: საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებში მცხოვრები თანამედროვე მეგრულ-ლაზების მიერ კარგადაა გაცნობიერებული, რომ **მათი წინაპრების ღვაწლის შედეგია ქართული/ქართველური სამწიგნობრო კულტურა**; თურქეთში/რუსეთში მცხოვრებთათვის კი უკვე გაუცხოებულია იოანე ლაზის, ჭყონდიდლების, ბაგრატიონების და სხვა მოღვაწეთა მიერ ნალოლიავები სამწიგნობრო ენაც და კულტურული ტრადიციაც (ვინაიდან მათი განათლების ენა თურქულია/რუსულია); თუმცა, გუბაზ ჩიბარისის კარგად რომ შეესწავლა თუნდაც თურქეთის მოქალაქე ლაზთა ფოლკორი, ის იოლად აღმოაჩენდა, რომ ლაზებისთვის საყვარელი წინაპარია თამარ მეფე (იხ., მაგალითად, ი.ყიფშიძე, 1917):

XII საუკუნის ერთიანი საქართველოს დიდი მეფე თამარი ლაზური ხალხური თქმულებების გამორჩეული გმირია, მსგავსად სვანური, მეგრული, ჰერული, ტაოური, აჭარული, ფშავ-ხევსურული, ქართლ-კახური თუ იმერხეული გადმოცემებისა; გარდა ამისა, საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, ლაზეთშიც თამარის სახელს უკავშირდება მრავალსაუკუნოვანი ხილების, ციხესიმაგრეების, ტაძრების მშენებლობა და ა.შ. აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ სოფელ მაკრიალის (ამჟამინდელი ზოფის რაიონის სოფელი ქემალფაშა) მკვიდრი მემდ-ალი ვეზიროღლი-ანჩაბადის ცნობით, **ლაზები თამარ მეფეს ლაზად თვლიან**; მეტიც, მაკრიალელთა (ქემალფაშელთა) რწმენით, **თამარ მეფის საფლავი მაკრიალის ტაძარშია** (ბაგრატიონთა ლაზურ წარმომავლობას ქართული საისტორიო წყაროებიც ამოწმებს; მემდ-ალი ვეზიროღლი-ანჩაბადის ჩანაწერები დაიბეჭდება “ქართველური მე-

მკვიდრობის“ IX ტომში; ტექსტებს და გამოკვლევას გამოსაქვეყნებლად ამზადებს მიხეილ ლაბაძე).

საუკუნეების მანძილზე რომელი ხალხი ინახავს “სხვათა“ მეფის სახელს ასეთი დიდი სიყვარულით? დამპყრობელ-ასიმილატორთა მეფის ზოტბა-დიდება იმპერიის დაცემასთან ერთად კვდება... აშკარაა, რომ **თამარის სახე** ერთ-ერთი **არსებითი მანასიათებელია ქართველთა საერთო ისტორიული მენსიერებისა**, შესაბამისად, ქართველთა ეროვნული თვითაღქმისა.

მეგრულ-ლაზურ ენობრივ ველში სამწიგნობრო ენის სახის შესახებ უთუოდ საყურადღებოა პროკოპი კესარიელის მსჯელობა **ქუთაისის** სახელის შესახებ; კერძოდ, ის წერს: ლაზებმა ბერძნული ენა არ იციან, ამიტომ ამახინჯებენ და **კოტიაიონს ქუთათისს/ქოთათისს** ეძახიან (გეორგიკა, 1965, გვ.195). ცნობილია, რომ მეგრულ-ჭანურად ქუთათისს **ქუთეში** ჰქვია; გამომდინარე აქედან, პროკოპის დროს ან ლაზური (მეგრულ-ლაზური) მეტყველება ჩვენთვის ცნობილი სახით ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, ან **ლაზთა ძირითადი საურთიერთო-სახელმწიფო ენა იყო სამწიგნობრო ქართული**; შდრ., ბაგრატი, გიორგი I თუ საქართველოს გამაერთიანებელი და ქართული მწიგნობრობის ამლორძინებელი სხვა მეფეები, ასევე, ჭყონდიდლები და მრავალი სხვა მოღვაწე ლაზეთ-კლარჯეთ-ეგრისიდან იყვნენ (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

ტრადიციულად, ერთი ერის შვილებს ერთი ენა აქვთ, სწორედ ამიტომაც, რომ, მაგ., ძველი მემატინენი და ჩვენი დიდი მოღვაწენი (გრიგოლ ხანძთელი, ლეონტი მროველი, ვახუშტი, სულხან-საბა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია...) არასოდეს საუბრობენ ქართველთა რამდენიმე ენის არსებობაზე; მეტიც, ჩვენი მწიგნობარი წინაპრები ხაზგასმით წერენ, რომ ქართველთა ისტორიული კულტურის ტრადიციული ენაა - დედაენაა - სამწიგნობრო ქართული, ხოლო ოდიშური (მეგრული), მესხური, კახური, სვანური და ქართველთა სხვა მეტყველებანი კუთხურ-სოფლური კილოებია (საკითხის ისტორიისათვის იხ. არნ.ჩიქობავა, 1948; ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ.22-23; ა.აფარბიძე, 1996, გვ.58-63, 114-118; იხ., აგრეთვე, ტ.ფუტკარაძე, 2000; ტ.ფუტკარაძე, ნ.ნაკანი, 2001; თ.გვანცელაძე, 2003).

ადრეულ საუკუნეებში ენის სტატუსის განსაზღვრისა და ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა “ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელსაც 1790 წელს ხელი მოაწერეს ქართლ-კახეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მეფე-მთავრებმა; ტრაქტატში მკაფიოდაა ნათქვამი:

“ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა (- ურთიერთვალდებულებითი - ტ.ფ.) სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის.

ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულად ქვეყანათა ივერიისა და მეფენი და მთავარნი დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა სახელით ყოველად ძლიერისა ღვთისათა აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების...“

საკურადღებოა ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა დასკვნაც: დაქუცმაცებულ საქართველოში მართო საკუთრივ ქართლი არ არის საქართველო, სხვა სამეფო-სამთავროებიც თავს საქართველოებად წარმოადგენენ. ასეთი მრავლობითი შეგნებიდან იბადება უჩვეულო ფორმა **საქართველონი** ანუ **საქართველოები**; ასეთი საქართველობა: მესხეთი, კახეთ-ჰერეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, ოდიშ-აფხაზეთი (მსჯელობისა და ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. ა.ჯაფარიძე, 1996; რ.თოფჩიშვილი, 2002); ყველა ამ მცირე სამეფოში სამეფო კანცელარიის ენა ქართული, ხოლო კულტურა - ზოგადქართული იყო.

ნათელია: **ტრადიციულად, ქართველები ვთვლიდით, რომ მხოლოდ ერთი ენის მქონენი ვართ.**

რა საფუძვლის, კრიტერიუმის თუ მეცნიერული არგუმენტის მიხედვით გაჩნდა მოსაზრებები, რომ გვაქვს ორი თუ სამი სამწიგნობრო ენა (ძველი, ახალი, საშუალო), სამი თუ ოთხი ქართველური ენა: ქართული, ზანური (მეგრული, ჭანური) და სვანური და... რამდენად შეესაბამება რეალურ ვითარებას ამგვარი კვალიფიკაციები?

ქართველთა სამი სხვადასხვა სამწიგნობრო ენის - ძველი ლიტერატურული ენის, საშუალო საუკუნეების ლიტერატურის ენისა და ახალი

ქართული ენის - შესახებ მსჯელობა პირველად წარმოდგენილია ნ.მარის ნაშრომში (ნ.მარი, 1922, გვ.5); აკ. შანიძემ და მეცნიერთა დიდმა ჯგუფმა უკრიტიკოდ მიიღო ამგვარი შეფასება. არნ. ჩიქობავამ აჩვენა, რომ საშუალო ქართული არის “ძველი“ და “ახალი“ ნორმების შერევა, შესაბამისად, მან განავითარა მოსაზრება, რომ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ძველი და ახალი ქართული ენა. ბ.ჯორბენაძის აზრით, ქართული სამწიგნობრო ენის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს ხუთი ან ექვსი ეტაპი (საკითხის მიმოხილვისათვის იხ., ტ.ფუტყარაძე, 1993).

ჩვენი აზრით, **გაუმართლებელია სამწიგნობრო ქართულის წარმოდგენა ე. წ. ძველ, საშუალო და ახალ ქართულ ენებად (ან ძველ და ახალ ენებად) ბერძნულისა და სხვა ენათა მსგავსად** (ძველი ქართული ენისა და ახალი ქართული ენის არსებობის დაუსაბუთებლობის შესახებ იხ.: რ.თვარაძე, 1985, გვ.19; ზ.გამსახურდია, 1991, გვ.534; ტ. ფუტყარაძე, 1993; ტ.ფუტყარაძე, 1998; ც.ბენდელიანი, 2003...).

ძველი და ახალი ბერძნული მართლაც სხვადასხვა სტრუქტურის ენებია და მათ შორის გაგებინებაც შეუძლებელია; შდრ., ქართველურ სინამდვილეში ძველი და ახალი ქართული ენობრივი ქვესისტემები ერთმანეთისაგან თვისობრივად არ განსხვავდება: “განსხვავებულ დროთა ჭრილებსა და ჰორიზონტალურ განშტოებებში ქართული ენა სტრუქტურულ სახეს არსებითად ყველა დონეზე ინარჩუნებს“ (თ.უთურგაძე, 2002, გვ.19; შდრ., თ.უთურგაძე, 1966, გვ.12); გარდა ამისა, საუკუნეების მანძილზე ლექსიკური ფონდის გასაოცარი სიმყარის გამო, არც გაგებინება გამხდარა პრობლემა. სამწიგნობრო ქართულის ამგვარი სტაბილურობა განსაზღვრა უნიკალურმა სიტუაციამ: **იგი თითქმის ოცი საუკუნის მანძილზე ერთდროულად არის სახელმწიფო ენაც, საეკლესიო ენაც და სამწერლობო ენაც**; ამდენად, უფრო ლოგიკურია, ვილაპარაკოთ ქართული სამწიგნობრო ენის სტილურ ვარიანტებზე; კერძოდ, საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ ფუნქციონირებდა და ღღესაც არსებობს ერთი სამწიგნობრო ენის საეკლესიო, სალიტერატურო, საკანცელარიო, სამეცნიერო სტილები და ხალხური მეტყველების ნაირსახეობანი.

უკანასკნელად ამ თემას შეეხო გ.გოგოლაშვილი (2004, გვ.32-37; თანდართული შენიშვნით, ნაშრომის საბოლოო ვარიანტი შექმნილია 2000 წელს), რომელიც შეეცადა დაესაბუთებინა, რომ არსებობს სამი საერთო-სახალხო ქართული ენა (ძველი, საშუალო და ახალი) და ორი ქარ-

თული სალიტერატურო ენა (ძველი და ახალი). გ.გოგოლაშვილის მსჯელობა ასეთია: “ძველი ქართული ენა და ახალი ქართული ენა ჩვენს წარმოდგენაში **სხვადასხვა დონის** ენობრივი ერთეულებია” (გვ.35); “არ არსებობს ერთიანი საშუალო ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ არსებობს საშუალო ქართული ენა, როგორც ენობრივი რეალობა თავისი მრავალგვარი ნაირსახეობით” (გვ.37).

ვფიქრობთ, ქართული სამწიგნობრო ენის სტილური ვარიანტები არ წარმოადგენენ “კლასიკური გაგებით ორ სალიტერატურო ენას” (შდრ., გ.გოგოლაშვილი, 2004, გვ.35); ისინი ერთმანეთს არც დროში ენაცვლებიან: XI საუკუნეში არ წყდება “ე.წ. ძველი ქართული”; ამავე სტილით იწერება საეკლესიო ხასიათის შრომები XII-XVIII საუკუნეებშიც და XIX ს. პირველ ნახევარშიც კი; გარდა ამისა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურება ამჟამადაც ამ ენით მიმდინარეობს; ე.ი. ქართული სამწიგნობრო ენის საეკლესიო და საერო-სამეცნიერო სტილები დღესაც თანაარსებობენ საეკლესიო და საერო ველების მიხედვით; ეს სტილური ვარიანტები არ არიან სხვადასხვა დროის ენობრივი დონეები. გარდა ამისა, თავისი ფუნქციონირების ყველა პერიოდში ქართული საერთო-ეროვნული ენა წარმოდგენილია თავისი “მრავალგვარი ნაირსახეობით”. შესაბამისად, ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ ქართული საერთო-სახალხო ეროვნული ენის სტილური ვარიანტების **ფუნქციონირების პერიოდებზე** (და არა რამდენიმე ქართული სამწიგნობრო ენის არსებობაზე), მაგ.:

დამწერლობამდელი პერიოდი: ფუნქციონირებს ზოგადქართული ენობრივი კოინე, მისი ოფიციალური (სახელმწიფო), საკულტო სახესხვაობები და ქართველური კილოები;

V-X საუკუნეები: ფუნქციონირებს საეკლესიო ენა და ქართველთა ზეპირი მეტყველების ოფიციალური და ხალხური ნაირსახეობები;

IX-XX საუკუნეები: გვერდიგვერდ არსებობს სამწერლობო ენის ნორმირებული საეკლესიო, სალიტერატურო (საერო-საკანცელარიო), სამეცნიერო სტილები, ტერიტორიული და სოციალური დიალექტები, ჟარგონები და ა.შ.

საერთოქართველურისგან მომდინარე ერთიანი ქართველური ეროვნული სამწიგნობრო ენის უწყვეტად არსებობის პირობებში, ვფიქრობთ, ნაკლებარგუმენტირებულია მსჯელობა სამი თუ ოთხი ქარ-

თველური ენის (ქართულის, ზანურის, სვანურის) შესახებაც. დღეს ამგვარ დასკვნებს აკეთებენ ისინი, ვინც თვლის, რომ ენა-კილოს საკვალი-ფიკაციოდ საკმარისია **გაგებინება, როგორც ლინგვისტური კრიტერიუმი** (ბოლო ამგვარი მსჯელობის შესახებ, იხ. თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე... 2003, გვ.615).

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ **გაგებინება** არ არის ლინგვისტური კრიტერიუმი (ვრცლად იხ.: ტ.ფუტყარაძე; 2002, თ.გვანცელაძე, 2003). გარდა ამისა, საყოველთაოდაა ცნობილი (იხ., მაგ., ჰ.პაულის, ჰ.პირტის, ვ.ჟირმუნსკის, გ.ტ.შარბატოვის, ნ.ვიუმანოვის, ვ.ა.ჟუკოვსკის და სხვათა გამოკვლევები), რომ გაგებინების არარსებობის თუ საკუთრივ ლინგვისტურ მახასიათებლებში დიდი განსხვავების მიუხედავად, არაბთა, გერმანელთა, სპარსელთა, ჩინელთა, ესპანელთა, იტალიელთა, ფრანგთა, იაპონელთა და მრავალ სხვა ხალხთა “საშინაო მეტყველებანი” საერთოეროვნული სამწიგნობრო ენის დიალექტებად ითვლება; მეტიც, არაიშვიათად, ადამიანები ვერ ფლობენ სამწიგნობრო ენას, მაგრამ მათ დედაენად მაინც ზოგადეროვნული ენა მიიჩნევა. სანიმუშოდ მოვიყვანთ ნ.ი.კონრადის დასკვნას: “იაპონიასა და ჩინეთში არა მხოლოდ სოფელში, არამედ ქალაქშიც მოსახლეობის ნაწილი საერთოდ ვერ ფლობს საერთო სალიტერატურო ენას და ზეპირი ურთიერთობების დროს იყენებს თავის დიალექტს” (ნ.ი.კონრადი, 1960); ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იაპონელს, რომელიც ვერ ფლობს სამწიგნობრო ენას და მხოლოდ დიალექტზე მეტყველებს, დედაენა არა აქვს, ან მისი დედაენა მისივე დიალექტია: საერთო-სამწიგნობრო ენის არმცოდნე იაპონელისთვისაც დედაენაა სალიტერატურო იაპონური. სწორედ მსგავსი ფაქტების არალოგიკური განსჯის გამო ზოგს გაუჩნდა აზრი, რომ შეიძლება არსებობდეს ორი დედაენა (იხ., მაგ., ა.ონიანი, 2003, გვ.143); იქვე, ერთმანეთშია აღრეული **დედაენისა და სამწიგნობრო ენის** ცნებები.

დედამიწაზე არსებული ენობრივი ერთეულები, როგორც წესი, ენებად და დიალექტებად კვალიფიცირებული არ არის **გაგებინების კრიტერიუმის** მიხედვით; თუმცა ამ ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს წერილობითი ტრადიციის არმქონე ენობრივი ერთეულების სტატუსის განსაზღვრისას: **თუ მონათესავე საზოგადოებებს არ გააჩნიათ წინაპრებისგან შექმნილი საერთო მწიგნობრობა, ასეთ შემთხვევაში, არ არსებობს ეროვნული მეობის ჩამომქერწავი, გამა-**

ერთიანებელი კულტურულ-ენობრივი სისტემა; შესაბამისად, საერთო ეთნოკულტურული ერთობის ცოდნის არარსებობისა და მეტყველების **გაგებინების დაბალი ხარისხის პირობებში,** უმწერლობო მონათესავე კონტინენტები ამ საზოგადოებების მიერ **ენებად შეიძლება იქნენ მიჩნეულნი.**

წერილობითი ტრადიციის მქონე საზოგადოების ზეპირი (ხალხური) მეტყველების სტატუსის განსაზღვრისას **გაგებინების კრიტერიუმს** ვერ დავეყრდნობით, ვინაიდან, ლოგიკაში **გაგებინება** მეტად პირობითი ცნებაა და, რაც მთავარია, ამგვარი **ე.წ. არაპროფესიონალურ-ხალხური** მიდგომით, იძულებულნი გაგზდებით, წერილობითი ტრადიციის მქონე თითქმის ყველა ენა რამდენიმე ენად დავშალოთ: **მსოფლიოში არსებულ თითქმის ყველა ენას მოეპოვება ისეთი დიალექტი, რომლის გაგება გაუჭირდება სხვა დიალექტის მფლობელს;** არათუ კილოებს შორის, არამედ კილოკავებს შორისაც კი ხშირად არა გვაქვს გაგებინება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოს სხვა ენებისა და მათი კილოების მსგავსად, მომიჯნავე ქართველურ კილოებს შორის გაგებინების პრობლემა ნაკლებადაა; მაგ., ქვემოიმერულსა და მეგრულს შორის აბაშის რაიონში არსებული გარდამავალი ზონის მეტყველება შემაერთებელ ხიდს წარმოადგენს მეგრულსა და იმერულს შორის (შდრ., ვ.ბოედერი, 2003 და კ.გაბუნია, 2004, გვ.171). **საქართველოში სუსტადაა შესწავლილი გარდამავალი სამეტყველო ზონები;** სამწიგნობრო ენის ნორმების დაწოლით ამჟამად გარდამავალი ზონის მეტყველება უფრო და უფრო ნიველირდება, თუმცა, ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მაინც მოხერხდა გარდამავალი მეტყველების საინტერესო ნიმუშების ჩაწერა; იხ., აგრეთვე, “ქართულ დიალექტოლოგიაში” გამოქვეყნებული ტექსტები (1961, გვ.479-480).

მომიჯნავე მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის გაგებინება რთულდება მთავარიანი ლანდშაფტის პირობებში (სამეგრელო და სვანეთი, კახეთი და თუშეთი...): ბუნებრივი ბარიერები ხელს უშლის ინტენსიურ კომუნიკაციას; შდრ., თითქმის ყველა ენაში მკვეთრად განსხვავებულია არამომიჯნავე კილოებიც.

ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმების შესახებ მსჯელობის გაგრძელებამდე, განვმარტავთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულ ტერმინებს - ენა, დედაენა:

ენა. ენა არის გარკვეული სემანტიკის მქონე ბგერით ნიშანთა - ენობრივ ნიშანთა - ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, ცოდნის შენახვის და კომუნიკაციის საშუალებას; შდრ.: ცალკე აღებული დიალექტიც (როგორც მოცემული ენის ქვესისტემა/მიკროსისტემა) ბგერით ნიშანთა ბუნებრივად მოწესრიგებული სისტემაა; დიალექტიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, კომუნიკაციის საშუალებას; შესაბამისად, ენის ამ ლოგიკური დეფინიციის მიხედვით ვერ გავმიჯნავთ ენასა და კილოს.

ენის განმარტების სხვა ვარიანტებიც არ იძლევა საშუალებას, გავმიჯნოთ ენა და კილო; შდრ., მაგ:

“ენა არის ურთიერთგაგებინების საშუალებათა სისტემა: სისტემა პირობითი ბგერითი ნიშნებისა, რომელიც აზრის გამომხატვისა და ურთიერთგაგებინებისათვის გამოიყენება“ (ა.ონიანი, 2003, გვ.142-143). ბევრი ქვეყნის (იაპონიის, ჩინეთის, ესპანეთის, საქართველოს, არაბეთის...) ზოგ რაიონში ძირითადად დიალექტით ხდება კომუნიკაცია; ასევე, **ურთიერთგაგებინების საშუალებათა სისტემა შეიძლება იყოს მორზეხ ანბანი, ცხოველის ბგერითი ენა, რაიმე პირობითი ბგერითი ნიშნები და სხვ.** ა.ონიანის განმარტებაში საკამათოა ბგერითი ნიშნების პირობითობის საკითხიც; სახელდების მოტივაციისა და ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის - ამ უძველესი პრობლემატიკის - შესახებ ვრცლად სხვაგან ვმსჯელობთ; აქ კი საკითხს მოკლედ შევეხებით (იხ., აგრეთვე, ტ.ფუტკარაძე, 1996):

ენობრივი ნიშნის არსზე მეცნიერული მსჯელობა სათავეს იღებს ჩ.პერსისა და ფ.სოსიურის ნაშრომებიდან; მაგ., ფ.სოსიური, გულისხმობს რა აღმნიშვნელისა და აღსანიშნის მიმართების პირობითობას, წერს: “აღმნიშვნელი მოტივირებული არ არის; ე.ი. პირობითია აღსანიშნის მიმართ“ (ფ.სოსიური, 2002, გვ.76). რამდენად ზუსტია ამგვარი მიდგომა მაშინ, როცა თანამედროვე ლინგვისტიკაში ენობრივი ნიშნის ცნება მოიაზრებს: მორფემას, დამხმარე სიტყვას, დამოუკიდებელ სიტყვას, შესიტყვებას, წინადადებას; **ესენია პირობითი ბგერითი ნიშნე-**

ბი? აქვე მოვიყვანთ გ.რამიშვილის მიერ დასმულ კითხვას (გ.რამიშვილი, 2000, გვ.93):

თუ პირობითია ნიშნის კავშირი სიტყვასა და საგანს (წარმოდგენას) შორის, მაშინ როგორ შეიძლება ენა, როგორც პირობით ნიშანთა სისტემა, გამოდგეს საგნობრივი ვითარების შესახებ ცოდნის მოპოვების ინსტრუმენტად?

ანდა:

რას ნიშნავს ფ.სოსიურისეული **მოტივირებულობა**: ბგერითი ხატი-სა და ცნების შეპირობებულობას? ზოგადად, სახელდების გამჭვირვალობას?

სახელდება მოტივირებული შეიძლება იყოს არა მხოლოდ ხმაბაძვითა და ბგერწერით, არამედ საგნობრივი მიმართებითაც; მაგ.:

შენება: მშენებელი, ასაშენებელი, ამშენებელი, აუშენებელი, აშენებს, უშენებს, გადაშენებული და ა.შ.

ამკარაა, რომ თანამედროვე აგლუტინაციურ ენებში ამგვარი სიტყვები უმრავლესობას შეადგენს; გარდა ამისა, ფ.სოსიურივე გვაფრთხილებს, რომ უხსოვარი ენობრივი ტრადიცია ანუ “წარსულთან კავშირი ერთთავად აბრკოლებს არჩევანის თავისუფლებას. ვამბობთ “აღამიანი” და “ძალი”, რადგან ჩვენამდეც ასე ამბობდნენ“ (ფ.სოსიური, 2002, გვ.80).

ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის კრიტიკის თვალსაზრისით, საყურადღებო დასკვნა წარმოადგინა თ.გამყრელიძემ ნაშრომში: “დამატებითობის პრინციპი“ და ენობრივი ნიშნის პირობითობის პრობლემა“ (თ.გამყრელიძე, 2000, გვ. 246): აღსანიშნავია “ჰორიზონტალური“ მიმართებები გარკვეულწილად აპირობებს აღმნიშვნელთ; შესაბამისად, ამგვარი მოტივირებულობა გასათვალისწინებელია ენობრივი ნიშნის დახასიათებისას.

ვფიქრობთ:

მორფემები, ფრაზები თუ წინადადებები ვერ მიიჩნევა **პირობით ნიშნებად**; გარდა ამისა, სახელდების პროცესში საგნობრივი მიმართების არსებითი როლის გამო, თანამედროვე ენების სიტყვათა დიდი ნაწილიც მოტივირებულად უნდა მივიჩნიოთ (ძირითადად, ნაწარმოები სიტყვები; მაგ.: საკაცე, კაცური, კაცობა); შესაბამისად, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის მიმართების სხვადასხვაწახანგავანი თეორიების არსებობის

პირობებში, ენის (როგორც ნიშანთა სისტემის) განმარტებაში ენობრივი ნიშნის უცილობელი პირობითობის მოაზრება, რბილად რომ ვთქვათ, უზუსტობაა...

დედაენა. დედაენა (Muttersprache; Mother tongue, Native language)

არის წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ენა, რომელიც, როგორც სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა, მრავალ თაობას აერთიანებს (მაგრამ, თუ მაგ., რომელიმე აფრიკელი დაიბადა საფრანგეთში და ის თავის დედაენად ფრანგულს თვლის, ბუნებრივია, მის დედაენად ფრანგული მიიჩნევა); დედაენა **მთავარი ენაა** და არა მაინცდამაინც მხოლოდ ბიოლოგიური დედის ენა (შდრ.: დედამიწა, დედაბოძი... შდრ., მამაზეციერი!).

მიჩნეულია, რომ **ეროვნული ენა**, როგორც კონგლომერატი, აერთიანებს სალიტერატურო ენასა და დიალექტებს (იხ., მაგ., ბ.ჯორბენაძე, 1989, გვ.151; შდრ., ი. ბოდუენ დე კურტენე, 1963, გვ.76: “ეროვნული/ტომობრივი ენა წარმოადგენს გარკვეული რაოდენობის ინდივიდთა მეტყველებების ტოლქმედს“).

ქართულ ენობრივ სინამდვილეში კონგლომერატი სქემატური, პირობითი ენობრივი სისტემაა, რომელიც სამწიგნობრო ენის მიხედვით იგება; თეორიულად ნავარაუდევია სხვაენობრივი მოდელები ნაკლებად ემთხვევა არსებულ ენობრივ ერთეულს; ის, რაც არ არის რეალური ენობრივი სისტემა, როგორ შეიძლება იყოს დედაენა? დედაენად ვერ მივიჩნევთ სავარაუდო (თეორიულ) მოდელს. შდრ., ამგვარივე დაშვებით, ოთხი სვანური და ორი ზანური კილოების მიხედვით, თეორიულად წარმოსახავენ ე.წ. ზოგად სვანურ და ზოგად ზანურ ენებს და მათ დედაენებად (ა.ონიანი, მ.ქურდიანი...) თუ ეროვნულ ენებად მიიჩნევენ (ჯ.ჭიუიტი, ვ.ფორშტაინი...). ამავე პრინციპით ვინმე შეიძლება აღადგინოს ფხოური “ენა“ (მით უმეტეს, არსებობს ფხოური კოინე – პოეზიის ენა), მესხური ენა და ა.შ.

ფაქტია:

ქართველთა საერთო ენის - სამწიგნობრო ქართულის - ფონზე არსებობს ფხოური ხუთი, სვანური ხუთი და ზანური ორი კილო, მაგრამ ბუნებაში არ არსებობს საერთო ფხოური, საერთო სვანური და საერთო ზანური ენები. თუკი, მაგ., ზანური კილოების ამოსავალ ენობრივ სისტემაზეა ლაპარაკი, ასეთად შეიძლება აღდგეს საერთოქართველური ენა,

მისი ზანურ-სვანური დიალექტი, ან საკუთრივ ზანური დიალექტი (შდრ., კახური კილოსგან სამ საუკუნეში კახელისთვის ძნელად გასაგები ფერეიდნული კილო წარმოიქმნა). **ქართველთა თანამედროვე დიალექტებიცა და სალიტერატურო ენაც მომდინარეობენ საერთოქართველური ენობრივი კონინსგან** (იხ. ქვემოთ); ამოსავალი ვითარება ძირითადად დაცული აქვს **სამწიგნობრო ენას, შესაბამისად, ქართველთათვის ზოგადეროვნული ენა, დედაენა და სამწიგნობრო ქართული სინონიმებად უნდა დავსახოთ:**

ქართველთა სამწიგნობრო ენა თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა ისტორიულ ლაზეთშიც, სამეგრელოშიც, სვანეთშიც, მესხეთშიც, იმერეთშიც, საქართველოს მთიანეთშიც და კახეთ-ჰერეთშიც, შესაბამისად, **საერთოქართველურ ენობრივ კონინსზე** აღმოცენებული სამწიგნობრო ქართული ყველა ამ კუთხის ქართველის **დედაენაა**, ხოლო ზანური, სვანური, მესხური, ჰერული, ფხოლური, რაჭული, მესხური და ცენტრალური ჯგუფის დიალექტები ქართველთა **მშობლიური კილოებია...** შდრ.: იაპონიაში, ინდოეთსა თუ ჩინეთში, მრავალი ადამიანი ვერ ფლობს ოფიციალურ სახელმწიფო ენას, მაგრამ მათ დედაენად მაინც ითვლება სამწიგნობრო ენა (იაპონური, ჩინური, ინდური). ზოგადად, **დედაენა** შეიძლება იყოს **უმწერლობო ენაც, თუკი კონკრეტულ საზოგადოებას წერილობითი კულტურა არ შეუქმნია**. შდრ.: ქართული ენის სემანტიკური ველის მიხედვით, სხვათა ენას **უცხო ენა** ჰქვია (შდრ.: иностранный язык - სიტყვასიტყვით: “სხვა ქვეყნის ენა”).

სამეცნიერო კვლევებისას, ბუნებრივია, ჰიპოთეზის სახით უნდა დავუშვათ **ზოგადეროვნული ენის თეორიული მოდელი**. ვფიქრობთ, ეროვნული ენობრივი მოდელი არსებობს გენეტიკურ კოდშიც:

ზ.ჯაფარიძის გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მემკვიდრეობითი ბავშვის საარტიკულაციო ჩვევები (ზ.ჯაფარიძე, ი.სტრელნიკოვი, 1981); ასევე, სავარაუდოა, რომ გენეტიკურად კოდირებულია მოცემული ენის (კილოს) პერცეფციული ბაზაც... თანამედროვე ნეიროლინგვისტური კვლევები დაადასტურებს, რომ დედაენაც ისეთივე მემკვიდრეობითი ფენომენია, როგორც ადამიანის სხვა პიროვნულ-გენეტიკური მახასიათებლები (შდრ., განსხვავებული მიდგომა: ადამიანს გენეტიკურად ეძლევა

“ენის ნიჭი“ და რომელ საზოგადოებაშიც აიდგამს ის ენას, იმ საზოგადოების ენის მიხედვით რელიზდება მისი ენობრივი უნარი).

მოცემული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ოფიციალური ურთიერთობების (სახელისუფლებო სტრუქტურების, მეცნიერებისა და კულტურის) ენა **სახელმწიფო ენაა**; მოცემული ეთნოსისთვის სახელმწიფო ენა შეიძლება იყოს დედაენაც და უცხო ენაც. არაიშვიათად, სახელმწიფო ენის სინონიმად დასტურდება ტერმინი **ეროვნული ენა**; **ეროვნული ენა** ამ მნიშვნელობით შეიძლება გამოვიყენოთ, თუკი ტერმინ **ერს** მოვიაზრებთ მოცემული ქვეყნის მოქალაქეების აღსანიშნავად; როცა **ერი** ერთ ეთნოსს გულისხმობს, მაშინ **ეროვნული ენა** ერთი ნაციის, ერთი მოდემის ხალხის ენას აღნიშნავს; ასეთ შემთხვევაში **ეროვნული ენის** სინონიმად **დედაენა** უფრო გამოდგება (**დედაენასა და ეროვნულ ენას** სინონიმებად მიიჩნევს ცნობილი ენათმეცნიერი გ.რამიშვილი). წარმოდგენილ მსჯელობაშიც და სხვაგანაც ჰგენთვის ამოსავალია მიმართებანი:

ერის (ეთნოსის) მეტყველება - ენა ერის შემადგენელი ნაწილის (თემის) მეტყველება - კილო

როგორც წესი, ერთ ერს (ეთნიკური გაგებით) ერთი დედაენა აქვს (ფრანგებს, ქართველებს, სომხებს...), ერთ სახელმწიფოს - ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ენა, შესაბამისად, ერთი სახელმწიფოს მოქალაქეებს რამდენიმე ოფიციალური ენაც შეიძლება ჰქონდეთ (შვეიცარიელებს, კანადელებს...), ხოლო ერთი ენა რამდენიმე სახელმწიფოს სახელმწიფო ენა შეიძლება იყოს (ამ საკითხების გარშემო ვრცლად იხ. წიგნის მეორე ნაწილში).

ცივილიზებული საზოგადოების **კულტურის ენა** (დვთისმსახურების, მეცნიერების, მწერლობის, თვითშემოქმედების) და სახელმწიფო ენა, როგორც წესი, არის ტრადიციული დამწერლობის მქონე ენა. **კულტურის ან სახელმწიფო ენა** მოცემული ხალხისთვის შეიძლება იყოს: **საკუთარი ენა - დედაენა, სხვისი ენა - უცხო ენა** (მაგ., უკვე რამდენიმე ათეული წელია, აფხაზების კულტურის ენაა თავსმოხვეული რუსული ენა). ბუნებაში ორი დედაენა არ არსებობს, ამდენად, ე.წ. **დიგლოსიის პირობებში გვაქვს: დედაენა და მშობლიური დიალექტი**; ორენოვნო-

ბის (ბილინგვიზმის) დროს კი არსებულ ორ ენათაგან ერთი დედაენაა, მეორე - უცხო ენა... ზოგი მკვლევარი ისწრაფვის, მის მიერ ორენოვნად გამოცხადებული ქართველთა ნაწილის (მეგრელებისა და სვანების) ერთი ენა ჩათვალოს დედაენად, მეორე ენა კი - ეროვნულ ენად (იხ., მაგ., მ.ქურდიანი 1999: "სვანეთსა და სამეგრელოში ისტორიულად დამკვიდრებულია ორენოვნება: სვანურ-ქართული და მეგრულ-ქართული..."; აქვე, ეს მიმართებანი **ბილინგვურ დიგლოსიად** ცხადდება). ჩვენი აზრით, იგივე მკვლევარი წინააღმდეგობაში ვარდება მაშინაც, როდესაც საქართველოში მცხოვრებ ზანთა (ქართველთა!) მეტყველებას (მისი ტერმინოლოგიით - "ლინგვისტურად უეჭველ ენას") განიხილავს ქართულის სოციოლინგვისტურ დიალექტად, ხოლო თურქეთში მცხოვრებ ზანთა მეტყველებას - თურქული ენის სოციოლინგვისტურ დიალექტად (იხ. მ.ქურდიანი, 1996, გვ.42). შდრ., ამგვარი მიდგომით, სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე დედაენის მიმართ ერთნაირი რანგით განიხილება: უცხო ენა, უცხო ენის ერთ-ერთი კილო და დედაენის ორგანული კილოები; მაგ., თურქეთში თურქულის მიმართ: ქართული, აფხაზური, უბიხური და ჩერქეზული ენები, ლაზური კილო და თურქული ენის კილოები. მოყვანილი აღწერებიც ცხადყოფს, რომ **გაუმართლებელია ენობრივი ერთეულებისადმი ენისა თუ კილოს სტატუსის მინიჭება განსხვავებული** (ე.წ. საკუთრივ ლინგვისტური, ე.წ. საკუთრივ სოციოლინგვისტური, ეთნოპოლიტიკური, რელიგიური, ნორმირებულობის და სხვა) **კრიტერიუმებით**; ენობრივი ერთეულების სტატუსის განსაზღვრისას საკვალიფიკაციო ნიშნად ერთი სახის კრიტერიუმი უნდა ავიღოთ; როგორც წესი, დღეს არსებული ძირითადი ენების სტატუსი განსაზღვრულია ეთნოპოლიტიკური თვალსაზრისით (შდრ., კ.გაბუნია, 2004); აქვე აღვნიშნავთ: სხვადასხვა ოჯახის ენები ერთმანეთის კილოებად სოციოლინგვისტური ასპექტითაც კი არ უნდა განვიხილოთ; უმჯობესია სხვაგვარი მიდგომა, მაგ., ლაზური მეტყველება თურქეთის რესპუბლიკაში თურქულის სოციოლინგვისტური დიალექტი კი არაა, **საოჯახო ენის** ფუნქციის მქონე ქართველური კილოა (შდრ.: საოჯახო ენის ფუნქციით შეიძლება იყოს: სამწიგნობრო ენა, დედაენა, სხვათა ენა, მშობლიური კილო...).

საბჭოთა პერიოდში იყო მცდელობა, აგრეთვე, **დედაენის** ნაცვლად

დამკვიდრებულიყო ტერმინები: **მშობლიური ენა** და **მეორე მშობლიური ენა**... "მშობლიური ენა" რუსულის კალკია და საქართველოში მის დამკვიდრებას მიზანმიმართულად ცდილობდნენ წლების განმავლობაში; ამ კალკის, აგრეთვე, ტერმინების: "პირველი ენა" (first language), "ბაზისური ენა" მიუღებლობის შესახებ მსჯელობა იხ. გ.რამიშვილი, 2000, გვ.70-71, სადაც მიმოხილულია გერმანიაში გამართული დისკუსიაც ტერმინ **Muttersprache**-ს (დედაენის) შესახებ.

ჩვენს შემდგომ მსჯელობებში გამოყენებული იქნება ნათლად განსაზღვრული შემდეგი ტერმინები: **სახელმწიფო ენა, საეკლესიო ენა, დედაენა** (ეთნოსის, ანუ ეთნიკური გაგებით, ერის ენა), **უცხო ენა, დიალექტი (კილო)**.

წარმოდგენილი ზოგადი მიმოხილვის ფონზე საინტერესოა ენისა და კილოს გამიჯვნის ის სხვა კრიტერიუმებიც, რომლებიც არსებობს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენს ხელთ არსებულ განმარტებებს გარკვეული პირობითობით ვაჯგუფებთ დებულებათა მსგავსების მიხედვით (აქვე, მაღლობას მოვასხენებთ მარბურგის უნივერსიტეტის გერმანული ენის კვლევის ინსტიტუტის დირექტორს, პროფ., დოქტ. გურგენ ერის შმიდტსა და მის ასისტენტს, დოქტ. სტეფან რაბანუსს, რომელთაც ჩემთვის ხელმისაწვდომი გახადეს არა მხოლოდ თავიანთი შეხედულებები, არამედ ზოგ სხვა მკვლევართა მოსაზრებანიც); ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმები დადგენილია მონათესავე ენობრივი ერთეულებისთვის:

გ.ე.შმიდტი, უ.ამონი, ა.ბახი, თ.ლევანდოვსკი, პ.ვიზინგერი, ბ.სოვინსკი, ა.ლინკე და სხვ.:

ენა - განფენის ხარისხის მრავალფეროვნება (პრესტიჟულობა) - გამოყენების მაღალი ხარისხი, კოდიფიცირებული დამწერლობა, სტანდარტულობა, სამწერლობო სტატუსი, გარკვეულწილად ხელოვნურობა.

დიალექტი - გამოყენების დაბალი ხარისხი, არასტანდარტულობა, ზეპირი კომუნიკაციის საშუალება, ბუნებრიობა...

პ.ფინკე, ბ.ჯორბენაძე, გ.ნებერიძე (დიალექტების მფლობელთა შორის გაგებინება უნდა იყოს)...

ვ.ჟიმენსკი, ე.კოსეროიუ, ი.ქლოუპეკი, ჯ.ჰერგენი და მრავალი სხვა (დიალექტებს შორის გაგებინება არაარსებითია):

ენა - ძირითადი სისტემაა, **დიალექტი** კი არის სისტემის (ეროვნული ენის) ნაირსახეობა, ვარიანტი.

მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის თუკი არის ბგერათშესატყვისობა, მაშასადამე, ისინი ენებად უნდა კვალიფიცირდეს (მ.ქურდიანი)...

გ.ბელმანის, ვ.კონიგის და სხვათა აზრით, დიალექტსა და ენას შორის ზღვარი ძნელი გასავლება; დიალექტიდან ენაში გადასვლა თავისუფლად ხდება...

პ.პარმანი, პ.აუერი და სხვ. თვლიან, რომ ენობრივი ერთეულის სტატუსი მისმა მფლობელმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს.

პრესტიჟულობა-სტანდარტულობის მიხედვით შეიძლება სამწიგნობრო ენისა და დიალექტის დახასიათება, მაგრამ, ჩვენი აზრით, შეუძლებელია უმწიგნობრო ენისა და დიალექტის გამიჯვნა.

ენობრივი სისტემის ვარიანტულობის მიხედვით მსჯელობაც მეტად პირობითია, ვინაიდან, მაგალითად, ფონემატური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით რუსული, ბელორუსული, უკრაინული, პოლონური ენები ერთმანეთთან მიმართებით უფრო ახლომდგომი ვარიანტები არიან, ვიდრე, მაგალითად, გერმანული ენის დიალექტები; აქვე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ **ხელოვნური და პრობლემის კვლევისათვის თითქმის არაფრის მომცემია ენობრივი ერთეულების ენებად თუ დიალექტებად კვალიფიცირება, ერთი მხრივ, სოციოლინგვისტური, მეორე მხრივ კი, “საკუთრივ” ლინგვისტური კრიტერიუმების მიხედვით.**

შენიშვნა: რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართველურ სინამდვილეში პირველი ამგვარი მცდელობა ჰქონდა ნიკო მარს ი.ვოსტორგოვის ანტიქართველური პოზიციის მხილებისას; იხ. ნ.მარი, 1905, გვ.7-10 და არნ. ჩიქობავა, 1952, გვ.358, სადაც წარმოდგენილია ნ.მარის კრიტიკა: “ლინგვისტურად ერთი” ენის ორ დიალექტს “კულტურული დამორების” გამო ნ.მარი ორ ენად - ლაზურ და მეგრულ ენებად მიიჩნევდა).

თუ მკვლევრის მიზანია მოცემული ენობრივი ერთეულის სტატუსის კვლევა საკუთრივ ლინგვისტური თუ სოციოლინგვისტური ასპექტებით, შესაბამისად, მან ჯერ უნდა შეისწავლოს უკვე არსებული (საყოველთაოდ მიღებული) ენებისა და დიალექტების სახელდების პრინციპები და შემდეგ, მიღებული დასკვნებიდან გამომდინარე, უნდა განავითაროს

მსჯელობა საკამათო სტატუსის მქონე ენობრივი ერთეულის შესახებ; ლინგვისტიკის თუ სოციოლინგვისტიკის ფარდობითი ცნებებით არ უნდა ხდებოდეს საუკუნეების მანძილზე უკვე არსებული ტრადიციული კვალიფიკაციების თვითმიზნური გადასინჯვა, მაგ., რუსული რამდენიმე საუკუნეა დამოუკიდებელ ენადაა მიჩნეული და რისი მომტანია თანამედროვე რუსულის ჩათვლა ერთ-ერთ სლავურ კილოდ? ანდა, მეგრული (ოდიშური) მეტყველება მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველთა ერთ-ერთ დიალექტად ითვლებოდა (ქართველთა სხვა კილოების მსგავსად) და რას მოემსახურა, ან მოემსახურება XX საუკუნეში მისი სტატუსის შეცვლაზე მსჯელობა? მით უმეტეს, სვანთა, მეგრულთა და ლაზთა ზეპირი მეტყველებებისათვის ახალი დამწერლობების შექმნა? პასუხი ერთია: ამგვარი “აქციებით” დასახელებულ ქართველთა გაუუცხოვრებლად და, **ფაქტობრივად, დაეკარგებათ ქართულ-ქართველური მწიგნობრობის სახით არსებული საკუთარი დიდი კულტურული წარსული**, თუნდაც ის თექვსმეტსაუკუნოვანი წარსული, რომელიც იოანე ლაზისა (იხ.ა.ჯაფარიძე, 2002) და პეტრე იბერის მოღვაწეობით იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს. წარსულდავიწყებულ ხალხს კი თავისი ინტერესებისათვის იოლად იყენებს ხოლმე ესა თუ ის იმპერია.

საგანგებოდ აღვნიშნავთ: ენისა და დიალექტის გამიჯვნის პრობლემა ვერ გადაიჭრება მხოლოდ საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმებით; მეტიც, კულტურული ტრადიციის მქონე **მსოფლიოს არც ერთი ენა საკუთრივ ლინგვისტური ნიშნებით (ბგერათშესატყვისობა, მორფოლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური კატეგორიები, ლექსიკა) არ არის სახელდებული ენად**; გარდა ამისა, ჯერ არავის დაუდგენია ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა ის ზღვარი, რის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივში, შესაბამისად, **სისტემის ვარიანტი იქცევა დამოუკიდებელ სისტემად**. ჩვენი ეს მოსაზრება ადრე გამოქვეყნდა სტატიის სახით (ტ.ფუტყარაძე, 2003); ამ დებულების საპასუხოდ და მასზე დაყრდნობით კ.გაბუნიამ თავის მსჯელობაში გამოიყენა ე.წ. “სისტემურობის კრიტერიუმი” (კ.გაბუნიანი, 2004); მისი აზრით, “მეგრულ-ლაზურისა და ქართულის ბრუნებები სხვადასხვა სისტემებია, ვინაიდან რაოდენობრივი ცვალება გადასულია თვისობრივში; შესაბამისად, ისინი სხვადასხვა ენებია”.

საპოლემიკო წერილში კ.გაბუნია ვერ პასუხობს მთავარ კითხვას: რო-
მელი კრიტერიუმით თუ სამანით განისაზღვრება რაოდენობრივი ცვა-
ლებების გადასვლა თვისობრივში? ის სხვაობა, რომელიც გვაქვს, მაგ., მე-
გრულსა და სამწიგნობრო ქართულს შორის, საკმარისია ენებად მისაჩ-
ნევად? შდრ., სალიტერატურო არაბულსა და ბუხარულს შორის უფრო
მეტი სხვაობაა, მაგრამ მაინც ბუხარული არაბულის დიალექტადაა მი-
ჩნეული მაშინ, როცა მეტად ახლო მდგომი რუსული და ბელორუსული
ალიარებული ენებია...

გარდა ამისა: სამწიგნობრო ქართულისგან მეტ-ნაკლებად განსხვა-
ვებულია ქართველური ქვესისტემებიც (იმერულიც, ხევსურულიც, მე-
გრულიც, ლაზურიც, ბალსზემოურიც...) და სხვა ენებიც: აფხაზურიც,
რუსულიც, ჩინურიც... რომელი მყარი კრიტერიუმით ვავლებთ ზღვარს
ქვემოიმერულსა და მეგრულს შორის? მეგრული ფონემატური სტრუქ-
ტურა იმერულის ანალოგიურია; სახელური პარადიგმაც ძირითადად
იმეორებს არა მხოლოდ ადრინდელი სამწიგნობრო ენის ბრუნვათა
სისტემას, არამედ ქართული ენის ხევსურული დიალექტისაც კი; ასევე,
თვისობრივად ერთგვარია მეგრულისა და იმერულის მწკრივთა სისტემა
და სხვ. გარკვეული სხვაობებიც არსებობს, მაგრამ საკმარისია ისინი მე-
გრულისა და იმერულის თვისობრივი სხვაობის სამტკიცებლად?

შდრ.: ჩვენი აზრით, **სისტემური სხვაობაა**, მაგ., ქართულსა და მის
მონათესავე აფხაზურს შორის, ქართულსა და არაბულს შორის, და არა
სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულს, ან თუშურს შორის.

**არსებობს თუ არა ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა
(სისტემურ სხვაობათა!) ის ზღვარი, რომლის შემდეგაც მონათესავე
ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავება-
ნი გადადის თვისობრივში?**

ასეთი ზღვრის დადგენა შეუძლებელია:

დაკვირვება ცხადყოფს, რომ **სხვადასხვა ენად სახელდებულ სისტ-
ემებს შორის არსებულ ლინგვისტურ სხვაობათა პროცენტული მაჩ-
ვენებელი შეუზღუდავად მერყეობს.**

“წესი“ თუ “კანონი“ ერთ სასურველ კერძო შემთხვევას არ უნდა მო-
ვარგოთ; თუკი ჩვენი მიზანი ენობრივი სიტუაციის რეალური აღწერაა,
უნდა გავითვალისწინოთ მოცემული ენობრივი კოლექტივის ტრადიცი-
აც, მონათესავე ენობრივ ერთეულებთან საკუთრივ ლინგვისტური მი-

მართებაც და სოციოლინგვისტური სტატუსიც; მით უმეტეს, თუ ჩვენი
კვლევის მიზანია არა ენობრივ ერთეულთა ისტორიულად ჩამოყალიბე-
ბული სტატუსების გადასინჯვა, არამედ სადავო სტატუსის მქონე ენა-კი-
ლოთა არგუმენტირებული კვალიფიკაცია.

ენისა და კილოს გამიჯვნისთვის ლინგვისტურ ნიშანთაგან ყველაზე
სანდო კრიტერიუმად ზოგს ენობრივ ერთეულებს შორის არსებული
ბგერათშესატყვისობა მიაჩნია. **ბგერათშესატყვისობის** არსებობა-
არარსებობის მიხედვით, მსოფლიოში არსებული არც ერთი ენა თუ დია-
ლექტი არ არის კვალიფიცირებული; გარდა ამისა, მრავალ მონათესავე
ენას შორის ბგერათშესატყვისობა არ გვაქვს და პირიქით: კანონზომიერ-
ი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები გვაქვს დიალექტებად მი-
ჩნეულ ენობრივ ერთეულებს შორის (გერმანულში, ჩინურში, იაპონურ-
ში...), მეტიც, მაგ., ჩრდილოკავკასიურ ენებში ბგერათშესატყვისობები
დადასტურებულია თქმებშიც კი...

ენისა და დიალექტის სტატუსის **განსაზღვრა თავად მოცემული ენ-
ობრივი კოლექტივის მიერ** ადეკვატურ შედეგებს მოგვცემს ახალშექ-
მნილი მწიგნობრობის მქონე ან წერილობითი კულტურის არმქონე ენ-
ობრივი ერთეულის შემთხვევაში: წერილობითი კულტურის არმქონე
ხალხის თვითაღქმა ხდება გაგებინების მიხედვით განსაზღვრული უმ-
წერლობო ენის ფარგლებში (შდრ., ჩრდილოკავკასიური ენები). ამ მე-
თოდს გადაულახავი პრობლემები შეექმნება ხანგრძლივი წერილობითი
კულტურის მქონე საზოგადოების გამოკითხვისას, რადგანაც, საზოგა-
დოების განათლებული ფენისთვის თუ გასაგები და მშობლიური იქნება
არქაული ენა და კულტურა, საზოგადოების გაუნათლებელი ფენისთვის
ის უცხო აღმოჩნდება; მაგ., სალიტერატურო იაპონურის ან სინჰალუ-
რის არმცოდნე გლეხისთვის თუ თავისი მშობლიური დიალექტი აღიქმე-
ბა დედაენად, იგი მისდაუნებურად ემიჯნება საკუთარ უძველეს კულტუ-
რას; შდრ., აგრეთვე: ისტორიულად აფხაზებიც ქმნიდნენ ზოგად ქარ-
თულ-აფხაზურ სამწიგნობრო კულტურას; მეოცე საუკუნემდე აფხაზთა
განათლებულმა ნაწილმა კარგად იცოდა, რომ, სხვა ქართველთა დარად,
დიდი ქართველური კულტურის მემკვიდრე იყო. რუსეთის იმპერიის მეს-
ვეურთა მეცადინეობით XX საუკუნეში აქტიურად განვითარდა აფხაზ-
თა ჯერ კულტურულ-ენობრივი სეპარატიზმი, შემდეგ კი საბჭოთა იმპე-
რიის მიერ აფხაზთა განათლებული ნაწილის - არისტოკრატიისა და

ინტელიგენციის - გაყლეთით, ამ კუთხის მოსახლეობამ დაკარგა ბუნებრივი კავშირი ზოგადქართულ კულტურულ წარსულთან. დღეს აფხაზთა ნაწილი უარს ამბობს ქართველებთან საერთო სახელმწიფოზეც კი...

ასე რომ, განათლების სიმწირის (ეროვნული კულტურისა და სამწიგნობრო ენის ვერფლობის) პირობებში, ადამიანთა ჯგუფმა დედაენად შეიძლება ჩათვალოს მშობლიური კილო.

ჩვენი აზრით, ენისა და დიალექტის გამიჯვნა არც ამ ე.წ. **პლებისციტური** მეთოდითაა შესაძლებელი და სერიოზულად არც არავინ ცდილობს ამ კრიტერიუმის გამოყენებას; შდრ., როგორც წესი, **ენობრივი თვითმიკუთვნება** შედეგია ეროვნულ-ეთნიკური თვითმიკუთვნებისა.

შენიშვნა: ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს მკვიდრდება უცხოური ტერმინი **იდენტობა (identity)**, არადა, მასზე ბევრად მოხერხებულია ტრადიციული **თვითობაც** და მ.ტაბიძისეული **თვითაღქმაც**; აგრეთვე, რიგ შემთხვევებში, **identity**-ს წარმატებით შეცვლის ჩვენეული **თვითმიკუთვნებაც**.

ენისა და კილოს გასამიჯნ კრიტერიუმებზე მსჯელობის დასასრულს, კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ თუ რომელიმე სპეციალისტი კრიტერიუმად აიღებს ბგერათშესატყვისობას, მისთვის მონათესავე ენობრივ ერთეულთა ენა-კილოებად კვალიფიკაცია, ბუნებრივია, სხვაგვარად მოხდება (მაგ., გერმანული ენის ბავარიული და მეკლენბურგული კილოები სხვადასხვა ენებად ჩაითვლება); თუ გაგებინებას აიღებს კრიტერიუმად, ბევრი ენობრივი ერთეულის სტატუსი გახდება გადასასინჯი (მაგ., არაბული კილოები: ალჟირული და ბუხარული, ქართველური კილოები: ინგილოური და გურული სხვადასხვა ენებად მისაჩნვეი გახდება) და ა.შ. ბუნებრივია, **ყველა მკვლევარს აქვს უფლება, აირჩიოს რომელიმე კრიტერიუმი**, იმსჯელოს, მის მიხედვით გადააჯგუფოს ენები თუ კილოები (იხ., მაგ., გაგებინების მიხედვით, თ.გამყრელიძე სლავური ენების მხოლოდ სამ ზონას გამოყოფს; თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე.. 2003, გვ.616) და სამსჯელოდ გამოიტანოს...

ჩვენი მიზანი თავიდანვე ნათლად იყო განსაზღვრული:

სასურველია, დადგინდეს ის ზოგადი ლოგიკური სქემა, რომლის მიხედვითაცაა ენებად კვალიფიცირებული უკვე არსებული ერთეულები და ამის შემდეგ მოხდეს სადავო სტატუსის მქონე კონტინუუმის - ენობრივი ერთეულის - სახელდება ენად თუ კილოდ.

ვიჭირობთ, ნათელია, რომ **არსებული ენების სტატუსი, როგორც წესი, განსაზღვრულია ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-რელიგიური ნიშნის მიხედვით.**

ენისა და დიალექტის გამიჯვნა რთულია უმწერლობო სამეტყველო ერთეულის შემთხვევაში. დამწერლობის მქონე კონტინუუმი, როგორც წესი, ენადაა კვალიფიცირებული (შდრ., ერთი მხრივ, თანამედროვე მოლდავეური ენა, მეორე მხრივ კი - იტალიური კილოები); შესაბამისად, პირველ რიგში, ერთმანეთთან მიმართებით ნათლად უნდა განვსაზღვროთ **უმწერლობო ენა და დიალექტი.**

დიალექტი უნდა განიმარტოს, როგორც მოცემული ერის/ნაციის საერთო-სახალხო (ოფიციალური) ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს.

სხვა სიტყვებით:

კონკრეტული სამეტყველო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის დიალექტად ჩაითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას **ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში.**

შესაბამისად, **უმწერლობო ენად** უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ეთნიკური ერთობის მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. **უმწერლობო ენა** ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს.

მსოფლიოს ხალხებისა და ენა-კილოების მიმართებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენობრივი ვარიანტების იერარქია თავისთავად რეგულირდება სამწიგნობრო ენის ისტორიასთან მიმართებით; კერძოდ, აქტუალურია სქემა:

ერი — მისი სამწიგნობრო ენა — ამ ერის ცალკეულ თემთა საშინაო მეტყველებანი.

1.1.3. ქართველთა თანამედროვე ენობრივი ერთეულების დაჯგუფების საკითხი

მსოფლიოში ცნობილი ბევრი მეცნიერის მიერ ქართველური ენა-კილოები თანამედროვე ჩრდილოკავკასიური და წინა აზიის თუ ევროპის ძველი ენების (შუმერული, ხათური, ურარტული... აგრეთვე, ეტრუსკული, პელაზგური, ბასკური...) მონათესავედ განიხილება. ჩვენი აზრით, იბერიულ-კავკასიური საერთო კონტინენტის არსებობის პერიოდი ქრონოლოგიურად შეიძლება დაუკავშირდეს მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურის არსებობის პერიოდს, ხოლო იბერიულ-კავკასიურისგან მომდინარე საერთოქართველური ენის არსებობის დრო და გავრცელების არეალი — დიდ კოლხურ კულტურას (დაწვრილებით იხ. ქვემოთ). **საერთოქართველურ ენას უშუალოდ აგრძელებს ქართველთა სამწიგნობრო ენა**, რომლის დოკუმენტური ნიმუშები უწყვეტად არსებობს ბოლო 16 საუკუნის განმავლობაში; მისი ფონემატური, მორფოლოგიური-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურები საერთოქართველური თეორიული მოდელის სტრუქტურული ადეკვატია. განსხვავებით ბევრი სხვა სამწიგნობრო ენისგან, ქართული სამწიგნობრო ენა არ მომდინარეობს არც ერთი ცნობილი დიალექტისგან. სამწიგნობრო ენას ყველა ზეპირი ქართველური მეტყველება თვისობრივად ერთგვარად მიემართება, რამდენადაც ყველა ერთეული საერთოქართველურიდან მომდინარეობს და ყველა მეტ-ნაკლებად შეცვლილია; ამოსავალი ვითარება მეტადაა დაცული სამწიგნობრო ენაში, ვიდრე კილოებში; დიალექტებში ცვლილებები მატულობს სამწიგნობრო ენის ველის შესუსტების პირდაპირპროპორციულად.

შენიშვნა: შდრ., ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.20, 49: “თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა **ქართლურია**; “სტრაბონისა და პლინიუსის დროს საქართველოს “ბარად სხვების გარდა სამი უმთავრესი ტომი უნდა ყოფილიყო: **კახნი, ქართლენი**, რომელთა ენაც შემდეგ ყველა ქართველი მოდგმის ტომების საზოგადო და სამწერლობო ენად გადაიქცა, და **იბერნი**, ანუ იმერნი/იმერლენი, რომელნიც მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდნენ“.

საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული სამწიგნობრო ენის შექმნაში თავიდანვე ყველა ქართველური მოდგმა იღებდა მონაწილეობას (მაგ., პირველი ქართული წარწერები იოანე ლაზისა და პეტრე იბ-

ერის სახელთან დაკავშირებულ პალესტინის მონასტერში დასტურდება); სამწიგნობრო-კულტურული მძლავრი კერები იყო ეგრისში, ლაზეთში, სვანეთში, ტაო-კლარჯეთში, მესხეთში, აფხაზეთში, ქართლ-კახეთსა და სხვ., შესაბამისად, ამ ქართულ კუთხეთა მოსახლეობას აქვს ისტორიულად ფორმირებული ერთიანი სამწიგნობრო ენა და თავ-თავისი კილოები. აქვე, დასამოწმებელია, აგრეთვე, არნ.ჩიქობავას დასკვნა: ქართული სამწიგნობრო ენა შეიქმნა ზანური და სვანური დიალექტების მონაწილეობით (არნ. ჩიქობავა, 1948; სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მეგრულ-ჭანური ლექსიკისათვის იხ. კ.დანელია, 1984; თ.ბოლქვაძე, 2003...); შდრ., აგრეთვე, ნ.მარის მოსაზრება:

“ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-განვითარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზ-ჭანები, და სხვანი... საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრულ, იმერხულ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის...” (ნ.მარი, 1905, გვ.9-10).

საერთოქართველურიდან ზანურ-სვანური წრის (ე. წ. შიშინა ტიპის) დიალექტების ჩამოყალიბების დასაწყისად ვვარაუდობთ ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასასრულს (დაწვრილებით იხ. ქვემოთ); აქვე აღსანიშნავია, რომ თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის ადრინდელი მოსაზრებით, ამავე პერიოდში ემიჯნება ერთმანეთს ქართული და ზანური (თ.გამყრელიძე და გ.მაჭავარიანი, 1965, გვ.14).

საუკუნეების მანძილზე ქართველობა არა მხოლოდ ქმნიდა სამწიგნობრო ენას, არამედ მასში, როგორც **დედაენაში, იწრობოდა** კიდევ; შესაბამისად, ქართველთა კულტურულ-ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ცნობიერებას საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავს ერთიანი და ტრადიციული წერილობითი კულტურა (როგორც, მაგალითად, ბერძენთა, ჩინელთა, არაბთა და სხვა ძველ ხალხთა ცნობიერებას - თავიანთი ტრადიციული წერილობითი კულტურა)...

დღეს არსებული ქართველთა ზეპირი თუ საშინაო მეტყველებანი სამწიგნობრო ენის (საერთოქართველური მოდელის) მეორეული ვარიანტები არიან როგორც ფონემატური და მორფოლოგიურ-სინტაქსური,

ასევე, ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით; მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილ ქართველურ დიალექტებს საერთო აქვთ ძირითადი ხმოვნები და მათი რეფლექსები (მხოლოდ ზოგ განაპირა კილოში, კერძოდ, სამ სვანურ, ერთ ზანურ, რამდენიმე მესხურ და ფხოვურ, აგრეთვე, ჰერულ კილოებში დასტურდება სხვა ენათა გავლენით წარმოქმნილი პალატალიზებული ხმოვნები), თითქმის იდენტურია თანხმოვანთა და სონანტთა რაოდენობა და ხასიათი; სვანური დიალექტების გამოკლებით, ერთგვაროვანია V-XXI საუკუნეების სამწიგნობრო ქართულისა და ყველა სხვა დიალექტის სახელისა და ზმნის პარადიგმები (მდრ., თ.უთურ-გაიძე, 1966, გვ.12; კ.გაბუნია, 2004, გვ.170); გარკვეული სუბპერსტრატული გავლენების მიუხედავად, სვანურ კილოთა პარადიგმებიც ძირითადად ქართველურ მოდელებს მიჰყვება (იხ. მაგ., ე.თოფურია, 1967; გ.მაჭავარიანი, 2002, გვ.78-79)...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველური (ზოგადქართული) სამწიგნობრო ენა ყველა ქართველის ისტორიული დედაენაა და, რამდენადაც, ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს ორი დედაენა, ქართველთა სხვა საშინაო მეტყველებანი ჩვენთვის დიალექტებად კვალიფიცირდება.

შენიშვნა: მდრ., ქართველური მუსიკალური დიალექტების შესახებ ნ.მაისურაძე (2002, გვ.242) ასკვნის: სვანური და მეგრული მუსიკალური ერთეულები “ქართულ მუსიკალურ ფუძე-ენას მხოლოდ მუსიკალური დიალექტების დონეზე გამოეყოფიან”.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში საბჭოთა იმპერიის გაბატონებამდე მეგრულ-ზანურ და სვანურ ენობრივ ერთეულებს კილოებად თვლიდნენ ქართველთა წინა თაობებიც და მეცნიერებიც; მაგ., მეგრულს კილოდ, ენა-კავად, დამახინჯებულ ანუ არასტანდარტულ ქართულად (მდრ.: “მრუდი ქართული”, “წამხდარი ქართული”) ე.ი. სამწიგნობრო ქართულის დიალექტად მოიხსენიებდნენ: საბა, ვახუშტი, ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე ჭარაია, კონსტანტინე გამსახურდია, ბესარიონ ნიჟარაძე, გიორგი წერეთელი, ოთარ გიგინეიშვილი, ზვიად გამსახურდია და სხვ; მდრ., კ. დანელია, 1984, გვ. 68); იხ., მაგ.:

კონსტანტინე გამსახურდია, 1983, გვ. 411: “ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელი ენას უწუნებდა მას”.

ბესარიონ ნიჟარაძე, 1904 (გაზეთი “ივერია”): “სვანური ნამდვილად ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილია, მაგრამ ზოგიერთები ვერ შეპრიგებიათ ამ აზრს და გაიძახიან, სვანები სულ სხვა ხალხიაო! ნეტავ ვიცოდე, ვისთვის ან რისთვისაა საჭირო ის დაყინება და სვანების გასხვისტომება”.

საბჭოთა იმპერიის პირობებში მოღვაწე მეცნიერთაგან იშვიათად გამოჩაგის წარმოდგენდა აკად. გიორგი წერეთელი, რომელიც მეგრულ-ლაზურ-სვანურისთვის უფრო შესაფერისად მიიხნევდა ტერმინ **ქართველურ დიალექტებს (ნაცვლად ქართველური ენებისა)**; ცნობილი მეცნიერი ოთარ გიგინეიშვილიც ანალოგიურ პოზიციას ემხრობოდა, კერძოდ, **ლაზური პარამითევეს** (1982, გვ. 3) წინასიტყვაობაში ის წერს: **“ლაზური ზღაპრები დაწერილია ქართული ენის ლაზურ-მეგრულ დიალექტზე**. ეს დიალექტი შექმნეს საქართველოში მცხოვრებმა ქართველებმა, რომლებიც ანტიკურ სამყაროში კოლხების სახელითაც იყვნენ ცნობილი; ამიტომ ლაზურ-მეგრულ დიალექტს კოლხურ დიალექტსაც უწოდებენ“ (წიგნი შეადგინა ნათელა ქუთელიამ, ლექსიკონი დაურთეს ნათელა ქუთელიამ და სერგი ჯიქიამ; წიგნის რედაქტორია **ზურაბ თანდილავა**; ნ.ქუთელიას ცნობით, ამ წინასიტყვაობის ავტორია ო.გიგინეიშვილი).

შენიშვნა: საბჭოთა პერიოდის ენათმეცნიერებაში აქტიურად დამკვიდრდა ტერმინი **ქართველური ენები**; ადრე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში მას ჩვენც ვიყენებდით. **ქართველური ენობრივი ერთეულების** სტატუსისა და ზანურ-სვანური დიალექტური ტექსტების სამწიგნობრო ენაზე **თარგმანების** (და არა - თარგმნის!) პრინციპების პრობლემა **სამსჯელოდ** წარმოვადგინეთ 1994 წელს “ქუთაისურ საუბრებზე” (ქუთაისში გამართულ სამეცნიერო სემინარზე); 1997 წლის 4-11 აპრილის “ლიტერატურულ საქართველოში” დაბეჭდილ წერილში: “ეთნოსის, ეთნონიმისა და სხვა ტერმინთა შესახებ” ქართველური ენობრივი ერთეულების სტატუსი გერმანული ენის კილოებთან შეპირისპირებით განვიხილეთ; კერძოდ, ვწერდით: “ქართულ სინამდვილეში ბავარიელებისა და საქსონელების ენობრივი მიმართების ხარისხით შეიძლება განვიხილოთ ზანები და სვანები, ხოლო ბავარიელებისა და პრუსიელების ხარისხით - ქართველები, წოვათუშები, უდები, ქისტები და სხვა”. 1999 წელს მე-6 “ქუთაისურ საუბრებზე” ტერმინ “ქართველური ენების” პარალელურად ჩვენ უკვე ვიყენებთ ტერმინებს: “ქართველური ენა” და “ქართველური საშინაო სამეტყველო კოდები” (ტ.ფუტყარაძე, 1999). სამწიგნობრო ქართულისა

(ქართველური სამწიგნობრო ენისა) და ქართველური კილოების (და არა ქართველური ენების) ისტორიული მიმართების ამსახველი ახალი სქემა პირველად დაიბეჭდა “ქუთაისური საუბრები - VII“ მასალაში (იხ. ტ.ფუტკარაძე, 2000). ენისა და კილოს ცნებების გაანალიზების ფონზე ქართველთა დიალექტების ახლებური კლასიფიკაცია გამოქვეყნდა 2001 წელს (ტ.ფუტკარაძე, 2001). ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა ერთმა ნაწილმა გაიზიარა ჩვენ მიერ წარმოდგენილი სქემა, მეორე ნაწილი კი პოლემიკაში ჩაერთო. აქ დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ ნიშანდობლივ მოსაზრებას: “ქართულ ენას ენათმეცნიერები ქართველურ ანუ იბერიულ ენათა ოჯახს მიაკუთვნებენ. ამ ოჯახში შედიან ქართული, მეგრული, სვანური, ლაზური ენები, უფრო ზუსტად, დიალექტები“ (თბერაძე, მ.სანაძე, 2003, გვ. 29). საკითხის ისტორიის უფრო სრული მიმოხილვისათვის იხ. თ.გვანცელაძის ნაშრომი, რომელიც წიგნის დანართშია წარმოდგენილი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი (რ.შეროზია, ა.ლომთაძე, მ.ტაბიძე, თ.გვანცელაძე, ე.დადიანი, ტ.ფუტკარაძე...) მივიჩნევთ, რომ ქართველთა ერთადერთი სამწიგნობრო ენის ქმნადობის ისტორიის გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო ენას უნდა ეწოდოს **ქართველური (სამწიგნობრო) ენა**, შესაბამისად, ქართველთა სხვა ენობრივ ერთეულებს - **ქართველური დიალექტები**.

ჩვენი აზრით, სამწიგნობრო ქართულის გავლენის ველის შესაბამისად, ქართველთა თანამედროვე საშინაო-სამეტყველო ერთეულები უნდა დაიყოს ცენტრალურ, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებულ დიალექტებად; თავის მხრივ, განაპირა დიალექტებს ექვს ქვეჯგუფად წარმოვადგინოთ, კერძოდ:

ცენტრალური კილოები:

კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული.

განაპირა კილოები:

მესხური კილოები: აჭარული, ლივანური, მაჭახლური, იმერხეული (შავშური), ტაოური, სამცხური, ჯავახური (აქვე შემოვა ორდუს რეგიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება);

ჰერული კილოები: კაკური, ალიაბათური;

ფხოური კილოები: ჩადმათუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული; აქვე შეიძლება განვიხილოთ **წოვათუშური**, რომელშიც შთამბეჭდავად წარმოდგენილი როგორც ქართველური, ასევე ვაინახური ენობრივი შრეები; ჩვენთვის საინტერესოა,

რომ დ.მელიქიშვილი წოვათუშურ მეტყველებას ქართულ შერეულ დიალექტად მიიჩნევს (დ.მელიქიშვილი, 2001, გვ.16).

რაჭული კილოები: ბარისრაჭული, მთარაჭული;

სვანური კილოები: ლაშხური, ლენტეხური, ჩოლოურული, ბალსქვემოური, ბალსზემოური (შდრ., გერმანული ენის ალმენტური მეტყველება იყოფა სამ დიალექტად: შვაბური, ქვემოალმენტური და ზემოალმენტური; ვ.ჟირმუნსკი, 1956, გვ.39).

ზანური კილოები: მეგრული, ლაზური (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური; მუჰაჯირ ლაზთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშები მცირე გვაქვს, შესაბამისად, მათი დიალექტების/კილოკავების კვალიფიციურება მომავლის საქმედ რჩება).

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები:

ფერეიდნული (შუა სპარსეთში შაჰ-აბასის მიერ გადასახლებულ ქართველთა მეტყველება), “ჩვენებურების ქართული“ (ბურსა-ინფოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენსა და კაიზერის მიდამოებში გადასახლებულ მუჰაჯირთა ქართული) და ყიზლარ-მოზდოკელ ქართველთა მეტყველება.

ქართველთა სამეტყველო კოდების მაგალითზე ისტორიულად ერთი ეთნოკულტურული სისტემის მქონე ხალხის - ერის - ორი ენობრივი ერთეულის თანაარსებობა ე.წ. **დიგლოსიად** შეიძლება წარმოვადგინოთ, სადაც ისტორიული სამწიგნობრო ენა (სტანდარტული ენა) დედაენაა, ხოლო საშინაო მეტყველება (მაგ., ბალსზემოური კილო) - მშობლიური დიალექტი (შდრ., ქ. თეთი, 1997, გვ. 2-3).

შენიშვნა: ბოლო დროს ისევ გააქტიურდნენ ადამიანები, რომელთაც სურთ საქართველოშიც ენობრივ/ეთნიკურ უმცირესობებად წარმოადგინონ ლაზები, მეგრელები, სვანები... (იხ., მაგ., ამ მხრივ ვ.ფოიროშტაინის, ვ.პიუიტის და სხვათა “მოღვაწეობა“). საქართველოში ამ თვალსაზრისით აქტიურობენ საქართველოს გარედან დაფინანსებული პოლიტიკური ძალები; მაგ., ი.ჟვანიას, გ.სიჭინავას, მ.ძაძამისა და სხვათა დაუსაბუთებელ მოსაზრებებზე დაყრდნობით, (პრო)რუსი პოლიტიკოსი ა.ჭაჭია წერს: “ფაქტია, რომ წლების განმავლობაში ენა, რომელზეც ქართველთა ერთი მესამედი ნაწილი ლაპარაკობს, უძველესი ენა, რომლის ლექსიკური მარაგი ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში, ქართველების მიერ ხან კილოთი, ხან დიალექტით, ხან და მახინჯებული ქართულით იწოდებოდა“ (ა. ჭაჭია, 2002, გვ.264)... აქვე, ა.ჭა-

ჭია აცხადებს, რომ არსებობს მეგრელების თვითმყოფადი ენა და კულტურა (გაზეთ „გალი“ 2004 წლის 16-31 აგვისტოს ნომერში ანალოგიურად მსჯელობს ჟ.პიუტიცი)... ამ პრობლემატიკას წიგნის მეორე ნაკვეთში შევეხებით; აქ მოკლედ ვიტყვი: სპეციალისტებს არ დასჭირდებათ იმის შესწენება, რომ მეგრელთა და სხვა ქართველთა თვითმყოფადი ენა და კულტურა მათი წინაპრების მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი ზოგადქართული ენა და კულტურაა, ხოლო **მეტად ძვირფას მეგრულ კილოს - უდიდეს განძს და დაუშრეტელ მრავალსაუკუნოვან წყაროს ქართველური სამწიგნობრო ენისას, მოფრთხილება და შესწავლა სჭირდება** (ამჟამად მეგრული მასალის უწყვეტი პროგრამული ჩაწერა-დამუშავება, ძირითადად, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ხდება, რაც სულაც არ არის საკმარისი; ქართველურ კილოთა შესწავლისა და შენარჩუნებისთვის სპეციალური სახელმწიფო პროგრამა უნდა შემუშავდეს). საგანგებოდ აღვნიშნავთ იმასაც, რომ ისაკ ჟვანიასა და მის მიმდევართა ფარული მიზნები თავის დროზე ამხილეს დიდმა საზოგადო მოღვაწეებმა: კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებმა (იხ., მაგ., ზ. გამსახურდია, 1989).

ფვიქრობთ, სვანთა, მეგრელთა, ლაზთა და ქართველთა სხვა ცალკეული ჯგუფების საშინაო მეტყველების აღსანიშნავად ასევე არაადეკვატური და არალოგიკურია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინები: **ეროვნული ენა** და **ეთნიკური ენა**, ვინაიდან წარმოდგენილი შესიტყვებები უშუალოდ გულისხმობენ დამოუკიდებელ ეთნოკულტურულ ერთობას - ერს: **ეთნიკური ენა დამოუკიდებელი ეთნოსის ენაა** (ეთნოსი - თავდაპირველი ტერიტორიის, ენისა და კულტურის ერთობის საფუძველზე ჩამოყალიბებული ადამიანთა ისტორიული ჯგუფი, საზოგადოება); შდრ.:

ერი (ეროვნება) — თემი (ერის რეგიონალური სახე) — პიროვნება
დედაენა — კილო (ენის რეგიონალური სახეობა) — იდიოლექტი

სხვაგვარი მიმართებანი მყარდება არამონათესავე ენობრივ-ეთნიკური სისტემების შერევით წარმოქმნილი პიჯინის, კრეოლისა და პოსტკრეოლი კონტინუუმის შემთხვევაში, აგრეთვე, მაშინ, როცა საზოგადოება იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. შესაძლო მიმართებანი შემდეგი სქემის სახით შეიძლება გამოიხატოს (ყოველი სქემა გარკვეულწილად პირობითად ასახავს შესაძლო სინამდვილეს; შდრ.: ტ.ფუტკარაძე, 2002, გვ.73 და თ.ბოლქვაძე, 2003, გვ.7):

შენიშვნა: ქვემოთ წარმოდგენილ სქემაში სოციალურ დიალექტში მოვიაზრებთ: პიჯინსაც, ჟარგონსაც და არგონსაც (პიჯინი მეტ თავისებურებებს ავლენს, ამიტომ ბოლო გრაფაში მოთავსებული მეორე ნიშნები მას მიემაართება). ინტონაციური თავისებურებანი შეიძლება

ჰქონდეს ყოველ ენობრივ ერთეულს, ხოლო პროსოდიული - იდიოლექტსაც კი (წარმოდგენილ ცხრილს არა აქვს სრულყოფილების პრეტენზია).

enobrivi erTeulebi formobr- riv-funqciuri maxasiaTeblebi		samwignobro ena		umwerlobo ena		dialeqti	
		istori-uli	postkre- oli	istori-uli	kreoli	adgil- obrivi	socialu- ri
sakuTriv- lingvisturi maxasiaT- eblebi	gansxvaveb. fo-no- taqt. wesebi	+	+	+	+	+	- +
	morfoloგიურ-sin- taqs. Tavis.	+	+	+	+	+	- +
	leqsik. Tavis.	+	+	+	+	+	+
normatiuli maxasiaTeb- lebi	weril.normebi	+	+	-	-	-	-
	zepiri normebi	+	+	+	+	+	-
	bunibrivi me- tyveleba	+	+	+	+	+	+ -
eTnikur- sazogadoebri- vi maxasia- Teblebi	eTnosis, eris, na- ciis ena	+	+	+	+	-	-
	Temis ena	+	+	+	+	+	-
	socialuri fenis ena	+	+	+	+	+	+
kultural- istoriuli ma- xasiaTeblebi	eTnosis kul-turas- Tan uwy-veti kavSiri	+	-	+	-	+	-
	praenasTan uSu- alo kavSiri	+	-	+	-	+	-
	werilobiTi tra- dicia	+	-	-	-	-	-
SemecnebiT- Semoqmede- biTi maxasia- Teblebi	pirveladi msof- laRqm. ena	+	+	+	+	+	+
	xalxuri Semoq- medebis ena	-	-	+	+	+	-
	profesionalu-ri msoflaRqma	+	+	-	-	-	-
saero ფუნq- ციური maxasia- Teblebi	saxelmwifo ena	+	+	-	-	-	-
	regionaluri mety- veleba	+	+	+	+	+	-
	saSinao ena	+	+	+	+	+	+
sasuliero fun- ციური maxasiaTeb.	wm. Werilis ena	+	+	-	-	-	-
	samRvdel. ena	+	+	+	+	+	-
	mrevis ena	+	+	+	+	+	+

1.2. ქართველთა აღმნიშვნელი ძველი და ახალი სა- ხელები

1.2.1. წინარექართველურ (იბერიულ-კავკასიურ-წინააზიურ) და ქართველურ ტომთა აღმნიშვნელი სახელები

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ უძველესი დროიდანვე (მაგ., ძვ.წ. III ათასწლეულიდან, ზოგის მიხედვით კი - V ათასწლეულიდან!) არსებობდა სამი ქართველური ტომი სამი განსხვავებული ენით: ქართვები, ზანები (მეგრულ-ჭანები) და სვანები; ვარაუდობენ, რომ შემდგომ პერიოდში ქართვებსგან მოხდა სხვა ტომთა ასიმილაცია-ქართიზაცია... გაჩნდა საოცრად არაადეკვატური ფრაზა: **ქართი - ტომიყლაპია (ნ.ბერძენიშვილი)**. არადა, არც ერთი წყაროს მიხედვით არ ჩანს ქართის ტომის არსებობის კვალიც კი; ამ ფონზე სრულიად უსაფუძვლოა ე.წ. ქართიზაცია-ქართველიზაციის თეორია; მით უმეტეს, არა მხოლოდ ძვ.წ. III-II ათასწლეულებში, არამედ I ათასწლეულის დასასრულსაც კი ოცამდე ქართველური ტომის არსებობა დოკუმენტურად დასტურდება (შდრ., პონტოს ქალაქ ამასიაში დაბადებული სტრაბონის ცნობით, დიოსკურიაში თავს იყრის სულ მცირე 70 ტომი, რომლებიც თავ-თავიანთ ენებზე საუბრობენ; თ.ყაუხჩიშვილი, 1957, გვ.123); როგორც წესი, თითოეულ ტომს საკუთარი საცხოვრისი და განსხვავებული მეტყველება (ენა თუ კილო) ჰქონდა, მაგ., ქსენოფონტე საგანგებოდ ლაპარაკობს ადგილობრივ ტომებთან სალაპარაკო ენების (კილოების) შესახებ; კერძოდ, მაკრონებთან მიმართებით ის წერს:

მაკრონებთან ურთიერთობა გაჭირდა; ბედად, ათენში ტყვედმოხვედრილ მოლაშქრეს გაახსენდა ბავშვობისდროინდელი ენა და ქსენოფონტეს თარჯიმნობა გაუწია (ქსენოფონტე, 1967, გვ.86); შდრ., ქსენოფონტემ (435-355) მტკვრის სათავეებიდან ორდღმდე ტერიტორიაზე ნახა: კარდუხები, კოლხები, ხალდეები, ხალიბები, ტიბარენები, მოსინოიკები, ფასიანები, ტაოხები...

თუ ძვ.წ. I ათასწლეულში 20-მდე ქართველური ტომი არსებობს,

როგორ უნდა ვირწმუნოთ ძვ.წ. III ათასწლეულში მხოლოდ იმ სამი ტომის არსებობა, რომლებიც არ ჩანან ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდის წყაროებშიც კი, და რომლებიც დღეს არსებობენ? ასეთ შემთხვევაში დაისმება უპასუხო კითხვა:

საიდან, როგორ გაჩნდნენ და მალევე სად გაქრნენ დანარჩენი ტომები? ან: ე.წ. ქართვები, ზანები და სვანები თუკი იყვნენ 5000 წლის წინ (და შემთხვევით არ აისახნენ წყაროებში), რამ განაპირობა მხოლოდ ამ სამი ტომის უპრეცედენტო უნიკალურობა - 5000 წლის მანძილზე არსებობა თვისობრივი ცვალების განუცდელად მაშინ, როცა ასეთ ხანგრძლივ პერიოდს უდიდესმა კულტურებმაც კი ვერ გაუძღეს?

ჩვენი ხედვით:

ტერმინი **ქართველური ტომები** (ასევე: **ჩერქეზული/აფხაზური-ადიღური, ვაინახური, ლეკური/დაღესტნური...**) შეუძლებელია გამოვიყენოთ ძვ.წ. IV-III ათასწლეულების კავკასიის და მცირე აზიის საზოგადოებრივი წყაროების აღსანიშნავად; როგორც ჩანს, **ამ პერიოდში არსებობდა წინარეპარტველური, პირობითად, იბერიულ-კავკასიური მოსახლეობა, რომლის დივერგენციითა და სხვა ხალხებთან მეტ-ნაკლები კონვერგენციით ძვ.წ. II ათასწლეულში ჩამოიძვრნენ - ჩრდილო-კავკასიური ტომებიც და მაშინდელ კავკასიაში დომინანტი საერთო-ქართველური ეთნოსიც, რომელმაც შექმნა შთამბეჭდავი “კოლხური კულტურა“** (ტ.ფუტკარაძე, 1999, გვ.11-13); შემდეგ, მრავალრიცხოვანი ომებისა თუ მიგრაციის შედეგად, ეს ხალხიც დაიქსაქსა 20-ზე მეტ ქართველურ ტომად. **ამ ტომთაგან ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში ისევ შეიკრა ქართველი ერი, აღდგა ქართვლთა სახელმწიფოც, რომელიც შემდეგ პერიოდებში დროდადრო ცალკეულ თემთა კუთხურ სამთავროებად იშლებოდა და ისევ ერთიანდებოდა...**

შენიშვნა: აქვე აღვნიშნავთ: **კავკასია** (ტერიტორია შავ და კასპიის ზღვებს შორის) აერთებს დასავლეთ ევროპას, აღმოსავლეთ ევროპას, მცირე აზიასა და შუა აზიას; შესაბამისად, მას ვერ განვიხილავთ ვერც ოდენ ევროპის და ვერც აზიის ნაწილად; გაუმართლებელია, აგრეთვე, კავკასიის მოაზრება **ახლო აღმოსავლეთის** ცნებაშიც. თავისი ევრო-აზიური ენობრივ-კულტურული და გეოგრაფიულ-კლიმატური მახასიათებლების გამო, კავკასია ევრაზიის ცენტრალურ/გარდამავალ, შესაბამისად, თავისთავად რეგიონად უნდა მივიჩნიოთ.

კიდევ ერთი კითხვა:

რამდენად ლოგიკურია 4000-5000 წლის წინანდელი და ამჟამინდელი საზოგადოებების (მათი ენების თუ ეთნონიმების) გაიგივება? მაგ., ზოგი მეცნიერი ხათებს აფხაზებთან აკავშირებს, ზოგიც - ქართველებთან... უძველესი კულტურების წერილობით ძეგლებშივე დადასტურებული ზოგი სხვა ეთნონიმიც სპეციალისტთა ერთი ნაწილის მიერ ქართველთა აღმნიშვნელად მიიჩნევა, მეორე ნაწილს ისინი სხვა იბერიულ-კავკასიური (არაინდოევროპელი და არასემიტი) ხალხების, მესამეს კი ინდოევროპელების აღმნიშვნელად წარმოუდგენია და ა.შ.

წინასწარვე ვიტყვით, რომ ძვ.წ. IV-III ათასწლეულში მცხოვრები **შუმერების, სუბარელების (ხურიტების) და ხათების**, ძვ.წ. II ათასწლეულში მცხოვრები **აბეშლაელებისა** თუ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის **ხუბუშქიელების** ენის (/ხალხის) გაიგივება თანამედროვე ქართველების (ჩეჩნების, ინგუშების, აფხაზების, ადიღელების... ქურთების, სომხების... მით უმეტეს, თურქების, არაბების...) რომელიმე ენობრივ ერთეულთან, რბილად რომ ვთქვათ, გაჭირდება; 4000-5000-წლიანი ინტერვალი ძალიან დიდია ამგვარი იდენტიფიკაციისათვის; საკითხზე მსჯელობისას უთუოდ გასათვალისწინებელია ენათა და ეთნოსთა ისტორიის ტიპოლოგია; კერძოდ:

თანამედროვე მსოფლიოში არსებული ყველა ერის (ეთნოსის) ენამ, ფსიქიკურმა წყობამ, ხასიათმა თუ კუთვნილმა ტერიტორიამ ბოლო 10 საუკუნეშიც კი სერიოზული ცვლილება განიცადა; მით უმეტეს, არსებითად შეიცვლებოდა 40-60 საუკუნის მანძილზე; მაგ., ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში მცხოვრები დიდი ტრადიციების დამწერლობების მქონე ხალხებიც კი (შუმერები, ეგვიპტელები...) გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან და, წარმოუდგენელია, დამწერლობის არმქონე, გაცილებით მცირერიცხოვანი ეთნიკურ ჯგუფებს დღემდე **თვისობრივად უცვლელად** შემოენახათ თავიანთი ენა/დიალექტი, კულტურა (როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ მხრივ, გარკვეულწილად, იშვიათი გამონაკლისისა ქართული სამწიგნობრო ენა: ქართულის უნიკალურობა კი განსაზღვრა სრულიად განსაკუთრებულმა გარემოებამ: სულ მცირე, 15 საუკუნის მანძილზე ქართული უწყვეტად არის საეკლესიო, სახელმწიფო და სალიტერატურო ენა).

უფრო ლოგიკურია დავუშვათ, რომ ძვ.წ. VI-II ათასწლეულებში ქართველურ-ჩრდილოკავკასიურ-წინააზიური მოდემის **ბევრი ტომი** არ-

სებობდა, რომელთა ნაწილი საერთოდ დაიკარგა, მეზობლებთან აირია, ნაწილი კი, ხანგრძლივი კონვერგენციის პროცესით, მეტ-ნაკლებად “აი-სახა“ თანამედროვე იბერიულ-კავკასიურ ეთნოსებში; უძველესი დროიდან ვიდრე “დიდ კოლხურ კულტურამდე“ არსებული ტომები, პირობითად, **საერთოკავკასიურ-ახლოაღმოსავლურ მოდგმად** შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ საკუთრივ ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ტომებზე. ამ ნაშრომში მიზნად არ ვისახავთ ქართველურ-კავკასიურ-წინააზიურ ტომთა ისტორიის კვლევას; მხოლოდ გვსურს, ცხადლივ ვაჩვენოთ, რომ ძვ.წ. III-I ათასწლეულებში ათობით ქართველური ტომი არსებობდა (და არა მხოლოდ სამი!); შესაბამისად, ქვემოთ ზოგად შტრიხებში წარმოვადგენთ ქართველურ თუ წინარექართველურ (იბერიულ-კავკასიურ-წინააზიურ) იმ ეთნონიმებს, რომელთა დიდი ნაწილი ქართველთა წინაპრების აღმნიშვნელი ჩანს (საკითხის ისტორიისათვის იხ.: ფ.ჰომელი, 1889; ივ.ჯავახიშვილი, 1908; ა.სვანიძე, 1937; ს.ყაუხჩიშვილი, 1964; თ.ყაუხჩიშვილი, 1967; გრ.გიორგაძე, 2002; შ.გაბესკირია, 2003; გ.ქავთარაძე, 2004 და სხვ.):

ხურიტები, მითანელები, მათიენები (მითანი/მითანის მოსახლეობა), ურარტუელები - ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ხურის ენაზე მოლაპარაკე ტომები ბინადრობდნენ მდინარე ევფრატის შუაწელს ზემოთ ჩრდილოეთით გადაჭიმულ ოლქებში (ჩრდილო მესოპოტამიაში); ამ ქვეყანას უშემერები - **სუბირს**, აქადელები და ასურელები **სუბართუს** ეძახდნენ (მდრ., სუბართუ - გეოგრაფიული ცნება). ძვ.წ. XVI საუკუნიდან მათ შექმნეს **მითანის** დიდი სახელმწიფო. სპეციალისტთა დასკვნით, ხურიტების/მითანის ენა აგლუტინაციური ტიპის და ერგატიული კონსტრუქციისა იყო; მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით (არნ.ჩიქობავა, ი.დიაკონოვი, ს.სტაროსტინი, ნ.ნოზაძე), იგი ენათესავება იბერიულ-კავკასიურ ენებს:

არნ. ჩიქობავას აზრით, იბერიულ-კავკასიური ენები (მათ შორის ქართულიც - ტ.ფ.) ენათესავება ახლო აღმოსავლეთის ძველი კულტურის მკვდარ ენებს: **ხეთურს, ჰარულს/ხურიტულს, მიტანი-ენას, ურარტულს, ელამურს...** ქართული ენა არის ხეთურ-იბერიული წრის ცოცხალი ენა; არსებული განსხვავებანი მეორეულია (არნ. ჩიქობავა, 1950,

გვ. 006). მდრ., გ.მელიქიშვილი, 1999, გვ.19:

“ხურის ენა და მასთან დაკავშირებული ეთნიკური ელემენტი მეორე ათასწლეულში ჩვენს ერამდე მეტად ფართო ტერიტორიაზე გავრცელებული, თუმცა ამ ხალხის უმთავრეს კერას, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ცენტრს, ამ დროს ზემო მესოპოტამია და ვანის ტბის სანახები წარმოადგენენ; ზემო მესოპოტამიაშია მითანის სამეფო, ვანის ტბის სანახებში კი - ხურის სამეფო (ადრე, **ხურის** ნაცვლად, კითხულობდნენ **ხარის**). “თავისი ფიზიკური ტიპითა და ენით ხური-მითანის (შემდგომი ურარტუს) მოსახლეობასთან დღეს მცხოვრებ ხალხთაგან ყველაზე ახლოს ქართველური, კავკასიური მოდგმის ხალხები დგანან“.

ხურიტების განსახლების საზღვარი ძირითადად ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალის ნაწილს (სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ო.ჯაფარიძე, 1976; გ.ავალიშვილი, 1994; გრ.გიორგაძე, 2002). მითანი დაემხო ძვ.წ. XIII საუკუნეში. სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ გაძლიერდნენ დაიანი/დაიანე, კოლხა, ურარტუ და ე.წ. ნაირის სხვა ქვეყნები. ითვლება, რომ ხურიტულის უშუალო მემკვიდრეა ურარტული, რომელიც თვალსაჩინოადაა შეცვლილი, რაც სხვა მონათესავე თუ უცხო ენებთან ინტენსიური ინტერფერენციით აიხსნება: ძველ მსოფლიოში ტომთა დაპყრობითი ომები შერევის დიდ პერსპექტივებს ქმნიდნენ; მდრ., მაგ.: “ენით სემიტი ასურელები ანთროპოლოგიურად ნარევ ხალხს - სემიტური ელემენტისა და ხურიტების შერევის პროდუქტს წარმოადგენენ“ (გ.მელიქიშვილი, 1999, გვ. 29).

ლოგიკურია მოსაზრება, რომ ხურიტულ-ურარტულ ენაზე/ენებზე (აბრუპტივებისა და ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენაზე) მოლაპარაკე ხალხის ერთი ნაწილი მონაწილეობდა ქართველი ერის ფორმირებაში, მეორე ნაწილი ასახულია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, მესამე ნაწილი კი ასიმिलირდა მოსული ინდოევროპელი არმენების მიერ (სწორედ ურარტული ან ქართველურის მონათესავე სხვა რომელიმე ენის სუბსტრატით უნდა აიხსნას სომხურში აბრუპტივების არსებობა). მდრ.: ჰეკატაეოს მილეტელის (ძვ.წ. 549-472), ჰეროდოტეს (ძვ.წ. 484-425) და სხვათა ცნობებით, **მატიენები** ცხოვრობდნენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მესოპოტამიის ჩრდილოეთით **მოსხების, სასპეარებისა და ალაროდელების** მეზობლად (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.42, 144;

ჰეროდოტე, 1975, გვ.61, 111, 332).

შდრ.: ს.ჯანაშიას მტკიცებით, “ქართლის მოქცევის“ **არიან-ქართლი** წარმოადგენს მოგონებას **ჰარი-ქვეყნის**, როგორც ქართველთა უძველესი საცხოვრისის შესახებ. რეალურად, აქ შესაძლებელია, იგულისხმებოდეს როგორც მიტანი, ისე ურარტუც - ვანის ტბის მიდამოები, რადგან ჰარი-ქვეყანა შეიცავდა ერთსაც და მეორესაც“ (ს.ჯანაშია, 1952, გვ.70); ეს მოსაზრება გაზიარებულია თანამედროვე ზოგ სამეცნიერო ლიტერატურაშიც (იხ., მაგ., კ.ზ. გამსახურდია, 1997, გვ.66; ე.თაყაიშვილის დაკვირვებით, **არიან-ქართლი** არის **ჰარი-ქვეყანა** - ხურიტების ადგილსამყოფელი).

შენიშვნა: გარკვეული ალბათობით, **ხურიტ-** ფუძეში შესაძლოა გამოიყოს **ხურ-** ძირი, რომელიც **ჰარ-/ჰალ-/ხარ-/ხალ-** ვარიანტების სახით შეიძლება გვიჩინოს **ჰალ-ის-, ხალ-იბ-, ხალ-დ-, ქალ-დ-, ქარ-თ-** ფორმებში, ხოლო ხმოვნის ლაბიალიზებული ვარიანტით - **კოლ-/კულ-ხ- (<*ქოლ-/ქულ-<*ხულ-/ჰურ-);** **საკითხი საგანგებო კვლევას მოითხოვს;** თუმცა, ამ მიმართულებით ფორმოზოგრაფიულ შეფერხებს - **იტ- (-ეტ-/ეთ?), -თ- (-ეთ?), -დ- (-ედ-?)** და **-იბ- (-ებ-?)** სეგმენტების კვალიფიკაციის სირთულე (იხ., აგრეთვე, ქვემოთ).

ძვ.წ. IX-VI საუკუნეებში სამხრეთ ამიერკავკასიისა და დღევანდელი ირან-თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებობდა იმ დროისათვის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო - ურარტუ; თავად ურარტუელები თავიანთ ქვეყანას **ბიანილის** უწოდებდნენ (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, 1971, გვ.407), ხოლო თავიანთ თავს - **ხალდეებს** (ი.მე-შჩანინოვი, 1927, გვ.3; შდრ., გ.მელიქიშვილი, 1954, გვ.28-29: თვითსახელწოდებაა ბია/ბიანილი);

შდრ., ურარტუელთა დემერტი იყო **ხალდი**.

ასურულ წყაროებში ურარტუს სახელად დადასტურებულია **ურუ-ატრი;** შდრ., აგრეთვე: ბიბლიური **არარატი** და ბერძნული **ალარუდ**.

საყურადღებოა, რომ მოვსეს ხორენაცი არ იმოწმებს ამ ტოპონიმს და ირჩევს აშკარად ძველ, არმენიელების მოსვლამდელ სახელწოდებას - **მასის მთა**. ურარტული ენა უახლოვდება ხურიტულს. მიიჩნევენ, რომ **ურარტუელები** არიან ჰეროდოტეს მიერ მატეინებისა და სასპედრების გვერდით მოხსენიებული **ალაროდიელები/ალაროდეები** (ჰეროდოტე, 1976, გვ.226), რომლებიც არმენიელთა მოსვლამდე ცხოვრობდნენ სა-

მხრეთ ამიერკავკასიაში - არარატის სანახებში.

ივ.ჯავახიშვილის აზრით, ალაროდე/ურარტუელებშიც უნდა ვიგულისხმოდ ქართველთა უშუალო წინაპრები (ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.437). მისივე აზრით, რამდენადაც ქსენოფონტე ამ რეგიონში **ალაროდების** ნაცვლად უკვე **არმენიელებს** ასახელებს, შესაძლებელია, ვიმსჯელოთ არმენების კავკასიაში მოსვლის შედარებით ზუსტ თარიღზეც; შდრ., არმენებს არ ახსენებს ჰეკატაეოს მილეტელი.

ქსენოფონტესავე ცნობით, **არმენებს** დიდი ბრძოლები აქვთ **ხალდეებთან;** რაც მეტყველებს იმაზეც, რომ ურარტუელთა მეზობლად მოსული არმენების დამხვედურია ურარტუელთა მოძმე ტომი - ხალდეები; ყოველ შემთხვევაში, შემთხვევითი არ უნდა იყოს **ეთნონიმ ხალდისა** და ურარტუელთა **დემერტის სახელის - ხალდის** ფონეტიკური დამთხვევა; შდრ., მკვლევართა ყველა თაობის მიერ **ხალდეები ქართველურ ტომად მიიჩნევა**.

შენიშვნა: ურარტუელები ეომებოდნენ დიოხსაც, კოლხსაც, მაგრამ არც ერთი მათგანის სახელი არ უქცევიათ ზოგადად მტრის სახელად; გ.მელიქიშვილის ცნობით, მათ მტრის სინონიმად აქციეს მტერი ქვეყნის მოსახლეობის სახელი - **ლულუ** (გ.მელიქიშვილი, 1999, გვ.21); სავარაუდოა, რომ ეთნონიმი **ლულუ** მიემართებოდა მოსულ ინდოევროპული ენის მქონე ტომებს.

ხათები - ძვ.წ. XXIII საუკუნიდან ათასი წლის მანძილზე ცენტრალურ ანატოლიაში (კაბადოკიისა და პონტოს ტერიტორიაზე) არსებობდა ძლიერი ხათის სახელმწიფო (სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. გრ.გიორგაძე, 2002).

შუმერულისა და ხურიტულის მსგავსად, **ხათური ენა** ითვლება ერთგვარი კონსტრუქციისა და აგლუტინაციური ტიპის ენად; სპეციალისტთა ვარაუდით, იგი ენათესავება თანამედროვე ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებს (ქრ. გირბალი, ი.დუნაევსკაია, ვ. ივანოვი). ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ხათური, როგორც ოფიციალური ენა, შეცვალა მოსული ინდოევროპული ეთნოსის ენამ - **ხეთურმა**, მაგრამ ხათური ტომების ენა-კილოები დარჩა ყოველდღიურ გამოყენებაში და გარკვეული ტრანსფორმაციებით შემოგვენახა ქართველურ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში სიღრმისეული დაფენების სახით.

შენიშვნა: ქართველურისა და ხურიტულის მსგავსად, ქართველურ-ხათური ნათესაური მიმართების კვლევას სერიოზული პერსპექტივა უჩანს (იხ.: არნ. ჩიქობავა, 1948; არნ.ჩიქობავა, 1950; შ.გაბესკირია, 2003; შდრ., გრ.გიორგაძე, 2002, გვ.90)...

ქასქები/ქაშქები და აბეშლაელები - ძვ.წ. XVII-XIII საუკუნეების ხეთურ ლურსმულ წყაროებში, ასევე, ასურულ, ეგვიპტურ უგარიტულ ტექსტებში მოხსენიებულია ხალხი, რომელთა აღმნიშვნელი სახელი იყო: ქასქა, ქაშქა, ვაშქა, კაშქა, კაშქა, ქაშქა; კაშქამ (ეგვიპტ.), კაშქაია, კაშქა, კაშკუ (ასურ.); Ktkym (უგარიტ.)... ისინი ცხოვრობდნენ ხეთებისგან ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოგვიანო ხანის ანატოლიაში (პონტოში).

მკვლევართა ერთი ნაწილის (გ.მელიქიშვილი, ი.დუნაევსკაია, ი.დიაკონოვი, ა.კამენსუბერი, ვ.არძინა, გ.ჩირიკა) აზრით, **ქასქების ენა** ერთ-ერთი აფხაზურ-ადიღური ენაა (ტერმინის ფონეტიკური ვარიანტებისა და ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. გრ.გიორგაძე, 2000, გვ.9-17). ასურული და ხეთური წყაროების ქაშქებ/ქასქების ერთ-ერთ სახელად (სინონიმად) მიჩნეულია ასურულ ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებული **აბეშლაელები**. მიუხედავად იმისა, **აბეშლა და ქასქა** სინონიმებად გამოცხადდება, თუ მონათესავე ტომებად (მსჯელობისათვის იხ.: გ.ქავთარაძე, 1985, გვ.125; გრ.გიორგაძე, 2002, გვ.113-121), ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ შეუძლებელია 30-40 საუკუნის წინანდელი და თანამედროვე ენების იგივეობაზე ლაპარაკი; შდრ., აგრეთვე, მაგ., მ.ქურდიანის აზრით, დაახლოებით 30 საუკუნის წინ არსებობდნენ ზანურენოვანი **ხუბუშქიელები**; ავტორის ვარაუდით, პარალელურად იყვნენ ქართულენოვანი **აბაშებიც**, რომელთა სახელიც შემონახულია ტოპონიმ **აბაშას** სახით (არადა, სწორედ დღევანდელი თუ ისტორიული აბაშელები მეტყველებენ ერთ-ერთ ზანურ დიალექტზე - ტ.ფ.); მისივე ვარაუდით, ხუბუშქიელები აბაშიდან ერთ-ერთი სამხედრო ექსპედიციის დროს ამიერკავკასიიდან გადასახლდნენ ვანის ტბის მიდამოებში; სალმანასარ III-სთან დამარცხების შემდეგ მათგან მხოლოდ “ქვეყნის სახელი და სამეფო დინასტია დარჩა” (მ.ქურდიანი, 2001, გვ.130-131)... მ.ქურდიანი ამ დასკვნებს აკეთებს **ხუბუშქიას** სათუო ეტიმოლოგიის მიხედვით; კერძოდ,

მისი აზრით, საერთოქართველური (resp. ქართული) **აბაშ-** ფორმისგან წარმოიქმნა **აბეშალ-** და ზანური **ხუბუშქ-** ვარიანტი; აქ ლოგიკური ჩანს **აბაშ-** ფუძის დაკავშირება **აბაზ-** და **აბეშალ-** ფორმებთან (იხ. ქვემოთ). აქვე აღვნიშნავთ, რომ სპეციალისტთა დასკვნით, ხუბუშქიას მოსახლეობა ძირითადად ხურიტულენოვანი იყო...

იგ.ჯავახიშვილის, პ.უშაკოვის და სხვათა აზრით, **ქაშქები** მერმინდელი კოლხების წინაპრები არიან; გრ.გიორგაძის ვარაუდით, ტომთა გაერთიანებანი **ქასქები და აბეშლაელები** მეგრულ-ლაზური წარმოშობისანი შეიძლება იყვნენ, რამდენადაც, ეთნონიმ **მუშქშიც** და სხვა ტოპონიმებშიც ხშირია სქ/სგ/შქ თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც ზანურ-სვანური რიგის კომპლექსებია (გრ.გიორგაძე, 2000, გვ.16; გრ.გიორგაძე, 2002, გვ.121).

პირველ რიგში, სავარაუდოა, რომ **მოსხ-/მუშქ-** ფუძეში გამოიყოფა -ხ- (> ქ კრებითობის გამოხატავი სუფიქსი. შესაძლოა, **ქასქ-** ფუძეშიც ვეძიოთ შეხორცებული უძველესი -ხ/-ქ მორფემა; შესაბამისად, **ს-ქ** (შ-ქ) ხომ არ არის მორფემათა ზღვარი (შდრ.: **ქაშაგი** “ტყვე” საბა; **ყაბარდოელი** - მანდრონიკაშვილი)?; მეორეც, სქ/შქ კომპლექსი არ იკრძალება არც საერთოქართველურის, არც სამწიგნობრო ქართულის და არც სხვა ქართველური დიალექტების ფონემატური სტრუქტურით; ამდენად, მხოლოდ ამ კომპლექსის მიხედვით მსჯელობა გაჭირდება.

უფრო ლოგიკურია, ვთქვათ, რომ **ხათებისა და ხურიტების** მონათესავე **ქასქები, აბეშლაელები, ხუბუშქიელები, ურარტუელები...** წინარეკარტველურ-კავკასიურ ტომთა აღმნიშვნელი სახელებია; **ამ და სხვა ტომებისგან ძვ.წ. II-I ათასწლეულებში ჩამოიძვრნენ ქართველებიც, ჩერქეზებიც, ვაინახებიც და ლეკებიც...** სხვაგვარად ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ ძველი წინააზიური ენების კვალი **შთამბეჭდავია ქართველურშიც და სხვა იბერიულ-კავკასიურ (აფხაზურ-ადიღურ, ვაინახურ, დაღესტნურ) ენებშიც**; ასევე, ძველ ეთნონიმებთან მასალობრივად ახლოს მყოფი ტერმინები დასტურდება როგორც ქართველური, ასევე ჩრდილოკავკასიური საზოგადოებების მიმართებით (ქაშაგი, აბაზა/ებზე...).

მუშქები, მუშქა/მუშქი, მოსხები, მოსონი/მეშხი, მოსხიკეს

მცხოვრებლები - სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, ძვ.წ. XII-VII საუკუნეების ასურულ ლურსმულ წყაროებში მოხსენიებული **მუშქები**, ბიბლიური **მოსოქ-/მოსოხ-მეშხ-** სახელწოდებები (შესაქმე, X 2, 22-32), ბერძნულ-რომაული ტექსტების **მოსოხე-ბი**, ძვ. წ. IV საუკუნეში არსებული სახელმწიფო **მოსხიკე** (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.22; ივ.ჯავახიშვილი, 1950, გვ.18; ნ.ხაზარაძე, 1998, გვ.177; ნ.ხაზარაძე, 2001, გვ.273; შდრ., ი.დიაკონოვი, 1984) - **მოსხების/მესხების ქვეყანა**, “ქართლის ცხოვრების” **არიან ქართლი** და ქართველთა ერთი ჯგუფის აღმნიშვნელი თემონიმი **მესხი** ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია; კერძოდ, ისინი მიემართება **ქართველურ მოდგმას**, რომლის განსახლების (თუ მოძრაობის) ძირითადი ტერიტორიაა **ზემო ევფრატისპირეთი (ძვ.წ. XII ს.)-კაბადოკია-ჰალისის შუა დინების სამხრეთი (ძვ.წ. VIII ს.)-პონტოს ტერიტორიის ნაწილი და, ბოლოს, სამხრეთ-დასავლეთი ამიერკავკასია**.

შდრ.: “ფეოდალური ხანის ნომენკლატურით, მოსხების ქვეყანა მოიცავდა: სამცხეს, ჯავახეთს, კლარჯეთს, აჭარას, ეგრისს, შავშეთს, კოლა-არტაანს, ამიერ და იმიერ ტაოს, ბასიანს, სპერს, ანუ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს” (მსჯელობისა და ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ნ.ხაზარაძე, 1984, გვ.36-70; გრ.გიორგაძე, 1985; გრ.გიორგაძე, 2002).

ძვ.წ. XII საუკუნეში (1165 წელს) ზემო მესოპოტამიაში გამოჩენილი **მუშქები** ე.კავენიაკმა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ოლქებიდან ჩამოსულებად მიიჩნია (გ.მელიქიშვილი, 1965, გვ.22); ნ.ხაზარაძის აზრითაც, “**მუშქები, აბეშლაელების** მსგავსად, ჩრდილოეთიდან უნდა გავრცელებულიყვნენ სამხრეთისაკენ ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ (ნ.ხაზარაძე, 2002, გვ.124); მკვლევრის ვარაუდი ეფუძნება იმას, რომ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში **მუშქები** საერთოდ არ არიან მოხსენიებული.

ჩვენი აზრით, სავსებით დასაშვებია, რომ მუშქთა წინაპრებად მოვი-აზროთ ხათებისა და ხურიტების მონათესავე და მათი განსახლების ველში მცხოვრები ქართველურ-კავკასიური მოდგმა; ლოგიკური ჩანს მუშქებისა და ქაშქების მონათესავეობის დაშვებაც (**ქაშქი და მუშქუ** ეთნონიმების მიმართების შესახებ გრ.გიორგაძისა და ე.ფონ შულერის

მოსაზრებების ანალიზი იხ. ნ.ხაზარაძე, 2001, გვ.283); შდრ.: ხეთები ქა-სქებთან დებდნენ სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებას, ქასქები და ხა-თები კი მონათესავე ტომებად ითვლებიან. რამდენადაც, არაინდოევრო-პელი ხათების ტერიტორიაზე ინდოევროპელი ხეთები მოსულები არიან, ლოგიკურია ვარაუდი, რომ ხათების შესაძლო მემკვიდრე ქასქებსა და ხეთებს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო; შესაბამისად, სხვაგვარად დადგება ქართველურ ტომთა მიგრაციის მიმართულების საკითხიც.

შენიშვნა: კ.ფ.ლემან-ჰაუპტი ფიქრობდა, რომ ქართველები საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდნენ ჩრდილო მესოპოტამიიდან მოსული კარლუხების (ისტორიული გორდუენეს - კორდუქის მკვიდრების) და მცირე აზიი-დან მოსული მესხების შერწყმის შედეგად (ვიმოწმებთ გ.მელიქიშვილის მიხედვით; გ.მელიქიშვილი, 1965, გვ. 19-20).

ბერძნულ წყაროებში მოსხების ტომი პირველად ნახსენებია ძვ.წ. VI ს. ბერძენი მწერლის - ჰეკატაძის მილეტელის მიერ; მისი მოწმობით, **მოსხები კოლხური ტომია** (ჩვენი აზრით, აქ კოლხური ქართველურის სინონიმია - ტ.ფ.); ისინი ცხოვრობდნენ მატეინების (მითანის) მეზობლად - მესოპოტამიის ჩრდილოეთით, ანდა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43-44).

ჰეროდოტეს (ძვ.წ. V ს.) მიხედვით, **მოსხები** კოლხებთან (აქ უკვე კოლხები მხოლოდ ერთ-ერთი ქართველური ტომის სახელია - ტ.ფ.), სასპეირებთან, ხალიბებთან (ქალიბებთან), მაკრონებთან, ტიბარენებთან, მოსინოიკებთან და მარებთან ერთად ცხოვრობდნენ მცირე აზიის ჩრდილოეთით შავი ზღვის აღმოსავლეთ თუ სამხრეთ სანაპიროზე სპარსეთის მეფე დარიოს I (ძვ.წ. 524-485) დროს (იხ. ჰეროდოტე, 1976, გვ.634; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.47, 660).

სტრაბონის (ძვ.წ. 64 - ახ.წ. 24) მიხედვით, **მოსხები** ცხოვრობენ ამჟამინდელ დასავლეთ საქართველოში - შავი ზღვის სანაპიროზე კოლხების გვერდით, ჰენიოხებისა და კერკეტების სამხრეთით (საკითხის მიმოხილვისათვის იხ., გ.ქავთარაძე, 1985, გვ. 82-86); სტრაბონისვე ცნობით, აღრინდელი **მოსხური ქვეყნის** (ივარაუდება ძვ.წ. IV საუკუნეში არსებული **მოსხიკე?** ალბათ, უფრო ძველი **მუშქების საცხოვრისი - ტ.ფ.**) ერთი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე - იბერებს და მესამე - არმენიელებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.140-145).

იოსებ ფლავიუსის აზრით (37-95), **მოსხენები** დაფუძნებულნი არიან **მოსხის** მიერ და “ახლა მათ კაბადოკიელები ეწოდათ; კაბადოკიელთა ეს ძველი სახელი შემორჩენილია მათი დედაქალაქის სახელად, რომელიც არის **მაზანა**“ (იოსებ ფლავიუსი, 1987, გვ.103).

ეგსტათი ანტიოქელთან (280-360) კაბადოკიელთა წინაპრებად დასახელებულია **მესხენები**, მათ ეთნარქად კი - **ოსოხი** (გეორგიკა, 1961, გვ.34). ორი საუკუნის შემდეგ კი პროკოპი კესარიელი **მესხთა** (მესხი) საცხოვრისად მიიჩნევს იბერიის გასწვრივ არსებულ მთებს (გეორგიკა, 1965, გვ.127).

სტეფანე ბიზანტიელთან (IV-VII ს.ს.) დადასტურებულია ეთნონიმი **მოსხი**; იგი, მიჰყვება რა სტრაბონს, მოსხებს ასახელებს კერკეტების ზემოთ (ე.ი. სამხრეთით - ტ.ფ.). XI საუკუნის მოღვაწე ლეონ გრამატიკოსი უცვლელად იმეორებს წინა თაობების მოსაზრებებს და იაფეტის შვილად მიჩნეულ **მესხოსისგან** მომდინარედ მიიჩნევს მესხებს, რომელთაც ახლა კაბადოკიელები ეწოდებათო... (გეორგიკა, 1963, გვ.3-4).

მოსხ-/მესხ-/მესხ- ტერმინთან დაკავშირებით საინტერესოა ჩრდილოკავკასიურ ენათა მონაცემები:

პ.უსლარისა და ა.დირის ცნობებით, დაღესტნურ ენათა სამყაროში **ქართველების აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს - მოსოქი/მუსექი**; იგი მიემართება, აგრეთვე, წოვათუშებსაც (გ.ბურჭულაძე, ბ.შავხელიშვილი, 1993, გვ.325).

ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ქართლის მოსახლეობა მუშქ-მესხების უშუალო მემკვიდრეა; ტოპონიმ **მცხეთისა** და ქორონიმ **სამცხის** მიმართება ამის კიდევ ერთი არგუმენტი ჩანს: **სა-მესხ-ე** > ***სამსხე** > **სამცხე**; **მესხ-ეთ-ა** > ***მსხეთა** > **მცხეთა** (ლიტერატურის მიმოხილვისა და განსხვავებული მსჯელობისათვის იხ. გ.ბედოშვილი, 1981).

შდრ.: ი.ზიცარის აზრით (ი.ზიცარი, 1998): **მეს-ხ-** > **ვესკ** > **ბასკ-**; **ბასკ-** ფუძის ამგვარი ეტიმოლოგია დამატებით არგუმენტებს მოითხოვს.

ვარაუდობენ, რომ **მესხ-**, **მოსხ-** **მუსხ-** ფუძეები ქართველური დიალექტური ვარიანტებია; მათთვის ამოსავალი შეიძლება იყოს ***მას-** ძირი (შდრ.: **მასისი** - მაღალი მთა ისტორიულ მესხეთში - პარხალის ახლოს; **მასის მთა** - არარატის ძველი სახელი), ხოლო **-ხ-** იყოს ხურიტულ-ურარტულ-კავკასიური სუფიქსი (საკითხის მიმოხილვისათვის იხ.

რ.აბაშია, 2001), რომელიც კრებითობა-წარმომავლობას გამოხატავს: ***მას-ხ-**; ფუძისათვის შდრ.: მას-ის-ი, ფას-ის-ი და ბას-იან-ი.

ჩვენი აზრით, ***მას-ხ-** მართლაც შეიძლება იყოს ამოსავალი ფორმა, მაგრამ წარმოდგენილი ფორმები (მოსხ-/მუსხ-) ისევე ვერ მიიჩნევა ქართველურ დიალექტურ (ზანურ-სვანურ-) ვარიანტებად, როგორც, მაგ., სხვადასხვა ძველ ენაში დადასტურებული **თარგამოსი/თოგარმა/თორგომა/თეგერამა/თილგარიმუ, არარატი/ურარტუ** და სხვა პარალელური ფორმები; ამ რიგის მასალა ისე ძველია, რომ სათავე (მიზეზი) წინარეკარტველურ-კავკასიურ პერიოდსა და სხვადასხვა მსესხებელი ენის ფონემატურ თავისებურებებში უნდა ვეძიოთ (შდრ., ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.401-402; გ.თოფურია, 1970, გვ.120; მ.ქურდიანი, 2000, გვ.189; ნ.ხაზარაძე, 2001, გვ.285 და სხვ.).

შენიშვნა: მესხი/მასხი ეთნონიმს საერთოქართველური ეთნოსის თვისახელწოდებად აღადგენს მ. ქურდიანი (მ.ქურდიანი, 2000, გვ.188); მესხ-/მოსხ-ტერმინი ქართველთა ერთი ჯგუფის აღმნიშვნელი რომაა, ეს უეჭველია, მაგრამ იყო თუ არა ის საერთოქართველური ეთნოსის **თვითსახელი**, სათანადოდ არგუმენტირებული არ არის; ამ მოსაზრების კრიტიკისათვის იხ.: გრ. გიორგაძე, ნ.ხაზარაძე 2002, გვ.191)...

სადავო არ უნდა იყოს, რომ **მოსხები/მესხები ერთ-ერთი ძველი ქართველური ტომის სახელია, რომელიც მეზობელ თუ არამეზობელ ხალხთაგან ისტორიის ერთ მონაკვეთში განზოგადებული იყო “ყოველთა ქართველთა” სახელად.**

დაიანელები, დიაუხელები, ტაოხები - ძვ. წ. XII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ ლურსმულ ტექსტებში დამოწმებულია **დაიანე-ნის ქვეყანა**; მკვლევრები ამ სახელწოდებას უკავშირებენ ურარტული ლურსმული ტექსტების **დიაუხს**, ბერძნული წყაროების **ტაოხოსი**, ძველი სომხური წყაროების **ტაიქს** და ისტორიული საქართველოს ერთ კუთხეს - **ტაოს** (ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. გრ.გიორგაძე, 2002); ვარაუდობენ, რომ ეს იყო ძლიერი ქართველური ტომი (შდრ.: გ.მელიქიშვილი, ი.დიაკონოვი და სხვ. **დიაოხის** მოსახლეობას ხურიტულენოვანად მიიჩნევენ), რომლის მეფე სენზე გამარჯვებითაც საგანგებოდ ტრ-აბახობდა ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I (1115-1077).

დიახნელები/ტაოხელები/ტაოელები ცხოვრობდნენ თორთუმის, ევფრატისა და მტკვრის სათავეებში; სარწმუნო ჩანს, დიახნის დედაქალაქი **შაშილუ (შაშილო/სასირო)** მდებარეობდა ცნობილი თორთუმის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე - ამჟამინდელი ესენდურაკის ადგილას (გ.ქავთარაძე, 2005, გვ. 13-18).

ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში **ტაოხეები** პირველად გვხვდებიან ქსენოფონტესთან (ძვ. წ. V—IV ს.ს.): ტაოხეები, რომლებიც ცხოვრობენ მერმინდელ ოლთისის ოლქში, სპარსეთის მეფეს არ ემორჩილებიან და **ხალიბებთან** ერთად სპარსელი სატრაპის - ტირიბადის - მოქირავნეები არიან (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.52). მოგვიანებითაც, მაგ., სტეფანე ბიზანტიელიც (IV-VII ს.ს.) ტაოხებს შიდა პონტოში მოსახლე ტომად თვლის; მისი ცნობით, “ზოგიერთები მათ ტაოელებსაც ეძახიან, როგორც ამბობს სოფიანეტე თავის “ანაბაზისში“ (გეორგიკა, 1936, გვ.284).

ძველი ბერძნების ცნობით, **აია** იგივე კოლხეთია; იხ., მაგ., ჰეროდოტე: **არგონავტები “მიცურავდნენ ამაში, კოლხიდაში, საწმისისათვის“**; **“მოვიდა ეს კიტისოროსი ამა-კოლხიდიდან და გაათავისუფლა იგი“**... (ჰეროდოტე, 1975, გვ.472-473); ამავე აზრს იმეორებს აპოლონიოს როდოსელიც თავის “არგონავტიკაში“. შესაბამისად, ლოგიკურია თ.მიქელაძის აზრი, რომ **დაიაენი** შეიძლება იყოს იგივე **აია**; შდრ., **აია** და **ხაიასა** (შემდგომი სუხმის ქვეყანა) გაიგივებული აქვს გ.პიუსინგს (საკითხის ისტორიისათვის იხ.გ.ქავთარაძე, 1985, გვ. 161, 163; გ.ქავთარაძე, 2005). დენტალურ და ველარულ თანხმომავანთა მონაცვლეობის, აგრეთვე, მათი დაკარგვის თვალსაზრისით საყურადღებოა სხვა კავკასიურ-აღმოსავლეთანატოლიურ ტოპონიმთა ვარიანტებიც: **ხალიბი/ალიბი, ხაბარენი/ობარენი, ხარმატი/არმატი, ქალზევანი/ალზევანი, ტაპირი/აპირი, ტორეტი/ორეტი, თუნი/უნი** (მაგალითები მოიძია გ.ქავთარაძემ; იხ. 1985, გვ. 53-58); შდრ., აგრეთვე: **აია, დაია-ენ-ი** და ხეთური წყაროების **ხაია-სა (-სა და ქართვ. -ის-: შინდ-ის-ი)...** **დ > ხ, ქ > 0, ხ > 0, ტ > 0** პროცესები ძნელად დასაშვებია, შესაბამისად, გარდამავალ ფორმებზე საგარაუდოა **ს/ჰ** ფონემების შემცველი ფუძეები, რამდენადაც, ბუნებრივია **ს > ჰ > 0** პროცესი (წინაენისმიერი ყრუ თანხმომავანის ჰ-დ ქცევისათვის შდრ.: საერთოქართვ. წ > სვან. ჰ > ჰ; შდრ., მაგ., შესაძლო ტრანსფორმაციები: ***დაია > *ტაია > (*წაია/*ჭაია, ან *საია >) *ჭაია,**

რომელსაც შეეძლო მოეცა, ერთი მხრივ, **აია** (< *ჭაია), მეორე მხრივ - ***ხაია** (< *ჭაია). **აია** შეიძლება გამოიყოს **აიეტ-** ფუძეშიც: **-ეტ-** სუფიქსი ბერძნულში წარმომავლობა-კუთვნილებითობის მაწარმოებელია, შესაბამისად, მეფე აიეტის სახელი მიღებულია აია-სგან: აია-ეტი > აიეტი; შდრ. ო.ლორთქიფანიძე, 1986, გვ.32: “არგონავტების უძველეს ვერსიებში, ქვეყანა, სადაც არგონავტებმა ილაშქრეს, იყო **აია**; უფრო გვიან ამ ქვეყანას კოლხიდად მოიხსენიებენ“.

შენიშვნა: დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. I ს.), რომელიც ქსენოფონტეს ტექსტს მიჰყვება, **ტაოხების** ნაცვლად ახსენებს **ხაებს:** კარდუნები, არმენიელები, ხაები (ე.ი. ტაოხეები), ფასიანები, ხალდები, სკოტინები, მაკრონები, კოლხები, მოტივინოიკები, ტიბარენები (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.124); შდრ., ჰეკატაოს მილეტელი (ძვ.წ. 549-472) მოხსენსა და ბექედრებს შორის ასახელებს **ხოდებს;** რიზეს მახლობლად მცხოვრებ ხოდებს ჩვეულებრივ ტაოხოს შერყვნილ ფორმად მიიჩნევენ, მაგრამ ს. ყაუხჩიშვილის აზრით, მათი საცხოვრისი იმდენადაა დაშორებული ტაოხების საცხოვრისს, რომ ხოდებისა და ტაოხების იდენტიფიკაცია გაჭირდება (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.44).

კოლხები - ძვ. წ. XII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ ლურსმულ ტექსტებში დადასტურებულია კილხი და კულხა/კოლხა გეოგრაფიული ტერმინები, რომლებიც გაიგივებულია ბერძნულ-რომაული წყაროების **კოლხი** და **კოლხის** სახელწოდებებთან; იგ.ჯავახიშვილის აზრით, კოლხები ასურული წყაროების **კასკები** არიან (იგ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.30).

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია ნ.მარის აზრი, რომ კოლხთა პოლიტიკური გაერთიანება ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში (ძვ.წ. VII ს. 20-იან წლებამდე) იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, ცენტრით ჭოროხის ხეობაში; VII საუკუნიდან მისი ცენტრი გადადის დასავლეთ საქართველოში - რიონისპირეთში (გ.მელიქიშვილი, თ.მიქელაძე, ნ.ლომოური, მ.ინაძე; მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე: ო.ლორთქიფანიძე, 1986, გვ.68-69).

შდრ., ო.ლორთქიფანიძე, 1986, გვ.4: “არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ ბერძნული თქმულება მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან - ძველ კოლხეთთან, რომელიც დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს მოიცავდა...“ (აღრუულ გამო-

კვლევაში ო.ლორთქიფანიძეს საკამათოდ არ მიაჩნდა გ.მელიქიშვილისა და თ.მიქელაძის მტკიცებულებანი “არგონავტიკაში” წარმოდგენილი ქართველური სახელების ჭოროხის ხეობასთან კავშირის შესახებ; იხ., ო.ლორთქიფანიძე, 1966, გვ. 21, I შენიშვნა).

აკ. ურუშაძის და სხვათა ვარაუდით, თავდაპირველად, **ბერძნები კოლხეთში მთელ ქართველურ სამყაროს გულისხმობდნენ** (აკ.ურუშაძე, 1964, გვ.6). ურარტული წარწერებიცა და თანამედროვე არქეოლოგიური მონაცემებიც ცხადყოფს ამ აზრის სისწორეს (იხ. ქვემოთ, II თავი); ამკარაა, რომ **ძველი კოლხეთი** მხოლოდ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს არ მოიცავდა; კოლხეთის გაცილებით დიდი ტერიტორია (მტკვრის ზემო წელისა და ჭოროხის ხეობები) დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია მოქცეული; შდრ.: კოლხა/აია/ტაო.

ვარაუდობენ, რომ წერილობით ძეგლებში **კოლხიდა** ფორმის პირველი დამოწმება გვაქვს ძვ. წ. XIV საუკუნის B-ხაზოვან ტექსტებში **კოკიდა/კოკიდეო** ვარიანტების სახით (ლ. გორდეზიანი, 2004, გვ. 226-228). ბერძნულ წყაროებში ტერმინი “**კოლხიდა გაია**” უეჭველად დასტურდება ძვ. წ. VIII საუკუნის პოეტთან - ევმილე კორინთელთან; სავარაუდოა, რომ **კოლხიდის** პარალელურად ბერძნები იყენებდნენ ტერმინ **აიასაც** (არსებული მდიდარი ლიტერატურის მიმოხილვა იხ.: მ. ინაძე, 1955; გ. მელიქიშვილი, 1965; ნ. ლომოური, 1962; შ. ასათიანი, 1993; მ. ინაძე, 1993).

ფსევდო-სკილაქსის აზრით, კოლხებით დასახლებული ტერიტორია ვრცელდება დიოსკურიიდან მდინარე აფსაროსამდე ე.ი. სოხუმიდან ჭოროხამდე (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.84)... ფსევდო-სკილაქსის ცნობებს იმეორებს სკილაქს კარიანდელი (ძვ.წ. VI-V ს.).

ჰეროდოტე ამტკიცებდა, რომ კოლხები ეგვიპტიდან იყვნენ წამოსული; მისი აზრით, **სამხრეთის (მეწამული) ზღვიდან ჩრდილოეთის (პონტოს) ზღვამდე ცხოვრობდა ოთხი ტომი: სპარსელები, მიდიელები, სასპერები და კოლხები** (ჰეროდოტე, 1975, გვ.156, 262); ამკარაა, რომ აქ კოლხებიც და სასპერებიც უფრო ტომთა გაერთიანებების აღმნიშვნელია, ვიდრე ცალკეული ტომებისა (კოლხების შესახებ იხ. ივ.ჯავახიშვილი, 1950, გვ.12). ამას ადასტურებს ქსენოფონტეს მოგზაურობის დღიურებისა და ფსევდო-სკილაქსის ცნობების შედარება; კერძოდ:

ფსევდო-სკილაქსი ტრაპეზუნტისა და კერასუნტის მიდამოებში ასახელებს ზიქრებს, ეკექეირებს, ბექეირებს, მაკროკეფალებს და მოსინოკებს; ამავე პერიოდშივე ქსენოფონტე ტრაპეზუნტ-კერასუნტის რეგიონში ასახელებს მხოლოდ კოლხთა ტომს (თ.მიქელაძე, 1967, გვ.97); შდრ., აპოლონიოს როდოსელი (III ს.): “ქედმაღალ მეფეს ვერ უშველიან კოლხთა ტომები” (არგონავტიკა, 1975, გვ.113).

მითრიდატე-პომპეუსის ბრძოლებთან დაკავშირებით **კოლხებს** ახსენებს II საუკუნის მოღვაწე აპიანე (აპიანე, 1959, გვ.198); სავარაუდოა, რომ **კოლხებად** იგი მიიჩნევს ტომთა დიდ გაერთიანებას, რომლებიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ; შდრ., აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს **იბერები** სახელდებიან.

არიანეს მიხედვით, ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი არიან კოლხები; ამათ გვერდით არიან სანები (ქსენოფონტეს მიხედვით, იგივე დრილები), მაკრონები და ჰენიოხები (ბერძენი მწერლები... 1983, გვ.158).

დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას არიანე (II ს.) უკვე **ლაზების** სახელით იხსენიებს: “ლაზიკას ჩამოუღის მდინარე, სახელად რეონი, სადაც კოლხებს ძველად ციხე აუგიათ”... (ბერძენი მწერლები... 1983, გვ.188). ამ პერიოდიდან ერთმანეთს ხშირად ენაცვლება ტერმინები: კოლხი და ლაზი; მაგ., V საუკუნის ანონიმი ავტორი წერს: “დიოსკურიიდან ვიდრე აფსარის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომლებსაც კოლხები ეწოდებოდათ და მერე გადაერქვათ ლაზები” (გეორგიკა, 1965, გვ.6)...

იპოლიტე რომაელი (III ს.), ამიანე მარცელინე (IV ს.), ეპიფანე კვიპრელი (314-403) და მრავალი სხვა მოგვიანებითაც ტერმინ **კოლხებს** ირჩევენ, სხვები კი **ლაზებს** იყენებენ (იხ. ქვემოთ); მაგ., იოანე ლიდე (VII ს.) წერს: “კოლხიკეს ამჟამად ლაზიკეს ეძახიან ლაზების ჰეგემონობის გამო” (გეორგიკა, 1970, გვ.3; ს.ყაუხჩიშვილის კომენტარი); აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.): “ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას... ლაზები ამჟამებზე კოლხთა ძველი სახელით” (გეორგიკა, 1936, გვ.27, 50)...

შდრ., იოანე ცეცე (1110-1180): “კოლხები ინდოელი სკვიტები არი-

ან, მათ ლაზებიც ეწოდებოდათ და ცხოვრობენ აბაზგების, წინანდელი მასაგეთების მახლობლად“; “კვიტაია კოლხეთის ქალაქია, ხოლო კოლხები ლაზური ტომია, ცხოვრობენ აბაზგების მახლობლად“; კოლხებს აზიელი სკვითებიც და ლევკოსირებიც ჰქვიათ; ისინი ცხოვრობენ აზიის მხარეში მდინარე ფაზისის ირგვლივ“... (გეორგიკა, 1967, გვ.32, 36-37)...

შდრ.: II საუკუნის ალექსანდრიელი მოღვაწის - დინისიოს პერიეგეტის “დედამიწის აღწერილობის“ მიხედვით, კოლხები ევროპიდან მოსულნი არიან (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.93); ამ ცნობაში შეიძლება ასახული იყოს ევროპიდან პონტოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე **იბერიელთა** მოსვლის ლეგენდა.

შენიშვნა: ჰეკატაოსის “დედამიწის აღწერა“ ცხადყოფს, რომ ძვ.წ. VI ს. ბერძენთათვის ცნობილი იყვნენ შემდეგი ტომები: მელანქლადნები, კორაქსები, კოლები, მოსხები, ხოდეები, ბექედრები, დიქერები, მაკრონები, მარები, მოსინოდეები, ტიბარენები, ხალიბები. ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV) “პერიპლუსში“ კი შავი ზღვის სანაპიროზე მდ. დონიდან თანამედროვე თერმეჩაიმდე დასახელებულია შემდეგი ტომები: სავრომატები, მადოტები, სინდები, კერკეტები, ტორეტები, აქადები, ჰენიოხები, კორაქსები, კოლები, მელანქლადნები, გელონები, კოლხები, ბიქერები, ეკექედრები, ბექედრები, მაკროკეფალები, მოსინოდეები, ტიბარენები, ხალიბები (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43, 81-82). თ.ყაუხჩიშვილის აზრით, ჰეროდოტესთან ქართველ ტომებად მისაჩვენებია: კოლხები, სასპედრები, ხალიბები, მაკრონები, მოსხები, ტიბარენები, მოსინოდეები, მარები; მათი მონათესავე ტომები არიან: ალაროდიელები, მატინები. მოსხები და ტიბარენები ომში ერთ მეთაურს ემორჩილებოდნენ; მაკრონები და მოსინოდეები - მეორეს; მარები და კოლხები - მესამეს, ხოლო, ალაროდიელები და სასპედრები - მეოთხეს (ჰეროდოტე, 1975, გვ.27-28; იხ. აგრეთვე, თ.ყაუხჩიშვილი, 1955).

კოლხა უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართული პროვინციის **კოლას** სახელისგან (ი.ჯავახიშვილი, 1950, გვ.12):

კოლა/კოლ-ი - კოლ-ხ-ი; ქართულ წყაროებში ფუძე **კოლა** ადრიდანვე დასტურდება, ხოლო ქორონიმის მეორეული ვარიანტი **კოლხეთი** ქართულში ბერძნულის ანალოგიით გვიან იქმნება. შდრ., პატრიარქ ნიკონის მატრიანეში საქართველოს აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინია **კოლხეკია** (გ. პაიჭაძე, 1993). პ.ინგოროყვას აზრით, კოლხისგანაა ნაწარმოები ქლუხორი (კოლხორი > კლუხორი > ქლუხორი; შდრ., კოლა > კოდ-ორ-ი; პ.ინგოროყვა, 1954, გვ.143).

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან კერასუნტის რეგიონში, ჰალისისა (კიზილ-ირმაკის) და ჭოროხის აუზებში, თანამედროვე დასავლეთ საქართველოსა და მტკვრის ზემოწელის მხარეებში ჩამოყალიბდა ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომლის თავდაპირველი ბერძნული (?) სახელი შეიძლება ყოფილიყო აია (შდრ.: აიეტი; შდრ., აგრეთვე: დაიაენი, ტაო); შემდეგ ამ სახელს ჩაენაცვლა კოლხა/კოლხიდა.

ძვ.წ. XII-VIII საუკუნეებში ამ გაერთიანებაში ჰეგემონობდა კოლხების ძლიერი ტომი, რომლის სახელის მიხედვით აისახა ეს სახელმწიფო მეზობელი სახელმწიფოების დოკუმენტებში თუ ბერძენი მწერლებისა და მოგზაურობის მეხსიერებაში; იგი ამ პერიოდში უკვე მოიცავდა შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროს აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილის ჩათვლით (შდრ., გ.მელიქიშვილი, 1954, გვ.412)... მეტიც, როგორც ზოგი ბერძნული წყარო, ასევე, თანამედროვე არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფენ, რომ ე.წ. “დიდი კოლხური კულტურა“ მოიცავდა დღევანდელ ქართლსაც და ჩრდილო კავკასიის დიდ ნაწილსაც.

კოლები - კოლები პირველად დასტურდებიან ჰეკატაოს მილეტელთან (ძვ.წ. 549-472); ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) ცნობების მიხედვით, კორაქსები და კოლები დაახლოებით ბზიფის შესართავის რაიონში არიან საგულგებელი (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.83). ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნის ანონიმური პერიპლუსის ავტორი კოლების ქვეყანას - **კოლიკეს** ასახელებს, ერთი მხრივ, ჰენიოხების, კორაქსებისა და, მეორე მხრივ, მელანქლადინების, მაქლონების, კოლხების მეზობლად (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.105); შდრ., სტეფანე ბიზანტიელი: კოლები - ტომი კავკასიონთან; კავკასიონის ქვედა ფერდებს ეწოდება **კოლების მთები**, ქვეყანას კი **კოლიკე** ჰქვია (გეორგიკა, 1936, გვ.281).

ლოგიკურია დავუშვათ, რომ საქართველოს ისტორიული პროვინცია **კოლა**, ეთნონიმი **კოლ-ხ-ი/კოლ-ხ-ა** და კოლები/კოლიკე საერთო ფუძისგან წარმომავალი სიტყვები იყოს (შდრ., პ.ინგოროყვა, 1954, გვ.138: კოლხი და კოლაელები სინონიმებია); ასევე, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ტრაპიზონისა და ბიჭვინთის რეგიონებში ერთსა და იმავე დროს დაფიქსირებული **კოლხები** და **კოლები** მონათესავე ტომები არი-

ან. პ.ინგოროყვას აზრით, კოლასგანაა ნაწარმოები კლარჯი: კოლ-არ-ი > კოლარჯი (პ.ინგოროყვა, 1954, გვ.138); მას ახსნილი არა აქვს ჯ-ს წარმომავლობა, მაგრამ დაკავშირება სწორი ჩანს:

შეიძლება დავეშვათ, რომ *კოლარ- და დიალექტური კოლაჯ- (ზანურში ბუნებრივია რ > ჯ პროცესი სიტყვის ბოლოს: ხარი > ხოჯი, ქმარი > ქომონჯი...) ფორმების კონტამინაციით მივიღეთ კოლარაჯ- ფორმა, რომელმაც მოგვცა კლარჯ- ფუძე; ასევე, არაა გამორიცხული, -რ ფონეტიკურ ჩანართად მივიჩნიოთ: კოლარ- > კოლაჯ- > კლაჯ- > კლარჯ- (საკითხი შეიძლება კვლევას ითხოვს).

კორაქსები - ძვ.წ. VI საუკუნეში მოღვაწე ჰეკატაედოს მილეტელის ცნობით, **კორაქსები** კოლხური ტომია (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43).

სკილაქს კარიანდელი (ძვ. წ. VI-V ს.) კორაქსებს ასახელებს ჰენიოხების შემდეგ (თ. ყაუხჩიშვილი, 1967, გვ. 47). კორაქსებს ასხენებს ფსევდო-სკლაქსიცი (ძვ. წ. IV ს.); მისი აზრით, კორაქსები ცხოვრობენ ჰენიოხებზე სამხრეთით და კოლებზე ჩრდილოეთით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამათზე კიდევ უფრო სამხრეთით არის ტომი კოლხებისა და მის ტერიტორიაზეა დიოსკურისი. ასე რომ, ამ ავტორის თანახმად, კორაქსების ტომი თანამედროვე სოხუმზე უფრო ჩრდილოეთით არის ნავარაუდები (თ. ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.10). კორაქსები და კოლები დაახლოებით დღევანდელი ბზიფის (კლავდიოს პტოლემადოსის მიხედვით, მდინარე კორაქსის) შესართავის რაიონში არიან საგულვებელი (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 83; იხ. აგრეთვე ნ. ლომოური, 1963, გვ. 22).

შდრ., არისტოტელეს (ძვ. წ. 384-322) "მეტეოროლოგიაში" ვკითხულობთ:

"კავკასიონის ქვემოთ არის ტბა (კასპიის ტბა), რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ზღვას უწოდებენ. რადგან ამ ტბას მრავალი და დიდი მდინარე ერთვის და ცხადი გამოსავალი კი არა აქვს, იგი მიწის ქვეშ მიედინება კორაქსებისკენ და გამოდის პონტოს ე.წ. სიღრმეებთან (თ.ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.36); არისტოტელე არ საზღვრავს მათს საცხოვრის და არც მათ ეთნიკურობას, ვინაიდან, ჩანს, რომ მის მკითხველთუ მსმენელ საზოგადოებას ამისი საგანგებო ახსნა არ სჭირდებოდა" (თ.ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.10). სტეფანე ბიზანტიელი (IV-VII ს.) თავის "გეოგრაფიულ ლექსიკონში", ჰეკატეს "აზიის" კვალად, კორაქსებს მიიჩ-

ნევს კოლხურ ტომად (შდრ., მისთვის ლაზები სკვიტური ტომია; გეორგიკა, 1936, გვ.280-281); ამავე ავტორის მიხედვით, "კერკეტების ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ქარიმატები, ხოლო ქვემოთ ჰენიოხები და კორაქსები..." (გეორგიკა, 1936, გვ.289).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, **კორაქს-** ფუძე დაიშლება **კორ-** ძირად და **-ქს-** სუფიქსად, სადაც, -ქს- იგივე "საკვეცი" -ხ- არის, რაც გვაქვს კოლ-ხ-ფორმაში (ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.411).

ლოგიკურია კოლ-, კორ- ფუძეების, ასევე, **კოლხების, კოლაელეების, კორაქსების**, გვიანდელი **კლარჯების** საერთო წარმომავლობის საკითხის დასმა; ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ უკვე ჰეკატაედოსის დროს **კორაქსები, კოლები** და **კოლხები** მონათესავე, მაგრამ სხვადასხვა ტომები არიან; შდრ.: სხვა შემთხვევებშიც მონათესავე ქართველურ ტომებს ერთი ფუძიდან ნაწარმოები მსგავსი სახელები აქვთ (იხ.: სანი, ზანი, ჭანი... ხალიბი, ქალდი, ხალდი, კარდუხი...).

კარდუხები - ქსენოფონტეს ცნობით, ეს მეომარი და უბატონო ტომი ებრძვის როგორც ბერძნებს, ასევე სპარსელებსა და არმენებს; მათი საცხოვრისი ამ დროს მიუვალ მთებშია: "მოლაშქრებმა ტყვეებისგან გაიგეს, რომ თუ ისინი შეძლებენ კარდუხების მთების გადალახვას და მდინარე ტიგროსის სათავეებზე გადასვლას, მივლენ არმენიაში" (ქსენოფონტე, 1976, გვ. 63-66, 74-75).

კარდუხებით დასახლებული ტერიტორიის საზღვრებია: ჩრდილოეთით - თანამედროვე ბოტან-ჩაი, დასავლეთით - ტიგროსი, სამხრეთით - თანამედროვე ქურთისტანის მთიანეთის დასავლეთი ნაწილი.

ბერძნულ-რომაულ წყაროებში კარდუხების სახელის ვარიანტებია: **გორდუენოა** და **ჩორდუენი** (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 52). ტომი **კარდუენები** ამავე ტერიტორიაზე დასტურდება მოგვიანებითაც; იხ., მაგ., პეტრე პატრიკიოსი (VI ს.): რომაელებსა და სპარსელებს შორის მოლაპარაკების ერთ-ერთი სადავო საგანი იყო ქვეყანა **კარდუენე** (მას რომაელები ითხოვდნენ), რომელიც ტიგროსის სათავეებთან მდებარეობდა (გეორგიკა, 1936, გვ.193)...

კარდუ/კარდუ-ხ- ფუძესთან აკავშირებდა **ქართუ(-ელ-)** ფუძეს ივ.ჯავახიშვილი (1960, გვ.411-412); **კარდუ-** ფორმას **ხალდ-** ფუძისგან მო-

მდინარედ თვლის ა.სვანაძე (ა.სვანაძე, 1937, გვ.14); შდრ., უფრო ადრე, **ქართუ-ელ-** ფორმას **ქალდ-ე** (ქალდეა) სახელთან აკავშირებდა ილია ჭავჭავაძე: “ძალიან ჭკუასთან ახლოა და ადვილად საფიქრებელი, რომ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებული “ქალდი“, “ქალდისი“ იგივე “ქართლისი“ იყოს...” (ი. ჭავჭავაძე, 1941, გვ.376).

ქსენოფონტეს მიერ დადასტურებული **კარდუხები** მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ ქურთთა წინაპრებად მიიჩნევა; ამგვარ დაკავშირებას სხვები უსაფუძვლოდ თვლიან და **კარდუხებს** ქართველთა წინაპრებად მიიჩნევენ (მსჯელობისათვის იხ. ა.სვანაძე, 1937, გვ.14; შ.გაბესკირია, 2003). ვიქტრობთ, უფრო ლოგიკურია, ინდოევროპულ ტომებთან მებრძოლი **კარდუხები** და მათი მეზობელი **ხალდეები** მონათესავე ტომებად განვიხილოთ: ძველ ბერძნულ წყაროებშივე **ხალდეები** ქართველურ ტომად ითვლება (იხ. ქვემოთ), ხოლო ძველ სომხურში **kordu-k ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმი** (იხ. შ.გაბესკირია, 2003). პრობლემა შემდგომ კვლევას ითხოვს.

თაბალები, თობელები - ძვ.წ. IX-VII საუკუნეების ასურული წყაროების **თაბალის ქვეყანას** (თა-ბა-ლუ) მკვლევართა უმრავლესობა ანტიკური ხანის დიდ კაბადოკიაში ათავსებს; მაგ., ბ.ლანდსბერგერის ვარაუდით, **თაბალი** მდებარეობდა ძველი **მაზაკას**, დღევანდელი კაისერის რაიონში - სამხრეთ-დასავლეთ კაბადოკიაში; მიჩნეულია, რომ თაბალების სახელი ასახულია ბიბლიური ეთნარქის - **თუბალ-/თობელის** სახელში (შესაქმე, IV,22; X,2; XI, 28).

ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მტკიცებულებანი, რომ **თუბალ/თობალის** ჩამომავალი არიან ტიბარენები, ტიბარები, იბერები ანუ ქართველები (იოსებ ფლავიუსი, ვივიან დე სენ მარტენი, ნ.მარი, ი.ჯავახიშვილი, პ.ინგოროყვა... მსჯელობისათვის იხ.: ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.22-23; ს.ჯანაშია, 1959).

თაბალებსა და ტიბარენებს სხვადასხვა ხალხებად მიიჩნევენ ნ.ხაზარაძე (შდრ.: **თაბალი** - გვიანდელი ხეთური პოლიტიკური გაერთიანება მცირე აზიაში); მისი აზრით, ასურული **თაბალ-**, ძველებრაული **თუბალ-** და ძველ ბერძნულად ნათარგმნ ბიბლიაში დამოწმებული **თობელ-** შეუძლებელია ქართველური დიალექტური (შესაბამისად, ქართულ-სვა-

ნურ-მეგრული) ვარიანტები იყონ, ვინაიდან იდენტურ სახელთა მსგავსი ვარიანტულობა ხშირია ასურულ, ხეთურ, იეროგლიფურ-ლუვიურ, ძველ ებრაულ და ძველ ბერძნულ ენებში; მაგ., შდრ.: ასურული **გამირ-**, **მუშქუ** და ძველბერძნული **გომერ-**, **მეშეჰ-**; ხეთური **კუმმანი** და ასურული **კამმანუ**; ხეთური **თეგერმა** და ძველბერძნული **თოგორმა**...

ნ.ხაზარაძის ლოგიკური დასკვნით, “თაბალისათვის ნავარაუდევია ტერიტორია ძველთაგანვე ხეთურ-ლუვიური ტომების გავრცელების არეალში შედიოდა“ (ნ.ხაზარაძე, 1978, გვ.64, 82; ნ.ხაზარაძე, 2001; აქვე იხ. საკითხის შესწავლის ისტორია). საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თუ ბიბლიური **მეშეჰი** და **თობელი** სხვადასხვა ხალხების წინაპრებად ივარაუდებიან: ბიბლიის განმმარტებელი თობელის შთამომავალთ იბერებთან აიგივებენ, იმ იბერებთან, რომლებიც, ამავე დროს, მკვლევართა აზრით, ტიბარენების ჩამომავლები არიან. საინტერესოა ისიც, რომ ქალაქი **მაზახა/მაზაკა**, რომელიც **მუშქთა/მოსხთა** დედაქალაქად მოიაზრება, მასალობრივად ამკარად უახლოვდება ***მასხ-/მასახ-/მესხ-** ფუძეს; ნ.ხაზარაძის დასკვნით კი, სწორედ ამ ქალაქის სიახლოვეს ცხოვრობდნენ თობალებიც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების **თობელები/თეობელები** და ქართული თარგანების **თოვილები** სახელდებიან მხოლოდ ბიბლიურ კონტექსტში; კერძოდ: იოსებ ფლავიუსი (I ს.): “... თობელმა დააფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ“ (გეორგიკა, 1961, გვ.34; შდრ., XII საუკუნის ქართული თარგმანი: “დაამკვიდრებს უკუე **თოვილისსა თოვილთასა**, რომელნი აწ **ივირად** იწოდებიან“); ევსტათი ანტიოქელი (280-360): **ობელისგან** წარმოიშვენ **თეობელები**, დღეს რომ **იბერები** ეწოდებათ (გეორგიკა, 1961, გვ.34); ლეონ გრამატიკოსი (XI): “... თობელისგან - თობელები, ახლანდელი იბერები, მესოხისგან - მესხენები, ახლანდელი კაბადოკიელები“ (თ.ყუხუჩიშვილი, 1983, გვ.49)... შდრ., გიორგი სინგლოზი (VIII-IX): თობელისაგან წარმოდგნენ თეტალიელები, ხოლო მოსოხისგან - ილირიელები (გეორგიკა, 1941, 61-62)... ჩვენი აზრით, კვლევას ამ ეტაპზე უპასუხოა კითხვა: თაბალები ინდოევროპული ტომია თუ ქართველურ-კავკასიური?

ტიბარენები/ტიბარენი - ჰეკატაეოს მილეტელის (ძვ.წ. 549-472) მიხედვით, ტიბარენები ცხოვრობდნენ თანამედროვე ორდუს მიდამოებში (თ.ყაუხჩიშვილი, 1978, გვ.44). ჰეროდოტეს (ძვ.წ. 484 -425) ცნობით, მეფე დარიოსისგან (524-485) “მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინოძკებსა და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი“ (ჰეროდოტე, 1975, გვ.226).

ქსენოფონტემ (ძვ.წ. IV ს.) ტიბარენები ნახა მოსინოიკებს დამორჩილებული ხალხების მეზობლად, შავი ზღვის სანაპიროზე; მისი რწმუნებითაც ტიბარენების ქვეყანაში იყო ელინთა ახალშენი **კოტიორა/ორდუ** (თ.მიქელაძე, 1967, გვ.106-107). ფსევდო-სკილაქსი ტიბარენებს მოსინიკების მეზობლად ასახელებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 84-85).

აპოლონიოსი (ძვ.წ. 295-215) ტიბარენთა ქვეყანას ათავსებს ხალიბების (ხალდეების) ჩრდილოეთით (ა.როდოსელი, 1975, გვ.107).

სტრაბონის მიხედვით, ტიბარენები ტრაპეზუნტიისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ, ხალდ-ხალიბებსა და სანებთან ერთად (აქვეა მოსხური მთები, რომლებიც კოლხიდის ზემოთ მდებარეობენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 146).

დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. I ს.) ტიბარენებს ასახელებს მოსინოიკების შემდეგ: კარდუხები, არმენიელები, ხაები (ე.ი. ტაოხები - თ.ყაუხჩიშვილი), ფასიანები, ხალდეები, სკიტინები, მაკრონები, კოლხები, მოსინოიკები, ტიბარენები (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.124).

მაცხოვრის წყალობით ველურობიდან გამოსულ ტომთა შორის ასახელებენ ტიბარენებს ევსევი კესარიელი (260-340) და თეოდორიტი კვირელი (393-457).

შავი ზღვის სანაპიროების აღწერის დროს ამიანე მარცელინე (IV ს.) წერს: მდინარე ჰალისის აუზში ცხოვრობენ: ხალიბები (სტრაბონის აზრით, იგივე **ქალდეები**, რომლებმაც პირველად მოიპოვეს და დაამუშავეს რკინა), ბიზერები, საპირები, **ტიბარენები**, მოსინიკები, მაკრონები... “რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიან“ (გეორგიკა, 1961, გვ.110-111). სტეფანე ბიზანტიელის მიხედვით, ქვეყანა **ტიბარენია** არის პონტოში, ხალიბებისა და მოსინიკების მეზობლად (გეორგიკა, 1936, გვ.285)...

ბერძნულ-რომაულ წყაროებში არსადაა მითითებული, რომ ტიბა-

რენები და იბერები ერთი და იგივე ხალხია; ი. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას კვლევების შემდეგ **ტიბარებისა** და **იბერების** იგივეობა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებულია; ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია **ტიბერ-ენ-/ტიბარ- და იბერ-** ფუძეების საერთო წარმომავლობის დაშვებაც (ტიბერ-/ჰიბერ-/იბერ-?) და ამ ტომთა ნათესაობაც (და არა იგივეობა): ამკარაა, რომ ტიბარენებიც და იბერებიც ქართველურ ტომთა განსახლების ველში ცხოვრობენ და ისინი ქართველურ ტომებად უნდა მივიჩნიოთ.

სასპეგრები, სვისპირიტები, იბერები (იბერია/კავკასიის იბერია) - ჰეროდოტეს მიხედვით, **სასპეგრები** ცხოვრობდნენ კოლხიდასა და მიდიას შორის:

“კოლხიდიდან მიდიაში გადასასვლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპეირების ტომი“ (ჰეროდოტე, 1975, გვ.76). რამდენადაც ჰეროდოტესთან საერთოდ არაა ნახსენები იბერები, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სასპეგრები იგივე **ჰიბერები/იბერები** არიან (ი.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია...). ჰეროდოტესთანვე სასპეირები, მათიენები (მითანელები) და ალაროდიელები (ურარტუელები) გვერდიგვერდ მოიხსენიება; შდრ., ტომთა მეორე ჯგუფი: მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინოძკები და მარები (იხ. იქვე, გვ.227)... ეს ცნობები ხელს შეუშლის ჰიბერების, ტიბარენებისა და სასპეირების იდენტიფიკაციას; ტიბარენები და სასპეირები ამკარად სხვადასხვა ქართველური ტომია, ხოლო **სასპეგრებისა და იბერების** იგივეობის დაშვება შესაძლებელია; იხ., მაგ., ს.ჯანაშია:

სასპეგრებით დასახლებული ტერიტორია რომაულ ხანაში **სისპირიტად** იწოდებოდა; იგი მოიცავდა იბერია-ქართლის სამეფოს ტერიტორიასაც; მხოლოდ, მისი პოლიტიკური ცენტრი მცხეთა-არმაზის რაიონის სამხრეთით არის საძიებელი. სასპეგრ-იბერები ცხოვრობდნენ არაქსის ხეობაში, ჭოროხის ხეობის ზემოთა ნაწილშიც და ევფრატის სათავეებშიც (ს. ჯანაშია, 1952, გვ.21, 101; მსჯელობა იხ., აგრეთვე, ქვემოთ).

შდრ., ქსენოფონტეს მიერ დასახლებულ **ჰესპერიტებსა** და სტრაბონის **სვისპირიტებს** სასპეირებთან აკავშირებდა პ.ინგოროყვა (პ.ინგოროყვა, 1957, გვ.506-507; იხ., აგრეთვე, თ.მიქელაძე, 1967, გვ.145-146;

გ.ქავთარაძე, 1985, გვ.133-134).

გ.მელიქიშვილის აზრით, **სასპეარები** იგივე ტაოხები არიან (გ.მელიქიშვილი, 1959, გვ.268), თ.მიქელაძისა და ვ.ლიჩელის აზრით კი, დასავლურ-ქართული, კერძოდ, მეგრულ-ჭანური ენის მქონე ეთნიკური ჯგუფია (თ.მიქელაძე, 1967, გვ.129; ვ.ლიჩელი, 2001, გვ.23); აქვე აღვნიშნავთ, რომ ვ.ლიჩელის აზრით, სასპეარტებს უნდა შეექმნათ “პროტო-ქართული ასო-ნიშნები“, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნეში შევიდა კოლხეთსა და იბერიაში (იქვე, გვ.19-25).

ისტორიული დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ **სასპეარები/სვისპირიტები** კარდუხებისა და ტაოხების მეზობლად ცხოვრობენ; შდრ., ქსენოფონტეს ცნობით, ჰესპერიტები/ესპერიტები ფასიანთა მეზობლები არიან და ორივეს ერთი მმართველი - ტიბარიზი ჰყავთ (თ. მიქელაძე, 1955, გვ. 24-27); **ჰესპერიტები** ბერძნული Hespera-ს მიხედვით წარმოქმნილი წარმომავლობის სახელი ჩანს და **დასავლეთ** არმენიის მოსახლეობას აღნიშნავს (გ. ქავთარაძე, 1985, გვ. 132).

ვეიქრობთ, **ისტორიული ტომონიშებიც** (ტაო და სპერი/ისპირი) **ცხადყოფენ** ტაოხებისა და სპერების **ცალ-ცალკე არსებობას**; **შეუძლებელია** სპერების **მეტყველების გამოცხადება ლაზურ-მეგრულად**, რამდენადაც, პირველ რიგში, დასასაბუთებელია, საერთოდ იყო თუ არა ამ დროს **მეგრულ-ჭანური**; მეორეც, თუკი **კოლხური ტომები მხოლოდ მეგრულ-ჭანურად მოლაპარაკე მოსახლეობის წინაპრებია** და **ჰეროდოტეს მიერ დასახელებული მეორე დიდი ხალხიც - სასპეირებიც მეგრულ-ჭანურად მეტყველებენ**, კავკასიასა და წინა აზიაში **სხვა ქართველური ტომების ადგილი საერთოდ აღარ გვრჩება** (ჰეროდოტე: ზღვიდან ზღვამდე ცხოვრობენ: სპარსელები, მიდიელები, სასპეარები, კოლხები)...

სასპეირების გვიანდელ სახელად, სავარაუდოა, განზოგადდა ტერმინი იბერები, რომელიც ადრე ერთი პატარა ტომის სახელი უნდა ყოფილიყო.

ძვ.წ. IV-III საუკუნეების ისტორიკოს მეგასტენეს “ინდიკას“ მიხედვით, ნაბუქოდონოსორ II (ძვ.წ. 605-562) **იბერები** პირინეიდან აყარა და პონტოს მარჯვნივ დაასახლა; სავარაუდოა, ამ შემთხვევაშიც “იბერებში“ კოლხებიც იგულისხმებიან. სტრაბონის ცნობით (XI,2,18), იბერები

ცხოვრობენ კავკასიონიდან ვიდრე არმენიამდე და კოლხიდან (იბერების შესახებ იხ. ქვემოთ); იბერიაში არის პატარა ქალაქი ფრიქსიპოლოსი, გვიანდელი **იდესა** ანუ **ოდრხე**.

საყურადღებოა ტერმინ **იბერია**ს სპარსული ვარიანტები:

ძვ.წ. III საუკუნეში ძველ სპარსულად (პართულად) საქართველო (ივერია) იხსენიება როგორც **ვირშან/ვირჩან**, ხოლო საშუალო სპარსულში - **გ.რუჩან**; შდრ., შაპურ I სამენოვან წარწერაში სპარსულის პარალელურ ბერძნულ ტექსტში გვაქვს - **იბერია**ს (გ.წერეთელი, 1993, გვ.98).

სტრაბონის აზრით, იბერების მონათესავენი არიან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მკვიდრი **სარმატები და სკვითები** (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.145-149); შდრ., ამავე პერიოდში ბერძნები წერდნენ, რომ **მოსხების ქვეყნის ერთი ნაწილი აქვს იბერებს**.

სტრაბონის (და მითრიდატეს ისტორიკოსების) შემდეგ უცხოური წყაროები დღევანდელ აღმოსავლეთ და ისტორიულ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს, ძირითადად, **იბერიის/ივერიის** სახელით (ან მისი ფონეტიკური ვარიანტებით) მოიხსენიებენ; ამავე პერიოდიდან დასავლეთი და ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო **ლაზიკად** იწოდება. ისტორიული, თუნდაც **ფარნავაზისდროინდელი ქართლის ამგვარი დანაწევრების საფუძველია სპარსეთისა და რომის მიერ საქართველოს განაწილება და არა** საკუთრივ **ქართული რეალობა**.

ჩვენი აზრით, წელთაღრიცხვათა მიჯნიდან ტერმინები: **იბერია/იბერები და ლაზიკა/ლაზები** ბიზანტიურ წყაროებში პოლიტიკური ვითარების ამსახველი იყო და არა ეთნიკური სინამდვილისა; შდრ.:

იოსებ ფლავიუსისთვის ბიბლიური თობელის (თოვილის) კუთვნილი ტერიტორია არის იბერია/ივირი; კლავდიოს პტოლემეაოსი (100-178) კი იბერიის საზღვრებს ასე წარმოადგენს:

ჩრდილოეთით სარმარტია, დასავლეთით - კოლხიდა (სურამის ქედო), სამხრეთით - დიდი არმენია, აღმოსავლეთით - ალბანია (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.149).

აპიანეს (90-170) ცნობით, იბერებმა 70 000 კაცი დაახვედრეს პომპეუსს მტკვართან (აპიანე, 1959, გვ.199). დიონისიოს პერიეგეტის (II ს.) “მსოფლიოს აღწერილობაში“ თანამედროვე ჭოროხის ჩრდილო-აღმოსავლეთით კასპიისა და შავ ზღვებს შორის არსებულ ყელში ცხოვრობენ

აღმოსავლეთის იბერები; შდრ., მისი რწმენით, ჰენიოხები და ძიგები **პე-ლაზგების** ჩამომავლები არიან, ხოლო კოლხები - ეგვიპტელების (თ.ყაუხჩიშვილი, 1967, გვ.149-151). შდრ., სოკრატე სქოლასტიკოსი (380-440): “ეს იბერები ცხოვრობენ ეგვიპტის პონტოსთან; ესენი გამოსულები არიან ისპანიის იბერთაგან“ (გეორგიკა, 1961, გვ.229-230); შდრ., აგრეთვე, სტეფანე ბიზანტიელი: “იბერია ორია, ერთი ჰერაკლეს სვეტებთან, მდინარე იბერისაგან ატარებს სახელს; მას იხსენიებს აპოლოდორე... მეორე იბერია სპარსელების გვერდითაა. ეთნიკურია იბერები, როგორც პიერები, ბიზერები“ (გეორგიკა, 1936, გვ.278-279).

იპოლიტე რომელი (III ს.) იბერებს ათავსებს კაბადოკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეს:

“მარჯვენა მხარეებში ცხოვრობენ არმენიელები, იბერები და ბერანები, ხოლო მარცხენა მხარეებში, სკვითები, კოლხები და ბოსპორელები“ (გეორგიკა, 1961, გვ.19). შდრ., გელასი კესარიელი (IV ს.): “იმავე ხანებში ღმერთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც ღმერთი არ სწამდათ“ (გეორგიკა, 1961, გვ.186). იბერიის ამგვარ მდებარეობას ადასტურებს ეპიფანე კვიპრელი (314-403), თემისტიოსი (317-338), ევსევი კესარიელი (260-340), არმენიელი აგათანგელოსი (IV ს.), ამიანე მარცელინი (IV ს.), ერემია სოზომენე (V ს.), რუფინუსი (V ს.), თეოდორიტი კვირელი (393-458), მენანდრე პროტიქტორი (VI), გიორგი ამარტოლი (IX ს.).

განსაკუთრებით საყურადღებოა ნიკიფორე ქსანთოპულოსის (XIII-XIV ს.) ცნობა, რომელიც იბერიად მიიჩნევს დასავლეთ საქართველოს ნაწილსაც:

“იმ მხარეში, სადაც არის დიდი სებასტოპოლისი, აფსარის ციხე, პიისის ნავსადგური და მდინარე ფაზისი, მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები“; შდრ., აგრეთვე: “ხოლო იგი ანდრია წამოვიდა ამისოდან და მოვიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკას ქალაქში... იქიდან წამოვიდა და შეჩერდა იბერიაში; მას შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში“ (გეორგიკა, 1967, გვ.113-114); აქვეა ს.ყაუხჩიშვილის შემდეგი კომენტარი:

“ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ უაღრესად შემცდარია დღემდე მოქმედი თეორია დასავლეთ საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის შესახებ: დასავლეთ საქართველო დასახლებული იყო არა

მარტო მეგრულ-ჭანური ტომებით, არამედ იბერებითაც (გვ.117). შდრ., აგრეთვე, ლაონიკე ხალკოკონდილე (XV ს.): **იბერია** გადაჭიმულია ეგრეთწოდებულ **ბათუმიდან და მდინარე ფაზისიდან ვიდრე ახალციხემდე**; ისტორიკოსის აზრით, **იბერიაში შედის სამეგრელოც, გურიაც...** (გეორგიკა, 1970, გვ.91).

საყურადღებოა კიდევ ორი ცნობაც: სტრაბონთან დამოწმებული გადმოცემით (სტრაბონი, 1964, გვ. 473: XI, II, 19; თ.ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 126; შდრ., მიუშენკოს თარგმანი: სტრაბონი, 1879, გვ. 507), **ოქროს საწმისი აღმოსავლეთის იბერთა ქვეყანაში, კერძოდ, სვანთა მხარეშია**; ხოლო დედის მხრიდან აბაზგური (მეგრულ-ჭანური? - ტ.ფ.) წარმომავლობის იოვანე ცეცეს აზრით, **იბერების ტომისანი არიან აბაზგებიც** (გეორგიკა, 1967, გვ.23).

თუკი ვერწმუნებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მტკიცებებს (იხ.: ი. ჯავახიშვილი, 1908, გვ.23; ი. ჯავახიშვილი, 1950, გვ.18; ს.ჯანაშია, 1959, გვ.48) და დავუშვებთ, რომ ძველ ქართულ წყაროებში მოხსენიებული ქართული პროვინცია სპერი/ისპირი (შდრ., “ქართლის ცხოვრება“: მდინარე სპერი - ჭოროხი; სპერის ზღვა - შავი ზღვა), ჰეროდოტეს მიერ ნახსენები თემონიმი **სასპერები**, ქორონიმი **იბერია** და საქართველოს სპარსული სახელწოდება **ვირშან/ვირჩან** საერთო წარმომავლობის ფუძეებია, მაშინ იბერიის ქართულ ვარიანტად და, საერთოდ, წარმოდგენილ ვარიანტთა ამოსავალ სახედ უნდა დავსახოთ სწორედ **სპერი** (შდრ., **სპერი/ისპირი** ჭოროხის ერთ-ერთი სახელია; ს.ჯანაშია, 1952, გვ.274). შესაძლოა, დროის გარკვეულ მონაკვეთში, მეზობლებმა **სპერი** - ერთი ქართული მხარის/ტომის სახელი - განაზოგადეს ქართველთა ზოგად სახელად.

წარმოდგენილ ანალიზს მხარს დაუჭერს **სპერ-, იბერ- ბერ-, ვერ-...** ფორმების ფონეტიკურ ვარიანტებად მიჩნევის შესაძლებლობაც; კერძოდ: ლოგიკური სქემის მიხედვით, **სპერ-** ფუძისგან კანონზომიერად ქართულშივე შეიძლებოდა მიგველო, ერთი მხრივ:

სპერ > ძპერ > ძებერ/იბერ (ს > ძ > ი, ს > ძს/ძჰ და ს > ჰ > 0 პროცესები ბუნებრივია ქართველური დიალექტებისათვის), მეორე მხრივ:

სპერ > ჰპერ > ჰბერ > ბერ/ჰერ/ვერ/ვირ;

შდრ.: სპარსულ-სომხური ვარიანტები: ვერია/ვირქი/ვრკან/ვირ-

ქან/უარუჩან, გურგან, გურჩ/გურჯ (აქედან კი, აზიური თუ ევროპული სხვა ვარიანტები: გეორგია, ჯეორჯია, გურჯისტან, გრუზია; შდრ., აგრეთვე: არაბული წყაროების **ჯურჯანანი/ჯურჯანი** და საქართველოს ერთი ქალაქის, რაიონის სახელი - **გურჯაანი**).

შდრ., გ.წერეთლის (1993) მიხედვით, ქართველთა სპარსულ-სომხური სახელი მომდინარეობს საერთოინდოევროპული ფუძიდან, რომელსაც ძველ სპარსულში შეესაბამებოდა ვრკა > ვირმან > ვარუჩ > გურჩან > გურგან > გურჯ; აქედანაა ნაწარმოები არაბული, სირიული, რუსული, ინგლისური და სხვა ვარიანტებიც).

სპერ- > ბერ- > ვერ-/ვირ- გზის დაშვების შემთხვევაში ნათელი გახდება სომხურ **ვირ-ქ** ფორმაში **-ქ** სეგმენტის არსი:

სომხური **-ქ** მომდინარე ჩანს კავკასიურ-წინააზიური ენობრივ ველში გავრცელებული **-ხ-** მორფემიდან, რომელიც კრებითობა-წარმომავლობა-მრავლობითობას გამოხატავდა; შესაბამისად, ვირ-ქ-ი, შდრ.: იბერ-ნ-ი, იბერ-ებ-ი. სომხური ფორმის ამგვარ წარმომავლობას ცხადყოფს სომხურშივე დადასტურებული **ვერია** ფორმაც, რომელიც ჯერ კიდევ ფსევდო მოვსეს ხორენცის გეოგრაფიის მოკლე რედაქციაში დასტურდება.

შენიშვნა: პატრიარქ ნიკონის მატეანეში საქართველოს აღსანიშნავად ერთდროულად სხვა სამი ტერმინია გამოყენებული: კოლენკია/კოლოხ, ივერი და გურზი (გ.პაიჭაძე, 1993). საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ევროპაში საქართველოს სახელად აღრიდანვე იცოდნენ ბერძნულ-ლათინური (დასავლური) წარმომავლობის **კოლხიდაც, მოსოხიც, იბერია** (იხ., მაგ., გ.ზედგინიძე, 1993), მაგრამ, საბოლოო ჯამში, ევროპაშიც და რუსეთშიც საქართველოს სახელწოდებად დამკვიდრდა სპარსულ-არაბული (აღმოსავლური) ვარიანტი **გურჯ/ჯურჯ/ჯეორგ-** ფუძის სახით.

საპირები - საპირებს/საბირებს შუაგულ პონტოს მცხოვრებლებად თვლის სტეფანე ბიზანტიელი (გეორგიკა, 1936, გვ.284); შდრ., აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, **საპირებსა** და კოლხებს შორის მოსახლე ტომია ბიძერები (აპ. როდოსელი, 1975, გვ.91); საპირებიც იგივე **სა-სპეარების** მოდგმისანი ჩანან.

ქუთები, კოიტები/კვიტები - “ანაბასისის“ დასასრულს ქსენოფონტე ჩამოთვლის იმ ქვეყნების მმართველებს, რომლებიც ბერძენმა მოლაშ-

ქრებმა გაიარეს; აქვე ასახელებს იმ ხალხებსაც, რომლებიც თავისუფალნი არიან; მათ შორისაა კოდტები:

“კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, **კოდტები** და ტიბარენები დამოუკიდებელნი არიან“ (ქსენოფონტე, 1967, გვ.115).

პლინიუსი კოდტების ტომს **სავრომატების** სიახლოვეს ასახელებს. მ.მაქსიმოვა კი მათ მცირეაზიელ ხალხად თვლის.

თ.ყაუხჩიშვილი ამ ხალხს ქართული მოდგმისად მიიჩნევს და მის სახელად აღადგენს **ქუთ-/კვიტ-** ფუძეს, რომლისგანაც მიღებულად მიაჩნია **ქუთაისის** სახელიც (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.58-59).

საყურადღებოა, რომ მოგზაურობის აღწერისას ქსენოფონტე **კოდტების** შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ **მოსინიკებსა** და **ტიბარენებს** შორის ასახელებს ერთ ტომს, რომელიც ბერძენებისადმი მეგობრულად განწყობილია; მათაც ხალიბებს უწოდებს (შდრ.: მანამდე ქსენოფონტეს ჯარმა გამოიარა ბერძენთა მიმართ მტრულად განწყობილი, ტაოხების მეზობელი ხალიბების ქვეყანა). შესაძლოა, ქსენოფონტეს (ან მის რომელიმე რედაქტორს) მორჩილ-მეგობრული “ხალიბები“ და კოდტები ერთმანეთში აერია...

ასევე, ვერ გამოირიცხება, რომ **კოდტების** აღმნიშვნელ სახელთან იყოს დაკავშირებული ამავე ტერიტორიაზე არსებული ქალაქი **კოტიორა** (გვიანდელი ორდუ). აქვე აღვნიშნავთ, რომ ქუთაისის სახელის ყველა ვარიანტის მორფოლოგიური ანალიზი (განსაკუთრებით სვანური **ქუთაშ** << ***ქუთა-ში** << ***ქუთა-იშ-ი**) მხარს უჭერს ტობონიმის ფუძედ **ქუთა-ს** (ბერძნული ფორმით: კოტა/კოდტა) განხილვას (იხ. ქვემოთ).

პ.ინგოროყვას აზრით, შემთხვევითად არ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ერთმანეთს ემთხვევა ჯიქეთში მდებარე “ძველი ლაზიკის“ თემის სახელწოდება (**ქუთაისი/ქოთაში**) და ამჟამინდელი ქალაქის - ქუთაისის - სახელი.

ვეიქრობთ, **კოდტები** ფორმისთვის ამოსავალია ***ქუთები**; შდრ.: VI საუკუნის მოღვაწის - პროკოპი კესარიელის - ცნობით, ძველად ქუთაისს **კოდტაიონი** ერქვა; შდრ.: მ.ინაძის მიხედვით, **ქუთ-** ფუძიანი სახელი კოლხთა მიწას, მხარეს აღნიშნავდა (მ.ინაძე, 1994, გვ.64).

წარმოდგენილი **ქუთ-** ფუძე შეიძლება გაცილებით ძველი დროიდან

მომდინარეობდეს, კერძოდ, შეუსაბამობა არ იქნება, თუკი დავუშვებთ ვარაუდს, რომ ქუთ- ფუქე ძველი ხათების აღმნიშვნელი სახელის ფონეტიკური ვარიანტი იყოს: ხათ-/ქათ- > ქუთ- (შდრ.: *მას-ხ- /მოსხ-/მუსხ-...) საკითხს შემდგომი კვლევა ესაჭიროება.

მარები - ჰეკატაძის მილეტელთან (ძვ.წ. 549-472) დასტურდება მარების ტომი; **მარები** ცხოვრობენ მაკრონებსა და მოსინოძეებს შორის ტრაპიზონ-კერასუნტის რეგიონში (თ.ყაუხჩიშვილი, 1972, გვ.44); შდრ., გ. მელიქიშვილი: “მარები ცხოვრობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთში, ჩრდილოეთ ანატოლიის მთებში“ (გ.მელიქიშვილი, 1970, გვ.414). ჰეროდოტეს მიხედვით, მარებსა და კოლხებს ერთი მეთაური ჰყავდათ (ჰეროდოტე, 1975, გვ.435).

ბექეძეები - პირველად ჰეკატაძის მილეტელთან (ძვ.წ. 549-472) ვხვდებით ბექეძეებსაც; ბექეძეები სახლობენ ხოიებს (ტაოხებს?) და დიძერებს შორის რიზეს რაიონში; ბექეძეებს იცნობს ფსევდო-სკილაქსი (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43-44, 81-86), დიონისიოს პერიეგეტიც (III ს.) და მრავალი სხვა.

ჰალიძონები, ხალიბები და ხალდეები/ქალდეები - ჰალიძონების ტომი დასტურდება ჰომეროსთან; მათი ქვეყანა **ალიბე** შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეა საგულვებელი. სტრაბონის აზრით, ჰომეროსის **ჰალიძონები, ხალიბები და ქალდეები** (რომლებიც ცხოვრობენ ტრაპიზონტისა და ფარნაკიის ზემოთ), ერთი და იგივე ხალხია (XII, 3,19-24). ეს აზრი გაზიარებულია თანამედროვე მეცნიერებაშიც (იხ., მაგ., თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.34-35).

ანტიკურ წყაროებში ხალიბები კოლხურ ტომადაა მიჩნეული (საკითხის მიმოხილვისათვის იხ., რ.გორდეზიანი, 1966, გვ.267); აღსანიშნავია ისიც, რომ ხალიბები/ჰალიძონები გაიგივებული აქვს სტეფანე ბიზანტიელსაც (გეორგიკა, 1936, გვ.288); **ეს ტომები რკინის (ლითონის) დამუშავების პიონერებად მიიჩნევიან.**

ვარაუდობენ, რომ ურარტულ წყაროებში მოხსენიებული დიდი გაერთიანება **ხალიტუ** ხალიბთა ტომების სახელმწიფო იყო (ი.დიაკონოვი, 1952, გვ.111; თ.მიქელაძე, 1967, გვ.109). **ხალიბები** გაიგივებულნი არიან **ხალდეებთან**; ხალიბებს მოგვიანებით **ჭანებად** იხსენიებენ; მივყვეთ ისტორიულ ცნობებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით:

ჰომეროსი (ძვ.წ. VIII ს.): “ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოს მოჰყვნიენ ვერცხლის შორეულ საბადოდან - ალიბეს მხრიდან“ (ჰომეროსი, 1975, გვ.95). ტიბარენების მეზობლად ასახელებენ ხალიბებს ჰეკატაძის მილეტელი (ძვ.წ. VI ს.) და ფსევდო-სკილაქსი (ძვ.წ. IV ს.). ჰეროდოტეს მიხედვით, ხალიბები ცხოვრობენ მცირე აზიის ჩრდილო სანაპიროზე მისიებს, მარიანდინებსა და პაფლაგონელებს შორის (ჰეროდოტე, 1975, გვ.45, 660).

ქსენოფონტე (ძვ.წ. IV), სტრაბონისგან განსხვავებით, **ხალიბებსა და ხალდეებს** სხვადასხვა ტომებად მიიჩნევს, კერძოდ: ბერძენმა მოქირავნებმა ჯერ მძიმე ბრძოლებით გაიარეს **კარდუხების** ქვეყანა, შემდეგ მათ ვანის ტბის მეზობლად მცხოვრები **ხალდეები** შეხვდნენ, შემდეგ ასევე მძიმე ბრძოლებით გაიარეს ტაოხებისა და **ხალიბების** ქვეყნები და შემდეგ, კერასუნტსა და ორდუს შორის ისევ შეხვდნენ მოსინოძეებს და მორჩილებულ და ბერძენებისადმი კეთილგანწყობილ **ხალიბებს** (წყაროებისა და მსჯელობისათვის იხ. თ.მიქელაძე, 1967).

შდრ., სტრაბონი: “**ხალდეები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ**“ XI, 14,12; XII, 3,12).

ქსენოფონტე, როგორც თვითმხილველი, ბევრად სარწმუნო ცნობებს უნდა გვაწვდიდეს; ამდენად, ტერმინების: **ხალიბებისა და ხალდეების** სინონიმებად მიჩნევა გაჭირდება (შდრ.: ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.419; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.147), მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტი (912-959) ხალდიის თემის დედაქალაქად ტრაპეზუნტს ასახელებს (გეორგიკა, 1952, გვ.300).

უფრო ლოგიკური ჩანს, ვივარაუდოთ, რომ **ხალიბები და ხალდეები** უკვე ქსენოფონტეს დროს ორი სხვადასხვა, მაგრამ მონათესავე ქართველური ტომია; არ არის გამორიცხული, რომ მათი სახელები ერთი სიტყვის ვარიანტები იყოს; ამოსავალი ფუძე **ხალ-/ჰალ-** საგულვებელია ტოპონიმი **ხანძთაში** (< ხალდ-თა) და მდინარე **ჰალისის** სახელშიც; **ხალდ-, ჰალ-ის- და ხალ-იბ-** ფორმებში ქართველური ენობრივი სამყაროს გარეთ საკვლევი დარჩება მხოლოდ **-იბ-** სუფიქსის საკითხი, თუკი გამოირიცხება, რომ -იბ არ მომდინარეობს ქართველური -ებ- კრებითობა-მრავლობითობის სუფიქსისგან (*ხალ-ებ-ი > ხალიბი); შდრ.: ხალ-დ-/ქალ-დ- ფუძეში -დ-/ა-დ- წარმომავლობა-კუთვნილებითობა-კრებითობის ისეთივე მაწარმოებელი შეიძლება იყოს, როგორც -ლ-/ა-ლ-/ელ-, -ნ-

/-ან/-ენ-, -ს/-ის/-ეს- და სხვ. შდრ., აგრეთვე: ხარ- (ხარი) ფუძე და ხალ-
დ/ქართლ - მამრობითი ღვთაება (ფუძეთა მიმართება საკვლევია).

ხალდები/ქალდები ცხოვრობდნენ ვანის ტბის მიდამოებშიც; ურარ-
ტუს და ცემის შემდეგ ამ ტერიტორიის ნაწილი დაიპყრეს მოსულმა **არმე-
ნებმა**. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან ხალიბთა ცენტრი გადმოდის შავი-
ზღვისპირეთში.

ხალიბებს იაფეტის შთამომავალ ტომად მიიჩნევენ ბერძნული ტრადი-
ცია (იხ., მაგ., გეორგიკა, 1961, გვ.13). ხალიბებს მეომარ და რკინის დამა-
მუშავებელ ხალხად თვლიან აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი, დიონი-
სიოს პერიეგეტი (II ს.), ამიანე მარცელინე (IV ს.) და მრავალი სხვა.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება:

იოანე ცეცეს აზრით, სკვითური წარმოშობის ხალიბების ტომი
ცხოვრობს ტრაპიზუნტთან ძალიან ახლოს; მათთან მოიპოვება საუკეთე-
სო რკინა (გეორგიკა, 1976, გვ.27-37). აშკარაა, რომ ტერმინი **სკვითები**
ამ შემთხვევაში ან ქართველურ-კავკასიურ ტომებს მიემართება, ან უცხო
ტომთა ზოგადი სახელია (შდრ.: ბარბაროსი); რამდენადაც რომაულ-ბი-
ზანტიურ წყაროებში სკვითებად იხსენიებიან კოლხებიც, მონღოლებიც,
თათრებიც, ხვარაზმელებიც. ლოგიკურია სამეცნიერო ლიტერატურაში
გამოთქმული ვარაუდი, რომ სკვითები ზოგადი ტერმინია, მაგრამ გამოი-
ყენება არა საერთოდ არაბერძენთა, არამედ, მოცემულ კონტექსტში,
უცნობ ტომთა აღსანიშნავად.

ჩანს, მოგვიანებით, ზოგ უცხოურ წყაროში ტერმინები: **ხალდები**
და **ხალდია** განზოგადდა ქართველურ ტომთა ერთი ჯგუფის აღსანიშნა-
ვად; იხ., მაგ., იოსებ გენესიოსი (X ს.): “შემდეგ შექმნა სახელგანთქმული
საერთო ჯარი აგარიანთა, ინდთა, ეგვიპტელთა, ასირიელთა, მიდიელთა,
აბაზგთა, ჯიქთა, იბერთა, კაბირთა, სლავთა, ჰუნთა, ვანდალთა და გეტ-
თაგან და ყველა იმათგან, ვინც მანის მწვალელობას იზიარებდა, აგ-
რეთვე ლაზთა და ალანთაგან, **ხალდთა** და არმენიელთაგან და ყოველ-
გვარ სხვა ტომთაგან შექმნა ჯარი და მთელ აღმოსავლეთში გაბატონდა”.

შდრ., იოვანე საბანისძე: აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში)
შედის შავიზღვისპირეთი **ქალდიის ქალაქ ტრაპიზუნტიდან** ნიკოფსია-
მდე: “...საზღვარ არს ზღვად იგი პონტოდსად, სამკვდრებელი ყოვლადვე
ქრისტიანეთად, მისაზღვრამდე **ქალდიადსა**, ტრაპიზუნტიად მუნ არს,
საყოფელი იგი აფსარეადსად და ნაფსადს (ე.ი. ნიკოფსიის) ნავთსადღუ-

რი...” (ქართული პროზა, I, გვ.128-129); იხ., აგრეთვე: გეორგიკა, 1952,
გვ.232 და გეორგიკა, 1966, გვ.111 (ს.ყაუხჩიშვილის კომენტარი ანნა კომ-
ნენეს ცნობაზე, სადაც გაზიარებულია აზრი, რომ **ხალდები** ლაზურ-ჭა-
ნური ტომია).

შენიშვნა: ძვ.წ. VIII საუკუნის ეპიკოსის - ეგმელოს კორინთელის “კორინთია-
კაში” ნათქვამია, რომ ჰელიოსისა და ანტიოპეს ვაჟი აიეტი/აიეტესი იყო **პე-
ლაზური კორინთოს** (იმავე **ფიფრეს**) პატრონი; მას არ მოსწონდა კორინ-
თო, ამიტომ წაივლიდა კოლხეთში (შდრ., ბერძნული თქმულებით, იაზონთან
კონფლიქტის შემდეგ თავის მამისეულ სამემკვიდრეოში - კორინთოში -
ბრუნდება მელდეა). კოლხეთის მეფე აიეტის პელაზურ წარმომავლობას
ადასტურებს ეპიმენიდეს; კოლხებისა და პელაზგების ნათესაობის საკითხს
სპეციალისტებიც ნდობით ეკიდებიან (იხ.: აკ. ურუშაძე, 1964, გვ.21-26; გ.
ქავთარაძე, 1985, გვ.31...). ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით, აკ. ურუშაძე
ასკვნის: ბერძნული (ინდოევროპული) ტომების სამხრეთ ევროპაში ჩამოსახ-
ლების პერიოდში პელაზგი მაკრისელები-მაკრონები, სხვა პელაზგური ტომე-
ბის მსგავსად, ეგეოსის ზღვის რაიონიდან აყრილან და აღმოსავლეთით ჯერ
მარმარილოს ზღვის, შემდეგ კი შავი ზღვის სანაპიროებისკენ გამოიხიზნულან
და იქ ძველთაგანვე დამკვიდრებული ნათესავი ტომების მეზობლად დაბინა-
ვებულან (აკ. ურუშაძე, 1964, გვ.135); შდრ., აბ. როდოსელი: **მაკრიები** - ტო-
მი პელაზგური (აბ. როდოსელი, 1975, გვ.70); შდრ., მაკრისი (ეგბეი) კუნძუ-
ლია ეგეოსის ზღვაში. იხ., აგრეთვე, რ.გორდენიანი: ჰალიძონ-ხალიბებიც, პე-
ლაზგების მსგავსად, ეგეოსის ზღვის აუზიდან უნდა იყვნენ გადმოსახლებულ-
ნი. მათ ერთიანობას ტრასთან, ეტყობა, ჰალიძონთა და ეგეოსურ ტომთა
შორის არსებული ხანგრძლივი კავშირი განსაზღვრავდა (რ. გორდენიანი,
1970, გვ.168). **მაკრისელები-მაკრონები, ჰალიძონ-ხალიბები, ჰენილები**
(შდრ., დიონიოს პერიეგეტი: ჰენიოხები და ზიგიები - პელაგიდების ქვეყნის
შვილები) და სხვა ქართველური ტომები ოდითგანვე მკვიდრად ჩანან მცირე
აზიაში (არა მხოლოდ შავი ზღვის გასწვრივ!), ამდენად, ჩვენი აზრით, პელაზ-
გურ ტომებთან ერთიანობა-სიახლოვე შეპირობებულია არა ეგეოსის ზღვი-
დან ქართველურ ტომთა გადმოსახლებით (თუმცა ტომთა ერთი ნაწილის მი-
გრაცია, შესაძლოა, მართლაც მოხდა!), არამედ პელაზგურ და ქართველურ
ტომთა საერთო წარმომავლობით. ამ კონტექსტში უფრო ლოგიკური გახდე-
ბა ს. ყაუხჩიშვილის მიერ აღნიშნული ფაქტის კომენტირება: კოლხურ-კავკა-
სიური ხალხების მონათესავე ტროელებმა ელენე მოიტაცეს ადრე გაბატონუ-
ლი კოლხი მელდეას სანაცვლოდ (შდრ., რ.გორდენიანი, 1970, გვ.168).

მოსინოდეები, მასსინი/მოსსინები/მოსსინი, ჰებტაკომეტები - ჰე-
კატადოს მილეტელის თანახმად, მოსინოდეები ცხოვრობენ კერასუნტისა

და ფარნაკის მიდამოებში; ქსენოფონტეს ცნობით, მოსინოდეების ქვეყანა იყო მთავორიანი, მაგრამ მათ ზღვაც ჰქონდათ; მოსინოდეების მეზობლები აღმოსავლეთით იყვნენ კოლხები და დრილები, დასავლეთით - მათივე ქვემეგრდომები, ხალიბები (თ.მიქელაძე, 1967, გვ.97, 103-105; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43, 58). მოსინოდეებს ასახელებს ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს.), ფსევდო-სკილაქსი (ძვ.წ. IV ს.), ევდოქსე როდოსელი (ძვ.წ. III ს.), აპოლონიოსი (ძვ.წ. III ს.), ფსევდო სკიმნოს ქიოსელი (ძვ.წ. II ს.), დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. I ს.), დიონიოს პერიეგეტი (II ს.), ეპიფანე კვიპრელი (314-403), ამიანე მარცელინე (IV ს.), სტეფანე ბიზანტიელი (IV-VII ს.)...

მოსინოდეებზე ვრცლად მსჯელობს სტრაბონი; მისი აზრით, ხალიბების მეზობლები - **ჰებტაკომეტები** ცხოვრობენ ხის კოშკებში, ამიტომ მათ ძველად მოსსვინიკებს ეძახდნენ (მსჯელობისათვის იხ.: ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.419; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.146).

ბერძენი და რომაელი ავტორების რწმენით, მოსინოდეების სახელი მომდინარეობს ბერძნული მოსსუნ “ხის კოშკი” და ოიკოს “სახლი” სახელებისგან.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, “მოსსვინიკი” არის ქართველური წარმომავლობის სიტყვა: მო-/მა- თავსართია, სსვინ- იგივეა, რაც ჰან- (ჰანეთი) ფუძე, ხოლო -ი-კ- არის მრავლობითობის -ბ- სუფიქსის რეფლექსი (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.25; ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.405; იხ., აგრეთვე, თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 56, 133, 146; აქვე იხ. მსჯელობა მუშვან- და მოსვინ- ფუძეების შესაძლო კავშირის შესახებ). ივ.ჯავახიშვილის მსჯელობას აგრძელებს ს.ჯანაშია (1959, გვ. 31, 60); მისი აზრით, **სანიგ-** ფუძე ამოსავალია **მოსინიკ-** ფუძისათვის; ამ უკანასკნელში გამოიყოფა **მა-/მე-/მო-/მუ-** საერთოქართველური პრეფიქსი (შრდ. სვანური დიალექტების **მუ-/მგ-**), **სინ-/სან-** ძირი და **-იკ-** სუფიქსი. ქ. ლომთათიძე, იზიარებს რა ამგვარ ანალიზს, დამატებით არგუმენტად წარმოადგენს ქართველურ ენობრივ არეალში **ს-**ს გავლენით **გ-**ს **კ-**დ გამკვეთრების ლოგიკურობას (ქ. ლომთათიძე, 2000).

სახელწოდების ფუძის (სან-) ქართულობის გარდა, ნიშანდობლივია, რომ **მოსინოდეები** ქართველური წარმომავლობის ხალდებსა და კოლხებს შორის მტრობის გარეშე ცხოვრობენ (შრდ. კარდუხებისა და არმენების მძიმე თანაარსებობა). საყურადღებოა ისიც, რომ სტრაბონის

დროს ამ ადგილებში **ხალიბები** ჩანან (ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.419).

საკმარისი საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ: **მოსინიკებიც** ქართველურ-კავკასიური მოდგმის ტომია.

დიძერები, ბიძერები/ბიზერები, ბუზერები - ჰეკატაეოს მილეტელთან (549-472) დადასტურებული **დიძერები** ცხოვრობენ მდინარე ჭოროხის სამხრეთით, დაახლოებით მდინარე ორხოფიდან მდინარე არხავემდე (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.44). ქსენოფონტე ბიძერებს საერთოდ არ ახსენებს, ხოლო იქ, სადაც მან კოლხები ნახა (ტრაპეზუნტ-კერასუნტის მიდამოები), 50 წლის შემდეგ ფსევდო-სკილაქსი აღწერს ბიძერების ტომს, რომლებიც კოლხთა უშუალო მეზობლები არიან; თ.ყაუხჩიშვილის აზრით, ამ ცნობათა განსხვავებულობა შეპირობებულია იმით, რომ ქსენოფონტეს დროს კოლხების სახელი აერთიანებდა იქ მცხოვრებ წვრილ-წვრილ ტომებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.81-84).

აპოლონიოს როდოსელი **ბიძერებს** საპირებსა და კოლხებს შორის მოსახლე ტომად მიიჩნევს (აპ. როდოსელი, 1975, გვ.91); სტრაბონი მათ ჰებტაკომები-მოსინიკების გვერდით ათავსებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.146); დიონიოს პერიეგეტთან (II ს.) ბიძერები ბეჭირებისა და მაკრონების მეზობლები არიან (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.92). V საუკუნის ანონიმი ავტორი **ბიზერებს** ათავსებს აფსარის წყლიდან ვიდრე არქაბამდე (გეორგიკა, 1965, გვ.3).

თ.ყაუხჩიშვილის საყურადღებო შენიშვნით, ბიძერების სახელთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ტომონიმი **ვიწე**; შრდ., გ. მელიქიშვილს ამ ტერმინის დანაშთად მიაჩნია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული ოლქის სახელი **ოდრხე** (გ. მელიქიშვილი, 1970, გვ.382). ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია **ვიწ-** და **ბიძ-** ფუძეების კავშირი: ბიძ-ერ-; -ერ-/-არ- ქართველური კრებითობის სუფიქსია; შემდგომ დაკვირვებას საჭიროებს ბიზ-/ბიძ-, ბას-/ფას- (ფას-იან-ი) ფუძეთა მიმართება.

ბიძერების ქართველურ-კოლხური წარმომავლობა სადავო არ ჩანს. ჩვენი აზრით, ამ და სხვა შემთხვევებშიც საკამათოა დროის მოცემულ მონაკვეთში არსებული ყველა ტომის (ხალიბების, ტიბარენების, მოსვინიკების, დრილების...) მეტყველების მიჩნევა საკუთრივ ლაზურ-ჭანურად (შრდ., მაგ., ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.423). ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება ითქვას, რომ **ეს ტომები ლაპარაკობ-**

დნენ ძველ ქართველურ დიალექტებზე, რომელთა დიდი ნაწილი საერთოდ დაიკარგა, ნაწილი კი სხვადასხვა პლასტების სახით შემორჩენილია თანამედროვე ქართველურ დიალექტებში (მეგრულ-ჭანურში, სვანურში, მესხურში, მაჭახლურში, ტაოურში და ა.შ.).

ძიდრიტები - არიანეს მიხედვით, “მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან“ (ბერძენი მწერლები... 1983, გვ.158). ძიდრიტები პრიტანიდიდან (ფურტუნ-სუ) აფსაროსამდე ცხოვრობდნენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100); ნ.ლომოუჩის აზრით, ძიდრიტებს ეჭირათ დღევანდელი აჭარის ტერიტორია (ნ.ლომოუჩი, 1968, გვ.10).

არიანეს თხრობაში ფარსმანის სამფლობელოს შავ ზღვამდე გავრცობის აღიარება მეტყველებს, რომ ფარსმანის მიერ აღდგენილი ქართლი მოიცავდა შავიზღვისპირეთსაც.

მაკროკეფალები, მაკრონები - ჰეკატაეოს მილეტელი (549-472) მაკრონებს ასახელებს დიდერებსა და მარებს შორის; მისი აზრით, მაკრონები ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტის რაიონში.

ჰეროდოტეს (ძვ.წ. V) ცნობით, მაკრონები სირიელების მეზობლები არიან. ჰიპოკრატესთვის (460-356) ცნობილი მაკროკეფალები, იგივე მაკრონები, ცხოვრობენ ტრაპეზუნტისა და კერასუნტის მიდამოებში (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.63, 84).

ქსენოფონტე (435-355) მაკრონებს ასახელებს სკვითინებსა და კოლხებს შორის; მაკრონები და კოლხები სხვადასხვა ხალხია: მაკრონები ქსენოფონტეს ბერძენ მოლაშქრეებს ეხმარებიან, კოლხები კი - ებრძვიან; ქსენოფონტესვე ცნობით, ტერმინი **მაკრონი** ამ ტომის თვითსახელწოდებაა (ქსენოფონტე, 1967, გვ.86-87).

ჰეროდოტეს ცნობით, მაკრონებმა კოლხებისგან ისწავლეს წინადაცვეთა (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43, 52, 63; ჰეროდოტე, 1975, გვ.156); შდრ., მაკრონები იგივე სანები/ჭანები არიან (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100); შდრ., აგრეთვე, მაკრონებს აიგივებენ თანამედროვე მეგრელებთან. **ეგრ-** ძირთან აკავშირებენ პტოლემეაიოსის მიერ დადასტურებულ **ეკრიტიკე** ფუძესაც (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.55, 100)...

შეუძლებელია, **მაკრონ-** და **ეკრიტიკ-** ფუძეებით ნაწარმოები სახელები ერთსა და იმავე ქართველურ ტომს მიემართებოდეს ერთსა და იმავე ენასა და დროში, მით უმეტეს, მაკრონები ტრაპიზონში ცხოვრობდნენ, იმდროინდელი ეგრისი/ეკრიტიკეს ქვეყანა კი რიონსა და ლალიძგას შუაა; თუმცა, დასაშვებია ამ ფუძეთა საერთო წარმომავლობა (ოლონდ, არა როგორც ე.წ. ქართული და ზანური ვარიანტებისა!). თუმცა, თითქოსდა, წინააღმდეგობას ქმნის ის, რომ სხვა წყაროების მიხედვით, **ჭანები** აშკარად კოლხთა მემკვიდრენი არიან, აქ კი მაკრონები, სანები და კოლხები სხვადასხვა ტომია; ფაქტი ახსნადია: **კოლხი** ვიწრო გაგებით მხოლოდ ერთ ქართველურ ტომს აღნიშნავდა, ფართო გაგებით კი ბევრ ქართველურ ტომს აერთიანებდა.

შდრ., ფსევდო-სკილაქსი (ძვ.წ. IV ს.): ტრაპეზუნტი მაკრონების ელინური ქალაქია;

აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ. III ს.): “ფილირებს ზემოთ მაკრონებია, მაკრონებს იქეთ ბეჭირთა გვარი, შემდეგ საპირთა ტომი, მათ გვერდით - ბიდერები და ზემოთ - მეომარ კოლხთა ტომები“ (1975, გვ.90-91).

არიანეც სხვადასხვა ტომებად თვლის მაკრონებს, სანებს, კოლხებს, სანიგებს... (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99).

დიონიოს პერიეგეტი (II ს.) მაკრონებს ე.წ. პონტოელ ტომებში ასახელებს: ბიდერები, ბეგირები, მაკრონები, ფილირები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალიბები; ესენი ცხოვრობენ “ევქსინის პონტოს სანაპიროზე, ფასისიდან დასავლეთისკენ, ვიდრე თრაკიის სრუტემდე“; თ.ყაუხჩიშვილის შენიშვნით, დიონიოს პერიეგეტის აზრი ეფუძნება ძველ ცნობებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.92).

მაკრონებს ასახელებს ამიანე მარცელინეც (IV ს.): “შავი ზღვის ნაპირზე ხალიბების შემდეგ ვრცელი მიწები უჭირავთ... ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს... ხალხებს, რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიან“ (გეორგიკა, 1961, გვ.111).

მიუხედავად იმისა, რომ მემონსა და სტრაბონს **მაკრონების** გვიანდელ სახელად **სანები** მიაჩნიათ, არიანე მათ მაინც გვერდიგვერდ ასახელებს, როგორც სხვადასხვა ტომებს:

ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე) ცხოვრობდნენ: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილეები, აბასკები, სანიგები, ძილქები (იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99); თავად

არიანე სანებსა და ჭანებს მიიჩნევს სინონიმებად... ეს წინააღმდეგობრივი ცნობები, ერთი მხრივ, სათუოს ხდის მაკრონებისა და სან-ჭანების იგივეობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ცხადყოფს ამ ტომთა ნათესაობას.

V საუკუნის ანონიმი ავტორი, რომელიც არიანეს ეყრდნობა, **მაკრონების** ნაცვლად ასახელებს **მაქელონებს** (გეორგიკა, 1965, გვ.7-8): “ძველი აქეიდან ძველ ლაზიკამდე და მდინარე აქეუნტამდე (სოჭის მიდამოებში) უწინ ცხოვრობდნენ ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანხლენები, **მახლონები**, კოლხები და ლაზები, ახლა კი ცხოვრობენ ზიხები“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.130; აქვე იხ. აგრეთვე: მახერონ- და მანრალ- ფუძეები); მინაძის აზრით, **მახლონები** იგივე **მაკრონებია** (მინაძე, 1953, გვ.231-233).

მახლონ-/მაქელონ- და მაკრონ- ფუძეებს შორის დიდი მსგავსებაა და, შესაბამისად, მოსალოდნელია მათი მექანიკური დამთხვევა/აღრევა, თუმცა, შეიძლება ვილაპარაკოთ სახელთა ფონეტიკურ ვარიანტულობაზეც:

*მა-ქარ-ონ — მა-ხელ-ონ — მა-ქრ-ონ/მა-კრ-ონ-

საყრდენი ფუძეა *კარ-/ქარ-/კრ-/ხელ- (შდრ.: ქარ-თ-/კარ-დ-); **მა-** და **-ონ-** ქართველური აფიქსებია; შდრ., აგრეთვე, **მაკრიელები**: მა-კრ-იელ- (სქოლიასტის განმარტებით, **მაკრიელები** მაკრონები არიან; აპ. როდოსელი, 1975, გვ.70, 231).

ფასიანები - ამგვარი სახელწოდების ტომს ახსენებს ქსენოფონტე (ძვ. წ. V—IV ს.):

“...[სტრატეგოსები] მოვიდნენ ქსენოფონტთან და უთხრეს, რომ ისინი ინანიებენ [ყოველივეს]. ამასთან, გამოთქვეს აზრი, რომ უძვობესია ფასისისაკენ გაცურვა, რაკი ხომალდები არის, და **ფასიანთა ქვეყნის** დაპყრობა. იქ მაშინ აიეტის შვილიშვილი მეფობდა“ (თ.მიქელაძე, 1967, გვ.113); ტექსტის თარგმანისთვის შდრ., თ.ყაუხჩიშვილი: პაფლაგონიაში მყოფი მოქირავნეები ამბობენ: “ჩვენ გვაქვს ხომალდები, ამიტომაც უმჯობესია გავცუროთ ფასისისკენ და დავიპყროთ ფასიანთა ქვეყანა. იქ მაშინ აიეტის ჩამომავალი მეფობდა“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1983, გვ.125).

მდინარის სახელის მიხედვით ხალხის სახელდება (ან პირიქით!) უცხო არ არის ბერძნული სამყაროსთვის. ქსენოფონტესთან ფასისი

არაქსია (სხვაგან ფასისი ჭოროხიცაა, რიონიცაა)...

შდრ., ესქილე “განთავისუფლებულ პრომეთეოსში“ ევროპისა და აზიის საზღვრად ფასისს თვლის, ხოლო ფასიანები ტაოხების, ხალიბების და ჰესპერიტების (სვისპირიტების, სასპეირების) მეზობლები არიან. ფასიანებს ამავე ტერიტორიაზე ასახელებს დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. I ს.): კარდუხები, არმენიელები, ხაები (ე.ი. ტაოხები), **ფასიანები**, ხალდეები, სკოტინები, მაკრონები, კოლხები, მოსვინოიკები, ტიბარენები (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.124).

კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს.) ცნობების მიხედვით, არაქსი ფასისია, აქვეა ქართული (იბერთა) პროვინცია ფასიანი/ბასიანი (გეორგიკა, 1952, გვ.271-272).

ლოგიკური ჩანს ვარაუდი, რომ არაქს-ფასისის რეგიონში არსებული ძველი ტერმინი **ფასიანები** შემონახული იყოს ტოპონიმ **ბასიანის** სახით. თ. მიქელაძის აზრით, **ფასიანი ეთნიკურ-გეოგრაფიული ტერმინია**; მისი მტკიცებით, ერთი ხალხი - **ფასიანები** - ცხოვრობდნენ არაქსის სათავეებიდან კავკასიონამდე (თ. მიქელაძე, 1955, გვ. 35). **ფას-** ძირი ჩანს ამოსავალი **-ფსა** (< ფას-) მორფოლოგიური ერთეულისათვის: სუ-ფსა.

თუკი ფასიანებს მონათესავე ტომთა განზოგადებულ სახელად არ ჩავთვლით, ფასიანთა საზღვრების ამგვარი განსაზღვრა გაჭირდება (ამავე პერიოდში არაქსიდან კავკასიონამდე ათზე მეტი სხვა ტომი ივარაუდება!), მაგრამ საყურადღებოა თ.მიქელაძის დაკვირვება ბერძნულ მითოლოგიაში კოლხების ეთნარქოსის - კოლხის შესახებ; კერძოდ, **ეთნარქი კოლხი ფასისის შვილად არის მიჩნეული**, ფასისი კი წყლის ღვთაებაა (თ. მიქელაძე, 1955, გვ. 33-34). აქ საინტერესოა ის, რომ ბერძენთა ცნობიერებაში წყლის ღვთაება (შესაბამისად, მდინარეების აღმნიშვნელი სიტყვა) **ფასისი** და კოლხიდა (მხარე მდინარეებუხვი?) ფაქტობრივ სინონიმებადაა მიჩნეული, რაც ლოგიკურია, მაგრამ, ამის მიუხედავად, არა გვაქვს საფუძველი, რომ თუნდაც ქსენოფონტეს დროს არაქსიდან კავკასიონამდე არსებული ტერიტორია ერთი ქართული ტომის - ფასიან-კოლხების - საცხოვრისად გამოვაცხადოთ; როგორც აღვნიშნეთ, ამ რეგიონში გაცილებით მეტი ქართველური ტომი ცხოვრობს; მაგ., ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) მიხედვით: ბიძერები, კოლხები, გელონები, მელანქლადნები, კოლები, კორაქსები, ჰენიოხები, აქადები, ტარეტები,

კერკეტები... თავად ქსენოფონტე მხოლოდ არაქსისა და ჭოროხის ხეობაში ასახელებს: ტაოხებს, ხალიბებს, სკვითინებს; შდრ., არაქსიდან კავკასიონამდე არიანე (ახ.წ. II ს.): ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები...

ერთი რამ ფაქტია: **ფასიანები** და **კოლხები** სხვადასხვა ქართველურ ტომთა სახელებია, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთებში, სხვა თემონიმთა მსგავსად, განზოგადებული იყო ქართველური მოდგმის ხალხის აღსანიშნავად.

მელანქლაინები და გელონები - მელანქლაინების ტომი პირველად სახელდება ჰეკატაეოს მილეტელთან; ფსევდო-სკილაქსი (ძვ.წ. IV ს.) მელანქლაინებისა და გელონების ტომებს ათავსებს კორაქსებს, კოლხებსა და კოლხებს შორის; მელანქლაინების ქვეყანაში არის მდინარეები მეტასოსისი და ადგიპოსი.

თ.ყაუხჩიშვილის ვარაუდით, მელანქლაინები და გელონები ცხოვრობდნენ კორაქსსა (ბზიფს) და დიოსკურიას შორის (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.81-82; შდრ., ნ.ლომოური, 1963, გვ.22; შდრ., აგრეთვე: მიულერის, ტომაშევის, ჰერმანის და კისლინგის პოზიცია; ისინი ამ ტომთა საცხოვრისს დღევანდელ ოჩამჩირეში ათავსებენ, თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.86). ჰეროდოტეც (ძვ.წ. V ს.) იცნობს მელანქლაინებსა და გელონებს; მისი აზრით, მელანქლაინები არიან არასკვითური მოდგმის ხალხი; ისინი შავ ტანისამოსს ატარებენ, ამიტომაც ჰქვიათ მათ ეს სახელი (ჰეროდოტე, 1975, გვ.262-286).

რამდენადაც, ეს ორი ტომი ცხოვრობდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე კოლხებსა და კოლხებს შორის, ბუნებრივია მსჯელობა მათი ქართველური წარმომავლობის შესახებ; საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს; შდრ.: ჰეროდოტეს “სკვითეთში” მიჩნეულია, რომ გელონები წარმოშობით ელინები არიან; შდრ.: ოლბიელი ბერძნები გელონებს ბუდინებს (ცხოვრობდნენ დონის შუაწელზე, სავრომატების მეზობლად) მიაკუთვნებენ (ქსე, ტ. III, გვ.39).

ეკექედრები/ეკხირიელები, ეკრიკტიკე/ეკრექტიკე - ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) ცნობების მიხედვით, ეკექედრები ცხოვრობდნენ მდინარეებს: არქაბისსა და ოფიუნტს შორის; მათი საცხოვრისი ივარაუ-

დება ათინას (ფაზარის) რეგიონში; გ.მელიქიშვილი ამათ სახელწოდებას უკავშირებდა -ეგრ- (ეგრისი) ძირს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.84). შდრ., V საუკუნის პერიპლუსში დაცული ცნობა: “მდინარე არქაბიდან მოკიდებული ვიდრე ოფიუნტის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ეგრეთ წოდებული **ეკხირიელების** ტომი (ხოლო ამჟამად ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიოხები). აფსარის წყლიდან ვიდრე მდინარე არქაბემდე წინათ ცხოვრობდნენ ეგრეთ წოდებული ბიზირები; ამჟამად ცხოვრობენ ზიდრიტები“ (გეორგიკა, 1965, გვ.3).

ამჟარაა, რომ საქმე გვაქვს დაწერილობის მცდარ წაკითხვასთან: **ეკხირიელები და ეკექედრები** ერთი და იგივე ხალხია; აქვე განსახილველია ტერმინი **ეკრიკტიკე**, თუმცა, პტოლემეაიოსის მიერ დამოწმებული **ეკრიკტიკეს** ქვეყანა არის რიონის მიდამოებში (ამავე ტერმინს იმოწმებენ პომპონიუს მელა, პლინიუსი...). წარმოდგენილ სიტყვათა, აგრეთვე, მაკრონ-, მახერონ- მანრალ-, კერკეტ-, კეკრიტიკე- ფუძეთა ამოსავალ ფორმად განიხილება **ეგრ-** ძირი (ლიტერატურისა და მსჯელობისათვის იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.233, 257); **ეგერ-/ეგირ-** ფუძე მართლაც შეიძლება დავსახოთ **ეკექედრები /ეკხირიელები /ეკრიკტიკე /ეკრექტიკე** სიტყვების ამოსავლად, მაგრამ მაკრონ-, მახერონ- და მანრალ- ფუძეთათვის ამოსავლად მისი მიჩნევა გაჭირდება.

ჰენიოხები/ჰენიოქები - ძველი წყაროების მიხედვით, ჰენიოხები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე ცხოვრობენ, ხოლო შედარებით ახალი, I-II საუკუნეების ცნობების მიხედვით კი, ისინი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე - რიზე-აფსაროსის რეგიონში ჩანან; კერძოდ:

ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) ცნობების მიხედვით, აქაძები და ჰენიოქები თანამედროვე ტუაფსესა და გაგრას შორის უნდა ვივარაუდოთ, საიდანაც, შემდგომ, ჰიქების დაწოლის გამო, ისინი სამხრეთით გადაადგილდნენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.83; თ.ყაუხჩიშვილი, 1980); შდრ.: მ.ინაძე, 1955, გვ.13-17, სადაც გატარებულია აზრი, რომ კოლხთა გაბატონებამდე, ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში, ჰენიოხები ფლობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებს, კერძოდ, ჩილდირის ტბისა და ჭოროხის მიმდებარე ტერიტორიას; მ.ინაძისვე აზრით, **არგონავტები სწორედ ჰენიოხთა**

სახელმწიფოში მოვიდნენ; მათ სახელს ეთნონიმი კოლხები გვიან ჩაენაცვლა... კოლხების დაწოლით, ჰენიოხები გადაადგილდნენ ჩრდილოეთით.

არისტოტელეს აზრით (384-322), “ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანთა ტყავისგამხდელი ტომი, შემდეგ კი მილეტელები“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.19, 57, 73).

პლინიუსი (ძვ.წ. I ს.): “ამ მხარეში მთებს იქით მდებარეობს იბერია, ხოლო სანაპიროზე ცხოვრობენ ჰენიოხები, ლაზები...”.

სტრაბონი ვრცლად მსჯელობს ჰენიოხთა შესახებ; მისი რწმენით, კავკასიელი ჰენიოხები არიან ბერძენი (ლაკონელი) ჰენიოხების შთამომავლები, რომლებიც პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გადმოსახლდნენ იასონის ლაშქრობის შემდეგ და რომლებიც ზღვაზე მეკობრეობით ცხოვრობენ; მათ ჰყავთ 4 ბასილევსი (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.137).

კოლხთა მეზობლად ასახელებს ჰენიოხებს იოსებ ფლავიუსი (I ს.).

აფსაროსამდე (გონიომდე) ნახა ჰენიოხები არიანემ (II ს.); მისი ცნობით, ჰენიოხებსა და მაკრონებს ერთი მეფე ანქიალე ჰყავთ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.101).

აპიანე (II ს.) ჰენიოხებს ასახელებს მითრიდატეს მოკავშირეებში ტავრების, აქეელების, ლევკოსიერების, ხალიბების, სკვითებისა და არმენიელების გვერდით (აპიანე, 1959, გვ.23, 25, 144, 196).

V საუკუნის ანონიმი ავტორი, რომელიც არიანეს მიჰყვება, ჰენიოხთა ტომს ნარევად აცხადებს და მათ ასახელებს საკუთრივ კოლხების (აგრეთვე, სანებად ჩათვლილი დრილების) და მაქელონების შემდეგ, ზიდრიტებამდე და ლაზებამდე, ე.ი. შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (გეორგიკა, 1965, გვ.7-8). შავი ზღვის სანაპიროზე ასახელებენ ჰენიოხებს უფრო გვიანაც; II საუკუნეში ისინი მაკრონ-მახელონებთან ერთად რიზე-აფსაროსს შორის ქმნიან ერთიან სახელმწიფოს; IV-V საუკუნეებში კი შავი ზღვის სანაპიროზე ჰენიოხები აღარ ჩანან (თ.ყაუხჩიშვილი, 1980, გვ.68-71).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ჰენიოხი არის ვარიანტი სატომო სახელისა - “სანივი”; მაგ., ი.ორბელი და ნ.მარი ჰენიოხ-ფორმას განიხილავდნენ სან-/სანივ- ფუძეების პარალელურად და მათ სვანებად მიიჩნევდნენ; შდრ., სანებს, სანიგებს და ჰენიოხებს პ.ინგოროყ-

ვა და ს.ჯანაშია მეგრულ-ჭანებად მიიჩნევდნენ; იხ., მაგ., პ.ინგოროყვა, 1954, გვ.124, 135).

კისლინგი ჰენიოხებს სანებისა და ლაზების მონათესავედ თვლის და მათ ქართველურ ტომად მიიჩნევს; რაც მეტად საყურადღებოა, იგი სანებსა და ლაზებს კერკეტებთან (ჩერქეზებთან!) აკავშირებს, მიიჩნევს რა მათ ერთი წარმოშობის ხალხად (მიმოხილვისათვის იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1980, სადაც გაზიარებულია კისლინგის მოსაზრება).

ლინგვისტურ გამოკვლევებშიც **ჰენიონ-** ფუძე დაკავშირებულია **ჭან-** ძირთანაც: **ჭან-/ჰენ-** > **ჰენ-**; **ჰენ-** ფუძე **ჭან-**ის სვანურ ვარიანტად მიიჩნევა; ამოსავალ საერთოქართველურ ფორმად ივარაუდება ***წენ-** (ბ.გიგინეიშვილი, 1975).

წარმოდგენილ სახელთა დაკავშირება ლოგიკური ლინგვისტური წესებით ხდება, მაგრამ რთული წარმოსადგენია ჭანების სვანური სახელწოდების ურარტული სუფიქსით გაფორმება; ასევე, არალოგიკურია დასახელებულ ტომთა გაიგივება, ვინაიდან წელთაღრიცხვათა მიჯნაზე არიანეც, სტრაბონიც და სხვებიც გვერდიგვერდ და სხვადასხვა ტომებად ადასტურებენ ჭანებს/სანებს, სანიგებს, ჰენიოხებს და სვანებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ **ჭან-** და **ჰენ-** ძირებს შორის **ჭან-** ფორმის ძირითადობას ხელი შეიძლება შეუშალოს იმ ფაქტმაც, რომ ბერძნულ წყაროებში ჰენიონ- ძირი თითქმის 500 წლით ადრე ფიქსირდება, ვიდრე **ჭან-**; ჰენ- და ჭან- ფუძეთა საერთო წარმომავლობა შესაძლებელია, მაგრამ ფონეტიკური პროცესების სხვა გზა უნდა დავუშვათ (იხ. ქვემოთ).

ჩვენი აზრით, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ცალ-ცალკე ტომებად თუ თემებად არსებობდნენ ჰენიოხებიც, სანებიც, სანიგებიც, ჭანებიც... მათ კონკრეტული საცხოვრისი და თავიანთი სამეტყველო ენა/დიალექტი ჰქონდათ. ცხადია, დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი ქრება.

სანები, ჭანები - მემონისა (I ს.) და სტრაბონის (I ს.) მტკიცებით, “ისინი, ვინც წინათ მაკრონები იყვნენ, ახლა სანები არიან“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.22; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.94, 146, 233).

ჭანები პირველად მოიხსენიებიან არიანესთან (II ს.):

კოლხების მეზობლები არიან ჭანები, იგივე სანები; თ.ყაუხჩიშვილის დასკვნით, რამდენადაც არიანე იყენებს ოთხ პარალელურ ფორმას (სან-

ნოი, ტსანნოი, თიანნოი/ტიანნოი, ტუანნოი), ცხადია, რომ ბერძენს უჭირს ქართული ჭ-ს წარმოთქმა (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99-100).

არიანეს აზრს ეხმიანება დინისიოს პერიეგეტის (II ს.) კომენტატორის - ევსტათი ეპისკოპოსის (XII ს.) კომენტარიც:

“ძველ მაკრონებს ახლა სანები ეწოდებოდათ, რაც ადგილობრივი გამოთქმით “ჭანებს“ ნიშნავს (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.94); შდრ., პროკოპი კესარიელი: **ლაზები კოლხები** არიან“ (გეორგიკა, 1965, გვ.120).

ჩვენ უფლება არა გვაქვს, არ ვენდოთ თვითმხილველსა და მკვლევარს - პროკოპი კესარიელს: ლაზებისა და ჭანების გაიგივება მართლაც შეუძლებელია, ისინი უფრო მონათესავე ქართველურ ტომები არიან. ჭანებისა და სანების სახელთა დაკავშირება ალბათ რეალურია; შესაძლოა მათი საერთო წარმომავლობის მტკიცებაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ სომხური **ჭანივ-ჭანეთ-** ფორმის დამოწმებით **ჭან-** და **სან-** ფუძეების სინონიმურობა ნათლად და დასაბუთებული ბ.გ.გინეიშვილის მიერ (ბ.გ.გინეიშვილი, 1975).

არნ. ჩიქობავას ვარაუდით, **სანი** იგივეა, რაც **ზანი** (არნ.ჩიქობავა, 1936, გვ.3). ს. ჯანაშიას აზრით, ამოსავალია სან- ძირი, რომლის თავი-დური ბგერიდან ჩრდილოეთ სამეგრელოში წარმოიქმნა ზან-წან-, ხოლო სამხრეთ სამეგრელოში (ჭანეთში) - ჭან- (ს.ჯანაშია, 59, გვ.27-34).

ამიანე მარცელინეს “ისტორიაში“, ერთი მხრივ, ჭანების ქვეყანა, მეორე მხრივ კი - ლაზიკა არმენების მეზობლადაა; მემატეანის ცნობით, სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპა **ჭანების** ლეგიონის მეთაური ვეტრანიონი. ძველი კომენტატორები - ანრი ვალუა და ლინდენბროგი აღნიშნავენ: ამ კონტექსტში მოხსენებული **ძიანნი**, იგივე **ძანნი**, **თზანნი**, **შანნი** და **თჰანნი**, ლაზებისა და სომხების მოსაზღვრე ხალხია (გეორგიკა I, 1961, გვ.89, 124, 128, 161, 173); აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ქსენოფონტეს მიერ ნანახი ხალხებიც კარდუხების მეზობლად (იგივე არმენების მიერ დაპყრობილი მიწების!), მთებში ცხოვრობენ, შესაბამისად, შეიძლება დავუშვათ, რომ ხალხებიც და ჭანებიც კარდუხების მონათესავე თუ შემადგენელი ტომები არიან.

შდრ.: “ხალხები, რომლებიც ჩვეულებრივ ერთ-ერთ ჭანურ ტომად არის მიჩნეული, ასევე განთავისუფლებულან სპარსთაგან და ამ დროი-

სათვის არმენიელებთან და მარდებთან ერთად სპარსელი სატრაპის, ორონტას და მისი სარდლის - არტუხას მოქირავნეები არიან...” (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.53).

ამ თვალსაზრისით, მეტად ფასეულია მ. ხორენაცის ცნობა კეისარ ტაკიტეს მკვლევლობის შესახებ: “ტაკიტუსი თავისიანებმა მოკლეს პონტოელთა ჭანეთში, ესე იგი **ხალდეთში**“ (მოვსეს ხორენაცი, 1984, გვ.162, 277); შდრ., ს.ყაუხჩიშვილის თარგმანი: “ტაკიტე მოკლულ იქნა პონტოს პროვინცია **ჭანიუკში**, ესე იგი **ხალტიკში** (გეორგიკა, 1936, გვ.262, შენიშვნა). ჭანიკეს ქვეყანას პონტოში მოიაზრებს იოანე მალალაც (491-578): “იმავე ტაკიტეს მეფობის დროს მოხდა ომი პონტოში და თვით მეფე გაემართა იქ საომრად და ის მოკლული იქნა პონტოს ერთ ქვეყანაში ჭანიკეში...” (გეორგიკა, 1936, გვ.262).

პროკოპი კესარიელი ვრცლად მსჯელობს ჭანების შესახებ; იგი თვლის, რომ **ჭანები** არ არიან ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი; ჭანები - არაზღვისპირა ხალხი - ცხოვრობენ მთებში, შუახმელეთზე, არმენიელების გვერდით:

“...იმ ადგილების მარჯვნივ აღმართულია ჭანეთის მთები, რომელთა გადაღმა რომაელთა ქვეშევრდომები, არმენიელები ცხოვრობენ. ამ ჭანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე, სახელად - ბოასი, რომელიც მას შემდეგ, რაც გამოივლის მრავალ ჭალას, ლაზიკის სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ე.წ. ევქსინის პონტოს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება ბოასი, ვინაიდან, როდესაც ზღვის მახლობლად მიდის, იცვლის ამ სახელს... მას, სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები **აკამფსის** უწოდებენ...” (გეორგიკა, 1965, გვ.120-122).

შდრ., აგრეთვე: “არმენიის ადგილებიდან პერს-არმენიაში რომ მიდიხარ, მარჯვნივ არის ტავრი, მიმავალი იბერიაში და იქ მოსახლე ხალხებამდე, ხოლო მარცხნივ მეტად დაქანებული, დიდ მანძილზე გაჭიმული გზა არის და აღმართულია მეტად ციცაბო და მუდამ ნისლითა და თოვლით დაფარული მთები, საიდანაც გამოდის მდინარე ფაზისი და მიდის კოლხეთის ქვეყნისაკენ. აქ მოსახლეობს **ჭანების ტომი**, თავიდანვე ბარბაროსები, რომელნიც არავის ქვეშევრდომები არ არიან, წინა ხანებში **სანებად** წოდებული, ირგვლივ მოსახლე რომაელების მძარცველნი“ (გეორგიკა, 1965, გვ.53).

შდრ., აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.): “ამ დროს ჭანთა ტომი გახდა საზრუნავი. ჭანები ცხოვრობენ ევქსინის პონტოს სამხრეთით ქ. ტრაპეზუნტის ქვემოთ; თუმცა ეს ჭანები ძველითგანვე რომაელებთან დაზავებული და მათი ქვეშევრდომნი იყვნენ, მაგრამ მაშინ მათი ერთი ნაწილი წინანდელ მშვიდობიან წესებს იცავდა... უმეტესი მათგანი კი შექმნილი მდგომარეობით სარგებლობდა და ყაჩაღობას მისდევდა... თავს ესხმოდა არმენიასაც... ამიტომ მათ წინააღმდეგ იგზავნება თეოდორე, მათივე თვისტომი“ (გეორგიკა, 1936, გვ.181-182).

ლაზები და ჭანები სხვადასხვა ქართველური ტომია მოგვიანებითაც; კერძოდ, ტერმინ **ლაზიკას** გვერდით ბიზანტიურ წყაროებში (იხ. IX საუკუნის მოღვაწე კონსტანტინე პორფიროგენეტი; გეორგიკა, 1952, გვ.292) არსებობს **ჭანარია** (ჭანარის ერისთავები).

იხ., აგრეთვე, ნიკიფორე გრიგორასი (XIVს.):

XIV საუკუნის I ნახევარში ტრაპიზონის იმპერიაში მეფე ბასილის ქალიშვილსა და ცოლს შორის დაწყებული შინა ბრძოლების დროს **ლაზები, ჭანები** და ყველა სხვა ადგილობრივი თავიანთ მშობლიურ, კომუნენოსთა ოჯახიდან გამოსულ, დედოფალ ანა ხუთლუს აძლევდნენ უპირატესობას, პალეოლოგოსთა გვარიდან გამოსულ ირინესთან შედარებით (გეორგიკა III, 1967, გვ.146).

შდრ.:

ლაონიკე ხალკოკონდილე (XV ს.): “...**ჭანილებს** უჭირავთ კოლხიდის ადგილები ვიდრე ქალაქ ამასტრიამდე...” (გეორგიკა, 1970, გვ.107).

ს.ყაუხჩიშვილი: “ერთ-ერთი შესაძლებელი ახსნა (იმისა, თუ რატომ ვერ მოახერხა ბიზანტიის იმპერიამ, ისევე შეეერთებინა ტრაპეზონის სამეფოს ტერიტორია, როგორც ბიზანტიის იმპერიის დანარჩენი ტერიტორიები) ის იქნება, რომ ჩვენ ვაღიაროთ: “ტრაპიზონის სამეფოს” მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართული ტომისაგან - **ჭანებისაგან** - შედგებოდა“ (გეორგიკა, 1967, გვ.164).

შენიშვნა: V საუკუნის ანონიმი ავტორი იმეორებს არიანეს აზრს და ქსენოფონტეს **დრილებს** ხაზგასმით **სანებად** იხსენიებს; შემდეგ მათ კოლხებში აერთიანებს (ბერძენი მწერლები... 1983, გვ.158; გეორგიკა, 1965, გვ.7).

სანიგები/სანიხები/სანიკები - მემონის მიხედვით (I ს.) სანიგები ჩანან დიოსკურიის მიდამოებში ლაზებთან ერთად. აქვე ადასტურებს

მათ პლინიუსიც და არიანეც; მაგ., იხ. არიანე:

“ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე) ცხოვრობენ კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები“.

შდრ., არიანე: **ლაზები ცხოვრობენ ჰოროხიდან კოდორამდე**; კოდორის ხეობაში ცხოვრობენ აფსილები; აფსილების საცხოვრისი (კოდორის ხეობის) შემდეგ მდინარე შახმდე - **სანიგები**; სანიგების ტერიტორიაზეა ქალაქი სებასტოპოლისი (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.23, 99, 171-172). მეცნიერთა ნაწილი სანიგებს ზანებად მიიჩნევს, ნაწილი - **სვანებად** (მიმოხილვისათვის იხ. თ.მიქელაძე, 1974).

ჩვენი აზრით, სულაც არ არის აუცილებელი **სანიგების** გაიგივება ზანებთან თუ სვანებთან; სხვადასხვა ავტორთან სანიგები სანების, ლაზების და სვანების პარალელურად სახელდებიან და, ბუნებრივია, ისინი იმ ერთ-ერთ ქართველურ ტომად ჩავთვალოთ, რომელიც ან საერთოდ გაქრა ასპარეზიდან, ან სხვა ქართველურ ტომებს შეერწყა, ან აფსუა-აფხაზების მიერ ასიმილირდა.

იპოლიტე რომაელის (III ს.) ცნობით, კაპადუკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეებში ცხოვრობენ არმენიელები, იბერიელები და ბერანები, ხოლო მარცხენა მხარეებში - სკვითები, კოლხები და ბოსფორელები. “სანები, ეგრეთწოდებული სანიგები, რომლებიც გადაჭიმული არიან ვიდრე პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის პარემბოლე აფსაროსი [და სებასტოპოლისი], ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი, ვიდრე ტრაპეზუნტამდე ცხოვრობენ და გადაჭიმული არიან ეს ტომები“ (გეორგიკა, 1961, გვ.20).

შდრ., ევსევი კესარიელი (260-340):

“კაბადოკიის გადაღმა მარჯვნივ არიან არმენიელები, იბერები და ბერანები, ხოლო მარცხნივ - სკვითები, კოლხები და ბოსპორანები, აგრეთვე [სანები], რომელთაც სანიგები ეწოდებათ და რომლებიც ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლი [კაუსილიმანი], და მდინარე ფაზისი. ვიდრე ტრაპეზუნტამდე გადაჭიმული არიან ეს ტომები“ (გეორგიკა, 1961, გვ.31-32).

აფსილებთან, ბექქერებთან და ლაზებთან ერთად აბაზგიის მეზობლად მცხოვრები სანიგები სკვითურ ტომადაა ჩათვლილი სტეფანე ბიზანტიელის

(IV—VII) მიერ. შდრ., აგრეთვე, ბასილი სოფენელი (IX ს.):

“...რომაელთა თვითმპყრობელ ტრაიანეს დროს იქ, ვიდრე ლაზების და სანიგების ქვეყანამდე, დაფუძნებულ იქნა რომაელ ჯარისკაცთა რაზმები...” (გეორგიკა, 1952, გვ.201).

სამეცნიერო ლიტერატურაში სანიგი/სანიხი, ერთი მხრივ, მიჩნეულია ჰენიოხის ფონეტიკურ ვარიანტად, შესაბამისად, ჰენიოხთა მეორე სატომო სახელად (მართლაც, ჰენიოხებიც და სანიგებიც ერთ საცხოვრისში მოიაზრებიან), მეორე მხრივ კი, სანიგები და სანები ერთმანეთთანაა გაიგივებული.

რამდენადაც სანიგები, ჰენიოხები და სანები არიანესთან ერთდროულად სახელდებიან, თანაც, სანიგები და სანები სხვადასხვა ადგილზე ცხოვრობენ, უფრო ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ეს სამივე ქართველური ტომი დროის რაღაც მონაკვეთში დამოუკიდებლად არსებობდა. მათი ნათესაობის სამტკიცებლად საკმარისი ჩანს არა მხოლოდ მათი საცხოვრისის საერთო ქართველური ველი, არამედ მათ აღმნიშვნელ სახელთა საერთო წარმომავლობაც; შდრ.:

სან-/*ჰან- > ჰენ-: სან-ი, სან-ი-ხ-ი, სან-ი-გ-ი/სანიკი და *ჰენ-ი, ჰენ-ი-ო-ხ-ი; **ხ-/-გ-** კრებითობის სუფიქსია.

ნიშანდობლივია:

სანების, სანიგების და ჰენიოხების გაიგივებისა თუ ერთმანეთში აღრევის რომაულ-ბიზანტიური ტრადიცია ამ ტომთა საერთო წარმომავლობითა და ახლო ნათესაობითაა განპირობებული.

ლაზები - ბერძნულ-რომაულ წყაროებში ლაზებს პირველად ახსენებს მითრიდატეს ისტორიკოსი მემნონი (I ს.) თავის “ჰერაკლეს ისტორიაში” (და არა პლინიუსი, როგორც ზოგი ავტორი წერს); მემნონი ლაზთა საცხოვრისად მკაფიოდ განსაზღვრავს დიოსკურიის მიდამოებს (სოხუმი-ანაკოფიის რეგიონს); ლაზებთან ერთად მემნონი ასახელებს **სანიგებს/სანიგებს** (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.24; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.171-172).

არიანეს (95-175) ცნობით, არსებობდა ქალაქი **ძველი ლაზიკე**, რომელიც მან თავისი თვალით ნახა; მოგვიანებით ამ ქალაქს ნიკოფსიად მოიხსენიებენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99); აშკარაა, რომ ახალ წელთაღრიცხვამდე ლაზები დიოსკურიის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ.

არიანესთან ლაზები და კოლხები თანაარსებობენ და სხვადასხვა ტომები არიან (ძველი ბერძნები... 1983, გვ.159). არიანე (II ს.) თავის “პერიპლუსში” წერს: “ამჟამად ლაზებს უჭირავთ ტერიტორია ძიდრიტებიდან აბასკებამდე”; ე.ი. დაახლოებით ჭოროხიდან კოდორამდე (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.23; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100). “ლაზებს იქით ცხოვრობენ აფსილები, აფსილების მოსაზღვრეები არიან აბაზგები, აბაზგების მეზობლად არიან სანიგები, რომელთა ქვეყანაში მდებარეობს სებასტოპოლისი”; მაშასადამე, სებასტოპოლისი-ცხუმი აბაზგების ტერიტორიაზე კი არ ყოფილა, არამედ სანიგების ქვეყანაში...“ (გეორგიკა, 1952, გვ.235; ს.ყაუხჩიშვილის შენიშვნა).

შდრ., V საუკუნის “პერიპლუსის” ანონიმი ავტორი:

“ძველი აქეიდან ძველ ლაზიკამდე და მდ. აქეუტამდე (ეს კი არის სოჭიდან დაახლოებით 30 კმ.-ით დაშორებული - თ. ყ.) უწინ ცხოვრობდნენ ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანზლენები, მახელონები, კოლხები და ლაზები, ახლა კი ცხოვრობენ ზიხები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლეობად ჩანან **მახელონები** (კოლხები და ლაზები ჩვეულებრივ უფრო სამხრეთით იგულისხმებოდნენ ხოლმე), მაგრამ აქ ყველა ტომი ერთად არის ხსენებული ამ ნაკვეთზე; ასე რომ, აქ საგანგებო ვითარებაა (თ, ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.130). პერიპლუსის (V ს.) ანონიმური ავტორი აქვე წერს: “დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდ. აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი, კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახე-მეცვლილი” - ე.ი. ანონიმმა იცის ლაზთა და კოლხთა მიმართება, კოლხური და ლაზური სახელმწიფოების გავრცელების არე (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.105).

შდრ., არიანე: ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე, ამჟამინდელ ნოვომიხაღოვსკაამდე) ცხოვრობენ შემდეგი ტომები: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები. საკუთრივ ლაზები ცხოვრობდნენ აფსაროსიდან (გონიო თუ სარფი) დაახლოებით მდ. კოდორის (ძველი ჰოპოსი) შესართავამდე.

შდრ., სტეფანე ბიზანტიელი (IV-VII ს.): ლაზები - სკვითური ტომი, არის [პონტოში], აქვეა სოფელი “ძველი ლაზიკე”, როგორც ამბობს არიანე... (გეორგიკა, 1936, გვ.281).

ასტრონომიისა და გეოგრაფიის ფუძემდებელი კლავდიოს პტოლე- მაძოსი (100-178) კოლხიდას უწოდებს ტერიტორიას მდ. კორაქსიდან (ბზიფიდან) მდ. ფასისამდე (რიონამდე), სადაც ცხოვრობენ ტომები: **ლაზები, მანრალები და ეკრიკტიკის** (ეგრისის) ქვეყნის მცხოვრებნი; ამ კოლხიდის ჩრდილოეთით - სარმატიაში - ცხოვრობენ: აქადები, კერკე- ტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100, 160).

შემდგომ პერიოდში **ლაზები** უფრო აქტიურად იხსენიებიან; ტერ- მინი ლაზიკა უკვე პოლიტიკური ერთეულის სახელად ზოგადდება, რომელსაც ზოგ წყაროში **აფხაზეთიც** ენაცვლება; მაგ., ამიანე მარცელინე (IV ს.) წერს: იმპერატორი ვალენტი “დათანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდ. კიროსი (მტკვარი) დადებულიყო და სავრო- მაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) რგებოდა”; შაბურის “მოსვლით შეშინებულმა პაპამ და ასევე კილაკემ ...სცადეს შეეფარები- ნათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს [ე.ი. ჩვენს მიწებს] ლა- ზიკისაგან ჰყოფენ“ (გეორგიკა, 1961, გვ.90, 128).

შდრ., აგრეთვე, აგათანგელოსი (IV ს.): “წმინდა გრიგოლი... ზოგ [მღვდელს] გზავნიდა **იბერთა ქვეყანაში**, ზოგს **ლაზთა ქვეყანაში**.” სა- ინტერესოა არაბული თარგმანი, სადაც იბერიის ნაცვლად არის **misist ad Georgian**, ხოლო ლაზიკის ნაცვლად - **ad regionem Abchazorum** (გეორგი- კა, 1961, გვ.71)...

საყურადღებოა, რომ ეპიფანე კვიპრელი (314-403) ლაზებს სემის შთამომავლად თვლის (სემისა: კაბადოკიელები, ფინიკები, პონტოელე- ბი, მარმარილები... ხალიბები, ლაზები, მოსინიკები, იბერები, ფრიგიე- ლები...), ხოლო კოლხებს - იაფეტისად (იაფეტისა: მიდიელები, არმენიე- ლები, ამაზონები, კოლხები, კაბადოკიელები, ტიბარენები, ხალიბები, მო- სინიკები, კოლხები, სკვითები...); სემის ტერიტორიაში შედის: პალესტი- ნა, სირია, ევროპა, ლაზია, იბერია, კასპია... (გეორგიკა, 1961, გვ.39-41).

იხ., აგრეთვე, პრისკე პანიონელი (V ს.): “მის შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა...” (გეორგიკა 1961, გვ.254); პრისკე პანიონელი: “დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომ- თან რომაელებსა და ლაზებს, სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემა-

ტის (?) - ლაზთა სარდლის წინააღმდეგ“ (გეორგიკა, 1961, გვ.261-262).

ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი (IX ს.) ლაზიკის სამხრეთ-და- საავლეთ საზღვრად მიიხედავს ტრაპეზუნტს; კერძოდ, ირაკლი კეისრის ლაშქრობის აღწერისას ის წერს: “ირაკლიმ სცადა, ლაზიკის გზით შე- ჭრილიყო სპარსეთში; როდესაც მოაღწია ტრაპეზუნტამდე - ლაზიკის საზღვრამდე, მისმა ცოლმა შვა ძე“; 1042 წელს ქართულად გადმოღე- ბულ ამ ტექსტში **ლაზიკა თარგმნილია სამეგრელოდ:** “და მოაღწია რა ტრაპეზუნტედ - სანახებთა სამეგრელოდსათა...” (გეორგიკა, 1952, გვ.207-208). შდრ., აგრეთვე: ნიკეტა ხონიატეს (XII ს.) ბიზანტიის კეის- რის - მანუელის ტიტულებში შეაქვს: ლაზთა, იბერთა, ბულგართა, სერბთა... ღვთივმმართველი (გეორგიკა, 1966, გვ.131).

შდრ., თამარის ისტორიკოსი: 1204 წელს თამარმა ბერძენთა მეფეს წაართვა: ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია... (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ.141-142). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ მეფეებს ლაზეთი/ლაზია არასო- დეს უცვნიათ თურქეთის შემადგენლობაში (პ.ინგოროყვა, 2003, გვ.40).

რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში მიღებულია აზრი კოლხებისა და ლაზების იგივეობისა; შდრ., მაგ., იოანე ლიდე: “კოლხიკე, რომელსაც ახ- ლა ლაზიკეს ეძახიან...” (გეორგიკა, 1965, გვ.242); იოანე ცეცე: “კოლხები სკვითები არიან, მათ ლაზებიც ეწოდებათ და ცხოვრობენ აბაზგების, წი- ნანდელი მასაგეტების მახლობლად (გეორგიკა, 1952, გვ.7; თ.ყაუხჩიშვი- ლი, 1987, გვ.132)... მიუხედავად ამისა, არალოგიკურია, ვილაპარაკოთ ამ ტერმინთა სინონიმურობაზე, რამდენადაც ორივე გამოყენებულია რო- გორც ვიწრო ეთნიკური, ასევე, ფართო პოლიტიკური მნიშვნელობით; მით უმეტეს, შეუძლებელია, იდენტური იყოს მათი ზოგადი შინაარსი, ვინაიდან ძველი კოლხეთი გაცილებით ფართო არეალს მოიცავდა; ერთი კი უდავოა:

ლაზებისა და ჭანების წინაპრებიც, სასპეირებიც, ხალიბებიც, ხალ- დებიც, მუშქებიც და ბევრი სხვა ტომიც ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერი- ოდის კოლხურ თუ მოსხურ მოდგმად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამ ტომთა გაერთიანებას სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელი ერქვა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ლაზ- ფუძეს ფონეტიკური ვარიანტები არ უჩანს; თუმცა, განსა-

ხილველია მისი კავშირი, ერთი მხრივ - ლაშ-ხ-, მეორე მხრივ კი - რიზ-ე ფორმებთან; იხ., აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი (1960, გვ. 405): ლა-ზან-იკ-ა > ლაზიკა, სადაც ლა- სვანური მაწარმოებელია. დასაშვებია, რომ ლაზ-ფუძე უცხოური წარმომავლობისა იყოს (შდრ., ქართველური წარმომავლობის ეთნონიმებს ფონეტიკური ვარიანტები უდასტურდებათ).

აბაზები, აფხაზები, ებზეები/ობზეები, აბაზგები/აბასკები, აბაძა-ხები/აბაზანხები

აფხაზ- ფუძესა და მასთან ფორმობრივ-სემანტიკურად დაკავშირებულ ლექსემებს, აფხაზ და აბაზა ტომთა ისტორიას მრავალი მეცნიერი იკვლევდა; ბოლო პერიოდის შემაჯამებელი ხასიათის გამოკვლევები ეკუთვნის თ.გვანცელაძეს (თ. გვანცელაძე, 1993; თ. გვანცელაძე, 1998; თ. გვანცელაძე, 2004); აფხაზურ ენაში სუპერსტრატული ფენების გამოწვეული მისი შესწავლის შემდეგ იგი ასკვნის:

“დღევანდელ აფხაზთა წინაპრებს შავი ზღვის სანაპიროზე არ უცხოვრიათ ახ.წ. V საუკუნემდე; აფხაზთა თავდაპირველი სამშობლო **აფხანი** მდებარეობდა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, მდინარე ყუბანის აუზში. მისი ძირითადი მასა აქვე ბინადრობდა 1561 წლის ახლო ხანებამდე... თანამედროვე აფხაზური ეთნოსის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა (თვითსახელწოდებით – აფსუათა; ტ.ფ.) მოსვლამდე მცხოვრებ კოლხურ მოსახლეობას“ (თ.გვანცელაძე, 1998, გვ.60, 2004, გვ. 58-63). მისივე ვარაუდით, აფხაზურ-აბაზურ და ჩერქეზულ ენებზე აფხაზურ-აბაზურ ტომთა ერთობის თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო **აა-აბაზ-ა > აბაზა**; ამოსავალი ფორმაა ***აა-ფას-ა**, რომლისგანაც **-ჟა** სუფიქსითაა ნაწარმოები **აფსუა < *აა-ფას-ჟა** (თ.გვანცელაძე, 1998, გვ.38-39).

წარმოდგენილ საყურადღებო ნაშრომებში ჩვენთვის საკამათოა მხოლოდ ქართული **აფხაზ-** ფუძის წარმოქმნის გზა; კერძოდ, თ.გვანცელაძის აზრით, აფხაზ- ფუძე მომდინარეობს ჩერქეზული **აბაზა ხა** კომპოზიციისგან: აბაზა ხა “ქვემოური აბაზა“ (ჩერქეზ. “ხა“ ითარგმნება, როგორც **ქვემოური, ქვემოთა**): ჩერქეზ. **აბაზა-ხა/აბაზანა > მეგრ. აბხაზა > ქართ. აფხაზი** (თ.გვანცელაძე, 1998, გვ.38); ვფიქრობთ, უფრო ნაკლებწ-

ინალმდევობრივია **აბაზ-ხ-ი > აფხაზ-ი** გზის დაშვება, სადაც -ხ- კრები-თობის სუფიქსია. ჯერ მივყვეთ წყაროების ჩვენებას:

არიანე (II ს.): ტრაპიზონიდან ძველ აქაიამდე შემდეგი ტომები გავიარეთ: კოლხები, სანები (ქსენოფონტეს დრილები), მაკრონები, ჰენიონები, ძიდრიტები, ლაზები, **აფსილები, აბასკები**, სანიგები, ძილქები; “ლაზების მეზობლები **აფსილები** არიან; მათმა მეფემ - იულიანემ მეფობა შენი მამისგან მიიღო. **აფსილების** მეზობლები **აბასკები** არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან“ (ბერძენი მწერლები... 1983, გვ.158-159). აბასკები სანიგებს ზემოთ, მთებში სახლობენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100-101); ამავე კონტექსტში **აბაზგებს** ახსენებენ V ს. მოღვაწე თეოდორიტე კვირიელი (გეორგიკა, 1961, გვ.227), V ს. ანონიმი ავტორი (გეორგიკა, 1965, გვ.8), სტეფანე ბიზანტიელი (გეორგიკა, 1936, გვ.284) და სხვები. შდრ. აგათანგელოსის ტექსტის არაბულ თარგმანში ლაზთა ქვეყანა **Abchazorum**-ად ითარგმნება (გეორგიკა, 1961, გვ. 71).

მოგვიანებით ფართოვდება ტერმინ **აბაზგიით** მოაზრებული ტერიტორია; მაგ., ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი (912-959), თავის შვილს აცნობს რა ბიზანტიის მეზობელ თუ დაპყრობილ ტომებს, აბაზგიის შესახებ ამბობს:

“ჯიქეთის საზღვრების შემდეგ, ესე იგი, მდინარე ნიკოფსიდიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი ვიდრე სოტერიუპოლისამდე, 300 მილის მანძილზე უჭირავს აბაზგიის ქვეყანას“ (გეორგიკა, 1952, გვ.233). ნიკოფსიის ლოკალიზება არ ჭირს, მაგრამ საკამათოა სოტერიუპოლისის საკითხი; ზოგი მას ბიჭვინთად მიიჩნევს, ზოგი - სოხუმად (საკითხის მიმოხილვისთვის იხ. ს. ყაუხჩიშვილის მსჯელობა, იქვე, გვ.231-235).

ჩვენი აზრით, რამდენადაც, X საუკუნეში **აბაზგიის** სახელით, არა-იშვიათად, მთელი დასავლეთ საქართველო მოიხსენება, აბაზგიის სამხრეთ საზღვრად ნათქვამი ქალაქი სოტერიუპოლისი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე უნდა ვეძიოთ ნიკოფსიდიდან დაახლოებით 300 მილის მანძილზე. X საუკუნის შუა წლებში ქართული წყაროების აფხაზეთის სამეფო (გაერთიანებული დასავლეთ საქართველო, ცენტრით ქუთაისში) ფაქტობრივად დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტია; იგივე კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი, როცა თავის შვილს ასწავლის უცხოელთათვის მიმართვის წესებს, იბერიის (ტაო-კლარჯეთის!)

კუროპალატსა და აბაზგიის მთავარს ერთ რანგში განიხილავს (გეორგიკა, 1952, გვ.293); აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდის ქართული წყაროები აფხაზეთს საქართველოს ერთ-ერთ ქვეყანად - “ჩუენს ქუეყანად” თვლის.

ს. ჯანაშიას რედაქტორობით გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში იყო ასეთი ფრაზა: “აფხაზთა ერისთავმა ადვილად დაიპყრო ეგრისი და არგვეთი...”; პავლე ინგოროყვამ შემდეგი მართებული კომენტარი გააკეთა: პირველწყარო “მატიანე ქართლისაჲში” პირდაპირ აღნიშნულია, რომ აფხაზთა ერისთავი ლეონ განუდგა ბერძენებს და “დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა”; ე. ი. აფხაზთა ერისთავმა აფხაზეთიდან კი არ დაიპყრო ეგრისი, არამედ, განუდგა რა დამპყრობელს, ორივეში გაბატონდა და დედაქალაქად ქუთაისი აირჩია... (პ. ინგოროყვა, 1954, გვ.115-116); **სწორედ ამ დროიდან დასავლეთ საქართველოს სახელად დამკვიდრდა აფხაზეთი.**

საერთოდ, ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ასეთი გამონაკლისები ყველა ქართულ სამთავროს ჰყავდა), **აფხაზეთის მეფე-მთავრები** ზოგადქართველური ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი საქმის მოთავეები იყვნენ; მათი მოღვაწეობითაც ჩანს, რომ რუსეთის იმპერიის კავკასიაში გააქტიურებამდე **აფხაზები სხვა ქართველური თემებისგან თვისობრივად არ განსხვავდებოდნენ.**

აფხაზეთი და ეგრისი - “ქართლის ცხოვრების” მიხედვით ცნობილი ეს ორი ქართული კუთხე - გორგასლის მეფობის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილს მოიცავდა, რომელიც დაპყრობილი არ ჰქონდა ბიზანტიას; ჩანს, აფხაზეთი იყო ციხეგოჯამდე, ეგრისი კი - ციხეგოჯიდან ლიხამდე; შდრ.: “მასვე ჟამსა გამოვიდნენ ბერძენნი აფხაზეთად... და დაიპყრეს ეგრისწყლიდან ვიდრე ციხეგოჯამდე” (ქ.ც., 1955, გვ.146,4-5); შდრ., იქვე, გვ.157, 19: დაპყრობილ აფხაზეთში ბიზანტიელების მიერ მმართველად დასმული იყო ლეონ, რომელიც “უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა, და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს; და [ვახტანგ გორგასალმა] სამ წელ წარტყუნნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე”. ე.ი. გორგასალმა შემოიმტკიცა ბერძენთაგან ახალდაპყრობილი ქართული ქვეყანა - აფხაზეთი.

აქვე აღვნიშნავთ:

ფარნავაზისა და ქუჯის ამბების თხრობის დროს მემბტიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეგრისწყალს მარჯვნივაც ქართველები ცხოვრობდნენ: ეგროსს ერგო ტერიტორია ლიხიდან ვიდრე მდინარე ხაზარეთისწყლის (ყუბანის) შესართავამდე (ქართლის ცხოვრება, გვ.5,12-15), მაგრამ ბერძნებთან ომის შემდეგ “ეგრის წყალს ქუემოთა დარჩა ბერძენთა, რამეთუ **მკვიდრთა მის ადგილისათა** არა ინებეს განდგომა ბერძენთა” (იქვე, გვ.24, 1-2).

ლოგიკურია, ვთქვათ, რომ ქართულ წყაროებში, თავდაპირველად, ეგრისი მოიცავდა აფხაზეთსაც; მომდევნო პერიოდში ორივე სახელი რეალურად თანაარსებობდა - მეზობელ მხარეებს აღნიშნავდა, შემდეგ საერთო სახელად აფხაზეთი განზოგადდა; ისტორიული ეგრისის აღსანიშნავად ოდიში და სამეგრელო შედარებით გვიან დამკვიდრდა.

აფხაზეთის ბიზანტიური ვარიანტი იყო **აბაზგია**:

შდრ.: საქართველოს გაერთიანებამდე არსებობდა აბაზგიის ეპარქია, რომელიც ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს (გეორგიკა, 1952, გვ.129, 137-138)...

კეისარ კონსტანტინეს დროს აფხაზეთის მეფეები იყვნენ გიორგი II (912-957), ლეონ III (957-967); შემდეგ იყო თეოდოს III (975-978). თეოდოსის ტახტიდან გადაყენების შემდეგ 978 წელს დავით III ბაგრატიონი (კუროპალატი) აფხაზეთში ამეფებს მკირეწლოვან ბაგრატს. სწორედ ამ პერიოდში ეყრება საფუძველი დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ **საქართველოების (!)** გაერთიანებას; დიდი საქართველოს აღორძინების გამორჩეული ორგანიზატორი იყო **აფხაზეთის ერისთავი იოვანე მარუშისძე.**

შდრ.: 1008 წელს აღდგენილ-გაერთიანებული დიდი საქართველოს პირველი მონარქი ზღვბა **აფხაზთა მეფე** ბაგრატის, შემდგომში ბაგრატ მესამედ წოდებული (რომლის შვილი გიორგი I თავისი სამშობლოს დამპყრობელი ბიზანტიის დაუძინებელი მტერი იყო). შდრ., აგრეთვე, იოანე ზონარას (XI-XII) “მსოფლიო ქრონიკაში” მოთხრობილი ამბავი (გეორგიკა, 1966, გვ.233-239; ტექსტს ვიმოწმებთ ს.ყაუხჩიშვილის თარგმანისა და კომენტარების მიხედვით):

ბარდა ფოკასა და ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ ბიზანტიის მეფე ბასილი გაემართა იბერიაში, სადაც მოაწესრიგა ის სადავო

საკითხები, რომლებიც გაჩნდა იბერიის კუროპალატ დავითის გარდაცვალების გამო და წავიდა ფინიკიისკენ... შემდეგ მობრუნდა და გაილაშქრა აბაზგიის წინააღმდეგ, ვინაიდან მისმა მპყრობელმა გიორგი I დაარღვია ბიზანტიასთან დადებული ხელშეკრულება... ფიცხელ ომში დამარცხდა აბაზგიის მთავარი გიორგი, შიდა იბერიისკენ გაიქცა და ზავი ითხოვა; მან მძევლად მისცა თავისი ძე ბაგრატი (შემდგომში ბაგრატ IV)...

ძველი ქართველი მწიგნობარნიც კარგად იცნობენ ტერმინ **აბაზგიას**, მას დასავლეთ საქართველოდ თვლიან და აფხაზეთად თარგმნიან; იხ., მაგ., “მიმოსლვასა შინა წმიდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებად შორის **ავაზგიადასა**, რომელ არს აფხაზეთი“ (გეორგიკა, 1991, გვ.214; იხ., აგრეთვე, აქვე, გვ.219).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ X-XII საუკუნეების სხვა უცხოური წყაროებით, **აფხაზი** უკვე ქართველის სინონიმადაა ქცეული; მაგ., **იოანე იტალოსი** იოანე პეტრიწს **აბაზგ გრამატიკოსს** უწოდებს, რაც ამ კონტექსტში ქართველ გრამატიკოსს ნიშნავს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **იოანე პეტრიწი** არა მხოლოდ დიდი ფილოსოფოსი, არამედ შეუდარებელი მოქართულე და სიტყვათმემოქმედი იყო; გარდა ამისა, ის სიტყვებს ქართველური დიალექტებიდანაც ამკვიდრებდა; მაგ., სამხმიანი გალობის მეორე ხმის აღსანიშნავად მან შემოიღო ტერმინი **ჟირი**, რომლის მეგრული წარმომავლობა უდავოა; ლოგიკურია დაეუშვათ, რომ ეს დიდი ქართველი მოღვაწე ეგრისის მკვიდრი იყო (შდრ.: ნ.მარის აზრით, იოანე პეტრიწი ტომით აფხაზი იყო). საყურადღებოა აგრეთვე ე.ხინთიბიძის დაკვირვება: ექვთიმე მთაწმინდელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა “ვარლამ და იოასაფის” რომანი, რომელიც ბერძნულიდან გადაითარგმნა ლათინურად. ლათინურად მთარგმნელის კომენტარით, “ბერძნული თარგმანი შეასრულა ტომით აბაზგმა ბერმა ეფთვიმემ“ (ე.ხინთიბიძე, 1998, გვ.15). ე.ი. **ქართველი ექვთიმე მთაწმინდელი, ლათინთა აზრით, ტომით აბაზგია**. ამავე პერიოდში აფხაზეთი სრულიად საქართველოს ნიშნავს სპარსულ წყაროებშიც (კ.ტაბატაძე, 1993, გვ.222-226); შდრ.: ასურელი ისტორიკოსი ზაქარია რიტორი აფხაზთა/ქართველთა ქვეყანას **ბაზ-გ-ონ**-თა ქვეყანას უწოდებს; მსჯელობისათვის იხ. ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ. 402.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: დედით ქართველური (აბაზგური) წარმომავლობის იოვანე ცეცეს (1110-1180) აზრით, აბაზგები იბერთა ტომისანი არიან (გეორგიკა, 1976, გვ. 20-25); შდრ., აქვე, ერთგან მითითებულია იოვანეს დედის აბაზგობა (გვ.23), მეორეგან კი - იბერიელობა (გვ. 25); ამავე დოკუმენტის მიხედვით, იოვანეს აბაზგი ბებია ამაღაში ახლდა იბერიის მეფის ასულს - მართას.

ჩანს, აფხაზეთის მოსახლეობა ქართველებად ითვლებოდა მეზობელი ხალხებისათვისაც: ყარაჩაელების, ბალყარელებისა და რუსებისთვის; კერძოდ:

შემთხვევითი არ ჩანს ის ფაქტი, რომ ტერმინი **აბაზა/ობეზი/ებზე** ჩრდილო კავკასიის ზოგ ხალხში და ევროპულ თუ ძველ რუსულ წყაროებში **ქართველის** სინონიმია; მაგ.: პაპ ინოკენტ IV ელჩი იოანე დე პლანო კარპინი, რომელმაც მონღოლეთში იმოგზაურა 1246 წელს, საქართველოს **გეორგიანია**-ს ეძახის, ქართველებს კი - გეორგიან-ებ-ს ანუ **ობეზ-ებ-ს** (ს.ჯანაშია, 1959, გვ.53).

XIV-XVI საუკუნეების რუსული წყაროს მიხედვით, **ობეზი** საქართველოს აღნიშნავდა. ფაქტის ასხნა იოლად შეიძლება: მაშინდელი სლავების ენაშიც ქართველთა სახელად განზოგადდა მეზობელი ტომის სახელი - აბაზა, რამდენადაც სლავებისთვის აბაზა, ეგრისელი, სვანი, კახელი თუ მესხი ერთი ოდენობა იყო; შდრ., აგრეთვე: კავკასიაში გვიან მოსული ყარაჩაელებისა და ბალყარელებისთვისაც ქართველების აღმნიშვნელი ტერმინია **ებზე** (< აბაზა). ამავე დროს, **ებზე** საკუთრივ სვანებს, ზოგ შემთხვევაში კი რაჭველებსაც აღნიშნავს (თ. გვანცელაძე, 1993); შდრ., **აბაძა** ჯიქთა თვითსახელწოდებაცაა და დღევანდელ **აბაზათაც** (აბაზები რამდენიმე საუკუნის წინ გაემიჯნენ **აფსუებს**).

ვფიქრობთ, აშკარაა, რომ ძველი დროიდან მოყოლებული, ვიდრე XVI-XVII საუკუნეებამდე, ჯიქებისგან განსხვავებით, **აბაზები/აბაზგები/აფხაზები** ევროპაშიც და აზიაშიც ქართველურ (იბერიულ/კოლხურ) სამყაროსთან ასოცირდება; სამართლიანადაც: შუა საუკუნეებში სხვა ქართველური მოდგმის თემებთან ერთად აფხაზებიც ქმნიდნენ ერთიან ქართველურ სახელმწიფოსა და სამწიგნობრო კულტურას. გაერთიანებულმა საქართველომაც დიდხანს შეინარჩუნა “სამეფო აფხაზეთის” სახელი (გ.ალასანია, 2004, გვ.9). შდრ., აგრეთვე, თ.გვანცელაძის დასკვნა: “სხვადასხვა პერიოდისა და სხვადასხვა ენაზე შედგენილი წერილობითი

თუ კარტოგრაფიული მასალა ცხადყოფს: უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე ცხუმის მოსახლეობა ქართველური იყო“ (თ.გვანცელაძე, 1997, გვ. 25).

ერთიანი საქართველოს აღორძინების პარალელურად, აფხაზეთის ხელისუფალნი იღვწოდნენ ქართული ეკლესიის ერთიანობის აღსადგენად; მაგ., “აფხაზი“ მეფე-მთავრების (ლეონ II, თეოდოს II, დემეტრე II, გიორგი I, კონსტანტინე III, გიორგი II, ლეონ III... აგრეთვე: ცხუმის ერისთავი ოთალო შერვაშიძე (XII ს.), მხედართმთავარი დარდინ შერვაშიძე (XIII ს.) და სხვ.) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები იყო:

- დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოსვლა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან და ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიასთან შეერთება;
- ქართულენოვანი საეკლესიო ცენტრების მშენებლობა;
- ბრძოლა ქართული სამყაროს პოლიტიკური გაერთიანებისათვის;
- ჩრდილოკავკასიური მოძმე ხალხების გაქრისტიანებისათვის ბრძოლა და ამ გზით ქართული სახელმწიფოს საზღვრების უზრუნველყოფა (ლ.ახალაძე, 2004, გვ.12)...

ლოგიკური ჩანს, გვერდიგვერდ განვიხილოთ: აბაზ-/აბაზა/აბაძ-/აბას-... ფუძეები; გარდა ამისა, ტაო - ტაო-ხ-ი, კოლა - კოლ-ხ-ი... მიმართებების პარალელურად, დასაშვებია აბაზ- - აბაზ-ხ-, აბაზა - აბაზა-ხ-... წყვილების დაშვებაც: **აბაზ-ხ-/*ამას-ხ-** ფუძეში წარმომავლობითობა-კრებითობის **-ხ-** სუფიქსის გამოყოფა ლოგიკური ჩანს, როგორც ამას აღრეც ვარაუდობდნენ (ნ. მარის, ს. ჯანაშიას, ქ. ლომთათიძის მოსაზრებათა შესახებ იხ., თ. კახაძე, 1993). აბაზ-ხ- ფუძისგან ხ-ს მეტათეზისით უნდა წარმოქმნილიყო აფხაზ- ფუძე (შდრ., მსგავსი ფონეტიკური პროცესი ქართულში: **წათხ-/წყათ-, ბაღლ-/ ბღარ-, ბარტყ-/ ბღარტ-, ბერტყ-/ბღერტ-** და სხვ.). არ არის გამორიცხული, რომ ჩერქეზულმა აბაზაზა ფორმამ, ფორმობრივი მსგავსების გამო, გვიან შეიძინა “ქვემო აბაზას“ შინაარსი (შდრ., თ. გვანცელაძე, 1998, გვ.37).

აღრინდელი ქართველური *აბაზ-ხ- ფუძის ადაპტირებული ვარიანტებია ბერძნული აბასხ-, აბაზგ- და აბასკ- ფორმებიც (განსხვავებული მსჯელობისათვის იხ. თ. გვანცელაძე, 1998, გვ. 36). **აფხაზის** სხვადასხვაგვარი ეტიმოლოგიის შესახებ იხ., აგრეთვე: ნ. მარი, 1912, გვ. 697; ივ. ჯავა-

ხიშვილი, 1960, გვ. 401; თ. გვანცელაძე, 1989; თ. კახაძე, 1993; ე. ოსიძე, 1993; თ. გვანცელაძე, 1993; თ. გამყრელიძე, 1993; დ.მუსხელიშვილი, 2000... იხ., აგრეთვე, ა.ლომთაძე, რ.შეროზია, 2002, სადაც აფხაზ- ფუძის ამოსავლად მიჩნეულია სვანური მეტყველების მსაზღვრელ-საზღვრული *აფხაშ ზანი “მთის ზანი“.

შენიშვნა: ბოლო პერიოდში მომრავლდა არაკომპეტენტურ პირთა (მ.ძაძამიას, ზ.ჭავჭავაძის, ი.ზეირიძის, ვ.ფოიროშაინის, ვ.რცხილაძის, ბ.გოგიას...) “ენათმეცნიერულ-კულტუროლოგიური აღმოჩენების“ პუბლიკაციები; სამაგალითოდ მოვიყვანთ ბ.გოგიას ტიპურ მსჯელობას (ბ.გოგია, 2005, გვ.91): **მეგრული სიტყვების საფუძველზე აფხაზ- ფუძეს რამდენიმე პარალელური ეტიმოლოგია ეძებნება: I. აფხა-ყი > აფხაზა; შდრ.: აფხა - ბეჭი; ყი - მაღალი; შესაბამისად: აფხა-ყი - ბეჭ-მაღალი. II. აფხა(შ)-ზანი > აფხაზა; შდრ.: აფხა - მხარ-ბეჭი; ზანი - ზანი; შესაბამისად: აფხა-ზა - მხარბეჭიანი ზანი; III. მათხოზი (“თხის გამრეკავი“) > ათხა ზანი > აფხაზი; IV. ბუზი > აბასკო; შდრ.: ჭანჯი > ჭანი; V. მესხი-სანი > მედიცინა... არალინგვისტ ეტიმოლოგთა ამგვარი ურაპატრიოტული “სიბრძნე“ არ არის მხოლოდ პიროვნული ახირების ერთგვრადი გამოვლენა; მავანთაგან მსგავსი პუბლიკაციების სტიმულირება საზოგადოებაში სამეცნიერო აზრის ნიველირება-დისკრედიტაციას ემსახურება.**

სავარაუდოა, აგრეთვე, ა-ბაზ- და *ბაზ-გ- ფუძეთა საერთო წარმომავლობის დაშვებაც: აფხაზური **ა-** და ქართველური **ა-/სა-** პრეფიქსები მასალობრივად მსგავსია; ა-ბაზ- ფორმის ა- შეიძლება დანიშნულების სა-/ა- პრეფიქსი იყოს: *ა-ბაზი/*ა-მასი - ბაზების/მასების ქვეყანა/ადგილი; შდრ.: სპერი - სა-სპერი, ქართველი - საქართველო; შდრ.: დგას - ა-დგილ-ი, ბანს - ა-ბან-ო; ცივი - სა-ცივი, ქარი - სა-ქარი, წერს - სა-წერი... საერთოქართველურში სა- პრეფიქსის პარალელურ ვარიანტად ა-ს დაშვებას მხარს დაუჭერს ზანურში მოსალოდნელი *სო-ს ნაცვლად ო-ს არსებობა; რამდენადაც საერთოქართველურ ა-ს ზანურში კანონზომიერად **ო** შეესაბამება, ლოგიკურია, საერთოქართველურში დანიშნულების სუფიქსად **ა-** პრეფიქსიც დავუშვათ; შდრ.: ქათამი - საქათმე და ქოთომი - ო-ქოთუმე-ე; შდრ., აგრეთვე: ზან. ო-ხვამე-ე, ო-ყუყ-ე, ო-ფშ-ა... და სვან. ა-ჰა-, ა-ყბ-ა, ა-კუად-... მოსალოდნელია, რომ საერთოქართველური ა-/*ჰა-სა- და აფხაზური **ა** (/ჰა-? დასაშვებია ს/ჰ/ა მონაცვლეობანი) საერთო წარმომავლობის პრეფიქსები იყოს. შდრ., ნ. მარის მიხედვით: *მასხი > ბაზგი > ა-ბაზგი... **წარმოდგენილ სქემებს დამატებითი არგუმენტები ესაჭიროება.**

სამეცნიერო ლიტერატურაში **აფშილ-აბაზგ-** ფორმები დაკავშირებულია ასურულ წყაროებში დაფიქსირებულ **აბეშლასთანაც** (წ. ანჩაბაძე, 1976; შ. ინალიფა, 1976) და **ხუბუშქიასთანაც** (მ. ქურდიანი, 2001, გვ.126-130; მ. ქურდიანი, 2002, გვ.80); **-ლ-/-ილ-** სუფიქსთა კვალიფიკაციის სირთულის მიუხედავად, ლოგიკური ჩანს ასურული წყაროების **აბეშლა**, საერთოქართველური **აბესა/აბაზა** (→ აბაზა; შდრ. ზანური **ობა-შა > აბაშა**; მ. ჩუხუა, 2003, გვ. 73) და **აბშილი/აფსილი** ფორმებს შორის კავშირი. შდრ., ზ.ჭუმბურიძე, 2002: **აბაშა** უნდა მოდიოდეს ებრაულ სახელ **აბასგან**: **აბა-შა** “აბას კუთვნილი”.

შენიშვნა: იოანე ცეცეს (X ს.) ცნობით, **აბაზგებს** ადრე **მასაგეტები** ერქვათ (გეორგიკა, 1967, გვ 25); შესაბამისად, *მას- ძირის არსებობა შეიძლება დაგვეშვა მას-აგ-ეტ- ეთნონიმიც; თუმცა, აქაც ბევრი წინააღმდეგობა გვაქვს: ვერ ხერხდება -აგ- და -ეტ- სეგმენტთა დამაჯერებელი კვალიფიკაცია; გარდა ამისა, სადავოა **მასაგეტების** კავკასიურობაც: ჰეროდოტეს მიხედვით, მასაგეტები მომთაბარე და მეომარი ტომია (მათთან ბრძოლაში დაიღუპა აქემენიდთა დამაარსებელი - კიროსი). სტრაბონი მათ ზეარაზმელებად თვლიდა (ქსე, ტ. VI, გვ.497); ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, მასაგეტები არიან შუააზიელი სკვითები; შდრ., თეოფანე ბიზანტიელი (VI ს.): ძველ მასაგეტებს ახლა თურქები ჰქვიათ; მათვე სპარსელები კერძინონებს უწოდებენ (გეორგიკა, III, გვ.253). ზოგი მკვლევარი **მასაგეტებს** ქართველურ-კავკასიურ სამყაროსთან აკავშირებს; შდრ., სტეფანე ბიზანტიელის მტკიცებით, **მისგეტები** იბერთა ტომია (გეორგიკა, 1936, გვ.282).

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

წარმოდგენილი ლინგვისტური სქემები მეტ არგუმენტებს, ხოლო საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს. აქ უდავო შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ ორი სხვადასხვა **ქართველურ-კავკასიური** ტომი **აფსილ-აფსარები** და **აბაზგ-აფხაზები** საუკუნეების მანძილზე, საკუთრივ ქართველურ ტომთა მსგავსად, ერთიან ქართველურ კულტურულ-ისტორიულ თუ სახელმწიფოებრივ ველში ცხოვრობდა... ფაქტია ისიც, რომ ისტორიულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოშიც (კოდორიდან შავ ზღვასთან ყუბანის ძველ შესართავამდე) ოდითგანვე ცხოვრობდნენ ქართველურ-კავკასიური მოდგმის ტომები (ზანები, სანიგები, სვანები, აფსარები, აბაზები...). შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ამ ტომთა საცხოვრისები და პოლიტიკური გავლენები ერთმანეთის ტერიტორიებზე

მონაცვლეობდა (მასალის მიმოხილვისთვის იხ., დ.ლეთოდანი, 1971).

ველია ჩელების ცნობით, უკვე 1641 წელს აბაზას ქვეყნის მოსახლეობა აბაზურ და ქართულ (მის მეგრულ დიალექტზე) ენებზე ლაპარაკობს (ველია ჩელები, 1971, გვ. 100; შდრ., პინგოროყვა, 1957, გვ.133). თ.გვანცელაძის ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული ძიებებით ნათლადაა ნაჩვენები, რომ XVI-XVII საუკუნეებში ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიიდან - ყუბანის ხეობიდან - თანდათანობით გადმოდის და ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რამდენიმე ხეობაში კომპაქტურად სახლდება ერთ-ერთი აბაზური ტომი, **თვისასხელწოდებით - აფსუა**.

ვეიქრობთ, რამდენადაც ეს საზოგადოება მოძმე ქართველური მოსახლეობის - **აფხაზების** - საცხოვრისში ნელ-ნელა მკვიდრდება, მეზობელთათვის **ჩამოსულეებზეც გადადის** დამხვდურთა **თემონიმი აფხაზი**. დროთა მანძილზე, ადგილობრივ აფხაზთა ნაწილი ითქვიფება მეგრელებში, ნაწილი - აფსუებში; შესაბამისად, ქართველური თემონიმი **აფხაზი/აფხაზა** ქართველურ ენობრივ ველში **აფსუების** აღმნიშვნელად გადააზრიანდა და აქედანვე შევიდა სხვა ენებშიც (შდრ., ამგვარი ტრანსფორმაციით **სომხითი/სომეხი** იქცა მოსული არმენების აღმნიშვნელად). ბოლო დრომდე, აფსუა-აფხაზებიც თავს თვლიდნენ ზოგადქართული კულტურის თანაავტორებად...

ქართველური ენობრივ-კულტურულ-სახელმწიფოებრივი სივრციდან ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ სხვა იბერიულ-კავკასიურ ტომთა მკვეთრი განმხოლოება იწყება კავკასიაში თურქეთის გაძლიერების შემდეგ, ხოლო **აფსუა-აფხაზი ხალხის იდენტობა** (ეროვნული მეობა - ტ. ფ.) “პოლარულად შეცვალა ცარისტულ-საბჭოური იდეოლოგიის მძლავრმა ზეგავლენამ 1864 წლიდან დღემდე“ (თ. გვანცელაძე, 2004, გვ.19); კავკასიის სრული დაპყრობის მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო აქაური მოსახლეობის გასახლება ან სრული გაუცხოება ტრადიციული ქართველურ-კავკასიური სივრციდან; მაგ., საქართველოს ძირძველი კუთხიდან - ეგრისის წილი ქვეყნის ნაწილიდან - ადლერ-სოჭიტუაფსეს რეგიონიდან რუსეთის იმპერიამ 1864 და 1878 წლებში გაასახლა ქართველთა მონათესავე ხალხები: უბიხები, ჩერქეზები, აფსუა-აფხაზები (უფრო ადრე და ამავე პერიოდშიც, რუსულ-თურქული მზაკვრუ-

ლი გარიგებით, ქართველობისგან იცლება სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოც)...

ქართველთა და აფხაზთა (ჩერქეზთა, ვაინახთა, ლეკთა...) გასამიჯნავად/დასაპირისპირებლად საბჭოთა იმპერიამ უფრო ეფექტურად გამოიყენა კულტურული გაუცხოების მეთოდი, ვიდრე მეფის რუსეთმა; ქართული (აფხაზური) მოწინავე აზრის აქტიურობის მიუხედავად (იხ. შერვაშიძეების და სხვათა მოღვაწეობა), უფრო სწრაფად და ხელოვნურად გაგრძელდა გადარჩენილი აფხაზების გამიჯვნა ერთიანი ქართველური (აფხაზურ-ეგრისულ-ქართლურ-კახურ-მესხური) ისტორიიდან, კულტურიდან თუ ეთნოსიდან; პროცესმა პიკს მიაღწია 1991-93 წლებში განხორციელებული პუტჩის დროს, როდესაც აფხაზეთიდან - ძირძველი ქართველური კუთხიდან - რუსეთის იმპერიამ გამოდევნა ერთიან ქართველურ ცნობიერებაზე ორიენტირებული ქართველებიცა და აფხაზებიც, ხოლო დარჩენილი აფხაზურ-ქართულ-სომხურ-რუსული მოსახლეობითურთ ფაქტობრივად მიიტაცა აფხაზეთის ტერიტორია. შდრ., რუსეთმა იოლად განახორციელა ქართველთა მონათესავე სხვა ეთნოსების - ჩერქეზებისა და ვაინახების - დაშლა პატარ-პატარა ხალხებად: აბაზეზებად, აბაზახებად, შაფსულებად, ადიღელებად, ყაბარდოელებად... ჩინებებად, ინგუშებად; შემდეგ კი მათი ტერიტორიებიც მიითვისა (თუმცა აქაც დასჭირდა მოსახლეობის დიდი ნაწილის დეპორტაცია თურქეთსა და შუა აზიაში).

აფსილები/აფშილები, აფსარები, აფსუები. აფსილები პირველად დასტურდება არიანესთან; მისი ცნობების მიხედვით, აფსილები ცხოვრობდნენ კოდორის ხეობაში; ზ.ანჩაბაძე მათ თავდაპირველ საცხოვრისად თანამედროვე ვალის რაიონს მიიჩნევს (ზ.ანჩაბაძე, 1964). მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, აბაზგთა მსგავსად, აფსილებიც ქართველური ტომი იყო (ს.ჯანაშია, ს.ყაუხჩიშვილი, დ.მუსხელიშვილი და სხვ.), ხოლო, ზოგის აზრით, მათი მემკვიდრეები თანამედროვე აფხაზები (აფსუები) არიან (გ.მელიქიშვილი, ზ.ანჩაბაძე, ნ.ლომოური...).

აგათია სქოლასტიკოსის (VI) მიხედვით, **აფსარები კოლხებისა და მისიმიელების/სვანების მონათესავენი არიან.**

გვიანდელი ავტორები და კომენტატორები აფსილებს სკვითურ

ტომს უწოდებენ (მაგ., სტეფანე ბიზანტიონელი IV-VII ს.); შდრ., კოლხი ადეტესი სკვითთა მეფეა, მედეა - სკვითთა მეფის ასული (ლიბანიოსი, ახ.წ. IV ს.); მაკრონები სკვითური ტომია (აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი, ახ. წ. I-II ს.); კოლხები აზიელი სკვითები არიან (იოანე ცეცე XII ს.); სკვითები ეგვიპტელთა კოლონისტები არიან (ჰეროდოტეს ცნობა კოლხების შესახებ პინდარეს სქოლიასტთან) და ა.შ. ე. ი. ამ კონცეფციით, აბასგი და აფსილიც ისევეა სკვითი, როგორც კოლხი და მაკრონი... (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.102).

ამკარაა, რომ არიანეს დროს **აბაზგები** და **აფსილები** სხვადასხვა ქართველურ-კავკასიური ტომი იყო; შდრ., დ.მუსხელიშვილი, 2000, გვ.17-34: “აფშილს“ არც გეოგრაფიულად (საცხოვრისის მიხედვით - ტ.ფ.), არც ფორმალურ-ლინგვისტურად არაფერი აქვს საერთო “აფსუასთან“... გვაქვს საფუძველი, **აფშილები** ერთ-ერთ დასავლურ-ქართულ ტომად ჩავთვალოთ, რომლის ნაწილი გვიან საუკუნეებში შეერწყა მეგრელებს, ნაწილი კი - გააფსუვდა“ (იქვე, შდრ.: ნ.ლომოურის აზრით, აფშილები უეჭველად **აფსუები** არიან).

ლოგიკური ჩანს მოსაზრება, რომ **აფს-** ძირისგან ქართველური სუფიქსებითაა მიღებული ქართველური: ***აფშ-ელ-ი, აფს-ილ-ი, აფს-არ-ი** ეთნონიმები (თ.გვანცველაძე, 1998, გვ.34, 39); ამკარაა **აფს-** ძირის პოზიციერება **აფს-უა** ფუძეშიც. ფაქტია ისიც, რომ **აფსუა** ცხოვრობდა ყუბანის ხეობაში, **აფსილები/აფსარები** - კოდორის ხეობაში სვანების საცხოვრისამდე (ე.ი. კოდორის ხეობის კავკასიონის გადასასვლელები სვანებს ეჭირათ, რაც გამორიცხავს ამ გზით აფსუათა გადმოსვლას). ასევე, უეჭველი ჩანს ქორონიმ აფხაზეთი/აბაზგია-ს წარმომავლობა აფხაზ-/აბაზგ- ფუძისგან და არა - აფსუა/აფსილისგან; მაშასადამე, ლოგიკური იქნება დავასკვნათ: ერთი ფუძისგან სხვადასხვა სუფიქსით წარმოქმნილი რამდენიმე თემონიმით სხვადასხვა მონათესავე ქართველურ-კავკასიური ტომები აღინიშნებოდა (აბაზა, აფხაზი, აფშილი, აფსარი, აფსუა...); შესაბამისად, ოთხი ეთნონიმით (**აბაზა, აფსარი, აფსუა** და **აფხაზი**) ერთი საზოგადოების აღნიშვნა გვიანდელი მოვლენაა.

სვანები, მისიმიელები - სვანები პირველად სტრაბონთან მოიხსენი-

ებიან (სოანას/შოანას); მაშინაც ისინი კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ; ვარაუდობენ, რომ სვანები ადრიდანვე განსახლებულნი იყვნენ აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიც - თერგსა და ყუბანს შორის არსებულ ტერიტორიაზე; შდრ., მაგ., მემანდრე პროტიქტორი (VI ს.), რომელიც, აღწერს რა ბიზანტიისა და სპარსეთის დავას სვანეთის გამო, ვრცლად იძლევა სვანთა დახასიათებას (გეორგიკა, 1936, გვ.213-233); მისი ცნობით, სვანები კავკასიის მთების გარშემო ცხოვრობენ (გეორგიკა, 1936, გვ.231); იხ., აგრეთვე, თ.მიბჩუანი, 1993; ზ.რატინი, 1995, გვ.57-61.

ჩანს, სვანებს კავკასიონის სტრატეგიული გადასასვლელი ეჭირათ, ვინაიდან ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დიდხანს გრძელდებოდა წინააღმდეგობა სვანეთის დანარჩუნების გამო (იხ. გეორგიკა, 1936, გვ.213-233). პლინიუსის მიხედვით, სვანები დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ: “მდინარე ხობი კავკასიის მთებიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის მიწაზე დის”; ამასვე ამტკიცებს საგეოგრაფიო სახელების დაკვირვებაც, მაგ., ლეჩხუმი, ლეხაჩილე და სხვა. “შემდეგ სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუპყრიათ...” (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.46-47). ჩვენი აზრით, პლინიუსის ცნობის სხვაგვარი განმარტებაც შეიძლება:

ამ პერიოდის წყაროებში, არაიშვიათად, ერთმანეთს ფარავს ტერმინები: სუანი, სანი, ზანი, სუანოკოლხი, ეგრსვანი... ჩანს, სტრაბონისა და პლინიუსის დროს ტერმინი **სვანი** იმ რამდენიმე ქართველური ტომის (ეგრისის ნაწილის, დვალეთის, სკვიმიის, საკუთრივ სვანეთის მოსახლეობის...) გამაერთიანებელი, კრებითი სახელია, რომელთაც რომაელები ვერ აკონტროლებდნენ (შდრ.: ლაზიკა - რომაელთა გავლენის სფერო): ყურადღების ცენტრში სვანების მოქცევა, ჩანს, განაპირობა კავკასიის უღელტეხილების სტრატეგიულობამ.

ჩვენი აზრით, ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულს ჯერ კიდევ დაუშლელია ზანურ-სვანური ენობრივი ერთობა; სწორედ ეს ადრეული ზანურ-სვანური (და არა მეგრული ან სვანური) დიალექტური ფენა უნდა ვივარაუდოთ **ოსურ-ალანური ენის სუბსტრატად** (მასალისათვის იხ. ვ.აბაევი, 1949, 324-329); შდრ.: გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოსურში ზანური/აფსილური სუბსტრატი გაჩნდა კოდორის ხეობაში ოსების ექსპანსიის დროს (ნ. აფხაზავა, 1998). როგორც ცნობილია, სუბსტრატის არსებობა მიუთითებს დამხვედური და მოსული ეთნოსების ხანგრძლივ

ურთიერთობას; ვფიქრობთ, შეუძლებელია, ოსთა მეტყველებაში ზანური სუბსტრატის წარმოქმნა დაუშვათ კოდორის ხეობაში ალანთა **მოკლევადიანი ექსპანსიის** პერიოდში. რაც შეეხება ოსურში საკუთრივ სვანური ლექსიკის არსებობას: ჩრდილოკავკასიაში მცხოვრები ოსების მეტყველებაში სვანური და აფხაზური ლექსიკა (როგორც **ადსტრატული ფენა**) შევიდა სვანთა, აფხაზთა და ოსთა მეზობლობის პირობებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, ზანურ-სვანური კონტინუუმის ბაზაზე საკუთრივ სვანური მეტყველების ჩამოყალიბება სწორედ წელთაღრიცხვათა მიჯნიდან ხდება ქართველურ (ზანურ) მეტყველებაზე ჩრდილოკავკასიურ ტომთა მეტყველების დაფენებით (მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტყარაძე, 1998); აქვე აღვნიშნავთ, რომ არა მხოლოდ სვანური, არამედ **არაიზოლირებული ნებისმიერი მოსახლეობის მეტყველება (ენა/კილო) წარმოქმნილია დივერგენციული და კონვერგენციული პროცესების შედეგად.**

სტრაბონის მიხედვით, სვანები გამოირჩეოდნენ სიმამაცით და დიდი ფიზიკური ძალით. სტრაბონის ცნობითვე, სვანებს ჰყავთ ბასილევსი და 300 მამაკაცისგან შემდგარი საბჭო; საჭიროების ჟამს გამოჰყავთ 200000-კაციანი ლაშქარი. სტრაბონი სვანების საცხოვრისში არსებულ მდინარეებთან აკავშირებს ოქროს საწმისის მითს; **სტრაბონთანვეა ძველი ცნობა**, რომ ოქროს საბადოების გამო (რომლისგანაც წარმოიშვა მითი ოქროს საწმისის შესახებ), დასავლეთის იბერების ანალოგიით, **სვანებს ზოგი აღმოსავლეთის იბერებსაც უწოდებს**, რამდენადაც ოქროს საბადოები არის ორივე იბერიაში (რუსული თარგმანისათვის იხ., სტრაბონი, 1964, გვ. 473, XI, II, 14-19); შდრ., თ.ყაუხჩიშვილის თარგმანი: სვანების ქვეყანაში “ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ ოქროს დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვილიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე... (დაზიანებული ტექსტი)... თუ არ დებენ იბერებს მსგავს სახელს დასავლეთელებისას, რომელთაც აქვთ ოქროს საბადოები ორივე მხარეს: **ეს ადგილი შეიძლება გავიგოთ ორნაირად: ა) ექსპანსიის იბერებს ორივე მხარეს აქვთ ოქროს საბადოები; ბ) ოქროს საბადოები აქვთ, როგორც ესპანეთის იბერებს, ისე საქართველოს იბერებს**“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 126; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.139-144).

სვანები სხვა წყაროებშიც ჩანან:

პრისკე პანიონელი (V ს.): “დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებსა და ლაზებს; სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის (?ლაზთა სარდლის) წინააღმდეგ“ (გეორგიკა, 1961, გვ.261);

პროკოპი კესარიელი (VI ს.): “მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სვიმნიაცა და სვანიაც და, ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“ (გეორგიკა, 1965, გვ.202).

აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) ვრცლად მსჯელობს მისიმიელთა შესახებ; მისი ცნობით, ეს ხალხი კოლხთა მეფის ქვეშევრდომია, მსგავსად აფსილებისა, ოღონდ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს. ისინი აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთით; აგათიას მისიმიელები მიაჩნია კოლხთა და აფსილთა ნათესავად; ს. ყაუხჩიშვილის ლოგიკური ვარაუდით, მისიმიელები/მისიმიანები სვანური ტომია (გეორგიკა, 1936, გვ.86, 161-162, 172, 347-348). მისიმ- ფუძე შეიძლება დავაკავშიროთ სვანთა თვითსახელწოდებასთან; შესაძლოა, წარმოდგენილი ბერძნული ფორმა მუშუან- ფუძის დამახინჯებული ვარიანტი იყოს: მუშუან- > *მუშუნ- > მიშინ-/მისიმ-; შდრ.: ქვემოსვანური - მუშუან, ბალსზემოური - მუშან, ბალსქვემოური - მუშნი, ლატალური - მუშუან/მეშან; მეშან ფორმისთვის ამოსავალი შეიძლება იყოს მოშან-: მო-შან/მო-სან; შდრ.: მო-ფრანგ-ე, მო-ხევე-ე.

შდრ., პ. ინგოროყვა, 1954, გვ.144: “*მე-სიმი-ან-ი თავისი გრამატიკული გაფორმებით წმინდა ქართულ ტიპს წარმოადგენს: მ- თავკიდური პრეფიქსია, რომელიც ერთვის ეთნიკურ სახელებს, ხოლო -ან-, ასევე, ეთნიკური სახელების დეტერმინანტი სუფიქსია. აქვე შევნიშნავთ, რომ პ. ინგოროყვას საყურადღებო ვარაუდით, მისიმიანეთის ძველი სახელია კოლაეთი, რამდენადაც ანტიკურ წყაროებში კოდორის ხეობაში მოსახლე ტომს ეწოდება კოლიკე (პ. ინგოროყვა, 1954, გვ.142).

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათლადაა გარკვეული სვან- ფუძისგან წარმოქმნილი ვარიანტების ფონეტიკური საფუძვლები:

საერთოქართვ. სვან- → ზან.-სვან. → შუან (→ თვითსახელწოდება: მო-შუან-) → ზან. შონი;

საერთოქართვ. სვან- ზან.-სვან. → შუან → აფხაზ. ა-შუან-უა...

ვეფქრობთ, თემონიმი სვანი მომდინარეობს *სან- ფუძის ლაბიალიზე-

ბული *სან- ვარიანტისგან, რომელიც, ჩანს, საერთოქართველურშივე არსებობდა; სწორედ ამ ლაბიალიზებული ბგერის მეზობლობას უნდა შეეწყოს ხელი *შან-/შვან- > შონ- პროცესისთვის.

შენიშვნა: ჩვენი აზრით, საერთოქართველური ა ხმოვანი ინტერკონსონანტურ პოზიციაში იმ შემთხვევებში გვაძლევს ზანურ ო რეფლექსს, როდესაც წინამავალი თანხმოვანი ლაბიალურია, ან არაბაგისმიერი ლაბიალიზებულია (ლაბიოველარიზებულია): წინანისმიერი ან უკანანისმიერი თანხმოვნების ლაბიოველარიზებული ალოფონები წარმოადგენენ ბაზას ზანურის ა > ო პროცესისთვის; შდრ.: ქართვ. კაცი > ზან. კონი, მაგრამ: ქართვ. ლავიწი > ზან. ლაბერჯი/ლაბერწი; ქართვ. სადავე “ავშარა“ > ზან. სადიო; ქართვ. გაცნობა > ზან. გაჩინევა; ქართვ. ადარებინებს > ზან. ოდარებაფუანს; ქართვ. ამზადებს > ზან. ზადუნს; ქართვ. ზადი > ზან. ზანდი “ჩირქი“; ქართვ. კაკალამი > ზან. კაკლიანი; ქართვ. კაკანი > ზან. კაკაფე; ქართვ. კავი/კაკვი > ზან. კაკვი; ქართვ. კალო > ზან. კალე; ქართვ. კანი > ზან. კანი; ქართვ. კარი > ზან. კარე; ქართვ. კალთა > ზან. კართე და მრავალი სხვა. ამგვარი სიტყვები ზანური ლექსიკური მარაგის უდიდეს ნაწილს შეადგენს, ამდენად, ულოგიკო იქნება, ისინი ქართული სალიტერატურო ენიდან “ნასესხობად“ ჩაითვალოს; ამ რიგის ფორმები საერთოქართველურიდანაა მომდინარე (ამ საკითხის შესახებ ვრცლად სხვაგან გვაქვს მსჯელობა).

სუანოკოლხები - თემონიმი სოუანოკოლხი დასტურდება მხოლოდ კლავდიოს პტოლემეაძოსთან (100-178); სუანოკოლხები ცხოვრობენ ჰენიონებსა და მდინარე კორაქსს (ბზიფს) შორის; დაახლოებით ამ ადგილებში არიან და სხვა ავტორები სანიგებს ასახელებენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.160-162). რამდენადაც პტოლემეაძოსი სუანოკოლხებს კოლხეთს გარეთ ათავსებს, გაჭირდება იმ აზრის გაზიარება, რომ ისინი ის სვანები არიან, რომლებიც კოლხეთში ცხოვრობენ (შდრ., თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.161).

პტოლემეაძოსის სახელმძღვანელო ძირითადად მიჰყვება ფსევდოსკილაქსს, არიანესა და პლინიუსს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.164); ბუნებრივია, ის იცნობს სტრაბონსაც; გამომდინარე აქედან, უნდა დავუშვათ, რომ იგი ეთნონიმ სანიგებს გააზრებულად ცვლის სუანოკოლხებით, რომლითაც, ჩანს, იგი აღნიშნავს ძველი კოლხების მემკვიდრე ერთ-ერთ ტომს; ამგვარი ხაზგასმა იმიტომ გახდა საჭირო, რომ, პტოლემეაძოსის მიხედვით, სუანოკოლხები ცხოვრობენ მისეული კოლხეთის გარეთ - სარმა-

ტიამი. საყურადღებოა ისიც, რომ ჰეკატაეოს მილეტელი (ძვ.წ. 549-472) დღევანდელი მდინარე ბზიფის რაიონში ასახელებს **კოლხურ ტომს - კორაქსებს** (მდრ., მისი აზრით, კოლები ბზიფის აუზსა და დიოსკურიას შორის არიან). სუანო-კოლებს სვანებისა და მეგრელების შერევით წარმოქმნილ ტომად მიიჩნევს ივ.ჯავახიშვილი (1960, გვ.429).

პ. ინგოროყვას აზრით, სუანო-კოლების აღმნიშვნელი უნდა იყოს ტერმინი ეგერ-სვანიც, რომელიც გვხვდება სომეხ ისტორიკოს ფავსტოს ბიზანტიელთან (პ.ინგოროყვა, 1954, გვ.145).

ამარანტები - სტეფანე ბიზანტიელის (IV-VII ს.) ცნობით, ამარანტები კოლხური ტომია; მათი ქვეყნიდან მოდის ფაზისი (გეორგიკა, 1936, გვ. 275); აქვე: კოლხეთში არსებობს მთა **ამარანტიონი**; მდრ.: მკვლევრები ამ ტოპონიმში **ამირანის მთას** ხედავენ.

დვალეები - ანტიკურ წყაროებში დვალეები ახ.წ. I საუკუნიდან იხსენებიან **თალის, ვალის** და **უალის** სახელწოდებით (რ. თოფჩიშვილი, 2002, გვ. 62). ძველი ქართული წყაროებისა თუ თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილის მიხედვით, დვალეები ქართველები არიან (ზოგი მათ **ნახებად** თვლის); დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო 1859 წლამდე, ვიდრე რუსეთის იმპერიამ ეს ქართველური მხარე საქართველოს საბოლოოდ არ ჩამოაჭრა.

ტუსკები - კლავდიოს პტოლემეაძის აღმოსავლეთ სარმატიაში ასახელებს **ტუსკებს, დიდურებსა და სანარებს**. თ.ყაუხჩიშვილის აზრით (1976, გვ.167), ესენი უნდა იყვნენ წოვათუშები, დიდოელები და წანარები. გაუმართლებელი ჩანს ადრეულ პერიოდში წოვათუშებისა და ჩალმათუშების დაშორებობა; თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენთვის ცნობილი თუშების დიდი ნაწილი ერთ-ერთ ქართველურ კილოზე მეტყველებს, ხოლო უფრო მცირე ნაწილის - წოვა-თუშების - მეტყველება ემსგავსება როგორც ვაინახურს, ასევე - ძველ ქართულს, ლოგიკური იქნება, დავუშვათ **ტუსკების/თუშების ქართველობა**:

თუშების ვაინახური წარმომავლობის ტომად მიჩნევის შემთხვევაში გაჭირდება მტკიცება, რომ საქართველოსგან მაღალი მთებით მოწყვეტილმა მოსახლეობამ ისწავლა და საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა

ქართული მაშინ, როცა დაივიწყა რეგიონში ინტენსიურად გამოყენებული დედაენა - ერთ-ერთი ვაინახური ენა (თ.უთურგაიძე, 1996).

ვფიქრობთ, **ტუსკები** ქართველური წარმომავლობის ხალხია, რომელთა ნაწილის (წოვათუშების) მეტყველება ძლიერ შეიცვალა მეზობელი თუ “სისხლის ძიებას“ გამოქცეული ვაინახების გავლენით. ამ პოზიციას ამყარებს ლინგვისტური მონაცემებიც: წოვა-თუშურში არსებითი ადგილი უჭირავს **ადრეულ ქართულ სუბსტრატს** (მ. მიქელაძე, 2004, გვ. 45); მდრ.: გ. ცოცანიძის აზრით, თუშური მოსახლეობა ენობრივად განსხვავებულ ორ ჯგუფად განიყოფა: ჩალმათუშებად და წოვათუშებად (გ. ცოცანიძე, 1993, გვ. 539). ა. შავხელიშვილის აზრით, წოვათუშური ნახურად ქცეული ქართველური ენაა, ხოლო ბ. შავხელიშვილის მტკიცებით, წოვათუშური ენა გარდამავალი, დამაკავშირებელი რგოლია ქართველურ (განსაკუთრებით ძველ ქართულ) და ვაინახურ ენებს შორის (ბ. შავხელიშვილი, 2003).

აქაეები/აქეები, აქეელები - ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IV ს.) მასალების მიხედვით, აქაეები და ჰენიოხები თანამედროვე ტუაფესსა და სოჭს შორის უნდა ვივარაუდოთ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.83; თ.ყაუხჩიშვილი, 1980); მდრ.: V საუკუნის ანონიმური “პერიპლუსის“ მიხედვით, იქ, სადაც ადრე აქაეები ცხოვრობდნენ, ახლა ძიქები არიან.

სტრაბონი ასახელებს **აქეის ქვეყანას**, არიანე - “ძველ აქადას“, პტოლემეაძის - სოფელ აქადას...

მიუხედავად იმისა, რომ ბერძენი ისტორიკოსები (სტრაბონი, აპიანე, დიონისიოს პერიეგეტი...) ეთნონიმსაც და ტომსაც ბერძნული წარმომავლობისად თვლიან, თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ **აქაეები** ქართველურ-კავკასიური ტომია; “როგორც ჩანს, აქაეების სახელით ცნობილი ტომი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილო მონაკვეთზე ცხოვრობდა დაახლოებით არგონავტების ლაშქრობის დროიდან ახ.წ. I საუკუნემდე; II საუკუნეში მცხოვრები არიანე მათ უკვე აღარ ახსენებს, მაგრამ იცნობს გეოგრაფიულ პუნქტს “ძველი აქადა“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1980, გვ.37).

საეციალისტები ფიქრობენ, რომ ბერძნულ წყაროებში შემონახულ სახელწოდებაში რომელიმე ქართველური სიტყვაა არეკლილი...

სინდები, ძიქები, ზიხები/ზინხები, ჯიქები - არისტოტელეს (ძვ.წ.

384-322) მიხედვით, სინდები სკვითური მოდემის ტომია; უფრო ზუსტად, მეოტი ტომია. სინდები ცხოვრობდნენ დღევანდელი ანაპის მიდამოებში; ევსტათის კომენტარის მიხედვით, სინდები იგივე ჯიქები არიან (თ. ყაუხჩიშვილი, 1969, გვ. 25). **ზიკებთანაც** აიგივებენ **სინდებს**; მაგ., დიონისიოსის (ახ.წ. II ს.) “პერიეგესის“ ევსტათის (XII ს.) კომენტარის მიხედვით, სინდები იგივე ზიკები არიან, ზიკები კი გაიგივებული არიან სტრაბონის ჯიქებთან. შდრ., დიონისიოსი იქვე, 5 სტრიქონის ქვემოთ, ასახელებს ეთნონიმ ჯიქებსაც (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 222).

ზიგები პირველად ჩნდებიან სტრაბონთან (ძვ. წ. 64 - ახ. წ. 24): ის ერთად ასახელებს აქეებს, ზიგებსა და ჰენიოხებს, რომლებიც კოლხების ჩრდილოეთით, ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 137).

შდრ., დევნილი მითრიდატე გვერდს უვლის ზიქების საცხოვრის მათი ველურობისა და ცუდგზიანობის გამო; ნაპირ-ნაპირ აღწევს აქეებამდე, რომელნიც მას კარგად იღებენ (სტრაბონი, XI, 2, 12-14).

V საუკუნის პერიპლუსის ანონიმი ავტორი წერს: “ძველ აქეიდან ძველ ლაზიკამდე და მდინარე აქეუნტამდე (ეს არის სოჭიდან 30 კმ დაშორებული) უწინ ცხოვრობდნენ ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლეები, მელანქლაინები, მახელონები, კოლხები და ლაზები; ახლა კი ცხოვრობენ ზიხები“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1969, გვ. 130).

თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, ეს **ზიქები/ძიქები**, შემდეგი პერიოდის **ჯიქები**, აღრე ქედს გადალმა, სარმატიის დაბლობზე ცხოვრობდნენ და სტრაბონის დროს ახალგადმოსახლებულნი არიან ზღვისპირეთში; სტრაბონი და მისი მომდევნო ბევრი ავტორი (არიანე, დიონისიოს პერიეგეტი, სტეფანე ბიზანტიელი...) შემდეგ უკვე აქ ასახელებს მათ (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 139).

შდრ., მაგ., არიანე: “ზღვის პირას და შემდეგ, კოდორის ხეობაში ცხოვრობენ **აფსილები**. მათ შემდეგ ისე, რომ ქალაქი სებასტოპოლისი მათ ტერიტორიაზეა, მდ. შახემდე არიან სანიგები; სანიგებს ზემოთ მთებში სახლობენ **აბასკები**. მდ. შახედან მდ. ნეგოფსუხუმდე ცხოვრობენ **ძილქები (ჯიქები)**“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 100).

კლავდიოს პტოლემადოსის მიხედვით (II ს.), **ზინხების** საცხოვრისად ივარაუდება ტერიტორია მდინარე ყუბანიდან მდინარე ლაბას სათავეებამდე; პტოლემადოსის აზრით, კოლხიდის ჩრდილოეთით არის აზიის

სარმატია (თავი VIII), სადაც ცხოვრობენ: აქადები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები. პირველ სამ ტომს არა ერთი ძველი ავტორი ასახელებს და, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში კლავდიოს პტოლემადოს ძველი წყარო ჰქონდა ხელთ: მისი ჰენიოხები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილში არიან და არა სამხრეთით, როგორც ეს გვიანდელ წყაროებშია. მას ძველი წყაროც რომ ჰქონდა ხელთ, ამაზე მიუთითებს ზინხების (ანუ ჯიქების) ხსენებაც სარმატიაში, რაც სტრაბონის დროიდან აღარ გვხვდება (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 160).

ჯიქეთი ჩრდილო კავკასიაშია გვიანდელი წყაროებითაც: კონსტანტინე პორფიროგენეტი (IX ს.): “ბოსფორის პირდაპირ არის ე.წ. ტამატარხის ციხე. ამ სრუტის სიგრძე არის 18 მილი. შუა მანძილზე არის დიდი ვაკე კუნძული, ე.წ. ატეხი. ტამატარხიდან 18 თუ 20 მილის მანძილზე არის მდინარე ე.წ. უკრუხი, რომელიც ჰყოფს ჯიქეთსა და ტამატარხას, უკრუხიდან ნიკოფსიის მდინარემდე, სადაც იმავე სახელწოდების ციხეა, არის ჯიქეთის ქვეყანა... ჯიქეთის ზემოთ არის ქვეყანა, პაპაგაიად წოდებული, და პაპაგაის ქვეყნის ზემოთ - კასახიად წოდებული ქვეყანა; კასახიის ზემოთ კავკასიის მთებია, ხოლო ამ მთების ზემოთ - ალანის ქვეყანა. ჯიქეთის სანაპიროზე არის კუნძულები, ერთი დიდი და სამი პატარა კუნძული; მათ შუა სხვა კუნძულებიცაა, დასახლებული და გაშენებული ჯიქების მიერ: ეს არის ტურგანერხი, ჩარვაგანი და ერთიც სხვა; არის კიდევ სხვა კუნძული მდინარის ნავსაყუდელთან, ერთიც პტელეასთან, სადაც ჯიქები თავს შეაფარებდნენ ალანთა თავდასხმების დროს“... (გეორგიკა, 1952, გვ. 231-233).

შდრ., აგრეთვე, ნიკიფორე გრიგორასი (XIV ს.): “ჩინგისხანის მეორე ვაჟი ტელეპუა იმორჩილებს მასაგეტებისა და სავრომატების ქვეყანას... შემდეგ მან გადალახა ტანაისის სათავეები და გასწია ევროპულ ტომთა მიწა-წყლის გზით; ეს ტომები ბევრნი იყვნენ და სხვადასხვანი... ტომები, რომელნიც მეოტის ტბის მეზობლად იყვნენ და პონტოს სანაპიროს მოსდებოდნენ, იყვნენ: ჯიქები და აბაზგები, გუთები და ამაქსოვიები, ტავროსკვითები და ბორისთენელები, გარდა ამისა, იყვნენ ისეთები, რომელნიც ისტროს შესართავთან მდებარე მიზიაში ცხოვრობდნენ. მათ ჰუნები და კომანები ეწოდებოდათ...” (გეორგიკა, 1967, გვ. 130-131).

ქართული წყაროები კარგად იცნობენ ჯიქებს: ქართლის ცხოვრების მიხედვით, ისინი ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიაში (ქ.ც., 43, 45, 156-

157...). ჯიქები აშკარად ძველი ჩრდილოკავკასიური ტომია, რომელსაც ნაკლები შეხება ჰქონდა ქართველურ კულტურასთან.

სავრომატები/სარმატები/სვირმატები - სავრომატთა სახელი ბერძნულ მწერლობაში უძველესი დროიდან გვხვდება; პირველად დასტურდება ფსევდო-სკილაქსთან (ძვ.წ. IV ს.); ესაა ჩრდილოკავკასიის მოსახლეობა უფრო აღმოსავლეთით, ვიდრე მეოტიდაა; ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს სახელი მომდინარეობს შარო/შარურ ფორმიდან და ნიშნავს “შაროელთა ტომს” (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.221). შდრ., სტრაბონი: “სკვითებსა და სარმატებს ენათესავებიან მთის იბერები” (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.149). ზოგი მკვლევარი სავრომატებს მიიჩნევს ალანებისა და ოსების წინაპრებად (დ.ლანგი, 1997, გვ.19).

კერკეტები - კერკეტთა სახელიც ბერძნულ მწერლობაში ძველი დროიდან გვხვდება; პირველად დასტურდება ფსევდო-სკილაქსთან (ძვ.წ. IV ს.); ისინი ცხოვრობენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე სინდებსა და ტორეტებს შორის (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.81). სტრაბონის მიხედვით, **კერკეტები** ცხოვრობენ ჰენიონების სამხრეთით; ბერძნული ტერმინი **კერკეტები** გაიგივებულია ჩერქეზებთან (მიმოხილვისათვის იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.90); შდრ., თ.ყაუხჩიშვილი 1976, გვ. 257-258, სადაც კერკეტ- ფუძისთვის ამოსავლადაა მიჩნეული **ეგრ-** (ეგრისი) ძირი. ჩერ-ქ-ეზ- და კერ-კ-ეტ- ფორმების საერთო წარმომავლობის მტკიცება შესაძლებელია (თუმცა რთულია სუფიქსთა იდენტიფიკაცია), მაგრამ გაჭირდება ეგრ- ფუძესთან მათი დაკავშირება.

სკვითინები/სკვითები - ქსენოფონტესთან დადასტურებული სკვითინები ცხოვრობდნენ ჭოროხის მარცხენა ნაწილში; მარჯვნივ იყვნენ ხალიბები; ზოგ მკვლევარს სკვითინები მიაჩნია სკვითების შთამომავლებად, ზოგს - ქართველურ ტომად - ჰეპტაკომეტებად - შვიდსოფლელებად.

ქსენოფონტეს ნაწახ სკვითინებს ჰქონდათ ქალაქებიც და სოფლებიც, ე.ი. მათ გააჩნდათ სახელმწიფოებრივი წყობაც (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. თ.მიქელაძე, 1967, გვ.132)...

ფაქტია, რომ ჭოროხის ხეობაში უძველესი დროიდანვე მოსახლეობდნენ ქართველური ტომები; აშკარაა ისიც, რომ ტერმინები **სკვითი** და

სკვითინი ერთი ფუძისაა. ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში სკვითებად ხშირად მოიხსენიება სხვა ქართველური მოდგმის ხალხებიც, ამდენად, სავარაუდოა, რომ ქსენოფონტე ამ შემთხვევაშიც ქართველურ ტომს გულისხმობდეს. შდრ., **სკვითის** მნიშვნელობა წყაროების მიხედვით:

არიანე: “დიოსკურიიდან რომ მოდიხარ, პირველი სადგურია პიტინტში, სამას ორმოცდაათი სტადიონის მანძილზე, აქედან ნიტეკემდე ას ორმოცდაათი სტადიონია. აქ ძველად ცხოვრობდა სკვითთა ტომი, რომელსაც იხსენიებს ისტორიკოსი ჰეროდოტე. მათ ის გირჩის მჭამელებს უწოდებს [ფთიროფაგებს]“ (ბერძენი მწერლები... 1983, გვ.159);

იპოლიტე რომელი (III ს.): “...კაპადოკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეებში ცხოვრობენ არმენიელები, იბერიელები და ბერანები, ხოლო მარცხენა მხარეებში: სკვითები, კოლხები და ბოსპორელები...” (გეორგიკა, 1961, გვ.20).

იოვანე ცეცე (1110-1180): იბერები, აბაზგები (მასაგეტები) და ალანები ერთი ტომისა არიან; მათთან ერთად საკები, დაკები, სავრომარტები და საკუთრივ სკვითები და ყველა ის ტომი, რომელნიც ჩრდილოეთით ცხოვრობენ, საზოგადოდ იწოდებიან სკვითებად (გეორგიკა, 1967, გვ.23-25). კოლხები ინდოელი სკვითები არიან, მათ ლაზებიც ეწოდებათ (იქვე, გვ.32-36).

შრდ., ნიკიფორე გრიგორასი (XIV ს.): პირვანდელი სკვითები ორ ნაწილად გაიყვნენ: ერთმა ნაწილმა დაარბია აზიაში მცხოვრები სავრომარტები, მასაგეტები, მელანქლანები, ამაზონები... და მიიღეს ამ დამონებულ ტომთა სახელები (გეორგიკა, 1967, გვ.128-129).

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი **სკვითები** და ქართული წყაროების **ხაზარები**, როგორც წესი, ველური ინდოევროპული ტომების სახელებადაა მიჩნეული; მიუხედავად ბერძნულ წყაროთა წინააღმდეგობრივი ჩვენებისა, ვფიქრობთ, არა გვაქვს საკმარისი არგუმენტები, რომ **სკვითებში** ქართველური მოდგმის რომელიმე საზოგადოება მოვი-აზროთ. გაჭირდება მტკიცებაც, რომ **თარგამოსის მოდგმა** იგივე ინდოევროპულ სკვითთა მოდგმაა (შდრ., მ.სანაძე, 2001, გვ.50, 166); ასევე, საეჭვოა თარგამოს/თოგორმასა და გომერი/კიმერი/კიმერიელის იგივეობა, რამდენადაც, ბიბლიის მიხედვით, **გომერი** იაფეტის ძეა, ხოლო **თოგარმა** იაფეტის შვილიშვილი; შდრ., მ.სანაძე, 2001, გვ.43,167, სადაც, იმოწმებს

რა ნ. ხაზარაძის მსჯელობას, ასკვნის:

“თარგამოსი კი არის იგივე თოგორმა, გომერი და კიმირი, ანუ აქ საუბარია კიმირიულ-სკვითურ ტომებზე“.

ბიბლიური ეთნარქები სახელდებულნი არიან ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ცენტრალურ ევრაზიაში არსებული ტომების მიხედვით და არა პირიქით; გარდა ამისა, ამ პრობლემის შესახებ მსჯელობისას გასათვალისწინებელია:

“ქართლის ცხოვრებით“, თარგამოსი იავანის/ავანის შვილიშვილია და არა – გომერის: **იაფეტი – იავანი – თარშისი – თარგამოსი:**

“ესე თარგამოს იყო ძე **თარშისი**, ძისწული იაფეტისი, ძისა ნოესი“ (ქ.ც., I, გვ.3); შდრ.: რ.გორდუზიანი, 1993, გვ.8 და ა. ჯაფარიძე, 1994, გვ.71.

ჩანს, ბიბლიის შემოქმედი გომერ-/კიმირის ჩამომავლად არ თვლიდა ქართველთა ეთნარქს.

ვფიქრობთ, ეთნონიმი **სკვითები** კავკასია-მცირეაზიაში მოსულ ინდოევროპულ ტომთა ზოგადი სახელია; ისინი კუნძულებად შემორჩნენ ამ რეგიონში (ოსები, არმენები), ძირითადად კი აითქვიფნენ დამხვედურ მოსახლეობაში; მათი მეტყველება სუპერსტრატული ფენის სახით დღემდე შემორჩენილი ქართველურ ენობრივ ველში. **სკვითების** საკითხი ბუნდოვანი რჩება.

ტავრები - სკვითური ტომი; ნიკოლოზ დამასკელის განმარტებით (ძვ. წ. 64 ახ. წ. 14), ტავრები სკვითური ტომია; ეს ის ხალხია, რომელიც დღეს ყირიმად წოდებულ ტერიტორიაზე სახლობდა და რომელსაც ანტიკურ ეპოქაში **ტავრიკა** ეწოდებოდა (თ. ყაუხჩიშვილი, 1969, გვ.88).

შდრ., აპიანე (90-170 წ.) სკვითებსა და ტავრებს სხვადასხვა ტომებად თვლის: “ძვ. წ. 74 წელს მითრიდატე ემზადებოდა რომაელებთან მესამედ საბრძოლველად; მოკავშირეებად ჰყავდა, ძველებს გარდა, ხალიბები, არმენიელები, სკვითები, ტავრები, აქელები, ჰენიოხები, ლეგკოსირები და სხვები“; “ყველაფრის მიმართ, რასაც კი ის ბრძანებს, მზად არიან [მისი] მეგობრები: სკვითები, ტავრები, ბასტარნები, თრაკიელები, სარმატები და ყველანი, ვინც ტანაისის, ისტროსის და თუნდაც მეოტისის ტბის ირგვლივ [ცხოვრობენ]“; “[მითრიდატეს], უწინდელი ძალების გარდა, მოკავშირეებად შეემატნენ: ხალიბები, არმენიელები, სკვითები,

ტავრები, აქელები, ჰენიოხები, ლეგკოსირები და ისინი, რომელთაც მდინარე თერმოდონტთან ეგრეთწოდებული ამოძონთა ქვეყანა უჭირავთ“ (აპიანე, 1959, გვ.23, 59, 143).

ტავრებთან და სკვითებთან მიმართებით საინტერესოა ტერმინ **რუსის** საკითხი, რომელიც პირველად ჩნდება VI საუკუნეში; საკითხის მოკლე ისტორია ასეთია:

იოანე ცეცე (XII ს.) ამბობს, რომ ტავრებს (ე.ი. ტავრიდის მკვიდრთ) ეწოდებათ **რუსები**. დაახლოებით ამასვე ამბობს ლეონი: ტავროსკვითებს ჩვეულებრივ რუსები ეწოდებათო. ვესტათი კი ცალ-ცალკე ასახელებს ტავრებსა და რუსებს.

თ. ყაუხჩიშვილი: ტავრები ძველ ბერძნულ წყაროებში სკვითურ ტომად არის მიჩნეული, მაგრამ “სკითის“ საბადლო ტერმინი “ტავრი“ არასოდეს ყოფილა. არისტოტელეს ნაშრომის - “ცის შესახებ“ - სქოლიოში არსებული განმარტება (რომელიც ეკუთვნის VI ს. მოღვაწე სიმპლიციუსს) **“სკვითები - რუსები“** საფუძველს იღებს სწორედ სკვითებისა და ტავრების გაიგივებით: სკვითები = ტავრებს, ტავრები = რუსებს. თუკი ტერმინი “რუსი“ იქცა **ტავრის** შემცვლელად, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სკვითები რუსების წინაპრები არიან (თ. ყაუხჩიშვილი, 1969, გვ. 28-29). ტავრებისა და რუსების ერთიანობის მტკიცება გაჭირდება (სამეცნიერო ლიტერატურაში პირვანდელი რუსები სკანდინავიელ ვარიანტებთან არიან დაკავშირებული; თანამედროვე რუსების ჩამოყალიბების პროცესში არსებითი წილი აქვს მონღოლურ ტომებსაც).

ქართველურ-კავკასიური (ავტოქთონი) ტომების გარდა, ძვ.წ. VI საუკუნიდან ამიერკავკასიაში ჩნდებიან ინდოევროპელი წარმოშობის **არმენები** და **ალანები**.

არმენები - არმენები პირველად ჩნდებიან ძვ.წ. VI საუკუნეში (ჰეკატაეოს მილეტელი, ჰეროდოტე): “ფრიგიელების მეზობლად არიან კაპადოკიელები, რომელთაც ჩვენ სირიელებს ვუწოდებთ, ხოლო ამათი მეზობლები არიან კილიკიელები... კილიკიელების მეზობლად არიან არმენიელები... ხოლო არმენიელების მეზობლად არიან მატინები, რომელ-

თაც ეს ქვეყანა უჭირავთ“ (პეროდოტე, 1975, გვ. 330, V, 49); შდრ., იქვე, გვ. 434: “... ფრიგიელებს, როგორც მაკედონელები ამბობენ, ეწოდებათ ბრიგები, მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონელების მეზობლად ცხოვრობდნენ, ხოლო, აზიაში რომ გადავიდნენ, მიწა-წყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს, ფრიგიელები დაირქვეს. არმენიელები, რომლებიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ, ფრიგიელების მსგავსად იყვნენ მოწყობილები.“ შდრ., დიოდორე სიცილიელის მიერ ჩამოთვლილი ტომების თანამიმდევრობა (ძვ. წ. I ს.): კარდუხები, არმენიელები, ხაეები (ე.ი. ტაოხები), ფასიანები, ხალდები, სკიტინები, მაკრონები, კოლხები, მოსკინოიკები, ტიბარენები“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.124); იპოლიტე რომაელი (III): “კაპატუეკელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეებში ცხოვრობენ არმენიელები, იბერიელები და ბერანები, ხოლო მარცხენა მხარეებში - სკვითები, კოლხები და ბოსპორელები“ (გეორგიკა, 1961, გვ.19)... ძვ.წ. II საუკუნეში არმენები დიდ წარმატებებს აღწევენ.

ივ. ჯავახიშვილის აზრით (1960, გვ.437), რამდენადაც ქსენოფონტე არაქსის მიდამოებში ალაროდების ნაცვლად უკვე არმენებს ასახელებს, შესაძლებელია, ვიმსჯელოთ ამ ტომის კავკასიაში მოსვლის შედარებით ზუსტ თარიღზეც.

ჩვენთვის საკვებით სარწმუნოა სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული აზრი, რომ ეთნონიმი **სომეხი** თავდაპირველად ერთი განაპირა ქართველური ტომის ან, სულაც, მონათესავე ურარტუელების სახელი იყო; ჩანს, საუკუნეების მანძილზე თანდათან დამკვიდრებულმა არმენებმა ნელ-ნელა მოახდინეს ურარტულ-ქართველურ ტომთა ასიმილაცია; ასიმილირებული ქართველური ტომის მეტყველების დანაშრევი აშკარაა როგორც არმენიელთა ენაში (კავკასიური აბრუბტივების რიგის არსებობის ფაქტი!), ასევე, მათ ანთროპოლოგიურ მახასიათებლებში. შემთხვევითი არ ჩანს ის, რომ არარატის ძველი სახელი - **მასის მთა** და ეთნონიმი სომეხი- (< *სო-მეს-ხ- < *სა-მას-ხ-) ერთმანეთთან დააკავშირა ნ.მარმა; არ გამოირიცხება სხვა გზაც: *მას-ხ- → *სამ-ხ- → სომ-ხ-; საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მსჯელობენ არმენებისა და სკვითების საერთო წარმომავლობის შესახებ (ნ.ხაზარაძე, 1984, გვ.194); სარწმუნოა მოსაზრებაც, რომ: **ჰაიკი** კავკასიაში მოსახლე (ავტოქთონი) ურარტულ-

ხურიტული მოდემის ხალხის ეთნარქია, ხოლო **არმენიაკი** - მოსული ინდოევროპელებისა - სკვითებისა; მოხდა ავტოქთონი და მოსული ხალხის შერწყმა (მ.სანაძე, 2001, გვ.42-43); შდრ.: კულტურათა/ენათა/ხალხთა შერწყმა-“განაყოფიერება“ ჩვეულებრივი ამბავია ძველ სამყაროში; იხ., მაგ., პრომეთე/ამირანისა და ზევსის მიმართება.

ალანები - ბერძნულ წყაროებში ალანები ნახსენები არ არიან ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნემდე. პირველად ახსენებს იოსებ ფლავიუსი; მათ უკვე იცნობს დიონის პერიეგეტი, პტოლემეიოსი, ლუკიანე... (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.221-222). ალანებს ხაზართა ნაწილად თვლის ქართველი მემათიანე. ალანებიც (არმენთა მსგავსად) კავკასიაში შედარებით გვიან დამკვიდრებული ტომია. “ალანთა ქვეყნისთვის სახელის მიმცემი ეთნოსი უნდა ყოფილიყო არა ოსი მოსახლეობა, არამედ **ყარაჩელები**, რომლებსაც ალანთა სახელით იცნობდნენ როგორც შუა საუკუნეებში, ისე XX საუკუნის დასაწყისის სამეგრელოშიც“ (თ.გვანცელაძე, 2004, გვ. 58). ამ ხალხის, ინდოევროპელი ოსებისა და დამხვდური კავკასიელების შერევით წარმოიშენენ ამჟამინდელი ოსები (გ.აბაევი ოსურ ენას განიხილავს სამხრეთ რუსეთის ძველი მოსახლეობის - სკვითების, მასაგეტების, სარმატების, ალანების... ენათა ჯგუფში; ვ.იარცევა, 1990, გვ.353).

შემდგომი მსჯელობის გაგრძელებამდე, კიდევ ერთხელ, ძირითადად, თვითმხილველ მოგზაურთა თუ მეცნიერთა მიხედვით, დავასახელებთ იმ ქართველურ ტომებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს:

ჰეკატაეოს მილეტელი (ძვ.წ. 549-472): მელანქლადნები, კორაქსები, კოლები, მოსხები, ხოდები, ბექედრები, დიქერები, მაკრონები, მარები, მოსინოიკები, ტობარენები, ხალიბები. საინტერესოა ის გარემოება, რომ კორაქსებისა და მოსხების შესახებ ჰეკატაეოსი ამბობს, კოლხური ტომები იაო (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.43);

პეროდოტე (484 - 425): კოლხები, სასპედრები, ხალიბები, მაკრონები, მოსხები, ტიბარენები, მოსინოიკები, მარები; მათი მონათესავენი არიან: ალაროდელები (ურარტუელები), მათიენები (პეროდოტე, 1975);

ქსენოფონტე (435-355): კარდუხები, ტაოხები, ხალდები, ხალიბები, ფასიანები, სკვითინები, მაკრონები, კოლხები, დრილები, ჰესპერიტები, მოსინიკები, კოატები (მორჩილი ხალიბები? - ტ.ფ.), ტიბარენები (თ.მიქელაძე, 1967);

ფსევდო-სკილაქსი (IV ს.): სავრომატები, მადოტები, სინდები, კერკეტები, ტორეტები, აქადები, ჰენიოხები, კორაქსები, კოლები, მელანქლადნები, გელონები, კოლხები, ბიძერები, ეკექედრები, ბექედრები, მაკროკეფალეები, მოსინოაკები, ტიბარენები, ხალიბები.

არიანე (II ს.): ტრაპიზონიდან ძველ აქაიამდე შემდეგი ტომები გავიარეთ: კოლხები, სანები (ქსენოფონტეს დრილები), მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები (არიანესთან ლაზები და კოლხები თანაარსებობენ და ხაზგასმით სხვადასხვა ტომებია - ტ.ფ.), აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები;

ნიკოლოზ დამასკელი (ძვ.წ. 64 - ახ.წ.14): კოლხები, სინდები, ტავრები, მოსინები, კერკეტები, სავრომატები...

ამ ტომთა გარდა, აღმოსავლეთ საქართველოში ამავე პერიოდში ცხოვრობდნენ აგრეთვე:

კახები, კუხები (ივ.ჯავახიშვილი, 1969, გვ.437) და **ჰერები** (ჰერთა ვინაობის შესახებ იხ. კ.ფიცხელაური, 1973, გვ.197). კახების ქართველურობა დღესაც ყველასთვის თვალსაჩინოა; **კუხების მხარე** - კუხეთი, როგორც ერთი ქართველური ტომის საცხოვრისი, VIII საუკუნემდე არსებობს; შემდეგ კი კახეთში სამთავროს შემადგენლობაში შედის; შდრ., აგრეთვე: დ.მუსხელიშვილის აზრით, ლეონტი მროველის მიერ მოცემული საზღვრები კახეთის, კუხეთისა და ჰერეთისა ძვ.წ. IV-III საუკუნეების ვითარებას ასახავს (დ.მუსხელიშვილი, 1966, გვ.5-38). ზოგ მკვლევარს **ჰერები** ალბანურ ტომად მიაჩნდა, მაგრამ ჰერეთის ტერიტორიაზე გავრცელებული წამყვანი იარაღები თუ სხვა ნაკეთობანი კახეთ-კუხეთში - და ქართლში მოპოვებულ მასალასთან ერთად ერთ საფუძველზეა წარმომობილი და, ბუნებრივია, მათთან შეუდარებლად მეტ მსგავსებას იჩენს, ვიდრე ჰერეთის სამხრეთით და აღმოსავლეთით გავრცელებულ მასალასთან, რომელიც სულ სხვა საწყისებზეა შექმნილი (კ.ფიცხელაური, 1973, გვ.197). გარდა ამისა, ჰერების ამჟამინდელი შთამომავლები - **ინგილოები** თავიდანვე ქართველები (მონოლინგვური ქართულენოვანი

მოსახლეობა) რომ არ ყოფილიყვნენ, სრულ არაქართველურენოვან გარემოცვაში ვერასოდეს ისწავლიდნენ ქართულს.

კახთა, კუხთა და ჰერთა გვერდით უნდა დავასახელოთ: **ფხოველები (ხევსურები, ფშავლები, მოხვევები, მთიულ-გუდამაყრელნი)** და დასავლეთ საქართველოს მკვიდრი **სკვიმები/სკვიმინები/ცხუმები/*ჩხუმები/ჩხუმნი** (საკითხის ისტორიის, ბერძნული წყაროების **სკვიმიის, სვიმიის, ცხუმ/ლენჩხუმისა და თაკვერ-რაჭის** შესახებ იხ. ლ.ფრუიძე, 1993, გვ.471-478; დ.ლეთოდიანი, 2003, გვ.18-30). შდრ.: **სკვიმ/*ცკვიმ-, ჩხუმ-/ლე-ჩხუმი;** სავარაუდოდ **ცკვიმ-/ცხვიმ-/ჩხვიმ-/ჩხუმ-/ცხუმ-** მოსალოდნელი ფორმების თავკიდური თანხმობანთკომპლექსის გადმოსაცემად ბერძნულში გამოყენებულია **სკვ/სვ** მიმდევრობა, რაც გვავარაუდებინებს, რომ ახ.წ. VI საუკუნეში ლენჩხუმის ოფიციალური სახელი იყო საერთოქართველური აგებულების სიტყვა: **ცკვიმი/ცხვიმი**. ლენჩხუმი დიალექტური ვარიანტია; **ლე-/ლა- საერთოქართველური სუფიქსი ჩანს**, რომელიც პროდუქტიულია ზანტურსა და სვანტურში; საკუთრივ ქართულში დადასტურებული მასალისათვის იხ.: ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.ბერიძე, 1988, გვ.268: **ლა-რტყ-ი, ლა-რთხ-ი...** და მ.ჩუხუა, 2003, გვ.77: **ლე-ჟვერ-ი = სა-ჟვერ-ე. დანიშნულების ლა-/ლე- აქ წარმომავლობა-კრებილობის -ეთ-/ათ-, -არ-/ერ- სუფიქსების ფარდია;** შდრ., პარალელური წარმოებები: **ლე-ჩხუმ-ი, სა-ქართველ-ო** და **ცხუმ-ი, ცხუმ-არ-ი, სხიმ-არ-ი/სქიმ-არ-ი, სვან-ეთ-ი...**

ამრიგად, აშკარაა, რომ II ათასწლეულის დასასრულიდან წელთაღრიცხვათა მიჯნამდე საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქართველურად მისაჩნვეი და, სავარაუდოდ, ქართველურ ენა-კავებზე ანუ დიალექტებზე მოლაპარაკე შემდეგი მონათესავე ტომები (შემთხვევითი არც ის ჩანს, რომ, არაიშვიათად, მათი საცხოვრისები ფარავდა ერთმანეთს):

მუშქები/მოსხები/მესხები, დაიანელები/დაიუხები/ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები/სასპიერები/საპირები, ქუთები/კოიტები/კვიტები, კორაქსები, მარები, ბექედრები, ჰალიძონები/ხალიბები, ხალდები/ქალდები, მოსინოაკები/ჰებტაკომეტები, დიძერები, ბიძერები, ძიდრიტები, მაკრონები/მაკროკეფალეები, ფასიანები, მელანქლადნები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი/ეკექედრები, ჰენიოხები, სანები/ჰანები, სანიგები/სანიკები, ლაზები, აფხაზები, აბასკები, აფსარები, სვანები/მისიმეილები, სვანო-კოლხები, ამარანტები (კოლხური ტომი), ტუსკები, კახები, კუხები, ცხუმები, ფხოველები,

ჰერები...

ამ ტომთა დიდი ნაწილის ქართველურობის შესახებ სარწმუნო ცნობები ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან მოიპოვება (მაგ., აგათიას აზრით, მისიმიელები, კოლხები და აფსილები ნათესავეები არიან). ზოგი უძველესი ქართველური ტომი საერთოდ დაიკარგა (მაგ., გუგართა ტომის შესახებ იხ. ივ.ჯავახიშვილი, 1950, გვ.24-33); ბევრის სახელიც დღემდე შემორჩა ქართველური თემების (მესხები, ტაოელები, ლაზები, სვანები, ფხოველები, მეგრელები, ჰერები, კახელები და სხვა), ან კონკრეტული ადგილის, რეგიონის (კოლხეთის დაბლობი, ოძრხე, ვიწე, ქუთაისი...) თუ რომელიმე ხალხის (მაგ., სომხების...) სახელების სახით.

უნდა ვივარაუდოთ, რომ II-I ათასწლეულებში ძირითადად სწორედ ამ ტომთაგან იძერწება ქართველური ეთნოსი (ამის შესახებ იხ. II თავი); **ზოლო მათი კილოების ბაზაზე არსებული კოინეს მიხედვით იქმნება სამწიგნობრო ენაც.** წარმოდგენილი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენს ისტორიულ საცხოვრისშიც ხდებოდა ქართველურ-კავკასიურ-წინააზიურ ტომთა შიდამიგრაციებიც და ერთმანეთის ხარჯზე პოლიტიკური ჰეგემონობის ველის გაფართოებაც; უცხო არ იყო ინდოევროპელ თუ სემიტ ტომთა შემორეგებიც. ბუნებრივია, სამწიგნობრო ენის შექმნამდე, პოლიტიკური ლიდერობის შესაბამისად, ქართველთა სხვადასხვა კილოური ნორმაც ბატონდებოდა, რითაც ბიძგი ეძლეოდა გარდამავალი კილოების წარმოქმნასაც. დროთა განმავლობაში საკუთრივ ქართველური ენის/კოინეს, ძველი ქართველური კილოებისა და ამ **გარდამავალი მეტყველებების** საფუძველზე ყალიბდება თანამედროვე ქართველური კილოები. საქართველოს განაპირა რეგიონებში დიალექტების სახეს განსაზღვრავს მეზობელ ეთნოსთა ენების ადსტრატული თუ სუბპერსტრატული გავლენებიც.

1.2.2. ქართველთა თვითსახელწოდება - ქართველი

ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში “ყოველთა ქართველთა“ სახელმწიფოს სახელია **ქართლი**; მაგ., “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზის (ძვ.წ. IV ს.) მიერ განახლებულ-აღდგენილი **ქართლი** მოიცავს რვა დიდ საერისთავოდ დაყოფილ შემდეგ კუთხეებს (ქვეყნებს): ეგრისს, სუანეთს, მარგუეთს, კახეთს, ჰერეთს, კუხეთს, გარდაბანს, ტაშირს, აბოცს, ჯავახეთს, კოლას, არტაანს, სამცხეს, აჭარას, კლარჯეთს (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.24-25).

მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქუჯ-ფარნავაზის სახელმწიფოში - სრულიად ქართლის შემადგენლობაში არ შემოვიდა ჩრდილოდასავლეთ საქართველოში (თანამედროვე კოდორიდან - ყუბანის შესართავამდე ტერიტორია) მცხოვრები ქართველური (ეგროსის) მოდგმა; ეგრისელთაგან განსხვავებით, მათ ისევ ბერძენთა პროტექტორატის ქვეშ დარჩენა ირჩიეს:

“ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა...“, თუმცა, მემატიანისევე ცნობით, მოგვიანებით ეს ტერიტორია მაინც დაუთმეს ბერძენებმა ქართველებს. ეგროსის წილი ქვეყნის ამ ნაწილში, რომაული წყაროების მიხედვით, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე **ლაზები** ცხოვრობენ, უფრო ადრე კი, ძირითადად, **კოლხური** ტომები (იხ. ზემოთ).

ახ.წ. I-II ათასწლეულების მიჯნაზე ტერმინ **ქართლს** ცვლის **საქართველო** (ან: **ერთობილი საქართველო**).

ქართული წყაროების მიხედვით, **ქართველთა ძირითადი თვითსახელწოდებაა ქართუ-ელ-ი**; წყაროებში **ქართველი** პირველად ჩნდება VII საუკუნეში, თუმცა ეს ტერმინი უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო აქტიურ გამოყენებაში; მაგ., წყაროების მიხედვით, “ნათესავით ქართველები“ არიან: ეგრისელი სტეფანე სანანოძისძე, აფხაზი (არგვეთელი) წამებულები დავით და კონსტანტინე, შავშელი მამა პროხორე, ტაოელი მამა იოვანე, სვანი ბერი იოვანე ქსცხიანისძე... შდრ., X-XII საუკუნეებში საქართველოს კულტურული ველი მოიცავს ჩრდილოკავკასიის დიდ ნაწილსაც (საკიბხის ისტორიისათვის იხ. დ.მუსხელიშვილი, 1993).

ქართულ-ქართველ- ფუძის ისტორიისა და ეტიმოლოგიის შესა-

ხებ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგვარი მოსაზრება გამოითქვა: ნ.მარი (1908, გვ. 5; 1933, გვ. 31): ქართ-ქართლ-ქართველ- ფუძეები უკავშირდება ქასლ- ეთნონიმს, რომლისგანაც მიღებულია ქალდ-ხალდი-ც; კერძოდ: ქასდიგ- > ქართიგ- > ქართიგ-ელ-ი > ქართველი (შდრ., ი.ჭავჭავაძე, 1955, გვ.113: ქალდი/ქალდისი > ქართლოსი)...

ივ. ჯავახიშვილი ერთმანეთთან აკავშირებდა ქართუ/კარდუსა და ქართველს; კერძოდ, მისი აზრით, “სიტყვა ქართველის პირველი ნაწილი “ქართუ“ ჩვენი ქვეყნის სახელი უნდა იყოს... სიტყვა “კარდუსი“ (“მეგრულ-ჭანური შტოს ტომის სახელი“) ჩვეულებრივ ეროვნების აღმნიშვნელ საკვეც -ხი-თ ბოლოვდება; ამ სიტყვის პირველი ნაწილიც უნდა ქვეყანასა ნიშნავდეს... რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს (ქართ-მეგრული) ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია, იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო”; “სიტყვები ნაირი, ბაძანა, ურარტუ მხოლოდ ქვეყნების საკუთარი სახელებია, თვითონ ხალხი კი თავისთავს ქალდის ანუ ხალდის უძახდა (ხაზი ჩვენია - ტ.ფ. შდრ., გ.მელიქიშვილი, 1954, გვ. 28-29). ჩვენ ვიცით, რომ ეს სახელი ქართველი ტომების საზოგადო სახელწოდება იყო (ქართუ-ელი, კარდუ-ხი); ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ქალდები ქართველების ღვიძლი ძმები ყოფილიყვნენ (ივ. ჯავახიშვილი, 1908, გვ.27, 56; ივ. ჯავახიშვილი, 1960, გვ.411; იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, 1959, გვ.194-195).

ქალდეასაგან ქართველის მომდინარეობა პოპულარული გახდა XX საუკუნის პირველი ნახევარში მოღვაწე მწერლებისათვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია გრიგოლ რობაქიძის რემინისცენციები (რომელსაც, ფაქტობრივად, ლინგვისტური არგუმენტების თვალსაზრისით, ვერ გასცილდა ბევრი მკვლევარი); XX საუკუნის დასასრულს კი ამგვარი მიდგომა კვლავ გაააქტუალურა ზვიად გამსახურდიამ (1991, გვ.27, 220), რომელიც, იმოწმებდა რა ნიკო მარის მოსაზრებას, ქართველთა სახელს და საცხოვრისს მთა კარდუს სახელთან (ამჟამინდელ არარატთან) და ღვთაება კარდუსთან აკავშირებდა; ზოგი უცხოელი სპეციალისტი იბერ-ქართების წინაპრებად თვლიდა ზემო მესოპოტამიაში – ისტორიულ გორდუენში – მცხოვრებ კარდუსებს (გ.მელიქიშვილი, 1965, გვ.19-20); შდრ.; კარდუსებს მიიჩნევენ ხურიტულ ტომად, რომელსაც დაეფენენ ქურთები.

ქართველ- და ქართლ- ფუძეების ეტიმოლოგიის შესახებ კიდევ აღსანიშნავია:

ს. კაკაბაძე: ქართლი (არმაზის ძველი სახელი) დაკავშირებულია “ქართა“ (ბაგა), ქორი, ქორედი, ქარდაგი და სვან. “ქვილთხი“ (მაღალი) სიტყვებთან (ს. კაკაბაძე, 1924, გვ. 6-8); მსჯელობას ლინგვისტური არგუმენტაცია არ ახლავს; მეტიც, მაგ., მისი აზრით, ქართლ- ფორმაში -ლ- მრავლობითობის სუფიქსია. აქვე აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ქართ-ქართა მრავალ სხვა ენაშიც დასტურდება; ინდოევროპულ ენებში ამ ფუძეს უკავშირდება: გარადო, გარდ-, გრად-, გოროდ-, კერტ- და სხვა ფორმები. ქართველურ კილოებში არსებული ქართა (ბაგა, შემოღობილი ადგილი) ფუძე მართლაც ნასესხებია; მისი კავშირი ქართლ-, ქართველ- ფუძეებთან სხვა მიმართულებითაა საკვლევი (იხ., ქვემოთ).

გ. მელიქიშვილი: ეთნონიმი ქართველი მომდინარეობს ინდოევროპული ქართა (“ზღუდე“, “ციხესიმაგრე“, “კოშკი“... შდრ., სომხ. კერტ, რუს. გოროდ და სხვ.) ფუძიდან: ქართა-ელი > ქართა-ველ-ი > ქართველი; შდრ., რაჭა > რაჭველი (გ. მელიქიშვილი, 1965, გვ. 238). ამგვარ ვარაუდს სერიოზული წინააღმდეგობა ახლავს: რამდენადაც ქართული ენა გვერდიგვერდ ვერ გულისხმობს ორ ხმოვანს, ერთ-ერთი უმარცვლოვნდება, ან მათ შორის ჩნდება ხმოვანთგამყარი, მაგ., ხე - ახეგებს, ქვა - აქვაგებს... თუ ქართა-ელ- ფორმა არსებობდა და გაჩნდა ვ ხმოვანთგამყარი, ა-ს რედუქციის პირობები აღარ იარსებებდა; რაჭველ- სიტყვაში ვ არის C - V პოზიციაში ჭ-ს ლაბიალიზაციის შედეგი და ქართველის ანალოგიად არ გამოდგება.

აკ.შანიძე: თავდაპირველად ქართლი აღნიშნავდა ერს, რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში დაიპყრო მცხეთა და მიმდგომი ქვეყნები... დაპყრობილი ხალხი ალბათ იყო მესხები, რომელთაც ასიმილაცია მოუხდინეს დამპყრობელ ქართლს (ერს) და მიიღეს მათი სახელი (ა.შანიძე, 1980, გვ.7).

შენიშვნა: შდრ., უფრო ადრე გამოთქმული ნ.მარის მოსაზრება: იბერთა სამეფო არსებობას წყვეტს 570 წელს; იბერებს ცვლიან ლაზები (იგივე ჭანები), აფხაზები და ქართველები; უძველესი ქართული ენა, რომელიც შექმნეს სვანომესხებმა, ანუ ადრინდელმა სომეხმა ხალხმა (ნ.მარი ვარაუდობდა, რომ ადრინდელი სომეხები ქართველური მოდგმის ხალხი იყო; ბოლოს ისინი და-

მკვიდრდნენ ცხენისწყლისა და ენგურის სათავეებში - სვანეთში - ტ.ფ.), და-
იმსგავსა ქართველების ენამ - მონათესავე ენამ, მაგრამ სხვა ხალხის ენამ
(ნ.მარის, 1922, გვ.15, 18). აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ ნ.მარის ნაშრომე-
ბიდან იღებს სათავეს ე.წ. **ქართიზაცია-ქართველიზაციის მცდარი თეორია**
(იხ., აგრეთვე, ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.46).

აკ. შანიძის ვარაუდით, დამპყრობელი ხალხი - **ქართლი** იგივე
პართნი ანუ პართიელები არიან; შესაბამისად: **პართნი > ქართლი** (მო-
ხდა პ > ქ პროცესი და ნ/ლ სუბსტიტუცია); შდრ., აკ. შანიძისვე აზრით,
სხვა გზითაა მიღებული ქართველი: **პართაველი > პართველი > ქარ-
თველი** (აკ. შანიძე, 1980, გვ.16-18).

აკ. შანიძის წარმოდგენილ მოსაზრებას ბევრი წინააღმდეგობა ხვდე-
ბა, და, შესაბამისად, ის ნაკლებადაა გაზიარებული სამეცნიერო წრეებ-
ში (კრიტიკისათვის იხ. მაგ., გ. ბურჭულაძე, 1994).

დ. მუსხელიშვილი იმეორებს მოსაზრებას, რომ **ქართველი** მომდი-
ნარეობს სიტყვა **ქართუ**-სგან, რომელიც, “ადვილი შესაძლებელია, პუნ-
ქტსაც და ქვეყანასაც ეწოდებოდა“ (დ. მუსხელიშვილი, 1993, გვ. 338-
339); იქვე მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, რომ ავტორი, ნ. ბერძენიშვი-
ლის კვალად, რეალურად თვლის **ქართი/ქართუ** ტომის არსებობას, რო-
მელმაც შემდგომ მოახდინა სხვა ქართველურ ტომთა კონსოლიდაცია-
ასიმილაცია (გვ. 348, 354-355; შდრ., ნ. ბერძენიშვილი, 1990, გვ.237, 250).
კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ **არც ერთ წყაროში არ დასტურდება**
**ქართი/ქართუს სახელით ცნობილი ტომი და სხვა ტომების ასიმილა-
ცია როგორ უნდა მოეხდინა?** გარდა ამისა, ეთნონიმისგან ეთნონიმის
წარმოება, როგორც წესი, არ ხდება; აქვე დავძენთ, ლოგიკურად თუ
ვიმსჯელებთ, წარმომავლობის -ელ- სუფიქსის შემცველი ეთნონიმის -
ქართუ-ელ-ი - საყრდენი ფუძე **ქართუ-** უნდა იყოს: ქორონიმი/ადგილის
სახელი ან ღვთაების სახელი.

ა.ჯავახრიძე იზიარებს ივ.ჯავახიშვილისა და ს.ჯანაშიას მოსაზრებებს
ტერმინ **ქართველის ქალდეა**სგან მომდინარეობის შესახებ; მისი აზრით,
ბიბლიური და ისტორიული **ქალდეა** ებრაელთა და ქართველთა პირ-
ველსამშობლოა... “აბრაამის მამის - თარრას - ქალდეველთა ურიდან
გამოსვლის დროისათვის ქალდეა მართლაც ქართველთა წინაპარი ტო-
მებით ყოფილა დასახლებული“ (ა.ჯავახრიძე, 1994, გვ.31-33).

გ. ბურჭულაძის გამოკვლევაში (გ.ბურჭულაძე, 1999, გვ.127-128) სა-

ჭირო ყურადღება ეთმობა სიტყვაფორმის თანმიმდევრულ ლინგვისტურ
ანალიზს; კერძოდ, ის ვრცლად მსჯელობს **ქართველ-** ფუძეში არსებული
-ვ-ს შესახებ და ასკვნის: **ვ** შეიძლება მომდინარეობდეს -ავ- სუფიქსისგან;
შდრ.: ძველი ეთნონიმი ქართ-, რომლისგანაც წარმოებულა *ქართ-ავ-
ი/*ქართვეი; აქედან კი - ***ქართ-ევ-ელ-ი** > **ქართველი**; მისი აზრით, ეთ-
ნონიმის ფუძის (ქართ-) წარმომავლობა საკვლევაა. ჩვენი აზრით,
წარმოდგენილ მსჯელობაში საკამათოა ვ-ს კვალიფიკაცია.

ე.ხინთიბიძის მტკიცებით, “ქართველთა თვითსახელწოდება შემცვე-
ლია იმავე **ქარ-** ძირისა, რომლისგანაცაა ნაწარმოები ქართველთა უძვე-
ლესი უცხოური სახელწოდებები: ძველი სპარსული **ვრკან**, სომხური
ვირქ, **ვერია**, საშუალო სპარსული **ვარუჩან**, ახალი სპარსული **გურგ**,
გურგან (და მათგან ნაწარმოები სირიული, არაბული, ევროპული და
რუსული სახელწოდებები) და რომელიც სათავეს უნდა იღებდეს **მგლის**
აღმნიშვნელი ტოტემური სახელისაგან“ (ე.ხინთიბიძე, 1998, გვ.39-40);
აქვეა მტკიცება, რომ “**ქართ-** ეთნონიმი მიღებული ჩანს მგლის მნიშვნე-
ლობის შემცველ წარმოდგენილ უძველეს ინდოევროპულ ძირზე -ეთ/-თა
სუფიქსის დართვით: *ქარ-თა-ელ-ი > *ქართველი > ქართლი“. წინააღ-
მდეგობები ამ მოსაზრებასაც ხვდება; კერძოდ: ქართველთა აღმნიშვნე-
ლი სპარსულ-არაბული სახელების **ქართ-** ფუძესთან დაკავშირებას არ
ახლავს დამაჯერებელი ლინგვისტური არგუმენტაცია (მაგ., თავკიდური
თანხმოვნის ცვლილებას), დაუსაბუთებელია **ქართელი** > **ქართლი**
პროცესი და სხვ.

გ. ბედოშვილიც (2001, გვ.425) ფიქრობს, რომ ეთნონიმ **ქართისგან**
წარმოქმნილია **ქართლი** (< **ქართ-ალ-ი**), ამ უკანასკნელისგან კი:
ქართლ-ელ-ი > **ქართ-ელ-ი** > **ქართ-ევ-ელი**. მისივე ვარაუდით, ქართ-
(/ქართ-უ-/ქართ-ვ-) ძირის მნიშვნელობა უცნობია; წარმოდგენილ მსჯ-
ელობაში აუხსნელია: ლ > 0 > ვ პროცესები. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2004
წლის 14 თებერვალს გ.ბედოშვილმა საქართველოს საპატრიარქოს რა-
დიოს სამეცნიერო გადაცემაში: “ქართველური ენა და კულტურა“ ახალი
ვარაუდი განავითარა; კერძოდ, ამჟამად ის თვლის, რომ ეთნონიმი **ქარ-
თველი** მიღებულია ეთნარქ **ქართლოსისგან**... როგორც წესი, ეთნარქთა
სახელები ძველი ეთნონიმების მიხედვით იქმნება; შესაბამისად, ვფი-
ქრობთ, რომ როგორც ბიბლიურ, ასევე **ქართლის ცხოვრებისეულ** ეთ-

ნარქთა სქემებში ასახულია ამ წიგნთა ქმნადობის პროცესში არსებული ხალხების/ტომების/თემების სახელები.

გრ. გიორგაძე (2002, გვ.161), აგრძელებს რა გ.მელიქიშვილისა და დ.მუსხელიშვილის მსჯელობებს, ვარაუდობს: “უნდა არსებულიყო ეთნონიმი, ისევე როგორც ტოპონიმი, ან ქორონიმი “ქართუ“ - მეგრელთა მიერ აღმოსავლელ ქართველთა სახელწოდება. მოგვიანო ხანებში სწორედ აქედან უნდა წარმომდგარიყო ქართუ-ელ-ი, რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა სიტყვა ქართ-“.

დღეს მეგრელთა მიერ აღმოსავლელი ქართველი ქორთუ-დ იწოდება (მ.ჩუხუა); თუკი მეგრული ქორთუ-სთვის ამოსავალ ფორმად ქართუ ფუძეს დავსახავთ, რა გვიშლის ხელს, რომ იგივე ქართუ-საერთოქართველურად გამოვაცხადოთ? გარდა ამისა, აქ უპასუხოდ რჩება მთავარი კითხვა: **რა წარმომავლობისაა ქორონიმი ქართუ?**

შ.გაბესკირია (2003, გვ.33-37) ფიქრობს, რომ ქართველურ, ინდოევროპულ და უგრო-ფინურ ენებში დადასტურებული ქართ- (“მოლობილი ადგილი“, “ქალაქი“) ძირიდანაა წარმოქმნილი ქართველ-, ქართლ- და ხათთ- (ხათების საკუთარი სახელი) ფუძეები; კერძოდ, ივარაუდება შემდეგი პროცესები: ქართ- > ქართუ-ხ- > ქართუ > ქართუ-ელ-ი; ქართ- > ქართ-ნი > ქართლი; ქართ- > ხათთ-. წარმოდგენილ მოსაზრებაში საყურადღებოა ქართ- და ხათთ- ფორმათა დაკავშირება; აქვე, ვფიქრობთ, უფრო ლოგიკური იქნებოდა დაგვეშვა, რომ ქართი (ღვთაების სახელი და არა “მოლობილი ადგილი“) ამოსავალია როგორც ქართუელი, ასევე, კარლუხი, სიტყვაფორმებისთვის; გარდა ამისა, ქართნი > ქართლი უნიკალური პროცესის დაშვებას აჯობებს, ვივარაუდოთ ქართ- ძირზე -ლ-სუფიქსის დართვა (იხ. ქვემოთ).

გ.ქავთარაძის აზრით (2003, შენიშვნა 176), მთა ქართლის სახელში (შესაბამისად, ქართველ- ფუძეშიც) შეიძლება გამოიყოს არდ-ქართ-“ქალაქი“ ხურიტული ფუძე; მკვლევარი ვარაუდობს, რომ ქართ-ლი ფორმაში -ლი ადგილის მაწარმოებელი ურარტული სუფიქსია, ხოლო თავკიდურა თანხმონის და ნულის მონაცვლეობის მაგალითებად მოყვანილია: აღზევანი/ქალზევანი, არიმატი/ხარიმატი, ობარენი/ხაბარენი, ალიბე/ხალიბე... გ.ქავთარაძის ვარაუდით, ართ- ფუძე საძიებელია ართენი (ართ-ვანი < ართ-ოვანი - ტ.ფ.), არტანუჯი, არტანანი, ვარდციხე,

ვარძია (< *ვარდ-ია) და კარდენახი/კარდანახი სიტყვებშიც (შდრ., გ.ბელოშვილი, 1981, გვ. 192: კართ ვენახი > კარდენახი).

ჩვენი აზრით, ნულთან მონაცვლე ლაბიოველარიზებული თავკიდური თანხმონის შემცველი *ქარდ-/ხალდ-/ქართ-/ალდ-/ართ- (*ქვარდ-/ვარდ-/ვარძ-) ფუძის - ღვთაების/სალოცავის სახელის - მიხედვით შეიძლება აღნიშნულიყო მთა/ციხე/ბუნქტი (შდრ., ღვთაება არმაზი - ტოპონიმი არმაზი); შესაბამისად, ტოპონიმები: ართენი, არტანუჯი, არტანანი, ვარდციხე (არდის ციხე), ვარძია, კარდენხი (კარდენ-ა-ხ-ი), არდუბანი და სხვა, მართლაც შეიძლება იყოს დაკავშირებული წარმართული საქართველოს მთავარი ღვთაების სახელთან. ასევე, არ გამოვრიცხავთ, რომ არდ- ფუძისგანაა ნაწარმოები ტოპონიმი ოლთისი: *არდ-ის-ი > *ალთ-ის-ი > ოლთისი; შდრ.: ხურიტული არდ-ინ-ი არდის/ხალდის ციხე-ქალაქი; ქართველური ოლთ-ის-ი ღვთაება ოლთის/ხალდის ციხე-ქალაქი.

საინტერესოა, აგრეთვე, ურარტულთა უმაღლესი ღვთაება ხალდის მუსასირული ვარიანტი ალდი (გ.მელიქიშვილი, 1960, გვ.416), ძვ.სპარსული arta “ღვთაება“ და ალანურ-ოსური ard “ღმერთი“ (აქედან: ქართ. მა-ართ-ალ-ი; მ.ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 26-27). მართალ- ფუძეში უნდა გამოვყოთ ურარტულ-კავკასიური ხალდ-/ალდ-/ართ- და წარმომავლობის მ- ალ-; შდრ., მ-ართ-ალ-ი: “ღვთის ჩამომავალი“, “ღვთისნიერი“ (შდრ.: მ-ტბევე-არ-ი, მ-ეგრ-ელ-ი...). შემდგომი კვლევა ალბათ დაადასტურებს, რომ ხურიტულ-კავკასიური ხალდ-/ქართ-/*ჰართ-არდ-“ღვთაება“, წინააზიელ ინდოევროპელთა მეტყველებაში დადასტურებული ard “ღმერთი“ და ქართველურ, ინდოევროპულ, უგრო-ფინურ ენებში დადასტურებული ქართ-/ართ-/კერტ-/გოროდ-“ციხე-ქალაქი“ (< მთავარი ღვთაების ადგილი, მთავარი სალოცავი ადგილი) ფუძეები ერთი წარმომავლობისაა, კერძოდ: არდ-/*ჰართი/ხალდ- წარმოშობით ხურიტულ-კავკასიური ფუძეა, რომელიც თავდაპირველად ღვთაებას აღნიშნავდა და შემდეგ ინდოევროპულ ენებში გადააზრიანდა ციხესიმაგრის სახელად (ვინაიდან, ძველ დროში სალოცავი ყველაზე მეტად იყო დაცული). ინდოევროპული ვარიანტი მოგვიანებითაა ნასესხები ქართველურ კილოებშიც; შდრ.,

ერთი მხრივ, საერთოქართველური ხალდ-ქართ(უ) და მეგრულ, გურულ, იმერულ და სხვა კილოებში არსებული ქართა (“საქონლისთვის შემოდობილი ადგილი”).

შენიშვნა: შესაძლებელია, დავუშვათ, რომ არდი /*ჰართი /ქართი “ღვათაბა“ დაკავშირებულია ქართველურ ერთ-ართ- რიცხვით ნიშანთანაც. დასაშვებია მეორე სქემაც: კავკასიურ-წინაზიური hald- > ქართ- /*ღართ- (/*ღართ- /*არდ- /ართლ-) > საერთოქართველური *ღვართ- /*ღმართ- /ღმერთ- > სამწიგნობრო ქართული ღმერთი (ა/ე მონაცვლეობა და ლაბიალიზებული ღ-სგან ღმ კომპლექსის განვითარება საგვებით შესაძლებელია; შდრ., ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 2000; აქვეა მიმოხილული საკითხის შესწავლის ისტორია). ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს ზანურ-სვანური ფორმების ანალიზიც; შდრ.:

- საერთოქართველური *ღართ-/*ღერთ- > სვანური ღერთ(-აღ/აშ);
- საერთოქართველური *ღმართ-ღმერთ- > სვანური *ღმერთ > ღმერთ/ღმერთ;

— საერთოქართველური *ღართ- > ზანური *ღორთი > მეგრული *ღორთი > ღორონთი (შდრ., *ტრადი/ტრედი - ტორონჯი; მეგრულისთვის ბუნებრივია თანხმოვანთკომპლექსის სუპერაცია და წინაენისმიერ თანხმოვანთან ამავე ლოკალური რიგის ნაზალური სონორის განვითარება);

— საერთოქართველური *ღმართი > ზანური *ღმორთი > ლაზური *ღმორთი > ღორმთი (მ-ს მეტათეზისით თავკიდურ პოზიციაში მოიშალა და მარცვალთგამყარზე შეიქმნა თანხმოვანთკომპლექსი)...

სამეცნიერო ლიტერატურაში ღმერთ- “უფალი“ ფუძეში ერთი (რიცხვითი ნიშანი) პირველად გამოყო თ.ჟორდანიამ; მან ღმ- ღმერთის სემანტიკის შემცველ ფუძედ მიიჩნია. ა.ჭინჭარაულის აზრით, ღმერთ-ფუძე მომდინარეობს უერთ-სუერთ- ფორმიდან - ერთის აღმატებითი ხარისხიდან (სტატია იბეჭდება “გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში“): ხუერთი > ღუერთი > ღვერთი > ღმერთი.

ღამატებით არგუმენტაციას საჭიროებს ღ(მ)ერთ- სიტყვაფორმის თავკიდური თანხმოვნის წარმომავლობა: იგი მომდინარეობს ხ-პრეფიქსისგან (*ხ-უერთ...), თუ *ღალდ/ხალდ ფუძის პირველი ბგერისგან? შესაბამისად გადაწყდება ერთ-, სუერთ- და ხალდ- ფუძეთა მიმართების საკითხიც (კვლევის ამ ეტაპზე უფრო ლოგიკური ჩანს კავკასიურ-ხურიტული ფუძის ვარიანტულობა ენა-კილოების მიხედვით: ხალდ- /ქალდ- /ღართ- /ღართ- /ართ- /ართ- /ოლთ-... შდრ.: ქართველნი, ვენა-ხ-ი, სომხ. ღინ “ღვინო“ და ინდოევ. ვინ “ღვინო“.

ღვათების აღმნიშვნელი ქართ-, ქართუ- და საკუთრივ ქართლ-, ქართველ-, ქართულ- ფუძეთა მიმართების ისტორია ჩვენ ასე გვესახება:

ქართველურ ენობრივ ველში რეალურად დადასტურებულ სიტყვათა შეპირისპირება საფუძველს გვაძლევს, პირველ რიგში გამოვყოთ ორი ფუძე: ქართ- და ქართუ-: ქართ-ლ-ი, ქართუ-ელ-ი, ქართ-უ-ლ-ი; ქართ-ლ- ფუძის პარალელურად შეიძლება დავუშვათ ქართუ-ლ-ი/ქართველ-ი ვარიანტის არსებობაც.

ქართ-ლ- ფუძეში არსებული -ლ- სემანტიკა იგივე მონაცემი ჩანს, რაც არნ.ჩიქობავას მიერ სხვა ფუძეებში გამოყოფილი უძველესი ფენის სუფიქსი; შდრ.:

- სამწიგნობრო ქართული: თოვ-ს, თოვ-ლ-ი და ზან.: თვირი/თირი;
- სამწიგნობრო ქართული: სახე, სახ-ლ-ი, სახ-ელ-ი და ზან.: ოხორი;
- სამწიგნობრო ქართული: თეს-ავ-ს, თეს-ლ-ი და ზან.: თასი;
- სამწიგნობრო ქართული: მატყლი, ზან. მონტყორი და სვან.: მწტყ (სვანურს უსუფიქსო ვარიანტი დაუცავს? შდრ.: თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ. 76);

სამწიგნობრო ქართული: ძალი და ზან. ჯოლორი, სვან.: ჟალუ/ჟელუ;

სამწიგნობრო ქართული: თაფლი და ზან.: თოფური, სვან.: თუ (<თაფუ; გ. მაჭავარიანი)...

სამწიგნობრო ქართული: კუმ-ევ-ა/კმევა, კუმ-ოდ-ა (“მთაი იგი სინაი კუმოდა“) და კომ-ლ-ი/კუმამ-ლ-ი; ზან. კუმა (კვამლი, კომლი), კუმ-აფ-ა (კმევა, მებოლვა); სვან.: კუმამ/კუმამ (კვამლი, კომლი);

სამწიგნობრო ქართული: კოჭი, კოჭ-ლ-ი და აჭარ.: კოჭ-ალ-ი;

სამწიგნობრო ქართული: კოყ-რ-ი (“გამაგრებული და ამობურცული ადგილი კანზე“) და აჭარ. კოყი/კოყო “კოყრი“; შდრ.: სვან. კოჯ (კლდე), ქართულ-ქართველური ტოპონიმები: კოყრ-ებ-ი, კოჯ-ორ-ი;

სამწიგნობრო ქართული: სისხლი, ზან.: ზისხირი, სვან.: ზისხ; აგრეთვე: ქერცი, ქერც-ლ-ი (მანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 118) და ქეცი; წუხ-ს და (მ)წუხ-რ-ი, მამა და მამ-რ-ი, დედა და მდედ-რ-ი, სი-დედ-რ-ი (იგივე სი- გამოიყოფა: სიძე, სიმამრი, სიტყვა, სითბო, სიგრძე... ფორმებში; მსჯელობისათვის იხ., არნ. ჩიქობავა, 1944, გვ. 459; ჩვენი აზრით, აქ სი- თვისების აღმნიშვნელი პრეფიქსია)...

-ლ-/რ-ს ძირითად ფუნქციად შეიძლება განვსაზღვროთ წარმომავლობა-კუთვნილობის გამოხატვა; შესაბამისად, ჩვენს შემთხვე-

ვაში, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ქართ-ქართუ- ფუძე ღვთაების აღმნიშვნელი ფუძეა; მასზე -ელ- სუფიქსის დართვით წარმოიქმნა ქართველთა ავტოეთნონიმი: ქართუ-ელ-ი; ქართ-ქართუ-სგან ნაწარმოები სიტყვები: ქართ-ლ-ი და ქართუ-ელ-ი ქართ-ქართუ-ს თვისობრიობის ქონას, ან წარმომავლობას გამოხატავს. აქვე აღვნიშნავთ, რომ თვისობრიობა და წარმომავლობა სხვა შემთხვევაშიც გამოიხატება ერთი მორფემით; მაგ., -ან: დედა - დედა-ანი (-ან გამოხატავს თვისობის ქონას); ოთარა - ოთარა-ანი (-ან გამოხატავს წარმომავლობას); სი-გრძ-ე/გრძ-ელ-ი და კახ-ელ-ი და სხვ.

ერთი მხრივ, ურარტულ-კავკასიური ღვთაება ხალდის სახელში, მეორე მხრივ კი, ხალდ-ებ-ი, კარდ-უ-ნ-ი ეთნონიმებში (შდრ., მოვსეს ხორენაცის ტექსტში დადასტურებული კორდუელთა ქვეყანა, რომელიც მდებარეობდა ვანის ტბის სამხრეთით; შდრ.: სომხ. კორდუ და ქართვე. კარდუ; სომხ. თორგომი და ქართვე. თარგამოსი...) ხალდ- და კარდუ-ფუძეების პოენიერება საფუძველს გვაძლევს, დავუშვათ, რომ სიტყვები: ქართლი და ქართუელი მომდინარეობენ ურარტულ-კავკასიური ღვთაების - ქალდი/ხალდი/ქართუ/კარდუ-ს სახელისგან; ამოსავალ ფორმად სავარაუდოა *ქარდ-ქალდ-: *ქარდ- > ხალდ-; *ქარდ-/*ქართ- > ქართლ-; *ქარდ-/*ქართ- > ქართუ > ქართუ-ელ-ი... ლინგვისტური ასპექტით, პრობლემური არ არის დ/თ (ბუნებრივია სიტყვის ბოლოს) და ქ/ხ მონაცვლეობის დაშვება: შდრ., ქ/ხ ნასესხებ სიტყვებში: ქრისტე/ხრისტოს, ქრონოლოგია/ხრონოლოგია, ქაოსი/ხაოსი, ქორო/ხორო, ქარტია/ხარტია, ქილონი/ხილონი, ქიმერა/ხიმაირა, ქიტონი/ხიტონი, ქიმია/ხემეია, ქალოსი/ხალოსი, ქრისე/ხრუსე... უკანაენისმიერ და ხორხისმიერ ბგერათა (ქ, ჯ, ხ, ღ, ყ...) მონაცვლეობა არც საკუთრივ ქართველური დიალექტებისთვისაა უცხო (მაგალითები მრავალადაა ილ.აბულაძის, არნ.ჩიქობავას, ზ. სარჯველაძის, ჰ. ფენრიხის, მ.ჩუხუასა და ქართველური კილოების სხვა ლექსიკონებში): ჯცე/ქჩე/ხჩე, ქინი/ხინი, ჯორბალი/ხორბალი/ქობალი, ჯენდერი/ქენდერი, ჯაბუ/ყაბუ, ჯეფ-ყეფ-, ჯური/ყური, ჯულია/ყორე, ქვეყანა/ხვეყანა/ხოყანა, ქორწილი/ჯორწილი, ჯერი/დერი, ჯუეზი/დუეზელი, ჯმირი/ხმირი/ყმირი, ღრტილი/ხრტილი, ჯბო/ხაბნა/დაბნა/ქაბულა... სავარაუდოა, რომ ურარტულ ქალდი/ხალდი ფორმაში პირველი თანხმოვანი ქ-სა და ხ-ს შუა მდგომი ლაბიალიზებული ბგერაა.

სამსჯელოა ქართ > ქართუ: რა ფუნქცია აქვს უ/უ სეგმენტს? არქაულ ქართულში (შესაბამისად, საერთოქართველურში) გვაქვს სიტყვების ერთი ჯგუფი, რომელიც უ/უ ბგერით ბოლოვდება: ბირთუ, ბორცუ (შდრ., ფალაური ბურზ; მ.ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 293), დათუ, ეშუ, ვერხუ, თაგუ, იდაყუ, იჭუ, იხუ, კიცუ, ლეკუ, ლელუ, მდოგუ, ნაძუ, ნეზუ, ნერწყუ, ნეზუ, პეშუ, რიცხუ, ფესუ (შდრ., სამ. სპარს. ფას; მ.ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 382-383), ფეტუ, ფიჭუ, ღაწუ, შაშუ, ცერცუ, ცილუ (შდრ., ოსური ცირდ; მ.ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 122), ძარლუ, ძეძუ, ჯაჭუ... აღსანიშნავია, რომ მეგრულ-ლაზურ ვარიანტებში, როგორც წესი, ლაბიალური კომპონენტი გადაადგილდება სიტყვის ფუძეში: დათვი - თუნთი, იდაყვი - დუყი, თაგვი - მთუგი, ლეღვი - ლუღი, მაყუ (მაყუალი) - მუყი, მაჩვი - მუნჩქი, ჩხიკუ - ჩხვიკი... შდრ., აგრეთვე: ბირთუ/ბირთვი - ბურთი, კიცუ/კიცვი - კვიცი... სავარაუდოა, რომ ქართუ სიტყვაში ბოლოკიდური უ არ არის რაიმე ფუნქციის მქონე სუფიქსი; ჩვენი აზრით, უ სეგმენტი ქართველურ-კავკასიური ენებისთვის დამახასიათებელი ლაბიალიზაციის (ლაბიოველარიზაციის) პროცესის გამოვლინებაა (დაწვრილებით იხ. ქვემოთ): ქართ > ქართ° > ქართუ.

აქვე განსახილველი სიტყვაფორმა ქართულიც: შესაძლოა, -ულ-სუფიქსი უშუალოდაა დართული ქართუ- ფუძეზე: ქართუ > ქართულ-ი > ქართული; არ გამოირიცხება, აგრეთვე, ქართუ > ქართულ-ი პროცესიც.

ღვთაების სახელისგან ეთნონიმისა და ქორონიმის წარმოქმნა უჩვეულო მოვლენა არ არის ძველ სამყაროში (შდრ., მაგ., ღვთაება ასური, ხალხი - ასურები და ქვეყანა ასურეთი)...

ქართველთა ისტორიულ მესხიერებაში ქართველთა თვითსახელწოდება და ქართველთა ქვეყნის სახელი ურარტულ მთავარ ღვთაებას (ბრძოლის ღვთაებას!) რომ უკავშირდება, მოულოდნელი არ უნდა იყოს:

სიმონ ჯანაშიას აზრით, ურარტუს მოსახლეობა - ხალდები (წავიკითხოთ: ღვთაება ხალდის ხალხი - ტ.ფ.) - ცნობილნი იყვნენ რკინის დამუშავებით. “რკინის იარაღით ხალდები კლდეში შესანიშნავ ციხე-დარბაზებს კვეთდნენ. ამ რიგის ხუროთმოძღვრების ნიმუშია საქართველოში კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე“ (ს.ჯანაშია, 1987, გვ.31). შდრ.: კლდეში ნაკვეთი ქალაქები გვაქვს მეშექ-მოსხების (მესხების) ისტორი-

ულ ქვეყანაში - **კაბადოკიაში**, ხოლო ძველი ბერძნული ცნობებით, რკინის მწარმოებელი **ხალიბები** ცხოვრობდნენ ტრაპიზონის რეგიონშიც. შესაბამისად, ლოგიკურია ურარტუელების, კარდუხების, მოსხებისა და შავიზღვისპირეთის ხალიბების ნათესაობის საკითხის დასმა; მით უმეტეს, გვიანდელი ამიერკავკასია ამ ტომთა ნაშთების ძირითადი საცხოვრისი ხდება. შდრ., პ.ინგოროყვას აზრით, ქართველი ხალხის უძველესი წინაპრების – **ხეთას ჯგუფის ხალხების: მუსხების (მესხების), თობელების (ჭიბერების), კასხების (კოლხების)** კულტურული ცენტრი ძვ.წ. VII საუკუნეში ხეთას სახელმწიფოს კატასტროფის შემდეგ გადმოდის საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე (პ.ინგოროყვა, 1978, გვ.244). აქ მცირედი დაზუსტებაა საჭირო: კაბადოკიასა და ჰალისის აუზში მცხოვრებ ქართველურ-კავკასიურ ტომთა (მოსხები, ქაშქები, კოლხები...) შესაძლო წინაპრები არიან **ხათები** და არა ხეთები; ეს უკანასკნელნი ბალკანეთის (?) გავლით მცირე აზიაში მოსული ინდოევროპელები არიან. შემთხვევითი არც ის ჩანს, რომ მოვსეს ხორენაცის თხრობაში კაბადოკიელთა და ქართველთა ჯარი ხშირად გვერდიგვერდ იბრძვის საერთო მტრის წინააღმდეგ (მ.ხორენაცი, 1984, გვ.95, 136); გარდა ამისა, მ.ხორენაცისთვის პონტოს სამეფოც და ისტორიული კოლხეთიც ქართველთა ქვეყანაა, ხოლო პონტოს მეფე მითრიდატე - ქართველი (იქვე, გვ.111-116).

ს.ჯანაშიას აზრით, წინა აზიის ავტოქთონი მოსახლეობის პოლიტიკურ-კულტურული ცენტრის ჩრდილოეთით გადმონაცვლება აშკარად დასტურდება (ს.ჯანაშია, 1987, გვ.20-24, 32, 44, 51); მაგ., “ურარტული და ასურული წყაროების მიხედვით, არდინი (მუსასირი) ურარტელთა წმინდა ქალაქია - ურარტელთა უზენაესი ღვთაება ხალდის კულტის ცენტრია - ხალდის ქალაქია; მოგვიანებით რელიგიურად, კულტურულად და ეთნიკურადაც მუსასირის მოსახლეობა ჩამოცილებული ჩანს დანარჩენ ურარტუს სამყაროს“ (გ.მელიქიშვილი, 1999, გვ.25). აქვე საყურადღებოა **უფლისციხის სახელიც** და ისტორიაც:

უფლისციხე აშენებულია ძვ.წ. VI-V საუკუნეებში; ეს ის პერიოდია, როდესაც უკვე განადგურებულია ურარტუ; ლოგიკურია დავუშვათ: მოძმე კავკასიურ-წინააზიური ტომების საერთო დიდი ღმერთის - **ხალდის** - სამეფო ცენტრი გადმოვიდა უფრო ჩრდილოეთით. შდრ.: **ხალდი**

მებრძოლი, მამრობითი ღვთაებაა; ურარტუელები მას სწირავდნენ ხარს. მებრძოლი ღვთაებაც და ხარის კულტი საქართველოშიც შთამბეჭდავია (ღვთაება **ხალდი** უნდა იყოს ასახული წმინდა გიორგის სახეში)...

დიდი ისტორიული კატაკლიზმების ჟამს მართლაც მოსალოდნელი იყო ქართველურ-კავკასიურ ტომთა რელიგიური ცენტრის გადმონაცვლება დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე (ლოგიკურია, ასევე, **ღვთაება** ხალდის/ქართის/არდის რამდენიმე ციხე-ქალაქის არსებობაც); ამ თვალსაზრისით, საინტერესოა კ.ზ. გამსახურდიას დასკვნაც: “**უფლისციხის არქეტიპული ღვთაება ხალდი უნდა იყოს**“ (კ.ზ. გამსახურდია, 1995, გვ.21). აქვე, შდრ., იოვანე პეტრიწისეული ტერმინი “**ხალდეველთა წინასიბრძნე**“ (პეტრიწი ქალდეველებს ხალდეველებს ეძახის; იოვანე პეტრიწი, 1947, გვ.41); კ.ზ.გამსახურდიას მტკიცებით, “ეთნოლოგიური თვალსაზრისით, “ქალდეველი“, ამავე დროს, უნდა აღნიშნავდეს არა მარტო ბაბილონელ სემიტს, არამედ იმ უძველეს პრესემიტურ ხალხსაც, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია **შუმერთა** სახელით“ (იქვე, გვ.79). აქვე უნდა გავიხსენოთ ივ.ჯავახიშვილის ცნობილი დაკვირვება: ძველი ქართველი ავტორები ქართველთა წინაპრების იდენტიფიკაციას ახდენდნენ შუამდინარეთისა და ბიბლიურ სამყაროსთან; მისი აზრით, **ქალდეველი არის სპარსელიც, ბაბილონელიც და ქართველიც** (იხ., აგრეთვე, “ვესტათი მცხეთელის წამება“; ქართული მწერლობა, I, გვ.259-260).

შენიშვნა: ძველ ქართულ ტექსტებში “ქალდეველი“ სპარსთა მნიშვნელობით გამოიყენება, მაგრამ, “ქართლის ცხოვრების“ ბუნთურქების ეპიზოდის ავტორი **ქალდეველებს** ბაბილონელებად, ასურელებად თვლის (მსჯელობისათვის იხ. მ.სანაძე, 2001, გვ.27-29); ჩვენი აზრით, აღრევის სათავე აღრეულ ეპოქაშია საძიებელი: ჩანს, ძველ წყაროებში **ქალდეა/ქალდია** წინა აზიის ეთნოპოლიტიკური ცენტრის აღმნიშვნელი იყო ამავე რეგიონის ავტოქთონი ხალხების ენაში; შემდეგ ეს სახელი შემორჩა როგორც ქართველურ-კავკასიურ მკვიდრ ხალხებს, ასევე ინდოევროპელებთა თუ სემიტთა ერთ ნაწილს. შდრ., **ქალდეელები (kaldu)** - ისტორიულად არსებული მომთაბარე, არამეულად მოლაპარაკე სემიტი ტომები ძვ.წ. I ათასწლეულში, რომლებიც ბაბილონის სამხრეთით დამკვიდრდნენ ძვ.წ. IX საუკუნიდან; შდრ., აგრეთვე, ბერძნულთა ახლოს მდებარე **სოფელი ხალდე**.

ურარტულ-კავკასიურ ღვთაება **ხალდე**-თან და **ქალდე/ხალდე**- ფუქსთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ რამდენიმე გარემოება:

1. სტრაბონის მიხედვით (გეოგრაფია, XII, 3, 19-24), ტრაპიზონსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობენ ქალდეები - ძველი ხალიბები, რომელსაც ჰომეროსი ჰალიძონებს და ალიბებს უწოდებს (იხ., აგრეთვე: დ.ბაქრაძე, 1889, გვ.34 და პ.ინგოროყვა, 1954, გვ.285);

2. “აბოს წამებისა“ და მოვსეს ხორენაცის “სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით, ქალდია/ხალდეა/ხაიტიქი არის იგივე ჭანეთი/ჭანიქი (იხ.: ქართული მწერლობა, I, გვ.454 და მ.ხორენაცი, 1984, გვ.162, 277); შდრ., შავიზღვისპირეთში არსებული ხალდის პროვინცია შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში; იგი შემოიფარგლებოდა ტრაპიზონის რეგიონით (მასში არ შედიოდა რიზეს მხარე; პ.ინგოროყვა, 1954, გვ.210). შდრ.: ტრაპიზონთან ახლოს ხალდიის ქართულ ქვეყნას - დავით კუროპალატის კუთვნილ მხარეს - ასახელებენ ქართველი მემატიანენი (სუმბათ დავითის ძე, 1449, გვ.70; “მატიანე ქართლისა“, გვ.285). საყურადღებოა ისიც, რომ VIII საუკუნიდან ბერძნულ წყაროებში ტრაპეზუნტის მხარეს ლაზიკა ჰქვია; ქართულ წყაროებში (იხ. მაგ., გიორგი მთაწმინდელის “აკათისტოს საკითხავის“ ქართული ვერსია) ამ ტერიტორიას მეგრელთა მხარეს უწოდებენ (იქვე, გვ.214);

3. ადიღური ენის შავსულური დიალექტის ხაყურ კილოკავში ქართველის აღსანიშნავი ძველი სახელია ხალგდე (ცნობა მოგვაწოდეს რუსლან ნათხუამ და მიხეილ ლაბაძემ; აქვე შევნიშნავთ, რომ ადიღურში არაბუნებრივია ლდ თანხმოვანთმომდევრობა და გ ნეიტრალური ხმოვნით ხდება ამ არაკანონიკური კომპლექსის სუპერაცია);

4. ჭოროხის სათავეების მიმდებარე ტერიტორიაზე იყო ქართველური ქალაქი ქალდია - ვერცხლის საბადოების ქალაქი (ტიმოთე მთავარეპისკოპოსის “მიმოხილვა... აღმოსავლეთის ადგილთა“; იხ. პ.ინგოროყვა, 1954, გვ.285);

5. შუა ლაზეთში, ამჟამად თურქეთის საზღვრებში მოქცეულ დაბა ოფის ზონაში, რიზესა და სურმენეს შორის მდებარეობს პუნქტი ხალდი და ხალდის მთა; მდინარე ოფის წყლის სათავეებშია პუნქტი ხალდიზენი (ზენა ხალდი) - ზემო ხალდი. ოფის წყლის ზემო შენაკადს ეწოდება ხალდიზენის ხევი, მთებს კი - ხალდიზენის მთები;

7. საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებშიც რამდენიმე ხალდე დასტურდება: კავკასიონის კალთებზეა მყინვარი ხალდე და მდინარე ხალდეჭალა; აქვეა სოფელი ხალდე.

შემთხვევითი არც ის ჩანს, რომ ორ სხვადასხვა ადგილას - დიდი კავკასიონის კალთებზე და მტკვარ-ჭოროხ-პალის-არაქს-ტიგროს-ევფრატის სათავეების მიმდებარე ტერიტორიაზე - მოსხურ მთებში (მოსხური მთების ლოკალიზაციის შესახებ იხ. ნ.ხაზარაძე, 2001, გვ.315) - გვერდიგვერდ დასტურდება ადგილის აღმნიშვნელი ორი საკუთარი სახელი (ტოპონიმი): კოლა და ხალდე.

აქვე დაისმება კითხვა: როდის მოხდა ქართლ- და ქართუელ- ფუძეების წარმოქმნა?

გვარაუდობთ: თორთუმის, ჭოროხისა და მტკვრის სათავეებში არსებული ქართველური სახელმწიფოების დაკნინების შემდეგ, უფრო ჩრდილოეთით მალევე იქმნება ქართველურ ტომთა მორიგი გაერთიანება; ვფიქრობთ, აზონ-ქუჯ-ფარნავაზის წინა პერიოდში მიმდინარე ქართველური ტომების გაერთიანების პროცესში საერთო ქვეყნის სახელად მკვიდრდება ქართლი, საერთო თვითსახელწოდებად კი - ქართუელი: ორივე ფუძე მომდინარეობს დიდი ღვთაების სახელისგან - ქართუ/ქართი: ქართუ > ქართუ-ელი (თეონიმიდან წარმოიქმნა ეთნონიმი); ქართ- > ქართ-ლ-ი (ქართლი - ღვთაება ქართის/ხალდის ქვეყანა). ღვთაებისგან მომდინარე ქორონიმისა და ეთნონიმის დამკვიდრება მოტივირებული შეიძლება იყოს პოლიტიკური ფაქტორითაც: ჩანს, გაერთიანების პროცესში ქართველურ ტომთა მმართველებმა უარი თქვეს რომელიმე ქართველური ტომის სახელის განზოგადებაზე, შესაბამისად, რომელიმე ტომის ჰეგემონობაზე...

ერთი რამ აშკარაა:

ქართუ-ელ-ი ქართველთა უძველესი ავტოეთნონიმი (ენდოგენური ეთნონიმი), ქართლი კი - ქართველთა სახელმწიფოს უძველესი ქართულენოვანი ქორონიმი ჩანს.

შენიშვნა: გორგასალის შემდეგ, ქართველთა დაშლა-დასუსტების მორიგ ეტაპზე, ტერმინები: ქართლი/ქართველი დავიწროვდა ქართველთა ერთი პროვინციისა და მისი მოსახლეობის სახელად; შესაბამისად, ქართულ ქვეყანათა კონსოლიდაციის მორიგ ეტაპზე განმაზოგადებელ ახალ ქორონიმად შემოღებულ იქნა საქართველო (უფრო გვიან კი იყო მცდელობა, დაემკვიდრებინათ ქორონიმი იბერია; იხ.: 1790 წ. “იბერიელთა ერთობის ტრაქტატი“).

რაც შეეხება ქართუ-ქართლ-ქართველ- ფუძეთა თანამედროვე დიალექტურ ვარიანტებსა (ქართუ, ქართ...) და მათი მნიშვნელობების ისტორიას:

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართლ- ფუძის მსგავსად, ქართველ- ფორმაც, სხვადასხვა დროში თუ ენობრივ ველში, რამდენიმე სემანტიკით გამოიყენება; კერძოდ:

— ქართველი ერის წარმომადგენელს (მაგ., მემატინისათვის ქართველნი არიან წამებულნი ეგრისელნი დავით და კონსტანტინე: “თქმულნი ნეტარისა მოწამისა ქართველისაჲ”; პ.ინგოროყვა, 1954, გვ. 669-671; დ.მუსხელიშვილი, 1993, გვ.360); სხვა ქვეყნების მსგავსად, ახლო მომავალში ქართველი შეიძლება დამკვიდრდეს საქართველოს მოქალაქის ფარდ სახელად (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად).

— ქართველურ კილოებსა თუ სამწიგნობრო ენაზე მეტყველ ქრისტიანს (იხ.: მიქელ მოდრეკილის საგალობელი “ქსენებაჲ უძლეველისა მოწამისა ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისაჲ”; შდრ., ამგვარი კულტურულ-პოლიტიკური მიდგომით, ეთნიკურად ქართველი და ქართულად მეტყველი მუსლიმანი თათარია).

— სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენელს - გლეხს (საკითხის მიმოხილვისათვის იხ. მ.ქურდიანი, 2001). ამ სემანტიკით ქართველი დადასტურებულია მხოლოდ ქართლში (შდრ., მარგალი “გლეხის” მნიშვნელობით ჩანს მხოლოდ ეგრისში), რაც საფუძველს გვაძლევს, ეთნონიმისთვის ამგვარი სემანტიკის განვითარება იხსნას არა “დამპყრობელი, ან მეზობელი ხალხის” ხედვით, არამედ ეთნოკულტურული და სოციოლინგვისტური მიზეზებით (გასათვალისწინებელია ისიც, რომ, შესაძლებელია, მეზობელმა ხალხმა სხვას დაარქვას დამამცირებელი სახელი, მაგრამ საკუთარ თავს რომელი ხალხი თუ საზოგადოება დაიმცირებს მონის ან გლეხის ფარდი სახელის დარქმევით? შდრ.: გ.მელიქიშვილი, 1965, გვ.90-91; მ.ქურდიანი, 2001, გვ.104); კერძოდ: შუა საუკუნეებში ქართველი მხოლოდ ქართლელს აღნიშნავდა, შესაბამისად, ქართლურ კილოში ქართველად ითვლებოდა ის ფენა, რომელიც მხოლოდ ქართლურ კილოზე მეტყველებდა; შდრ., გლეხისთვის აზნაური, თავადი და მეფე არ იყო ჩვეულებრივი, მისნაირი, კუთხური ენა-ცნობიერების მქონე ადამიანი; შდრ., ოპოზიცია: თავადი - ქართველი/ქართლელი... ამგვარი მიმართების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ფეოდალურმა აზროვნებამ, თუმცა, მაღალი წრის (განათლებული) საზოგადოება თუ ინტელიგენცია არც თანამედროვე საქართველოში ითვლება რომელიმე ერთი

კუთხის სახელ, მაგ., არავინ ამბობს, რომ აკაკი იმერელი პოეტია, ვაჟა - ფშაველი, კონსტანტინე გამსახურდია - მეგრელი მწერალი და ა.შ.

ქართლელისა/ქართველისა და თავადის მიმართების ანალოგიურია ოპოზიცია: მარგალი და შინოსქუა; სხვა ქართველთა მეტყველებაში მეგრელი (ეგრისელი) საქართველოს ერთი კუთხის მოსახლეობას მიემართებოდა, მაგრამ საკუთრივ მეგრულ კილოში გამოყენებული მისი შესატყვისი ფორმა - მარგალი სულაც არ იყო მეგრელის ზუსტი “თარგმანი”: მეგრულ კილოში მარგალი მეგრელთა მხოლოდ დაბალ ფენას აღნიშნავდა; მაღალ ფენას შეესაბამებოდა შინოსქუა (“აზნაური”, “ზეცის შვილი”, “ზენა შვილი”; შინოსქუას ფენა, შესაბამისად, წარმოდგენილი ოპოზიცია მოიშალა ბოლშევიკებისმიერი რეპრესიების შემდეგ). აქვე ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მარგალისა და ქართლელის სოციალურ სტატუსს - ქართველთა კერძო სახეებს - რეგიონალურ ვარიანტებს - შეესაბამება ორი დიალექტური მეტყველება, ხოლო შინოსქუასა და თავადს - როგორც ზოგადქართულ ფენომენს - ერთი საერთო სამწიგნობრო ქართული: ე.ი. სოციალური ფენის მარკირება ხდება სამეტყველო კოდის მიხედვით...

შენიშვნა: 2000 წელს გამოქვეყნებულ წიგნში “ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ” მარგალ- ფორმის მიერ სემანტიკის გაფართოება და მისი გათანაბრება მეგრელ- სიტყვასთან ახსნილი გვქონდა ისტორიული პროცესების შესაბამისად: კომუნისტების მიერ შინოსქუას ფენის გაყლექისა და, საერთოდ, ამგვარი ლექსიკის (ბატონი, თავადი, შინოსქუა, აზნაური...) აკრძალვის ფონზე, მარგალი ფორმა სემანტიკურადაც გაუთანაბრდა მეგრელს; ამგვარი ახსნა “ისტორიული პერსპექტივის დარღვევად” მიიჩნია მ. ქურდიანმა; ის წერს: “ამ ჰიპოთეზის არგუმენტი, სალიტერატურო ენის ფაქტორი, საგანგებოდ მისადაგებული “მარგალის” სოციალურ ფუნქციას, აღარ მუშაობს “ქართველის” ანალოგიურ სიტუაციაში” (იხ. მ.ქურდიანი, 2001, გვ.105).

— მხოლოდ ქართლელს - საქართველოს ერთი კუთხის მოსახლეობას; არა მხოლოდ შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში, არამედ ზოგ თანამედროვე ქართველურ კილოებშიც კი ქართველი ქართლელს აღნიშნავს; მაგ., ალ.ჭინჭარაულის ცნობით, ხევსურებისთვის საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებნი არიან: ქართველნი (ქართლელები), მესხნი, ჯავახნი (შდრ.: ეჯავახება - ეჯიუტება), კახნი, ფშაველნი, მოხევენი, გულდამყრელნი, თუშნი, იმერნი, აფხაზნი (აფხაზი - ვაჟკაცი), მეგ-

რელნი... შდრ., მეგრ. ქორთუ (< ქორთუელი) - აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი; შდრ., აგრეთვე, თუშური: **ქართულაყობა** - “საუბრისას ლიტერატურულ კილოზე ქცევა, ცუდ ტონად, მეტიჩრობად ითვლება” (გ.ცოცანიძე, 2002; იხ., აქვე: **კახი** - “ბარელი ქართველი“, **კახურაყი** - “რაიმე კახური“ ან: “კახეთში მოზამთრე თუში“; ჩანს, **თუშისთვის** ბარული ქართული “**კახის“ მეტყველება**).

თანამედროვე მეგრულ მეტყველებაში ტერმინი **ქართველი** გამოიყენება ზოგადქართველის მნიშვნელობით; მეგრული ამ ტერმინში საკუთარ თავსაც მოიაზრებს. მეგრულში დადასტურებულ **ქორთუ** ფორმას შეცდომით **ქართველად** თარგმნიან; მერაბ ჩუხუას ცნობით, “ზან. **ქორთუ** და სვან. **მექართ** ლექსემები მიემართება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრ ქართველს; შდრ., მეგრულში დასტურდება იმერელი, აჭარელი, შონი, გურული და ქორთუ” (შდრ., მ.ჭურდიანი, 2000, გვ.186: **მექართ** - ქართი/ქართველი; ეროვნული სახელის მნიშვნელობით სვანები იყენებენ ტერმინს **მექართუელ**, მეგრელები კი - **ქართუელი**)...

გვარაუდობთ, რომ VII-VIII საუკუნეების დაშლილ-დაქუცმაცებულ საქართველოში, როდესაც ტერმინი **ქართველი** მხოლოდ ქართლელს აღნიშნავდა, აღმოსავლეთელი ქართველის აღმნიშვნელად დავიწროვდა **ქორთუ** (< ქორთული < ქართუელი); შდრ.: თ.გამყრელიძის და გ.მაჭავარიანის მიერ დამუშავებულია: ქართველ- > ქორთულ- ქორთულა > ქორთულა > ქორთუ > ქორთუ ლოგიკური პროცესი (1965, გვ.89-92); შდრ.: ბედელი - ბალუ, უდელი - ულუ... მაგრამ: ყველი - ყვალი, წითელი - ჭითალი/ჭითა... (ამ რიგის მასალაში რატომ არ გვაძლევს -ელ- სუფიქსი -უს?). ამავე პერიოდის წარმონაქმნი ჩანს სვან. მექართ (qarTleli).

rac Seexeba ზანურ-სვანურ-აფხაზურ არეალში დადასტურებულ ქართ/ქართ (“დედაქალაქი”) ფორმას:

ჩვენი ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ სრულიად ქართლის ძველ დედაქალაქსაც - **უფლისციხესაც**, თავდაპირველად, მთავარი ღვთაების სახელი **ქართუ/ქართი** ერქვა, რომელიც **ქართ/ქართ** ფორმით **თბილისის** სახელად შემოინახა ზანურ-სვანურმა (შდრ., ნასესხებია **ქართა** ვარიანტი); ძველი დედაქალაქის სახელი გადავიდა ახალ დედაქალაქზეც. არც ის გამოირიცხება, რომ ზანურ-სვანური **ქართ-** წარმოად-

გენს **ქართლ-** ფორმის გამარტივებულ სახეს (ქართლ- > ქართ- > ქართ): დიდი ქართლის დაშლის შემდეგ - არაბობის პერიოდიდან (ქორონიმ **საქართველოს** დამკვიდრების პარალელურად), მისი სემანტიკა თანდათან დედაქალაქად დავიწროვდა.

ახსნადია ის ფაქტიც, რომ **ქართუ/ქართ** ფორმის ა ხმოვანი ზანურში არ იძლევა **ო-**ს: ზანურ არეალში ა-ს ლაბიალიზების შეფერხება შეიძლება განეპირობებინა ბოლოკიდურ უ-ს, თუკი ამოსავალ ფორმად დავუშვებთ **ქართუს**, ან ბოლოკიდური ლ-ს დაკარგვას, თუკი ამოსავალ ფორმად დავსახავთ **ქართლს**: ქართლ- > ქართ; შდრ.: ძმა/ძმალ- - ჯიმა, და/დალ- - და, მამა/მამალ- - მუმა... მაგრამ: ცხრა - ჩხორო, და - დო (კავშირი), მამალი - მუმული... პირველ მაგალითებში ა-ს ლაბიალიზებას აფერხებს ბოლოკიდური ლ-ს დაკარგვა (ამ პროცესის შესახებ იხ. ტ.ფუტყარაძე, 1990); საერთოდ, შეინიშნება, რომ საერთოქართველურ ფუძეში მომხდარი სხვა ფონეტიკური პროცესი აბრკოლებს ქართველურ ბგერათშესატყვისობებად სახელდებულ ისტორიულ ფონეტიკურ პროცესებს (იხ. ქვემოთ).

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ცხადყოფს, რომ **ქართველი** (ქართლელი) და **მარგალი** ფორმების სოციალური სემანტიკა სავსებით ერთგვარი ვითარებითაა შეპირობებული; გარდა ამისა, სამწიგნობრო ენის ფაქტორი საგანგებოდ კი არ მიესადაგება არსებულ მდგომარეობას, არამედ ასახავს ეთნოკულტურულ და ისტორიულ სურათს; შდრ., მ.ჭურდიანი, 2001, გვ.105: “რითი უნდა აიხსნას ქართულ ენაში ტერმინ **ქართველის** შესაბამისად მეგრულში ტერმინ **მეგრელი-სათვის** დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლის სემანტიკით აღჭურვა?...“ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ **მეგრელ-** ფორმას არსად უდასტურდება დაბალი სოციალური ფენის გამოხატვა; ამგვარი შინაარსით გვაქვს მხოლოდ **მარგალი**; ასევე, **ქართველი** მხოლოდ ქართლურ დიალექტურ ველში ჩნდება “გლეხის“ მნიშვნელობით და არა, ზოგადად, ქართულ ენაში; ამგვარი ნიუანსების გაუთვალისწინებლობა მსჯელობას ჩიხში შეიყვანს; **მარგალის** შესახებ იხ., აგრეთვე, გ.მელიქიშვილი, 1974, გვ.103; ტ.ფუტყარაძე, 1999.

შენიშვნა: მ.ჭურდიანი ტერმინ **ქართველის** კიდევ ერთ მნიშვნელობას ვარაუდობს: “ქართველი ნიშნავს გარკვეული **დედაენობრივი ერთობის** (ხაზი

ჩვენია - ტ.ფ.) წარმომადგენელს, იმასვე, რასაც ნიშნავდა ამჟამად გამჭრალი ტერმინი “ქართი” და, როგორც ასეთის აღმნიშვნელი ტერმინი, ის შედის ოპოზიციისაში ამავე მართებული არის ანალოგიურ ტერმინებთან, მაგ., როგორც: სვანი, მეგრელი და სხვ.“ (მ.ჭურდიანი, 1999, გვ.53); ეს მოსაზრება ფაქტობრივ მასალას არ ემყარება. ასევე, კონკრეტულ მასალასთან შეუსაბამოა მ.ჭურდიანის შემდეგი აზრიც: “№ 5 მართებულ არეში ტერმინი **თურქი (მუსლიმანი სუნიტი)** შეიძლება ჩანაცვლებული იყოს შინაარსობრივად და მნიშვნელობით ახლოს მდგომი, მაგრამ არასინონიმური ტერმინებით — **მეხნი, აჭარელი...**“. პირველ რიგში, აქ დასაზუსტებელია ის, რომ მესხთა და აჭარელთა დიდი ნაწილი ქრისტიანია, მეორეც, მუსლიმანი ქართველები აჭარაშიც, ტაოშიც და იმერხევეშიც შეუთრაცხეოფად მიიჩნევენ თურქთან შედარებასაც კი; ასევე, თავს თურქად არ თვლის ქართული წარმოშობის და ქართულის არმცოდნე უცხოეთში მცხოვრებ მუსლიმან მესხთა ერთი ნაწილიც (განსხვავებით მესხეთიდან გასახლებული ეთნიკური თურქებისგან, ან უკვე გათურქებული ქართველებისგან).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ობიექტურ კრიტიკას დაექვემდებარება კახელთა, ჰერთა, იმერთა, ზანთა, მესხთა, ფხოველთა და ა.შ. სხვა ქართველთა ე.წ. **ქართიზაცია/ქართველიზაციის თეორია**, რომელიც სათავეს იღებს ნ.მარის შრომებიდან და დღემდე პოპულარულია ქართველთა თუ უცხოელ მკვლევართა შორის (მესხთა ქართიზაციის შესახებ იხ., მაგ., მ.ჭურდიანი, 2000, გვ.191); შესაბამისად, *istoriuli suraTis realur asaxvas ar warmoadgenen samecniero literaturaSi damkvidrebuli ტერმინები: “დასავლეთ-ქართული ეთნოსი (ეროვნება)”, “ქართის ეროვნება”* და სხვა.

საერთოდ, ისტორიულ ეთნონიმთა თუ ქორონიმთა მიხედვით თანამედროვე ტერმინთა შექმნას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, ვინაიდან ძველ ტერმინთა ერთმა ნაწილმა დღეს მნიშვნელობა გაიფართოვა, ან დაივიწროვა, ზოგი სულაც დაიკარგა; მაგ., ლეონტი მროველთან **ეგრისი** და **სვანეთი** სინონიმები ჩანს; შემდეგ გამოიყენებოდა **ოდიში**; ბოლოს, ტერმინი **ეგრისი** გვიანდელ **ოდიშთან** ერთად სულ გამოვიდა გამოყენებიდან და დამკვიდრდა **სამეგრელო** (მდრ., საინგილო დამკვიდრდა ჰერეთის ნაცვლად).

სრულიად უმართებულოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი **ქართი** დამკვიდრდა ე.წ. სისინა ა ტიპის ქართველურ კილოებზე მეტყველ ქართველთა აღსანიშნავად; ხელოვნურად გაჩნდა ეთნონიმური

ოპოზიციები: **ქართი - ზანი; ქართი - სვანი...** ხაზგასმით აღვნიშნავთ:

საერთოქართველური ენა/კოინე და კულტურა ყველა ქართველური ტომისა თუ თემის საერთო შემოქმედებაა; გარდა ამისა, ისტორიულ წყაროებში არსად გვიდასტურდება ტერმინი **ქართი**, ხოლო **ქართველი**, მეტწილად, ზოგადქართველს - ქართველური ცნობიერების მქონე ადამიანს (ადამიანთა ჯგუფს) - მიემართება და ყველა ქართველურ (30-მდე!) თემს/ტომს მოიაზრებს; შესაბამისად, ქართველს ქართიზაცია-ქართველიზაცია არ სჭირდება. ამგვარი ტერმინი (ქართიზაცია/ქართველიზაცია) შეიძლება გამოყენებული იყოს გაქართველებული არაქართველის მიმართ; მაგ., დროთა განმავლობაში მოხდა ჩამოსახლებულ ყივჩაყთა ერთი ნაწილის ქართველიზაცია-ქართიზაცია...

გარკვეული პირობითობით, ტერმინი **ქართიზაცია** შეიძლებოდა გაგვემართლებინა, თუკი მართლაც არსებობდა ე.წ. ქართის ტომი და მისი ენა/კულტურა განზოგადდა სხვა ქართველური ტომებისათვის. როგორც ზემოთ ვნახეთ და ქვემოთაც დავრწმუნდებით, ამგვარი მოსაზრების მტკიცება მეტად გაჭირდება: **ტერმინ ქართით აღნიშნული ტომი წყაროებში არ ჩანს!** გარდა ამისა, მეგრელ-ჭანები, ლაზები, სვანები, ჰერები, მესხები, კახები, ცხვიმები/სკვიმები/სვიმინები, თაკვერლები, მესხები თუ სხვა ქართველური თემები ქართიზაცია-ქართველიზაციის პროცესს ვერ დაექვემდებარებოდნენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი საკუთრივ ქართლებთან ერთად არიან ქართული სამწიგნობრო ენის, საერთოდ, ქართველური ცნობიერებისა და კულტურის შემოქმედნი - **თავდაპირველი ქართველები...** შესაბამისად, სხვადასხვა ეთნოსად თუ ეროვნებად არასოდეს ყოფილა დასავლეთ, სამხრეთ თუ აღმოსავლეთ “საქართველოების” მოსახლეობა...

ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნის გამოტანა უფრო შეიძლება ბოლო 3000 წლის ენობრივი, არქეოლოგიური და საისტორიო მასალები-სა თუ წყაროების მიხედვით.

შენიშვნა: საკითხის ისტორიისათვის: **ქართიზაციის** საკითხის კრიტიკა პირველად წარმოადგინა მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ თავის გამოკვლევაში: “დღეა ეკლესია“, სადაც ის წერს: “ნ.მარისგან მომდინარეობს იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის “ქართიზაციისა“ ანუ გაქართველების შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივეა; სინამდვილეში კი, ძველი წყაროე-

ბის თანახმად, მთიანეთის, კახეთ-ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას "ქართიზაცია" არ ესაჭიროებოდა, რადგან ძველთაგანვე (და ფარნავაზის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები (მესხებსა და ჰერ-კახელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ეს ასე ესმის "ქართლის ცხოვრებას", ძველ ქრონიკებს და ძველ ავტორებს... დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქრისტიანობამდე ყველა ქართულ ტომთათვის (სამეგრელოსა და სვანეთშიც) კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა... შესაბამისად, ამ ტომებს ქართიზაცია არ სჭირდებოდათ..." (ა.ჯაფარიძე, 1996, გვ.195-197, 213, 215-216; იხ., აგრეთვე, ა.ჯაფარიძე, 1998, გვ.261-263; ა.ჯაფარიძე, 2003).

ამრიგად, ეთნონიმი **ქართველი** თავიდანვე ზოგადდროვნული მნიშვნელობის საკუთარი სახელია და არა სატომო სახელი (შდრ. ბ.გიგინეიშვილი, 1975, გვ.115). ეთნონიმ **ქართველების** უცხო ენებზე თარგმნისას, სასურველია, თარგმანშიც აისახოს დედნისეული ვარიანტი; მაგ., ინგლისურად უკეთესია - **kartvels**, ხოლო თურქულად - **kartveller**.

აქვე აღვნიშნავთ: სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ გაბატონებულია აზრი, რომ **იბერი** და **კოლხი** სხვადასხვა ეთნოსების აღმნიშვნელი ცნებებია; როგორც ვნახეთ, სხვადასხვა დროს კოლხიც და იბერი/ივერი/სპერიც ქართველს აღნიშნავდა; შესაბამისად, **კოლხური ენა/კულტურა** და **იბერიული ენა/კულტურა** ჩვენთვის სინონიმური მნიშვნელობის ტერმინებია, თუმცა გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად მაინც ვარჩევთ, ამ მნიშვნელობით გამოვიყენოთ ტერმინი **ქართველური ენა/კულტურა**; შესაბამისად, ტერმინ **იბერიულ-კავკასიურის** ნაცვლად, ვიყენებთ ტერმინს - **ქართველურ-კავკასიური** (შდრ., არნ. ჩიქობავა იბერიულ-კავკასიურ ენებში გულისხმობდა ქართველურ-კავკასიურ ენებს).

შენიშვნა: ქართველთა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, საერთო ენასთან ერთად, მონათესავე თემთა მაკონსოლიდირებელი იყო საერთო ღვთაება: ჩანს, ჯერ **ქართუ/ხალდი**, შემდეგ, მცირე ხანს, **არმაზის კულტი**, ბოლოს - **ქრისტიანობა**.

1.2.3. ქართველების აღმნიშვნელ ეთნონიმა და თემონიმა ლინგვისტური მიმართების ამსახველი სქემა

წინა პარაგრაფებში წარმოდგენილ ეთნონიმა და თემონიმა დიდი ნაწილი საერთო წარმომავლობისა ჩანს. კიდევ ერთხელ არსებითი იმის აღნიშვნაც, რომ მეზობელი ხალხები ქართველთა აღსანიშნავად, არაიშვიათად, განაზოგადებდნენ მათი მომიჯნავე ქართველური (**resp. ქართული**) ტომის თუ თემის სახელს; ქართველთა თვითსახელწოდება კი მიემართება ღვთაება **ხალდე/ქართუს**.

"ყოველთა ქართველთა" აღსანიშნავად ყველაზე ხშირად გამოიყენება: **ქართ-/ქალდ-/ხალდ-** (> *ხალიდ-ონ-/ჰალიძონ-?), **მოსოხ-/მუშქ-/მესხ-**, **სან-/ზან-/სვან-**, **კოლხ-/კილხ-/კულხ-**, **იბერ-/ივერ-/სპერ-** და **აბაზ-/აბაზხ-** ფუძეები.

შეჯამების სახით, ქართველურ ტომთა და თემთა სახელების შესაძლო ეტიმოლოგიური ჯაჭვი შემდეგი ძირითადი ჯგუფების სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

შენიშვნა: თითოეული ფორმის ისტორიასთან დაკავშირებით, აქ აღარ დავასახელებთ წინა თაობის მკვლევართა მოსაზრებებს ("ქართველების" ეს ნაწილი ეხმიანება ს. ჯანაშიას ნაშრომს: "თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი", თუმცა, ს.ჯანაშიასეული ზოგი დაკავშირების გაზიარება ჭირს). ქვემოთ წარმოდგენილ **ლოგიკურ ლინგვისტურ სქემებს** არა აქვს უცილობელი ჰუმპარიტების პრეტენზია.

ა. ქართუ(ელი):

საერთოქართველური ეთნოსის თვითსახელწოდებაში: **ქართუელი** გამოიყოფა **ქართუ-** ფუძე, რომელსაც შეიძლება უკავშირდებოდეს არა მხოლოდ ქალდ- (ქალდეა), ხალდ- ფუძეები, არამედ, კარდუ-ხ- ფორმაც (-ხ- კრებითობის სუფიქსია; შდრ.; კოლა - კოლ-ხ-ი, ტაო - ტაო-ხ-ი, ჭოროფ-ა - ჭორო-ო-ხ-ი, ღვინო/ვინო - ვენა-ხ-ი; შდრ. მ.ჩუხუა, 2003, გვ. 9).

არის ცდუნება, ქართ-/ხალდ- ფუძესთან დავაკავშიროთ ხალ-იბ-ფუძეც, თუმცა მანამ, სანამ იბ- სეგმენტის დამაჯერებელი კვალიფიკაცია არ მოხდება, რაიმეს მტკიცება შეუძლებელია (ჩვენ ვვარაუდობთ **-ებ-> -იბ-** პროცესს). თავის მხრივ, ხალ-იბ- (ხალიბი) ფუძესთან დაკავშირებული ჩანს ჰომეროსთან დადასტურებული [ჰ]ალ-იბ-ე: **ჰ, ხ, ქ** უკანა წარმოების ფუნქციური თანხმობების მონაცვლეობა მოსალოდნელია არა მხო-

ლოდ სიტყვათა სესხებისას, არამედ ერთი ენობრივი სისტემის ფარგლებშიც (მაგალიტები იხ. ზემოთ); ბუნებრივია ვარაუდი, რომ **ჰალ-** ძირი გამოვყოთ ჰალ-ის- (ჰალისი - მდინარე, კიზილ-ირმაკი) და ჰალ-იდ-ონ-ფუძეებშიც: -ის- კუთვნილობის მაწარმოებლად, -ონ- ქართველური კრებითობის სუფიქსად, ხოლო -იდ- < -ეთ-/ედ-/იდ- (შდრ., დევს/ძევს) მრავლობითობის სუფიქსად (სხვაენოვან გარემოში ტრანსფორმირებულ ვარიანტად) შეიძლება დავსახოთ; შდრ. სხვა გზაც: ხალდ-/ჰალდ- > *ჰალ(ი)დ- > ჰალიდ- > ჰალიდ-ონ-... დამაჯერებელი კვალიფიკაციაც და წარმოდგენილ ვარაუდთა მყარი არგუმენტირებაც მომავლის საქმედ რჩება. დასასაბუთებელია, აგრეთვე, ხალდ-/ჰალდ- > ღვართ- > ღმართ- > ღმერთ და ხალდ-თა > ხანძთა პროცესები.

ბ. მესხი:

მასისი (მთა) და **ფასისი** (მდინარე) გეოგრაფიული სახელებისა და ეთნონიმ **ფასიანების** საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ **მას-/ფას-** ძირი; შდრ.: ბერძნულ მითოლოგიაში ეთნარქი **კოლხი ფასისის** შვილად არის მიჩნეული, **ფასისი** კი წყლის ღვთაებაა (საკითხის ისტორიისათვის იხ. თ.მიქელაძე, 1955, გვ.33-34). აქ საინტერესოა ისიც, რომ ბერძენთა ცნობიერებაში წყლის ღვთაება (შესაბამისად, მდინარეების აღმნიშვნელი სიტყვა **ფასისი**) და **კოლხიდა** (მხარე მდინარეებზე?) ერთმანეთთანაა დაკავშირებული. საინტერესოა ჩანს აგრეთვე პ.ინგოროყვას ვარაუდი, რომ **ფას-** შემონახულია **ბას-**იან-ი ფორმაში.

***მას-** ძირი ამოსავალი შეიძლება იყოს მეს-ხ-, მოს-ხ- და მუს-ხ- ფუძეებზე ნაყარი სიტყვებისათვის (-ხ- - კრებითობის გამომხატველი სუფიქსი); შდრ.: ნ.ხაზარაძის აზრით, მესხ-/მოსხ-/მუსხ- ფორმებისთვის ამოსავალია **მოსხ-** ფუძე.

***მასხ-** არქეტიპი, ვფიქრობთ, შემონახულია მუშქების/კაბადოკიის ქალაქ **მაზახა/მაჯაკა** ფორმაში: მას-ხ-/მას-ა-ხ- > მაზახ-; შდრ., ჯერ კიდევ იოსებ ფლავიუსის აზრით (1987, გვ.103), ეთნონიმი **მოსოხი** და ქალაქის სახელი **მაჯაკა** საერთო წარმომავლობის ფუძეებია. მეს-ხ- დადასტურებულია **მესხ-** ფუძეში; მისი პოვნიერება სარწმუნო ჩანს **მესქინ-**, **მეშენ-** და **მცხეთა** ფორმებშიც (შდრ., გ.ბელოშვილი, 1981, გვ. 269-276).

მოსხ- ფორმა დაცულია ბიბლიურ **მოსოხ-, მოსოქ, მუშქ-**, ბერძნულ

მოსხ-/მოსოხენ- და ქართულ **მუსხ-** ფუძეებში (მუსხი - სოფელი ახალციხეში). აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, ძველ წინააზიურ და ინდოევროპულ ენათა ველში დადასტურებული **ლაბიალურსმოვნიანი** ძირები (შდრ.: ასურული **თაბალი** და ბიბლიური **თუბალი/თობელი**; ასურული **მუშქები**, ბიბლიური **მოსოქი/მეშენი**, ბერძნული **მოსხი/მოსხიკე/მოსხები** და კაბადოკიის დედაქალაქი **მაზახა**; სომხ. **თორგომა** და ქართველთა **თარგამოსი**; ბიბლიური **არარატი** და **ურარტუ, არდი და ოლთ-**...) და, მეორე მხრივ, ქართველურ ენობრივ (ზანურ დიალექტურ) არეალში დადასტურებული ო-ხმოვნიანი ვარიანტები (კაცი - კოჩი, და - დო...); ისინი სხვადასხვა დროისა და ენობრივი პროცესების წარმონაქმნებია. **ა/ე/ო/უ** ვარიანტულობა ხშირია ასურულ, ხეთურ, იეროგლიფურ-ლუვიურ, ძველ ებრაულ და ძველ ბერძნულ ენებში; შდრ., აგრეთვე: ასურული **გამირ-, მუშქუ** და ძველბერძნული **გომერ-, მეშქ-**; ხეთური **კუმმანი** და ასურული **კამმანუ**; ქართველური **თარგამოსი**, ხეთური **თეგერმა** და ძველბერძნული **თოგორმა**.

შდრ., ***ა-ბას-** (< *ა-მას-/*მას- ?) ჰიპოთეტურ ფორმასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული შემდეგი ქართველურ-კავკასიური ფუძეები:

- *აბას-, აბაშ-, აბეშ-ლ-/აბეშ-ალ-;
- *აბას-, აბაზა; *ებეზე/ებზე, ობეზ-;
- *აბას-, *აბას-არ-/*აბსარ-/აფსარ-;
- *აბას-, *აბას-ილ-/*აბსილ-/აფსილ-;
- *აბას-, *აბას-უა/აბსუა/აფსუა;
- აბაზ-, *აბაზ-ხ-/აბზაზ-/აფზაზ-;
- აბაზ-, *აბაზ-ხ-, აბაზ-გ- ...

გ. სანი

ქართველურ ტომთა აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ფუძე ჩანს **ზანი/სანი**.

შდრ.: ერთი მხრივ, წინაენისმიერ ყრუ თანხმოვანთა მონაცვლეობით წარმოქმნილი ვარიანტები:

- სან-, ზან-, ჭან-, *წან- (წან-არ-?);
- მეორე მხრივ, კი:

ს-ს ლაბიალიზაციით (თუ ლაბიალიზებული ს-სგან?) მიღებული სან- > სვან-/შონ-/(მუ)შუან- ფუძეები.

დ. კოლ-ხ-ი

ქართული პროვინციის სახელი **კოლა** ინახავს ამოსავალ ფუძეს:

კოლ-/კორ- ძირისგანაა წარმოქმნილი **კოლ-ხ-/კილ-ხ-/კულ-ხ-** (-ხ- - კრებითობის გამომხატველი სუფიქსი); აქვე შეიძლება განვიხილოთ: **კორ-** ა-ქს-ი, მა-**კრ-**ონ-ი, **კლ-**არ-ჯ-ი ფორმებიც.

ე. სპერი/იბერი:

ამოსავალი ფუძე ჩანს ***ჰპერ-/სპერ-** (შდრ.: სპერი, სპერის ზღვა); აქედან:

***ჰპერი > ძპერი > იპერ- > იბერ-/ივერ- (იბერია/ივერია);** შდრ., **სპერი > ძსპერი > ისპირი** (იხ. ს.ჯანაშია, 1952, გვ.60). **ჰ/ს > ძ/ძჰ/ძს > ძ/ი** ფონეტიკური პროცესი ქართველური კილოებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა: გასთიბს > გადსთიბს/გადთიბს; სტუმარი > ძჰტუმარი (ბ.ჯორბენაძე, 1998, გვ.196, 357, 545, 550); 2005 წელს იუსუფელის რაიონის ქართულ სოფლებში (ვევაძე, ქობაძე, ბალხი) ჩვენ მიერ ჩაწერილმა მასალამ აჩვენა, რომ თავკიდურ პოზიციაში **ს/ჰ > ძ** პროცესი განსაკუთრებით აქტიურია ტაოურში.

არ გამოირიცხება არც: **ტიბერ- > ჰიბერ- > ჰბერ- > სპერ-** და **ტიბერ- > ჰიბერ- > იბერ-** პროცესები; საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს.

სპერი: სა-სპერ- (სასპერიტები), **სა-პერი-/სა-ვეირ-** (სტეფანე ბიზანტიელი);

***ჰპერ- > *ჰბერ- > ბერ- > ვერ- > ვირ- > ვირ-ქ (>ვრ-ა-ც-)- > ვირ-შან-;** ***ბერ-/ვერ- > ვარ-, ვარ-უ-ჩ-ან, გურჩან-, გურჯან-** (< გეორგიან-), **გურჯ-, კურგ-** (დადასტურებულია XIII ს.; ს.ჯანაშია, 1959, გვ.53), **გურძე-** (ოსური ფორმა), **გრუზინ-** (< გურუზინ-)... შდრ., ჩერქეზული **ქურჯე** “თბილისი”, ადიღური (მაფსულური) **ქგრცე** (< გურჯ) და ოსური **გურჯენ** “ტანადი“ (სპარსულ ენობრივ ველში ვა > გუ პროცესისათვის შდრ., გ. წერეთლის მიერ მოტანილი მაგალითები: **vard > gul, varaz > gura, visnasp > gusnasp...** (გ.წერეთელი, 1993, გვ.104).

წყაროებში დადასტურებული ქართველთა აღმნიშვნელი სხვა სახელები ნაკლებვარაირატულნი არიან; მაგ.: **ლაზი, კახი/კუხი, თუში, ჯავახი/ჯაბახა...** ვარიანტთა სიმცირე აიხსნება ზოგი სახელის არაქართველური წარმომავლობით, ზოგისა კი - ლოკალური გამოყენებით (მაგ., **კახი** გამოიყენება მხოლოდ ვიწრო ენობრივ ველში); თუმცა, საკვლევი **კუხის** მიმართება **კოლხთან**, როგორც ამას ვარაუდობდა ვ.ალენი (იხ., თ.პაპუაშვილი, 1993, გვ. 428).

1.3. სხვადასხვაენოვანი ქორონიმები და სხვადასხვა ისტორიული ეპოქა

(მეთოდოლოგიური შენიშვნები იბერია-ქართლისა და კოლხეთი-ლაზიკა-ეგრისის მიმართებების მიხედვით)

ისტორიული პროცესების ანალიზს დიდად უშლის ხელს ერის თვითსახელწოდებისა და ამ საზოგადოების აღმნიშვნელი სხვა ეთნონიმების აღრევა, აგრეთვე, ქვეყნის საზღვრების შესახებ არსებული განსხვავებული წარმოდგენები:

არაიშვიათად, მოცემული ერის/სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი თავისი ტერიტორიის საზღვრები არ ემთხვევა მეზობელთა ხედვას; გარდა ამისა, ხშირია, როცა ერთი და იგივე ეთნონიმი (თუ ქორონიმი) სხვადასხვა დროს მიემართება ორ ან მეტ საზოგადოებას (ქვეყანას); შდრ.: **აბაზა/ებზე/ობზე** - ქართველი (ყარაჩაულ-ბალყარულ ენაში და ძველ რუსულში), **აბაზა** - აფხაზი (თურქულ ენაში) და **აბაზა** - ამჟამინდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ერთი ნაწილის - აბაზების - თვითსახელი...

ჩვენი აზრით, უფრო მეტ პრობლემას ქმნის მოცემული ერის ტერიტორიის საზღვრებისა და ისტორიული გზის განსხვავებული ხედვა, რომელიც კონკრეტული ეთნონიმებისა თუ ქორონიმების გააზრებაშიც აისახება; მაგ.:

თანამედროვე საქართველოს საზღვრებსა და ქართველი ერის უახლეს ისტორიას განსხვავებულად ხედავენ ქართველი, რუსი და აფხაზური წარმოშობის პრორუსული პოლიტიკოსები (ვ.არძინბა, რ.ხაჯინბა...); არაიშვიათად, ამგვარი სუბიექტურობა ისტორიკოსთა კვლევებშიც გამოსჭვივის (მეტიც, ზოგი არაკეთილსინდისიერი მკვლევარი ისტორიული ფაქტების გაყალბებით ცდილობს, ხელი შეუწყოს პოლიტიკური პროცესების პროვოცირებას).

ბუნებრივია, საქართველოს (თუ სხვა ქვეყნის) მიმართ ამგვარი სუბიექტურობისგან დაზღვეულნი არ იქნებოდნენ ძველი ბერძნები, რომაელები, სპარსელები, სომხები თუ სხვა მეზობელი ხალხები. ეს კარგად ჩანს არა მხოლოდ ისტორიულ წყაროებში, არამედ - ეთნონიმებშიც:

როგორც წესი, მეზობელი ხალხებისთვის ეთნონიმები იქმნება საზღვრისპირა ტომის (ან თემის) სახელის მიხედვით (ალმანები **Allemand** - გერმანელები ფრანგებისთვის), ან რომელიმე დამაკინებელი სემანტიკის მქონე ფუძისგან (ნემეცი - რუსთათვის...); ასევე, არაიშვიათად, სხვა ერის აღმნიშვნელი ეთნონიმი იქცევა ხოლმე უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვად (მაგ., ეთნონიმი **ლულუ** ზოგადად მტრის სახელად გადააზრებულა ურარტულში).

მოვლენა მარტივად იხსნება:

ისტორიული ამბების შეფასება ხდება სასურველი თვალთახედვით: ადამიანი-მემატთანე თავისი დროისა და ქვეყნის ათვისების სისტემიდან დანახულ სამყაროს ასახავს ტერმინებითა თუ ეთნონიმებით: თავისი **ენობრივ-კულტურულ-პოლიტიკური ხედვით** ალაგებს საკუთარ თუ სხვის ისტორიას, აწმყოს, მომავალს.

არაიშვიათია ძველი ამბების აღწერა თანამედროვე ვითარების მიხედვითაც, შესაბამისად - ახალი ეთნონიმების გადატანა ძველ დროში; მაგ.: XII საუკუნის ამბების აღწერისას ჰომეროსი ლაპარაკობს ფინიკიელების შესახებ, ამ დროს კი ფინიკიელები ბუნებაში არ არსებობენ (**ილიადა**, შესავალი, გვ.38). ბიბლიის შემქმნელი ეთნარქებს აღადგენენ თავიანთი თანამედროვე ხალხების სახელების მიხედვით; შდრ., აგრეთვე: ანგარიშს უწევს რა თავისი დროის ვითარებას, “ქართლის ცხოვრების” შესავლის ავტორი (რომელიც, ჩანს, IX საუკუნეში ცხოვრობდა) მისთვის ცნობილი საქართველოს კუთხეების მიხედვით ასახელებს: ეგროსს, ქართლოსს, კანოსს, კუნოსს, გარდაბოსს, გაჩიოსს...

კიდევ ერთი მაგალითი:

ძვ.წ. III საუკუნეში მოღვაწე აპოლონიოს როდოსელს ძვ.წ. XIII საუკუნის აიეტის ქალაქად - კოლხას ძველ დედაქალაქად - **ქუთაისი** აქვს მიჩნეული, ქალაქი, რომელიც დიდ ასპარეზზე გამოდის მხოლოდ ძვ.წ. VII-VI საუკუნეების შემდეგ.

ამკარაა, რომ ისტორიის (ნებისმიერი სხვა დარგის) კვლევის დროს არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტერმინთა იდენტიფიკაციას; კერძოდ, სხვადასხვაენოვან თუ თანამოენე მკითხველს მისი ენისთვის გამჭვირვალე, ადეკვატური, სხვა ქორონიმებთან შეჯერებული ტერმინი უნდა მიეწოდოს; მაგ., ქორონიმი **საქართველო** დღეს ჩვენთვის გულის-

ხმობს ისტორიულ აფხაზეთსაც, ხოლო რუსეთის იმპერიულ ველში აღზრდილი მკვლევრისთვის რუსული ტერმინი **გრუზია** საქართველოს ამ უძველეს კუთხეს არ მოიცავს. ათეული წლების შემდეგ ობიექტური მკვლევარი ვალდებული იქნება, ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნოს ქართული ტერმინი **საქართველო** და პროიმპერიული მეცნიერის მიერ გამოყენებული **გრუზია**: მკითხველი გააფრთხილოს, რომ მაგ., 1992-2005 წლების **საქართველოს** საზღვრებს ზუსტად არ ასახავს, მაგ., ისტორიკოს ვ.არძინბას მიერ გამოყენებული ქორონიმი **გრუზია**.

მსჯელობას გავაგრძელებთ ლაზიკა-ეგრისისა და იბერია-ქართლის მაგალითების მიხედვით:

ქართველ თუ არაქართველ ისტორიკოსთა მიერ სინონიმებადაა მიჩნეული ტერმინები: **კოლხეთი**, **ლაზიკა**, **ეგრისი** (იხ., მაგ., ი.ანთელავა, 1999, გვ. 22; რ.თოფჩიშვილი, 2002, გვ.7; დ.ლეთოდიანი, 2003, გვ.48, 55; თ.ბერაძე, მ.სანაძე, 2003, გვ. 45, 63) და **იბერია - ქართლი** (ივ.ჯავახიშვილი, გ.მელიქიშვილი, ნ.ბერძენიშვილი...); ვფიქრობთ, მათი გათანაბრება შეუძლებელია, ვინაიდან **ძველი კოლხეთი** აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილსაც მოიცავდა, **ლაზიკა** ერქვა რომაელთაგან დაპყრობილ საქართველოს ტერიტორიას, **ეგრისი** კი ქართველი მემკვიდრეებისთვის ქართლის ნაწილია.

ტერმინი **ლაზიკა** და, შესაბამისად, ლაზიკის სახელმწიფოს ისტორია, ძირითადად, რომაული წყაროების ხედვითაა შექმნილი, ხოლო ტერმინი **ეგრისი** და მისით აღნიშნული საქართველოს ერთი კუთხის ისტორია ქართველური აღქმა-შეფასების ასახვაა: ქართული წყაროები ახ.წ. VII საუკუნემდე და IX საუკუნიდან **ეგრისს** ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ხედავს, ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიური წყაროებით კი, **ლაზიკა** იბერიაში არ შედის...

მიყვებთ ძველ წყაროებს და თვალი გავადევნოთ საზღვრების სხვადასხვაობას თუ მკვლევართა უზუსტობებს:

როგორც ზემოთ ვნახეთ, ბერძნულ-რომაულ წყაროებში ლაზებს პირველად ახსენებს მითრიდატეს ისტორიკოსი მემნონი (I ს.) თავის “ჰერაკლეს ისტორიაში”; მემნონი ლაზთა საცხოვრისად მკაფიოდ განსაზღვრავს დიოსკურიის მიდამოებს (სოხუმი-ანაკოფიის რეგიონს); არიანემ (95-175) თავისი თვალთ ნახა ქალაქი **ძველი ლაზიკე**. მოგვიანებით

ამ ქალაქს ნიკოფსიად მოიხსენიებენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.99); აშკარაა, რომ წელთაღრიცხვათა მიჯნამდე ლაზები დიოსკურიის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ; შდრ.: არიანესთან (II ს.) ლაზები და კოლხები თანა-არსებობენ: ისინი სხვადასხვა ტომს წარმოადგენენ (ძველი ბერძენები... 1983, გვ.159); არიანე თავის “პერიპლუსში” წერს:

“ამჟამად **ლაზებს** უჭირავთ ტერიტორია ძიღრიტებიდან აბასკებამდე; ე.ი. დაახლოებით ჭოროხიდან კოდორამდე (თ.ყაუხჩიშვილი, 1987, გვ.23; თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100). შდრ., V საუკუნის “პერიპლუსის” ანონიმი ავტორი: “ძველი აქეიდან ძველ ლაზიკამდე და მდ. აქეუნტამდე (ეს კი არის სოჭიდან დაახლოებით 30 კმ.-ით დაშორებული - თ. ყ.) უწინ ცხოვრობდნენ ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანხლენები, მახლონები, კოლხები და **ლაზები**, ახლა კი ცხოვრობენ ზიხები”.

ასტრონომიისა და გეოგრაფიის ფუძემდებელი კლავდიოს პტოლემე-მაგოსი (100-178) კოლხიდას უწოდებს ტერიტორიას მდ. კორაქსიდან (ბზიფიდან) მდ. ფასისამდე (რიონამდე), სადაც ცხოვრობენ ტომები: **ლაზები**, მანრალეები და ეკრიკტიკის (ეგრისის) ქვეყნის მცხოვრებნი; ამ კოლხიდის ჩრდილოეთით - სარმატიაში - ცხოვრობენ: აქადები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.100, 160).

შემდგომ პერიოდში ლაზები უფრო აქტიურად იხსენიებიან; ტერმინი **ლაზიკა** უკვე პოლიტიკური ერთეულის სახელად ზოგადდება, რომელსაც ზოგჯერ აფხაზეთიც ენაცვლება; მაგ., ამიანე მარცელინი (IV ს.) წერს: იმპერატორი ვალენტი “დათანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდ. კიროსი (მტკვარი) დადებულიყო და სავრომასკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) რგებოდა”; შაბურის “მოსვლით შემინებულმა პაპამ და ასევე კილაკემ ...სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს [ე.ი. ჩვენს მიწებს] ლაზიკისაგან ჰყოფენ” (გეორგიკა, 1961, გვ.90, 128).

აგათანგელოსი (IV ს.): “წმინდა გრიგოლი... ზოგ [მღვდელს] გზავნიდა იბერთა ქვეყანაში (არაბული თარგმანის მიხედვით **გეორგიაში**), ზოგს ლაზთა ქვეყანაში (არაბულის მიხედვით - **აფხაზეთში**; გეორგიკა, 1961, გვ.71)...

იხ., აგრეთვე: პრისკე პანიონელი (V ს.): “მას შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა...” (გეორგიკა, 1961, გვ.254).

შდრ., ცოტა მოგვიანებით, იოვანე საბანისძე (1987, გვ.454) აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვრად მიიჩნევს ნაფსას/ნიკოფსიას (აფსართა საცხოვრისს; შდრ., პ.ინგოროყვა, 1957, გვ.121, 211), ანუ ქალაქ ძველ ლაზიკას, ხოლო სამხრეთ საზღვრად - ტრაპიზონს, ხალდიის ჩათვლით.

ნიკიფორე კონსტანტინოპოლელიც (IX ს.) ლაზიკის სამხრეთ საზღვრად მიიჩნევს ტრაპეზუნტს; კერძოდ, ირაკლი კეისრის ლაშქრობის აღწერისას ის წერს: “ირაკლიმ სცადა ლაზიკის გზით შეჭრილიყო სპარსეთში; როდესაც მოაღწია ტრაპეზუნტამდე - ლაზიკის საზღვრამდე, მისმა ცოლმა შვა ძე”; საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ 1042 წელს ქართულად გადმოღებულ ამ ტექსტში ლაზიკა თარგმნილია სამეგრელოდ: “და მოაღწია, რა **ტრაპეზუნტედ სანახებთა სამეგრელოდსათა...**” (გეორგიკა, 1952, გვ.207-208; იხ., აგრეთვე, პ.ინგოროყვა, 1957, გვ.214-215).

შდრ.: ნიკეტა ხონიატე (XII ს.): ბიზანტიის კეისარს ტიტულებში შეაქვს ...ლაზთა, იბერთა, ბულგართა, სერბთა... ღვთივმმართველი (გეორგიკა, 1966, გვ.131)..

უაღრესად საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ VII-IX საუკუნეთა გეოგრაფია ერთიმეორისაგან განარჩევს **ლაზიკის** პროვინციას (რიზეს მხარეს) და **ჭანიკის** ანუ **ხალდიის** (ხალტეთის, ტრაპიზონის) პროვინციას. მათ შორის საზღვარი გადიოდა ოფი-სურმენეს სექტორში“ (პ.ინგოროყვა, 1957, გვ.210). შდრ., აგრეთვე: სომხური უსახელო გეოგრაფიის მიხედვით, VII-IX საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ოთხი მცირე ქვეყანა იყო: მარგველივი (= მარგვეთი), ეგრევიკი (= ეგრისი), ლაზივი (= ლაზეთი) და ჭანივი (= ჭანეთი ანუ ხალდეთი - ტრაპიზონის მხარე); სომეხი ისტორიკოსისთვის ამ ტერიტორიის სახელია კოლხეთი, ანუ ეგრი; მისი აზრით, “ეს არის ქვეყანა აზიასა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმარტიამდე, და მდინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტომდე - ლიხამდე, რომელიც მას ჰყოფს ივერიიდან“ (პ.ინგოროყვა, 1954, გვ.212).

“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქორონიმი **ეგრისი** (მეგრთა საცხოვრისი) ოდითგანვე **ყოველი ქართლის** (ანუ, სრულიად საქართველოს) ერთ-ერთი ძირითადი და განუყოფელი მხარეა; შდრ., მითრიდატეს ომების შემდეგ ტერმინი **ლაზიკა** ბერძენ-რომაელთაგან კონტროლირებად ქართულ რეგიონს აღნიშნავს.

ისტორიულ წყაროში სამგვარი **ეგრისი** დასტურდება:

– ეგროსის წილი ეგრისი: ლიხიდან ყუბანის შესართავამდე და ტრაპიზონამდე (ჩათვლით);

– მეფე არჩილის სამკვიდრო **ეგრისი** საზღვრებით: ეგრისწყალი (ლალიძეა), შორაპანი, გურიის საზღვარი, შავი ზღვა და კავკასიონის მთაგრეხილი;

– ქუჯის ანუ შიდა ეგრისი: ტერიტორია ეგრისწყლიდან (ლალიძეა) - რიონამდე (ქუჯის საერისთავო სვანეთის გამოკლებით).

“ქართლის ცხოვრების“ სათანადო ადგილის უზუსტო წაკითხვის გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ **ქუჯის ეგრისთან** მიმართებით არასწორადაა წარმოდგენილი **მარგვეთის** საზღვრები; კერძოდ, ყველა ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გვეუბნება:

“ერთნი გაგზავნა მარგვის ერისთავად და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ“.

ივ.ჯავახიშვილისა და ს.ყაუხჩიშვილის მიერ ფრაზა “რიონს ზემოთ“ გააზრებულ იქნა როგორც “რიონის ზედა წელი“, შესაბამისად, მხოლოდ **ზემო იმერეთი** ჩაითვალა **მარგვეთად**; სათანადოდ ჩასწორდა “ქართლის ცხოვრება“:

დედნისეული ფრაზა: ვიდრე ზღუადმდე დაუსაბუთებლად შეიცვალა ფრაზით: **ვიდრე ზღუადმდე ეგრისისა** (“ქართლის ცხოვრება“, 1955, გვ.24; შენიშვნა).

ჩვენი აზრით, ფრაზა “რიონს ზემოთ“ ნიშნავს რიონის სამხრეთით; შდრ., “ქართლის ცხოვრების“ ამ მონაკვეთში სხვა შემთხვევაშიც **ზემოთ - ქვემოთ** ოპოზიცია გულისხმობს დაპირისპირებას: **სამხრეთი - ჩრდილოეთი**; მაგ., იქვე წერია: “ეგრის წყლის ქვემოთა არ ისურვა განდგომა ბერძენთაგან“ - იგულისხმება ეგროსის წილი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი - ლალიძგას ჩრდილოეთი მხარე ვიდრე ყუბანის შესართავამდე; შდრ., ძველი ბერძენი გეოგრაფების თუ ისტორიკოს-მოგზაურთა ტექსტებშიც ზმნისართები **ზემოთ, ქვემოთ** ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება (შდრ., მ.სანაძის დაკვირვება მტკვრის **მარცხენა** და **მარჯვენა** მხარეების აღსანიშნავად, ერთი მხრივ, **ზემო - ქვემო**, მეორე მხრივ კი - **ამიერ - იმიერ** ოპოზიციების გამოყენების შესახებ; მ.სანაძე, 2001, გვ.66, 95-96).

ვეფქრობთ, ლეონტის აზრით, **მარგვეთი** მოიცავდა ტერიტორიას ლიხის მთიდან შავ ზღვამდე და რიონიდან მესხეთის მთებამდე (სამცხე-აჭარამდე); შდრ., ივ.ჯავახიშვილის ჩასწორების გაზიარების შემთხვევაში, “ქართლის ცხოვრების“ ამ პერიოდში აუსახავი რჩება: გურია, ბაღდათი, ვანი... (მსჯელობისა და საკითხის ისტორიისათვის იხ., აგრეთვე: ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ.544, შენიშვნა; ტ.ფუტყარაძე, 2002, გვ.123; დ.ლეთოდიანი, 2003, გვ.36-40).

საყურადღებოა, რომ ლეონტი მროველის “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეგროსის წილ მხარეში - ეგრში/ეგურში (იმერეთში; ქ.ც. I, გვ.331), რომელიც, ამავე დროს, **ქართლის ნაწილად განიხილება** (იხ., მაგ., გვ.141), რამდენიმე საერისთავო შედის (ეგრისის რამდენიმე ერისთავის შესახებ იხ., მაგ., გვ.57); კერძოდ, დიდ ეგრისში მოიაზრება: **შიდა ეგრისი** (საეგრო/ოდიში), **არგუეთი** (გურიაც აქ იგულისხმება; შდრ., 1080 წელს “დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა“ - გვ.319), **სუანეთი** (ეს ტერმინი ზოგჯერ ფარავს ეგრისს; იხ. გვ.27: “ეგრისი სვანეთია“; შდრ., ქუჯი - ეგრის-სვანეთის ერისთავი), **სამოქალაქო, აფხაზეთი** (“ქვეყანა ეგრისწყალსა და კლისურას შუა“), **აფშილეთი, თაკუერი** (ლეჩხუმი), **ჭყონდიდი, ნიგალი** (აქ მეგრნი ცხოვრობენ - გვ.377), **კლარჯეთი** და სხვ. შდრ., “სომხური გეოგრაფიის“ (გვ.92-93) მიხედვით, კოლხეთი (დასავლეთ საქართველოს გაგებით), შეიცავს ოთხ ქვეყანას: მანრილი, ეგრევიკა, ლაზივი და ჭანეთი (ხალღების ქვეყანა).

საყურადღებოა ის, რომ **დიდ ეგრისში** ლეონტი ადგილს არ ტოვებს სხვა ეთნიკური (არაქართველური) ჯგუფების ძიებისათვის: **ლეონტი მროველს აფხაზებიც ეგროსიანებად მიაჩნდა** (პ.ინგოროყვა, 1954, გვ.140; შდრ., ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ.543, 551, 553). შდრ., ქართლის ერისთავის სახელი აბაზა: **ივანე აბაზას ძე**; გვ.296. არც სხვა ქართველი მემკვიდრეები მიუთითებენ ამ ვრცელ რეგიონში, ქართულის გარდა, რომელიც სხვა ენის არსებობის შესახებ.

შენიშვნა: ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეჭვის ქვეშ დგება შუა და ზემო იმერეთის ტერიტორიაზე ნავარაუდევო **მარგული მტკველების**

(“ძველად უფრო ენა უნდა ყოფილიყო“; აკ. შანიძე, 1981, გვ.443) არა მხოლოდ საზღვრების, არამედ, საერთოდ, არსებობის საკითხი; მით უმეტეს, -ევ-სუფიქსიანი ტოპონიმები ასევე გავრცელებულია არაგვისა და ქსნის ხეობებშიც (იქვე, გვ.440); მაგ., აკ. შანიძე ქართლში (ივრის ხეობამდე), იმერეთსა და რაჭაშიც ადასტურებს სათანადო მასალას: ძეგლვეი, ალვეი, არცვეი, ორტვეი, ღვლვეი, ბობნვეი, იკვნვეი, ატრვეი, ავნვეი, ფრინვეი, კლონვეი, ავლვეი, ფლვეი, უწლვეი, ჯაბლვეი... რაჭაში: ღრუშვეი, ძეგლვეი, ონჭვეი, ჭიბრვეი, ხეთლვეი, ველვეი, ხოტვეი... ახალციხეში: წოხტვეი (აკ. შანიძე, 1981, გვ.440-441).

-ევ სუფიქსიანი ტოპონიმები დასტურდება შავშეთ-იმერხვეშიც: დევაძვეი, ვალიღვეი, ხობლვეი, (ნ.ცეცხლაძე, 2000, გვ.65); შდრ., აკ. შანიძე, 1981, გვ.443: “-ევ სუფიქსის გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუა წელამდე“.

-ევ-სუფიქსი საერთოქართველური ენის, არქაული ქართლისა და სამწიგნობრო ქართლის აფიქსთა (კრებითობა-წარმომავლობისა და დანიშნულების აფიქსების) ცხრილში ლოგიკურად ზის; შდრ.:

-ავ-, -ევ-, -ივ-	-ათ-, -ეთ-, -ით-	-არ-, -ერ-, -ირ-
-ალ-, -ელ-, -ილ-	-ან-, -ენ-, -ინ-	-ას-, -ეს-, -ის-
ლა-, ლე-, ლი-	ნა-, ნე-, ნი-	სა-, სე-, სი-

ვფიქრობთ, არა გვაქვს საფუძველი, -ევ- მორფემის მიხედვით ვივარაუდოთ მარჯული ენის არსებობა; შესაბამისად, გაჭირდება იმის თქმა, რომ -ევ სუფიქსი მარჯული წარმომავლობისა და თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგული აქვს (შდრ., აკ. შანიძე, 1981, გვ. 444).

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქართული წყაროების მიხედვით, არც ერთი (დიდი თუ მცირე) **ევრისი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ყოფილა**: ძირითადი ნაწილი ყოველთვის შედიოდა ქართლის შემადგენლობაში, ხოლო მცირე ნაწილი, მაგ., **გარე ევრისი** (ტერიტორია დალიდგიდან ყუბანის შესართავამდე) ქუჩიდან გორგასლამდე პერიოდში ჰქონდათ ბერძნებს (ბიზანტიელებს). ე.ი. **ქართული წყაროები საქართველოს ერთიან ქვეყნად წარმოგვიდგენს**, რასაც მხარს უჭერს არქეოლოგიური და ლინგვისტური ძიებებიც (იხ. ქვემოთ). **არადა, ბიზანტიური წყაროების მიხედვით** (რასაც ზოგი ქართველი ისტორიკოსიც მიჰყვება), გამოდის, რომ, **თითქოს, მთელი დასავლეთი და სამხრეთ-და-**

სავლეთი საქართველო უძველესი დროიდან X საუკუნემდე მოწყვეტილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს...

ფაქტია:

ბერძნულ-ბიზანტიური ტერმინი **ლაზიკა** სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტერიტორიას მიემართება; ეს ქორონიმი იშვიათად თუ ემთხვევა ქართული წყაროების **ევრისს** (შდრ., მაგ., IV და VII საუკუნეების ვითარება); შესაბამისად, მეტად საეჭვოდ გამოიყურება ტერმინების: **ევრისისა და ლაზიკის** გაიგივების მიხედვით ისტორიკოსთა მიერ მიღებული დასკვნები. ამდენად, ვადასასინჯია ამ მკვდარი სინონიმურობის მიხედვით აგებული საისტორიო მსჯელობანიც; მაგ., ამგვარი ფაქტების ფონზე, ბუნებრივია, მეტად პირობითია ლაზიკისა და ევრისის მეფეთაგვრების ერთ რიგში წარმოდგენა; შდრ.: ბიზანტიის მიერ დაპყრობილ ევრისის ნაწილს (რომელსაც ისინი ლაზიკას ეძახდნენ) განაგებდა იმპერიის მიერ დანიშნული მმართველი, რომელიც დროდადრო, შესაძლოა, არ ემორჩილებოდა “ცენტრს“, ხოლო, პარალელურად, ქართლის ნაწილ **ევრისის საერთავოს** მართავდა ერისთავი, რომელიც თავისი სამშობლოს - ქართლის - მეფის ნებაყოფლობითი მორჩილი იყო...

სანიმუშოდ განვიხილავთ კიდევ ერთ მაგალითს:

ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა გ. გრიგოლიას ფასეული ნაშრომი: “**ევრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები**“, რომელშიც გკითხულობთ:

“IV საუკუნის დამლევისათვის თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს გამაერთიანებლის როლში გვევლინებიან **ლაზები**, რომელთა მიერ შექმნილ სახელმწიფოს ქართული წყაროები ევრისს უწოდებენ, ხოლო ბერძენი და ბიზანტიელი ავტორები ლაზიკის სახელით იხსენიებენ“ (გ. გრიგოლია, 1994, გვ.8).

აქ რამდენიმე განმარტება-დაზუსტებაა საჭირო: დასავლეთ საქართველოს ევრისელნი/მეგრელნი აერთიანებენ; მეგრელებს კი ბიზანტიელები ლაზებს უწოდებენ. შდრ.: **ლაზების სახელმწიფოს ქართული წყაროები** ევრისად არ იხსენიებენ (მხოლოდ გვიანდელ ქართულ წყაროებში ჩნდება ნასესხები ტერმინი **ლაზია**); “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ამ პერიოდის **ევრისი** ქართლში შედის და, რაც მთავარია, ტერმინი **ევრისი** დროის ამ მონაკვეთშიც ვერ ფარავს ბერძნულ-ბიზან-

ტიური **ლაზიკა**ს შინაარსს: ლაზიკა ქართლში არ შემოდის, ხოლო **ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეგრისი ქართლის ერთ-ერთი რეგიონია.**

რა საფუძველი გვაქვს, არ ვენდოთ ქართულ წყაროებს და მეტად საეჭვო (და ტენდენციურ) ბიზანტიურ ცნობებს დავეყრდნობთ?

კიდევ ერთი სადავო აზრი:

ისტორიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, IV საუკუნის შუა პერიოდში ეგრისის მეფეა გუბაზ I; თითქმის ამავე პერიოდში ვახტანგ გორგასალი “იპყრობს“ დასავლეთ საქართველოს (ნარკვევები, II, გვ. 166-169; ნ.ასათიანი, 2001, გვ.82-85).

სინამდვილეში, ბიზანტიური წყაროების მიხედვით, გუბაზი ლაზიკის (ბიზანტიას დაქვემდებარებული ქართლის ნაწილის) მეფეა და არა ეგრისის იმ ნაწილისა, რომელიც ქართლში შედის: ქართველ მემატია-ნეთა ცნობებით, ამ დროს **საქართველოს შემადგენლობაშია ეგრისიც და მარგვეთიც** (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.146, 185, 243); შდრ., ამავე წყაროს მიხედვით, აფხაზეთიდან გადმოსული ბერძნები იპყრობენ ეგრისის ნაწილს; მოგვიანებით, **შიდა ეგრისი** არჩილ მეფის უშუალო სამკვიდროა და ა.შ.

რომელ წყაროს უნდა ვენდოთ:

იმპერიის ისტორიკოსისას თუ ქართველისას?

ჩვენი მემატია-ნის ცნობები დეტალურია და თანამიმდევრული, ხოლო ბიზანტიური ინფორმაციები წყვეტილია და ზოგადი; შდრ., აგრეთვე: **“ეგრისის ისტორიის** შესახებ გუბაზ პირველის დროიდან ვიდრე VI საუკუნის 20-იან წლებამდე არავითარი ცნობები არ მოიპოვება“ (ნარკვევები, II, გვ.169). შევნიშნავთ, რომ ქართულ წყაროებში ამ პერიოდის შესახებ დეტალური ინფორმაციები გვაქვს, ბიზანტიურში კი - არა.

უფრო ლოგიკური ხომ არ იქნება, **ლაზიკა** ყველა ეტაპზე განვმარტოთ, როგორც ბერძენ-რომაელთაგან კონტროლირებადი ქართული ტერიტორია (მიუხედავად ამისა, ლაზიკის მეფეების სალაპარაკო ენა ქართულია; იხ. ქვემოთ), რომლის საზღვრები დროდადრო იზრდებოდა თუ მცირდებოდა; შდრ.: თავდაპირველად, **ლაზიკა იყო** ერთი ქალაქი - **ძველი ლაზიკა**, შემდეგ - ეგრისის ის ნაწილი, რომელიც არ შემოუერთდა ფარნავაზის ქართლს (“ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილსათა, არა ინებეს განდგომა ბერძენთა“;

ქართლის ცხოვრება, I, გვ.24) და VII საუკუნეში - მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო.

შენიშვნა: ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მ.სანაძის მსჯელობა **გუგარქთან** დაკავშირებით: **გუგარქი ქართლის სინონიმია სომხურში;** არაიშვიათად, გუგარქი მოიცავდა მხოლოდ იმ ტერიტორიას, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში სომხეთის მიერ ქართლის სამეფოსგან იყო ჩამოჭრილი (მ.სანაძე, 2001, გვ.68, 92).

საგანგებო მსჯელობას ითხოვს **კოლხეთისა და იბერიის** პარალელურად არსებობის სათუო საკითხიც:

დღეს ფართოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, ძვ.წ. VI საუკუნიდან ვიდრე დავით კურაპალატამდე (ახ. წ. X ს.) გვერდიგვერდ არსებობდა ორი ქართული სახელმწიფო: **კოლხეთი** და **იბერია**, ანუ შედარებით გვიანდელი ეგრის-ლაზიკა და ქართლი-იბერია; იხ., მაგ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ.422; შდრ., ამ მხრივ, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს **მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე** (იხ. ა.ჯაფარიძე, 1996, გვ.86-114). შესაბამისად, **XX საუკუნის ისტორიკოსთა ყველა თაობის მიერ არასწორადაა გათანაბრებული, ერთი მხრივ: კოლხეთი, ლაზიკა, ეგრისი და, მეორე მხრივ: ქართლი, იბერია;** ყოველ ამ ტერმინს თავისი გამოყენების არე აქვს და მათი სინონიმებად გამოცხადება კვლევის შედეგებს არაადეკვატურად წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც მივყვებით კონკრეტულ მაგალითს:

1970 წელს გამოქვეყნებული “საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის VIII თავის სათაურია: **“კოლხეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში“**, ხოლო IX თავია **“ქართლი (იბერია) ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში“**; შდრ., აგრეთვე, დ.მუსხელიშვილი, 2002, გვ.15: “ძვ.წ. IV საუკუნეში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთქართული სამეფო **ქართლი (იბერია)**“ და სხვ.

რომელი უტყუარი წყაროებით მტკიცდება, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში ქართველთა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა?

ამ პერიოდის არც ერთი უცხოური წყარო ქართველთა ქვეყანას ორ სახელმწიფოდ არ წარმოადგენს; როგორც წინა პარაგრაფში ვნახეთ, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ძვ.წ. I ათასწლეულში ქართველთა მრავალი ტომი ჩანს; ბერძნულ-ასირიულ-ურარტული და ქარ-

თული წყაროების მიხედვით, ერთი დიდი სახელმწიფოს არსებობაც შეიძლება დაეშვათ, რასაც დაადასტურებს ერთიანი არქეოლოგიური კულტურაც (იხ. ქვემოთ); შდრ., აგრეთვე, ა. ურუშაძე, 1964, გვ.6: **“თავდაპირველად ბერძნები კოლხეთში მთელ ქართველურ სამყაროს გულსწომდნენ”**; შდრ.: ძველი წყაროების კარგი მცოდნე გ.მელიქიშვილი (ნარკვევების I ტომის რედაქტორი და მთავარი ავტორი) გვიანდელი ბერძულ-ბიზანტიური ტრადიციის მიხედვით, კოლხიდა-ლაზიკას ქართლ-იბერიისგან მოწყვეტით განიხილავს; არადა: ქართველი მემატრიანენი კარგად იცნობენ უცხოურ ლიტერატურას, ტერმინოლოგიას, მათეულ ხედვებს, მაგრამ ქართველი ერის ისტორიას ქართულ ცნობიერებაში ჩამოძვრული ტერმინოლოგიითა და ხედვა-აღქმით აგებენ. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველ ჟამთააღმწერთა ხედვა უფრო ობიექტურია (აღრეულ ქართლში განიხილება ეგრისი) ვიდრე ბერძნებისა, რომაელ-ბიზანტიელებისა თუ არმენებისა; კერძოდ:

რის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ძვ.წ. VI-III საუკუნეებში კოლხეთისგან დამოუკიდებლად არსებობდა იბერია?

შენიშვნა: ისტორიკოსთა მიერ სინონიმებადაა მიჩნეული ქორონიმები **ქართლი** და **იბერია**; არც ამ ტერმინთა გაიგივება შესაძლებელი: ძველ ქართულ წყაროებში **ქართლი** სრულიად საქართველოს (შავიზღვისპირეთს მდ. ყუბანის შესართავიდან ტრაპიზონამდე და აღმოსავლეთ საქართველოს ხუნანამდე) მოიცავდა, უცხოური **იბერია** კი აღმოსავლეთ საქართველოს აღსანიშნავად დამკვიდრდა მხოლოდ ძვ.წ. II საუკუნიდან.

იბერიას არ ახსენებენ ჰეკატაეოს მილეტელი, ქსენოფონტე, ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქსი, პლატონი, არისტოტელე, აპოლონიოს როდოსელი...

ტერმინები: **კავკასიის იბერია** და **აღმოსავლეთის იბერები** (შდრ., **პირინეის იბერები**) პირველად ჩნდება ძვ.წ. IV-II საუკუნეების ავტორებთან: მეგასთენესთან, თეოფრასტოსთან, დიონისე პერიეგეტთან... (გ.ვაშაქიძე, 1993, გვ.61). **უფრო გვიანდელ ცნობებში კოლხიდა იბერიაშიცაა მოაზრებული**; მაგ., პლუტარქეს ცნობით, კავკასიის მთავარი ერები ალბანელები და იბერები არიან: იბერები ბინადრობენ დასავლეთით მესხეთის (ევფრატ-ჰოროხ-მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ) მთებთან და პონტოს ზღვასთან, ალბანელები კი - აღმოსავლეთით, კასპიის ზღვას-

თან (ივ.ჯავახიშვილი, 1950, გვ.18). სვანებისა და აღმოსავლეთის იბერების იგივეობის შესახებ მსჯელობა იხ., ზემოთ, გვ.144.

ვატიკანში დაცული “საეკლესიო ანალების” მიხედვით, **“იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება**, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს (98-117) დროს მქადაგებელი პაპი წმ. კლემენტის (პაპობის წლები - 88-97) შემწევობით მიიღო... რაც შეეხება ქვემო იბერებს, რომლებიც კავკასიის მთებთან, კასპიის ზღვის ახლოს ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონსტანტინეს დროს მიიღეს (ი.ტაბალუა, 1984, გვ.171).

რომაული წყაროების **იბერია** მხოლოდ **აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს** (ლაზიკა - დასავლეთ საქართველო) **ტერიტორიით იფარგლება ე.წ. მითრიდატეს ომების პერიოდში**; ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, ქართული წყაროების მიხედვითაც, II-I საუკუნეებში ქართველთა სახელმწიფო დასუსტებულია: მისი ტერიტორიების ნაწილი რომმა დაიპყრო, ნაწილი - არმენიამ; მითრიდატე ევპატორის პონტოს სამეფოც ქართველური ტომებითა და ტერიტორიებით იყო ძლევამოსილი.

შდრ., ლეონტი მროველის მიხედვით, ფარნავაზისა თუ გორგასლის **ქართლი** მოიცავდა: ჰოროხის, მტკვრის ზემოწილის, ლიხვის, რიონის, ენგურის, კოდორის, ბზიფის ხეობებს; თითქმის ამავე ტერიტორიას მოიცავს კოლხური არქეოლოგიური კულტურაც, ე.ი. აიეტის აია-კოლხაც; შდრ., ს.ჯანაშია, 1942, გვ.728: სტრაბონისა და პლინიუსის ცნობებით, ტიგრან II დროს ტერიტორიებდაკარგული იბერიის სამეფო მოიცავს ტერიტორიას მტკვრის სათავეებიდან (კოლა-არტაანი) ტაოს ჩათვლით და ჰოროხის ხეობის ნაწილს.

ვეიქრობთ, **ძველი კოლხეთი (კოლხურ-ყობანური არქეოლოგიური კულტურის ველი) უფრო სრულიად ქართლის სინონიმად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ვიდრე ლაზიკისა ან ეგრისისა**. რაც შეეხება ლაზიკა-იბერიის მიმართებას:

ლაზიკა და **იბერია** რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში ქართული სახელმწიფოების აღმნიშვნელ ტერმინებად მკვიდრდება წელთაღრიცხვათა მიჯნიდან, მაშინ, როცა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რომაელები ბატონდებიან და, თავდაპირველად მათივე ხელშე-

წყობით, სრულიად ქართლის დასუსტების მიზნით, იქმნება **პონტოსა** და **ლაზიკის** სამეფოები (შემდგომ პონტოც რომის მტრად იქცა). სპარსელების პოლიტიკურ ველში დარჩენილი ქართული სახელმწიფოს ნაწილი **იბერიის** სახელით დამკვიდრდა.

ლაზიკასა და იბერიას შორის საზღვრად სარაპანისს (შორაპანს) პირველად უთითებს სტრაბონი (მდრ., ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.43-44); კოლხიდასა და იბერიას შორის საზღვრად ლიხის ქედს დებს ახ.წ. II საუკუნის მოღვაწე კლავდიოს პტოლემეაოსი (ნ.ლომოური, 1955, გვ.44-46). ეს ცნობები **სულაც არ იძლევა რაიმე საფუძველს, რომ ძვ.წ. II-I და ახ.წ. I-II საუკუნეების ვითარება განვაზოგადოთ უფრო ადრეულ თუ გვიანდელ პერიოდებზე**; შესაბამისად, კოლხეთი და იბერია, ან ქართლი და ეგრისი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოვიდგინოთ ძვ.წ. VI-III საუკუნეებში თუ გორგასლის დროს. მით უმეტეს, რომ არაფერი ვთქვათ ადრეული პერიოდის ბერძნულ წყაროებზე, სტრაბონის ცნობებიც კი მეტად წინააღმდეგობრივია (კრიტიკისათვის იხ., მაგ., ივ.ჯავახიშვილი, 1950, გვ.22). ამ ფონზე მით უფრო გასაკვირია, რომ ივ.ჯავახიშვილიდან მოყოლებული დღემდე, ქართველი ისტორიკოსები მეტ ნდობას იჩენენ უცხოური ცნობების მიმართ და უფრო მწყობრი ქართული წყაროების მიხედვით არ აგებენ ქართველი ერის ისტორიულ ქარგას. როგორც ქვემოთ ვნახავთ, უფრო მეტი არგუმენტი აქვს მოსაზრებას, რომ აზონ-ქუჯ-ფარნავაზის დროში (და უფრო ადრეც) ერთიანი კულტურულ-სახელმწიფოებრივი ველია ამჟამინდელ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოშიც და, გაცილებით მასშტაბურ, სამხრეთ საქართველოშიც (სადაც, სავარაუდოა, ქართველებს მცხეთაზე ადრინდელი დედაქალაქიც ჰქონდათ).

სინანულით აღვნიშნავთ, რომ ივ.ჯავახიშვილის საბჭოთა პერიოდამდელი გამოკვლევები ეძღვნებოდა სამხრეთ ამიერკავკასიასა და ანატოლიაში მცხოვრებ ქართველურ ტომთა ისტორიას (ალბათ, დიდმა ისტორიკოსმა ამიტომაც დაარქვა თავის ფუნდამენტალურ შრომას “ქართველი ერის ისტორია“ და არა - “საქართველოს ისტორია“), თუმცა მოგვიანებით შექმნილ ისტორიის სახელმძღვანელოებში ნაკლებად აისახებოდა ხოლმე ქართველთა ეს ძველი ისტორია; მეტიც, ზოგ ავტორთან ოქროს ხანამდე საქართველო ერთიან სახელმწიფოდ არც ით-

ვლება... არადა, **ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდში** იბერიისა და კოლხეთის ცალ-ცალკე წარმოდგენამ ბევრ სერიოზულ შეცდომას დაუდო დასაბამი, თუნდაც იმას, რომ, მაგანთა აზრით, არასოდეს არსებულა ქართველთა ერთიანი სახელმწიფო...

ჩვენ არა გვაქვს **ისტორიოგრაფიის დარგში** კვლევის პრეტენზია; თუმცა, ვფიქრობთ, შედარებით **ობიექტური ისტორია ქართველი ერისა** ჯერ კიდევ დასაწერია. წიგნის ამ ნაწილში (1.2; 1.3.) ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა:

წინაისტორიულ და ადრეისტორიულ პერიოდებში კავკასიასა და ანატოლიაში ათეულობით ქართველური ტომი არსებობდა (და არა მხოლოდ სამი!); ამ ქართველურ ტომთა კონსოლიდაციით დროდადრო იკვრებოდა დიდი ქართველური სახელმწიფოები, სადაც იქმნებოდა დიდი საერთოქართველური კულტურული ფასეულობანი...

თავი II

ქართველები უძველესი დროიდან ქრისტიანობამდე;

საერთოქართველური ენის თეორიული მოდელისა და დათარიღების საკითხები

2.1. კავკასიურ-ქართველური ეთნოსის თავდაპირველი საცხოვრისი საკითხი

2.1.1. ბიბლიური და მითოლოგიური თვალთახედვა

2.1.1.1. “ძველი აღთქმის“ მიხედვით, დედამიწის **ერთენოვანმა მოსახლეობამ** პირველი თვითწარწყმედით წარღვნა მოივლინა; გადარჩა მხოლოდ ნოეს სახლეული; შდრ.: **ერთენოვანი კაცობრიობის** მეორე დანაშაულის დროს (ბაბილონის გოდოლის მკრეხელობა) უფალმა შეიცვალა ისინი და “ენები აურია“, დანაშაული ბოლომდე რომ არ მიეყვანათ (და თვითგანადგურება არ მოემკოთ): ენების გაჩენით შექმნილი **მრავალენოვანი კაცობრიობა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა** (ვრცლად იხ., ტ.ფუტკარაძე, 2000, გვ.95). ნოეს სამ შვილთაგან ერთ-ერთის - **იაფეტის** - შთამომავლებად (იაფეტი: თუბალი, მოსოხი; შესაქმე, IV,22; X,2; XI, 28) მიიჩნევენ ქართველებს რომაულ-ბიზანტიური ტრადიცია:

მაგ., იოსებ ფლავიუსის მიხედვით (1987, გვ.103): იაფეტის ძემ **“თობელმა** დააფუძნა **თობელები**, რომლებსაც ახლა **იბერები** ეწოდებათ, **მოსოხნები** დაფუძნებული არიან **მოსოხის** მიერ, ახლახან მათ **კაბადოკიელები** ეწოდათ, მაგრამ მათი ძველი სახელწოდების ნიშანიც ჩანს, რამეთუ მათ დღესაც აქვთ ქალაქი **მაზაკა**, რაც ნათელყოფს მათთვის, ვისაც ვაგება შეუძლია, რომ ასე ეწოდებოდა ოდესღაც მთელ ტომს“... შდრ., **თაბალი** მდებარეობდა ძველი მაზაკას, დღევანდელი კაისერის რაიონში - სამხრეთ-დასავლეთ კაბადოკიაში; შდრ., აგრეთვე: მაზახა - *მა-

სახა-/მესხ- (იხ. ზემოთ). საყურადღებოა: ძველი აღთქმა იქმნება ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან (სწორედ ამ დროს შეიქმნა წინასწარმეტყველ ქალ დებორას სიმღერა), როცა ახლო აღმოსავლეთში აქტიური არიან **მოსხები**; შდრ., ჰომეროსის დროიდან აქტიურდებიან აია-კოლხები (ძვ.წ. VIII საუკუნე); შესაბამისად, ისინი აისახნენ ბერძნულ მითებში.

იოვანე პეტრიწის მიერ ბიბლიური და ბერძნული ეთნონიმები ასეა თარგმნილი:

თობელები - თოვილნი, იბერები - ივირნი, მოსოხნები - მესქინნი (ი. ფლავიუსი, 1987, გვ.103; შდრ.: თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.210). აქვე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სტრაბონის დროს მოსხების ქვეყანა სამ ნაწილად განიხილება: მისი ერთი ნაწილი ჰქონდა კოლხებს, მეორე - იბერებს, მესამე - არმენიელებს.

ევსტათი ანტიოქელთან (280-360) კაბადოკიელთა წინაპრებად დასახელებულია **მესხნები**, მათ ეთნარქად კი - **ოსოხი** (გეორგიკა, 1961, გვ.34); შდრ.: ორი საუკუნის შემდეგ პროკოპი

კესარიელი **მესხთა** (მესხოჲ) საცხოვრისად მიიჩნევს იბერიის გასწვრივ არსებულ მთებს (გეორგიკა, 1965, გვ.127).

გიორგი კედერნეს (XI ს.) მიხედვით: “ნოემ თავის მესამე ვაჟს იაფეტს, რომელიც 425 წლისა იყო, მისცა ჩრდილოეთისა და დასავლეთის ქვეყნები მიდიიდან ვიდრე ლადირთამდე და ბრიტანიის კუნძულებამდე, არმენია, იბერია, პონტო, კოლხეთი და მათ იქით მდებარე ქვეყნები და კუნძულები ვიდრე იტალიამდე და გალიებამდე, ისპანიამდე, კელტიბერიამდე და ლისიტანიამდე“ (გეორგიკა, V, 1963, გვ.10).

XI საუკუნის მოღვაწე ლეონ გრამატიკოსი უცვლელად იმეორებს წინა თაობების მოსაზრებებს და იაფეტის შვილად მიჩნეულ **მესხოსგან** მომდინარედ მიიჩნევს მესხებს, რომელთაც ახლა კაბადოკიელები ეწოდებათო (გეორგიკა, 1963, გვ.3-4)... ევსევი კესარიელის, გელასი კესარიელისა და რუფინუსის შესახებ იხ., აგრეთვე, ა.ჯაფარიძე, 1994, გვ.19.

ახ.წ. XII საუკუნეში შედგენილი ქართველი ერის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო (და შინ საკითხავი წიგნი) **“ცხოვრება ქართველთა მეფეთა“** ბიბლიური ნოეთი იწყებს ქართველობის ისტორიას:

“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართველთა ეთნარქია თარგამო-

სი. ამ სახელს სხვაენოვანი ვარიანტებიც უდასტურდება: **თარგამოსი** < ***თარგამა**; შდრ., ხეთური **თეგარამა**, ბიბლიური **თოგარმა**, თაბალის ქვეყნის ქალაქი **თოგორმა**, **თილ-გარიმუ** (ასურული), სომხური **თორ-გომა** (ვარიანტებისათვის იხ. ძველი აღმოსავლეთის..., 1971, გვ.309; გ.ქავ-თარაძე, 1985, გვ.41; გრ.გიორგაძე, გვ.146).

ქართლის ცხოვრების მიხედვით, თარგამოსი **იავანის/ავანის** შვილიშვილია და არა - გომერის: **იაფეტი: იავანი: თარშისი: თარგამოსი:**

“ესე თარგამოს იყო ძე **თარშისი**, ძისწული იაფეტისი, ძისა ნოესი“ (ქ.ც., I, გვ.3); ტექსტში მოსალოდნელი იყო ძე **თარშისისი**, ვინაიდან ბიბლიის ქართულ ვარიანტებში **იავანის** ერთ-ერთი შვილია **თარშისი** (სხვაგან – **თარშიში**); ქართულში გვერდიგვერდ მოსალოდნელი ორი - **ის-** სეგმენტისგან ტექსტში ერთ-ერთი დაიკარგა.

შდრ.: რ.გორდენიანი, 1993, გვ.8: “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, **თირაშ** (ბიბლ. თირასს) – იაფეტის ძეს – ჰყავდა ძედ თარგამოსი; ამ ბიბლიურ **თირასს** უკავშირდება ეტრუსკების წარმომავლობაც; ეტრუსკებისა და კავკასიელების წინაპარი ერთია – თირასს იაფეტის ძე.

შდრ., აგრეთვე, ა. ჯაფარიძე, 1994, გვ.71: იაფეტი – იაფეტის ძე – **თარაში** – თარგამოსი.

შენიშვნა: რ.გორდენიანმა დაუსაბუთებლად გაათანაბრა ერთმანეთთან ბიბლიური **თირასი** და “ქართლის ცხოვრების“ **თარშისი** სახელები: ჰიპოთეტური **თარში** ჩათვალა ბიბლიური **თირასს/თირაშ** სახელის ქართულ ადეკვატად. სინამდვილეში, ბიბლიაშივე, **თარსისი/თარშიში** არის **იავანის** შვილი, **თირასი/თირაში** კი - **იაფეტის** შვილი. ვფიქრობთ, შეცდომის სათავეა “ქართლის ცხოვრების“ **თარსისი/თარშისი** ფორმის მიჩნევა **თარშ-** სავარაუდო საკუთარი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმად; **თარშისი** ფორმის -ის- სეგმენტის ამგვარივე მცდარი გააზრების საფუძველზე, ა.ჯაფარიძე ფუძედ აღადგენს **თარაში** ფორმას.

ვფიქრობთ, ნათელია: ძველი ქართველური ტრადიციის მიხედვით, იაფეტის შვილიშვილის შვილი - **თარგამოს თარშისის ძე** - იბერიულ-კავკასიურ-მცირეაზიური მოდემის მამამთავარი იყო (შდრ., სომხური ტრადიცია). თარგამოსის რვა შვილი და მათი ნათესავნი ანატოლიასა და კავკასიაში მოვიდნენ ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდეგ, მაშინ, როცა “განეყვნეს მუნ ენანი და განიბნეს მუნით ყოველსა ქუყყანა-

სა“. თარგამოსის შვილთა სახელები (ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკი, ჰეროსი, კავკასი, ეგროსი) ცხადყოფს, რომ ქართველთა წინაპრები მთელ ახლო აღმოსავლეთს (კავკასიის ჩათვლით) თავიანთი სა-ნათესავოს სამკვიდროდ თვლიდნენ (მსჯელობისათვის იხ. მ.სანაძე, 2001, გვ.166-167). ასევე, სარწმუნო ჩანს ვარაუდი, რომ “ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილის ავტორისათვის და, საერთოდ, ამ სახელმძღვანელოს შემდგენელთათვის ჰაოსის შთამომავლები ქართველთა მოძმე, ასევე, იბერიულ-კავკასიური მოდემისანი არიან (ინდოევროპულენოვანი სომხები კავკასიაში გვიან, ურარტუს დაცემის შემდეგ მოდიან), ხოლო მროველისეული სომხური ენა ურარტული ენის მემკვიდრეობას გულისხმობს (მსჯელობისათვის იხ.: რ. გორდენიანი, 1993, გვ.47; ა. ჯაფარიძე, 1994, გვ.72; ჯ. კაშია, 1999; რ. აბაშია 1999). სავსებით ლოგიკურია, რომ სომხური ენის ინდოევროპული წარმომავლობის არმცოდნე ძველ ქართველ ისტორიკოსებს სომხებიც/არმენებიც იბერიულ-კავკასიურ-ურარტული მოდემის ხალხი ჰგონებოდათ, მით უმეტეს, დამხვდური კავკასიური და მოსული ინდოევროპული ტომების შერევით წარმოქმნილი **არმენები** ანთროპოლოგიურად კავკასიურ-მცირეაზიურ რასას განეკუთვნებიან. მ.სანაძის დასკვნით, “ქართლის ცხოვრების“ შესავალ გეოგრაფიულ ნაწილში მოცემული პოლიტიკურ-გეოგრაფიული სურათი გამოხატავს VII-VIII საუკუნეთა მიჯნის კავკასიის ვითარებას (მ.სანაძე, 2001, გვ.170-175). ამ აზრს ადასტურებს ისიც, რომ ჰეროსი და ეგროსი ქართლოსის ძმებადაა წარმოდგენილი: VII-VIII საუკუნეებში ჰერეთი (კამბეჩოვანი) დამოუკიდებელი სამთავროა (მ.სანაძე, 2001, გვ.169), ბიზანტიელთაგან დაპყრობილია ეგროსი (ტრაპიზონიდან ლიხამდე და ყუბანის მცირე შესართავამდე არსებული ქართული ტერიტორია - ეგროსის წილი სივრცე), ცენტრალური ქართლი კი არაბების ხელშია... საქართველო გასაერთიანებელია: სწორედ ამ პერიოდში ახლებურად ხდება ქართველთა ისტორიისა და მომავლის კონცეპტუალური გააზრება “ქართლის ცხოვრების“ შესავალ ნაწილსა და ეროვნულ ჰიმნში - “ქება ქართველთა და ქართველთა ენისად“.

“ქართლის ცხოვრებაში“, **ქართლოსის დარად**, თარგამოსის შვილებად მიიჩნევა **ჰეროსი და ეგროსი**; შდრ., უფრო ძველ ქართველ მწერალთა და მემკვიდრეთა ცნობები ცხადყოფს, რომ თავიდან **ერთიან**

ქართლში ეგრისსა და ჰერეთს **კახეთის** რანგის პოზიცია ეჭირათ; მაგ., იაკობ ცურტაველის ქმნილებაში **ჰერეთი ქართლის უკიდურესი აღმოსავლეთი თემია, ხოლო იოვანე საბანისძისა და გიორგი მერჩულის მიხედვით, ეგრისი/აფხაზეთი ქართლია, ქართულენოვანია** (ქართული მწერლობა, I, გვ.225, 454, 591; ივ.ჯავახიშვილი, I, გვ.248; ა.ჯაფარიძე, 1994, გვ.81; იხ. აგრეთვე, ქვემოთ, 2.3.3.).

შდრ., აგრეთვე: თარგამოსის შვილთაგან მხოლოდ ქართლოსისა და ჰაოსის ჩამომავალთა ენები - ქართული და სომხური ნახსენები; მემატინის მიხედვით, სომხური აღრეც იყო, ხოლო ქართული ენა ჩნდება ნაბუქოდონოსორის დროს (ძვ.წ. VI საუკუნე). მემატინენი არსად ახსენებენ ეგროსის, ჰეროსის, კავკასოსის... მემკვიდრეთა ენებს; ტექსტით იგულისხმება, რომ ფარნავაზის შემდეგ თარგამოსიანთა **მთავარი ენა - დედა-ენა** ხდება ქართული.

წინარექართველურ ენობრივ სიტუაციასთან მიმართებით, საინტერესოა "ენათა აღრევის" (კაცობრიობის ახალი მოდელის – მრავალენოვანი/მრავალეროვანი მოდელის - შექმნის) ბიბლიური ქრონოლოგია:

ბიბლიური წელთაღრიცხვის მიხედვით, დასაბამიდან ქრისტემდე ივარაუდება 5604 წელი (იოვანე ზოსიმეს ქრონოლოგიაში – 5500). ბიბლიის თანამედროვე გამოცემების მონაცემთა შეჯერებით, ადამიდან ნოეს შვილებამდე პერიოდი მოიცავს 2142 წელს; წარღვნა მოხდა ადამს აქეთ 2242 წელს, ანუ ქრისტემდე 3362 წელს (ტ. ფუტყარაძე, 2000, გვ.89; შდრ., ა.ჯაფარიძე, 1994, გვ.15); ადამიდან ნოემდე პერიოდს 2242 წლით განსაზღვრავს იოვანე ზოსიმეც თავის ნაშრომში: "ცნობაჲ დასაბამით-განნი წელნი და ქრისტემდ მოსვლითგანი". ნოე დაბადებული ჩანს ქრისტემდე 3962 წელს – წარღვნამდე 600 წლით ადრე. ნოეს შემდეგ მე-5 თაობა იყო ფალეკ; "დღეთა მისთა განინაწილა ქუყყანა" (შესაქმე, X, 25). ნოედან ფალეკამდე გასულია 750 წელი; ფალეკი დაიბადა 3212 წელს; **ე.ი. ენები აღრეულა ქრისტემდე 3212 წლის შემდეგ...** შდრ.: ძველ წყაროებზე დაყრდნობით, ვახუშტი ფიქრობს, რომ ნოეს შვილთა განყოფა უნდა მომხდარიყო დასაბამიდან 1758 წელს, ანუ ქრისტემდე 3846 წელს). **აშკარაა, რომ ბიბლიის მიხედვით, ბაბილონის გოდოლის მისტერია, ანუ ერებისა და ენების გაჩენა** ივარაუდება **ძვ.წ. III ათას-**

წლეულში (დაწვრილებით იხ.: ტ.ფუტყარაძე, 2000, გვ.89-92).

ბიბლიური ქრონოლოგია თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ფაქტი: **ბიბლიის მიხედვით, ენების აღრევა ივარაუდება ძვ.წ. III ათასწლეულში - ევრაზიის ისტორიის იმ პერიოდში, როდესაც მეცნიერების მიერაც ნავარაუდევია დიდი ეთნიკურ-ენობრივ-კულტურული შერევები; კერძოდ: ახლო აღმოსავლეთის ავტოქტონ მოსახლეობას ინტენსიურად შეერია ინდოევროპელი და სემიტი მოდემის ხალხები.** ფაქტია ისიც, რომ მრავალსაუკუნოვანი ბიბლიური ტრადიციისა და ძველი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, **ქართველობა ბიბლიური "ენების აღრევისას" წარმოქმნილ მსოფლიოს უძველეს ერთა შორისაა** და მის საცხოვრისად კავკასიანატოლია მიიჩნევა.

2.1.1.2. ბერძნული მითოლოგიის ზევსამდელი ღმერთი - ტიტან **იაფეტის** შვილი - პრომეთე ზევსმა დაამარცხა და კავკასიონს მიაჯაჭვა; წინარებერძნული (პროტობერძნული) მოსახლეობის ღმერთის (ჟ. დიუმეზლი, ს. ყაუხჩიშვილი, ზ. გამსახურდია...) კავკასიასთან იდენტიფიკაცია საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ იაფეტის ძე პრომეთე იბერიულ-კავკასიური მოდემის სიმბოლოდ წარმოედგინათ ძველ ბერძნებს (ნიშანდობლივია, რომ ბიბლიურ კომენტარებშიც ეთნარქი **იაფეტი** ქართველებთანაა დაკავშირებული).

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისით, ბერძნული მითოლოგიის ტიტანები და გმირები წარმოადგენენ არაბერძნულ, წინაბერძნულ სამყაროს - **პელაზგურ** კულტურას; პელაზგები კი ქართველურ სამყაროსთან ასოცირდებიან (ო.ნერახერის მსჯელობის შესახებ იხ.: ზ.გამსახურდია, 1991, გვ.31; პელაზგებისა და კოლხ-იბერების საერთო წარმომავლობაზე იხ. რ.გორდეზიანი, 1993, გვ.8).

შემთხვევითი არ ჩანს, რომ პრომეთეს სახესხვაობა **ღვთაება ამირანი** კავკასიელი ხალხების მითოლოგიის უძველესი დაფენებაა (სახელის სხვა ვარიანტებია: საერთოქართველური **ამირან-** სვანური: **ამირმ/მირიმ/ამირმ/მირან;** მეგრული: **არამ** (< არან < ამირან); აფხაზური: **ამრ-სკ-გლ-აბრსკილ-**; ოსური: **ამრან-**; სომხური: **მჰერი**).

ქართული მითოლოგიის ტრაგიკული ღვთაების - **ამირანისა** და ტიტან **პრომეთეს** - იგივეობის მტკიცებას ბევრი არგუმენტი ეძებნება.

ბერძენ მწერალთა ცნობით, ქრისტიანობამდელ საქართველოში არსებობდა პრომეთეს მითის მსგავსი ლეგენდა; “ელინთა მწერლები, უკვე V-IV საუკუნეებიდან მოყოლებული, ამ თქმულებას - კავკასიურად და თვით პრომეთეოსის მიჯაჭვის ადგილად კავკასიას მიიჩნევდნენ. პრომეთეოსის ამბავს კავკასიურად სთვლიდა მაგ., გამოჩენილი გეოგრაფი სტრაბონიც“ (ივ.ჯავახიშვილი, 1979, გვ.201, 190; შდრ., ს.ყაუხჩიშვილი, 1964, 33-34; საკითხის ისტორიისათვის იხ., ნ.ჩხლაძე, 1992). გარდა ამისა: **ღვთიური წარმომავლობა, უკვდავება, ღვთიური განძის** (ცეცხლის, ყამარის) **ქვეყნად ჩამოტანა, დრუბელთბატონის დამარცხება** (შდრ, ზევსის მოტყუება), **“ახალი“ ღმერთისგან კავკასიონზე მიჯაჭვა, მიჯაჭვული გმირისთვის არწივის მიერ ღვიძლის კორტნა** და სხვა სიმბოლური ინფორმაცია-პასაჟები უთუოდ ააქტუალურებს პრომეთესა და ამირანის იგივეობის საკითხს. აშკარაა ისიც, რომ წინარებერძულ-პროტოიბერიული ღვთაების შესახებ მითის ქართულმა ვარიანტმა ქრისტიანობის შემდეგ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა: ზღაპრადქცეულ მითში ზევსის ადგილი ქრისტელმერთმა დაიჭირა, ხოლო ძველი ღვთაება ზღაპრულ გმირად გადააზრიანდა (ტ.ფუტყარაძე, 1995).

წინარებერძული და ანტიკური კულტურების მკვლევართა აზრით, ძვ.წ. მესამე ათასწლეულის შუა პერიოდამდე ხმელთაშუა ზღვის აუზში და მცირე აზიაში ყვაოდა არაინდოევროპელი ხალხების მიერ შექმნილი დიდი კულტურა; ვარაუდობენ, რომ დღევანდელ ქართველთა წინაპრები და შორეული ნათესავები (პელაზგები, ეტრუსკები, ბასკები და სხვა) ამ წინარებერძული კულტურის შემოქმედთა უშუალო შთამომავლები არიან (მსჯელობისა და ლიტერატურისათვის იხ. რ.გორდეზიანი, 1970; რ.გორდეზიანი, 1985; რ.გორდეზიანი, 1988; ზ.გამსახურდია, 1991). მესამე ათასწლეულიდან ხმელთაშუაზღვისპირეთში ძლიერდებიან ინდოევროპელი ტომები, “რაც ბერძნულ მითოლოგიაში სიმბოლიზებულია იაპეტის ძის - ტიტან პრომეთეს - მიჯაჭვით კავკასიონზე; პრომეთე იაფეტური კაცობრიობაა, ზევსი - ინდოევროპული კაცობრიობა“; ზევსის მიერ პრომეთეს კავკასიაში **მიჯაჭვა მითოლოგიური შიფროგრამაა** იმ ფაქტისა, რომ ინდოევროპელთაგან დამარცხებული წინაბერძნული მოდგმისა და კულტურის ცენტრად შემორჩა კავკასია - ქვეყანა, სადაც შენახული აქვთ ოქროს საწმისი - საკრალური განძი (ზ. გამსახურდია, 1991, გვ. 26-28).

ძვ.წ. XV საუკუნეში, კრეტის მინოსური კულტურის დაცემის შემ-

დევ (სანტორინის კატასტროფა), ბერძენთაგან აქტიურად ხდება წინარებერძული კულტურის სრული დაპყრობა-ათვისება: მცირეაზიური/წინარებერძული კულტურის მთავარი **განძი - კულტურის სიმბოლო - “ოქროს საწმისი“** ამ დროს ჯერ კიდევ კოლხეთშია შეფარებული, გახიზნული თუ წაღებული (ბერძენთა ხედვით, გატაცებული!); საჭირო იყო არა მხოლოდ დამარცხებულის “მოთვინიერება“ (მიჯაჭვა-ახსნა), არამედ წინარებერძული კულტურის სიმბოლოს დაპყრობა-დასაკუთრებაც (შდრ., **ოქროს საწმისი** იყო ხათების მიწაზე დამკვიდრებული ხეთების სამეფო ძალაუფლების სიმბოლოც); შესაბამისად:

პელაზგი იაზონის მიერ აიეტის ქვეყნის “დალაშქვრა“ ბერძენთა დიდ გმირობად ითვლება: ამ ფაქტს წინარებერძული კულტურის ცენტრის დაპყრობის თვალსაზრისით თუ შეგავსებთ, ნათელი გახდება, რომ ბერძენად გამოცხადებული პელაზგი არგონავტების გმირობანი თუ ეშმაკობანი ბერძენთა თვითდამკვიდრების პერიოდს უფრო ასახავს. საინტერესოა ისიც, რომ ჰერაკლეს მიერ პრომეთეოსის აშვება სწორედ ამის შემდეგ ხდება: არგონავტთა მიერ კოლხეთისთვის “ოქროს საწმისის“ მოპარვის შემდეგ ბერძენებისთვის უკვე აღარ არის საშიში პროტოქართველურ-წინარებერძული კულტურა: **ჰერაკლემ ზევსის პირველობას შეგუებული, დამარცხებული პრომეთე აუშვა...**

არსებითია კიდევ ერთი საკითხი:

პრომეთე-ამირანის მითის ქართველურ ვარიანტში **ღვთაება** (უკვდავი გმირი) კავკასიონზე მიჯაჭვული რჩება! ჩანს, **ქართველურმა სინამდვილემ არ გაითავისა მითის ბერძნული ვარიანტი: არ იგუა ზევსის ძის - ჰერაკლეს მიერ ამირანის გათავისუფლების იდეა და თავის-სავე ახალ გმირს დაელოდა**; შემთხვევითი არ არის ის, რომ ქართველურ ტრადიციას არც ოქროს საწმისის დაკარგვა ახსოვს - ესეც ბერძენთა გამონაგონად ჩაითვალა... ამავ დროს, ქართველთა ისტორიას თუ მესხიერებას ქალაქ აფსაროსად და მდინარე აფსარად შემორჩა **მტერთან (მომხდურთან) ბრძოლაში დაღუპული პირველი ქართველი უფლისწულის - მითურ-ლეგენდური აფსირტეს - სახელი...** პირველი მეფის - ტრაგიკული აიეტის სახელიც მეორედება ისტორიული საქართველოს/ლაზიკას მეფეთა სახელად (შდრ., ზოგი მკვლევარი აფსაროსში ხეთური ხანის ხაიასურ ქალაქ არიფსას ხედავს).

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ, ბერძნული ტრადიციითვე,

კოლხეთის მეფის - აიეტის - აღრინდელ სამფლობელოდ გვიანდელი საბერძნეთის კორინთო ითვლება, ხოლო თესალიელი იაზონი წარმოშობით პელაზგია; შდრ., ს.ჯანაშია ფიქრობს, რომ არიან-ქართველთა მეფის ძე აზო - თესალიელი იაზონის ბუნდოვანი ხსოვნა - სასპერ-იბერების ეთნარქია (ს.ჯანაშია, 1952, გვ.74-77)... კავკასიელი “ეთნარქების თესალიური წარმოშობა ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც თესალია პელაზგების ბუდედ არის მიჩნეული“ (ს.ჯანაშია, 1943, გვ.372-373; თესალიელი გმირის - აქილევსისა და ამირანის შესახებ იხ. ქ.თუთი, 1998).

შდრ., შ.გაბესკირია, 2003, გვ.37: აზო წარმოშობით ქართველია, არიან-ქართლელი. არიან-ქართლი არის მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ე.წ. გვიანხეთური სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცნობილი მხარე, რომლის ცენტრსაც ქალაქი არანი (თანამედროვე ჰარანი) წარმოადგენდა; ეს მხარე ხათების უშუალო მემკვიდრე მესხების კუთვნილი ტერიტორიაა (შდრ., ზოგი მეცნიერი ხათების მემკვიდრედ ქაქებს მიიჩნევს)...

ზოგად შტრიხებში ჩვენ ვიზიარებთ შ.გაბესკირიას ვარაუდს და დავძენთ, აზო ხათების მემკვიდრე მოსხების ან ქაქების მოდგმისა შეიძლება იყოს (საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს). ასე რომ, აზოსა და ქუჯფარნავაზის ისტორია ქართველურ ტომთა შორის პირველობისათვის ბრძოლას უნდა ასახავდეს...

შდრ.: მ.ფასმერისა და ლ.ზუსტას კვლევების კვალად, მ.ანდრონიკაშვილი ფიქრობს, რომ აზო სკვითურ-ალანური წარმომავლობის საკუთარი სახელია და ეტიმოლოგიურად “თხას“ უკავშირდება (მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 131); იხ. აგრეთვე, მ.სანაძე, 2000, გვ.40-45: აზო ამიერკავკასიაში გადმოსახლებული იმ სკვითების ბელადია, რომელთაც ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში ასურეთისა და მიდიის საზღვარზე შექმნეს სკვითთა სახელმწიფო - არიანი (არია - ინდოელების, სპარსელების, მიდიელების, სკვითების, ალანების თავდაპირველი თვითსახელწოდება); “ელინისტური ხანის დასაწყისში სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის გაცნობისას, მოსულმა ბერძნებმა აქ აითვისეს თქმულებები აზოზე; აზო იაზონად გაიაზრეს...”.

აზო/იაზონის თემა ცალკეა საკვლევი, აქ კი შეგვიძლია, ვთქვათ:

ბიბლიისა და ბერძნული მითების განმმარტებელთა თვალსაზრისით, ქართველთა შორეული წარსული უკავშირდება იმ ძველ მოსახლეობას, რომელიც ევრაზიის ცენტრალურ ნაწილში - ანატოლია-კავკასიაში ცხოვრობდა.

2.1.2. მეცნიერული მოსაზრებანი

ქართველთა ისტორიული სამშობლოს შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრება გვაქვს:

2.1.2.1. მიგრაციის (კავკასიაში მოსვლის) თეორია.

ქართველთა ისტორიული საცხოვრისი იყო ქალდეა/ხალდე/ქართუ, რომელიც მდებარეობდა მცირე აზიაში, ჩრდილო მესოპოტამიასა და ტიგროს-ევფრატის სათავეებში; ქართველთა წინაპრები ამიერკავკასიაში მოვიდნენ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში (ი.ჭავჭავაძე, 1955, გვ.113; ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.412, 432-435; ივ.ჯავახიშვილი, 1950, გვ.28, 247-251). ქართველები ამიერკავკასიაში მოსულებად ითვლებიან, აგრეთვე, ზოგი ბერძნული წყაროს მიხედვით; კერძოდ, დასავლეთ ევროპის იბერიიდან გადმოსახლდნენ აღმოსავლეთის იბერიაში - შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (იხ. ზემოთ).

სამეცნიერო ლიტერატურაში გვაქვს მიგრაციის თეორიის დასაბუთების მცდელობაც; მაგალითისათვის მოვიყვანთ ივანე ჯავახიშვილის მსჯელობას:

“ყველა ქართველი ტომის სამშობლო, როგორც ვიცით, ქალდეა იყო (ხაზი ჩვენია - ტ.ფ.); მაშასადამე, კავკასიაში ქართველები იქიდან უნდა მოსულიყვნენ... კავკასიის ყველა უღძველეს საფლავში ნაპოვნი თავების გაზომვამ დაამტკიცა, რომ თავდაპირველად ჩვენს ქვეყანაში თავგრძელები ანუ დოლიხოკეფალები ცხოვრობდნენ; ხოლო უკვე განსვენებულმა პროფ. ვირხოვმა აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართველები და სომხები განსაკუთრებით თავმოკლენი ანუ ბრახიკეფალები არიან... კავკასიის ქართველები ძვ.წ. IX საუკუნის შემდეგ უნდა მოსდგომოდნენ“ (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.28, 50-55).

თანამედროვე ანთროპოლოგთა დასკვნით, საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის უწყვეტი გენეტიკური ერთიანობა დასტურდება

უძველესი დროიდან დღემდე; თუმცა, კავკასიის ანთროპოლოგიურმა ტიპებმა შესამჩნევი თანდათანობითი ტრანსფორმაცია განიცადეს: “ცალკეული ნიშნებისა და ტიპების (დოლოქოკრანულიდან ბრაქიკრანულის მიმართულებით) ცვლას საზოგადოდ თანდათანობითი გადასვლის ხასიათი ჰქონდა“ (იხ. მ.აბღუშელიშვილი, 1964; მ.აბღუშელიშვილი, 1971; ლ.ბითაძე, 2002).

ფიქრობთ, “ქართლის ცხოვრების“ ადრეული ტექსტის მცდარი გაგება გახდა ერთ-ერთი იმპულსი/საფუძველი საქართველოში ქართველთა არაავტოქთონობის სამტკიცებლად; კერძოდ, “მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში ვკითხულობთ:

“პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეჯადანა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად და დაბნევი მათი: სარკინე, კასპი, ურბნისი და ოძრხე და ციხენი მათნი: ციხეჲ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხეჲ კასპისა, ურბნისისა და ოძრხისაჲ. დაუკვირდა ალექსანდრეს“... (მატბერდის კრებული, 1979, გვ.320).

შდრ., ბუნთურქებთან დაკავშირებით, “ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: ალექსანდრემ “გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულთა. რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყვი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმ არს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით, დაუკვირდა ესე ალექსანდრეს“...

ამ კონტექსტში ყივჩაყების ხსენება საერთოდ გაუგებრობაა; ეს ხალხი არ სახელდება ახ.წ. I ათასწლეულშიც კი; როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისინი მხოლოდ შედარების კონტექსტში არიან ნახსენები XI-XII საუკუნეების რედაქტორის მიერ. უფრო პრობლემურია თურქებისა და ბუნთურქების საკითხი.

“მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, ისტორიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოს ამჟამინდელ ტერიტორიაზე არაქართველები (ან არაქართველები) ცხოვრობდნენ; მაგ.:

“დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე წინაელებისტურ ხანაში სხვადასხვა არაქართველი მოდგმის ტომი ცხოვრობდა: “ნათესავნი იგი ლოთის შვილთაგანნი, ბუნთურქნი, ჰონნი...“ (დ.მუსხელიშვილი, 1993, გვ.341; იხ., აგრეთვე, ივ.ჯავახიშვილი, 1979, გვ.236, 246: კ.კეკელიძესთან პოლემიკა). “მოქცევაჲ ქართლისაჲს“ საფუძველზე, ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ბუნთურქები კავკასიის ავტოქთონი მოსახლეობაა (მ.სეიდოვი, 1969; ი. ზეირეკი, 2003).

უკანასკნელ პერიოდში ბუნთურქების საკითხს საგანგებო წერილი მიუძღვნა გ.ალასანიამ; საკითხის დეტალური ისტორიოგრაფიის შემდეგ მკვლევარი წერს: “ფიქრობთ, სწორია იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებსაც დ.ბაქრაძის კვალდაკვალ, ეს ამბები მიდიის ხანაში გადააქვთ, ხოლო ქართულ წყაროებში მოხსენიებულ ბუნთურქებს სკვითებად მიიჩნევენ“; ხაზარები და ბუნთურქები სკვითები არიან (გ.ალასანია, 2000, გვ.23; მ.სანაძე, 2001, გვ.150).

მართლაც, ლოგიკურია, რომ სპარსთა მეფე ქაიხოსროსგან ოტებულის “თურქები“ სკვითებთან გავაიგივოთ (მ.სანაძე, 2001, გვ.150; შდრ., ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გვ.526: “626-615 წლებს შორის კაიხოსრო არა მარტო ამარცხებს სკვითებს და მიდიიდან ერეკება მათ, არამედ აერთიანებს ირანის მთელ ზეგანს“). სავარაუდოა, რომ ლეონტი მროველის დროს ტერმინი თურქი ველურ ტომთა გაერთიანების სახელად განზოგადდა და დღევანდელი მნიშვნელობით გვიან დაკონკრეტდა. რაც შეეხება ტერმინებს: თურქი/ბუნთურქი მიმართებას:

“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ალექსანდრეს წინა პერიოდში, “ყოველთა ქართველთა“ ნებართვით, მცხეთასთან ახლოს, მხოლოდ ქალაქ სარკინეში დასახლდა სპარსთაგან ოტებულის თურქების ძირითადი ნაწილი: ყოველთა ქართველთა “ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს (დაანაწილეს) ყოველთა ქალაქთა შინა. ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას დასავლით კერძო, კლდეთა შორის გამოკვეთილი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოიზღუდეს მტკიცედ და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“ (გვ.15, 18); შდრ., მცხეთელმა მამასახლისმა ხარკის საფასურად ზანავში დაასახლა ნაბუქოდონოსორ მეფის მიერ “ოტებულნი ურიანი“ (გვ.15-

16); “მოქცევაჲს“ მიხედვით, ზანაჲში სახლდებიან ქალდეველთაგან გამო-სხმულნი ჰონნი. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ჰონნი აქ იმავე სკვითებს გულისხმობს, ხოლო ქალდეველნი - სპარსელებს (გ.არახანია, 1994; მ.სანაძე, 2000).

ქართული წყაროების წარმოდგენილი ფაქტებიდან არ ჩანს, რომ ამიერკავკასიაში ბუნთურქები ავტოქთონები არიან. ასევე, ნაკლებ სა-რწმუნოა, რომ ძველ მემატრიანეთ ორი ტერმინი (თურქნი და ჰონნი) ჰქო-ნოდათ სკვითთა აღსანიშნავად. კვლევის ამ ეტაპზე უფრო სავარაუდოა, რომ სკვითებს მიემართება მხოლოდ **თურქი** - ველურ ტომთა ზოგადი სახელი X-XI საუკუნეების საქართველოში.

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა განმარტებული ტერმინი **ბუნთურქები**; კერძოდ (სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილ-ვისათვის იხ. გ.ალასანია, 2000, გვ.21):

მ.ბროსე: პირველყოფილი თურქები - შაჰ-ნამეს თურანელები, რომ-ლებიც განდევნა სპარსეთის მეფე ქაიხოსრომ; **ე.თაყაიშვილი**: ბუნ- სომ-ხურად შუბის ტარს ნიშნავს; შესაბამისად, ბუნთურქი - შუბოსანი თურ-ქი; **ნ.მარი, ი.ყიფშიძე, მანდრონიკაშვილი**: ბუნთურქი - ავტოქთონი, ადგილობრივი; **ლ.მელიქსეთ-ბეგი**: ბუნთურქი შეცდომაა პალეოგრაფი-ულად; იყო ჰუნ-თურქი; **გ.მელიქიშვილი**: თავდაპირველი თურქი; **ზ.ან-ჩაბაძე**: ჰუნები, კავკასიელი თურქები; **ვ.გაბაშვილი**: ჰუნები/გუნები; **გ.წულაია**: ავტოქთონი თურქები...

ჩვენი აზრით, ტერმინი **ბუნთურქი** მსაზღვრელ-საზღვრულის შე-რწყმით წარმოქმნილი კომპოზიტია:

ბუნი თურქი > **ბუნთურქი**, სადაც **ბუნი** ნიშნავს ძირითად ნაწილს, ბირთვის, მთავარს (შდრ., ილ.აბულაძე: **ბუნი - ნამდვილი, მკვიდრი**, თუმცა, კონტექსტით უფრო **ძირითადი** უნდა იყოს; შდრ., მანდრონი-კაშვილი, გვ.297: **ბუნ - ფუძე, ძირითადი, საძირკველი**): კომპოზიტის შინაარსი კი უნდა გავიგოთ, როგორც **თურქთა ძირითადი ნაწილი**: მცხეთასთან ახლოს ალექსანდრემ მრავლად ნახა ის თურქები, რომლე-ბიც კომპაქტურად დასახლდნენ სარკინეში; შდრ.: დანარჩენი თურქე-ბი/სკვითები ქართველებმა “განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“.

არქაულ ქართულში **ბუნთურქის** მსგავსი მსაზღვრელ-საზღვრული თუ კომპოზიტი სხვაც დასტურდება: ივ.იმნაიშვილის დასკვნით, უძვე-

ლეს ქართულში მსაზღვრელი წინ იყო (გვიან დამკვიდრდა პოსტპოზი-ციური წყობა); შდრ., მაგ.: კეთილი ღვინოდ, პურის ჭამად, უცხო-თესლი, შუალამე, დიდძალი, დიდფასი, ერთშაბათი...(ივ.იმნაიშვილი, 1957, გვ.556, 277, 229; ა.შანიძე, 1976, გვ.57-58).

ბუნთურქ- კომპოზიტის ამგვარ ეტიმოლოგიას ამყარებს და კავკა-სიაში თურქთა ავტოქთონობის უსაფუძვლოებას ცხადს ხდის “ქართლის ცხოვრებისა“ და “მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტთა სათანადო ტექსტე-ბის შეპირისპირებაც:

მიჩნეულია, რომ “ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი წყაროა “მო-ქცევაჲ ქართლისაჲს“; ეს უკანასკნელი კი თითქოსდა მხარს უჭერს კავკა-სიაში თურქთა ავტოქთონობისა და ქართველთა მიგრაციის თეორიას.

ძირითად შტრიხებში “ქართლის ცხოვრება“ და “მოქცევაჲ ქარ-თლისაჲს“ მართლაც ემთხვევა ერთმანეთს:

ბუნთურქები – საქართველოში ალექსანდრეს მოსვლა - აზოს და-ტოვება - სარკინეს ხანგრძლივი ომი... ზუსტად მეორდება ფრაზებიც კი, მაგ., **“მსხდომარენი** მდინარესა ზედა მტკუარსა **მიხუევით**“ (“მო-ქცევაჲ ქართლისაჲს“) და **“მსხდომარენი** მდინარესა მას მტკურისასა **მი-ხვევით**“ (“ქართლის ცხოვრება“)...

ძირითადი განსხვავებებია:

“ქართლის ცხოვრება“: ქართლი ქართველთა ქვეყანაა; აქ, ქართველ-თა ნებართვით, დევნილი თურქები **კომპაქტურად** დასახლდნენ მხო-ლოდ სარკინეში (სარკინეში დასახლებული თურქები **ბუნთურქები** არიან!); ალექსანდრეს დროს ქართველები და სხვა არაქართველები სარკინეში კომპაქტურად ჩასახლებული **თურქებივით ველურები** არიან.

“მოქცევაჲ ქართლისაჲს“: ქართლში პირველად მოსულ ალექსან-დრეს ბუნთურქები დახვდნენ (რაც სულაც არ ნიშნავს თურქთა ავტოქთონობას!); კერძოდ, მათი ქალაქები იყო: სარკინე, კასპი (უფლის-ციხე), ურბნისი, ოძრხე... მეორედ მოსულმა ალექსანდრემ ისინი დაა-მარცხა და ეს ქვეყანა აზოს ჩააბარა.

წყაროთა ურთიერთკავშირი უთუოა! **ბუნ-თურქთა პრობლემას** ნა-თელს მოჰყვნს წარმოდგენილი ტექსტების (ფრაგმენტების) პირველა-დობის გარკვევა:

“მოქცევაჲ ქართლისაჲს-ს შატბერდული ვარიანტის (ჭელიშურ ხელნაწერს შესავალი - მოკლე ისტორიული ექსკურსი - აკლია) შესავალში დასახელებული ე.წ. ბუნთურქთა ქალაქები: სარკინე, კასპი (უფლისციხე), ურბნისი და ოძრვე ნახსენებია “ქართლის ცხოვრებაშიც”, ოღონდ, ამათგან ბოლო სამი **საკუთრივ ქართული** ქალაქებია. “ქართლის ცხოვრებაში” სხვა ქალაქებიცაა: წუნდა, ხერთვისი, თუხარისი, ძველი მცხეთა, ზანავი, რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი და სხვა. მცხეთა ყველაზე უფრო დიდი და ცნობილი ქალაქი იყო და რატომ არ ახსენებს მას “მოქცევაჲს” ავტორი თუ რედაქტორი? ბუნებრივია, მცხეთის და-არსებამდე ვერ დაიწერებოდა “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ვერც ერთი წყარო...

სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ “მოქცევაჲს” შესავალი უძველესი ქართული წყაროა; ვფიქრობთ, ამგვარ მიდგომას მხარს არ უჭერს ბუნთურქთა ეპიზოდების შეპირისპირება “ქართლის ცხოვრებისა” და “მოქცევაჲს” მიხედვით; კერძოდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენამდე მოღწეული “მოქცევაჲს” შესავალი ტექსტი “ქართლის ცხოვრების” ადრეული რედაქციის მოკლე და, ამავე დროს, დამახინჯებული ვარიანტია; წარმოვადგენთ სათანადო ფრაზათა ტექსტოლოგიურ ანალიზს:

“ცხოვრების” ტექსტში სიტყვაფორმა **მიხვევით** გულისხმობს **მრავლად**; ტექსტი ასე უნდა გავიგოთ:

ალექსანდრემ ქართლში, მტკვრის/მცხეთის გასწვრივ (ახლოს) მრავლად ნახა ბუნთურქების მსგავსი ველური ქართველები (გვ.17: ალექსანდრემ “პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესავთა...”). შდრ., “მოქცევაჲს” ტექსტში სიტყვაფორმის - “მიხვევით” - შინაარსი გაურკვეველია, რის გამოც ამ ცნობილი ტექსტის პროფესიონალი გამომცემლები სხვადასხვანაირ პუნქტუაციას იყენებენ; შდრ.:

ილია აბულაძე, 1964, გვ.81: “იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, - მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი”.

ბ.გიგინეიშვილი, ელ.გიუნაშვილი, 1979, გვ.320: “იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუე-

ვით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი“ (აქ სიტყვაფორმა **მიხვევით** მძიმეებით აღარ არის გამოყოფილი).

ზ.სარჯველაძის მიერ ეს ადგილი განმარტებულია, როგორც “მიყოლებით”; მისეული ტექსტი ასე გამოიყურება: “იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი - მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიყოლებით/მიხვევით ოთხ ქალაქად“ (ზ.სარჯველაძე, 1995); განმარტება დაუსაბუთებელია; შდრ., იქვე, ზ.სარჯველაძის მიერვე საესეებით მართებულადაა განმარტებული საწყისი ფორმა **მიხუევა**; კერძოდ: **მიხვევა - მოდევა, მიხვევა**; შდრ., **მოედო, დაეხვია**.

დაეხვია (/მოედო; შდრ., **ხვაგი** და გამოთქმა: “ბუზივით ეხვეოდა“) ზმნისგან შეიძლება ვაწარმოოთ სიმრავლის აღმნიშვნელი ზმნისართი **მიხვევით/მრავლად/ხვაგიერად**, მაგრამ ამ **ზმნური** ფუძისგან **თანამიმედვრობის/მიყოლების** (მიყოლებით) აღმნიშვნელი ზმნისართი ვერ წარმოიქმნება; შესაბამისად, ერთ სინტაგმად უნდა განვიხილოთ **მსხდომარენი მიხვევით** ანუ, **მსხდომარენი მრავლად/მიყრით**; შდრ., ზ.სარჯველაძის აზრით: **მიხვევით/მიყოლებით ოთხი ქალაქი**.

გარდა ზემოთქმულისა, “მოქცევაჲს” ტექსტის წარმოდგენილი ფრაგმენტის მეორეულობასა და საეჭვოობას ცხადყოფს დასახელებულ ქალაქთა განლაგებაც: ოძრხე არ არის მტკვრის ხეობაში, მით უმეტეს, ურბნისის მიყოლებით (შდრ.: “მოქცევაჲ ქართლისაჲს” შეიქმნა IX საუკუნეში “ნინოს ცხოვრების” საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, დაიწერა VII საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ; ბ.ინგოროყვა, ლ.ჯანაშია, კ.თუმანოვი..).

ვფიქრობთ, ნათელია: ქართველთა ქრისტიანობამდელი ისტორიის გადმოცემისას, “მოქცევაჲს” ავტორი ეყრდნობა “ქართლის ცხოვრების” ადრეულ რედაქციას - მის შესავალ ნაწილს (შდრ., ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ.554-555); ჩანს, შესავალი ნაწილი მეტად შემოკლებულია და, აგრეთვე, ტექსტის ერთი მონაკვეთის ვერგაგების გამო, შინაარსიც დამახინჯებულია. წარმოდგენილი მსჯელობა კიდევ ერთი ფაქტით ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის დასკვნას:

წმ. ნინოს შატბერდისეული ცხოვრება ძველი ცნობების გადამუშავებითაა შექმნილი და, ამავე დროს, ბევრ სიყალბეს შეიცავს (იხ. ივ.ჯავახიშვილი, I, გვ.226-227). “ქართლის ცხოვრების” შესახებ შდრ., მ.სანაძის მართებული დასკვნაც (მ.სანაძე, 2001, გვ.17, 26, 149): “ქარ-

თლის ცხოვრების“ ვახტანგ გორგასლამდელი ნაწილი შედგება ცალკეული ქრონიკებისა და “ცხოვრებისაგან“, რომლებიც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ავტორის მიერ დაიწერა. შესაბამისად, სრულიად უმიზეზოდ იყო აქამდე უგულვებლყოფილი “ქართლის ცხოვრების“ ანდერძ-მინაწერი, რომელიც გვაუწყებს, რომ: “წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამით-ჟამად“...

ხაზარულ-სკვითური ეპიზოდის აღწერისას შედარებით თანამიმდევრული და ლოგიკურია “ქართლის ცხოვრება“; მაგ., “ქართლის ცხოვრების“ ტექსტში გარკვევით წერია, რომ ქართლში ალექსანდრეს დახვდნენ **ყოველნი ქართველნი**, მაგრამ ისინი იყვნენ წარმართები, ურწმუნონი, არაქრისტიანნი (მემატიანე მართლმადიდებლობის აპოლოგეტი ბერია!), და, ამდენად, ცუდი ქართველი ადამიანები; შდრ., ალექსანდრეს მოსვლამდე, ძვ.წ. VI საუკუნეში, ნაბუქოდონოსორის დროს ქართლში “შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი“: ხაზარები (ჩრდილოეთიდან გადმოსული სკვითები), თურქები (მიდიიდან გამოქცეული სკვითები), ებრაელები, ბერძნები, ასურელები... სწორედ ხალხთა ამ აღრევის გამო “იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა. რამეთუ ცოლქმრობისათვის არა უჩნდათ ნათესაობა; ყოველსა სულიერსა ჭამდეს; საფლავი არ იყო, მკუდარსა შესჭამდეს“ (გვ.16)... ალექსანდრეს შემოსვლის დროსაც ამავე სიტყვებს იმეორებს მემატიანე; **ქრისტიანი ავტორი თუ რედაქტორი ძველი დროის წარმართ ქართველებსა და არაქართველებს ადარებს თავის თანამედროვეთათვის (XI-XII საუკუნეების) ნაცნობ ველურებს - თურქებსა და ყივჩაყებს.**

ლოგიკურია ისიც, რომ ტექსტის მომდევნო ნაწილში მემატიანე ჩამოთვლის ქართლში არსებულ ენებს (სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული, ბერძნული; გვ.16), მაგრამ მათ გვერდით თურქულ ენას არ ახსენებს:

ალბათ, ძველი ავტორისთვის ხაზარული ენა ის სკვითურია, რომლითაც ქაიხოსროსგან გამოდევნილი “თურქებიც“ (სკვითებიც) მეტყველებენ; ხოლო გვიანდელი რედაქტორისა თუ ლეონტი მროველისთვის ხაზარები უკვე თურქები არიან, შესაბამისად, მისთვის ხაზარულში მოიაზრება თურქთა/ბუნთურქთა ენაც (შდრ.: ზ.ალექსიძე, 1991, გვ.83-84; გალა-სანია, 2000, გვ.25 და მ.სანაძე, 2001, გვ.32); შდრ.: ქართლის ცხოვრების ძველი ქრონიკების ავტორ-რედაქტორთა მიხედვით (და არა ლეონტი

მროველის აზრით! შდრ., მ.სანაძე, 2001, გვ.32), **ხაზარების შთამომავლები არიან ოსები** (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.12, 12-15).

ამრიგად, **ქართლის ცხოვრებაში** წარმოდგენილი ტერმინი **ბუნთურქი** კომპოზიტია: **ბუნი თურქი - ბირთვი (ძირითადი ნაწილი) თურქებისა.** შესაბამისად, ახალი წელთაღრიცხვის IX-X საუკუნეების ქართულ ენაში ველურთა აღმნიშვნელი ტერმინი **თურქი** მიემართება ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში სპარსეთის მეფე ქიასხარისგან (ქაიხოსროსგან) გამოდევნილი **სკვითების იმ ძირითად ჯგუფს**, რომელიც ქართველებმა **კომპაქტურად** დაასახლეს სარკინეში.

შდრ.: კავკასიაში თურქულენოვანი ხაზარები პირველად ჩნდებიან ახ.წ. V საუკუნეში, ხოლო ყივჩაყები - XI საუკუნეში; ძვ.წ. VI-IV საუკუნეების **ხაზარები/“თურქები“** ინდოევროპულ ენაზე მეტყველი ხალხია, ხოლო ახ.წ. X-XI საუკუნეების ხაზარები და თურქები/ბუნთურქები - თურქულენოვანი. “ქართლის ცხოვრებაში“, ასევე, ნათლად წერია, რომ “შემდგომად განყოფისა ენათასა“, ე.ი. ოდითგანვე (ერების გაჩენისთანავე), კავკასიაში დაემკვიდრნენ იაფეტის შთამომავალნი - თარგამოსის ძენი, მათ შორის: ქართლოსი, ეგროსი, კახოსი, ჰეროსი... დროთა განმავლობაში სხვა ხალხებიც შემოერივნენ და, შესაბამისად, “იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული, ბერძნული; მათგან ფარნავაზმა “განავრცო ენაჲ ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.16, 26).

წარმოდგენილ მონაკვეთში სხვა ფაქტიცაა ასახული:

“ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, **თარგამოსის მოდგმა** (იბერიულ-კავკასიური ხალხი და არა ინდოევროპელი კიმერიელები) ცხოვრობდა მცირე აზიასა და კავკასიაში (საკითხის ისტორიისთვის იხ.მ.სანაძე, 2001, გვ.166-167); ე.ი. ისტორიულ ქართლში ძირძველი მოსახლენი თარგამოსიანნი არიან, მაგრამ დროთა განმავლობაში სხვებიც დამკვიდრდნენ. ჩვენი აზრით, **თარგამოსიანთა და მოსულთა ინტეგრაციის პროცესი იბერიულ-კავკასიური ერთობისგან საბოლოოდ მიჯნავს ქართველურ მოდგმას:**

კიმერიელებისა და სკვითების (ე.წ. ბუნთურქების) ამიერკავკასიაში შემოსვლა შეიძლება დავსახოთ იბერიულ-კავკასიური ერთობიდან

ქართველური ენობრივ-ეთნიკური ერთობის (კონტინუუმის) **გამომიჯნის ერთ-ერთ ბოლო** ფაქტორად: სწორედ ძვ.წ. VI საუკუნიდან ხდება საერთოქართველურ კოინეში სკვითური და სპარსული სიტყვების დიდი ნაკადის შემოსვლა (სათანადო მასალისათვის იხ., მ.ანდრონიკაშვილი, 1966; ა. ბილი, 2003). აქვე აღვნიშნავთ, მ.სანაძის აზრით, სკვითთა (ინდოევროპელთა) კავკასიაში შემოსვლამდე (ძვ.წ. VII-VI საუკუნეებამდე) დღევანდელი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (კახეთის ჩათვლით!) არსებობდა **პროტოზანური ენა, რომელსაც, დაეფინა რა სკვითურ-ინდოევროპული მეტყველება**, იმერეთის, გურიის, აჭარის, იმერხევის, ტაო-კლარჯეთისა და ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ჩვენთვის ცნობილი ქართული - ზანური და სკვითური ენების “ჰიბრიდი” ენა (მოსაზრება გამოითქვა ჩვენთან ზეპირ საუბარში; შდრ., აგრეთვე, მ.სანაძე, 2001, გვ.49-53). ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ თავისთავად საინტერესო მოსაზრებას:

საერთოქართველურ ენობრივ მოდელთან სვანურ-ზანური და სხვა ქართველური კილოების მიმართება ცხადყოფს, რომ სამწიგნობრო ქართულისთვის ამოსავალი ვერ იქნება ე.წ. პროტოზანური ან პროტოსვანური ენობრივი მოდელები (იხ. ქვემოთ, 2.2.3.).

ვფიქრობთ, ჯერჯერობით არ ჩანს არც ერთი მყარი საბუთი, ვამტკიცოთ ქართველთა არაავტოქთონობა კავკასიაში.

შენიშვნა: ქართველთა მიგრაციის თეორიის საყრდენად ვერ გამოდგება, ასევე, მეგასთენეს ცნობა (გეორგიკა, I, გვ.30) ნაბუქოდონოსორის მიერ ლიბიიდან (იბერთა ქვეყნიდან) პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს გადმოსახლებული იბერების შესახებ (შდრ., უფალმა ამავე ნაბუქოდონოსორის ხელით დასაჯა თავისი რჩეული ერი - ებრაელები).

2.1.2.2. ამიერკავკასიაში ავტოქთონობის თეორია

2.1.2.2.1. სამხრეთი ამიერკავკასია. თ.გამყრელიძისა და ვ.ივანოვის მიხედვით, ქართველები თავიდანვე ცხოვრობდნენ სამხრეთ ამიერკავკასიაში, კერძოდ, მცირე კავკასიონის (მესხეთ-ჯავახეთის რეგიონის) ცენტრალური და დასავლეთი ნაწილის მთიანეთში; ძვ.წ. III ათასწლეულში აქედან სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში (კოლხეთის დაბლობსკენ) განხორციელდა **ქართველური მიგრაციების პირველი ტალღა** (ხაზი ჩვენია - ტ.ფ.); მათი მეტყველებისა და დამხვედური ჩრდილოკავკა-

სიური ტიპის **ენების შერევით** სათავე დაედო სვანურ ენას; “თანდათან სვანური ენა ჩრდილოეთისაკენ, დიდი კავკასიონის ქედის მიმართულე-ბით განდევნა **მომდევნო მიგრაციულმა ტალღამ**, რომელიც პირველს მოჰყვა დაახლოებით ცხრა საუკუნის შემდეგ;“ ამ პროცესში წარმოქმნილმა მეტყველებამ “შემდეგში მოგვცა ძველი კოლხეთის ერთ-ერთი ენა - მეგრულ-ლაზური“; დასავლეთ მცირე კავკასიონის ფარგლებში და-რჩენილი საერთოქართველური ენის დიალექტები საფუძვლად დაედო ქართულ ენას, რომლის მატარებლები, **განსახლდნენ რა დასავლეთის მიმართულეებით**, განსაზღვრულ ტერიტორიაზე დაეფინენ კოლხური ენის მატარებელთ, რის შემდეგაც მოხდა ლაზური და მეგრული ენების წარმოშობა; ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით **გადაადგი-ლებულმა ტომებმა** აქედან (ამჟამინდელი აღმოსავლეთ საქართველო-დან - ტ.ფ.) განდევნეს აღმოსავლურკავკასიური ტიპის ენებზე მოლაპარაკე ხალხი (თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, 1984, გვ.880-881; თ.გამყრელიძე, 2000, გვ.184).

რა ფაქტებს თუ ლოგიკურ არგუმენტებს ემყარება წარმოდგენილი ჰიპოთეზა?

სამხრეთ ამიერკავკასიიდან ჩრდილოეთ ამიერკავკასიაში ე.წ. “ქარ-თველური მიგრაციები“ 5000-4000 წლების წინაა ნავარაუდები (თ.გამყრელიძე, 2000, გვ.184), ამდენად, ანთროპოლოგიური მონაცემების გარდა, ამდროინდელ სხვა რაიმე ფაქტებზე ვერ ვილაპარაკებთ: არქაუ-ლი ლექსიკისა და ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით შექმნილი **სა-თუო ვარაუდები** (რომელთაც საგანგებოდ განვიხილავთ აქვე) ფაქტე-ბად ვერ ჩაითვლება, წარმოდგენილი თეორიის დასასაბუთებლად საჭი-რო ანთროპოლოგიური მონაცემები კი არ არსებობს (იხ. ქვემოთ).

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის არგუმენტთაგან აღსანიშნავია ორი: საერთოქართველური ენის სამ ენად **დაშლის დრო და პრაენის ლექსიკის მიხედვით** აღდგენილი გარემო (ცხოვრების წესი).

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

2.1.2.2.1.1. ქართველთა სამი ენა 4000-5000 წლის წინ?

XX საუკუნის მეორე ნახევარში ენათმეცნიერ გ.კლიმოვის გლო-ტოქრონოლოგიური მეთოდით გამოკვლევების (რომელიც, თავის მხრივ, იყენებდა სვოდემის მეტად სათუო მეთოდოლოგიას) შემდეგ სამეცნიერ-

რო წრეებში მყარად დამკვიდრდა აზრი, რომლის მიხედვითაც ჯერ კიდევ 5000-4000 წლის წინ არსებობდა სამი ქართველური ენა (შესაბამისად, სამი ქართველური ტომი: ქართი, ზანი, სვანი), რომელთაგან ერთ-ერთი - ქართული - გაბატონდა კულტურის ენად (უთუოდ ამგვარმა მიდგომამ ისტორიკოსების გამოკვლევებში გაააქტიურა ტერმინები: **ქართიზაცია** და **ქართველიზაცია**, რომლებიც, პირველ რიგში, გულისხმობს სხვა ქართველური ტომების ჩაყლაპვას - “**გაქართვებას**”/“**გაქართველებას**”).

პირველ რიგში: რა საფუძველი გვაქვს, რომ მართლაც ქართველთა მხოლოდ ეს სამი ტომი არსებობდა ძვ.წ. II ათასწლეულში?

შდრ.: “უძველესი დროიდანვე მოყოლებული ქართველები მრავალ ტომად დანაწილებული ყოფილან; ქრისტეს შემდეგ ისტორიული წყაროებით ცნობილი თითქმის ყველა ტომი ქრისტეს წინათ მრავალი საუკუნის მანძილზეც საისტორიო ასპარეზზე მოქმედებდა“ (ივ.ჯავახიშვილი, 1960, გვ.401). ხეთურ, ასირიულ, ურარტულ, ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ, სომხურ და სხვა უცხოურ წყაროთა ჩვენებით, **II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულში ქართველი ტომების ისტორიულ ტერიტორიაზე** (ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე რეგიონში) **ცხოვრობდნენ** ქართველურ ენა-კავებზე ანუ დიალექტებზე მოლაპარაკე და, შესაბამისად, ქართველურად მიჩნეული **შემდეგი ტომები: მუშქები /მესხები, დიაუხები /ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები /სასპეირები, ქუთები, კორაქსები, მარები, ბექეძეები, ჰალიძონები /ხალიბები, ხალდეები /ქალდეები, მოსინოაქები /ჰებტაკომეტები, ბიძერები, ძიდრიტები, მაკრონები /მაკროკეფალები, ფასიანები, მელანქლანები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი /ეკექეძეები, ჰენიოხები, სანები /ჰანები, სანიგები, ლაზები, აბაზები /ოზები, სვანები /მისიმიელები, სუანო-კოლხები, ამარანტები, ტუსკები, კანები, კუნები, ჰერები, ჯავახები, ფხოველები...** (დაწვრილებით იხ. ზემოთ).

რის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამდენი ტომის მეტყველება მხოლოდ სამ ან ოთხ ენად დაჯგუფდება? მით უმეტეს, ენისა და კილოს გამიჯვნის პირობითობის ვითარებაში შეუძლებელია რაიმე ისეთი დასკვნის გამოტანა, რომელიც მხარს დაუჭერს 5000 წლის წინ ქართველთა მხოლოდ იმ სამი ენის არსებობას, რომლებიც თითქოსდა არსებობენ დღესაც.

ეფიქრობთ, უძველეს ქართველურ ენა-კილოთა რაოდენობის დასადგენად უფრო გამოსადეგია წყაროებში დადასტურებული ტომების სახელთა რიცხვი, ვიდრე დღევანდელი ვითარების შესაბამისად, ამჟამინდელი სვანების, მეგრულ-ჰანების თუ მესხ-ქართლების “ენების“ მიხედვით, 4000-5000 წლის წინაც დაფუძვით მხოლოდ **სამი ქართველური ენობრივი ერთეულის** არსებობა...

ფრიად საეჭვოა ქართველურ ენობრივ ერთეულთა დაშლის გ.კლიმოვისეული თარიღიც, რომელიც ემყარება ლექსიკურ-სტატისტიკურ მეთოდსა და საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიას (იხ. ქვემოთ 2.2.3.).

2.1.2.2.1.2. **პრაენის ლექსიკის მიხედვით აღდგენილი გარემო და ცხოვრების წესი.** პრაენის მიხედვით ძველი საცხოვრისის ძიება საუკუნეების მანძილზე პოპულარული თემა იყო; ქართულ სინამდვილეში ამგვარი მცდელობა ჰქონდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძეს თავის პოლემიკური ხასიათის ნაშრომში: “აი, ისტორია“ (ი.ჭავჭავაძე, 1987, გვ.79).

მონათესავე ენობრივი ერთეულებისთვის ამოსავალი ენის (ფუძეენის, პრაენის; შდრ.: პროტოენა - წინარე ენა, თავდაპირველი ენა) ძირითადი ლექსიკა თუ დადგინდება (ინტენსიური შერეების გამო, ზოგჯერ წარუმატებელია ამგვარი ცდები), მართლაც, შესაძლებელია წინარემოსახლეობის საცხოვრისისა და გარესამყაროს ენობრივი ხედვის წარმოდგენა, შესაბამისად - ძველი ტერიტორიისა თუ კულტურის სავარაუდო სახის აღდგენა.

ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩვენს სინამდვილეშიც გამოქვეყნდა საერთოქართველური “ენობრივი ხედვის“ ამსახველი რამდენიმე გამოკვლევა (გ.კლიმოვი, 1964, გვ.37; გ.მელიქიშვილი, 1970, გვ.339-340; თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, 1984, გვ.880-882; მ.ქურდიანი, 2002), რომელთა მიხედვითაც ქართველთა წინაპრების საცხოვრისად ძვ.წ. IV-II ათასწლეულების ამიერკავკასია და მისი სამხრეთი რეგიონი ივარაუდება; მაგალითად, მცენარეების (ანწლი, გვიმრა, ვაშლი, ვერხვი, მარწყვი, მსხალი, სოკო, ცაცხვი, ძეწა, წიფელი, წყავი...), ცხოველების (არჩვი, დათვი, კვერნა, თხა, ვაცი, ორბი, მელია...) და სხვა საერთოქართველური სახელების რეკონსტრუქციით გ. კლიმოვი ვარაუდობს, რომ ქართველური მოსახლეობა III-II ათასწლეულთა მიჯნაზე კავკასიის მიწა-წყალზე ცხოვ-

რობდა (გ.კლიმოვი, 1964, გვ.37; გ.მელიქიშვილი, 1970, გვ.339).

წარმოდგენილ პრობლემას საგანგებო წერილი უძღვნა მ.ქურდიანი-მა; სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილი საერთოქართველური ლექსიკის (ზღვა, ტბა, ღელე, წყალი... ხევი, კლდე, გორი, ტყე, ტევრი, წვიმა, თოვლი, გვალვა, ყინვა, ზვავი, თბილი... ძელი, ნაძვი, წიფელი, წაბლი... შველი, მაჩვი, ეშვი... შაშვი, კაკაბი, ჩხართვი, ძერა, მერცხალი, თოლია, ტრედი... ლოჯო, ჩხამი...) საფუძველზე იგი ასკვნის: “საერთოქართველური ენის დიალექტებზე მეტყველი ტომები ცხოვრობდნენ, დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან მოყოლებული, სამხრეთით საკმაოდ ვრცლად განფენილ ტერიტორიაზე, რომელიც სრულად მოიცავდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიასაც. ჩრდილოეთი საზღვარი ქართველთა პირველსაცხოვრისისა იყო დიდი კავკასიონი, დასავლეთ საზღვარს კი შავი ზღვა წარმოადგენდა“ (მ.ქურდიანი, 2002, გვ.86).

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: წარმოდგენილი ავტორების მიერ საერთოქართველური ლექსიკის მიხედვით ქართველთა წინაპრების გარემოსა და ეთნოკულტურის აღდგენა საინტერესოა, ოღონდ, ჩვენთვის საკამათოა მათ მიერ ნავარაუდები დრო (იხ., აქვე, 2.1.2.2.1.1. და 2.2.3.).

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თეორიაში საკამათოა, აგრეთვე, სვანურში ჩრდილოკავკასიური ენების **სუბსტრატის** საკითხი (გვ.881); ჩვენი აზრით, სვანურ კილოებში მართლაც შთამბეჭდავია ჩერქეზული ენობრივი ფენა (იხ. ს.ჯანაშიას გამოკვლევები), მაგრამ უფრო ლოგიკური იქნება, ვილაპარაკოთ **სუპერსტრატზე** და არა **სუბსტრატზე**; კერძოდ, მრავალი ფაქტი არსებობს იმის სამტკიცებლად, რომ სვანური მეტყველება არქაული ქართულის ის განშტოებაა, რომელსაც ინტენსიურად შემოერია მოძვე კავკასიელთა ენობრივი ელემენტები (იხ. ქვემოთ). შდრ., თუ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრს გავიზიარებთ, სვანურისთვის საყრდენი ენა რომელიმე ჩრდილოკავკასიური ენაა...

2.1.2.2.2. სამხრეთი კავკასია. ცენტრალურ ამიერკავკასიაში (სამხრეთ კავკასიაში) ქართველთა ავტოქთონობის თეორია არგუმენტირებულად პირველად წამოაყენა ბ. კუფტინმა. მისი აზრით, “სამხრეთი კავკასია წარმოადგენდა ქართველი ხალხის სამშობლოსაც და უძველეს სამშობლოსაც“ (ბ.კუფტინი, 1949, გვ.14-16, 37). აქვე აღვნიშნავთ, რომ ბ.კუფტინის აზრით, წალკაში აღმოჩენილი მასალის მიხედვით, შთამბეჭ-

დავი პარალელები ივლება სამხრეთ კავკასიის კულტურასა და ძველ კრეტა-მიკენის კულტურას შორის (საუბარია ქალის როლისა და დამწერლობის უძველესი - იეროგლიფური - ნიმუშების ერთიანობის შესახებ); ბ.კუფტინის აზრით (1941, გვ.153), “თრიალეთის ყორღანთა ბრწყინვალე კულტურა უეჭველად ეკუთვნის ქართველ ტომთა წინაპრებს; გარდა ამისა, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა გვიმტკიცებს, რომ სამხრეთ კავკასიაში არსებული უძველესი ფესვები ქართული კულტურისა მოქცეული ყოფილა სუბარული და ხათურ-მცირეაზიური ეთნიკური სისტემების ურთიერთშემოქმედების ზონაში. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ქართველურსა და ჩრდილოკავკასიურ ენებს, გარდა ადრევე შენიშნული ნათესაობისა ელამურ და ხური-მიტანურ ენებთან (ნ.მარი), აგრეთვე აქვთ მძლავრი ტენდენცია ხათური ენობრივი ფენისათვის დამახასიათებელი პრეფიქსული წარმონაქმნებისადმი (რ.ბლაინშტაინერი და სხვები)“; შდრ., აგრეთვე: “ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ამასთანავე, საფიქრებელია, რომ ისინი ნაწილობრივ დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოსახლეობდნენ, კერძოდ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე“ (გ.მელიქიშვილი, 1970, გვ.341-342).

წარმოდგენილი მოსაზრება ძირითადად გაზიარებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც:

“ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის ერთობლივი მონაცემების მიხედვით, დღეს სრულიად უცილობელია ქართველთა წინაპრების ავტოქთონურობა კავკასიაში...“ (დ.მუსხელიშვილი, 2002, გვ.5).

ქართველები ავტოქთონები არიან იმ მიწისა, რომელზეც ამჟამად მკვიდრობენ; მ.ქურდიანის აზრით, თუბალებისა და მუშქების ქართველურობაც უეჭველი ფაქტია...“ (მ.ქურდიანი, 2002, გვ.59-60, 86).

შენიშვნა: ნ.ბერძენიშვილის აზრით, “საქართველოში ქართველ ტომთა ავტოქთონობის აღიარებით უნდა დავუშვათ არაქართველთა ავტოქთონობაც; ბრძოლა ამ ტომებს შორის და ქართული ტომების გამარჯვება“; ეს სადავო აზრი გაზიარებულია დ. მუსხელიშვილის მიერაც, კერძოდ, მათი აზრით, **ქართის ტომის** მიერ ასიმილირდა შემდეგი ქართველი თუ არაქართველი ტომები: ბაზალნი, ჭართალნი, თრიალნი თუ თრელნი, მარგველნი, კასპნი, ფხოველნი, გოგარნი და სხვა (იხ. ნ.ბერძენიშვილი, 1990, გვ.363-364; დ.მუსხე-

ლიშვილი, 2002, გვ.5-6)... როგორ მტკიცდება ყველა ამ ტომის (მაგ., ფხოველების, მარგველების...) არაქართველურობა?

2.1.2.3. კავკასია-მცირეაზიაში ავტოქთონობის თეორია

აკად. ს.ჯანაშიამ 1940 წელს ენიშის მოამბეში დაბეჭდა კონცეფცია, რომლის ძირითადი დებულებები შევიდა ს. ჯანაშიას, ივ.ჯავახიშვილისა და ნ.ბერძენიშვილის თანაავტორობით 1943 წელს გამოქვეყნებულ “სა-ქართველოს ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში; ს.ჯანაშიას კონცეპტუალური სქემა ასე გამოიყურება:

“ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველს მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან“; უძველეს ხანაში (დაახლოებით 5000-6000 წლის წინათ) ქართველთა წინაპრები (ხეთურ-იბერიული გვარტომობის ხალხი) ცხოვრობდნენ წინა აზიაში (მესოპოტამიიდან კავკასიონამდე); ისინი აქედან გავრცელდნენ სამხრეთ ევროპასა (ბალკანეთის, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულებზე) და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე. შემდეგ მათი საცხოვრისი შეიზღუდა მცირე აზიით; **ქართველთა უშუალო წინაპრები არიან ხეთა-სუბარები, რომლებიც განფენილნი იყვნენ ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე; ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ქართველთა საცხოვრისი ცენტრი თანდათანობით ინაცვლებს ჩრდილოეთისკენ** (იხ., აგრეთვე: ს.ჯანაშია, 1952, გვ.96-100; ს.ჯანაშია, 1987, გვ.20-24, 44, 51).

3. კლარკის, ნ.მარის, ივ.ჯავახიშვილისა და სხვათა მოსაზრებებზე დაყრდნობით, თითქმის ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული ემიგრანტ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს - რევაზ გაბაშვილს: ძვ.წ. IV ათასწლეულში კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე და ინდოეთიდან იბერიის ნახევარკუნძულამდე (ესპანეთი) მცხოვრები მაღალი კულტურის მქონე ხალხი კავკას-ქალღეურ ერთ რასას წარმოადგენდა (რ.გაბაშვილი, 2001, გვ.18).

ჩვენ მიერ დამოწმებული ნაშრომი მოკლე რეზიუმეა 1967 წელს ფრანგულად გამოქვეყნებული ვრცელი შრომისა; ჯერჯერობით ჩვენთვის მისაწვდომი არ არის რ.გაბაშვილის არგუმენტები, შესაბამისად, ვერ ვიმსჯელებთ მათ შესახებ; აქვე აღვნიშნავთ, რომ რ.გაბაშვილის ნაშრომის ქართულ-ინგლისურ მოკლე ვარიანტში წარმოდგენილი ზოგი და-

სკვნა ვერ დასაბუთდება.

ს.ჯანაშიას კონცეფცია სათავეს იღებს **დიბუა დე მონპერსესა და ფრიდრიხ ჰომელის** მოსაზრებებისგან; სწორედ ამ კონცეფციაზე დაყრდნობით ჯერ კიდევ 1881 წელს დიმიტრი ბაქრაძე წერს: „ეჭვ გარეთ უნდა გვქონდეს, რომ ხსენებულ ხალხთ (ტიბარენნი, მოსიკენნი, მაკრონენი, კოლხნი, იბერნი, ალბანნი) **ნამდვილად ჰქვრიათ თითქმის მთელი სივრცე ჰალისის მდინარიდამ მოყოლებული ვიდრე კავკასიის მთებამდე...** ახლა იმათ ქართულ შთამომავლობაში თითქმის არ ეჭვნეულობენ“ (დ.ბაქრაძე, 1881, გვ.26).

* * *

სამუშაო ჰიპოთეზად ვიღებთ ს. ჯანაშიას კონცეფციას; არგუმენტების ძიებისას მის მოსაზრებას ორ ნაწილად წარმოვადგენთ:

- ტ. ჩრდილო მესოპოტამია - ანატოლია - კავკასია: ქართველთა წინაპრების საცხოვრისი;
- 9. ქართველთა წინაპრების გავრცელება სამხრეთ ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

ტ. სხვადასხვა თაობის მკვლევართა ნაშრომების გათვალისწინებითა და ენობრივ სტრუქტურათა (შთამბეჭდავი ლექსიკური პარალელები, ძირითადი ფონემატური სტრუქტურა, აგლუტინაციურობა, ერგატიული კონსტრუქცია...) შეპირისპირებითი ანალიზით საფუძველი გვეძლევა, ს.ჯანაშიას კვალად, ვივარაუდოთ:

ძვ.წ. V-III ათასწლეულების კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ მონათესავე **წინააზიურ-კავკასიური** ტომები: ხურიტები, ხათები, კავკასიელები; პირველი დიდი გაერთიანებები შექმნეს: **ხურიტებმა** - ჩრდილოეთ შუამდინარეთში, **ხათებმა** - ცენტრალურ მცირე აზიაში/ანატოლიაში; მოგვიანებით, **ანატოლიასა და კავკასიაში (ჰალისის, ჭოროხის, მტკვრის, რიონის, ეფრატის, არაქსის ხეობებში)** ჩანან: **მუსხები, ქაშქები, ურარტუელები, კოლხები, დაიანელები...** თანამედროვე ლინგვისტური კვლევები საფუძველს გვაძლევს, მათ ვუწოდოთ **“ერგატიული კონსტრუქციის ენის მქონე ხალხები“**.

არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ნეოლითის მანძილზე დასავლეთი და ცენტრალური ამიერკავკასია კულტურულად (ენობრივ-ენიკურად) ერთიანი იყო (ო.ჯაფარიძე, 1989, გვ. 385-385; ლ.ნებიერიძე, 2001, გვ. 9).

თანამედროვე არქეოლოგიური ძიებებით ცნობილია, აგრეთვე, რომ გვიანი ენეოლითის ამიერკავკასიაში გვაქვს ორი კულტურა: სიონისა (რომლის იდენტური კერამიკა დასტურდება ოდიშში, ანასელში, გურიანთაში) და შულავერ-შომუთეფესა (ლ.ნებიერიძე, 2001, გვ. 8-9; მ.მენაბდე, თ.კილურაძე, 2001, გვ. 22; აქვე, იხ. მასალები საკითხის ისტორიისათვის).

სიონის კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის სუბსტრატალ/სათავედ მიიჩნევა (მ.მენაბდე, თ.კილურაძე, 1981, გვ. 23; მ.მენაბდე, თ.კილურაძე, 2001, გვ. 21; ლ.ნებიერიძე, 2001, გვ. 10). ვარაუდობენ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ცენტრია ცენტრალური ამიერკავკასია, თუმცა, ზოგი თანამედროვე ავტორის აზრით, იგი იშვიათად აღმოსავლეთ ანატოლიაში. რადიონახშირბადული მეთოდით მტკვარ-არაქსის კულტურა თარიღდება ძვ.წ. IV ათასწლეულით (დათარიღების დაზუსტებისათვის იხ. გ. ქავთარაძე, 1983, გვ. 88-96). **სიონ-ოდიშის კულტურის** განფენის არეალი წინარექართველური (იბერიულ-კავკასიური) ტომების განსახლების ველია; შესაბამისად, თუ უეჭველია სიონ-ოდიშისა და მტკვარ-არაქსის კულტურების გენეტიკური კავშირი, სავარაუდოა, რომ ოდიშ-მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთი ავტორია წინარექართველური მოდგმა.

შულავერ-შომუთეფეს კულტურა მსგავსია ძვ.წ. V-IV ათასწლეულების ზემომესობოტამიის ჰალაფის კულტურისა (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984, გვ. 891-892; ო. ჯაფარიძე, 1998, გვ. 182-183). ო.ჯაფარიძის აზრით, მრგვალი შენობის აგების ტრადიცია და ალიზის არქიტექტურა არსებობას განაგრძობს მტკვარ-არაქსის კულტურაშიც; აქვეა მსჯელობა ტომთა მოძრაობის მიმართულებაზეც: ხითა და ქვით მდიდარი ამიერკავკასიისთვის მოულოდნელია ალიზის არქიტექტურა; შესაბამისად, შულავერ-შომუთეფეს კულტურა ამიერკავკასიაში სამხრეთიდან ვრცელდება (ო.ჯაფარიძე, 2001, გვ. 84); შდრ. ო.ლორთქიფანიძე, 1998, გვ. 183: რამდენადაც მტკვარ-არაქსის კულტურა “ფართოდ ვრცელდება სამხრეთით, ეს შეიძლება მეტყველებდეს ქართველური მოსახლეობის გარკვეული მასის სამხრეთით გადაადგილებაზე”.

შდრ., ო.ჯაფარიძე, 2001, გვ. 86-87: “მტკვარ-არაქსისა და კირბეთ-

კერაკის კულტურების სამხრეთით გავრცელების არეალი თითქმის ემთხვევა ხურიტების ადგილსამყოფელს, რაც ბუნებრივად გვაპარაუდებინებს, რომ ხურიტები მტკვარ-არაქს-კირბეთ-კერაკის დიდი კულტურის თანავტორები არიან“. აქვე იხ. ლ.ვულის მოსაზრების კრიტიკა, რომელიც კირბეთ-კერაკის კულტურის შემოქმედად ხეობს მიიჩნევს.

მტკვარ-არაქსის კულტურის ქმნადობის პროცესში ქართველური ტომების გვერდით სხვა იბერიულ-კავკასიურ ტომებს ვერ ხედავს ო.ჯაფარიძე, რომელიც თვლის, რომ ძვ.წ. IV-III ათასწლეულებამდე დიდი ხნით ადრე, ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებში დაიშალა იბერიულ-კავკასიური ენობრივ-ენიკური ერთობა (ო.ჯაფარიძე, 1998, გვ. 118), შესაბამისად, **მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითადი შემოქმედნი არიან ხურიტულენოვანი და ქართველური ტომები** (ო.ჯაფარიძე, 1998, გვ. 183-185; აგრეთვე: გ.მელიქიშვილი, 1970, გვ. 338 და თ.გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984, გვ. 894, სადაც ნაპარაუდებია, რომ ამ კულტურის ერთ-ერთი შემოქმედი შეიძლება ყოფილიყო ინდოევროპული მოდგმაც; შდრ., გ.ქავთარაძე: “ეს კულტურა იმდენად ერთგვაროვანია, რომ ვერ იქნებოდა არაერთგვაროვანი მოსახლეობის წარმონაქმნი. თვით შორეულ რეგიონებში გავრცელებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შემდეგაც კი ინარჩუნებს თავის ძირითად მახასიათებლებს“...მტკვარ-არაქსის კულტურის ავტორის შესახებ ჩვენი მსჯელობა იხ., ქვემოთ).

გრ. გიორგაძე, 2002, გვ. 69: გასათვალისწინებელია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი, “რომლის მიხედვით ხურიტების განსახლების საზღვრები ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე და III ათასწლეულის პირველ ნახევარში ტერიტორიულად ემთხვევა **მტკვარ-არაქსის კულტურის** გავრცელების საზღვრებს, მეტ-ნაკლებად - აღმოსავლეთ ანატოლიის ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურულ არეალს. უფრო დამაჯერებელია ხურიტების ადრეული განსახლება ვანისა და ურმიის ტბების რეგიონში. არ არის გამორიცხული ვარაუდი, რომ ხურიტები ჩრდილოეთ მესობოტამიის ავტოქთონი ტომები ყოფილიყვნენ“.

ახლო აღმოსავლეთის ძირითადი (ავტოქთონი!) მოსახლეობის მიერ შექმნილი მტკვარ-არაქსის კულტურის საზღვრები მოიცავდა კავკასიას (დასავლეთით - სამტრედიამდე), აღმოსავლეთ ანატოლიას, ჩრდილო-დასავლეთ ირანს, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს, ევროპის ნა-

წილს, სირია-პალესტინას (ლ.მანნიკი, 1972; ო.ჯაფარიძე, 1976; გ.ავალიშვილი, 1994; ო.ჯაფარიძე, 2001...). “მტკვარ-არაქსის კულტურა უაღრესად თავისებური მოვლენაა კავკასიის უძველეს ისტორიაში. არასოდეს, არც ადრე და არც შემდგომ, ეს ტერიტორია კულტურის მხრივ არ ყოფილა ასე ერთგვაროვანი. ამიტომ სწორედ კულტურა წარმოადგენს ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა გამაერთიანებელ, უდიდესი მნიშვნელობის მქონე ძალას. კულტურაა მათი ერთობის საფუძველი და ამ ერთობის გამომხატველი უმთავრესი ნიშანი“ (მ.ხიდაშელი, 2003, გვ. 82). ამ მსჯელობას მხარს უჭერს მუსიკათმცოდნეთა დასკვნაც: ნ.მაისურაძე, 1989, გვ.71: “კავკასია ოდესღაც **წინააზიური მუსიკალური კულტურის არეალში** შედიოდა. მოგვიანებით ყალიბდება ამ კულტურის კავკასიური ვარიანტი, რომლის წარმოქმნა კავკასიაში მრავალხმიანობის ჩასახვა-განვითარებას უკავშირდება“.

ახლო აღმოსავლეთის ავტოქთონი მოსახლეობის ერთგვაროვნების შესახებ მსჯელობენ ანთროპოლოგებიც:

ლ.ბითაძე, 2002, გვ.156: “დერმატოგლიფიკური და სერელოგიური მასალების ანალიზი აჩვენებს საქართველოს მოსახლეობის მჭიდრო კავშირს წინააზიურ სამყაროსთან... ისტორიული საქართველოს მოსახლეობა იმთავითვე ეკუთვნოდა ერთ დიდ ანთროპოლოგიურ პლასტს, რომელიც შედიოდა ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასის **წინააზიური განშტოების** შემადგენლობაში“.

კვლევის ამ ეტაპზე უფრო ლოგიკურია, ვთქვათ: გვიანი ენეოლითის ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მემკვიდრე **მტკვარ-არაქსის კულტურა შექმნა ერგატიული კონსტრუქციის ენის/ენების მქონე კავკასიურ-ხურიტული მოდემის ხალხმა**.

ძვ.წ. III ათასწლეულში ინდოევროპული და სხვა ტომების დაწოლით “**ერგატიული კონსტრუქციის ენის მქონე ხალხი**“ იწყებს სწრაფ დივერგენციას. **III-II ათასწლეულთა მიჯნაზე საქართველოს ტერიტორია კულტურათა და ეთნოსთა მკვეთრი დინებების შერევის ველში ექცევა** (შდრ., მონათესავე ენებს შორის არსებული დიდი სხვაობის მიზეზი ხშირად არის არა პრაენასთან დიდი ხნის დაშორება, არამედ ინტენსიური შერევა(ც); სავარაუდოა, ამ პერიოდის იბერიულ-კავკასიური ენობრივი წრის სამხრეთულ ვარიანტში იწყება **კლასის მორფო-**

ლოგიური კატეგორიის მოშლა, რაც, ჩვენი აზრით, უკვე ძვ.წ. II ათასწლეულიდან დასაბამს უდებს იბერიულ-კავკასიური ენობრივი ველისგან ქართველურის გამომიჯვნას.

ვფიქრობთ, სწორედ ხურიტულ-ხათურ-კავკასიურ ტომთა დივერგენციისა და კონვერგენციის ხანგრძლივ პროცესში ყალიბდებიან ცნობილი მუშქები, ქაშქები, აბეშლაელები, ურარტუელები, კარდუხები, სპერები, კოლხები, ჰალიძონები/ხალიბები... მოგვიანებით კი, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდში ამ მონათესავე ტომთა საცხოვრისი განაპირა რეგიონებში მათ ერევიან სკვით-ალანები, არმენები და სხვა მოსული ტომები; **საყურადღებოა:**

მუსიკალური ტექსტების ანალიზის შედეგები მოწმობენ, რომ ოსურ (და, გარკვეულწილად, სომხურ - ტ.ფ.) მუსიკალურ ენას საფუძვლად კავკასიური სუბსტრატი უდევს (ნ.მაისურაძე, 1989, გვ.58).

ძვ.წ. III-II ათასწლეულში მიმდინარე ეთნოსთა დიდი შერევის შედეგები აისახა ასურელებშიც და ურარტუელებშიც: “ენით სემიტი ასურელები ანთროპოლოგიურად ნარევ ხალხს – სემიტური ელემენტისა და აზიური მოდემის ხურიტების შერევის პროდუქტს წარმოადგენენ... ურარტული პანთეონის ქალღმერთ **არუბანის** მუსასირში ძვ.წ. VIII საუკუნეში მოუპოვებია ირანული სახელწოდება **ბაგმაშთუ**; ეს მოვლენა მიუთითებს, რომ ხური-ურარტულ მოსახლეობას შეერია ირანული ტომი” (გ.მელიქიშვილი, 1999, გვ.29, 41).

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კავკასიაში ლოკალიზებული ერგატიული კონსტრუქციის ენის მქონე ხალხის ერთი ნაწილი - **ქართველურ-კავკასიური მოდგმა** (კოლხები, მოსხები/მუსკები, ტაოელები, აბაშები/აბაზები, ჩრდილოკავკასიელები...) ჰალისის, მტკვრის, ჭოროხის, რიონ-ყვირილის, ენგურის, ლიახვის ხეობებში და ჩრდილოკავკასიის ნაწილში ქმნის **დიდ კოლხურ-ყობანურ კულტურას**; რომელსაც, პირობითად, შეიძლება ვუწოდოთ **აია-კოლხეთის** ეთნო-კულტურა. ალბათ, ნაწილობრივ, მის ველშივე ჩანან ე.წ. ნაირის ქვეყნები, ცენტრალური კაბადოკიის აღმოსავლეთ (და ჩრდილო-აღმოსავლეთ) ნაწილში მცხოვრები მესხ/მუშქების, ქაშქების, ტიბარენებისა და სხვა ქართველური ტომების საცხოვრისები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თ.მიქელაძის დასკვნა:

“აიას სამეფო წინ უსწრებდა კულხას გაერთიანებას; ამიტომ მითში ოქროს საწმისის შესახებ აიეტის სამეფოს სახით აისახა დაიაენის (იგივე აიას) სამეფო, რომელიც ჯერ კიდევ ძვ.წ. XII საუკუნის მიწურულშია დამოწმებული ტიგლათფილესერ I წარწერაში“ (თ.მიქელაძე, 1974, გვ.79-85); შდრ., დაიაენის მეფე 60 ტომს წინამძღოლობს; მათ შორის არიან შავი ზღვის სანაპიროს ტომებიც; შდრ., აგრეთვე: “არგონავტიკის უძველეს ვერსიებში, ქვეყანა, სადაც არგონავტებმა ილაშქრეს, ბერძნებისათვის **აიას** სახელით იყო ცნობილი, ხოლო უფრო გვიან კი – **კოლხიდად** მოიხსენიება“ (ო.ლორთქიფანიძე, 1986, გვ.32).

სავარაუდოა, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიაშიც არქეოლოგიურმა ძიებებმა კოლხური კულტურის კვალი აღმოაჩინოს; შდრ., იოსებ ფლავიუსის აზრით, **მოსოხ/მეშხები კაბადოკიაში არიან**; ამავე აზრს ადასტურებენ თანამედროვე მეცნიერებიც, იხ. ნ.ხაზარაძე, 2000, გვ.12: “ჰეკატესეული და პეროდოტესეული მოსხები-მესხები ძვ.წ. VI-V საუკუნეებში კაბადოკიაში, მდ. ჰალისის (დღევანდელი ყიზილ-ირმაკის) აუზში მცხოვრები ტომების აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ბინადრობდნენ, დღევანდელი ტოკატ-ყარაპისარ-გიუმუშხანეს სანახებში, ხოლო ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედში ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონში (სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, ეგრი, შავშეთი, ერუშეთი, ტაო, კოლა, არტაანი, ბასიანი) ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება შექმნეს, რომლის სამხრეთი საზღვარი დღევანდელ ერზინჯანთან გადიოდა; სტრაბონი ამ გაერთიანებას “მოსხების ქვეყანას“ (მოსხიკეს) უწოდებს, ხოლო “მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი - არიან-ქართლს“.

დავძენთ:

ლოგიკურია, რომ ძვ.წ. VII საუკუნეში ბალკანეთიდან **სამხრეთის გზით** (შდრ.: პეროდოტეს მიხედვით, ჩრდილოკავკასიის უღელტეხილებიდან) კიმერიელებისა და სკვითების გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ მესხურ-კოლხური (მოსხურ-ქაშქური) ტომების კულტურულმა ცენტრმა ანატოლია-კაბადოკიიდან **ჩრდილოეთით** გადმოინაცვლა: ჯერ სამხრეთ ამიერკავკასიაში (თორთუმში? არტანუჯში? ოლთისში?), შემდეგ კი - ძვ.წ. IV-III საუკუნეებში, უფლისციხე-მცხეთასა და ქუთაისში; შდრ., ქუჯ-ფარნავაზის პერიოდში ცენტრი ხდება **მცხეთა/თბილისი**, მაგრამ

შემდგომ პერიოდშიც, **ქართველური მოდემის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები ამავე გეოგრაფიულ სამკუთხედზე მოძრაობენ: ბანა/არტანუჯი (აშოტი, დავითი) - ნოქალაქევი/ქუთაისი - (ბაგრატი/გიორგი) - თბილისი (დავითი/თამარი)...**

კოლხური კულტურის შემქმნელი ხალხის სახელმწიფოს **ძირითადი ენა**, სავარაუდოა, იყო საერთოქართველური კოინე/ენა, რომლის უშუალო მემკვიდრეა სამწიგნობრო ქართული (იხ.ქვემოთ).

9. მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე რთულია, საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩაითვალოს სამხრეთ ევროპისა (ბალკანეთის, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულებზე) და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროს არაინდოევროპელი მოსახლეობისა და პროტოქართველური ხალხის (ენების) ნათესაობის პრობლემა, თუმცა, საამისოდ ბევრი საყურადღებო მონაცემი არსებობს; კერძოდ:

ა. მტკვარ-არაქსის კულტურის შთამბეჭდავი ელემენტები დასტურდება არა მხოლოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, არამედ - ევროპაშიც: “ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რიგ კულტურებში ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში (ადრეუენეტიკის, გლინა III - შნეკერბერგი, ბელოტიჩ-ბელაცერკვა და სხვა) შეინიშნება მსგავსება კავკასიის ადრებრინჯაოს ხანის კულტურასთან (ლ.მანჩიკი). თანაც თანხვედრა იმდენად დიდია, რომ ის ვერ აიხსნება კონვერგენციულობით ან სავაჭრო კონტაქტებით. ალბათ ადგილი ჰქონდა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა შეღწევის კავკასიიდან ევროპაში“ (გ.აგალიშვილი, 1994, გვ. 55). გ.მირცხულავასა და ნ.მირცხულავას აზრით, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან აღმოსავლეთ ევროპის მეტალურგია მჭიდროდ არის დაკავშირებული კავკასიასთან; ამ დროს კავკასიაშიც და ევროპაშიც ბატონობს **დარიშხანიანი ბრინჯაო**, თუმცა უნგრეთში ჩანს **ანტიმონიანიც**. მას კარპატულ-დუნაისპირულ ლითონს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ ფორმები ძირითადად მაინც კავკასიურია. ამ პერიოდში და, შეიძლება ცოტა უფრო ადრეც, კავკასიაშიც არის ანტიმონიანი ბრინჯაო - აფხაზეთის დოლმენებსა და საჩხერის მასალებში. დიდია მსგავსება თიხის პლასტიკაშიც... უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ჩრდილოკავკასიური

მტკვარ-არაქსული მასალების კავშირები ევროპულ მასალებთან. ეს კავშირები უნდა აიხსნას ჯერ კიდევ ნიკო მარის მიერ ნავარაუდები კავკასიიდან **მელითონე იაფეტური ტომების** დიდი გადასახლებით (გ.მირცხულავა, ნ.მირცხულავა, 2001, გვ.5). სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასია-ევროპის ხაზზე ტომთა გადაადგილება ნავარაუდებია ორი გზით: კავკასია - აღმოსავლეთ ევროპა - დასავლეთ ევროპა; კავკასია-მცირე აზია - ევროპა (გ.ავალიშვილი, 1994, გვ. 55). ორივე მოსაზრება მხარს უჭერს მტკვარ-არაქსის კულტურის კავკასიურ წარმომავლობას, თუმცა დამატებით კვლევას მოითხოვს ხალხთა გადასახლების მიმართულების საკითხი.

b. ძირითადად ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური ხასიათის მსჯელობების საფუძველზე XIX-XX საუკუნეებში სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ძვ.წ. V-III ათასწლეულებში პროტოქართველური (პროტოკავკასიური) მოდგმა “აღავსებდა არა მხოლოდ კავკასიას, არამედ ინდოსტანის ნახევარკუნძულის დიდ ნაწილს, ხმელთაშუაზღვის აუზს, ჩრდილო და სამხრეთ ევროპას, პირინეებს, ეგეოსის არქიპელაგს და მცირე აზიას“ (ზ.გამსახურდია, 1991, გვ.27-29; აქვე, იხ.: ვ.ჰუმბოლდტის, ნ.მარის, ს.ყუხჩიშვილის, ტ.მარგველაშვილის, ა.ლოსევის, ო.ნეერახერის, რ. გორდეზიანის და სხვა მკვლევართა მოსაზრებების შესახებ). გ.ქავთარაძის კვლევამ საინტერესო პარალელები წარმოაჩინა მინოსური კრეტისა და ანატოლიის მოსახლეობის პელაზგებთან იდენტიფიკაციის თვალსაზრისით (გ.ქავთარაძე, 1985, გვ.13-19); შდრ., პელაზგები არიან ეტრუსკთა წინაპრები; ეტრუსკები აპენინის ნახევარკუნძულზე მოდიან დასავლეთი მცირე აზიიდან; შდრ.: ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, კოლხიდის მეფე აიეტი პელაზგია (ა.ურუშაძე, 1964, გვ.16-17, 22-26; ბერძნული წყაროების მიხედვით, **კოლხეთის მეფე აიეტი კორინთიდანაა**; იასონი და მედეა კორინთში ჩადიან, როგორც თავიანთ სამემკვიდრო ქვეყანაში, ხოლო მედეას შვილიშვილი **ილოსი მერმეროსის ძე** ტროას ომის დროს კორინთს პატრონი იყო).

სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად განიხილება კავკასიური ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მონაცემებისა (ოქროს საწმისი, მითოლოგიური გმირები, გველი/გველვეშაპი, მიწის რიტუალი, სახლის საძირკვლის ჩაყრის რიტუალი, ბატონების/ღვთაებების გამხიარულება...) და

ხათური მითოლოგიური თუ საკულტო სისტემების საერთოობის თემა (სამეცნიერო ლიტერატურისა და საკითხის მიმოხილვისთვის იხ.: გ.ქავთარაძე, 1985, გვ.36-38; ქ.სიხარულიძე, 2003; ხელნაწერი შრომა); მაგ., **ფ.ჰაასი** ასკვნის, რომ თქმულება ოქროს საწმისის შესახებ ხათური წარმოშობისაა, ხოლო ოქროს საწმისის კულტი გავრცელებული იყო მთელ წინა აზიაში (ო.ლორთქიფანიძე, 1986, გვ.34).

თანამედროვე კულტუროლოგიურ-ანთროპოლოგიური ძიებანი საინტერესო თანხვედრას ავლენს უძველეს კავკასიურ-წინააზიურ და წინარებერძულ მითებს შორისაც; მაგ., ქ.თუითის აზრით, ჰომეროსისეული **თესალიელი აქილევის** და ქართველურ-აფხაზურ-ოსური **ამირანი** ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს (ორივე გმირის დედა არის ბუნების ქალღმერთი; ქალღმერთი/დედა მოკვდავ მონადირესთან წვევა გამოქვამულში; ორივე გმირი შეიძლება იქცეს მთავარი ღმერთის მეტოქედ; შვილი უდროოდ ტოვებს დედის საშოს და, საერთოდ, დედის გარეშე რჩება; ორივე ხდება უძლეველი მეომარი; ორივე თავისი სახლის (თიკოსის) გარეთ, ლიმინალურ სივრცეში ცხოვრობს; ორივე გმირს ამარცხებს ღმერთი შუამავლის გამოყენებით... ამირანისა და აქილევის ციკლები წარმოადგენენ ერთსა და იმავე წინაისტორიულ სიმბოლოთა მტევნის ვარიანტებს (ქ.თუითი, 1998).

შდრ., აგრეთვე, ქ.თუითის შემდეგი სხვა დასკვნა:

კავკასიის ერებში ფართოდ გავრცელებულია ნანადირევი, შეჭმული და შემდეგ გაცოცხლებული ჯიხვის **ხის ბეჭის** (პროთეზის) მითოლოგიური მოტივი; მას პარალელები ეძებნება ევროპაშიც და აზიაშიც; კერძოდ, ეს მითოლოგიური მოტივი შემორჩენილია სამი ევრაზიული ქედის: ალპების, კავკასიონისა და ჰიდლუკუმის ირგვლივ მოსახლე ხალხებში; ეს ფაქტი ეხმიანება ამერიკელი პალეოლინგვისტის - ჯონ ბენგსტონის მიერ ნავარაუდები მაკრო-კავკასიური უძველესი ენის (მოსახლეობის, სადაც ბასკებიც შედიოდნენ) არსებობის შესაძლებლობის იდეას (ქ.თუითი, 1996). არ ჩანს შემთხვევითი, რომ **ხის ბეჭის** მითოლოგიური მოტივის მქონე ხალხების ენები მსგავსებას ავლენენ: **იბერიულ-კავკასიური, ბასკური და ბურუშული ენები** ერგატიული კონსტრუქციისანი არიან. ეს ფაქტები არ არის საკმარისი, ამ ენათა/ეთნოსთა საერთო წარმომავლობა რომ ვამტკიცოთ, თუმცა, ფაქტები ნიშანდობლივია... ამ კონტექ-

სტოვივა საინტერესო ქართველ მკვლევართა ტერმინები: პროტოქართული, პროტოიბერიული (ს.ყაუხჩიშვილი, ზ.გამსახურდია), იბერიულ-კავკასიური (ივ.ჯავახიშვილი, არნ.ჩიქობავა...) და სხვ., რომლებიც ჯონ ბენგსტონის ტერმინებზე (მაკროკავკასიური, სინოკავკასიური/დენეკავკასიური) აღრეა შექმნილი და წარმატებულად დამკვიდრებულიც.

c. ეგეოსური, ქართველურ-კავკასიური და მცირეაზიურ-ანატოლიური ენობრივი მასალის სიახლოვე და ამ მიმართულებით კვლევის პერსპექტიულობა აჩვენა რ.გორდეზიანმა; კერძოდ, ის ასკვნის: “ეგეოსურსა და ქართველურ ენებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება; ეს მიმართება ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამის წარმოდგენა სურს ზოგიერთ მეცნიერს... მუშაობის ამ მიმართულებით ვაგრძელებამ, ყველა იბერიულ-კავკასიური ენისა და ხმელთაშუა ზღვის ძველი ენების ღრმა შედარებითა ანალიზმა შეიძლება მომავალში მრავალი საყურადღებო აღმოჩენის წინაშე დაგვაყენოს” (რ.გორდეზიანი, 1970, გვ.253); “ქართველური და, საერთოდ, კავკასიური მასალის გათვალისწინება სავსებით აუცილებელი გახდება ხმელთაშუა ზღვის ისეთ კულტურათა შესწავლისათვის, რომელნიც დღემდე ამდენ ამოუცნობ საიდუმლოს ინახავენ” (რ.გორდეზიანი, 1985, გვ.170; პრობლემის ისტორიისათვის იხ., აგრეთვე, ა.ნემიროვსკი, 1983, გვ.80-82).

d. ნ.მარისა და არნ.ჩიქობავას აზრით, ერგატიული კონსტრუქციის მქონე **ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების (ხალხების) ნათესაობაც “უთუოდ დადებითად წყდება”** (ნ.მარი, 1927; არნ.ჩიქობავა, 1979, გვ.302); შდრ., სხვადასხვა ენობრივი მოვლენის ანალიზის შემდეგ ა.ტოვარი წერს: “კავკასიური ენები ერთიმეორისგან ღრმად განსხვავებულ თავისებურებებს ამჟღავნებენ, მაგრამ ბასკურთან ნათესაობა არც ერთი მათგანისთვის არ გამოირიცხება... ბასკურ-კავკასიური ნათესაობის ფაქტი, შემჩნეული ესპანელი ფიტას მიერ და დადასტურებული შუხარდტის, ტრომბეტის, ულენბეკის, დიუმეზილის, ბოუდას და ლაფონის მიერ უფრო სისტემური შესწავლის საფუძველზე, არის აღმოჩენა, რომელიც ძალზე შორეული და უცნობი წარსულიდან მომდინარე ფაქტს გამოავლენს...” (ა.ტოვარი, 1980, გვ.33-35). ბასკურ-ქართველური ენობრივი სიახლოვის მაჩვენებელი შთამბეჭდავი პარალელებია წარმოდგენილი ა.ტოვარის ნაშრომზე დართულ არნ.ჩიქობავას გამოკვლევაში - “ბას-

კურის ნათესაობის საკითხი ანტ.ტოვარის წიგნში: “ბასკური ენა”; კერძოდ, ლექსიკური პარალელების გარდა, არნ. ჩიქობავას აზრით, ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ-გენეზისური მიმართების ამსახველი საერთო სტრუქტურული მოვლენებია: **პოსტპოზიციური მსაზღვრელის მიმართება ბრუნვის პროცესთან; ერგატიული ბრუნვა; ზმნის პიროვანი, კლასოვანი და კლასოვან-პიროვანი უღლება; ობიექტისა და სუბიექტის აღნიშვნა გარდამავალ ზმნაში; ორგანული და აღწერითი წარმოების ხვედრითი წონა; ზმნის ფუძის სახელური ბუნება; გვარის კატეგორია; ერგატიული კონსტრუქციის არსებობა სინტაქსში; სახელის გრამატიკული კლასის კატეგორია და სემანტიკური კატეგორია** (ვინ? და რა?) და სხვა.

ბასკურ-კავკასიური ნათესაობის შესახებ ფასეული მსჯელობები აქვთ: ნ.მარს, ივ. ჯავახიშვილს, კ.ულენბეკს, ჰ.ფოტს, რ.ლაფონს, ჰ.კინტანას, შ.ძიძიულს, ი.ზიცარს, ი.ბრაუნს, გ.ჩანტლაძეს, ნ.სტურუას, ს.გაბუნიას... განსაკუთრებით საყურადღებოა ი.ზიცარისა და ი.ბრაუნის ნაშრომები (პრობლემის მიმოხილვის შესახებ იხ., აგრეთვე, გ.ბურჭულაძე, 2005, გვ.196-202).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში სიფრთხილით ეკიდებიან წინარექართველური სამყაროსა და წინარებერძული კულტურის იგივეობის თემას; თუმცა, სპეციალისტთა მიერ წარმოდგენილი ლინგვისტურ-კულტუროლოგიურ-ისტორიული პარალელები მართლაც შეიძლება იყოს წინარექართველურ-კავკასიური (აღმოსავლეთ იბერიული), პელაზგური, ეტრუსკული, ბასკური და სხვა ძველი ენების, შესაბამისად, **იბერიული მოდემის ხალხების** დიდი საერთო წარსულის მამტიციებელი (ეტრუსკულ-პელაზგური ეთნოსის მცირეაზიური წარმომავლობის შესახებ იხ.: რ.გორდეზიანი, 1970; ა.ნემიროვსკი, 1983, გვ.61; გ.ქავთარაძე, 1985 და სხვ.). პრობლემა ახალი თაობის მკვლევარს ელის (ვინც არსებულ ცოდნას ახლებური მეთოდით შეაჯამებს).

ამრიგად, სპეციალისტთა კვლევების შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველთა წინაპრების თავდაპირველი საცხოვრისი იყო კავკასიაც და მცირე აზიის ერთი ნაწილიც; თუმცა, **რთულია საზღვრების ზუსტად განსაზღვრა**. უძველესი პერიოდის წერილობითი წყაროების არარსებობის პირობებში ამ მიმართულებით

გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს არქეოლოგიურმა ძიებებმა, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი ენათა დიფერენცია/ინტერფერენციის დათარიღებით შესაძლებელი გახდება მოცემული ეთნოსის ისტორიისა და არქეოლოგიური კულტურის სინქრონიზება.

2.1.3. წინააზიური კულტურული სამყარო და ქართველურ-კავკასიური (იბერიულ-კავკასიური) ენობრივი ველი; წინააზიურ-კავკასიურ მონათესავე ენათა მიმართების სქემა

სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია მტკვარ-არაქსის კულტურის შემოქმედი ხალხის ვინაობის შესახებ; იკვეთება პრობლემისადმი დამოკიდებულების ერთი საინტერესო ასპექტი: მტკვარ-არაქსის კულტურის შემოქმედად ჩრდილოკავკასიური ტომები ნაკლებად მოიაზრებიან:

ო.ჯაფარიძე, 1998, გვ.183: **მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითადი შემოქმედნი არიან კავკასიური ტომები, უპირატესად, ხურიტულენოვანი და ქართველური.**

თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, 1984, გვ.894: **მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელნი და მატარებელნი არიან ხურიტული, სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) და ინდოევროპელი ეთნოსები...**

შდრ.: რუსი არქეოლოგების - ე. კრუპნოვისა და რ.მუნჩაევის - ვარაუდით, მტკვარ-არაქსის კულტურის ავტორი შეიძლება ყოფილიყო **იბერიულ-კავკასიური ენობრივ-ეთნიკური ერთობა** (ნარკვევები, I, გვ.337-338). ამ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესოა ა.მეიეს მოსაზრება, კერძოდ, იგი შესაძლებლად მიიჩნევდა ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში თანამედროვე კავკასიური ენების, ბასკურისა და წინა აზიის ზოგი მკვდარი ენის წინაპარი **ენობრივი ერთობის** არსებობას (ი.ზიცარი, 1955, გვ.52).

როგორც ვხედავთ, ბოლო პერიოდის მკვლევართა ნაშრომების მიხედვით მტკვარ-არაქსის კულტურის შემოქმედია **“სამხრეთ კავკასიური”** ანუ ქართველური ეთნოსი: **ალარ ჩანს “იბერიულ-კავკასიური ეთნოსი”**; მიზეზი მარტივია:

მათი აზრით, იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობის არსებობა ფრიად საეჭვოა; ან: თუკი არსებობდა, ძვ.წ. V-III ათასწლეულებში იგი უკვე დაშლილია, შესაბამისად, ამ ენის მფლობელი ხალხი ვერ იქნებოდა **“მტკვარ-არაქსის კულტურის”** შემოქმედი. სანიმუშოდ მოგვყავს გ.მელიქიშვილის მთავარი არგუმენტი (ლექსიკური ნასესხობების შესახებ იხ. ქვემოთ):

გ.მელიქიშვილი, 1970, გვ.338: **“თუნდაც რომ ვაღიაროთ ოდესღაც იბერიურ-კავკასიური ერთობის არსებობა, ასეთის მოთავსება ძვ.წ.**

III ათასწლეულში შეუძლებელია“, ვინაიდან III ათასწლეულში უკვე არსებობდა “იბერიულ-კავკასიური“ ენების ცალკეული ჯგუფები (საერთოქართველური, საერთოდაღესტნური)... ცნობილი ისტორიკოსი ამგვარ დასკვნას აკეთებს ე.წ. ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდით გ.კლიმოვის მიერ “დადგენილი“ “ქართველურ ენათა“ დაშლის თარიღის საფუძველზე. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამგვარი გზით დადგენილი დრო ენათა არსებობა/დაშლისა მეტისმეტად საეჭვოა და, შესაბამისად, **დროის მოცემულ მონაკვეთში ეთნოსთა ყოფნა/არყოფნის დასტურად ვერ გამოდგება.**

შდრ, აგრეთვე, ო.ჯაფარიძე, 1976, გვ.17-20, 93: კავკასიური ენობრივი და კულტურული ერთობა უკვე დაშლილია ძვ.წ. V ათასწლეულში; III ათასწლეულში კი საბოლოოდ ჩამოყალიბებულია კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფები...

ჩვენი აზრით, ამგვარი ქრონოლოგიები ფრიალ საკამათოა ბევრი მიზეზის გამო (იხ. ქვემოთ); შდრ.: არნ. ჩიქობავამ კარგად იცოდა ი.დიაკონოვის, გ.კლიმოვის, თ.გამყრელიძის, გ.მაჭავარიანისა და სხვათა მოსაზრებები თუ არგუმენტები საერთოკავკასიურის არსებობისა და საერთოქართველურის დათარიღების შესახებ, მაგრამ იბერიულ-კავკასიური ერთობის დროდ ის მაინც ვარაუდობდა 3000 წლის წინანდელ დროს:

“იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენებია, მათ წარმოშობა აერთიანებთ. ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს: სავარაუდოდ **სამი ათასი წლის წინანდელს** და, ალბათ, ძველ ადგილ-სამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს“ (არნ.ჩიქობავა, 1978, გვ 253); შესაბამისად, **ჩვენი ფიქრით, საერთოქართველურის არსებობა ძვ.წ. I ათასწლეულში უნდა ვივარაუდოთ**; შდრ.: მკვლევართა ერთი ნაწილი საერთოქართველურის არსებობას ვარაუდობს ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში (იხ.: ვ.ივანოვი, თ.გამყრელიძე 1984, გვ.880; მ.ქურდიანი, 2003, გვ.44 და სხვ. იხ. ქვემოთ 2.2.3.).

არაქართულენოვანი მკითხველისთვის უცნობია არნ.ჩიქობავას ის არგუმენტები და დასკვნები, რომლებიც უეჭველს ხდის იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობას (იხ. “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, 1979); მოვიყვანთ რამდენიმე დებულებას:

1. იბერიულ-კავკასიურ პრაენას ახასიათებდა ხმოვანთა მარტივი და თანხმოვანთა რთული სისტემა; ხმოვანთა უძველესი ვითარება დატული

აქვს ქართველურ, ხუნძურ, აფხაზურ-ადიღურ, ბაცბურ-ინგუშურ ენებს, ხოლო თანხმოვანთა ვითარება უკეთ შემოგვინახა ნახურმა და ქართველურმა ენებმა;

2. ფუძის უმარტივესი სახე ისტორიულად ერთმარცვლიანი ჩანს; იგი შედგებოდა თანხმოვნისა და დეტერმინატიული სუფიქსისგან. დეტერმინატიული სუფიქსები გამოვლენილია ქართველურ, ადიღურ, და რიგ დაღესტნურ ენებში;

3. სქესის კატეგორია უცხოა ყველა იბერიულ-კავკასიური ენისთვის; აქ გამოიყოფოდა მამაკაცის, ქალის, ნივთის, ცხოველის და სხვა სემანტიკური კლასები, რომლებიც მორფოლოგიურადაც გამოიხატებოდა სათანადო პრეფიქსებით; ჩანს, კლასების მიხედვით ხდებოდა ბრუნებაც და უღლებაც... მხოლოდ ამგვარად შეიძლება აიხსნას საერთო მორფოლოგიური ინვენტარის არსებობა სახელურ და ზმნურ მორფემებში.

4. იბერიულ-კავკასიური ენები აგლუტინაციურია; პირველადია პრეფიქსაცია, მეორეულია სუფიქსაცია;

5. იბერიულ-კავკასიურ ენებში მოქმედებითი გვარი ფორმდება კაუზატივის მაწარმოებლებით;

6. ყველა ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენაში გვაქვს ერგატიული კონსტრუქციის წინადადება;

7. ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და ჩერქეზულ ენებში მრავლად ვლინდება საერთოკავკასიური ლექსიკა...

“რაც უფრო ღრმად შევიჭრებით იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიაში, მით უფრო მეტი საერთო აღმოჩნდება“ (გვ. 274).

არნ.ჩიქობავა და **იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სკოლის** სხვა წარმომადგენლები ათწლეულების მანძილზე ქართველურთან მიმართებით წარმატებით იკვლევენ იმიერკავკასიის ენებს; შედეგად გამოვლენილია მრავალი ლექსიკური პარალელი; მაგ., ქართველურ-ჩერქეზული ლექსიკური პარალელების შესახებ იხ. გ.როგავა, 1956; აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ქართველური და აფხაზურ-ადიღური საერთო ლექსიკური ფონდის არსებობას აღიარებს გ.კლიმოვიც კი, რომელიც იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის თეორიას არ იზიარებს, მაგრამ 40-მდე ასეთ ლექსიკურ ერთეულს გამოყოფს (გ.კლიმოვი, 1969); ქართულ-აფხაზური ბგერათფარდობის შესახებ იხ. ქ.ლომთათიძის გამოკვლევები (1977 და სხვ.), აგრეთვე, ბ.ფოჩხუა, 1974.

მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, იბერიულ-კავკასიური ენების ერთიანი ლექსიკური ფონდის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ბ.ფოჩხუა; მისი აზრით, ქართველურსა და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებს საერთო წარმომავლობისა აქვთ ძირითადი ლექსიკური ფონდის მრავალი სიტყვა; კერძოდ: დედა, მამა, ცოლი, ობოლი... თვე, დღე, მზე, ყინავს, ცა, ზაფხული, სამხარი... ბარკალი, ბაყვი, გული, იდაყვი, მარჯვენა, მკერდი, მხარი, პირი, ძუძუ, წამწამი, წვერი, ჭიპი, ტვინი, ფილტვი, ფხა, ხელი, ძვალი, მუხლი... გუგული, მგელი, ღორი, ყვავი, თავვი, ციყვი, ქათამი, მატლი, მწერი, კალია, პეპელა, ჭიანჭველა, ძუ, ხვადი, ბერწი, ღუღუნი, ხვიხვინი... დიკა, მახა, სელი, ყანა, ვაშლი, მსხალი, ლეღვი, კაკალი, სოკო, ჭინჭარი, ანწლი, ძეძვი... ვინ, მან... სამი, ხუთი, ათი, ასი, ცალი, ტყუბი... დიდი, მრგვალი, რბილი, თეთრი, ყვითელი, თხელი, ძველი, მსხვილი... შეაზანზარებს, ეშინია, წოვს, წვავს, ჭამს, სვამს, სუსხავს, უსტვენს, ფუფუნება, დგას, იცინის, ლოკავს, გორავს, ურტყამს, აბამს, ქსოვს, თესავს, ჭედს... კედელი, ყველი, ძმარი, ცელი, ჯაჭვი და სხვ. (ბ.ფოჩხუა, 1974, გვ. 328-330; აქვეა დასახელებული ის იბერიულ-კავკასიური ენები, სადაც წარმოდგენილი სიტყვები დასტურდება; საერთო იბერიულ-კავკასიური ლექსიკისთვის იხ., აგრეთვე, გრ.გიორგაძე, 2002, გვ.91-93).

იბერიულ-კავკასიური ენებისა თუ ეთნოსების შესახებ არსებული თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომები უფრო მეტად ამყარებენ იბერიულ-კავკასიურ ენათა/ხალხთა ნათესაობის თეორიას; კერძოდ, უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, **ჩრდილოკავკასიურ ენებსა და ქართველურს შორის დგინდება რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობებიც**; კერძოდ, არნ.ჩიქობავას, გ.როგავას, ქ.ლომთათიძის, ე.ბოკარევის, ტ.გუდავას, ს.ხაიდაკოვის, ს.ნიკოლაძევისა და სხვათა გამოკვლევებზე დაყრდნობით, მ.ჩუხუამ 2001-2004 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში წარმოადგინა **შთამბეჭდავი ქართველურ-ნახურ-დაღესტნური საერთო მასალა**: ისტორიულ-მედარებითი ანალიზის შედეგად გამოვლინდა ძირითადი ლექსიკური ფონდის 500-ზე მეტი ერთეული, რომელიც საერთოკავკასიური წარმომავლობისაა; მ.ჩუხუას ნაშრომის შესაბამისად, აქ დავიმოწმებთ ლექსიკურ ერთეულთა ნაწილს (მ.ჩუხუას გამოკვლევა სრულად იბეჭდება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების 35-ე ტომში):

საერთოქართველური **sun-**, **sul-**, ***s...-en-**, ზან. **S...-an-**(დ), **Sur-**, სვან. **S...-em-** ← **S...-en-**, **Sur-** ← **Sul-**; ბაცბ. **sa** ← **sin** შდრ.: მრ. რ. **sin-bud**, ჩაჩნ. **sñ** ← სინ (მრ. რ. **sin-oS**), **as-**არ “გასულიერება, გამხნეება“, ინგ. **sñ** ← სინ-, **'as-ar id**; საერთონახური **sin-** ← წინარენახური ***s...in-**; ხუნდ. **s'უნ-t-**, ანდ. **Sun-n-**, ბოთლ. **Sa'**, ტინდ. **hun-**, ბაგვ. **hun-**, კარ. **Su-**, ახვან. **S...an-** “დასუნვა“; წინარედაღესტნური ***s...-an-**.

საერთოქართველური **mos-**: **sa-mos-el-i**, ზან. (მეგ.) **mos-** “მოსვა“, სვან. **mas-**; ბაცბ. [მერში]: ჩაჩნ. **merC** ← **merSi**: ინგ. **merCi** ← **merSi**, წინარენახური. **mesr-i** “სუღარა“; ხუნდ. **musru**, ბეჯიტ. **musru**, დიდ. **musru**, რუთ. **s'r** “სამარე“, ლაკ. **suru...**, არჩიბ. **soro** “სუღარა“, წინარედაღესტნური **musr-u...**

საერთოქართველური **sel-i**, ზან. **su(l-)**: სვან. **ს'ლ-**; ბაცბ. **fsa** “ქერი“, ჩაჩნ. **suos**, ინგ. **sos** (რედუბლ.) “особый вид ржи“ ← ნახ. ***fsal-** ← წინარენახური **b-sal**; დარგ. **susul**, ლაკ. **sus**, ლეზგ. **sil**, თაბ. **sur-sul**, ად. **s'l||sul-en**, ხინ. **sil-q**, კრიწ. **sil-sil**, ბუღლუხ. **s'l-s'l** ← წინარედაღესტნური ***sul-**.

საერთოქართველური **ser-**ი “ღამე“, ზან. **ser-i**; ბაცბ. **fsar-eh** “გუშინ“, **fsar-lo** “სალამო“, ჩაჩნ. **sar-ah** ←, ინგ. **sar-h**, **სადრ-ღე** “სალამო“, წინარენახური **fsar-** ← ***s...ar**; ხუნდ. **son-** “გუშინ“, ანდ. **son**, ტინდ. **soni**, ახვან. **Suni**, არჩ. **san-Gi**, თაბ. **san** “წუხელ“, ხინ. **san**, ხვარშ. **hun-l'**, **hun-i-ja** “გუშინ“, დარგ. **sa**, წახ. **san-x'za**, საერთოდაღესტნური **san-** ← წინარედაღესტნური ***sar-**.

საერთოქართველური ***gus-**: **qs-ov-** ← ***gs-ov-**, ზან. **rS** ← ***qS** ← ***gS**, სვან. **JiS-** ← ***gus-**; ბაცბ. **qes-** ← ***ges-** “საქმიანობა“, ჩაჩნ. **qes-** ← ***ges-**, **qis-** “ნაქსოვი“, ინგ. **qes-** ← ***ges-**, **qis-** “ტილო“, წინარენახური ***ges-** (**saqmianoba** — **qsova**; სემანტემათა მიმართებისათვის შდრ. სვან. **I'C...min/luC...min** 1. “გაკეთებული“, 2. “მოქსოვილი“); ხუნდ. **be-s'**, ანდ. **beS'**, ლოდ. **his'-i**, ახვან. **gos'-ur**, კარატ. **ქეშ'-en/qerS'-en** “მოქსო-

ვა“, დიდ. **ri-S-a**, ჰუნდ. **re-S-a**, დარგ. **bu-S-es**, ლაკ. **S’ar-an** ← *q’aS’an, ლეზგ. **aru-S-un** “დართვა“, **ru-S-un** “ქსოვა“.

საერთოქართველური *...s-: **vs-eb-a**, სა-გს-ე, ზან. **o-fS-a/e-fS-a** “სა-გსე“, **fS-af-a** “ვსება“, **mo-fS-a/go-fS-a**, სვან. **g...eS/g...S** ← *...S-; ბაცბ. **se-fs-** “ბერვა“, “აფუება“, ჩაჩნ. **so-...s-** “გავსება, აფუება, დუღილი“, **ChaGar su...s** — „ღვინო დულს“, ინგ. **so-...s-** “გაბერვა, აფუება“, შდრ. წინარენახური **de-...s-**, *...s “გაბერვა“; ხუნდ. **re-C-** “დუღილი“, დარგ. **ru-J-ir** “დუღილი“, ლაკ. **S’ar-an id**, წინარედალესტნური ***de-S-**.

საერთოქართველური **nems-**: ნემსი, აჭარ. **lems-i**, ზან. **lifS-i/liS-i** ←***nimS-i**; ბაცბ. [ურს], ჩაჩნ. **urs**, ინგ. **□urs-** ←წინარენახური ***nus**; ხუნდ. **nus**, ანდ. **besun**, ბოთლ. **besun**, ლოდ. **besun**, ჭამ. **besu'**, ტინდ., ბაგვ., კარ. **besun**, ახვას. **me'Su** ← **meun** (მრ.რ. მეშუნა), წინარედალესტნური ***nuseb** “დანა“.

საერთოქართველური **s...el-i** “შრატი“, ზან. (მეგრ.) **S...en-i** ← ***S...ar-i** “თხის ქონი“, სვან. **S...el** “შრატი“; ბაცბ. **Sar-** “დო“, ჩაჩნ. **Sar** “შრატი, დო“, ინგ. **S-r**, საერთონახური **S...ar** ← *სტალ; ხუნდ. **S’...ar**, ბოთლ. **S’ara**, ტინდ. **S’ari**, კარ. **S’are**, ჭამ. **s’ara** “შრატი, სტელი“, წინარედალესტნური **s...al-e**.

საერთოქართველური **sof-: sof-el-i, m-sof-l-io**, ზან. (მეგრ.) **sof-**, სვან. **s...if-** “მოედანი სოფელში“, “საფიხენო“; ბაცბ. **fh_λe**, ჩაჩნ. **fh_λa**, ინგ. **fh_λ** “სოფელი“ ←***fSe** ← საერთონახური ***s...e**; ანდ. **hon**, ახვას. **hani**, კარ. **hana**, ტინდ. **hana**, დარგ. **Si**, ლაკ. **Sara-** (ვალუ), არჩიბ. **xor**, ლეზგ. **x’r**, აღ. **h_λur**, ზახ. **xi...** “სოფელი“, ხინ. **s...i**; საერთოდალესტნური ***S...ani/*s...ani**.

საერთოქართველური ***s...-: s...-e, s...-am-** “წასმა“, “მოსმა“, ზან. **s...-** “წასმა“, “მოსმა“; ბაცბ. **bos** “ფერი“, **bas-lo** თასარ “შეღებვა“, ჩაჩნ.

buos-/ bas-, ინგ. **bos-/bas-** ← წინარენახური ***ba-s...**; ხუნდ. **bo-x’/z-**, ანდ. **bu-S**, ყამ. **bu-h-**, ბაგვ. **bi-S-**, კარ. **bu-x...** “წასმა“, წინარედალესტნური ***bi-s...**.

საერთოქართველური **ne-st...-, st...-ir-i, st...-en-a**, ზან. **S...it-in-**, **mi-Svit-ia**, სვან. **ne-Str-šl/ne-Sdr-šl** (pl. tantum) “ნესტოები“; ბაცბ. [შოტ-]: ჩაჩნ. **შედ-ag/Sod-ag**, ქისტ. **Sud-uq** (ახ.), ინგ. **S...od-ilg** “**дудка**“, წინარენახური ***Set...** ← ***set...**; ხუნდ. **hiSt-**, ახვას. **S’it-**, არჩიბ. **S...it** “სტვენა“, წინარედალესტნური ***sit...**.

საერთოქართველური **-s** მიც. ბრ. ნიშ., ზან. **-s**: სვან. **-s**; ბაცბ. **-s**, ჩაჩნ. **-s**: ინგ. **-s/-z** ერგ. ბრ. ნიშ., წინარენახური **-s**; დარგ. **-s/-z**, ლეზგ. **-z**, აღ. **-s** მიც. ბრ. ნიშ., წინარედალესტნური **-s**.

საერთოქართველური ***s/h-as...**: **ასული**, ზან. **osur-**, სვან. **hasuS/has...-iS**; ბაცბ. **o-oh_λ**, ჩაჩნ. **o-oc** ← **o-oh_λ**, ინგ. **o-oc** ← ***o-oh_λ** “ქალიშვილი“, წინარენახური ***o-aS-** ← ***o-as-**; ხუნდ. **o-as/o-aSa**, ანდ. **o-oSi**, ახვ. **o-aSe**, ტინდ., ჭამ. **o-ah** ← **o-aSa**, კარ. **o-aSe**, ბოთლ. **o-eSi**, ბაგვ. **o-aS**, ლოდ. **o-aSi**, ლეზგ. **r-uS**, თაბ. **r-iS**, აღ. **r-uS**, რუთ. **r-^hS**, წახ. **o-^hS**, არჩ. **d-iS-dur**, სინ. **r-iSi** “ასული“, წინარედალესტნური **o-as-** “ქალიშვილი“.

წინარექართველური ***v-as...**-(არ): **us...-ar-i** (საბა) “ვაჟიშვილი“; ბაცბ. **v-oh_λ**, ჩაჩნ. **v-oc** ← ***v-oh_λ**, ინგ. **v-oc** ← ***v-oh_λ** “ვაჟიშვილი“, წინარენახური ***v-aS-** ←***v-as-**; ხუნდ. **v-as/v-aSa**, ანდ. **v-oSo**, ახვ. **v-aSa**, ტინდ., ჭამ. **v-aha** ← **v-aSa**, კარ. **v-aSa**, ბოთლ. **v-aSa**, ბაგვ., ლოდ. **v-aSa**, დიდ. **uju /uji**, დარგ. **urSi**, ლაკ. **ars**, არჩ. **v-iS-du** “ახალმობილი ვაჟიშვილი“, ხინ. **Si** “ვაჟი“ წინარედალესტნური ***v-as-** (შდრ., ქართველური **ვაჟი-ი**, რომელიც საერთოკავკასიური *ვასუ-/*ტას- ფუძიდან მომდინარე შეიძლება იყოს და არა - ნასესხები; ტ.ფ.).

საერთოქართველური **m-ze** “მზე“, **ze** (ზეზე, ზე-და, ზე-ვით), ზან. **bja** (მეგრ.)/**mjora** (ყან.), **ji**(ნო) “ზე/ზევით“, სვან. **mij/m’j, jib** “ზევით“; ბაცბ. [ზუ], ჩაჩნ. **z, z^h** ← ***z^h** “სხივი“, ინგ. **z, z^h** “სხივი“, წინარენახური **zi id**;

ხუნდ., ლაკ. **i-z-an** “встать”, არჩ. **bu-c-is**, ლეზგ. **af’...a-z-un**, თაბ. **zu-J...uz**, აღ. **Gu-z-as**, რუთ. **lu-z-un**, წახ. **ulu-z-ar-as** “ადგომა”; წინარედალესტნური **-z-** “ხესვლა” (მდრ. ქართ. **ze**, **ze-**ვით, **ze-**და...).

საერთოქართველური ***deSa/*ZeSa** ზან. **diSqa/diSka**, სვან. **zeq**. ← **zeSq** ← **deSq**; ბაცბ. **dos**, ჩაჩნ. **dos/duos**, ინგ. **dos/does** “შემა”, წინარენახური ***doS(-a)**; ხუნდ. **rox½** (←**rox½a**) “ტყე”, ანდ. **reSa**, ბოთლ. **ruSa**, ლოდ. **ruSa**, ბაგვ. **roSa**, კარ. **roSa**, ახვახ. **ruSa** “ხე”, ჭამ. **...rha/roSa**, ტინდ. **roSa/roha**, კარ. (ტოკიტ.) **rox½a** “ხე”, “ტყე”, ლაკ. **murx½** “ხე”, ლეზგ., ხინ. **viSš** “ხე”, წინარედალესტნური ***doSa**.

საერთოქართველური **vaS-l-i/*vaSali**, ზან. **uSq-ur-i/uSq-ir-**ი, სვან. **...isg-...** ← **...iSg-...** ← ***...iSq-l**; ბაცბ. «აშ»: ჩაჩნ. **čaj**; ინგ. **čaj** “ვაშლი”, წინარენახური ***vaS-**; ხუნდ. **eC**, ახვახ. **„eCe**, კარ. **„eCi**, ტინდ. **ØeCi**, ყამ. **ØeS**, ჰინუბ. **iSi**, ჰუნზ. **e’S**, დარგ. **„inc**, ლაკ. **hivC**, არჩ. **anS**, ლეზგ. **iC**, თაბ. **veC/viC**, აღ. **heC** ← **veC**, კრიწ. **deC** ← **veC**, ბულფხ. **deC** ← **veC**, ხინ. **m^C** ← **veC**, უდ. **¥S/¡S** ← **veS**, წინარედალესტნური ***veS-**.

საერთოქართველური **Sen-/*S...-en-**, **Sen-i**, ზან. **si(n)**, **sqan-i**, სვან. **sgšə**, ბაცბ. **h_o(n)**, ჩაჩნ. **h_ouo(n)**, ინგ. **h_ouo(n)** “შენ”, წინარენახური ***S...en**; ხუნდ. **mun** ← **...un** ← *** h_o...un**, დარგ. **h_ou**, ლეზგ. **...ue** ← *** h_o...un**, რუთ. **Gu** ← **h_oun**, წახ. **Gu** ← **h_oun**, უდ. **Gun/un** ← **h_oun**, ხინ. **...^** ← **h_o...^n**, არჩიბ. **un** ← **h_oun** “შენ”, საერთოდალესტნური ***S...un-**.

საერთოქართველური **Sver-**: **u-Sver-i**, სვან. **Sg...ir** (ზს.) **/Sk...ir** (ლნტ.) “სირცხვილი”; ბაცბ. **eh_o-ar**; ინგ. **e-h_o-ar**, წინარენახური ***e-h_oar** “სირცხვილი”; ხუნდ. **sur-**, ანდ. **sur-/suli**, ბოთლ. **sur-**, ყამ. **sul** ← **sur**, ტინდ. **sur**, კარ. **sur-** (სურე) “შერცხვენა”, ახვახ. **Suli** ← **Suri** “სირცხვილი”, წინარედალესტნური ***Sur**.

საერთოქართველური **Su-**: **S...-en-i-s**, **Su-en-ier-i**, **Sn-o** (← **S...eno**), ზან. **sq...-**, **o-sq-u{n}** “შვენის”, **sq-u-a** (ჭან.) **/sq...-am-i** (მეგრ.) “ლამაზი”, სვან. **sg...-**, **x-o-sgu-n** “შეშვენის”, **ma-sg...-a** “შესაფერისი”, **sg...-n**

“შნო”; ანდ. **Su...-**, ბოთლ. **s’u**, ლოდ. **Sub**, ჭამ. **hCEb/hub**, ბაგვ. **hCEb**, ტინდ. **hoʃob**, კარ. **x½ohob**, ახვახ. **So** “хороший”, საერთოდალესტნური ***Su-**.

საერთოქართველური **Tq...en**, **Tq...en-i**: ზან. **Tq...a(n)**, **Tquan-i**, სვან. **sgšə**; ბაცბ. **Su**, ჩაჩნ. **Su**, ინგ. **Suo**, წინარენახური ***sT...en/S...en**; ხუნდ. **nuj**, ანდ. **bis’il**, ბოთლ. **biSTi**, ლოდ. **biT’e** ← **biSTe**, ჭამ. **biT’(i)** ← **biSTi**, ტინდ. **bis’a**, ბაგვ. **biSTi**, ახვახ. **uSdi** “თქვენ”, წინარედალესტნური **-*sT...-/S...-**.

საერთოქართველური ***sT...-: sT...-el-i** → **rT...-el-i** “შემოდგომა”; ბაცბ. **stab-o** “შემოდგომა”, ჩაჩნ. **ʽsTa...-ʽ**, ინგ. **ʽsa...-ʽ**, წინარენახური **sTa...-**; ბოთლ. **c’ib-ურე**, ახვახ. **c’ib-ერა** “ზამთარი”, დიდ. **sebi**, ჰუნზ. **sib-ar**, ლაკ. **s’uvT** ← ***sTu...-**, არჩიბ. **soT’-if’□**, თაბ. **C...ul**, წახ. **cu...-al**, ხინ. **c^v-aj** (←**c^v-ar**) “შემოდგომა”, წინარედალესტნური **sTu...-**.

საერთოქართველური **ZaG-l-i/*ძალ-ი**, ზან. **JoG-or-i**; სვან. **jeG/jeG-...**; ბაცბ. **woK** ← **woKa**, ჩაჩნ. **wuoKa**; ინგ. **woK-** “ჯიქი”, წინარენახური ***ZoG(ar-)** → **woK(ar-)**; ხუნდ. **wirK**, ანდ. **wirK**, ახვახ. **wiKo** “ფოცხვერი”, ლაკ. **winiK/ჭნწყ...**, წინარედალესტნური ***ZiG(or-)** → **wiK(or)**.

საერთოქართველური ***deZ...-/ZeZ...:** “ძეძვი”, ზან. (ჭან.) **danZ-i** ← ***daZ...-i**; ბაცბ. **ʽZiZʽ-**, ჩაჩნ. **ZiZ-** /**ziz-**, **ZiZ-ig** “ყვავილი”, ინგ. **Ziz-** ← ***ZiZ-a**; წინარენახური ***ZiZ-**; ხუნდ. **zaz** “ეკალი”, ახვ. **jaja**, დარგ. **ZawZi/c’ac’e**, ლაკ. **c’ac**, ლეზგ. **c’aZ**, თაბ. **ZaZa**, აღ. **zaz**, რუთ. **ziza**, უდ. **cac**, წინარედალესტნური ***ZaZi** (მდრ. აღიდ. **ze** ← ***Ze**).

საერთოქართველური **Z...al-i**, ზან. **ʽJol-ʽ**; სვან. **JiJ... ← *J...iJ...il** (რედუპლ.) ← ***J...il** (მდრ., აჭარ. **ძიძგვად/ჯიჯგვად** “ძვალმსხვილი კაცი” - ტ.ფ.); ბაცბ. **ʽza(l)ʽ**, ჩაჩნ. **sal/zal**, ინგ. **sa(l)** ← **zal** “ნეკნი”, წინარენახური ***Zal-**; ანდ. **jala**, ბოთლ. **jola**, ჭამ. **zala**, “ნეკნი”, წინარედალესტნური ***Zal(a)**.

საერთოქართველური **Zu...-/Zuv-**ი, ძუ, ზან. **Ju-a** ← ***Ju...-a**, სვან. **Ju{...}-a** “ძუენა”; ბაცბ. **jabo** “ძროხა”, ჩაჩნ. **ja**, ინგ. **j-** ← ვაინახ. ***ja...o**, წინარენახური ***Za...o** “ძროხა”; ხუნდ. **zi...u**, ანდ. **zi...u** ბოთლ., ლოდ. **zini**, ჭამ. **zin**, ბავგ. **zin**, ტინდ., კარ. **zini**, ახვახ. **ji'...o/jon** “ძროხა”, დიდ. **ზიდა**, ხვარში. **zi'a**, რუთ. **zer**, წახ. **zer**, კრიწ. **zar**, ბუდ. **zar**, უდ. **Cur** ← ***Jur id**; წინარედალესტნური ***Zi...u** “ძროხა”.

საერთოქართველური **fueza**, ზან. (მეგრ.) **xozo** ← ***x...ajo** (შდრ. აფხაზ. **a-f...aja**); ბაცბ. **faC—**, ჩაჩნ. **f%oC—**, ინგ. **faC—** “საგზალი”, წინარენახური ***faZ-e** → **f%oJ-e**; ხუნდ. **fufanCed**, ბეჯ. **xic**, ხვარში. **хас**, ჰინუხ. დარგ. **h_λalwa/h_λ...alwa** “блин”, წინარედალესტნური ***f (...)(l)Z-a**.

საერთოქართველური **cal-i, carieli, cale**, ზან. (მეგრ.) **Cvara** “ცალე” ← ***Cor-a**, სვან. **ჭწრ-i** “ცარიელი”; ბაცბ. **ch_λa**, ჩაჩნ. **caç** ← **cah_λa**, ინგ. **caç/ch_λa** ← **cah_λa** “ერთი”, წინარენახური **cah_λ-**; ხუნდ. **co**, ანდ. **se-**, ახვ. **Ce-**, დიდ. **si-**, დარგ. **ca**, ლაკ. **ca**, ლეზგ. **sa-**, თაბ. **sa-**, ად. **sa-**, რუთ. **sa-**, წახ. **sa-**, არჩ. **os**, ხინ. **sa**, უდ. **sa** “ერთი”, საერთოდალესტნური ***ca**.

საერთოქართველური ***barc(x)-, farcx-i**, ზან. **bucx/burcx-**, სვან. **cxa** “ფრჩხილი”; ხუნდ. **furuc** □ ← ***burc'u** ← ***burc'u**, ანდ. **rebc'u** ← ***berc'u**, ბავგ. **berec'**, ბოთლ. **ferc'u**, ჭამ. **ბიდაც'ა** ← **birac'a**, ლოდ. **rec'i** ← **berrec'i**, ტინდ. **bec'i/berec'**, კარ. **bec'e/berc'e/ feric'**, ახვახ. „**ebec'e**“, დიდ. **birus**, ჰინუხ. **berus**, დარგ. **duraZ**, ლეზგ. **T'rgz** ← **d'res**, თაბ. **curc** ← **Turuc** ← დ-**uruc** ად. **duruc**, წახ. **ვემიცა** ← **berca**, უდ. **fenec'** ← **b-erec'** “კავი”, წინარედალესტნური ***b-erc-e** “კავი”.

საერთოქართველური **cic-i: cic-i-naTela**, ზან. (ჭან.) **CiC-i**; ბაცბ. **cic-a-ჰო**, ჩაჩნ. **cac-/cafc-/cic-**, ინგ. **ciac-** “მწერი”, წინარენახური ***cic-**; ხუნდ. **ic**, ანდ. **reci/resu**, ახვახ. **reSe**, კარ. **resa**, ბავგ. **res**, ბოთლ. **resa**, დარგ. **hems**, ლაკ. **nu...ca.**, თაბ. **sur**, რუთ. **აის**, წახ. **ic**, უდ. **с'ес'** “моль”, წინარედალესტნური ***cec** (შდრ. სომხური **cic** “моль”, რაც რომელიმე იბერიულ-კავკასიური ენიდან ჩანს ნასესხები).

საერთოქართველური ***cxarT...-/carTx...** (შდრ., წათხ-/წყათ-, ბარტყ-/ბლარტ-...), **CxarT...**, “ჩხართვი”, სვან. **CxuruSt/Cxur...iSd** ← ***CxarST...**; ბაცბ. “შურთხ”- (შდრ. ქართ. **SurTx-**ი), ჩაჩნ. **SatKa(n)**, ინგ. **SurtKš** “лачка”, წინარენახური ***carTx...** → ***CarTx...**; ხუნდ **cat³/u**, ანდ. **sart³/u** ← ***cart³/u**, ყამ. **sat³/u** ← ***cart³/u** “лачка”, საერთოდალესტნური ***cart³/u...** (შდრ. ბგერათმესატყვისობა: ქართველ. **თხ:** ნახ. **თხ:** დად. **t³/4**).

საერთოქართველური **berw-i**, ზან. **bury-i**, სვან. **bruy**; ბაცბ. **b,,arw-o¹**, ჩაჩნ. **b,,arz-a¹** ← ***b,,arZ-an** ← ***b,,arw-on**, ინგ. **b,,arZ-š** ← ***b,,arw-o¹** □ “ჯორი”, წინარენახური ***barw-on** “ჯორი”; ხუნდ. „**orwen**, ბოთლ. „**orwen**, ლოდ. „**orwin**, კარ. „**urwina**, ჰინ. **hurwum**, ჰუნზ. **horwum/horwom** “ჯორი”, წინარედალესტნური ***borw-en** → ***horw-en**.

საერთოქართველური **w...-**: “წვა”, ზან. **y...-** “წვა”, სვან. **y-** ← ***y...-**; ბაცბ. **we**, ჩაჩნ. **w¹/i**, ინგ. **wi** “ცეცხლი”, წინარენახური **we**; ხუნდ. **wa**, ანდ. **wa_ღ**, ახვახ. **Jari**, ბეჯიტ. **wo**, დიდ. **wi**, ხვარში. **wa/wo** ← ***w...a**, დარგ. **wa**, ლაკ. **w...** ← ***w...i**, ლეზგ. **wa_ღ**, თაბ. **wa**, ად. **wa**, რუთ. **wa_ღ**, წახ. **wa/wa_ღ**, ბუდუხ. **wa**, არჩიბ. **ow** ← ***wo** ← ***w...a**, ხინ **yš** “ცეცხლი”, წინარედალესტნური ***w(...)(a)** “წვა, ცეცხლი” (შდრ., ქართული ენის აჭარული კილოს წიწა_ღ “ცეცხლი” ბავშვის ენაზე - ტ.ფ.).

საერთოქართველური **wK: ne-(r)-wK-...-i, wK-al-i, wK-l-ul-i**, ზან. **le-yK-v-a/le-mJk-va, yK-ol-** “წყლვა”, სვან. **ნწ-SK-...** ← ***ნე-JK-...**; ბაცბ. **wKal-š¹**, ჩაჩნ. **wKšl-a/wKel-a**, ინგ. **wKšl-š** “მოსქო სითხე”, წინარენახური ***wK-al-e**; ხუნდ. **h'aw'u**, ახვახ. **aw'i**, ჭამ. **haw'**, ბავგ. **ha...-** ← **haw'...**, დიდ. **nocu**, ხვარში. **აუ'cu** ← **nucu**, ჰუნზ. **აუ'cu** ← **nacu** ← ს. დიდ. **nawu** “ნერწყვი”, ლაკ. **onwu** ← **nowu** “ცინგლი”, წინარედალესტნური **na-w-...** “ნერწყვი”.

საერთოქართველური **wif-, *ma-w-(if)-e/ m-wif-e**, ზან. **mo-ny-a**, სვან. **m¹-h-i** ← **m¹-y-i** “მწიფე”; ბაცბ. **maw-r-i¹**, ჩაჩნ. **mierz/merZa** ←

maZ-r-i' ← **maw-r-i'**, ინგ. **merZš** ← **ma-r-i'** ← ***maw-r-i'**, წინარენახური **ma-w-r-in** “გემრიელი”; ანდ. **miw'a**, ბოთლ. **miw'a**, ჭამ. **miw'ab**, ბავგ. **miw'ab**, კარ. **iw'ab**, ახვან. **miw'a**-დაბუ, ლაკ. **nawu-s'a**, ლეზგ. **var-wi**, ხინ. **win** “გემრიელი”, წინარედალესტნური **mi-w-a** “ტკბილი”.

საერთოქართველური ***wov-**: წოვა, ზან. **wu-** ← **wov-**, სვან. **wob-** “წოვა”; ბაცბ. **wup-**, ჩაჩნ. **wub-**, ინგ. **wub** “წოვა”, წინარენახური. ***wuv-**; ხუნდ. **w'un-k-**, ანდ. **w'un-d-**, ახვან. **w'un-**, ტინდ. **c'u-qlAa** ← **w'u-qlAa**, ჭამალ. **w'un-a**, ბავგ. **w'un-**, ბოთლ. **w'un-d-**, ლაკ. **wup**, არჩიბ. **wu-r-** ბოს “წოვა”, დარგ. **wup-** ბარყი, აღ. **sup-** ას ← ***wup-** ას, კრიწ. **yu... aeriJ**, **Zud. yuf-**, საერთოდალესტნური ***wuv-/wum-** → **wun**.

საერთოქართველური ***wued-/w...eT-**, **w...eT-i**, ზან. **y...aT-/w...aT-**, სვან. **...d** ← **h...id** ← **y...ed** “ცვარი, წვეთი”; ბაცბ. **darw-**, ჩაჩნ. **derz/Z**, ინგ. **dar** “წვიმიანობა”, საერთონახური ***darw-** (← ***დაწ** ← წინარენახური ***წად**; ტ.ფ.); ხუნდ. **w'ad/wad**, ანდ. **w'a**, ბოთლ. **w'aḡ**, ჭამ. **w'ḡ**, ბავგ. **w'aḡ**, კარ. **w'aḡ**, ახვან. **w'ari** ← **w'adi** “წვიმა”, ბოთლ., ლოდ. **w'ai** ← **w'ari**, ლეზგ. **stal** ← ***wdal**, თაბ. **wadal**, აღ. **war**, კრიწ. **wadi** “წვეთი”, “სითხე”, წინარედალესტნური ***wad**.

საერთოქართველური **wod-** “წოდება”, “კითხვა”, “სახელი”, სვან. **y...d-**, **li-y...d-i** “შეკითხვა”; ბაცბ. **weT□** “სახელი”, “დიდება”, ჩაჩნ. **wḡT'**, ინგ. **wḡeT'**, წინარენახური ***wed**; დიდ. **wod-er-a/Jod-ir-a** “გაწოდება (ხელის)”, ჰუნზ. **wod-**, ჰინუხ. **wod-**, ლეზგ. **yal**, თაბ. **yal**, აღ. **yal**. არჩიბ. **yaT** “თქმა, მეტყველება”, წინარედალესტნური ***wod** “გაწოდება”, “მიწოდება”.

საერთოქართველური **wen-** “მოწვევა”, ძვ. ქართ. **wan-a** ← **wen-a** “წვეულება”, “ლხინი”, ზან. (მეგრ.) **yan-af-a** “მოწვევა, დაძახება”, ჭან. **yan-d-a** “ქორწილი, წვეულება”, სვან. **her-** ← ***yer-** ← **yer-** ← ***yen-** “დაბარება, გამოძახება”; ხუნდ. **w'e**, ანდ. **w'e**, ბოთლ. **w'e**, ჭამ. **w'e...**, ბავგ. **wJe...**, კარ. **wJe...**, ახვან. **w'e...e** “სტუმარი”, წინარედალესტნური **we...-e** “სტუმარი”. შდრ. აღიდ. **xa-yš** “სტუმარი”.

საერთოქართველური **w...-er-**: **w...er-i**, ზან. **w...anJ/d-i** ← ***y...aJ-i** ← ***y...ar-i**, **y...ar-**, სვან. **(h)...er-e (h...er-** ← ***y...er-**) “წვერი”; ბაცბ. **yan-ik**, ჩაჩნ. **yḡen-ig/g**, ინგუშ. **yien-g** “ნიკაპი”, წინარენახური ***w...ar-** → ***y(...)-an-** “წვერი”; დარგ. **muwur**, ლაკ. **yiri**, ლეზგ. **C'uru** ← ***yuru**, თაბ. **miJir** ← ***miyir**, აღ. **muJur** ← ***muyur**, არჩიბ. **moyor**, რუთ. **miyri**, წახ. **muyru**, ხინ. **miyeS** ← ***miyej** ← ***miyer** “წვერი”, წინარედალესტნური *(**mV**)-***w...ar*w...ir** “წვერი”...

ენათმეცნიერული კვლევის ამ ეტაპზე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საერთოქართველური, საერთონახურ-დალესტნური და საერთოაფხაზურ-ადიღური ლექსიკის ბაზაზე დგინდება კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობანი, რაც საშუალებას იძლევა, აღდგეს საერთოკავკასიური ლექსიკა და, შესაბამისად, იგვაგახიშვილის, არნ. ჩიქობავას, ი. ცერცვაძის, გ. როგავას, ქ. ლომთათიძის, დ. იმნაიშვილის, თ. გონიაშვილის, ო. კახაძის, ე. ლომთათიძის, გ. თოფურისას, გ. ბურჭულაძის, ვ. შენგელიას, თ. გვანცელაძის, მ. ჩუხუას, ც. ბარამიძის, რ. აბაშიას და მრავალ სხვათა კვალად, სერიოზულად ვიმსჯელოთ იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ; შდრ., თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის საყურადღებო მსჯელობაც: “საერთო-ქართველური ენობრივი ტიპი არქაული პერიოდისა შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი ზოგადი ნიშნებით: (1) უაღრესად რთული კონსონანტიზმი და უკიდურესად მარტივი ვოკალიზმი (მონოვოკალური სისტემა); (2) ფონოლოგიურად რელევანტური მოძრავი დინამიკური მახვილი; (3) სრულხმოვნობა გვიანდელი სრულმარცვლოვნობის ადგილზე; (4) ფორმაწარმოებასა და სიტყვაწარმოებაში პრეფიქსაციის უპირატესი როლი სუფიქსაციასთან შედარებით. მიღებული მოდელი უახლოეს ტიპოლოგიურ პარალელს პოულობს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, განსაკუთრებით დასავლურ-კავკასიურ ჯგუფში” (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 470); “სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ნიშნები, რომლებიც ქართველურ ენებს აახლოვებენ ჩრდილოკავკასიურ ენებთან, უთუოდ შორეულ წარსულს განეკუთვნება, მაშინ როდესაც საერთოქართველური ტიპის ინდოევროპული ნიშნები უფრო გვიანდელი ქრონოლოგიური შრისაა” (გ. მაჭავარიანის ამ ციტატისა და არნ. ჩიქობავას კომენტარების შესახებ საგანგებო მსჯელობა იხ., თ. გამყრელიძე, 2000, გვ. 28-29).

ჩვენ კი დავძენთ: **სავსებით მართებულია დასკვნა, რომ არქაული ქართველური ენა უფრო ახლოს უნდა ყოფილიყო სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან, ვიდრე გვიანდელი**, რამდენადაც, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდში ინდოევროპელ ტომთა კავკასიაში შემოსვლის გამო ქართველურში გაჩნდა შთამბეჭდავი სუბსტრატული ინდოევროპული ფენა, რომლის გამოც, სავარაუდოა, ქართველური გარკვეულწილად დაემსგავსა/“დაენათესავა“ ინდოევროპულ ენობრივ მოდელს. **არქაული ტიპოლოგიური იგივეობის ფონზე იბერიულ-კავკასიურ ენებში დადასტურებული მრავალრიცხოვანი და რეგულარული ბგერათმესატყვისობანი, ვფიქრობთ, სერიოზულ საფუძველს უნდა იძლეოდეს ამიერკავკასიური და იმიერკავკასიური ენების ნათესაობის სამტკიცებლად.**

ერის ისტორიის კვლევისას არსებითაა, ასევე, ხალხური მუსიკის ისტორია (მ.ბრომელი); ამ ასპექტით, ქართული სინამდვილისთვის საყურადღებოა ნ.მაისურაძის მსჯელობა, რომელიც ეფუძნება რა სხვა მომიჯნავე დარგების მკვლევართა (კ.ზაკსი, ი.ხაშბა, ბ.ბრლიავეი, დ.არაყიშვილი, შ.ასლანიშვილი, ი.კიკვიძე...) ნაშრომებს, ასკვნის:

იბერიულ-კავკასიური ენების მფლობელი ხალხების მუსიკალური ენები მომდინარეობენ კავკასიურ-წინააზიური მუსიკალური ფუძეებიდან. წინააზიურ სამყაროსთან მჭიდრო კულტურულ-ისტორიული კავშირები მყდრდებდა ქართული “იავნანას“ მელიოდისა (რომელიც ეძღვნება ნეოლითის დასასრულიდან არსებული ნაყოფიერების ღვთაება ნანას) და წინააზიური მუსიკალური ნიმუშების უძველეს შრეებში“. ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა ერთგვაროვნობა, მრავალხმიანობის ფორმები, ტიპოლოგიური მსგავსება განვითარების შემდგომ პროცესში და **საერთო კავკასიური მუსიკალურ-ინტონაციური ხასიათი** მეტყველებენ კავკასიის ტერიტორიაზე ოდესღაც ერთიანი მუსიკალური კულტურის არსებობაზე... “მუსიკალური მასალა მკაფიოდ წარმოაჩენს ქართველურ ტომთა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მის წამყვან როლს ამ კულტურის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში, რომელიც ძირითადად კავკასიური მუსიკალურ-ინტონაციური და ჰარმონიული აზროვნების ფარგლებში მიმდინარეობდა“ (ნ.მაისურაძე, 1989, გვ.61-71; ნ.მაისურაძე, 2002, გვ.246); გარდა ამისა, აქვე დასაბუთებულია, რომ **აფხაზური მუსიკალური დიალექტი/ენა** “მელო-ინტონა-

ციურად უშუალო კავშირს ავლენს აღმოსავლურქართველურ, ფშაურ-ხევსურულ (ფხოურ) სიმღერებთან (ნ.მაისურაძე, 1989, გვ.65-67; ნ.მაისურაძე, 2002, გვ.245). შდრ., აგრეთვე: ქართველური საკრავები პარალელურ პოულობს არა მხოლოდ აფხაზეთში, ზოგადად, ჩრდილო კავკასიაში, არამედ, ძველ წინა აზიაშიც (მ.მილაკაძე, 1970, გვ.55-57); ქართული სიმღერების გლოსოლოლიებს პარალელები ეძებნება აფხაზურ და ჩეჩნურ სიმღერებში (მ.მილაკაძე, 1999, გვ.206).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქართველთა ენობრივ-კულტურულ-ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ჩვენი მოსაზრება შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

წინააზიურ-კავკასიური დიდი მოდემისგან ძვ.წ. III ათასწლეულში (მტკვარ-არაქსის II პერიოდი) გამოიჩნულ იბერიულ-კავკასიურ კონტინენტში ძვ.წ. II ათასწლეულის მანძილზე უფრო ღრმავდება ენაკილოკავური დანაწევრება (ენობრივი ცვლილებანი განაპირობა ეთნოსთა შერეებმა):

ენის ცვალების შინაგანი კანონზომიერებებიდან გამომდინარე, თუ მრავალწახნაგოვანი შერეების გამო, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდება მრავალი ენობრივი ერთეული (ენა/კილო), მაგრამ ისინი იწარჩუნებენ ამოსავალ ძირითად ლინგვისტურ მახასიათებლებს (ფონემატური სტრუქტურა, ზმნის სირთულე, ერგატიული კონსტრუქცია...) და საერთო წარმომავლობის ლექსიკის ნაწილს; შესაბამისად, **იეროგლიფური დამწერლობის წყალობით ცნობილი** კავკასიური სამყაროს მონათესავე **წინააზიური ენობრივი მასალა ასახულია როგორც თანამედროვე ქართველურ, ასევე, ჩერქეზულ (აფხაზურ-ადიღურ), ნახურ/ჩეჩნურ და ლეკურ ენებში; სწორედ ამიტომ, რომ იბერიულ-კავკასიური ენების ცალკეული მკვლევარები მათთვის კარგად ცნობილი ენის მსგავსებას ხედავენ ხეთურ, ხურიტულ, ელამურ თუ შუმერულ ენებში;** შდრ., მაგ.: “ვეფხისტყაოსანი“ მოიცავს ქრისტიანულ, მითოლოგიურ, გმირულ, ასევე, XII საუკუნის ისტორიულ და კულტურულ-ეთნოგრაფიულ ასპექტებს; თითოეული ამ დარგის სპეციალისტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში იაზრებს ამ გენიალურ ქმნილებას...

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

სხვადასხვა იბერიულ-კავკასიური ენის სპეციალისტი თავისი საკვლევი ენისთვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენას რომ ხედავს რო-

მელიმე წინააზიურ ენაში, ბუნებრივია, ვინაიდან **იბერიულ-კავკასიური ოჯახის ენები** მომდინარეობენ **წინააზიურ-კავკასიური უძველესი ენობრივი ერთობისგან**: შესაბამისად, თითოეულ იბერიულ-კავკასიურ ენას უთუოდ აღმოაჩნდება რაიმე საერთო როგორც ძველ წინააზიურ, ასევე, დღევანდელ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან.

იბერიულ-კავკასიური ენობრივი ველისგან საკუთრივ ქართველური ენობრივი სამყაროს გამოიქვეყნა (რაც, მაგ., აისახა კლას-კატეგორიების მოშლით) დაწყებული ჩანს კავკასიასა და ანატოლიაში მძლავრი ინდოევროპული ნაკადის შემოსვლით ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე; **მკვეთრი დაშორება** კი სავარაუდოა ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზე, კერძოდ, სკვით-კიმერიელთა და სპარსული მოდგმის ტომთა შემოსევების დროს; ჩანს, ამ შერევებს ასახავს ოსურ-არმენულში არსებული მძლავრი **იბერიულ-კავკასიური სუბსტრატული** და ქართველურში არსებული **ინდოევროპული სუბსტრატული** ფენები. შდრ., ზოგი სპეციალისტის აზრით, ქართველური ენა არის ნარევი ენა; მასში გამოიყოფა ორი ფენა: დასავლურ-კავკასიური და ინდოევროპული (გ.დევეტერსი, 1957, 13-15; შდრ., თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ.35-378; ინდოევროპულიდან ნასესხები ფუძეებისათვის იხ.: მ.ანდრონიკაშვილი, 1966; თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, 1984; მ.ანდრონიკაშვილი, 1996). აქვე გასათვალისწინებელია რ.გორდეზიანის დასკვნაც: “ბერძნულ წყაროთა მონაცემები სხვადასხვა ეგეოსურ გადმოსახლებათა შესახებ კავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანის განმავლობაში სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს. როგორც ჩანს, სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორედ მათი შედეგი უნდა იყოს ქართველურ ენათა საბოლოო დიფერენციაცია“ (რ.გორდეზიანი, 1985, გვ.167); **დავაზუსტებთ**, ჩვენი აზრით, ამ გადმოსახლებებისა და შეიძლება დაეჩქარებინა **იბერიულ-კავკასიურისგან ქართველურის გამოიქვეყნა** (და არა “ქართველურ ენათა საბოლოო დიფერენციაცია“) შდრ.: ჩრდილოკავკასიურ ენებთან შედარებით ქართველური ენაკილოები ერთგვაროვანია.

ზოგად შტრიხებში განვიხილავთ იბერიულ-კავკასიური და ძველი წინააზიური ენების მიმართებას:

ხათური და იბერიულ-კავკასიური:

ძვ.წ. XXIII საუკუნიდან ათასი წლის მანძილზე ცენტრალურ ანა-

ტოლიაში, მოგვიანო პერიოდების კაბადოკიის, პონტოს... ტერიტორიულ ველში (შდრ., სხვადასხვა დროის დედაქალაქთა სახელები: ხათუსა/ბოლაზქოი; მაზაკა/მასახა) არსებული ხათის ძლიერი სამეფოს სახელმწიფო ენა - **ხათური ენა**, შემერულისა და ხურიტულის მსგავსად, **ერგატიული კონსტრუქციისა და აგლუტინაციური ტიპის ენაა**; სპეციალისტთა ერთი ნაწილის ვარაუდით, იგი ენათესავება თანამედროვე ქართველურ ენას (ქრ.გიბალი, რ.შმიდტ-ბრანდტი, შ.გაბესკირია...), მეორე ნაწილის აზრით კი - აფხაზურ-ადიღურ ენებს (ე.ფორერი, ი.დიაკონოვი, ვ. ივანოვი, ი.დუნავესკაია, მ.ჩუხუა...).

კერძოდ:

ჩერქეზულ-აფხაზურ-ადიღურ ენა-კილოებთან გენეტურ ნათესაობაზე მიუთითებს: ზმნის აგებულება, ერგატიული კონსტრუქცია და ზოგი მორფემის მსგავსება (ვ.ივანოვი; იხ., აგრეთვე, ვრ.გიორგაძე, 2002).

ქართველურ ენა-კილოებთან გენეტურ ნათესაობას ადასტურებს: ერგატიული კონსტრუქცია, მორფემათა იდენტურობა (მესამე პირის ნიშნები: ჰ, ს), კუთვნილება-წარმომავლობის -ელ სუფიქსი და ლა-/ლე-პრეფიქსი და მრავალრიცხოვანი ლექსიკური პარალელები; მაგ., 2002 წლის მაისში ქართველოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე (“ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის პროცესები კავკასიაში“) წაკითხულ მოხსენებაში: “ქართველურ-ანატოლიურ-ეგეოსური ენობრივი პარალელების საკითხისათვის“ **რობერტ შმიდტ-ბრანტმა**, ქრ.გიბალის კვლად, ხათური წარმომავლობის სიტყვებად მიიჩნია **დიდი, წვიმა, პური, ლაპარაკი, სმენა, ცხვარი, შავი, ცუვა - ძუ** (“ცოლი“) და სხვა; მისი აზრით, ხათური ენა კავშირშია საერთოქართველურ ენასთან. შდრ., ურარტული ღვთაება **დიდუანი**, ქართვ. **დიდი** და ხათური **დიდი**... წარმოდგენილ მასალას შდრ., აგრეთვე: ხათური ღვთაება **არმა** ქართველური - **არმაზი** და ბერძნული - **ჰერმესი** (ბერძნულ პანთეონში ჰერმესი წინარებერძნული - პელაზგური (?) სამყაროდანაა შეთვისებული).

ხათურთან მიმართებით საყურადღებოა შ.გაბესკირიას მრავალწლიანი კვლევის შედეგები; მისი აზრით: ენობრივი, არქეოლოგიური, მითოლოგიური და ფოლკლორული მასალის გათვალისწინებით დგინდება, რომ “ხათები არიან ქართველთა წინაპრები და შესაბამისად, ხათური ენა არის წინარექართული ენა, რომელიც ასახულია ინდოევროპულ-ხე-

თურ ანუ ნესიტურად დაწერილ ტექსტებში“ (შ.გაბესკირია, 1998, გვ.29); ხათების სახელი მომდინარეობს ქართი ფორმისგან (შ.გაბესკირია, 2003, გვ.35).

ხათების მემკვიდრენი არიან ქაშები, ამ უკანასკნელთ კი აფხაზურ-ადიღურ ხალხთანაც აკავშირებენ და კოლხებთანაც (იხ. გრ.გიორგაძე, 2000; გრ.გიორგაძე, 2002, გვ.95-106; (პრობლემის მიმოხილვისათვის იხ. გრ.გიორგაძე, 2002, გვ.89-93); შდრ.: ქაშები დიდი ხნის მანძილზე ეომებოდნენ მოსულ ხეთებს. ამავე ტერიტორიაზე წელთაღრიცხვათა მიჯნაზეც აქტიურად ჩანან ქართველური ტომები; შემთხვევითი არც ის ჩანს, რომ, ქართული ტრადიციით, კაბადოკიელი წმინდანები ქართველთა უახლოეს წინაპრებად მიიჩნევიან (იხ. ზ.გამსახურდია, 1991, გვ.37).

დამოწმებულ ლიტერატურაში საყურადღებო არგუმენტები წარმოდგენილი როგორც ხათური ენისა და ჩერქეზულის (resp. აფხაზურ-ადიღურის), ასევე ხათურისა და ქართველურის გენეტური სიახლოვის ასპექტით; ეს კი იძლევა საფუძველს, ვთქვათ:

ხათური ენა ახლო მონათესავეა საერთო იბერიულ-კავკასიური კონტინუუმისა; იბერიულ-კავკასიელი ხალხის ენა-კილოები ხათურის პარალელურად არსებობდა და რამდენიმე ათეული ენის სახით დღემდე შემონახული; შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ხათურთან საზიარო ენობრივ-ლექსიკური მოვლენები შემოგვიანახა როგორც თანამედროვე ჩერქეზულ-აფხაზურ-ადიღურმა, ასევე ქართველურმა ენობრივმა სამყარომ.

ხურიტული და იბერიულ-კავკასიური:

ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ხურიტულად მოლაპარაკე ხალხს თავისი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ჰქონდა ჩრდილო მესოპოტამიაში; ძვ.წ. XVI საუკუნიდან მის სახელმწიფოს ერქვა **მითანი**, ხოლო ძვ.წ. IX-VI საუკუნეებში - **ურარტუ**.

ხურიტული ენაც აგლუტინაციური და ერგატიულია. სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია მტკიცება ხურიტული და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური ენების ნათესაობისა (ი.ბრაუნი, გ.კლიმოვი, ი.დიაკონოვი, ს.სტაროსტინი...); მიუთითებენ **ხურიტულ და ნახურ-და-დესტურ** ათეულობით საზიარო ლექსიკურ ერთეულს და განიხილავენ მორფოლოგიურ ერთეულთა მსგავსებას (საკითხის ისტორიისათვის იხ.:

ვიარცევა, 1990; მ.ქურდიანი, 2001; გრ.გიორგაძე, 2002). **ხურიტული და ქართველური ენების** ნათესაობის ვარაუდს გამოთქვამდნენ ჯერ კიდევ ს.ჯანაშია, არნ. ჩიქობავა... ამ ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა, აგრეთვე, ნ.ნოზაძისა და მ.ქურდიანის გამოკვლევები, სადაც საყურადღებო დასკვნებია წარმოდგენილი ხურიტულ-ქართველური ენების ნათესაობის სამტკიცებლად; კერძოდ, ლაპარაკია მოქმედებითი გვარის მიმღობის წარმოების, დეპონენსების, რეზულტატიური დროების, ზმნის პოლიპერსონალიზმისა და თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების მსგავსება-იდეტურობასა და მრავალრიცხოვან ლექსიკურ პარალელებზე (ნ.ნოზაძის მოსაზრების შესახებ იხ. გრ.გიორგაძე, 2002, გვ.74-76). სანიმუშოდ მოვიყვანთ მ.ქურდიანის დასკვნას:

“ხურიტულსა და ურარტულს თანხმოვანთა პირველადი ჰარმონიული კომპლექსები ახასიათებთ და იგივე მახასიათებელი მათი ფუძე-ენისთვისაც რეკონსტრუირდება. თანხმოვანთა ჰარმონიული დეცესიური კომპლექსები ამ ტიპისა არ არის დამახასიათებელი აღმოსავლურ-კავკასიური (ნახურ-დაღესტური) ენებისთვის არც სინქრონიში და არც დიაქრონიში - ის არ რეკონსტრუირდება არც საერთო-ნახურ, არც საერთო-დაღესტურ ქრონოლოგიურ დონეზე და, მით უმეტეს, არც საერთო-ნახურ-დაღესტური (აღმოსავლურ-კავკასიური) ფუძე-ენის დონეზე. ასეთი სისტემა პრინციპულად უცნოა აღმოსავლური კავკასიური ენებისთვის. მსგავსი სისტემა აღმოსავლური ენებიდან მხოლოდ ქართველურ (სამხრეთ-კავკასიურ) ენებში გვაქვს სინქრონიში და ის დიაქრონიშიც აღდგება საერთო-ქართველური ფუძე ენის დონეზე“ (მ.ქურდიანი, 2001, გვ.183-184; მ.ქურდიანი, 2003, გვ. 70-71).

შენიშვნა: შდრ.: მრავალ ლექსიკურ ერთეულთა გარდა, ერთგვარია: ქართველური და ურარტული ენების ბრუნვების რაოდენობა (ზოგი ბრუნვის ყალიბიც კი ემთხვევა), ერგატივისა და ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობის მიმართება, ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელის საშუალებით ზედსართავი სახელის წარმოება, ნაწილობრივ ზმნის სუფიქსაცია და სხვ. (ნ.მარი, 1917, გვ.131-135; გ.მეზინიანი, 1927, გვ.111-115; გ.წერეთელი, 1939, გვ.9; გ.მელიქიშვილი, 1960, გვ.53-60, 79).

ჩვენი აზრით, როგორც უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ერთი მხრივ, ხურიტული ენისა და ნახურ-დაღესტურის, მეორე მხრივ კი - ხუ-

რიტულისა და ქართველურის სიახლოვე, მიმათითებელია ყველა ამ ენის (შესაბამისად, ამ ენათა მფლობელი ხალხების) ნათესაობისა: **ხურიტული და იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთეულები ერთმანეთის მონათესავეა და ხათურთან ერთად სათავეს იღებს საერთო წინააზიურ-კავკასიურ ენობრივ ველში.**

სამეცნიერო ლიტერატურაში, სულ მცირე, ერთი საუკუნეა, გრძელდება დისკუსია ცალკეული **იბერიულ-კავკასიური და შუმერული** ენების ნათესაობის რეალურობის შესახებ; ბევრი ლექსიკური პარალელია გამოვლენილი შუმერულსა და ქართველურში (იხ., მაგ., ა.სეისის, კ.კრამერის, ი.კარსეთის, მ.წერეთლის, ჯ.შარაშენიძის, ჰ.ფენრიხის და მრავალ სხვათა მოსაზრებები და გამოკვლევები; ლიტერატურისათვის იხ.: არნ.ჩიქობავა, 1979, გვ.257-307; გრ.გიორგაძე, 2002, გვ.22-27). კვლევის ამ ეტაპზე აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ამ მიმართულებითაც მეტად პერსპექტიულია მეცნიერული კვლევა-ძიება.

ქართველური ენა-კილოებისა და წინააზიურ-ეგეოსური ენების ნათესაობის თვალსაზრისით საკითხის ისტორია და საინტერესო მასალა წარმოდგენილია რ.გორდენიანის (1980, 1985), თ. გამყრელიძისა და ვ.ივანოვის (გვ.892-894) ფუნდამენტურ ნაშრომებში, თუმცა მათ ეს მასალა ნასესხობებად მიაჩნიათ.

უთუოდ საყურადღებოა, აგრეთვე, ზ.გამსახურდიას დაკვირვებები; მაგ., მისი აზრით, “**ტარ-** ფუძიდან ნაწარმოები უძველესი სახელები და ტოპონიმები გვხვდება ჯერ კიდევ პალეო-მედიტერანულ და პალეო-კავკასიურ (კოლხურ) სამყაროში. ფუძე **ტარ** ღვთაების აღმნიშვნელია და მისგან არის ნაწარმოები უძველესი მცირეაზიური ამინდისა და ჰექა-ქუხილის ღვთაებების სახელები, რომელთაც ვეფხისტყაოსანებმა გამოახვდნენ უძველესი საკულტო მღვიმეების კედლებზე (შდრ., შოთა რუსთველის “ვეფხისტყაოსნის” მთავარი გმირი - **ვეფხისტყაოსანი ტარიელი**). **თარუ** ეგეოსურ-ანატოლიური ფუძეა, ელვა-ჰექის ღვთაების აღმნიშვნელი (აქედან მომდინარეობს ქართული სიტყვა “ტაროსი” - ამინდის აღმნიშვნელი)... ფუძე **თარ** პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური და მცირეაზიური ენობრივი სამყაროდან მოდის და წარმოადგენს მისტერიათა საკრალურ სიტყვას, თეონიმს, ღვთაების სახელს, კერძოდ, **მცირეაზიურ ტარუსს**, ჰექა-ქუხილისა და ამინდის ღვთაების სახელწო-

დებას, რომელსაც ვეფხისტყაოსნად გამოახვდნენ უძველეს მცირეაზიურ (ანუ პროტოქართულ) მისტერიებსა და საკულტო მღვიმეებში. აქედან წარმოდგა კაპადოკიურ ენაში სიტყვა “ტარჰუალა“, რაც ძლევის, გამარჯვებას ნიშნავს. ეს ფუძე პრე-სემიტური, პრე-ინდოევროპულ და პრე-ქამიტურ ენებსა და კულტურებს უკავშირდება, ხოლო ხეთურში, სანსკრიტში, აქადურში და სხვა სემიტურ ქვეყნებში, ასევე სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში აქედან უნდა იყოს გადმოსული“ (ზ.გამსახურდია, 1991, გვ.242-245; იხ., აგრეთვე: რ.გორდენიანი, 1970, გვ.37; გრ.გიორგაძე, 2002, გვ. 84). მ.ჩუხუას აზრით (2003, გვ.73), საკუთარ სახელ **ტარიელს** შესატყვისობები ეძებნება ქართველურ დიალექტებშიც; კერძოდ, შდრ.: სამწიგნობრო ქართული **ტარიელი** - ზან. **ტორო/ტურუ/ტორუა** (შდრ.: ჰან., ტარონი); სვან. **ტერ(ე), ტარჷ/ტერჷ...**

პელაგურ-ეტრუსკულ-ქართველური საერთო ენობრივი შთამბეჭდავი მასალაა წარმოდგენილი აგრეთვე რ.გორდენიანისა (1970) და გ.ქავთარაძის (1985) ნაშრომებში.

შეიძლება დავასკვნათ: ჯერ კიდევ XIX საუკუნის მკვლევართა მიერ ნავარაუდევ წინარებერძულ-წინააზიურ-ქართველურ-ჩრდილოკავკასიურ ენობრივ-ეთნიკურ ნათესაობას, რომელიც სამეცნიერო პრობლემად აქციეს ნ.მარმა, ივ.ჯავახიშვილმა, ს.ჯანაშიამ, არნ.ჩიქობავამ და სხვებმა, უფრო და უფრო მეტი არგუმენტი უჩინდება...

კავკასიურ-წინააზიური (ანლოაღმოსავლური) ენობრივ-ეთნიკური ერთობის დივერგენციის სავარაუდო ქრონოლოგია, ჩვენი აზრით, ასე გამოიყურება:


ძვ.წ. VII-IV ათასწლეულები: ანლოაღმოსავლური ენობრივი სამყარო;

ძვ.წ. IV-II ათასწლეულები: იბერიულ-კავკასიური, ხურიტული, ხათური... ენობრივ-კულტურული ველების წარმოქმნა-არსებობა;

ძვ.წ. I ათასწლეული: ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყაროს ჩამოქრწვა...

შენიშვნა: ვგულისხმობთ, რომ შიდაენობრივი დივერგენციის პარალელურად, ყველა დროში მიმდინარებოდა ენათა მრავალწახნაგოვანი კონვერგენციული პროცესები, რომლებიც პირდაპირპროპორციულია ეთნოსთა შერევის ხარისხისა. ძველ თუ თანამედროვე კავკასიურ და წინააზიურ ენებში (ინდოევროპული და სემიტური ენების ჩათვლით) შთამბეჭდავია **სუპერსტრატუ-**

ლი, სუბსტრატული და ადსტრატული ფენები.
ჩვენი მსჯელობის შესაბამისად, იბერიულ-კავკასიური და წინააზიური ძველი ენების მიმართების ამსახველი სქემა შემდეგი სახით წარმოსდგება:



შდრ., მ.ჩუხუას სქემა, რომელიც დაიბეჭდა 2003 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში: “ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი”; ამ სქემის მიხედვით, წინარეიბერიულ-კავკასიური (ალაზოდიული) ენისგან მომდინარენი არიან:

- შუმერულ-იბერიულ(ქართველურ)-ეტრუსკულ-პელაზგური ერთობა,
- ხათურ-აფხაზურ-ადიღური ერთობა,
- ჰურიტულ-ურარტულ-ნახური ერთობა,
- ლელეგურ-ალბანურ-დაღესტნური ერთობა,
- ბასკურ-კორსიკულ-კელტ-იბერიული... ერთობა.

ვეიქრობთ, შეუძლებელია სხვადასხვა ჯგუფებად წარმოვიდგინოთ, ერთი მხრივ, ხათურ-ჩერქეზული, მეორე მხრივ, ქართველურ-შუმერული, მესამე მხრივ კი - ჰურიტულ-ნახურ-ალბანურ-დაღესტნური; როგორც ტერიტორიული, ასევე, ენობრივ-კულტურულ-ანთროპოლოგიური პარალელები უფრო მეტ საფუძველს იძლევა, ცალკეულ ენობრივ ერთობებად განვიხილოთ:

- იბერიულ-კავკასიური (აღმოსავლეთიბერიული),
- ხურიტულ-ურარტული,
- შუმერული,
- ხათურ-დასავლეთიბერიული...

2.2. აიეტიდან ფარნავაზამდე: კოლხური კულტურა“;

აიეტის ქვეყნის შესაძლო ოფიციალური ენის - საერთოქართველური ენის - თეორიული მოდელი და არსებობის დრო

2.2.1. კოლხური კულტურის საზღვრების საკითხი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით

არქეოლოგთა და ეთნოლოგთა თანამედროვე გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში თვისობრივად ერთგვარი – ძელური ტიპის მონოგამიური დასახლებებია; განსხვავებას ქმნის მხოლოდ ნაგებობათა გარეგნული ფორმა, რომელიც შეპირობებულია კლიმატური პირობებით (პ.ბუხრაშვილი, 2003, გვ.122-124, 199-207). II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ჭოროხის ხეობასა და მტკვრის ზემოწელში უკვე დასტურდება კოლხური კულტურის ელემენტები; მაგ., ყარსის მუზეუმში დაცულია ისტორიული საქართველოს პროვინციაში - არტაანის რეგიონში - ნაპოვნი II ათასწლეულის შუა პერიოდის კოლხური კულტურის ნიმუშები; ანალოგიური მასალაა ცენტრალურ ქართლშიც (იხ. სამთავროს გვიანბრინჯაო-ადრერეკინის კერამიკის იდენტური მასალა):

ი.გაგოშიძისა და ჯ.აფაქიძის გამოკვლევებმა სავესებით დაადასტურა ბ.კუფტინის მოსაზრება, რომ შიდა ქართლის არქეოლოგიური მასალა კოლხური კულტურის ორგანული ნაწილია: “ათასწლეულიდან მოყოლებული, ტანტიძირისა და ცხინვალის რეგიონის არქეოლოგიური მასალა მხოლოდ კოლხური კულტურის “ფილტრაციით” ვერ აიხსნება; ქართლის იბერია უშუალო მონაწილეა დიდი კოლხური კულტურისა“ (ი.გაგოშიძე, 1964, გვ.86; ი.გაგოშიძე, 1997; ი.გაგოშიძე, 2003; ჯ.აფაქიძე, 2002).

ალ. რამიშვილის დასკვნით, II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში კოლხური კულტურა ფართოდაა გავრცელებული “მთელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე“, ხოლო “თლის სამაროვანზე გამოვლენილი მატერიალური კულტურა, ძირითადად, კოლხურ-ყო-

ბანურ სამყაროსთან ჩანს დაკავშირებული“ (ალ. რამიშვილი, 1999, გვ.130). შდრ., აგრეთვე: “II ათასწლეულში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დომინირებს ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურა, მაგრამ I ათასწლეულის დასაწყისიდან აქ მატერიალური კულტურის ხასიათი მკვეთრად იცვლება და კოლხური ელემენტების საფუძველზე ყალიბდება“ (ვ. ლიჩელი, 1999, გვ.106).

აქვე, საყურადღებოა მ.აბდუშელიშვილის დასკვნა: **უძველესი პერიოდიდან რკინის ხანის ჩათვლით, საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის შედგენილობაში რაიმე არსებითი ძვრები არ მომხდარა.** ამიერკავკასიის მონაცემების “მსგავსი ანთროპოლოგიური ტიპი შეინიშნება, აგრეთვე, კავკასიის ქედის გადაღმა, ყოზანის კულტურის მატარებლებში“ (მ.აბდუშელიშვილი, 1987, გვ. 27).

კოლხურ-ყოზანური კულტურის გავრცელების მთელ არეალსა და ქრონოლოგიურ საზღვრებს თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლხური კულტურის შემქმნელი მოდგმის თუ სახელმწიფოს პოლიტიკურ-კულტურული გავლენის თავდაპირველი ველი მოიცავდა შავიზღვისპირეთს სინოპიდან სოჭამდე, ჭოროხის ხეობას, მთელ დასავლეთ საქართველოს, მტკვრის ზემოწელს მცხეთის ჩათვლით, ლიახვის ხეობას და ჩრდილო კავკასიის ნაწილს; შესაბამისად, ნაკლებსარწმუნოა მოსაზრება, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნეებში “უნდა გავრცელებინა თავისი ძალაუფლება კოლხურ სახელმწიფოებრიობას აღმოსავლეთ საქართველოზეც“ (ი.გაგოშიძე, 1965, გვ.87; შდრ., ტ.ფუტყარაძე, 1999, გვ.16; ტ.ფუტყარაძე, 2000, გვ.330-332; ი.გაგოშიძე, 2003, გვ.95). შდრ.: ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ვარაუდობენ, რომ კოლხური კულტურის საზღვრები მოიცავდა II ათასწლეულში მცხოვრები ქასქების/მუსქების/მოსხების, შესაბამისად, ძვ.წ. IV-III საუკუნეების მოსხიკეს მოსახლეობის განსახლების ტერიტორიასაც მდინარე ჰალისის აუზამდე (ნ.ხაზარაძე, 1984, გვ.193); აქვეა მტკიცება (გვ.194), რომ **“ზემო ევფრატისპირეთში ძვ.წ. XII საუკუნეში მოსული მუშქები, ასევე ძვ.წ. X საუკუნის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ ხართაფუს ლუვიურ-იეროგლიფურ წარწერებში მოხსენიებული მუსქებიც ორგანულად უკავშირდებიან იმ რეგიონს, სადაც, ძველი ბერძნული წერილობითი წყაროების მოწმობით, ქართველური, სახელდობრ, მოსხურ-მესხური წარმოშობის ტომები იყვნენ განსახლებული“...**

ნიშანდობლივია, რომ მუშქების ტერიტორია და ისტორიული კაბადოკია ერთმანეთს გარკვეულწილად ფარავს... ლოგიკურად დაისმება საკითხი მუშქებისა და კაბადოკიელების ნათესაობის შესახებაც (შდრ., იოსებ ფლავიუსი: **“მოსხებს ახლახან კაბადოკიელები ეწოდათ“**). ამ ფონზე, უკვე საყურადღებო არგუმენტად გამოდგება სტრაბონის ცნობა მოსხების ტერიტორიის გვიანდელი დანაწილების შესახებ (წელთაღრიცხვათა მიჯნაზე **მოსხების ქვეყნის** ერთი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე - იბერებს, მესამე - არმენიელებს). მოსხების ქვეყნისა და ძველი კოლხეთის იდენტიფიკაციის, აგრეთვე, **ლევკოთეას** ტაძრის ლოკალიზაციის საკითხის მიმოხილვისათვის იხ., ა.იოსელიანი, 1973). ვფიქრობთ, მუშქების, მესხების (მოსხების) და კოლხების იგივეობა - **ქართველური წარმომავლობა** უდავოა (შდრ.: სათანადო არგუმენტების გარეშე, მუშქებს პროტოარმენებად თვლის ი.დიაკონოვი; იხ., ი.დიაკონოვი, 1985).

ლოგიკურია ვარაუდი, რომ კოლხური არქეოლოგიური კულტურა მოიცავდა ძველი კოლხას საზღვრებს (ეს კულტურა შეიქმნა კოლხას სახელმწიფოში):

ურარტული და ასურული წყაროების მიხედვით, II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არსებობდა კოლხას სამეფო, რომლის სამეფო ქალაქი ჭოროხის ხეობაში იყო **ილდამუსა**. ი. ჯავახიშვილის, გ. მელიქიშვილის, გ. იმნაძისა და სხვათა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ **კულხა/კოლხა** ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ისტორიულ **კოლასთან** - ერთი ქართველური ოლქის სახელთან, იგი მრავალ ტომს აერთიანებდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ნ.მარის მიერ დასმულია საკითხი **ილდამუსასა და არტანუჯის** იგივეობის შესახებ; ამ დაკავშირების დამატებით არგუმენტად შეიძლება გამოდგეს წარმოდგენილი ორი სახელის ფონემატური მსგავსება: თანხმოვანთა ფაქტობრივად იდენტური შემადგენლობა და ხმოვანთა დიდი მსგავსება (ფონეტიკურად პრობლემურია მხოლოდ პირველი ხმოვნის საკითხი)... აქვე საყურადღებოა დ.ხახუტაიშვილის დასკვნა: **კოლხას შექმნაში არსებითი როლი უნდა შეესრულებინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, სადაც რკინის წარმოების ცენტრი იყო** (დ.ხახუტაიშვილი, 1995, გვ.70-71). მიჩნეულია, რომ ჭოროხის ხეობა მეტალურგიის ცენტრი იყო: “ასრად საქარ-

თველოში არ არის აღმოჩენილი ისეთი რაოდენობით ადრეული სახეობის ცულეების დამამზადებელი ყალიბები, როგორც აჭარის ტერიტორიაზე; სახელდობრ, საქართველოში აღმოჩენილ ყალიბთაგან 1/3 აჭარაზე მოდის“ (მ.ინაძე, 2000, გვ.113).

არქეოლოგთა დასკვნით, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის პერიოდში (ძვ.წ. XIII-IX სს) დასავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში სხვა არქეოლოგიური კულტურა და აღმოსავლეთში სხვა; ამავე დროს ფაქტია, ადრექრისტიანული პერიოდის ჩათვლით, კოლხური კულტურა შთაბეჭედავადაა წარმოდგენილი არა მხოლოდ სამხრეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (გ.ჯაფარიძე, 2002), არამედ ქართლ-კახეთის ცენტრალურ ნაწილსა და ჩრდილოკავკასიაშიც კი (იხ. ზემოთ). თუ გავითვალისწინებთ, რომ ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე ქართველური მოდგმისა და კულტურის ცენტრი უფრო სამხრეთითაა საგულვებელი, უნდა დავუშვათ, რომ კოლხური კულტურის გავრცელების ველი ძირითადად ემთხვევა ქართველურ ენობრივ სამყაროს; შდრ., კოლხურ-ყოზანური კულტურის საზღვრები: სინოპი, ყოზანი, ბიჭვინთა (სოჭამდეა კოლხური თეთრის ველი); შდრ., ლეონტი მროველი: **ქართლი - ხუნანიდან ვიდრე სპერის ზღვამდე...** აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის მატერიალური მასალა უფრო შეიძლება ასახავდეს ქართველურის მონათესავე სხვა ტომების კულტურას.

ნიშანდობლივია: გ.მელიქიშვილის აზრით, **კოლხი საერთოქართველია**, ზოგადქართველია (იხ., ნარკვევები, I, გვ. 432); შდრ., აგრეთვე: მ.ინაძის (2001, გვ.96-97) დასკვნით, ე.წ. კოლხური სკეპტუხები არ იყო ტომობრივი გაერთიანებები; ამგვარივე ავტონომიური წარმონაქმნები იყო ქართლში; შდრ., ფარნავაზის სახელმწიფო ამავე (ტერიტორიული) პრინციპითაა დაყოფილი საერისთავოებად (მ.ინაძე, 2002, გვ.103).

კოლხას შესახებ ორიგინალური მსჯელობაა წარმოდგენილი ა.ბილლის ნაშრომში (ა.ბილლი, 2003); მოვიყვანთ მის რამდენიმე დებულებას:

- კოლხეთის სამეფოს არსებობა, რაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც ფაქტი, წყაროებით არ დასტურდება;

- ამ რეგიონში პირველი ქართული სახელმწიფო ყალიბდება

რომაელების, სარმატებისა და ალანების აქტივობის შემდეგ ქრისტემდე II საუკუნის დასასრულს;

- საქართველო შავი ზღვის ნაპირებზე ჩამოყალიბებულ იმ ბერძნულ-სკვითური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც განსაკუთრებულად განვითარდა სწორედ ევრაზიელი მომთაბარეების ზეგავლენის გამო...(ა.ბილლი, 2003, გვ. 54-62).

ა.ბილლის ამ ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში აღმოჩენილი ადრეული სამარხების მასალები, მაგრამ სათანადოდ არაა შესწავლილი ისტორიული საქართველოს მთელი სივრცე; გარდა ამისა, საკმარისად გათვალისწინებული არ არის ბერძნული, ასირიული, ურარტული, ქართული (და სხვა) წერილობითი წყაროები და არც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული არგუმენტირებული მოსაზრებები. პ.ბუხრაშვილის მართებული შენიშვნით, ა.ბილლის მიერ **“მომიზეზება იმისა, რომ იგი არ ფლობს ქართულ ენას, არგუმენტად არ გამოდგება“** (პ.ბუხრაშვილი, 2003, გვ. 63-66).

ვფიქრობთ, საკამათო არ არის, რომ ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან კავკასიასა და ჩრდილო ანატოლიაში არსებობს ქართველური სახელმწიფოები; ერთ-ერთი იყო **აია/კოლხა**, რომლის სახელსაც არგუმენტირებულად უკავშირებენ კავკასიაში რეალურად არსებულ არქეოლოგიურ კულტურას.

2.2.2. კოლხური კულტურის შემქმნელი ეთნოსის ენის საკითხი

არქეოლოგიური კულტურა თავისთავად არც ერთ ენაზე არ მეტყველებს, ამდენად, კერამიკა თუ ლითონის ნაწარმი რაიმე მტკიცების საშუალებას არ იძლევა; მატერიალური კულტურის მემკვიდრეობითმა ხასიათმა მხოლოდ გარკვეული ეთნოკულტურული და პოლიტიკური ველის არსებობაზე შეიძლება მიგვანიშნოს. როგორც უკვე იყო აღნიშნული, არქეოლოგიური კულტურის შემქმნელი ხალხის ენის ხასიათზე წარმოდგენა შეიძლება მოგვცეს ან კონკრეტულმა წერილობითმა ძეგლებმა, ან ლინგვისტური ანალიზის შედეგებმა; კოლხური კულტურის ენის დადგენის მცდელობისას ლინგვისტებს ორი ტიპის არგუმენტები მოჰყავთ; რამდენად მყარია ისინი? განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

სამეცნიერო ლიტერატურაში კოლხური კულტურის შემოქმედი ეთნოსის შესახებ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველი მოსაზრება გამოთქვა ი.დიაკონოვმა: მისი აზრით, “კოლხური კულტურა თავისი გავრცელებულობის მთელ არეალზე, მათ შორის, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც და სამხრეთ აღმოსავლეთ ორდუმდე **დასავლურ-ქართულ ეთნოსს** ეკუთვნის“ (ი.დიაკონოვი, 1968, გვ.120,106); ეთნოსის შესახებ გამოთქმულ ამ ვარაუდს არავითარი დასაბუთება არ ახლავს (ამის შესახებ იხ. თ.მიქელაძე, 1974, გვ.74). აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ი.დიაკონოვის მსჯელობაში არ ჩანს დასავლურ-ქართული ეთნოსის ცალკე ერთეულად გამოყოფის არგუმენტი; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ეყრდნობა გ.კლიმოვის მიერ 1952 წელს გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საერთოქართველურ მოდგმას 40 საუკუნის წინ გამოეყო სვანური ენა, ხოლო 28 საუკუნის წინ - ზანური ენა.

ტოპონიმისა და არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე თ.მიქელაძე შეეცადა ი.დიაკონოვის აზრის დასაბუთებას; ზანურისა და სვანურის გამოყოფის დათარიღებისას ის დაეყრდნო გ.დეტერისის, თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის აზრს საერთოქართველურიდან ჯერ სვანურის, შემდეგ კი ზანურის გამოყოფის შესახებ. არქეოლოგიური მასალის მისეული ანალიზი ფასეულია, მაგრამ ტოპონიმთა ირგვლივ ლინგვისტური მსჯელობა ბევრ უპასუხო კითხვას ტოვებს, შესაბამისად, დასკვნებიც მეტად საეჭვოა (კრიტიკული ანალიზი იხ. ქვემოთ; იხ., აგრეთ-

ვე, ტ.ფუტყარაძე, 2002), მაგალითად, გაჭირდება მისი შემდეგი დებულების გაზიარება: “**ზანურენოვანი კოლხები რიონის ქვემო წელზე უკვე III ათასწლეულის დასაწყისში უნდა ვივარაუდოთ**“ (თ.მიქელაძე, 1974, გვ.72)...

3000-5000 წლის წინ სვანურის, ზანურ-ქართულისა და ზანურის არსებობას თანამედროვე მეცნიერთა ერთი ნაწილიც ვარაუდობს; მოვიყვანთ ციტატებს ბოლო პერიოდის სამი გამოკვლევიდან:

დ.ლოსაბერიძე: ძვ.წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევარი მიჩნეული უნდა იქნას საერთოქართველური ენიდან სვანური ენის გამოყოფის საწყის ეტაპად; სვანური მოსახლეობა განსახლებული იყო კოლხეთის დაბლობზე, ხოლო ქართულ-ზანური ერთობა - რიონ-ყვირილასა და ქართლის რეგიონში; “დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რეგიონთა (მესხეთი, შიდა ქართლი) მსგავსებას ადასტურებს ანთროპოლოგიური მონაცემებიც“ (დ.ლოსაბერიძე, 1992, გვ.230-231).

შენიშვნა: დ.ლოსაბერიძის თავისთავად საინტერესო გამოკვლევა ენათა დივერგენციის დაუსაბუთებელ სქემას ეყრდნობა: ავტორი უკრიტიკოდ იღებს გლოტოქრონოლოგიური მეთოდით მიღებულ მეტად სათუო შედეგებს და აცხადებს, რომ ძვ.წ. IV ათასწლეულიდან უკვე არსებობდა **სვანური და ქართულ-ზანური** ენები; შესაბამისად, ცდილობს, სვანურ და ქართულ-ზანურ “ენათა” მფლობელ “ეთნიკურ ერთობებს” მოარგოს იმდროინდელი არქეოლოგიური ლოკალური ვარიანტები, რომლებიც, სულაც, **გეოგრაფიული პირობებით შეიძლება იყოს განსაზღვრული**.

თ.გამყრელიძე: ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში უკვე არსებობდა მეგრულ-ლაზურის წინაპარი “ზანური“ დიალექტი, რომელზედაც “ტყავი“ აღინიშნებოდა **ტყოვი/ტკოვი** სიტყვებით; აია-ქვეყნის მეფე აიეტი და მისი მემკვიდრენი... დასავლურ-ქართულ დიალექტზე მეტყველებდნენ, რომლის დღევანდელი გავრცელებაა ჩვენთვის ცნობილი მეგრული და ლაზური (თ.გამყრელიძე, 1998, გვ.3).

ო.ლორთქიფანიძე: “იქმნება მყარი საფუძველი მტკიცებისათვის, რომ არქეოლოგიურად დადასტურებული ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის ეთნოკულტურული სისტემა ეკუთვნის დასავლეთ საქართველოს წამყვან ეთნოსს, რომელსაც ბერძენი და რომაელი ავტორები მოიხსენიებენ სახელწოდებით: “კოლხები“, ხოლო მათ

ქვეყანას - კოლხიდად. **კოლხები** კი აღიარებულნი არიან დასავლურქართულ ეთნოსად, რომელთა ენა - ზანური ანუ მეგრულ-ზანური ენა წარმოიქმნა საერთოქართველური ფუძე ენის დიფერენციაციის შედეგად“ (ო.ლორთქიფანიძე, 1999, გვ.113)... თავისთავად ცხადია, ცნობილი არქეოლოგის დასკვნა ემყარება ლინგვისტთა, კერძოდ, გ.კლიმოვისა და თ.გამყრელიძის მოსაზრებებს.

XX საუკუნის 90-იან წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავდა განსხვავებული მოსაზრებაც; კერძოდ, რ.გორდეზიანის აზრით, ლეგენდარული კოლხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არა-დიფერენცირებულ **ქართულ-ზანურ ენაზე** ლაპარაკობდა; სწორედ ეს ენაა კოლხეთის შიდაოფიციალური ენა (რ.გორდეზიანი, 1993, გვ.38-39). ავტორი ამ დასკვნებს აკეთებს ტერმინ **ფასისის** ანალიზის საფუძველზე: ჰესიოდეს (VIII-VII ს.ს.) დროს დადასტურებული “ფასისი” ამკარად დღევანდელი **ფოთი** (← ფათი) ტოპონიმის ექვივალენტია, ე.ი. “ზანური ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო” - ასკვნის რ.გორდეზიანი (იქვე გვ.39).

როგორც ვნახეთ, კოლხურ-ყობანური კულტურის გავრცელების არეალი ფართოა; იგი მოიცავს: ჰოროხის ხეობას, მთელ დასავლეთ საქართველოს, მტკვრის ზემოწელს მცხეთის ჩათვლით, ლიახვის ხეობას და ჩრდილო კავკასიის ნაწილს; ძვ.წ. I ათასწლეულში აქ ბევრი ქართველურ-კავკასიური ტომი ცხოვრობდა; ბუნებრივია, მათ თავ-თავიანთი ენა-კილო ჰქონდათ. **სამწიგნობრო ენის არარსებობის პირობებში შეუძლებელია, დიდ არეალზე განივრცოს და ხანგრძლივი დროით უცვლელად შენარჩუნდეს ერთი ენა**; მრავალი მონათესავე დიალექტური ერთეულის პირობებში იქმნება კოინე, რომლის სიმყარე დამოკიდებულია მონათესავე ტომთა ურთიერთობის ხარისხზე, საერთო სახელმწიფოს/კულტურის სიძლიერესა და წერილობით ფიქსაციასზე. **ლოგიკურია ვიფიქროთ**, რომ ფართოდ გავრცელებული კოლხური არქეოლოგიური კულტურის პარალელურად არსებობდა საერთოკოლხური (ქართველური) ენობრივი კოინე, რომელსაც პირობითად **საერთოქართველური ენა** შეიძლება ვუწოდოთ. ჩანს, ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდში სწორედ ამ საერთოქართველური კონტინუუმის ბაზაზე იქმნება ქართველური ასომთავრული დამწერლობა (ქართველური ანბანის შექმნის ისტორიის ვერსიებისათვის იხ.: რ.პატარაძე, 1980; თ.გამყრელიძე, 1989; ლ.ჭილაშვილი, 2005).

კოლხური კულტურის ენის სტრუქტურის დადგენის თვალსაზრისით, საყურადღებოა ქართველური სამყაროდან ბერძნულში ნასესხებ სიტყვათა ჩვენება:

საუკუნეების მანძილზე ბერძნულში შესული ქართველური ტოპონიმები და ეთნონიმები, როგორც წესი, საერთოქართველური (resp. ქართული სამწიგნობრო ენის) ფონემატური სტრუქტურის მიხედვითაა წარმოდგენილი; მაგ: ჰესიოდეს მიერ VIII საუკუნეში დადასტურებულია **ფათისი** (მდრ., ფოთი); III-I საუკუნეებში გვაქვს: **კუტაისისი, სარაპანისი (მდრ., შორაპანი), ეკრე(ა)ტიკეს (ეგრისის) მიწა, აბაზკოი (აფხაზეთი), აფშილეთი, სუანი...** (განსხვავებული მსჯელობისათვის იხ. რ. გორდეზიანი, 1993, გვ.39, 48, 55, 61, 63). რ.გორდეზიანის მიერ წარმოდგენილი მასალა, ჩვენი აზრით, უფრო ადასტურებს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულს ბერძნებისთვის ცნობილი იყო სწორედ საერთოქართველური თუ სამწიგნობრო ქართული ენა: **ფათ-, ქუთაის-, სარაპანის-** და **სუან-** ფორმები, რაც გვაგარაუდებინებს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზეც, წელთაღრიცხვათა მიჯნაზეც და შემდეგაც, ბერძნებს ურთიერთობა ჰქონდათ **სისინა ა ტიპის** (საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის ანალოგიური) **ენის** მქონე ქართველობასთან. არსებობს ე.წ. თარიღიანი ტოპონიმიც: ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდის ცენტრალურ კოლხეთში **სისინა ა ტიპის ენის** არსებობას ადასტურებს ძვ.წ. VII საუკუნის შემდეგ დაარსებული ქალაქ ქუთაისის სახელის ქართველური ვარიანტები (იხ. ქვემოთ).

მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ არგონავტთა ხომალდის სახელი საერთოქართველური **ეგრ-** (ეგრისი) ძირის **არგ-** ზანური ვარიანტისგან მომდინარეობს, ამდენადაც, II ათასწლეულში ზანური არსებობდა - ამტკიცებენ ისინი... ხომალდ **არგოს** სახელის წარმომავლობა ბერძნულის მიხედვითაც აიხსნება (მდრ., ბერძნული ქორონიმი **არგოსი**, ან ბერძნული სახელი **არგოს** - “უქმი”; მდრ., ა.ურუმუძის აზრით, არგონავტი - **უქმი/მოხეტიალე მენავე/მეზღვაური** (მდრ., თ.გამყრელიძე, ვივანოვი, 1984, გვ.208).

კოლხური კულტურის ენასთან დაკავშირებით ზოგადად მაინც უნდა განვიხილოთ საერთოქართველური ენის თეორიული მოდელის საკითხი.

როგორც წესი, მონათესავე ენობრივი (დიალექტური) ერთეულე-ბისთვის ამოსავალი სტრუქტურის დადგენა ხდება ისტორიულ-მედარე-ბითი მეთოდით: რეალურად არსებული ენობრივი (ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური) სტრუქტურების შეპირის-პირებითი ანალიზით აღადგენენ საერთო (ამოსავალი) **ენის თეორიულ მოდელს**. ქართველურ სინამდვილეში რეკონსტრუქციის პროცედურას აიოლებს თხუთმეტსაუკუნოვანი წერილობითი ძეგლები და მრავალრიცხოვანი, მაგრამ სტრუქტურულად ერთგვარი დიალექტების არსებობა (დიალექტთა დაჯგუფება და ზოგადი დახასიათება იხ. ქვემოთ); თითქმის ორი საუკუნის მანძილზე **ქართველოლოგთა დიდი ღვაწლით**, ქართველურ დიალექტთა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე დადგენილია დიალექტთაშორისი ბგერათშესატყვისობები და მორფოლოგიურ-სინტაქსურ-სემანტიკური მიმართებანი; აღდგენილია პრაენის რამდენიმე ვარიანტიც; კერძოდ:

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ საერთო-ქართველური ენის ფონემატური სტრუქტურის თეორიული მოდელი ძირითადად **შუასიბილანტური რიგითა და სონანტი ბგერებით განსხვავდებოდა სამწიგნობრო ქართულისაგან** (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, პ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, მ.ქურდიანი...). პარალელურად, მრავალი გამოკვლევა დაიწერა, სადაც **ნაჩვენებია საერთოქართველური ენისა და სამწიგნობრო ქართული ენის სტრუქტურული (ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური) იდენტურობა**; კერძოდ, არნ.ჩიქობავას, გ.როგავას, ქ.ლომთათიძის, ვ.შენგელიას, თ.გვანცელაძის, მ.ჩუხუას და სხვათა აზრით, სამწიგნობრო ქართულს დაცული აქვს ამოსავალი ძირითადი სტრუქტურული მოდელები...

წარმოდგენილ მოსაზრებებს შორის ძირითად განსხვავებას **შუასიბილანტური რიგისა და სონანტების არსებობის საკითხი ქმნის**; ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს არსებული პოლემიკის მიმოხილვა (ამ პრობლემის შესახებ მალე გამოვაქვეყნებთ ცალკე გამოკვლევას); აღვნიშნავთ კი:

ჩვენი აზრით, საერთოქართველური **ძ, ც, წ, ზ, ს** სიბილანტების ორგვარი რეფლექსები ზანურ-სვანურში ლოგიკურად იხსნება ფონეტიკური ვარემოცვით, მორფონოლოგიური შეზღუდვით, საერთოქართვე-

ლურშივე პარალელური ვარიანტების არსებობით (იხ. არნ.ჩიქობავას, ვ.თოფურიას, გ.როგავას... გამოკვლევები; იხ., აგრეთვე: ტ.ფუტყარაძე, 1988; ტ.ფუტყარაძე, 1996; მ.ჩუხუა, 2003 და რ.აბაშიას მიერ 2001-2004 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები). არ არის გამორიცხული, საერთოქართველურ სიტყვათა ნაწილის ფონეტიკურ-სემანტიკური უცვლელობა ზოგჯერ განპირობებული იყოს ტერმინთა სოციალური სტატუსით; მაგ., საერთოქართველური **ცხენი** ზანურში პირვანდელი ფორმითაა შემორჩენილი (გ.როგავა, 1960); არ დასტურდება მოსალოდნელი ***ჩხანი** ვარიანტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ თანხმოვანთაგან ბგერათშესატყვისობებს გვაძლევს წინაენისმიერი აფრიკატები და სპირანტი ბგერები, რაც ამ ლინგვისტურ ერთეულთა საწარმოთქმო თავისებურებით - **ლოკალური რიგის ლაბილურობით** - უნდა აიხსნას.

ახლახან გამოქვეყნებულ ო.ქაჯაიას მეგრულ ლექსიკონში სიტყვათა დიდი ნაწილი სამწიგნობრო ენისა და ცენტრალური ქართველური კილოების ანალოგიურია (ტ.ფუტყარაძე, ე.დადიანი, 2003); ვფიქრობთ, ამ კონტექსტში ვერ გამოდგება სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტერმინები: **ბგერათშესატყვისობათა დარღვევა და სესხება**, ვინაიდან, თუკი ამდენ სიტყვაშია დარღვევა, ან ამდენი სიტყვაა “ნასესხები” სხვა ქართველური კილოებიდან თუ სამწიგნობრო ენიდან, მაშინ საკუთრივ მეგრული კილოს კუთვნილება რაღა რჩება? შესაბამისად, უფრო ლოგიკურია, ვთქვათ:

მეგრულ მეტყველებას უცვლელად შემონახული აქვს ბევრი საერთოქართველური სიტყვაფორმა; შესაბამისად, ე.წ. “ბგერათშესატყვებათა დარღვევის” ასახსნელად სრულებით არ არის აუცილებელი, საერთოქართველურში დაგუშვათ შუასიბილანტური რიგის არსებობა. შესაბამისად, **საერთოქართველურისთვის სამწიგნობრო ქართული-სებრი თანხმოვანთა სისტემა უნდა აღვადგინოთ**, როგორც ამას ვარაუდობდა არნ. ჩიქობავა.

ასევე, აშკარად **დამაჯერებელია გ.მაჭავარიანისა და თ.გამყრელიძის მსჯელობა საერთოქართველურში ი/ღ და უ/ჟ/ვ სონანტების დაშვების შესახებ** იმ დამატებით, რომ ი/ღ და უ/ჟ/ვ სონანტები დღესაც არსებობს თითქმის ყველა ქართველურ ქვესისტემაში (მსჯელობისათვის იხ. ტ.ფუტყარაძე, 1998).

სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოა აგრეთვე ქართველურ ენა-კილოთა “დაშლის” სქემა; კერძოდ, გ.დეტერსის, გ.კლიმოვის, თ.გამყრელიძის, გ.მაჭავარიანის და სხვათა აზრით, საერთოქართველურს ჯერ გამოეყო სვანური, შემდეგ, ზანურ-ქართული ერთობა დაიშალა ზანურ და ქართულ ენებად; არნ. ჩიქობავასა და ქ.ლომთათიძის ვარაუდით, **საერთოქართველურს ჯერ გამოეყო ზანურ-სვანური “შიშინა” თანხმოვნური ვარიანტების მქონე ენობრივი ერთობა, შემდეგ კი ზანურ-სვანური დაიშალა ზანურ და სვანურ ენობრივ ერთეულებად** (საკითხის ისტორიისა და პრობლემის მიმოხილვისთვის იხ. მ.ქურდიანი, 1996).

ცნობილია: საერთოქართველურთან მიმართებით, თანხმოვანთა ერთგვარი რეფლექსები აქვთ ზანურ და სვანურ კილოებს; თუკი დავუშვებთ, რომ საერთოქართველურს ჯერ სვანური გამოეყო და 1000 წლის შემდეგ ქართულ-ზანური დაიშალა ქართულად და ზანურად, წარმოუდგენელი ფაქტი უნდა ვადიაროთ: ჰიპოთეტური ქართულ-ზანური ენის თანხმოვნებმა ზუსტად იგივე რეფლექსები მოგვცა ზანურში, რაც - საერთოქართველური ენის თანხმოვნებმა 1000 წლის წინ - სვანურში. ვფიქრობთ, **ზანურ-სვანური თანხმოვანთა სისტემის ერთნაირობა მხარს უჭერს ზანური და სვანური კილოების თანადროულობას.**

ცალკე სამსჯელოა ქართველური ბგერათმეცნიერების ჩამოყალიბების (თუ დარღვევების) კონკრეტული მიზეზების ძიება:

გავრცელებული ვარაუდით, ზანურ-სვანური ბგერითი რეფლექსები წარმოიქმნა **“წარმოთქმის უკან გადაწევით”** (არნ.ჩიქობავა); ამგვარი მოსაზრების საფუძველს იძლევა $d > \text{ჯ}, \text{ჯ} > \text{ჯგ}, \text{ა} > \text{ო}, \text{ე} > \text{ა}$ ტიპის რეგულარული პროცესები.

ქართველურ ენობრივ ველში ბუნებრივია ლაბიოველარიზაციის პროცესი (შდრ., სხვა ენებში აქტიურია პალატალიზაცია, ნაზალიზაცია...); ცნობილია, რომ საერთოქართველურ თანხმოვანთა განსხვავებული რეფლექსები ზანურ-სვანურ ფორმათა მხოლოდ ერთ ნაწილში დასტურდება; კერძოდ, $d, \text{ც}, \text{წ}, \text{ზ}, \text{ს}, \text{ჯ}, \text{ჩ}, \text{ჭ}, \text{ჟ}$, შ სიბილანტები მხოლოდ საერთოქართველურ ფუძეთა ერთ ნაწილში იძლევა ბგერათმეცნიერების (მეორე ნაწილში უცვლელი რჩება). ვფიქრობთ, ამ შემთხვევებში ზანურ-სვანური რეფლექსების წარმოქმნა უნდა აიხსნას საერთოქართველურშივე ლაბიოველარიზებული ბგერების არსებობით (ჩრდილოკავკასიური ენებისთვის დამახასიათებელი და საერთოქართველურისთვისაც

ბუნებრივი ლაბიოველარიზებული ბგერების შესახებ არსებული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვასა და მსჯელობას ცალკე წარმოვადგენთ); შდრ.: თანამედროვე ყველა ქართველურ კილოსა თუ სამწიგნობრო ენაშიც **ბგერათა ჩამოთვლისას** თანხმოვნებს დაჰყვება სუსტი ლაბიალური კომპონენტი (შდრ., ქართველური: ა, ბჟ, გჟ, დჟ, ე, ჟ, ზჟ, თჟ, ი, კჟ, ლჟ, მჟ, ნჟ, ო, პჟ... და რუსული: а, бѣ, вѣ, гѣ, дѣ, е...); აქვე საინტერესოა ცნობაც, რომ ყოველი ენის საარტიკულაციო ჩვევები მემკვიდრეობითია (ზ.ჯაფარიძე, ისტრელნიკოვი, 1981).

ლაბიოველარიზებულ ბგერათა მეზობლობა ჩანს მიზეზი ზანურში საერთოქართველური ა-ს ზანურ ო-დ ქცევისა; კერძოდ, ვფიქრობთ, ზანურ დიალექტებში საერთოქართველური ა-ს ნაცვლად ო-ს წარმოქმნა განპირობებულია საერთოქართველური ა ხმოვნისა და მეზობელი თანხმოვნის ლაბიალური კომპონენტის შერწყმით: **ლაბიალიზებული თანხმოვნის ლაბიალური კომპონენტი და მომიჯნავე ა ხმოვანი გვაძლევს ო-ს.** არალაბიალიზებული თანხმოვნის მეზობლად არსებული ა ო-ს არ იძლევა. სწორედ ამ და სხვა მიზეზებით (იხ. ქვემოთ) შეიძლება აიხსნას ის მრავალი “დარღვევა“, როცა საერთოქართველური ა ზანურ კილოებში არ იძლევა ო-ს. ანალოგიური სქემით უნდა მივუდგეთ საერთოქართველური ე-ს ქართველურ რეფლექსებს: $e > \text{ა}$ პროცესსაც გარკვეული ფონეტიკური გარემოცვა აპირობებს; შდრ.: დღე - დღა, მზე - მჟა, წნეხ - ჰინახ... მაგრამ: ნემსი/ლემსი (აჭარ.) - ლემში/ლემში (ზან.), ვერძი - ერჯი, შველი - სქვერი/მსქვერი; ე-ს უცვლელობა უმლაუტით ვერ აიხსნება, ვინაიდან იგივე ბოლოკიდური ი ხმოვანი გვაქვს მრავალ სხვა შემთხვევაში, თუმცა მაინც გვაქვს საერთოქართვ. $e > \text{ზან. ა პროცესი}$ (თესლი/თასი, მოზვერი/მოზარი, კვერი/კვარი... შდრ., ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990 და სხვ.)... აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თუკი დავუშვებთ საერთოქართვ. $e > \text{ზან. ა}$ ბგერათმეცნიერების რეგულარულობას, მაშინ ზანურ კილოებში პირველადი e ხმოვანი საერთოდ არ უნდა გვქონდეს...

ლაბიოველარიზებულ ბგერათა მეზობლობა ჩანს მიზეზი საერთოქართველური ე-ს დეპალატალიზაციისა სვანურში (ე.წ. უკანა მიმართულების უმლაუტი); საერთ.ქართ. $e > \text{სვან. ე/ა}$; ლაბიოველარული ბგერის გავლენით პალატალიზაციის ხარისხის კლება სხვა შემთხვევებშიც შეი-

ნიშნება; მაგ., თ.გამყრელიძემ დაადგინა უგამონაკლისო წესი (თ.გამყრელიძე, 2000, გვ.27-28): ზანურში საერთოქართველური შ გვაძლევს სქ კომპლექსს, თუკი მას ბაგისმიერი ვ/ჟ მოსდევს: შუელი > *შქტერი > სქტერი, შაშუი > ზესქტი... ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც წყვილბაგისმიერი ბგერის გავლენით მოხდა წინა თანხმოვნის დეპალატალიზაცია.

ზანურში განხორციელებული ე > ა პროცესის მიზეზიც ლაბიალურ კომპონენტსა და სიტყვის სტრუქტურის ცვლილების სხვა ასპექტთან (სხვა ბგერის კლება აჩერებს ე > ა პროცესს?) მიმართებითაა საძიებელი; საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს.

ზანურ-სვანურში საერთოქართველურ უკანანუნისმიერ თანხმოვნებს ველარული ბგერა უვითარდებათ: ჟ > ჯგ, ჩ > ჩქ, ჭ > ჭყ; ამ შემთხვევებში ამოსავალი ჩანს საერთოქართველური **ლაბიოველარიზებული ბგერა**; შდრ., შემთხვევითი არ ჩანს, რომ ყველა ქართველურ კილოში გვაქვს ველარულ და ლაბიალურ კომპონენტთა ვარიანტული გამოვლენა: წათხ-წყათ-, ბარტყ-ბლარტ-, ბაღლ-ბღარ-, ბღერტ-ბერტყ-; ხვლიკ-ხლიკვ-, კვიც-კიცვ-, ბურთ-ბირთვ-, ჩხიკვ-ჩხვიკ-, დაწვ-ღვანწ-, და თვალ-თოლ-, ქვეყანა/ქოყანა ტიპის მონაცვლეობანი (ტ. ფუტყარაძე, 1996); გარდა ამისა, საერთოქართველურშივე ჰარმონიული კომპლექსებისა (წინაენისმიერი ხშული+უკანაენისმიერ სპირანტი) და იბერიულ-კავკასიურ ენებში ლაბიალიზებული ბგერების არსებობა საფუძველს იძლევა დაუშვავათ, რომ ქართველური დიალექტური ბგერითი რეფლექსები ასახავს საერთოქართველურშივე მიმდინარე ველარიზაცი-ლაბიალიზაციის აქტიურ პროცესებს (ქართველურ ენობრივ ველში ველარიზაცია-ლაბიალიზაციის შესახებ ვრცლად იხ. ტ.ფუტყარაძე, 1998).

შდრ.: პალატალიზებული თანხმოვნების მეზობლობაში გვაქვს დელაბიალიზაციის პროცესიც: უკანანუნისმიერი პალატალიზებული თანხმოვნების მეზობლად საერთოქართველური (ან ზანური) ო განიცდის დელაბიალიზაციას: ოცი > ეჩი, ღორი > (ღოჯი >) დეჯი (შდრ., თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ.167)... საერთოქართ. წარ-, ზან. ჭორ- > *ჭელ- > ჭილ- (შდრ., მ.ჩუხუა, 2003, გვ.354; ხმოვანთა შესატყვილობების შესახებ იხ., აგრეთვე, ქვემოთ: 2.2.3.).

ლაბიალურ, ლაბიალიზებულ თუ პალატალიზებულ თანხმოვანთა

მეზობლობა სხვა იბერიულ-კავკასიურ მონათესავე ენობრივ ერთეულებშიც ხმოვანთა განსხვავებულ რეფლექსებს აპირობებს; მაგ., **აფხაზურში ო ხმოვანი პოზიციური წარმოშობისაა**; იგი მიღებულია ა ხმოვნისგან ჟ-ს, ან ლაბიალიზებული სხვა ბგერის ა-ზე გავლენით (ქ.ლომთათიძე, 1976, გვ.49); “რიგ ნასესხებ სიტყვაში გამსესხებელი ენის ო ხმოვნის ადგილას მოსალოდნელი უნა კომპლექსის ნაცვლად გვხვდება ა, თუკი ო-ს წინ უძღვის ბაგისმიერი, შიშინა და ზოგი სხვა ბგერა (ქ.ლომთათიძე, 1976, გვ.51) და სხვა.

წარმოდგენილ საკითხზე მსჯელობისას არსებითია, გავიაზროთ ისიც, რომ მოცემულ მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის ფონეტიკურ-გრამატიკული სხვაობის მაღალი ხარისხი შეიძლება შეპირობებული იყოს არა მხოლოდ ამ ერთეულთა **ადრეული დივერგენციით** (პრაენიდან ადრეულ ეტაპზე გამოყოფით), არამედ სხვა მიზეზებითაც; კერძოდ, **ცვლილებანი შეიძლება გამოეწვია ეთნოსთა ინტენსიურ შერევებს**: კომპაქტური გადასახლებები თუ ჩამოსახლებები აპირობებს სუპერსტრატულ ან სუბსტრატულ მოვლენებს, შესაბამისად, ორივე შემთხვევაში, **სტიმული ეძლევა სწრაფ და კანონზომიერ ფონეტიკურ პროცესებს**; აქვე, შდრ., თ.უთურგაიძე, 1998, გვ. 62: “იმის მიხედვით, თუ რომელი ენა იმარჯვებს შერევის დროს, განარჩევენ სუბსტრატულ, სუპერსტრატულ და ადსტრატულ შემთხვევებს. **შერევის ყველა სახეობაში** მოქმედებს ენათა შერევის ერთი და იგივე კანონზომიერებანი“ (მაგ., ქართული და ნახური ენების შერევის ამსახველი მასალა იხ. თ.უთურგაიძე, 1966, გვ. 12).

საკუთრივ ქართველურ სინამდვილეში:

ჩვენი აზრით, საარწმუნოა, რომ დღევანდელი სვანური კილოების მეტად განსხვავებულობა საერთოქართველური ენობრივი მოდელისგან შეპირობებულია არა სვანურის სიძველით, არამედ კავკასიონის კალთებზე სხვა იბერიულ-კავკასიურ, თურქულ და ალანურ ტომთა ხშირი მიგრაციებით; ამ პროცესებმა ქართველური ენის სვანურ მიკროსისტემებში სტიმული მისცა მრავალფეროვან ფონეტიკურ პროცესებს. სვანთა მეტყველებაში დიდია სუპერსტრატულ მოვლენათა კვალი ფონემატურ სტრუქტურასა და მორფოლოგიურ ინვენტარშიც კი; მაგ., საკუთრივ ქართველური წარმომავლობის არ ჩანს: პალატალიზებული ხმოვნები, -ემ, -შტ/-ჟმ ბრუნვის ნიშნები და სხვ. შდრ., აგრეთვე, ჩერქეზული ჩანს

სვანური ძირითადი ლექსიკური ფონდის ისეთი სიტყვები, როგორცაა: მურყვამ “კოშკი“, ჩხუ “ცხენი“, მუს “თოვლი“, უჩხა “წვიმა“, ლემესგ “ცეცხლი“, ლოლდაქ “ცხვარი, ვერძი“, ფაყვ “ქუდი“ და სხვ. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისა და მსჯელობისათვის იხ.: ს.ჯანაშია, 1959, გვ.81-124; აგრეთვე, ტ. ფუტყარაძე, 1998. სუპერსტრატული დანაშრევის გარდა, სვანურში მიმდინარე აქტიური ფონეტიკური პროცესების მიზეზით შთამბეჭდავდაა შეცვლილი საკუთრივ ქართველური წარმომავლობის ფორმებიც (იხ., ნ. მარის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურას, მ. ქალდანის, გ. როგავას, ზ. ჭუმბურიძის, თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ტ. გულდავას, თ. შარაძენიძის, კ. ვაგუას, ა. ონიანის, ი. ჩანტლადის, ქ. თუთისის, რ. ბაბლუანის, გ. ვაზდელიანის, რ.ჭკადუას, რ.საღლიანის და მრავალ სხვათა ნაშრომები); ახლახან ამ თემას საფუძვლიანი გამოკვლევა უძღვნა მ. ჩუხუამ (2003).

ამრიგად, ჩვენი აზრით, საერთოქართველური ენის (აგრეთვე, სამწიგნობრო ქართულისა და თანამედროვე ქართველური დიალექტების) ძირითადი ფონემატური სტრუქტურა შემდეგი სახით წარმოიდგინება:

თანხმოვნები: ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ზ, ს, ჯ, ჩ, ჭ, უ, შ, გ, ქ, კ, ლ, ხ, ნ, ყ, ჰ, მ, ნ, რ, ლ (წინაენისმიერ ბგერებს შეიძლება ჰქონდეთ ლაბიოველარიზებული ალოფონებიც);

ხმოვნები: ა, ე, ო (შდრ., თ.გამყრელიძე, 1989, გვ.126; მისი აზრით, ზემოთ წარმოდგენილი ბგერითი სისტემა მხოლოდ არქაული ქართულისთვის იყო დამახასიათებელი);

სონანტები: ი/ე, უ/ჟ/ვ.

თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, პ. ფენრიხისა და სხვათა აზრით, საერთოქართველურ სონანტთა რიგში აღდგება მ, ნ, რ, ლ ფონემებიც. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის შრომატევადი კვლევის შედეგების შესახებ სხვაგან გვექნება მსჯელობა; სონანტებთან დაკავშირებით კი აქ აღვნიშნავთ:

პროფესიონალ სპეციალისტთა მიერ ხანგრძლივი კვლევით დადგენილი წესები საშუალებას გვაძლევს, ახლებურად შევხედოთ ბევრ პრობლემას; მაგ., თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის დასკვნით (გვ. 74-83), ძალ-ლ, მატლ-ლ, თაფლ-ლ ტიპის ფორმებს ვერ მივიჩნევთ საერთოქართველური *ძალლ-, *მატალლ-, *თაფალლ- არქეტიპების რედუცირებულ ვარიანტებად (იხ., არ.ჩიქობავა, 1942, გვ. 106-107), ვინაიდან, ასეთ შემთხვევა-

ში, არ უნდა განხორციელებულიყო ლ > რ პროცესი (შდრ.: მამალი/მუ-მული, ბალი/ბული, მხალი/მხული...): “ბოლოკიდური *ლ-ს რ-ში გადასვლის ალბათობა მეგრულ-ჭანურში მატულობის იმის მიხედვით, თუ რამდენად უახლოვდება ფონეტიკური თვალსაზრისით *ლ-ს წინამავალი ელემენტი თანხმოვნურ ელემენტს“ (გვ. 79). აქ მსჯელობის გაგრძელება ორი გზით შეიძლება: თაფლ-ლ/ვაშლ-ლ ტიპის სიტყვებში ამოსავლად გვაქვს სონანტი, რომელიც განმავანდა ზანურში (სწორედ ამ დაშვების მიხედვით, თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი და სხვები საერთოქართველურში აღადგენენ მ, ნ, რ, ლ სონანტებს), ანდა, **საერთოქართველურშივე უნდა დავუშვათ -ლ-/-რ-/-ალ-/-არ-... სუფიქსების ვარიანტულობა**: ქართველურ კილოთა ნაწილსა და სამწიგნობრო ენაში გაბატონდა ოდენ-თანხმოვნიანი ვარიანტი, ხოლო ზანურ კილოში - ხმოვნიანი, რომელმაც მეგრულსა და ჭანურ კილოებში ტრანსფორმაციით მოგვცა -ორ-/-ოლ-. საყურადღებოა ისიც, რომ შველ-, გველ-, მველ- ტიპის ფუძეებში თავდაპირველი ლ ა-სთან შედარებით ვიწრო ე-ს მეზობლად არ იძლევა რ-ს (აქ ის უფრო აღსანიშნავია, რომ ს.ქართვ. ე ზანურში არ გვაძლევს ა-ს ლ > რ პროცესის გამო). მარცვლოვანი სონანტების რეკონსტრუქციის სათულობის თვალსაზრისით აგრეთვე ნიშანდობლივია: როგორც წესი, თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის მიერ სონანტებად ჩათვლილი მ, ნ, რ, ლ თავკიდურ პოზიციაში არ იძლევა ხმოვნიან რეფლექსებს; ეს ფაქტიც თაფლ-, ძალლ-, მატლ- ტიპის ფუძეებში სონორი (და არა სონანტი!) ლ-ს სუფიქსობას უჭერს მხარს. ამკარაა: წარმოდგენილ სამ ვარაუდს შორის (სრულხმოვნიანი ფორმის რედუქცია საკუთრივ ქართულში; საერთოქართველურში სონანტი რ, ლ, ნ, მ ფონემების დაშვება; ქართველურ კილოებში -ლ-/-არ- პარალელური სუფიქსების არსებობა) უფრო ნაკლები წინააღმდეგობანი ახლავს მესამეს.

ძირითადად, არქაულ სამწიგნობრო (საეკლესიო) ქართულს ემთხვევა როგორც საერთოქართველური ენის **ბრუნვისა და მწკრივის მო-რფოლოგიური კატეგორიები**, ასევე, სახელური და ზნური პარადიგმები (მორფოლოგიური კატეგორიაა მწკრივი, ბრუნვა; ბრუნება და უღლება ფორმათა პარადიგმა; იხ. ტ.ფუტყარაძე, 1997; შდრ., ჭ.ქირია, 2003); კერძოდ, ქართველურ დიალექტთა შეპირისპირებით ჩანს, რომ ამოსავალი საერთოქართველური მოდელგებია შემდეგი ძირითადი სახე-

ლური და ზმნური სტრუქტურები (თვალსაჩინოებისათვის ზოგან მაგალითები მოგვყავს ერთ-ერთი დასავლურქართული - მეგრული - დიალექტიდანაც; საერთოქართველური ენის რეკონსტრუქციის პრინციპების, ქართველურ დიალექტთა ზოგადი დახასიათებისა და ქრონოლოგიის შესახებ იხ. ქვემოთ):

სახელის ფორმაწარმოების ძირითადი ყალიბები:

- სახელობითი (ფუძე, ფუძე+ი/0): კაც, კაც-ი, კოჩ-ი...
- მოთხრობითი (ფუძე, ფუძე+0/ნაწევარი/ნაწილაკი): თვითონ, აბრაამ, კაც-მან, კოჩ-ქ...
- მიცემითი (ფუძე+ს/ას/ან): კაც-ს, კოჩ-ს/კო-ს...
- ნათესაობითი (ფუძე+ის/იშ/ინ): კაც-ის, კოჩ-იშ...
- მიმართულებითი (ფუძე+ისა/იშა): კაც-ისა, კოჩ-იშა...
- დანიშნულებითი (ფუძე+ისად/იშოთ/იშდ): კაც-ისად, კოჩ-იშოთ...
- მოქმედებითი (ფუძე+ით): კაც-ით, კოჩ-ით...
- ვითარებითი (ფუძე+ად/ოთ/დ): კაც-ად, კოჩ-ო(თ)...

სახელის სიტყვაწარმოების ძირითადი ყალიბები:

ფუძე+სუფიქსი (კაც-ურ-ი; კოჩ-ურ-ი), პრეფიქსი+ფუძე (ნა-ტეხ-ი, ნო-ტეხ-ი), პრეფიქსი+ფუძე+სუფიქსი (მ-ხატ-ვ-არ-ი, მა-ხანტ-ალ-ი)...

ზმნური ფორმაწარმოების ძირითადი ყალიბები (საეკლესიო მწერლობის ენაში დაცულია უფრო ძველი ვითარება, მაგრამ ქართველური კილოების თვისობრივი ერთიანობის საჩვენებლად ნიმუშები მოგვყავს თანამედროვე სალიტერატურო ენისა და მეგრული კილოს I პირის მიხედვით, ქართველური კილოების მონაცემების შეპირისპირებითი ანალიზისათვის იხ. ბ.ჯორბენაძე, 1995, გვ.217-227):

სამწ. ქართ.: **წერ-ს - იწერს - იწერება**; მეგრული: **ჭარუნ-ს - იჭარუნს - ი-ჭარ-უ...**

სამწ. ქართ.: **ა-თეს-ვ-ინ-ებ-ს**; მეგრული: **ო-თას-აფ-უ-ან-ს...**

ამ შემთხვევებშიც ამოსავალი ჩანს სამწიგნობრო ქართულისათვის დამახასიათებელი ვარიანტები; შდრ., აგრეთვე, ზმნური სხვა ფორმები:

აწმყო უსრული - **პირის ნიშანი+ფუძე+თემის ნიშანი/0** (ვ-ხატ-ავ, ვ/ფ-ხანტ-უნ-ქ; მ-ხატ-ავ, მ/ფ-ხანტ-უნ-ქ).

მყოფადი - ზმნისწინი+პირის ნიშანი+თემის ნიშანი (და-ვ-ხატ-ავ, დო-ვ/ფ-ხანტ-უნ-ქ; და-მ-ხატ-ავ, დო-მ/ფ-ხანტ-უნ-ქ).

უწყვეტელი - **პირის ნიშანი+ფუძე+ოდ/დ** (ვ-ხატ-ავ-დ-ი, ვ/ფ-ხანტ-უნ-დ-ი; მ-ხატ-ავ-დ-ი, მ/ფ-ხანტ-უნ-დ-ი).

ხოლმეობითი - **ზმნისწინი+პირის ნიშანი+ფუძე+ოდ/დ** (და-ვ-ხატ-ავ-დ-ი, დო-ვ/ფ-ხანტ-უნ-დ-ი; და-მ-ხატ-ავ-დ-ი, დო-მ/ფ-ხანტ-უნ-დ-ი).

აწმყო კავშირებითი - **პირის ნიშანი+ფუძე+ოდ/დ+მწკრივის ნიშანი** (ვ-ხატ-ავ-დ-ე, ვ/ფ-ხანტ-უნ-დ-ა/ე; მ-ხატ-ავ-დ-ე, მ/ფ-ხანტ-უნ-დ-ა/ე).

მყოფადის კავშირებითი - **ზმნისწინი+პირის ნიშანი+ფუძე+ოდ/დ+მწკრივის ნიშანი** (და-ვ-ხატ-ავ-დ-ე, დო-ვ/ფ-ხანტ-უნ-დ-ა/ე; და-მ-ხატ-ავ-დ-ე, დო-მ/ფ-ხანტ-უნ-დ-ა/ე).

უსრული წყვეტილი - **პირის ნიშანი+ფუძე+მწკრივის ნიშანი** (ვ-ხატ-ე, ვ/ფ-ხანტ-ი; მ-ხატ-ე, მ/ფ-ხანტ-ი).

სრული წყვეტილი - **ზმნისწინი+პირის ნიშანი+ფუძე+მწკრივის ნიშანი** (და-ვ-ხატ-ე, დო-ვ/ფ-ხანტ-ი; და-მ-ხატ-ე, დო-მ/ფ-ხანტ-ი; გა-ვ-ი-გონე, მეგრ. **გე-ვ-გონ-ი**, შდრ., აჭარ. **გე-ვ-გონ-ე**).

II უსრული კავშირებითი - **პირის ნიშანი+ფუძე+მწკრივის ნიშანი** (ვ-ხატ-ო, ვ/ფ-ხანტ-ა/ე, მ-ხატ-ო, მ/ფ-ხანტ-ა/ე).

II სრული კავშირებითი - **ზმნისწინი+პირის ნიშანი+ფუძე+მწკრივის ნიშანი** (და-ვ-ხატ-ო, დო-ვ/ფ-ხანტ-ა/ე, და-მ-ხატ-ო, დო-მ/ფ-ხანტ-ა/ე) **შდრ. ხმოვანბრეფიქსიანი ზოგი ზმნური ყალიბი:**

I - პირის ნიშანი+ფუძე+თემის ნიშანი/0 (მ-ი-ხატ-ავ-ს, მ-ი-ხანტ-უ; ვ-უ-ხატ-ი-ვარ, ვ-უ-ხანტ-უ-ქ).

II - ზმნისწინი+პირის ნიშანი+ფუძე+თემის ნიშანი/0 (და-მ-ი-ხატ-ავ-ს, დო-მ-ი-ხანტ-უ; და-ვ-უ-ხატ-ი-ვარ, დო-ვ-უ-ხანტ-უ-ქ).

III - პირის ნიშანი+ფუძე+მწკრივის ნიშანი (მ-ე-ხატ-ა, მ-ი-ხანტ-უ-დ-უ; ვ-ე-ხატ-ო, ვ-უ-ხანტ-უ-დ-ი).

IV - ზმნისწინი+პირის ნიშანი+ფუძე+მწკრივის ნიშანი (და-მ-ე-ხატ-ა, დო-მ-ი-ხანტ-უ-დ-უ; და-ვ-ე-ხატ-ო, დო-ვ-უ-ხანტ-უ-დ-ი).

V - პირის ნიშანი+ფუძე+(ოდ/დ+)მწკრივის ნიშანი (მ-ე-ხატ-ო-ს, მ-ი-ხანტ-უ-დ-ა-ს; ვ-ხატ-ოდ-ე, ვ-უ-ხანტ-უ-დ-ა).

VI - ზმნისწინი+პირის ნიშანი+ფუძე+(ოდ/დ+)მწკრივის ნიშანი (და-მ-ე-ხატ-ო-ს, დო-მ-ი-ხანტ-უ-დ-ა-ს; და-ვ-ხატ-ოდ-ე, დო-ვ-უ-ხანტ-უ-დ-ა)...

აქვე შეიძლება მოგვეტანა საეკლესიო ქართული ენისთვის დამახასიათებელი ე.წ. ხოლმეობითი ფორმები, მაგრამ, რამდენადაც აღმოჩნდა საეკლესიო მითის კილოების გარდა სხვა ქართველურ დიალექტებში ამგვარი ფორმები არ დასტურდება, მათი აქ დასახელებისგან თავს ვიკავებთ. მით უმეტეს, წარმოდგენილი ყალიბებიც საკმარისია საერთოქართველურის ენობრივი სახის წარმოსადგენად...

წინადადების აგებულების თვალსაზრისითაც, სამწიგნობრო ქართულისა და ქართველურ დიალექტთა ჩვენებაც მსგავსია; კერძოდ, მარტივი წინადადების სტრუქტურა აგებულია კოორდინაციის პრინციპის მიხედვით (კოორდინაციის პრინციპისათვის იხ. არნ.ჩიქობავა, 1968). ამოსავალ ვითარებად, ამ შემთხვევაშიც, სამწიგნობრო ქართულის ვარიანტი უნდა დავიგულოთ.

შენიშვნა: მალე გამოქვეყნდება წიგნი “ქართველური დიალექტოლოგია“ (ტ.ფუტყარაძე, ე.დადიანი), სადაც უფრო ვრცლად და საბუთიანადაა წარმოდგენილი საერთოქართველური, საკუთრივ ქართული და ზანურ-სვანური მასალის სისტემური ერთგვარობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოსაქვეყნებლად ვამზადებთ ქართულ-ქართველური ზმნის ახალ პარადიგმას, სადაც ზმნის ფორმაცვალების ორ ძირითად სქემადაა განხილული: **აღმქმელი სუბიექტის ყალიბი (მ-შია, მინდა, მიყვარს, მიხატავს...)** და **მოქმედი სუბიექტის ყალიბი (გ-ხატავ, და-გ-ხატავ, და-გ-ხატ-ე...)**.

საერთოქართველური ენობრივი კოინეს ბაზაზე ჩამოყალიბებული ზოგადქართველური სახელმწიფო (თუ ტომთაშორისი) **ენა არსებობას აგრძელებს სამწიგნობრო ქართულის სახით**; შესაბამისად, მისი გავლენით, ქართველთა ცენტრალური კილოების ინტენსიური ცვალებაც არ ხდება, ხოლო განაპირა კილოები, ისტორიული შიდაენობრივი ცვლილებებისა და მეზობელ ენათა გავლენის ხარისხის მიხედვით, მეტ-ნაკლებ ტრანსფორმაციას განიცდის; კერძოდ, დასავლურქართველური (ზანურ-სვანური) დიალექტური ვარიანტების ერთი ნაწილი, საუკუნეების მანძილზე ჩრდილოკავკასიური ენების გავლენით, მეტად იცვლება და იქმნება სვანური კილოები. ჯერ ბერძენ-ბიზანტიელთა, შემდეგ კი თურქულ ტომთა გავლენით, სერიოზულ ცვლილებებს განიცდის ზანური კილოს სამხრეთული კილოკავები. თურქულის გავლენით იცვლება, აგრეთვე: ჰერული, ტაოური, იმერხეული და სხვა (ეს პროცესები დაწვრილებით განხილული გვაქვს წიგნში: “ქართველური დიალექტოლოგია“).

მსჯელობა სხვა მიმართულებითაც შეიძლება განვახილოთ:

თანამედროვე ქართველთა სამეტყველო ერთეულთაგან საერთოქართველურს უფრო უახლოვდება სამწიგნობრო ქართული და მასთან ახლოს მყოფი ცენტრალური კილოები (კახური, ქართლური, იმერული...); **საერთოქართველური ენის ველისგან დაშორებამ, უცხოენოვანმა გავლენებმა და სხვა მიზეზებმა საერთოქართველურსა და სამწიგნობრო ქართულს მეტ-ნაკლებად დააშორა სვანური, ზანური, ფხოური, ჰერული, ფერეიდნული და სხვა კილოები**; ამ დიალექტებში ლექსიკურ სესხებებთან ერთად ინტენსიური ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესები განვითარდა; შესაბამისად, განაპირა კილოებში ბევრი ენობრივი მოვლენა შედარებით გვიანაა წარმოქმნილი. შეიძლება ითქვას: ზანურ-სვანური თუ ფხოური კილოები **საერთოქართველურთან მიმართებით უფრო ბევრ ენობრივ სიახლეს შეიცავს**, ვიდრე ქართლური ან იმერული; მაგ., ხმოვანთა სისტემის, ბრუნვებისა და სხვა ენობრივი ფაქტების მიხედვით, **ბალსზემოური კილო უფრო “ახალია”, ვიდრე კახური კილო**. მიუხედავად იმისა, რომ სვანურს შენარჩუნებული აქვს ხანმეტობა და კახურს არა, ძირითადი ფონემატური და გრამატიკული მოვლენების თვალსაზრისით, კახურს უფრო მეტი არქაიზმი (საერთოქართველურთან საერთო!) აქვს შემონახული, ვიდრე ბალსზემოურს; კერძოდ, **საერთოქართველურთან მიმართებით სვანურ კილოებში გვიანდელია**: პალატალიზებული ხმოვნები, “გადაწერის წესებით“ (თ.გამყრელიძე, 1968), უკანა მიმართულების უმლაუტით (მ.ქალდანი) და სხვა ტრანსფორმაციებით (იხ. მაგ., მ.ჩუხუა, 2003) სახეშეცვლილი ფორმები, ბრუნვათა ჯერ ჯიდეგ ჩამოუყალიბებელი, ე.წ. ნარევი სისტემა და სხვა. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული (ქართველური) ენის **ცენტრალური კილოები, განიცდიან რა სამწიგნობრო ენის აქტიურ მრავალსაუკუნოვან გავლენას, გარკვეულწილად ადაპტირდებიან ახალ სალიტერატურო ნორმებთან**, რაც ქმნის მათი **ახალწარმოქმნილობის ეფექტს**.

კოლხური ენისა და კულტურის საერთოქართველურობა დადასტურდება, ან უარიყოფა საერთოქართველური ენის არსებობის დროის შესახებ არგუმენტირებული მსჯელობით.

2.2.3. საერთოქართველური ენის არსებობის დრო

საერთოქართველური ენის არსებობის დროის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა:

იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული ქრონოლოგიის თვალსაზრისით, ჩვენთვის საყრდენი ვარაუდი გამოთქმული აქვთ კ.ბერგსლანდს, ჰ.ფოგტსა და არნ.ჩიქობავას:

კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი: ჰიპოთეტური საერთოქართველური ენა “ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულში უნდა მოვითავსოთ” (კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, 1972, გვ. 255);

არნ.ჩიქობავა: “იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენებია, მათ წარმოშობა აერთიანებს. ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს; სავარაუდოდ, **სამი ათასი წლის წინანდელს (შესაბამისად, საერთოქართველური ნავარაუდევია ძვ.წ. I ათასწლეულში - ტ.ფ.)**, და, ალბათ, ძველ ადგილ-სამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს. ამ ენათა განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა; არა ერთს სხვა ენას გადაჰყრიან; საუკუნეთა მანძილზე არაერთი დიალექტი თუ ენა წარმოქმნილა თუ გამქალაქდა/გათქვეფილა სხვა ენაში. ამიტომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს “გასაოცარი ნაირგვარობა” ახასიათებს, არამედ ის, რომ ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსში (ასევე, ლექსიკაშიც) ნიშანდობლივი საერთო თვისებები შერჩენიან” (არნ.ჩიქობავა, 1979, გვ.253); შდრ., მკვლევართა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს იბერიულ-კავკასიურ ერთობას და საერთოქართველური ენის არსებობის დროდ ვარაუდობს ძვ.წ. V-IV ათასწლეულებს (6-7 ათასი წლის წინანდელ დროს). ამგვარი მოსაზრებები სათავეს იღებს ენათა დათარიღების ე.წ. **გლოტოქრონოლოგიური მეთოდის** შედეგებიდან და სიტყვაფორმათა მცდარი ანალიზიდან;

კერძოდ:

ტ. გლოტოქრონოლოგიური ანუ ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდი შემუშავებულია ამერიკელი ლინგვისტების - მორის სვოდემისა და რობერტ ლიზის მიერ გასული საუკუნის 40-იან წლებში. ამ მეთოდით მომუშავე სპეციალისტებს სჯერათ, რომ ყველა ენაში ძირითადი ლექსიკური ფონდის ცვლების სიჩქარე თითქმის ერთგვარია დროის გრძელ მონაკვეთში; შესაბამისად, მკვლევრები მონათესავე ენათა ძირითადი

თადი ლექსიკური ფონდიდან იღებენ 100 ან 200 სიტყვას და მათი ცვლილებების კოეფიციენტის მიხედვით ადგენენ ენათა დიფერენციაციის დროს...

წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ ეს მეთოდი ვერ ითვალისწინებს ენის ლექსიკის ცვლის სიხშირის ხარისხს ინტენსიური ადსტრატული გავლენების ან სამეტყველო კოდთა სუბერსტრატული, თუ სუბსტრატული შერევების პირობებში; აგრეთვე, ცნობილი ფაქტია, რომ ენის ცვლილების ტემპი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა შეიძლება იყოს; ამდენად, ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდი თანამედროვე ლინგვისტიკაში დიდ ნდობას ვერ პოულობს. ამჟამად არის მცდელობები, შეიქმნას ამ მეთოდის გაუმჯობესებული ვარიანტები, მაგრამ თუნდაც რამდენიმე საუკუნის წინ მიმდინარე **სამეტყველო კოდთა შერევის ხარისხის** (შესაბამისად, ენობრივ ცვალებათა ხასიათის) **განსაზღვრის** შეუძლებლობა ამგვარ ვარაუდებს მტკიცებულებებად ვერ აქცევს (გლოტოქრონოლოგიის მეთოდის კრიტიკისათვის იხ.: კ.ბერგსლანდი, ჰ.ფოგტი, 1972; დ.კრისტალი, 1989, გვ.331; ტ.ფუტყარაძე, 2000, გვ.327; თ.გვანცელაძე, 2004 და სხვ.).

ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდით ქართველურ ენათა დაშლის პირველი დათარიღება 100-სიტყვიანი საცდელი სიის მიხედვით ეკუთვნის გ.კლიმოვს; მისი აზრით, საერთოქართველურისგან სვანურის გამოყოფა დაიწყო II ათასწლეულის, ხოლო ზანურისა - I ათასწლეულის დასაწყისში (გ.კლიმოვი, 1952, გვ.119). ამავე მეთოდით, ოღონდ 200-სიტყვიანი სიით, ქართველურ ენობრივ ერთეულთა დიფერენცია დათარიღეს თ.გამყრელიძემ და გ.მაჭავარიანმა; მათი კვლევის შედეგების მიხედვით, საერთოქართველურს სვანური გამოეყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე X საუკუნეში, ხოლო ქართულ-ზანური დიფერენცია მოხდა წელთაღრიცხვათა მიჯნაზე (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, გვ.17). აშკარაა, რომ ერთი და იმავე მეთოდით მიღებულია ორი სხვადასხვა (1000 წლიანი სხვაობის მქონე!) შედეგი.

მოგვიანებით, 1984 წელს, ვ.ივანოვისა და თ.გამყრელიძის მიერ გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ შრომაში - “ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები” - საერთოქართველური ენის დაშლის ახალი ქრონოლოგიაა შემოთავაზებული; იგი გამეორებულია თ.გამყრელიძის მიერ 1998 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში - “**კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა ანუ რა ენაზე მეტყველებდა აიეტი**“. ამ გამოკვლე-

ვებში უკვე უარყოფილია ლექსიკურ-სტატისტიკური ანალიზით მიღებული დასკვნა და ქართველურ ენათა დაშლის თარიღად მიჩნეულია 4000-5000 წლების წინანდელი პერიოდი; კერძოდ, სვანურის გამოყოფა ივარაუდება III ათასწლეულის დასაწყისში, ზანურისა კი - ძვ.წ. II ათასწლეულში (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984, გვ. 909; თ. გამყრელიძე 1998, გვ.3; იხ., აგრეთვე, ზ. სარჯველაძე, 2000, გვ. 27, სადაც ზანურის არსებობის მამტიცივებლად მიჩნეულია პროკოპი კესარიელთან დამოწმებული **moxirisi**: აქ, რატომღაც, **s** ჩათვლილია მაინცდამაინც ქართველურ **შ-დ**); ამგვარი კორექტირება ძირითადად მოხდა საერთოინდოევროპულიდან საერთოქართველურში ნასესხები ფუძეების დაშვებისა და ***ტყავ-** ფუძის შესატყვისად ზანური **ტყოვ-** ვარიანტის აღდგენის საფუძველზე, რაც, ჩვენი აზრით, ასევე საკამათოა (იხ. ქვემოთ).

გლოტოქრონოლოგიური მეთოდით მიღებული დასკვნები, როგორც ვხედავთ, თავად მათი ავტორებისთვისაც კი უკვე აღარაა სარწმუნო, ისტორიკოსთა დიდი ნაწილი კი ამგვარ ქრონოლოგიას ეყრდნობოდა და ეყრდნობა (თუმცა გვაქვს გამონაკლისიც; შდრ., მაგ., კ. ფიცხელაური 1973, გვ.193).

ღ. საერთოქართველურის დათარიღებისათვის ვერ გამოდგება ვერც სიტყვათა საეჭვო ანალიზით მიღებული დასკვნები; მაგ., თ.მიქელაძე ფიქრობს, რომ ჩრდილო ამიერკავკასიაში ქართველები ავტოქთონი მოსახლეობა არ არის (იხ.: თ.მიქელაძე, 1974); ამიერკავკასიაში ჯერ მოვიდნენ სვანები ძვ.წ. III ათასწლეულში - 5 000 ათასი წლის წინ; ე.ი. მისი აზრით, ამ დროს უკვე არსებობდა სვანური ენა!), შემდეგ - მეგრულ-ჭანები, ბოლოს კი - საკუთრივ ქართველები. ამ მოსაზრების საბუთად თ.მიქელაძეს მიაჩნია ქართლში დადასტურებული “სვანური” ტოპონიმი “კოჯორი”. სვანურ მეტყველებაში **კოჯ** კლდეს ნიშნავს; **კოჯ-** კი თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის მიერ ქართული **კლდე** ფუძის შესატყვისადაა მიჩნეული.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში **კოჯ-** და **კლდე** ფუძეთა იდენტურობა გაზიარებული არ არის (იხ. ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990); **კოჯორ-** საკუთრივ ქართულის კუთვნილებაცაა, კერძოდ, არაფერი უმლის ხელს, რომ **კოჯ-** საერთოქართველურ ძირად ჩავთვალოთ (**ჯ** შესატყვისობას არ იძლევა გ.მაჭავარიანის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად); მით უმეტეს, **-ორ-** სუფიქსის არსებობა სვანურ ნიადაგზე ვერ აიხსნება,

ქართულში კი იგი დასტურდება; შდრ.: **ტბა - ტბ-ორ-ი; სურ-ი** (ვანის ძველი სახელი), **სურ-ებ-ი** და მდინარის სახელი - **სულ-ორ-ი**. “ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტის მონაცემებზე დაყდრებით, ლინგვისტთა მიერ **კოჯ-** ფუძისათვის ამოსავლად მიჩნეულია **კოჟ-**; ამ ფუძის ძირითადი სემანტიკაა “მაგარი და ამადლებული ადგილი”. **კოჟორი/კოჟრები** (გორა, მთა) დადასტურებულია საქართველოს ყველა კუთხეში (თ.გონიამვილი, 1937, გვ.128-129; გ.ბედოშვილი, 2001, გვ.206; შდრ., მ.გეგეშიძე, 1966, გვ.190-209, სადაც არის სქემატური მტკიცება, რომ **კოჯორისთვის** ამოსავალია **რკო ჯვარი**). ქართულ კილოებში დასტურდება ამოსავალი სიტყვაფორმებიც: **კოჟი/კოჟე** (იმერ. ლეჩხ.) - “ამადლებული ქვიანი ადგილი“ და **კოჟი/კოჟრი** (აჭარ.) - “მაგარი წარმონაქმნი კანზე“. ვფიქრობ, ნათელია, რომ **კოჟ-/კოჯ-** ძირი საერთოქართველური მონაცემია და არა მხოლოდ სვანური.

ასევე საკამათოა, ძველ ბერძნულ წყაროებში დადასტურებული **ფა-სისი** სიტყვის ამოსავლად სვანური **ფაშდ** დავსახოთ (და ამ გზით “დავაძველოთ“ სვანური მეტყველება), ვინაიდან ***ფათ** ამოსავალი სიტყვის კანონზომიერი სვანური შესატყვისი ***ფაშდ** ვერ მოგვცემს **ფაშიდ/ფაშად** ვარიანტებს (შდრ., თ.მიქელაძე, 1974, გვ.11; გ.მელიქიშვილი, 1959 გვ.61); შდრ., როგორც წესი: ქართვ. **თ**→ სვან. **შდ**; ქართული **თხილი** - სვან. **შდის**; ქართ. **დათვი** - სვან. **დაშდუ**; ქართ. **ხუთი** - სვან. **ხუშდ/ტოხტიშდ**.

ტოპონიმთა და ნასესხებ სიტყვათა საეჭვო ლინგვისტური ანალიზის შემდეგ ცნობილი არქეოლოგი თ.მიქელაძე კატეგორიულად ასკვნის:

სვანურენოვანი მოსახლეობა სამხრეთიდან მოვიდა - “პროტოხეთური წიაღიდან გამოვიდა“ (თ.მიქელაძე, 1974, გვ.19); პროტოხეთებთან კონტაქტების დროს სვანური უკვე მოწყვეტილი იყო საერთოქართველურ წრეს და დამოუკიდებლად არსებობდა“ (იქვე, გვ.20)... შესაბამისად, სვანურის გამოყოფის თარიღია ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 ათასწლეული, ხოლო ზანური ენა ჩამოყალიბებულად ჩათვლილია ძვ.წ. II ათასწლეულში: “სრულიად უდავოა, რომ ლითონის ნაწარმიცა და კერამიკული პროდუქციაც, რომელიც გამოყენებაშია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. II-I ათასწლეულებში, ზანურენოვან ეთნიკურ ერთობას ეკუთვნის...” (თ.მიქელაძე, 1974, გვ.75,19)...

თ.გამყრელიძემ და ვ.ივანოვიძე ქართული **ტყავ-** ფუძის ზანურ ვარიანტად აღადგინეს ***ტყოვ-** ვარიანტი, რომელიც, თავის მხრივ, მიკენური **კო-ვო** სიტყვის ამოსავლად იქნა ნავარაუდელი.

უძველეს ბერძნულში - მიკენურში - ეს სიტყვა **ტყავის** მნიშვნელობით II ათასწლეულის დასაწყისიდან დასტურდება (თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, 1984, გვ.908-909). საერთოქართველურიდან ბერძნულში სიტყვების სესხება გამოირიცხული არ არის, ბუნებრივია, მოსალოდნელია კიდევ, მაგრამ **ტყავ-**ფუძის ***კოვ-**თან დაკავშირებას საეჭვოს ხდის ზანურში ***ტყოვ-** ფუძის რეალურად არსებობის საკითხი.

საერთოქართველურ **ა-**ს ზანურში რამდენიმე კანონზომიერი რეფლექსი უდასტურდება; ხშირ შემთხვევაში **ა** უცვლელი რჩება, ტრანსფორმაციის ძირითადი სახე კი არის

საერთოქართველური ა - ზან. ო:

კაცი - კოჩი, და - დო, ცხრა (***ცხარა**) - ჩხორო...

ვვარაუდობთ, რომ ზანურში **ა > ო** პროცესს აპირობებს წინამავალი ლაბიალიზებული თანხმოვანი.

- თუ ძირეული **ა-**ს მომდევნოდ ბაგისმიერი სპირანტი დასტურდება, **ა-**ს ლაბიალიზაცია ფერხდება და **ა → ე:**

ძარღვი → ჯერღვი

არჩვი → ერცქემი

ტყავი → ტყები

შაშვი → ზესქვი... (შდრ.: ტბა/ტაბა - ტობა).

- თუ **ა-**ს მომდევნო ბაგისმიერი სპირანტი იკარგება, ან იგი გადადის უ ხმოვანში, მაშინ **ა → ო → უ** (შდრ., ტ.გუდავას წესი):

დათვი → *დოთი → თუნთ

თავი → *თოვი → მთუგი

მაყუ(ალ)ი → *მოყ → მუყი

ქაცვი → *ქოცი → ქუცი...

შდრ.:

ცაცხვი → *ცოცხუ → დუცხუ

ნაძვი → *ნოძუ → ნუძუ...

- თუ ბოლომარცვლისეული **ა-**ს მომდევნოდ დაკარგულია თანხმოვანი, **ა** უცვლელი რჩება (წინამავალი თანხმოვნის ლაბიალიზების ხარისხის მიუხედავად):

***ძამა → ჯიმა** (შდრ., ჯიმაღეფი)

და → და (შდრ., დაღეფი)

მამა → მუმა (შდრ., ქართ. მამ-ალ-ი, ზან. მუმ-ურ-ი)

დედა → დიდა (შდრ., ქართ. დედ-ალ-ი. ზან. დად-ულ-ი)...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ლაზურსა და მეგრულში დღეს არსებული **ტყებ-** “ტყავი“ ფუძე საერთოქართველურიდან მომდინარე თავდაპირველ ზანურ ვარიანტად უნდა ჩაითვალოს (შდრ., აგრეთვე, მ.ქურდიანი, 2003 გვ. 46); ბერძნული **კოას** ისტორია კი საკვლევი; ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება მისი კავშირი ქართულ **ტყავ-** ფორმასთან და, მით უმეტეს, ლეგენდარულ **ოქროს საწმისთან**...

ახლახან გამოქვეყნდა მ.ქურდიანის სტატია (მ.ქურდიანი, 2003), სადაც არის მცდელობა, დამტკიცდეს, რომ მეგრულ-ჭანური მეტყველება არსებობდა ჯერ კიდევ შუმერების დროს (!).

შენიშვნა: პროფ. მ.ქურდიანი იზიარებს იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის თეორიას. მისი აზრით, რაკი ძვ.წ. III ათასწლეულში უკვე არსებობდა ზანური, საერთოქართველური სავარაუდოა ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში; ასეთ შემთხვევაში, როდისღა უნდა ყოფილიყო საერთოკავკასიური ენა? ძვ.წ. VIII-VII ათასწლეულებში? ე.წ. ნოსტრატულ ენათა ოჯახის დაშვების მსგავსად, ასეთი შორეული ნათესაობის თეორია ვარაუდის სფეროს ვერ გასცილდება, ვინაიდან კვლევის ამჟამინდელი მეთოდების მიხედვით, არავის შეუძლია ზუსტად თქვას, კავკასიასა და წინა აზიაში კონკრეტულად როგორი სტრუქტურის ენა არსებობდა ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებში; მეტიც, **მეცნიერთათვის** მეტ-ნაკლებად ცნობილი ენობრივ-ეთნიკური ერთობები ყალიბდება ადრე ბრინჯაოს ხანიდან - ძვ.წ. IV ათასწლეულიდან; ბოლო გამოკვლევებით, ქალაქური ტიპის დასახლებები ივარაუდება ძვ.წ. IX-VIII ათასწლეულებში (ნეოლითური რევილუციის შემდეგ), მაგრამ მეცნიერების ამჟამინდელი მიღწევების საფუძველზე შეუძლებელია ნათლად განისაზღვროს 10 000 წლის წინანდელი ენობრივ-ეთნიკური სურათი.

ენათა ისტორიის დათარიღებისას სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება ენობრივი კონტაქტების ამსახველი სესხების ფაქტები. ეს მეთოდი წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნა-

თლადაა გარკვეული კონკრეტული ენობრივი მასალის წარმომავლობა და გამორიცხულია მოცემული სიტყვის (მორფემის) კუთვნილება მესამე, უფრო ძველი ენისადმი. მ.ქურდიანის სტატიაში მეთოდი სწორადაა შერჩეული (2003, გვ.44-51), მაგრამ გაჭირდება დასახელებულ სიტყვათა მიჩნევა მაინცდამაინც მეგრულ-ჭანურ ან სვანურ ფორმებად; მით უმეტეს, საეჭვოა, ზანურიდან შემერულსა და ხეთურში, ხოლო სვანურიდან საერთოირანულში სესხების მტკიცება; კერძოდ:

მ.ქურდიანის აზრით, შემერულმა ზანურისგან ისესხა “ვაშლი”: ზან. უშქური > *ჰუშქურ > ჰუაშქურ > ჰაშქურ (მ.ქურდიანი, 2003, გვ.46). აქ აუხსნელია უ > ჰა პროცესი; გარდა ამისა, ამგვარივე ლოგიკითა და ფონეტიკური ცვლილების სხვა გზის დაშვებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ შემერული ვარიანტი მომდინარეობს საერთოქართველური *ჰაშალ-ფორმიდან:

*ჰაშალ- > *აშოლ- > *ჰაშჰოლ- / *ჰაშჰურ-: დასაშვებია ბილაბიალური **ჰ** კომპონენტის გადაადგილება: **ჰ...ა > ო** (შდრ., ქართველურ კილოებში დადასტურებული პარალელური ფორმები: ფეტჰ-ფჰტ-, ექჰს-/რქს-, თოკ-/თექჰ, ფურ-/ფირჰ...) და ხმოვანთა ფონეტიკური შემართვა; შემერულ სიტყვაში შეიძლება გამოვეყოთ **ვაშ-** ფუძე და **-ურ-** სუფიქსი; შდრ.: საერთოქართველურ ***ვაშლ-/*ვაშ-ალ-** ფუძეს შესატყვისები დაეძებნა ჩეჩურ-ინგუშურში და დაღესტნურ ენებში; შესაბამისად, მ.ჩუხუამ საერთონახურ ფორმად აღადგინა ***ვაშ-**, ხოლო საერთოდაღესტნურ ვარიანტად - ***ვეშ-** (მ.ჩუხუა, 2004). საერთოკავკასიური სავარაუდო ფორმა ჩანს **ვაშ-** ძირი. ფუძის მაწარმოებელი (დეტერმინანტი) ქართველური **-ლ-/ალ-** სუფიქი უნდა იყოს საერთოინდოევროპულში არსებულ ***შამლჰ** ფუძეში: **ჰაშლ- > *შაჰლ- > შამლჰ** (შდრ., თ.გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984, გვ.641-642, 881). გარდა ამისა, ხათურ ენაში არსებობს **შაჰათ** “ვაშლი” სიტყვა (გრ.გიორგაძე, 2002, გვ.90; შ.გაბესკირია, 1998, გვ.28; შ.გაბესკირიას აზრით, საერთოქართველური ***ჰაშალ-** ფუძე ასახულია ხათურ **შაჰათ** ფორმაში; მოსაზრება გამოითქვა 2004 წლის 13 ნოემბერს ჩვენთან ზეპირ საუბარში). ჩრდილოკავკასიური **ვაშ-** და ქართველური **ვაშლ-** ფორმების შეპირისპირება გვაგარაუდებინებს, რომ ხათურში მომხდარია **ჰ/შ** ბგერათა მეტათეზისი (ადგილშენაცვლება), ფუძეში კი გამოსაყოფია **-ათ** სუფიქსი.

ვფიქრობთ, როგორც **ქართველურისთვის, ასევე შემერულისათუ ხათურისთვის ამოსავალი ვარიანტი უნდა ვეძიოთ ძველ კავკასიურ-წინააზიურ ენობრივ ველში...**

საკამათოა, აგრეთვე, მ.ქურდიანის მსჯელობა აქადური **გურბის-უ/გურსიპ** (“სამხედრო აღჭურვილობის რაღაც ნაწილი სპილენძისაგან”) სიტყვისთვის ამოსავლად ზანური **გურბიჯ-** (გულის პირი) კომპოზიტის მიჩნევა: ზანურ კილოებში **რ > ჯ** პროცესი ასე ძველი ვერ იქნება; გარდა ამისა, მსგავსი ლოგიკით, არაფერი უშლის ხელს, აქადური ფორმისთვის ამოსავლად საერთოქართველური კომპოზიტიც დაგვესახა (ქართველური ენობრივი სამყაროსთვის ბუნებრივი **რ/ლ** და **ს/რ** მონაცვლეობის დაშვებით)... ასევე ითქმის მ.ქურდიანის მიერ წარმოდგენილ სხვა დაკავშირებაზეც: ხეთური **იშთამ-ან/თუმმ-ან** “ყური” და ქართვ. ***სთამი/სთუმი** “ყური”, შდრ.: სა-სთუმ-ალ-ი; საერთოირანული ***აზი-დაჰააკა** და ქართვ. ***ასთაკუი** “ზვლიკი” (მ.ქურდიანი, 2003, გვ.48-51); აქვე შევნიშნავთ, რომ საერთოქართველური არქეტიპი დაადგინა და მისთვის სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში შესატყვისი ფუძეები დაძებნა მ.ჩუხუამ; მისი აზრით, ეს საერთოკავკასიური ფუძე ნასესხები აქვს ბერძნულს (მ.ჩუხუა, 2000, გვ.54-55).

ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარში საკუთრივ ქართულის, ზანურისა და სვანურის ცალ-ცალკე არსებობის დამტკიცებას ცდილობს დ.მუსხელიშვილიც; კერძოდ, ის მსჯელობას აგებს **ცხვარ-/ცხოვრება** და **მეცხვარეობა** სიტყვებისა “თრიალეთის არქეოლოგიური კულტურის” მიმართებაზე (დ.მუსხელიშვილი, 2002, გვ.6): **“მეცხვარეობა** ცხოვრების სინონიმად მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანაში შეიძლებაოდა გამხდარიყო; რამდენადაც **ცხოვრება** საკუთრივ ქართული ენის ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება, უნდა დავასკვნათ, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ე.წ. “თრიალეთის კულტურის” მატარებელი ტომები, ძირითადად, მართლაც, აღმოსავლელ-ქართველი ტომები უნდა ყოფილიყვნენ”. პატივცემულ მკვლევარს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ საერთოქართველურშიც აღდგება **ცხოვარ-** ფუძე, რომლისთვისაც ამოსავალია **ცხოვ-/ცხოჰ-** ძირი, ვფიქრობთ, **სიცოცხლის სემანტიკით** (შდრ., საერთოქართვ. **ცხოვარი**, სამწიგნ. ქართ. **ცხოვარი/ცხვარი**, ზან. **შხური/ჩხური/მჩხური**); ამავე

ძირს ეყრდნობა სიტყვები: **ცხოვ-ელ-ი** (“ცოცხალი“), **ცხოვ-ნ-ებ-ა**, მა-**ცხოვ-არ-ი**... ყველა ამ ფორმის საყრდენი ძირი უნდა იყოს **-ცხ-**, რომელიც შეიძლება გამოიყოს **ცხ-ენ-** და **ცო-ცხ-ალ-** (***სო-ცხ-ალ-/*ჰო-ცხ-ალ-**; შდრ., მ.ჩუხუა, 2003, გვ.338-339) ფუძეებშიც; ფუძეთა მიმართებისათვის იხ.: არნ.ჩიქობავა, 1938; ზ.სარჯველაძე, ჰ.ფენრიხი, 1990; მ.ჩუხუა, 2003 (ქართვ. **ცხვარ-/ცხოვრება** და ხათურ **ზარ-/ზარი-** ფუძეების სემანტიკურ-ფორმობრივი მიმართების შესახებ იხ., გ.ქავთარაძე, 1985, გვ.120-121).

ლოგიკურია, დავასკვნათ, რომ, თუ მაინცდამაინც, გ.კლიმოვის კვლად, **ცხოვრება** სიტყვა **მეცხვარეობის** სემანტიკით გვინდა დავტვირთოთ (რისი აუცილებლობა სულაც არ დგას), **ცხოვარ- > ცხოვრება** მიმართება საერთოქართველურშიც შეგვიძლია დავუშვათ, ხოლო **ცხოვრების** ძირითად სემანტიკად **სიცოცხლე** უფრო უნდა აღვადგინოთ (და არა მეცხვარეობა).

ძვ.წ. IV ათასწლეულში საერთოქართველური ენის არსებობის დასამტკიცებლად **ნასესხები მასალა** გაანალიზებული თ.გამყრელიძისა და ვ.ივანოვის მიერ; მათი დასკვნით, მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირების პერიოდში გვერდიგვერდ არსებობდნენ საერთოინდოევროპული, საერთოქართველური და საერთოსემიტური ენები, რასაც ცხადყოფს საერთოინდოევროპულიდან საერთოქართველურში ნასესხები შემდეგი ლექსიკა (მასალას მოვიყვანთ თანამედროვე ქართული ვარიანტების მიხედვით): ბერავს, ბრგე, გონი/შეიგენ/შეიგნო, დევს/ვდებ, ექვსი, ეშვი, თიხა, თხა, კბენს, კრეფს, მატლი, მკერდი, რგავს/ალაგებს, სისხლი, ტეფ-/თბილი, უბე/უბე, ქმარი, შობა (თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, 1984, გვ. 877-879). დასახელებული მასალა **სამ ჩგუფად** შეიძლება წარმოვადგინოთ:

ტ. ქართველური ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მასალობრივად უფრო ახლოა არა საერთოინდოევროპულ, არამედ რომელიმე ინდოევროპული (დადასტურებული) ენის ფუძესთან, შესაბამისად, ისინი ვაცილებით გვიანდელ ნასესხობებზე შეგვიძლია მივიჩნიოთ; მაგალითად, შდრ.:

ექვს- (სალიტ. ქართვ. ექვსი, ზან. ამშვი/ანში, სვან. უსგუჟა), საერთოინდ.: **seks** (აქაც და ქვემოთაც ინდოევროპული ძირები მოგვყავს გა-

მარტივებული ლათინური ანბანის მიხედვით) და ბერძ. **eks**; ქართველური ფუძის ხმოვანი სეგმენტი/პრეფიქსი ჩანს ბერძნულში და არა - საერთოინდოევროპულში; ვფიქრობთ, აშკარაა: თუკი ქართველურში სესხება მოხდა ინდოევროპული ენისგან, ლოგიკურია დავუშვათ, რომ ეს ენაა ძველი ბერძნული და არა - საერთოინდოევროპული (შდრ.: საერთოქართველურში ბერძნულიდან სესხება შესაძლებელია მხოლოდ ძვ.წ. II-I ათასწლეულებში; ეს დრო ეთანხმება საერთოქართველურისთვის ჩვენ მიერ ნავარაუდევ დროს). არ გამოირიცხება **ექვს-** ფუძის საერთოკავკასიურობაც; ყველა შემთხვევაში, პარალელურად განსახილველია საერთოქართველური და ძველბერძნული ვარიანტები, რაც ამ ერთეულთა თანადროულობაზეც მიუთითებს.

ულელი- (სალიტ.ქართვ. ულელი, ზან. ულუ, სვან. ულუჟა), საერთოინდ. **iukom** “ულელი“, ხეთ. **iukan**, ძვ.ინდ. **yuga**, ბერძ. **ζυγος/уго** (შდრ., რუს. **уго**)... ფორმობრივად (სიტყვის სტრუქტურის მიხედვით) ქართველურ ფორმასთან უფრო ახლოსაა **g** თანხმონიანი ფუძე; შესაბამისად, ინდოევროპულ ენას თუ ნასესხები არა აქვს ეს ფუძე იბერიულ-კავკასიური ენობრივი ველიდან (იხ. ქვემოთ) და უეჭველად დადგება საერთოქართველურში **ულ-/ულო** ფუძის სესხების საკითხი, მსესხებელ ენად უნდა დავუშვათ ძველი ბერძნული (ან წინა აზიის რომელიმე) ენა.

ტეფ-/თბ- (სალიტ.ქართვ. გან-ვ-ტეფ/ვათბობ/თბილი, ზან. ვოტ-იბუა/ტიბუ “ვათბობ/თბილი“, სვან. ლი-ტბ-ი-დ-ე/ხოტბიდა/ტებდი “ვათბობა/გაუთბია/თბილი“), საერთოინდ. ***tep-**, ძვ.ინდ. **tapah**, ძვ.ირან. **tap**, ოსურ. **tavun** “თბობა“, ოსურ. **tevd** “თბილი“, ბერძნ. **te(r)mos**, ლათინ. **tepidus**... ნიშანდობლივია, რომ ძველ ინდოევროპულ ენებში წარმოდგენილი ფუძე **ა** განმოვანებითაა, შესაბამისად, ლოგიკურია მ.ანდრონიკაშვილის დასკვნა: “ქართული ძირი **ტეფ-** თავისი ფონეტიკური იერით ყველაზე ახლოს დგას ამ ინდოევროპული ფუძის ოსურ ფორმასთან“ (1966, გვ. 109). საკუთრივ ქართველური (სვანური) ენისთვის ბუნებრივი სეგმენტაციით არ ხერხდება **დ-ს** ახსნა **ტებ-დ-** ფუძეში, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სვან. **ტებდ-** ფორმისათვის ამოსავალი შეიძლება იყოს ოსურ-ალან. **tevd** (> *ტეფდ- > ტებდ-). ჩვენი აზრით, უფრო ნაკლებწინააღმდეგობრივია ქართვ. **ტეფ-/თბ-**, ოსურ-ალან. **tep-** და ბერძნულ-ლა-

თინური **tep-** ძირების პარალელურად განხილვა, ვიდრე ქართველურ და საერთოინდოევროპულ ენათა მონაცემების თანადროულად მიჩნევა.

მკერდ- (სამწიგნ. ქართვ. მკერდი, ზან. კიღირი, სვან. მუჭუტედ/მუჭოდ), ბერძნ. **kardia**, რომან. **kradie**... სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოა საერთოინდოევროპულში გულის აღსანიშნავად ***kert-** ფუძის აღდგენა (შდრ., თ.გამყრელიძე, ვივანოვი, 1984, გვ. 800); გარდა ამისა, თანხმოვანთა შემადგენლობის მიხედვით, ქართველურ ფორმასთან უფრო ახლოსაა რეალურად დადასტურებული ბერძნული სიტყვა, ვიდრე ჰიპოთეტური საერთოინდოევროპული ფუძე.

აქვე დავძენთ, რომ დაუსაბუთებელი და საეჭვოა, აგრეთვე, ქართვ. **ბერ-/ბერ-ავ-**ს ფორმის საერთოინდოევროპული წარმომავლობა (**ბერვა** ლექსემის ქართული წარმომავლობის შესახებ იხ., მანდრონი-კაშვილი, 1966, გვ. 173).

ღ. ლექსიკური ერთეულები, რომელთა ქართველური წარმომავლობა უფრო სარწმუნოა, ვიდრე - ინდოევროპული; შდრ.:

კბენ- (სალიტ.ქართვ. კბენს/კბილი, ზან. კიბ-ირ-ან-ს/კიბ-ირ-ი; შდრ., ქართვ. კიბ-ე), საერთოინდ.: **kemb-** “გახევა, კბენა“, **keb-/kep-** “ყბა, პირი, ჭამა“ და **kombo** “კბილი“; თ.გამყრელიძისა და ვივანოვის მიერ ამ ფორმათა ამოსავლად მიჩნეულია **kemb-** “გახევა“ (იქვე, გვ. 815, 879); შდრ., ჭამის/კბილის მნიშვნელობით ინდოევროპულ ენებში ძირითადია **et-/dan-/dent-** ძირითადი ფუძე. ვფიქრობთ, საერთოინდოევროპული **kemb-** “გახევა“ ფუძისგან ქართველური **კბ-/კიბ-** “კბენა/კბილი“ გამოყვანა პრობლემურია; მით უმეტეს, რთული დასამტკიცებელია საერთოინდოევროპულიდან საერთოქართველურში სესხება. ჩვენი აზრით, ქართველური ზმნისთვის ამოსავალია ქართველურ-კავკასიური **კიბ-** ფუძე (კიბ-ე*კიბ-), რომელმაც მოგვცა *კიბ-ენ-ს > კბენს და კიბ-ილ-ი > კბილ/კიბირი ვარიანტები.

ღ. ფუძეები, რომლებიც დასტურდება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც; შესაბამისად, უფრო ბუნებრივი იქნება, ერთმანეთს შევუბიროსპიროთ და ერთ ქრონოლოგიურ დონეზე განვიხილოთ ამ ჯგუფის სიტყვათა საერთოკავკასიური და საერთოინდოევროპული არქეტიპები (და არა - საერთოქართველური და საერთოინდოევროპული); შდრ.:

saerToqarTveluri: **გენ-/გონ-** "mogoneba," "goneba"; iCq. **გან**, ing. **გა(ნ)**, bacb. **გუა**¹ "Kureba, xedva"...(imierkavkasiuri enebis masala mogvawoda m.Cuxuam).

საერთოქართველური ***berZ-/ჭერZ-i**; ზან. (მეგრ.) **erJ-i** ← ***varJ-i**; ბაცბ. **borw**, ჩაჩნ. **burZ/z**, ინგ. **borZ** "მგელი", წინარენახური **borZ**; ხუნდ. **baw** ← ***barw**, ანდ. **bowo**, ახვ. **baya**, ბოთლ., ლოდ., ჭამ., ბაგვ. ტინდ. **ba-wa**, კარ. **bawe**, ლაკ. **barw**, დარგ. **bec** "მგელი", წინარედალესტნური ***barZ**.

saerToqarTveluri: ***dafal-** "Txa"; and. **rixa** ← ***dixan**, Sdr.: **axvax. i'xa**, boTl. **rixa**, yam. **inxa/rixa** "cxvari"...

saerToqarTveluri ***Zax-/*Zaf-**: ***Zax-il-i/*Zax-el-i/sax-el-i**, saxe, ზან. Joxo, სვან. **jaxe** "saxe"; აფხ. აბაზ. **a-x¹/Z** "saxeli", iCq. **xaZ-**, ing. **xaZ-**, bacb. **xaw** "gagoneba, smena"...

saerToqarTveluri ***kel-**: **keloba** "koyloba" (saba) Sdr., აჭარ. **kel-av-s** "koylobs"; iCq. ing. {ka...}, bacb. **k"av-e** "koyli", **k"av-** "koyloba"...

saerToqarTveluri ***krab-**: "krefa"; xunZ. **bakar-**, and. **bakar-**, bej. **bova-kol-** "Sekreba, содрать"...

saerToqarTveluri ***matal/matli** "yia"; აფხ., აბაზ. **a-maT** "gveli", hunz. **beti** "yia", bej. **farti**, lezg. **b¹t-r¹y**, Tab. **bit**, lak. **ati** "yia, gveli"...

saerToqarTveluri ***oTx-**: "oTxi", saerTonaxuri **oATxu** "eqvsi", aG. **oaxid**, ruT. **rixud** "eqvsi"...

saerToqarTveluri ***...ara/*ar...a/*...r...a/rua** "rva", megr. **bruo** (<*...r...a), სვან. **ara**, "rva"; iCq. **barh**, ing. **barh**, bacb. **barl** "rva"; darg. **berh-al id**...

saerToqarTveluri ***si-sx-li**; აფხ. აბაზ. **a-Sa** "sisxli"; Sdr., xeTuri ემხარ-/იშხარ- "sisxli" (gr.giorgaZe, 1999, gv. 63).

saerToqarTveluri ***Se.../S...-**: "Soba", "Sveba"; აფხ. აბაზ. **a-Sa...-რა** "goyebis daKra", saerTonaxuri და-**lA-** "gaCena"...

saerToqarTveluri ***qom-**: "qmari", "vajkaci", zan. **qom-oJ-i** "qmari", **qom-ol-i** "vajkaci"; saerTonaxuri ***qom-on** "mamri, xvadi"...

საერთოქართველური ***bas.../fes...-**: **fes...-i**, **fos-o** ← **fesv-i**; ზან. **fos-i/fosv-i**; ბაცბ. **-na-fs-or** "ძირი", ჩაჩნ. **[-ნო-ფს-არ]**, ინგ. **[-ნო-ფს-არ]**, წინარენახური **na-bes...-არ**; ხუნდ. **bosen** "ბუდე", ანდ. **beSon**, ბოთლ. **be-**

Sen, ლოდ. **beSen**, ბიგვ. **behu¹**, კარ. **berx^{1/2}...an**, ახვავ. **beS...ani** "bude, logini", ჭამ. **beha¹**, ტინდ. **bex...a¹/beh...a¹** "ლოგინი, ბუდე", წინარედ-აღესტნური ***bes...**-ანი.

saerToqarTveluri *lag-: "lageba", zan. login- "dalageba"; "logini"; iCq. menga, ინგ. mšngc"logini"...

saerToqarTveluri *ber: "Seberva, berva"; xunZ. fun-, and. fud-, bagv. furi "daberva", "qari"...

saerToqarTveluri *uGel-: "uGeli"; afx. {a-G...a} sitKvaSi a¶-c°a-G...a-ra "xariT xvna", saerTonaxuri d-uK, lezg. vik, wax. oq, arC. otK...

მომავალი ძიებები სხვა ქართველურ-კავკასიური წარმომავლობის ძირებსაც გამოავლენს (ასეთი ჩანს, მაგ., გვარაძე, შდრ., ნ.მგელაძე, 2004, გვ. 87); საერთოქართველურ-ნახურ-დაღესტნური დიგ- "თიხა" ფუძის შესახებ იხ. მ.ჩუხუა, 2003, გვ.93...

ფაქტია ისიც, რომ წარმოდგენილი ლექსიკის დიდ ნაწილს შესატყვისები გააჩნია ინდოევროპულ ენებშიც. შესაძლოა, ასეთი ფუძეები მომდინარე იყოს, სულაც, სავარაუდო ე.წ. **ნოსტრატული კონტინუუმი** **სიგან**. თუკი ამგვარი მაკროერთობა საერთოდ არსებობდა, მაშინ მისგან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ **იბერიულ-კავკასიური კონტინუუმი** და არა მხოლოდ საკუთრივ საერთოქართველური (ბ.ფოჩხუა შესაძლებლად მიიჩნევს ქართველურთან ერთად ნოსტრატულ ენებში განხილულ იქნას მთის იბერიულ-კავკასიური ენებიც; იხ. ბ.ფოჩხუა, 1974, გვ. 341; შდრ., ილიჩ-სვიტიჩი, 1967). სავარაუდო სქემა:

ნოსტრატული კონტინუუმი > **იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობა** (ასევე: ინდოევროპული, სემიტურ-ქამიტური, დრავიდული, ურალური...) > **ქართველური ენობრივი ერთობა** (ასევე: აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური)... გარკვეულწილად ამ თვალსაზრისს დაუჭერს მხარს ჯონ კოლარუსოს კვლევის შედეგებიც: მის ნაშრომში წარმოდგენილია ლექსიკური პარალელები დასავლეთ ჩრდილოკავკასიურ და ინდოევროპულ წინარე ენებს შორის (ჯ.კოლარუსო, 2003, გვ. 41-61; იხ., აგრეთვე, ქ.თუთის მიმოხილვა აფხაზურ-ადიღური და ინდოევროპული ენების ნათესაობის კვლევის ისტორიის შესახებ; ქ.თუთი, 2003, გვ. XIV-XV); ვფიქრობთ, უფრო ლოგიკურია, ამ შემთხვევაშიც თანადროულად მივიჩნიოთ საერთო ინდოევროპული და საერთო

იბერიულ-კავკასიური მასალა.

აქვე აღვნიშნავთ:

ენათა დივერგენციის პარალელურად მიმდინარეობდა მეზობელ ენათა ურთიერთავლენებისა და მრავალმხრივი კონვერგენციის პროცესები, შესაბამისად, უძველეს ფენებში ენობრივი მოვლენების ერთგვარობის (მსგავსების) დადასტურებისას გაჭირდება მტკიცება, გენეტურ ნათესაობასთან გვაქვს საქმე თუ სესხებასთან.

* * *

საერთოქართველური ენის არსებობის დროზე გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს ქართველურ კილოებში არსებულმა იმ სიტყვებმა, რომელთა საერთოქართველური არქეტიპი ნასესხებია და შესაძლებელია სესხების დათარიღებაც; მაგალითად, ვფიქრობთ, **საერთოქართველურშივე არსებული სპარსულთან ზიარი ზოგი სიტყვაფორმა ძვ.წ. VI საუკუნეს ვერ გაშორდება** (შესაბამისად, უფრო ადრე გამოირიცხება საკუთრივ ზანურ-სვანური ენობრივი ერთეულების არსებობა); ასეთები ჩანს: **ზარი, კუართი, ტყე, ძეწკვი, წით-ს/წით-ელი...** დიდი ალბათობით, წარმოდგენილი ფორმები სპარსული წარმომავლობისა ან სპარსულის გზითაა შემოსული (სათანადო მსჯელობისათვის იხ. მ.ანდრონიკაშვილი, 1966); არ გამოირიცხება ისიც, რომ მ.ანდრონიკაშვილის მიერ სპარსულად მიჩნეული ზოგი ფუძე ძველი წინააზიური, ან საერთოკავკასიური ენებიდან მოდიოდეს სპარსულშიც და ქართველურშიც; მაგ., მ.ანდრონიკაშვილი სპარსულ-სკვითურ ნასესხობებად მიიჩნევს **ვერძ-, ზან-/ძან- (ძანი-ლი), ფესვ-, ზამ-, კელ-** ფუძეებს, თუმცა, მათ შესატყვისები ეძებნებათ სხვა იბერიულ-კავკასიურ-წინააზიურ ენებშიც (მასალა იხ. ზემოთ); სამაგალითოდ განვიხილავთ **ზამ-** ძირს:

ზამ-:

საერთოქართველური ***ზამ-** "წელი", "დრო": **ზა-ფხულ-**, **ზამ-თარ-**, **ზან. ზო-**თონჯი, სვან. **zo-მზა/za-**მანე "წელი+ახალი"; ბაცბ. **So** (←*jo): ჩაჩნ. **S...o** (←*jo): ინგ. **Su** (← **Suo** ←*jo) "წელი", წინარენახური ***zo→*jo**; ხუნდ. **zo-b** "ცა", "წელი", ანდ. **zubu**, ტინდ. **zebu**, ბოთლ. **zi...u**, ლოდ. **zibu**, დარგ. **zab** "წვიმა", ლეზგ. **s'a-.../ც'ა-... "ცა"**, თაბ. **Za-...**, ად.

Za-..., ხინ. **Zo** ← ***za-...**, კრიწ. **za-...**, ბუღუხ. **za-...** “წელი“, წინარედა-
ლესტნური ***za-b** (**b** ნივთთა გრ. კლ. ნიშ.)...

მდრ.: zam-an “დრო“, “სეზონი“, “საათი“ (ქართვ. ჟამ-ი), რომელიც
დადასტურებულია: არამეულში, ებრაულში, არაბულში, თურქულში;
მდრ. საშუალებას უძღვრება - zam/zamistan “ზამთარი“; ქართულ **ზამთარ-**
ფუძეში *თარ- თოვლის აღმნიშვნელი ფუძე ჩანს (მდრ. მანდრონიკაშვილი,
1966, გვ. 321-322; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990), რამდენადაც, იგი-
ვე **ზა-** ფუძე გამოიყოფა **ზაფხულ-** კომპოზიტშიც: **ზა-ფხ-ულ-ი**, სადაც
ზა- აღნიშნავს “დროს“, “სეზონს“, ხოლო ფხ-/*ფახ- - მზეს, მზის თვალს;
მდრ.: ფახ-/ფხ- - თვალი (ფახ-ურ-ი; ი. ჩანტლაძე, 2004); ლაზ. **მაფხა**
(მოწმენდილი ცა), სვან. **მეფხე** (მოწმენდილი ცა), ფხიანი, ფხიზელი,
ზან. **ფხონი**, ხევს. **ფხრე** (“ღია“), სვან. **ლი-ფხერ** (“გახსნა“), ქართვ. **მხ-**
ელ-ა (მ. ჩუხუა, 2003)...

მდრ.: **ზა-მთარი - დრო (სეზონი) თოვლისა;**

ზა-ფხული - დრო (სეზონი) გახსნილი ცისა (ანუ: მზის თვალისა;
მდრ., სვან. **იმფხნლ** - ცა იხსნება, იდარებს).

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, აგრეთვე, სიტყვაფორმა **ღამის** ის-
ტორია: მანდრონიკაშვილს ის მიაჩნია სპარსულ ნასესხობად, მაგრამ,
ნ. ბართაიას აზრით, ქართულში არაბულიდანაა შემოსული. ვფიქრობთ,
რამდენადაც ძველ ქართულ ტექსტებშივე დასტურდება **ღამე** სიტყვის-
გან წარმოქმნილი სხვა ლექსიკური ერთეულები (საღამო, ნაღველი <
*ნაღმელი < *ნა-ღამ-ელ-ი, ღამორი/ღამურა, მეღამური, ღამისმკობარი,
ღამით, მარადღამე, მღამიობი, ნაღამევი, საღამური, სიღამე, დაღამება,
შუაღამე...) და ქართველურ დიალექტებშიც გვაქვს კანონზომიერი შესა-
ტყვისი (**ღუმა**), **ღამე** საერთოქართველურ მონაცემად უნდა დავსაზოთ
(ამოსავალ ფორმად უნდა ვიგულოვოთ *ღამე); მდრ., არაბულში მისი
მნიშვნელობებია: დაფარვა, დანაღვლიანება, ბნელი, ბურუსით მოცული;
დარდი, მწუხარება; სიცხე, პაპანაქება...); შესაბამისად, ლოგიკურია, და-
ვუშვათ:

საერთოქართველურში **ღამე თუკი ნასესხებია**, იგი შემოსულია
არამეულიდან ან ასირიულიდან; არ გამოირიცხება არც საერთოქართვე-

ლურიდან/იბერიულ-კავკასიურიდან მისი სესხება სემიტურში (საიდა-
ნაც შევიდა სპარსულშიც), დასაშვებია **ღამ-** ძირის მომდინარეობა სხვა,
უფრო ძველი ენობრივი კონტინუმიდან. ყოველ შემთხვევაში, ამკარაა
ქართველურ-არამეულ-სპარსულ ფუძეთა უშუალო ურთიერთკავშირი,
რაც ძვ.წ. I ათასწლეულს ვერ გასცილდება.

შენიშვნა: საგანგებო კვლევას საჭიროებს სომხურში არსებული ქართველუ-
რი ლექსიკაც; აღნიშნულია, რომ მისი ერთი ნაწილი ახლოსაა ზანურ ფუძე-
ებთან. რამდენადაც სომხურში არსებითია ქართველურ-კავკასიური სუბ-
სტრატე, სავსებით შესაძლებელია, ე.წ. “ზანურ“ ფორმათა წარმოქმნა ავ-
ხსნათ საერთოქართველურის (ან არმენების დამხვედური რომელიმე სხვა ქარ-
თველური ტომის მეტყველებისთვის დამახასიათებელ) ფორმათა ტრან-
სფორმაციით; მოსალოდნელია, აგრეთვე, **გვიანდელი** (ქრისტიანული ლაზი-
კის დროინდელი) **ნასესხობანი უშუალოდ ლაზურიდან** (სომხურში
საკუთრივ ლაზური ფორმების შესახებ იხ., მაგ., ი. ილიაძე, 1983).

ვფიქრობთ, მანდრონიკაშვილის, თ. გამყრელიძის, ვ. ივანოვის,
დ. მუსხელიშვილის, მ. ქურდიანის და სხვა ავტორთა მიერ საინტერესოდ
გაანალიზებული ლექსიკური პარალელები მაინც ვერ იძლევა დამაჯერე-
ბელ დასკვნას საერთოქართველური ენის ძვ.წ. V-III ათასწლეულში არ-
სებობის შესახებ; კერძოდ, ამგვარი საკამათო მასალის მიხედვით ვერ და-
ვადგენთ საერთოქართველური თუ საკუთრივ ქართული ენების არსებო-
ბის დროს; გარდა ამისა, რეკონსტრუირებული და არადოკუმენტირებუ-
ლი ენების სავარაუდო ლექსიკური ბაზის მიხედვით ასეთ შორეულ
დროში რთულია დადგინდეს: სესხებასთან გვაქვს საქმე (რომელი მიმარ-
თულებითაა ნასესხები?) თუ საერთო წარმომავლობასთან.

საგანგებოდ აღნიშნავთ, რომ მეცნიერებისთვის დღემდე ცნობილ
ეთნიკურ ერთობებთან დაკავშირებული უძველესი დიდი სახელმწიფო-
ებრივი წარმონაქმნები ძვ.წ. IV ათასწლეულიდან დასტურდება; გარდა
ამისა, ძვ.წ. III ათასწლეულში ნავარაუდევია მსოფლიოს ყველა ენა უკვე
მკვდარია, ხოლო აღდგენილი პრაენების (მით უმეტეს, პროტოენების)
სტრუქტურა მნიშვნელოვნად (არსებითად!) განსხვავდება თანამედროვე
ენებისგან; თუკი უმეტესების დროს ზანურის, სვანურის თუ ქართულის
არსებობას დავუშვებთ, გამოდის, რომ მსოფლიოში არსებულ ენათაგან
5000 წლის მანძილზე მხოლოდ ქართული, სვანური და მეგრულ-ჭანური
“ენები“ ინარჩუნებენ თავისთავადობას, რაც არალოგიკურია:

მსოფლიოში არ არსებობს დიდი სამწერლობო ტრადიციის მქონე ენაც კი, რომელსაც 50 საუკუნის განმავლობაში შეენარჩუნებინოს თავისი ძირითადი სახე; მით უმეტეს, ასეთი ვერ იქნება უმწერლობო ტომობრივი ენა თუ კილო. 1000 წლის მანძილზეც კი მხოლოდ დიდ სამწერლობო ტრადიციას შეუძლია, შეანელოს ენის მნიშვნელოვანი ცვლილების პროცესი; 4000-5000 წლიან თვისობრივ უცვლელობაზე კი, ვფიქრობთ, ლაპარაკიც ზედმეტია. ენათა დათარიღების შესახებ მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ სამწერლობო ტრადიციის მქონე და უმწერლობო ენების ასაკის ტიპოლოგია: თუკი აწმყოდან გავადევნებთ თვალს ამჟამინდელ ენებს, აღმოჩნდება, რომ წერილობითი ტრადიციის ენების უმრავლესობა ვერ გადაშორდება 2000 წელიწადს; მით უმეტეს, ძნელი დასაჯერებელია, რომ უმწერლობო ენებმა თავი შეინარჩუნეს 5000-6000 წლის მანძილზე.

ენობრივ ერთეულთა ჩვენ მიერ წარმოდგენილი ანალიზი და მსჯელობა მხარს უჭერს საერთოქართველურის დაშვებას უფრო ძვ.წ. პირველ ათასწლეულში; შესაბამისად, იბერიულ-კავკასიური ერთობის არსებობა სავარაუდებელია ძვ.წ. IV-II ათასწლეულებში (შდრ.: ვივანოვი, თ.გამყრელიძე, 1984, გვ.880; მ.ქურდიანი, 2003, გვ.44 და სხვ.).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ:

II ათასწლეულის დასასრულს ქართველური ტომები მოიცავდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთს (სოჭიდან სინოპემდე), მტკვრის ხეობის დიდ ნაწილს და ჭოროხის ხეობას მთლიანად; ტომთაშორისი ოფიციალური ენა უნდა ყოფილიყო საერთოქართველური ენობრივი მოდელის მქონე ენა - სისინა ა ტიპის ენა (და არა: **არარსებული** ქართის ტომის ენა, ზანური, თეორიულად ნავარაუდევო ზანურ-ქართული ენა ან სხვა რომელიმე ენობრივი ერთეული). ამ საერთოქართველურმა მოდელმა შექმნა ძველი წყაროებით ცნობილი სახელმწიფო **აია/კოლხა** და არქეოლოგიური კვლევებით აღმოჩენილი **კოლხური კულტურა**, რომლის ერთ-ერთი ძირითადი რეგიონი იყო ისტორიული კოლხის მხარე (აქედანაა ნაწარმოები კოლხა: კოლ-ა/ი > კოლ-ხ-ა). სავარაუდოა, ეს სახელმწიფოებრივი გაერთიანება მოიცავდა ე.წ. ნაირის ქვეყნების ნაწილს. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ეს სახელმწიფო რამდენიმე ნაწილად იშლება: დასავლეთ ნაწილში წარმოიქ-

მნა შედარებით გვიანდელი კოლხიდა (ცენტრით - დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე: ნაქალაქევი, ვანი, ქუთაისი); სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში - დიაოხი და სხვ.

აზოს, ქუჯისა და ფარნავაზის დროს ნაწილობრივ აღდგა ერთიანი საქართველო ცენტრით - მცხეთაში; ფარნავაზმა საქართველო დაყო სამთავროებად, შემოიღო დამწერლობა საერთო ქართველური ენის ბაზაზე, გამოაცხადა სახელმწიფო რელიგია (ამ დროს ცალ-ცალკე არ არსებობდა იბერია და კოლხეთი; შდრ., გ.მელიქიშვილი, 1970, გვ.422).

შესაბამისად, დღევანდელ ლაზთა, მეგრეთა, იმერხეველთა, მესხთა, კახთა, სვანთა, ჰერთა, ფხოველთა და სხვა ქართველური მოდემის თემთა დიდი წინაპრები: მითებში გადასული აიეტიც და მედეაც, მოგვიანებით, აზონიც, ქუჯიც, ფარნავაზიც, ქართამიც, როსტამიც, გორგასალიც, ლეონიც, ჭყონდიდელებიც და იოვანე პეტრიწიც ოფიციალურად საერთოქართველურ, ან მის სტრუქტურულ ადეკვატ, ზოგადქართულ სამწიგნობრო ენაზე მეტყველებდნენ, წერდნენ და, რაც მთავარია, ერთობლივად ქმნიდნენ რამდენიმე ათასწლეოვან ქართველურ (მოსხურ-კოლხურ-იბერიულ) კულტურას.

2.3. ქუჯისა და ფარნავაზის საქართველო; 23 საუკუნის წინანდელი საქართველოს სახელმწიფო ენა და ქართველთა დიალექტები; ქართველური დამწერლობა

2.3.1. ისტორიული რელიეფი

ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში, ურარტუს დაცემის შემდეგ ისტორიული კოლხეთის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი სპარსეთის ხელში გადადის (მე-19 სატრაპია), სამხრეთ-შავი-ზღვისპირეთი ნაწილი (შემდგომი **პონტოს სამეფო**) ბერძნებს უჭირავთ, ხოლო დარჩენილი “მცირე კოლხეთი” - **ქართული წყაროების ქართლი (დასავლეთი ქართლი - ეგრისი და აღმოსავლეთი ქართლი - ქართლ-კახეთ-კუხეთ-ჰერეთი, სამხრეთი ქართლი - მესხეთი)**, ხარკს უხდის რა სპარსეთს, ნომინალურად ინარჩუნებს დამოუკიდებლობას.

ძვ.წ. IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელის მიერ სპარსეთის დამარცხების შემდეგ, ქართველებს მიეცათ ერთიანი სახელმწიფოს - სრულიად ქართლის - აღდგენის შესაძლებლობა. ქართველთა მეფის სტატუსი მიიღო ბერძენთა მიერ დანიშნულმა აზომ; აზო წარმოშობით სამხრეთი მესხეთიდან/კაბადოკიიდან ჩანს (ვ.გოილაძე, 1991, გვ.52; ნ.ხაზარაძე, 2001, გვ.394). “ქართლის ცხოვრების” მიხედვით, მისი სატახტო ქალაქი გახდა მცხეთა; აზოს მმართველობას დაექვემდებარა აღმოსავლეთ საქართველოც (გვიანდელი მცირე იბერიაც), ეგრისიც, მოსხიკეს ტერიტორიაც და ჩრდილო კავკასიის ნაწილიც კი (ოსნი, ლეკნი და ხაზარნი) - **ბერძენთა პროტექტორატის ქვეშ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა ქართველურ ტომთა დიდი ნაწილი** (ჭოროხის, მტკვრის ზემოწელის, იორ-ალაზნის, არაგვის, რიონ-ენგურისა და კოდორ-კლისურის ხეობები). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბერძენების ინტერესში შედიოდა კავკასიონის უღელტეხილების კონტროლი და აზოს ამიტომაც აარჩევინეს მცხეთა დედაქალაქად.

ქართლის საზღვრებს დაახლოებით ამგვარადვე განსაზღვრავს “მო-

ქცევა ქართლისად“:

ალექსანდრემ აზოს “მიუბოძა მცხეთად საჯლომად და საზღვარი დაუდგა მას ჰერეთი, და ეგრის წყალი, და სომხითი და მთად ცროლისად” (შატბერდის კრებული, 1979, გვ.320). ძველი ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ ამავე აზოს დროს ქართველთა სახელმწიფოს სახელი იყო **ქართლი** (ღვთაება ქართის/ხალდის ხალხის ქვეყანა).

საბერძენთა დაქვემდებარებას ქართველობა დიდხანს ვერ შეგუებია:

ბერძენთა შინაარეულობის ჟამს (დიადოხოსების ბრძოლა), ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, მცხეთის მამასახლისის - უფლოსის შთამომავალ სამარას - მემკვიდრე ფარნავაზმა და ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ, ჩრდილოკავკასიელ მოძმეთა დახმარებით, დაამარცხეს ბერძენული ორიენტაციის აზოს ჯარები და, ფაქტობრივად, დიდი კოლხეთის საზღვრებში აღადგინეს **სრულიად ქართლის** სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი საქართველოს მეფის უფლების შესახებ მსჯელობა საინტერესოადა წარმოდგენილი მემატეანის მიერ; კერძოდ, მეფობის ერთ-ერთი პრეტენდენტი - **ქუჯი** - ეუბნება მეორეს - **ფარნავაზს**:

“შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გამართებს უფლობა ჩემი” (ე.ი. ვინაიდან ქართველთა შორის გამორჩეული გვარის შთამომავალი ხარ, ჩვენ, ყველანი - სხვა ქართველები - შენ უნდა დაგემორჩილოთ)... ერთიანი ქართლის მეფე ფარნავაზმა სახელმწიფო რვა დიდ საერისთავოდ დაყო. “ქართლის ცხოვრების” ეს მონაკვეთი საინტერესოა საქართველოს მაშინდელი საზღვრების თვალსაზრისით:

სრულიად ქართლის აღდგენის შემდეგ **“ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვდრთა მის აღგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. მაშინ ფარნავაზ მისცა დაა თვის ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაა თვის მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითაგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი.**

მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მვედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი.

ერთნი გაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან,

რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუადმდე, რიონს ზემოთ (ყველა ვარიანტ-ში იკითხება “ვიდრე ზღუადმდე”; შდრ.: ს.ყაუხჩიშვილისეული გასწორე-ბა). და ამანვე ფარნავაზ ალაშენა ორნი ციხენი, შორაპანი და დიშა.

და გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არაგვითაგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის მდი-ნართაგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩინათამდის, რომელ არს გარდა-ბანი.

მეოთხე გაგზავნა სამშულდის ერისთავად, და მისცა სკვირეთისა მდინართაგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანავართაგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არ-ტაანი.

მეექუსე გაგზავნა ოძრვის ერისთავად, და მისცა ტაშისკართაგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითაგან ზღუადმდის, რომელ არს სა-მცხე და აჭარა.

მეშუდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანთაგან ზღუადმდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა.

ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითაგან და არაგვთაგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავარადმდე, რომელ არს ში-და-ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინა სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საე-რისთავო“... (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ.24-25).

ამ ვრცელ ამონარიდში ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ფარნავაზ-ქუ-ჯის სახელმწიფოს გაერთიანება-აღდგენის ნებაყოფლობით ხასიათს (ჟამთააღმწერის ხედვა ზოგ სპეციალისტს გულუბრყვილობა ჰგონია):

ეგრის წყალს ქუემოთა მხარეში - ჩრდილო-დასავლეთ საქართვე-ლოში მცხოვრებმა ქართველობამ არ ინება (!) ბერძენებისგან განდგომა და ისევ ბერძენთა პროტექტორატის ქვეშ დარჩა... ძველი ქართველი მემკვიდრის აზრით, ეს მხარეც ეგროსის წილია, ხოლო გვიანდელი ჩანართის მიხედვით - აფშილ-აფხაზეთი. რომაული წყაროების ცნობით, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ამ ადგილებში (დიოსკურიის მიდამოებში)

ლაზები ცხოვრობენ.

ამგვარად, ქართველ მემკვიდრეთა თხრობა ამოწმებს, რომ ძველი კოლხეთის დიდ ნაწილში ისევ აღდგა ქართველთა სახელმწიფო (შდრ., ანანია ჯაფარიძე, 1994, გვ.62: **კოლხეთის სამეფოს წიადში საფუძველი ეყრებოდა ერთიან ქართულ სახელმწიფოს ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში**). საქართველოს სახელმწიფო ენად ფარნავაზმა გამოაცხადა ქართული ენა, რომელიც, როგორც ზოგადქართული თუ ტომთაშორისი ენა, ყვე-ლა ქართველური ტომისთვის ერთნაირად იყო მისაღები. საისტორიო წყარო, ასევე, ფარნავაზს მიაწერს ქართული მწიგნობრობის ანუ ანბა-ნის შექმნას (“ქუჯის ორიენტაცია, შექმნილიყო ერთიანი საქართველო, შეუძლებელია მოგვიანებით შეთხზულიყო. ფარნავაზის რეფორმის-ტულ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ, ჩვენი აზრით, რეალისტურ ფაქ-ტებს, მემკვიდრე ვერ გამოიგონებდა”; გ.ქავთარია, 2000, გვ. 28).

ლინგვისტურ-კულტუროლოგიური კვლევის თანამედროვე ეტაპზე საკმაო საფუძველი გვაქვს, ვთქვათ:

ფარნავაზის დროს ქართველურ ტომებს ჰქონდათ საერთოქარტვე-ლური (ზოგადქართული) **ენობრივი კოინე**, რომელსაც სახელმწიფო ენის ფუნქცია ჰქონდა; შდრ., მემკვიდრე წერს: **“და არღარა იზრახებო-და სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა”**; შდრ., იმავე მემკ-ვიდრის აზრით, ფარნავაზამდელ ქართლში ქართულთან ერთად თანა-არსებობდა: სომხური (ანუ ურარტულის მემკვიდრე ენა – ტ.ფ.), ხაზა-რული, ასურული, ებრაული და ბერძნული; ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ აქ საერთოდ არ არის საუბარი არც ცალკეულ ქართველურ ტომთა ენებსა თუ დიალექტებზე და არც ჩრდილოკავკასიურ ენობრივ ერთეულებზე.

ძველ ღვთაებათა საკითხის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ამ პერიო-დის საქართველოში შენარჩუნებულია მცირეაზიურ სხვა **მონათესავე ხალხებთან კულტურული ერთობა**; შდრ.: .გრ.გიორგაძე, 1985, გვ.156: “ქართული წარმართული ღვთაებების სამეფო ტიპურ მცირეაზიურ ღვთაებებს განსახიერებდა: არმაზული ტრიადა დაახლოებით ძვ.წ. III საუკუნის პირველ მეოთხედში “შექმნა“ ახლადწარმოქმნილი ქართლის სახელმწიფოს პირველმა მეფემ - ფარნავაზმა ძველ მცირეაზიურ მო-დელთან მიმსგავსებით; ჩანს, ასეთი “მოდელი“ არსებობდა ანატოლიაში

არა მარტო ხეთურ-ხურიტულ ხანაში, არამედ - მომდევნო პერიოდშიც (ძვ.წ. I ათასწლეულში), როდესაც ხეთურ-ხურიტული კულტურისა და რელიგიის ტრადიციები ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი აღმოსავლეთ მცირე აზიაში“.

იხ., აგრეთვე, ვ.გოილაძე, 1991, გვ.52: “მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში არსებული ცნობით, **გაცისა** და **გას** კერპები ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის მმართველად დადგენილმა აზომ არიან-ქართლიდან გადმოიტანა“; ხეთების სამეფოს დედაქალაქ **ხათუსას** (ახლანდელი ბოლაჯქოი) “სამეფო ჭიშკარზე“ არსებული ღვთაება **ხაცის** გამოსახულება და იქვე აღმოჩენილ ლურსმულ წარწერებში ამავე ღვთაების აღწერილობა იდენტურია არმაზული **გაცის** ქართული აღწერილობისა; შესაბამისად, ვფიქრობ, “**არიან-ქართლი კაბადოკიაა**, ხოლო აზოს მამის საგამგეო ტერიტორია მცირე აზიაშია საძიებელი“.

შენიშვნა: ისტორიკოსთა ნაწილი ნდობით არ ეკიდებოდა “ქართლის ცხოვრების“ ცნობებს; თანამედროვე გამოკვლევები უფრო და უფრო ამყარებს ჯერ კიდევ 1919 წელს მარი ბროსეს მიერ თავის უკანასკნელ “მემუარებში“ გამოთქმულ აზრს: “ქართლის ცხოვრება ქართველ ტომთა უძველესი ისტორიისათვის საფუძვლით სანდოა; კიდევ მეტიც, ქართულ მატრიანეთა ცნობები სანდოა არა მხოლოდ კავკასიის ტომთა ისტორიის შესახებ, არამედ წინა აზიის ისტორიისათვისაც“ (ა.ბარამიძე, 1986, გვ.116).

სარწმუნო ჩანს ამგვარი ვარაუდიც:

მითრიდატეების პონტო და **კაბადოკია** ძირითადად **ქართველური ტომებით დასახლებული** ქვეყნები იყო, **მაგრამ ქართველურ** სახელმწიფოდ იმიტომ ვერ დაიმკვიდრეს თავი, რომ იქ **სახელმწიფო ენა და დამწერლობა არ იყო ქართული**; შდრ., საქართველოში პონტო-კაბადოკიიდან არიან მოსული აზოც, წმინდა ნინოც და კაბადოკიელი წმინდა მამებიც; მათ აქ ეგულებოდათ თავიანთი ნათესავების ძირითადი საცხოვრისი. საქართველოში **წმინდა გიორგის** გამორჩეული თავყანისცემა ეთნიკური ფესვებითაც შეიძლება იყოს მოტივირებული.

2.3.2. ქართული ანბანი და ფარნავაზისდროინდელი სახელმწიფო ენის ფონემატური მოდელის საკითხი

არქაული ქართული სამწიგნობრო ენის ფონემატურ სტრუქტურაზე მსჯელობისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ასომთავრულ ანბანს, ვინაიდან ქართული დამწერლობის მსგავსი სრულყოფილი ანბანური სისტემის შექმნა შეუძლებელია ენის ბგერითი შედგენილობის ზუსტი ანალიზის გარეშე.

დროთა განმავლობაში ქართული ანბანის ასოთა მოხაზულობა გამრავალფეროვნდა (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული), მაგრამ ენის ფონემატურ სტრუქტურაში არსებითი ცვალევა არ მომხდარა; გარდა ამისა, ძველი ქართველი **უცნობი მწიგნობრების** მიერ თავიდანვე ისეთი სიზუსტით იყო დადგენილი ქართველური ენის სამეტყველო ბგერები, რომ თანამედროვე მეცნიერების მიღწევების ფონზეც კი იდეალურია არქაული ქართულის ფონემათა და გრაფემათა შეფარდება.

ქართული საისტორიო ტრადიცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული სამწიგნობრო ენისთვის ანბანის შექმნას ფარნავაზის სახელს უკავშირებს. სამეცნიერო ლიტერატურის ერთ ნაწილში ვაზიარებულია ამგვარი პოზიცია; მეორე ნაწილში ქართული ანბანის შექმნის თარიღი გადაწეულია ძვ.წ. VII საუკუნეში, ზოგი მკვლევრის აზრით კი, ქართული ანბანი შეიქმნა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (ლიტერატურის მიმოხილვისთვის იხ. რ.პატარაძე, 1980; თ.გამყრელიძე, 1989). ჩვენ არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ქართული ანბანის ძირითადი მოდელი შეიქმნა ფარნავაზის დროს, რომელიც, მოგვიანებით, ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნის პერიოდში, ბერძნული ანბანის გავლენით “დაზუსტდა“ - დაემატა ქართულისათვის უცხო რამდენიმე ასო-ნიშანი (**ჟ, ოჴ...**).

ერთ საინტერესო გარემოებას მიაქცია ყურადღება ეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ; მისი აზრით, ანბანი ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ რომ შექმნილიყო, ამ ქრისტიანულ ღვაწლს უთუოდ აღნიშნავდნენ ქართველი მემატრიანენი, რამდენადაც, როგორც წესი, ისინი სასულიერო მოღვაწენი იყვნენ (ა.ჯაფარიძე, 1994, გვ.90). ამავე დროს, ფაქტია ისიც, რომ ქრისტიანობამდელი ქართული წარწერები არ არის შემონახული, თუმცა, **ნეკრესის წარწერების** მსგავსად, კიდევ რა სიურპრიზს გვიმზა-

დებს ახალი აღმოჩენები, უფალმა უწყის...

რომელ პერიოდში შექმნილადაც არ უნდა ვივარაუდოთ ქართული ანბანი, აშკარაა, რომ იგი ზუსტად ასახავს თანხმოვანთა, სონანტთა და ხმოვანთა საერთოქართველურ სისტემას; გარდა ამისა, გვაქვს საკმარისი არგუმენტები, ვამტკიცოთ, რომ ქართული ასომთავრულის შემოქმედი უთუოდ იცნობდა როგორც ფინიკიურ, ასევე ბერძნულ ანბანურ სისტემას; სწორედ ამ კონტექსტშია საინტერესო ერთი გარემოება:

ფინიკიურში გამოიხატებოდა **ჟ** და **ღ** ბგერები, ხოლო ბერძნულში - **ჟ** და **ი**; ქართულ დამწერლობაში თავიდანვე გვაქვს ოთხივე ბგერის ფარდი ასო-ნიშანი; ვფიქრობთ, რომ ასომთავრულის **ჟ** სწორედ წყვილბაგისმიერ უმარცვლო ბგერას გამოხატავდა და არა კბილბაგისმიერ სპირანტს (დაწვრილებით იხ. ტ.ფუტყარაძე, 1998). წარმოდგენილი ორი სონანტის ოთხივე ალოფონი აისახებოდა აგრეთვე რუნულ და, გამომდინარე აქედან, ახალ გოთურ დამწერლობაში, რომელიც ძველი გოთურისა და ბერძნული უნციალური დამწერლობისაგან შეიქმნა (გოთურისა და უნციალური ბერძნულის მიმართებისათვის იხ. თ. გამყრელიძე, 1984, გვ.101; აგრეთვე, რ.პატარიძე, 1980, გვ. 137); გოთურისავე **ჟ** ნიშნის სახელი ემთხვევა ქართული **ჟ** (ვინი) ნიშნის სახელწოდებას; შეიძლება დავუშვათ, რომ გოთური ანბანის შემქმნელს ან ქართული ანბანიც ედო წინ, ან ქართულიც და ეტრუსკულ-გოთურიც ამ ნიშანს ფინიკიურისგან იღებენ...

შენიშვნა: რუნული დამწერლობა სათავეს იღებს ეტრუსკულისაგან; თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზოგი მკვლევარი ეტრუსკულს საერთოქართველურ ენასთან აკავშირებს, საინტერესოდ შეიძლება დადგეს ზოგი სხვა საკითხიც.

საყურადღებოა: ქართულში, ფინიკიურის ანალოგიით, **ჟ/ჟ**-ს შესაბამისი ნიშანი გამოხატავს **რ** რიცხვით მნიშვნელობას, გოთურში კი, ბერძნულის მსგავსად, 400-ს შეესაბამება; გოთური **ჟ**-ს ასონიშანი მე-16 ადგილზეა და **70** აღნიშნავს; ქართულში ამ ადგილას **ო** ზის.

რაც შეეხება **ჟ** სონანტის მარცვლოვან ვარიანტს:

ბერძნულში, თავდაპირველად, 23-ე ასო-ნიშანი **ჟ**-ს შეესაბამებოდა; მოგვიანებით მას დააკისრეს **ჟ**-ს აღნიშვნა და **ჟ**-სთვის დიგრაფი შემოიღეს; 23-ე ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობაა **400**.

ჩვენნი აზრით, განვითარების ამგვარივე გზა უნდა გაეგლო ქართული ასომთავრულის 23-ე ნიშან **ჟ**-საც, იგი თავდაპირველად **ჟ**-ს გამოსა-

ხატავად შექმნეს; მოგვიანებით კი, ბერძნულის ანალოგიით უკანა რიგის ბაგისმიერი ხმოვნისთვის შემოდებული დიგრაფის (**ღჟ**) დამკვიდრების შემდეგ, იგი **ჟი/ჟი** სეგმენტის სიმბოლოდ დამკვიდრდა; **ჟ/ჟი** ქართულში ფონემა არ იყო, ამიტომაც **ღ** ნიშნის გამოყენებაში გარკვეული აღრევები დამწერლობამ თავიდან ვერ აიცილა, თუმცა, როგორც ხანმეტი ტექსტების ანალიზით ჩანს, **ღ** (ვიე) ძირითადად **ჟი** (და არა ჟი/ვი) კომპლექსს შეესაბამებოდა...

ჩვენს მოსაზრებას ამყარებს რამდენიმე გარემოება:

ა) ქრისტიანული კანონიკური წიგნების თარგმნისას მთარგმნელი ვალდებული იყო, მკაცრად დაეცვა დედანთან შესაბამისობა; გამომდინარე აქედან, ბერძნული ანბანის მიხედვით ხდებოდა დამწერლობის "გამართვა"... შდრ., სწორედ ამ მიზეზით თითქმის უარყოფილ იქნა გოთური რუნული წარმართული ხასიათის ანბანი (თ. გამყრელიძე, 1989, გვ.100)... სავარაუდოა, ქრისტიანობის შემდეგ მსგავსი რეფორმა ქართულშიც მოხდინათ, რომლის ერთ-ერთი შედეგიც იყო ბერძნულის მიბაძვით დიგრამის შემოღება **ჟ** ბგერისათვის და 23-ე გრაფემის დამკვიდრება ჟ/ჟი/ჟი კომპლექსის აღსანიშნავად.

ბ) **ღჟ**-ს რიცხვითი მნიშვნელობის უქონლობის ახსნა ბერძნულის ანალოგიით ნაკლებ ლოგიკურია; იმავე გოთურში დიგრამის ნაცვლად მონოგრამა გვაქვს, რომელსაც საკუთარი რიცხვითი მნიშვნელობაც აქვს. ქართული ანბანის შემოქმედმა აბრუპტივთა (**პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ**) გარდა, ბერძნულისაგან განსხვავებულ კიდევ 12 სამეტყველო ბგერას (**ჟ, ღ, ჟ, დ, ჩ, ც, ზ, ქ, ჰ, ჯ, ჰ**) მოუძებნა ორიგინალური ასო-ნიშანი, სრულყო რიცხვითი მნიშვნელობების სისტემა, ბერძნულისათვის ბუნებრივი და ქართულისათვის უცხო მე-16 ასო-ნიშნის ადგილას ქართულისათვის დამახასიათებელი სონანტის უმარცვლო ალოფონის - **ღ**-ს გრაფემა ჩასვა, ამით განასხვავა რა **ღ** და **ი** ალოფონები... ანბანის შემქმნელის გენიალური ჭკრეტისა და ღრმად მეცნიერული ანალიზის ფონზე აუხსენელია, ერთი მხრივ, ქართული დიგრამის და შესაბამისი ბერძნული პირველწყაროს სრული გრაფიკული ერთგვარობა, მეორე მხრივ კი, მისით მარცვლოვანი და უმარცვლო ვარიანტების გამოხატვა...

აშკარაა, რომ **დიგრამა** ამოვარდნილია ქართული ანბანთშემოქმედების პროცესიდან, რაც მის გვიანდლობაზე უნდა მეტყველებდეს; გარდა ამისა, თუკი ქართული ასომთავრული ანბანი ქრისტიანობის შემ-

დეგაა შექმნილი ბერძნულის ანალოგიით, ამდენი განსხვავებული ბგერისათვის გრაფემის შემქმნელ ქართველ ანბანთშემოქმედს რატომ გაუჭირდებოდა ქართულ ენაში ასე ინტენსიურად გამოყენებული ბაგისმიერი სპირანტი თანხმონისა და ბაგისმიერი ხმოვნის გრაფიკული გამიჯვნა, მათთვის ორიგინალური გრაფემების შექმნა მაშინ, როცა განასხვავა უფრო რთულად გასამიჯნი /ი/ და /ი/?

გ) ქართული ანბანის გრაფემები საოცარი სიმყარით გამოირჩევიან აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მიმართების თვალსაზრისით; გამონაკლისს ქმნის მხოლოდ უ სონანტი ფონემის ალოფონთა გამოხატვა (იშვიათად შემჩნეულია ი/ა გრაფემების მონაცვლეობაც; იმნაიშვილი, 1982, გვ.117), კერძოდ, მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ **უ** გამოხატავს **უ/ვ** ალოფონებს; **ყ** ნიშანი **უ/უ/უი** (და არა უი-ს), ხოლო **ოყ** - **უ/უ-ს** (საკითხის ისტორიისათვის იხ., აგრეთვე, კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, 1997)... თუმცა, ამ დროს არა გვაქვს ზუსტი კრიტერიუმი, გავარკვიოთ, მაგ., **შეხუბთ** ფორმაში იგი მარცვლოვან ბგერას აღნიშნავდა თუ უმარცვლოს (ა.კ. შანიძის ვარაუდი თანამედროვე ქართულის ჩვენებას ეფუძნებოდა! იხ. აკ. შანიძე, 1976, გვ.20); აგრეთვე, ძველ ქართულში ბაძუა, ხატუა ტიპის საწყისებში **უ** გრაფემა გვაქვს; როგორც ანტონ კათალიკოსი თვლის, აქ **უ** ბგერა უნდა იგულისხმებოდეს... სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება...

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ძველ ქართულში **უ** გრაფემა, შესაძლოა, მხოლოდ მარცვლოვან ბგერას აღნიშნავდა; მოგვიანებით **უ**-თი გამოიხატებოდა **უ-ს** რედუქციით მიღებული **უ/ვ** (თ.ჟორდანიას, 1889, გვ.11-12; ვ. თოფურია, 1979, გვ.164; მ. კობაიძე, 1990, გვ.150)...

ვფიქრობთ, სონანტის ალოფონთა გამოხატვაში არსებული რყევა სწორედ **დიგრამის** შემოღებამ გამოიწვია; **მანამდე უ-ს შეესაბამებოდა წყვილბაგისმიერი უ ალოფონი, ხოლო ყ ნიშანს - მარცვლოვანი ვარიანტი.** კვილბაგისმიერი სპირანტი ანბანში არ გამოიხატებოდა, ვინაიდან იგი ქართულისთვის არაბუნებრივია (ტ.ფუტყარაძე, 1998, გვ.71-75); ლაბიოდენტალური თანხმონი არ იყო ფინიკიურში და არც ქართული ანბანის საფუძვლად ნავარაუდევ ბერძნულ კლასიკურ ანბანში; ქართული ანბანის მე-6 ასო-ნიშანი, რომელიც თავიდან წყვილბაგისმიერი სპირანტის (სონანტის ალოფონის) გამოსახატავად

შეიქმნა, კვილბაგისმიერად გააზრებულ იქნა გვიან შუა საუკუნეებში ლათინური ენის გრამატიკების გავლენით (შდრ., თუ ენაში გვაქვს ლაბიოდენტალური მჟღერი ფონემა **v**, იმ ენებში ვლინდება ყრუ **f** ფონემაც). ჩვენი აზრით, ძველი ქართულის **კუალი, ლეკუ, შეხუბთ...** ტიპის ფორმებში სრული ხმოვანია აღნიშნული და არა უ. ეს უკანასკნელი ივარაუდება ქვა, ქველი, ყველი, წყვილი, ხვალე, პირველი, სვლა... რიგის სიტყვებში. ქრისტიანული კანონიკური ძეგლების ქმნადობის მოგვიანო პერიოდებში ავტორები აქტიურად ცდილობდნენ უ ალოფონის შესაბამისი რთული გრაფემის შეცვლას ისევე **ყ** ან **ო** მარტივი ნიშნით...

დ) ანა დედოფლისეული “ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის ავტორი ზოგი ვ-ს თავზე წერტილს სვამდა (ივ. ჯავახიშვილი, 1949, გვ.137); მარიამ დედოფლისეულ ხელნაწერში ამ ადგილას **უ** გვაქვს (ყუელი); ანტონ კათალიკოსმა უ ასო-ნიშანი შემოიღო... ჩვენი აზრით, ამის ახსნა შემდეგნაირად შეიძლება: ანტონის დროს ქართული ანბანის ვ ნიშნით გამოხატული ბგერა ლათინურის გავლენით უკვე კვილბაგისმიერადაა გააზრებული... არ არის გამორიცხული, რომ ანტონმა უ შემოიღო საკუთრივ უ-სგან მიღებული უმარცვლო ვარიანტის აღსანიშნავად; საკითხი შემდგომ ძიებას საჭიროებს (იხ. ანტონ კათალიკოსი, 1885; გვ.116-117; 285-286).

ამგვარად, ფინიკიურ და ბერძნულ ანბანურ სისტემათა გამოცდილების საფუძველზე შექმნილ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში აისახებოდა საერთოქართველურის თუ არქაული ქართულისთვის დამახასიათებელი სონანტი ფონემების ალოფონებიც. ამ გარემოების გამო ფინიკიურ და საკუთრივ ბერძნულ სისტემებთან შედარებით, ქართული ანბანი უფრო სრულყოფილად გამოიყურება; შდრ.: ფინიკიური ანბანი ძირითადად კონსონანტურ ფონემებს გამოხატავდა; ხმოვანი ფონემების დამატებით ბერძნულმა გააუმჯობესა სამეტყველო ბგერების გამოხატვის სისტემა, ქართულ ანბანში კი სონანტ ფონემათა ალოფონებიც აისახა...

ვფიქრობთ აშკარაა:

საერთოქართველურსა და არქაულ ქართულში ნავარაუდევია ყველა ფონემა და **ი** და **უ** სონანტთა ალოფონებიც (ი/ა, უ/უ) თითო გრაფემითაა დადასტურებული ასომთავრულ ანბანშიც და მხედრულშიც; შესაბამისად, სრული საფუძველი გვაქვს, ვთქვათ, რომ საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის ფონემატური სტრუქტურები **იგივე-**

ობრივი მონაცემებია.

2.3.3. თანამედროვე ქართველურ დიალექტთა ჩამოყალიბების დრო

დიალექტების წარმოქმნის დინამიკა ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: თანამედროვე დიალექტები ყალიბდება სამწიგნობრო ენისა (ოფიციალური ენის, კონინეს) და ზეპირი მეტყველების მუდმივი ურთიერთგავლენის პირობებში (ზეპირი მეტყველება შეიძლება არც იყოს სამწიგნობრო ენის მონათესავე ენობრივი ერთეული; ე.წ. გადაფარვის კრიტიკიუმის შესახებ იხ. ი.გოსენსი); ისტორიული კილოები კი წარმოიქმნება საერთო ენის დივერგენციითა და მეზობელი ენობრივი ერთეულების გავლენით. როგორც წესი, **სამწიგნობრო ენის გავლენა მეტია პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრთან ახლოს მყოფი მოსახლეობის მეტყველებაზე**; გამომდინარე აქედან, მოსალოდნელია, რომ მეტი ცვალება განიცადონ განაპირა დიალექტებმა, მით უმეტეს, განაპირა რეგიონებში მეტია მეზობელი ხალხების ენათა თუ წეს-ჩვეულებათა გავლენები. ნათქვამის საილუსტრაციოდ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება; სანიმუშოდ დავასახელებთ პალატალიზებული ხმოვნების არსებობას განაპირა ქართველურ (სვანურ, ჰერულ და, ნაწილობრივ, ფხოურ, მესხურ და ზანურ) დიალექტებში...

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველური ენისგან დიალექტთა გამოყოფის დროსა და თანამიმდევრობის შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობაა: როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უფრო ლოგიკური და არგუმენტირებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საერთოქართველურისგან სამწიგნობრო ენის ფორმირების პარალელურად ჩამოინაკვთა ორი ძირითადი დიალექტური წრე: **ე.წ. სისინა თანხმონებია დიალექტები: ქართლურ-კახურ-მესხურ-ფხოურ-ჰერული კილოები და ე.წ. შიშინა თანხმონებია დიალექტები: ზანურ-სვანური კილოები**; დროთა განმავლობაში, შიშინა კილოების ერთ ნაწილში სხვა ენობრივ ცვლილებებთან ერთად, რიგ შემთხვევებში, განხორციელდა ა-ს ლაბიალიზაცია ო-დ და ე-ს დეპალატალიზაცია; შედეგად მივიღეთ თანამედროვე **ზანური დიალექტები**. ჩრდილოკავკასიელ ეთნოსთა მეზობლად მცხოვრებ შიშინა **ზანურ-სვანურ კილოზე** მოლაპარაკე

ქართველთა მეტყველებაში სხვა ენობრივ (ფონეტიკურ, მორფონოლოგიურ, მორფოლოგიურ...) პროცესებთან ერთად განხორციელდა თანხმონებთა და ხმონებთა პალატალიზაცია (და სხვა მოვლენები), რამაც სათავე დაუდო **სვანთა დიალექტების წარმოქმნას**.

ცნობილია, რომ მონათესავე ენობრივ სისტემებს შორის არსებული ბგერათშესატყვისობანი ისტორიულად ჩამოყალიბებული მოვლენაა (მსჯელობისათვის იხ. ვ.შენგელია, 1999). საერთო ენობრივი სისტემისგან დიალექტური ვარიანტების ფორმირება ხანგრძლივი ფონეტიკური პროცესების შედეგია, ამდენად, ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ამოსავალი ფონემის კანონზომიერი და რეგულარული დიალექტური ბგერითი ვარიანტები ერთ ისტორიულ-ქრონოლოგიურ მონაკვეთში ჩამოყალიბდა; მაგ., **საერთოქართველური *ს ფონემისგან ზანურ-სვანური შ-ს წარმოქმნის** პროცესი ერთდროულად განხორციელდა **სუანი > შონი, ასი > ოში** სიტყვებში, **კაც-ის > კოჩ-იშ** ფორმანტიშიც და ქუთაისის საკუთარი სახელის კარგად ცნობილ ქართველურ ვარიანტებშიც: **ქუთაისი/ქუთეისი/ქუთეში/ქუთაშ**.

დროის რომელ მონაკვეთში უნდა განხორციელებულიყო ეს ფონეტიკური პროცესი?

ზანურ-სვანური დიალექტური წრის ჩამოყალიბების თარიღის ზედა ზღვრის დასადგენად საყურადღებო არგუმენტებს იძლევა **ქალაქ ქუთაისის ისტორია** და მისი სახელის ვარიანტთა ისტორიული მიმართება:

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქუთაისის სახელი შეიქმნა საერთოქართველური ენის დონეზე (ა.ურუშაძე, 1993, გვ.33; ა.ონიანი, ზ.სარჯველაძე, 1971, გვ.174 ; გ.გაბუნია, 1973, გვ.23). მართლაც, ქუთაისის სახელის ვარიანტებში წარმოდგენილი ბგერათშესატყვისობები ვერ გაჩნდებოდა ამ დასახლებული პუნქტის დაარსებამდე; ამდენად, ლოგიკურია, დავუშვათ, რომ წარმოდგენილი **ქართველური ვარიანტები** ჩამოყალიბდა ქუთაისის დაარსების შემდეგ; შესაბამისად, ქუთაისის ისტორიისა და მისი სახელის ნაირსახეობათა მიმართების მიხედვითაც შეიძლება დავაზუსტოთ ზანურ-სვანური დიალექტების ფორმირების საწყისი პერიოდი.

ქუთაისის დაარსების დრო. ქუთაისის ისტორიას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. ქუთაისში პირველი არქეოლოგიური აღმოჩენის ავტორად სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია ცნობილი ქართველი საზო-

გადო მოღვაწე გიორგი წერეთელი (გ.წერეთელი, 1882). ქუთაისის “ქვეყნის” ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ: რ.შმიდტი, ლ.კოზლოვსკი, გ.ნიორაძე, პ.ჭაბუკიანი, მ.ივანენკო, ბ.კუფტინი, ნ.კილაძე-ბერძენიშვილი, ლ.მუსხელიშვილი, გ.ლომთაძე, ლ.ჯიქია, ო.ლორთქიფანიძე, მ.ნიორაძე, ვ.ლიჩელი, ვ.ჯაფარიძე, გ.კვიციანი, ო.ლანჩავა, გ.ისაკაძე...

არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე ქუთაისის ისტორიაში განვითარების რამდენიმე ძირითადი პერიოდი გამოყოფილი:

1. ძვ.წ. VIII-IV საუკუნეები - ქალაქის დაფუძნებისა და დაწინაურების პერიოდი;
2. ძვ.წ. IV-ახ.წ. IV საუკუნეები - ქალაქის დაკნინების, ანუ ე.წ. “ბნელი” პერიოდი;
3. IV-V საუკუნეები - ქუთაისის, როგორც ეგრისის მთავარი ქალაქის, აღორძინების პერიოდი;
4. VI-VII საუკუნეები - ქუთაისის კარგავს პოლიტიკურ პრიორიტეტს;
5. VIII-X საუკუნეები - ქუთაისის ხელახალი აღმავლობა ეგრის-აფხაზეთის დედაქალაქობიდან - სრულიად საქართველოს დედაქალაქობამდე (საკითხის ისტორიისა და ბიბლიოგრაფიისათვის იხ. ო.ლორთქიფანიძე, 1994 და ო.ლანჩავა, 1996).

ქუთაისის შესახებ გამოქვეყნებულია ორი მონოგრაფია: 1960 წელს დაიბეჭდა ვლადიმერ ჩაკვეტაძის “ქუთაისის ისტორიიდან” და 1962, 1989 წლებში - ვახტანგ ჯაოშვილის “ქუთაისი”; 1994 წელს გამოიცა მნიშვნელოვანი სამეცნიერო კრებული: “ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე”; წარმოდგენილ გამოკვლევებში სარწმუნოდაა მიჩნეული არქეოლოგიების მიერ მიღებული დასკვნები ქუთაისის დაარსების შესახებ.

ქუთაისის დაარსების დროსთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება, კერძოდ, ლ.სანიკიძის, ა.ურუშაძის, გ.გაბუნია და სხვათა აზრით, ქუთაისი წარმოიქმნა ძვ.წ. მეორე ათასწლეულის შუა პერიოდში; კერძოდ, ლ.სანიკიძეს არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ აპოლონიოს როდოსელი “არგონავტიკაში” **კუტაიას** მოიხსენიებს მხოლოდ იმ ქალაქთა გვერდით, რომლებიც არსებობდნენ ძვ.წ. მეორე ათასწლეულიდან; “არგონავტიკაში” ანტიკური პერიოდის “ახალი” ქალაქები

სხვა შემთხვევაში არ სახელდება (ლ.სანიკიძე, 1971; ა.ურუშაძე, 1993, გვ.44; გ. გაბუნია, 1973, გვ.29). ოდნავ განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა ს.ყაუხჩიშვილს (ს.ყაუხჩიშვილი, 1969). რ.გორდენიანი არ გამოირიცხავს აია-სა და **კუტაიას** იგივეობას, მაგრამ საკითხს დასაბუთებულად არ მიიჩნევს (რ.გორდენიანი, 1993, გვ.46).

ძვ.წ. VII-VI საუკუნიდან მოყოლებული, ქუთაისი მეტად დაწინაურებული და ცნობილი ქალაქია, კოლხეთის დედაქალაქია, ამდენად, ლოგიკური იყო, ანტიკურ პერიოდში აპოლონიოს როდოსელს დაეშვა, რომ მითური **აია** იგივე **კუტაია** იყო; შესაბამისად, 1000 წლის წინანდელი აიეტისა და იაზონის გამითებული ამბის თხრობისას ბუნებრივია **ქუთაისის** მოხსენიება საბერძნეთის უძველეს ქალაქებთან ერთად. კვლევის თანამედროვე ეტაპზე, რამდენიმე მიზეზის გამო, უპირველეს პირობებში ჩვენ სწორედ **აიეტის სამკვიდროსა** და **კუტაიას იგივეობა** გვესახება; კოლხას დედაქალაქი ჭოროხის ხეობაშია თუ რიონის?

მეცნიერთა ერთი ნაწილი (ნ.მარი, გ.მელიქიშვილი, თ.მიქელაძე, 1974, გვ.84 და სხვ.) ვარაუდობს, რომ ისტორიული კოლხას დედაქალაქი - აიეტის რეზიდენცია - იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (არტანუჯში); შესაბამისად, იაზონი მოვიდა არა რიონის, არამედ ჭოროხის ხეობაში;

აქვე საყურადღებოა ისიც, რომ ძვ.წ. XV-X საუკუნეების კოლხური ბრინჯაოს ცნობილ განძთაგან უფრო მეტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (თ.მიქელაძე, 1974, გვ.40); საკუთრივ ქუთაისის ტერიტორიაზე (გორაზეც და რიონის პირასაც) მიკვლეული მასალა კი ძვ.წ. პირველი ათასწლეულის VIII საუკუნეს არ სცილდება.

ადგილის ზუსტი განსაზღვრით, “ქართლის ცხოვრებაში” **ქუთაისი** პირველად ახ.წ. VIII საუკუნიდან დასტურდება (ო.ლორთქიფანიძე, 1994, გვ.20), ქართულ საბუთებში კი - XI საუკუნიდან (თ.ყაუხჩიშვილი, 1994, გვ.33). ბერძნულ წყაროებში 11 საუკუნით ძველი, კერძოდ, ძვ.წ. III საუკუნის დამოწმება გვაქვს. უფრო ადრეული წყაროები სანდო ლოკალიზაციას არ გვაძლევენ.

კოლხას დედაქალაქის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მდინარე ფაზისის მიხედვით, მაგრამ, ძვ.წ. III საუკუნიდანვე მოყოლებული, ფაზისად მოიხსენიება ჭოროხიც, რიონიც და კიდევ, ყუბანიც და არაქსიც (სა-

კითხის ისტორიისათვის იხ. მ.ბერძნიშვილი, 1969, გვ.89 და გ.გრიგოლია, 1994, გვ.49-50, 55); ჭოროხიც სანაოსნო მდინარე იყო (ართვინამდე) და რიონ-ყვირილაც (შორაპნამდე)... ბერძნული წყაროებთვე, ზღვიდან აი-ეტის ქალაქამდე მანძილი 55 კმ არ აღემატება, რაც საძიებელ ქალაქად უფრო არტანუჯს გვაგვარაუდებინებს (იხ. გ.მელიქიშვილი, 1954; შდრ. ო.ლორთქიფანიძე, 1966); თუმცა, ჭოროხის კალაპოტიდან არტანუჯამდე - **თურთუმის მსგავსად მაღალი მთებით დაცულ ხეობათა შესაყარ ქალაქამდე** - 10-15 კმ მანძილზე შეუძლებელია ნავით მგზავრობა. საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს.

ქუთაისის აღმოცენების დროის თვალსაზრისით, ჯერჯერობით, უფრო სარწმუნოდ არქეოლოგთა დასკვნები მიგვაჩნია: დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, რომ ქუთაისის საქალაქო ცხოვრება დაწყებულია ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეებში (ო.ლორთქიფანიძე, 1988; ო.ლორთქიფანიძე, 1994; ო.ლანჩავა, 1996).

ქუთაისის სახელის ვარიანტები. ისტორიულ წყაროებში ქუთაისის სახელის ათზე მეტი ვარიანტია დადასტურებული, კერძოდ, 1993 წელს გამოქვეყნებულ აკაკი ურუშაძის გამოკვლევაში: “ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში“ დამოწმებულია:

- კუტაია, კუტე (ლიკოფრონი, ძვ.წ. III ს.),
- კუტაიისი (აპოლონიოს როდოსელი, ძვ.წ. III ს.),
- კუტეისი (“ორფიკული არგონავტიკა“, ახ.წ. IV ს.),
- კუტა (სტეფანე ბიზანტიელი, ახ.წ. VI ს.),
- კოტაიონი/კოფტაიონი, კუტაისი, კუტატისი, კუტატუსი [“ასე ეძახიან ლაზები“] (პროკოპი კესარიელი, ახ.წ. VI ს.),
- კოტაისი (აგათია სქოლასტიკოსი, ახ.წ. VI ს.)...

ა.ურუშაძის დაკვირვებით, “დამოწმებულ ყველა ფორმაში თავდაპირველი და ამოსავალია **კუტ/ქუთ** ძირი, რომლის უ ხმოვანს კანონზომიერად ენაცვლება ო, ოჟ, ოჟ ხმოვნები“ (ა.ურუშაძე, 1993, გვ.31).

VII საუკუნის ე.წ. სომხურ ანონიმურ “გეოგრაფიაში“ ქუთაისის აღსანიშნავად გამოყენებულია **კოტა** ფორმა.

“ქართლის ცხოვრებაში“ და სხვა წერილობით ძეგლებში ჩვენთვის საინტერესო ქალაქის სახელის რამდენიმე ვარიანტი გვიდასტურდება: **ქუთათისი, ქუთათი, ქუთაისი**; ქართველურ დიალექტებში კი დამოწმებული გვაქვს: **ქუთეისი, ქუთეში და ქუთაშ**.

ქუთაისის სახელის წარმოდგენილი მრავალი ვარიანტი ხუთ ძირითად ჯგუფად წარმოდგება: 1.კოტა/კუტა, 2.კუტაია, 3. **კუთაისი/ქუთაისი/ქუთეისი/ქუთეში/ქუთაშ**, 4.ქუთათი, 5.ქუთათისი/ქუთათუსი... ამათგან საინტერესოა მესამე ჯგუფი, სადაც ტოპონიმის ქართველურ ვარიანტებში უეჭველად დასტურდება **ს/შ** ბგერათშესატყვისობა.

ტოპონიმ ქუთაისის ეტიმოლოგია. ტოპონიმ ქუთაისის რამდენიმე ეტიმოლოგია არსებობს; მას **ქვა/ქუა** სიტყვასთან აკავშირებდნენ დ.მეღვინეთხუცესიშვილი, გ.ჩაკვეტაძე (1960, გვ.55), გ.ჯაოშვილი (1989, გვ.57). გ.ყორდანას მიხედვით, ქუთაისი დარქმეულია მისი ამგების სახელის - **ქუთათის** - მიხედვით. ნ. ბალანჩივაძის აზრით, “ალბათ არსებობდა **კუტას** გვარი თუ ტომი, რომლის სახელი მიუღია ქუთაისს“. ქალაქის ეტიმოლოგიას **ქუთას** გვარს უკავშირებს გ.ელიავაც. გ.გაბუნის (გ.გაბუნია, 1996, გვ.244; გ.გაბუნია, 1999, გვ.97-99) ვარაუდით, **ქუთაისი** შეიძლება მიღებული იყოს კომპოზიტ **ქუთ-აია-სგან**; მკვლევარი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სახელწოდება **აია-ქუთაია-ქუთათისი** დაკავშირებული იყოს ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის პრობლემასთან; კერძოდ, ან ერთ-ერთი მთავარი ქართველური ეთნარქის, ან ციურ მნათობთა ძველკოლხური ღვთაების სახელი იყოს.

არც ერთი ავტორის მოსაზრებას სარწმუნო ლინგვისტური დასაბუთება არ ახლავს...

მეცნიერთა ერთი ნაწილი ტოპონიმის ფუძეს არაქართველური წარმომავლობისად მიიჩნევს; კერძოდ: ნ. მარი და ს.კაკაბაძე აფხაზურ **ქთა** (“სოფელი“) სიტყვას უკავშირებენ; ი.ჩიშკარიანი - არჩიბულ **ქუთას** (“ქალი“), კ.პანი და ა.ურუშაძე შესაძლებლად თვლიან, ამოსავლად ბერძნული **კუტოს** “ტყავი“ დავსახოთ (ამ და სხვა მოსაზრებების მიმოხილვისთვის იხ. გ.ჩაკვეტაძე, 1960, გვ.49-55; ა.ურუშაძე, 1993, გვ.42-43 და მ.ინაძე, 1994, გვ.64).

ჩვენი აზრით, ქუთაისის ქართული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. ასევე, ქართველური ვარიანტების შეპირისპირებით აშკარაა, რომ უძველესი ფორმა და ქალაქის ოფიციალური სახელწოდებაა **ქუთაისი**; უცხოურ წყაროებში ქალაქის სახელი ქართველური არეალიდანაა შეთვისებული. **ქუთათი** შედარებით გვიან შექმნილი დიალექტური (ზანურ) ფორმა ჩანს. შეიძლება დავუშვათ, რომ **ქუთათისი/ქუთათუსი** ამ

ორი ფორმის კონტამინაციითაა წარმოქმნილი (შდრ., ა.ონიანი, ზ.სა-რჯველაძე, 1971, გვ.174).

სვანური **ქუთაშ** ფორმის წარმოქმნის შემდეგი გზა უნდა ვივარაუ-დოთ: **ქუთაისი** > ***ქუთა-იშ-ი** > **ქუთა-იშ/ქუთაშ** (შდრ., ა.ონიანი, ზ.სა-რჯველაძე, 1971, გვ.174); ზანური **ქუთეში** კი შემდეგნაირადაა მიღებუ-ლი: **ქუთაისი** > **ქუთეისი/ქუთეში** > **ქუთეში**.

ქუთაისის სახელის ყველა ვარიანტის მორფოლოგიური ანალიზი (განსაკუთრებით სვანური **ქუთაშ** < ***ქუთა-ში** < ***ქუთა-იშ-ი**) მხარს უჭერს ტოპონიმის ფუძედ **ქუთა**-ს (ბერძნული ფორმით: **კოტა/კოატა**) განხილვას.

პ.ინგოროყვას აზრით, შემთხვევითად არ უნდა ჩაითვალოს ის გარე-მოება, რომ ერთმანეთს ემთხვევა ზიქეთში მდებარე “ძველი ლაზიკის” თემის სახელწოდება (**ქუთასი/ქუთაში**) და ამჟამინდელ ქალაქ ქუთაისის სახელი. ა.ურუშაძის აზრით, ამავე ფუძეს შეიძლება უკავშირდებოდეს ქსენოფონტეს მიერ დასახელებული ერთ-ერთი ქართველურ-კოლხური სატომო სახელი **კოატები** (ა.ურუშაძე, 1993, გვ.32); ამგვარი აზრი გამო-თქმული აქვს თ.ყაუხჩიშვილსაც (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.59). ვფიქრობთ, **კოატები** ფორმისთვის ამოსავალია ***ქუთები**; **შდრ.**, VI საუ-კუნის მოღვაწის, პროკოპი კესარიელის ცნობით, ძველად ქუთაისს **კოატა**იონი ერქვა; მ.ინაძის მიხედვით კი, **ქუთ**- ფუძიანი სახელი კოლხ-თა მიწას, მხარეს აღნიშნავდა (მ.ინაძე, 1994, გვ.64). ასევე, არ გამოირი-ცხება, რომ წარმოდგენილი **ქუთ**- ფუძე მომდინარეობდეს **ხათ-/ქათ**- ფუძისგან: **ხათ/ქათ** > **ქუთ** (ა-ს ლაბიალიზაციით).

ამგვარად, ქუთაისის სახელის ლინგვისტური ანალიზით ამკარაა, რომ ტოპონიმში წარმოდგენილია **ქუთ-/ქუთა** ძირი და **-ის** საერთოქარ-თველური ფორმანტი. რამდენადაც, არქეოლოგიური მონაცემების მი-ხედვით, **ქალაქი ქუთაისი** დაარსებულია ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეებში, ბუნებრივია, უნდა დაფუძვდეს, რომ **-ის** საერთოქარ-თველური ფორმანტის ზანურ-სვანური ვარიანტი **-იშ/-შ** და, შესაბამი-სად, **ზანურ-სვანური დიალექტებისთვის დამახასიათებელი კონსო-ნანტური სისტემა ჩამოყალიბდა ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში**.

თანამედროვე ქართველურ დიალექტთა ფორმირების დროის ქვედა

ზღვრის დადგენის თვალსაზრისით საინტერესოა წელთაღრიცხვათა მი-ჯნისდროინდელი ბერძნული ცნობები ლაზეზის, სვანებისა და სუანო-კოლხების არსებობის შესახებ; მაგ., **კლავდიოს პტოლემეაოსის** (100-178) ცნობით, ბზიფიდან რიონამდე ცხოვრობენ ლაზები, მანრალეები, ეკრიკ-ტიკეს ქვეყნის მცხოვრებნი... მათ ჩრდილოეთით ცხოვრობენ აქადები, კერკეტები და სუანოკოლხები (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.160); **შდრ.**, ლე-ონტისთვის **ეგრისი** და **სუანეთი** ზოგჯერ სინონიმებია...

დღეს რთულია მსჯელობა, თუ კონკრეტულად რა სახისა იყო ამ ტომთა მეტყველება; ნაკლებადაა სავარაუდო, რომ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ლაზურ-მეგრული უკვე ჩამოყალიბებული იყო ჩვენთვის ცნო-ბილ ლინგვისტურ საზღვრებში, თუმცა ზანურ-სვანური დიალექტური წრის ფორმირების პროცესი უთუოდ დაწყებულია.

* * *

დასავლურქართველური (შიშინა) დიალექტური წრის ჩამოყალიბე-ბა, ვფიქრობთ, შეიძლება დაუკავშირდეს ორ ისტორიულ მოვლენას:

— ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულს ქართველური ტომებით დასახ-ლებული ტერიტორია რამდენიმე სამეფოდაა წარმოდგენილი (პონტო, ლაზიკა, იბერია...); სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ველში მოქცევა აფერხებს ქართველური მოდგმის თემთა (ეთნოგრაფიულ ჯგუფთა) კულტურულ თანაცხოვრებას; სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში უფრო კნინდება ქართული/ქართველური სამწიგნობრო-ოფიციალური ენის სტატუსი, შესაბამისად, აქტიურდება ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები. ვფიქრობთ, ამ პერიოდი-დან საერთოქართველური ენის აღმოსავლურ ვარიანტში გვაქვს პალა-ტალიზებული ბგერების მქონე სპარსული ენის გავლენა (ძვ.წ. II საუკუ-ნეში მტკვარ-არაქსის აუზში მძლავრობენ სპარსული ტომები), დასავ-ლურ-ქართველურ ზეპირ მეტყველებაში კი პირიქით: **აქტიურდება** წი-ნაენისმიერი ლაბიოველარიზებული ბგერებისგან ველარიზებული ჰარ-მონიული კომპლექსების (**ჟგ, შქ, ჯგ, ჩქ, ჭკ...**) წარმოქმნა, ლაბოველა-რიზებულ **ძ, ც, წ, ზ, ს** ბგერებისგან **ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ** ფონემების ფორმირება. შემდგომ ეტაპზე დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის მეტყველებაში მომიჯნავე თანხმოვანთა ლაბიალური კომპონენტის მონა-

წილეობით ხორციელდება ა > ო, ე > ა გადაბგერება; მთის მოსახლეობის მეტყველებაში ხმოვანთა ლაბიალიზაციის პროცესს აფერხებს (და ცვლის) პალატალიზაცია, რომელიც ახასიათებს სვანეთის მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიელი ხალხების ენებს; შდრ.:

ქართველი მემატიანის ცნობით, მეფე საურმაგმა თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლა “კავკასის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, სხუანი დასხნა მთიულეთს - დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე, რომელი არს სუანეთი“ (ქ.ც., 1955, გვ.27). დროთა განმავლობაში ქართველურმა მოდგამამ ჩამოსახლებულთა ასიმილაცია მოახდინა, მაგრამ ჩრდილოკავკასიელთა დიალექტები (თუ ენები), ჩანს, უკვალოდ არ დაკარგულან: მათი სუპერსტრატული კვალი აშკარად ჩანს სვანთა დიალექტების ფონემატურ სტრუქტურაში პალატალიზებული ხმოვნების (დაწვრილებით იხ. ტ.ფუტყარაძე, 1998), სახელის პარადიგმაში ე.წ. ორმაგი ბრუნვებისა და ჩრდილოკავკასიური ტიპის ერგატივის, ლექსიკური ნასესხობებისა და სვანთა მეტყველების ზოგი სხვა თავისებურების სახით.

ზანურ-სვანური კილოების ფორმირების დროსთან დაკავშირებით საინტერესოა, ასევე, **თბილისის ისტორია**: თავიდანვე ზოგადქართველური ღირებულების მქონე ამ ქალაქს ქართველურ დიალექტებში შესატყვისობები არა აქვს.

ზანური და სვანური ენობრივი ერთეულების წარმოქმნის დასრულების დადასტურებულ თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ დავით და კონსტანტინეს წამების დრო: ნაწარმოებში გვხვდება ტოპონიმი **ჰყონდიდი** (წარმომავლობის სახელი - ჰყონდიდელი); შდრ.: ბერძნულ-ბიზანტიურ თუ ქართულ წყაროებში მანამდე დადასტურებული ტოპონიმები **სისინა ტიპის ენის** მოდელს მიჰყვებიან.

გორგასლის შემდეგ დაწყებული საქართველოს სახელმწიფოებრივი ნგრევა არაბობამ დაასრულა: სარწმუნო ჩანს, რომ სწორედ ამ პერიოდში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი დიდი დიალექტური წრე: **მეგრულ-ლაზურ-ჭანურ-სვანური** და **იმერულ-ქართლ-კახურ-მესხურ-ჭერულ-ფხოურ-თაკვერული**; შდრ., ა.ჯაფარიძის საინტერესო მსჯელობა (1994, გვ.65):

“ჩვენი მემატიანენი ათასწლეულთა მანძილზე ყოველგვარი ყოყმან-

ნის გარეშე ჩვენი სახელმწიფოს როგორც **დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ მოსახლეობას ქართველებს უწოდებენ** (ხაზი, აქაც და ქვემოთაც, ჩვენია – ტ.ფ.)... სხვადასხვა ქართული ტომების ერთიან ხალხად გადაქცევას ხელი უთუოდ იმანაც შეუწყო, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროს ქართული ფუძეენის დაშლის ხარისხი დიდი არ იყო. **ტომების ენები** ახლოს იყვნენ ერთმანეთთან; **ქართების, ზანებისა და სვანების ენები**, ცხადია, ამ ორი ათას ხუთასი წლის წინ ერთმანეთის მიმართ **დიალექტებს** წარმოადგენდნენ. ისინი **დამოუკიდებელ ენებად** (? - ტ.ფ.) ჩამოყალიბდნენ შემდგომ, საფიქრებელია, მას შემდეგ, რაც ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფო დაიშალა - **ვახტანგ გორგასლის შვილების დროს**“ (შდრ., სვანურს ძველი ქართული ენის დიალექტად განიხილავს თ.მიბჩუანი; იხ., 1993, გვ.464).

თანამედროვე ქართველურ კილოთა (ზანურ, სვანურ, ფხოურ...) ჩამოყალიბების დროის თვალსაზრისით საინტერესოა ენობრივ მონაცემთა შეპირისპირებითი ანალიზიც; განვიხილავთ რამდენიმე ფაქტს:

ქართველურ კილოებს სამწიგნობრო ენის მსგავსი ბრუნვათა სისტემა აქვთ; სვანობა დასტურდება **ერგატივის** გაფორმებისა და **ნარ-თანია-ნი** მრავლობითის თვალსაზრისით:

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ -მან/-მა/-მ ფორმანტიანი მოთხრობითი სახელობითთან ერთად გვიანაა ჩამოყალიბებული (მსჯელობისა და საკითხის ისტორიისათვის იხ. თ.უთურგაიძე, 1986, გვ.16-22). არქაულ სამწიგნობრო ენაში ერგატივი წარმოდგენილია სახელის **ფუძით** (აბრაამ), **მე, შენ, ჩვენ, თქვენ, მან, მათ, ვინ, თვითონ** ნაცვალსახელებით, ან **მან ნაწვერიანი** ყალიბით (კაც-მან); სვანურ კილოებში ე.წ. ადილური ტიპის ერგატივია გაბატონებული, ხოლო ზანურ კილოებში ერგატივს აწარმოებს **-ქ** სეგმენტი, რომელიც, ჩვენი აზრით, მეგრულ, რაჭულ, ტაოურ, იმერულ და სხვა ქართველურ კილოებში ფართოდ გავრცელებული **ქე/ქი/ქო/ქვე/კი/ხო/ჰო** ნაწილაკის ნაშთია:

ქო/ქვე/ქე დადასტურებითი ნაწილაკი დროთა განმავლობაში შეერწყა ზოგ შემთხვევაში სახელურ ფუძეს, ზოგან კი - ზმნის პირიან ფორმას; კერძოდ, იქ სადაც მოსალოდნელია დადასტურებითი ნაწილაკის პოვნიერება, მაგრამ სახელური ფუძე სახელობითი ბრუნვის ფორმითაა

(აწმყოსა და მყოფადის ფორმები პირველსა და მეორე პირში), ზმნურ ფორმას -ქ სუფიქსად მიუერთდა, სხვა შემთხვევაში კი - სახელურ ფუძეს. ამოსავალ კონსტრუქციად ვვარაუდობთ: **კაც ქო/ქვე დაუძახა > კოჩქ დუძახუ...**

შენიშვნა: საკითხის ისტორიისათვის: ქ.ლომთათიძეს მხოლოდ მეგრული ზმნების I და II პირში არსებული -ქ სუფიქსი მიაჩნია ქო დადასტურებითი ნაწილაკის ნაშთად (ქ.ლომთათიძე, 1946, გვ. 133); თ.მანარობლიძის აზრით კი, მეგრული ერგატივის -ქ და მეგრული ზმნების -ქ მასალობრივად ერთი და იგივეა: ორივე მომდინარეობს კოჩ- ფუძის პირველი თანხმონისგან (თ.მანარობლიძე, 2005, გვ. 46-56).

ვფიქრობთ, ამკარაა, რომ იბერიულ-კავკასიური სპეციფიკური ბრუნვის - ერგატივის -მან და -ქ ნაწილაკებიანი ვარიანტები ჩამოყალიბდა ზანურ-სვანური კილოების ფორმირების შემდეგ, ხოლო სვანურ კილოებში ადილური ტიპის ერგატივის დამკვიდრების დრო შეიძლება დაუკავშირდეს წელთაღრიცხვათა მიჯნაზე კავკასიის ხალხების დიდ ჩამოსახლებას; გამომდინარე აქედან, ლოგიკურია, რომ ამჟამინდელი ერგატივის ჩამოყალიბების დროდ ვივარაუდოთ ახ.წ. I ათასწლეული. აქვე აღვნიშნავთ, რომ **იბერიულ-კავკასიურში, საერთოქართველურსა და არქაულ ქართულშიც არსებობდა ერგატივი**, რომელიც ორგვარად გამოიხატება:

საერთოქართველური წარმომავლობის ერგატიულ (არანომინატიურ, არააკუზატიურ) კონსტრუქციაში **აღმქმელ სუბიექტს** წარმოადგენს სახელური/ნაცვალსახელური ფუძე, ან მიცემითში დასმული სახელი (ე.წ. ძველი ერგატივი?), რომელსაც ზმნურ ფორმაში შეესაბამება: **მ, გ-, ს-/ჰ-/ხ-, გვ-** პირის ნიშნები: მინდის, მშის, მწყურის, მწადს, მიყვარს... როგორც წესი, ამ ტიპის ზმნები უძველესი ფორმაციისა არიან (არნ.ჩიქობავა, 1948, გვ.5); მდრ.: ისტორიულ ერგატიულ კონსტრუქციაში **მოქმედ სუბიექტს** წარმოადგენს სახელური/ნაცვალსახელური ფუძე, ან -მან/ქე ნაწილაკდართული სახელი (ახალი ერგატივი), რომელსაც ზმნურ ფორმაში შეესაბამება: **გ-, ს-/ჰ-, -ს, -ა, -ენ, -ეს...**

შენიშვნა: ორივე რიგის ნიშნები გვევლინებიან როგორც რეალური ობიექტის, ასევე რეალური სუბიექტის გამოხატველად; მათი განაწილება შეპირობებული ჩანს ზმნური სემანტიკით: აღმქმელ სუბიექტს გამოხატავს მ-ს რიგი (უფრო არქაული წარმოშობისა: მე > მ), ხოლო მოქმედ სუბიექტს - გ-ს

რიგი (ბ > ჟ/ვ?). არქაული ტიპის ერგატიული კონსტრუქციისა და პირის ნიშნების **ე.წ. ინვერსიის** შესახებ სხვაგან გვექნება საგანგებო მსჯელობა.

ფაქტია: სახელობითის თავდაპირველი ფორმა ერთნაირი გვაქვს ყველა ქართველურ კილოში (ფუძე+ი / ფუძე+ე), ე.ი. მისი ფორმირება მომხდარია ზანურ-სვანური წრის კილოების ჩამოყალიბებამდე. აქვე ვიტყვი, რომ ზოგ კილოში სახელობითის ი ფორმანტის დაკარგვა იხსნება მახვილის შემოქმედების გამო ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცივ ტენდენციით (იხ. მაგ. ა.არაბული, 1981, გვ.120-124). ლოგიკური ჩანს დასკვნაც, რომ: **-მა/-ქ ნიშნებიანი ერგატივის ფორმები სამწიგნობრო ენასა და ზანურ კილოებში წარმოქმნილია ზანურ-სვანური დიალექტური წრის გამომიჯნის შემდეგ** (მდრ., ი.იმნაიშვილი, 1961, 641-642).

თ.გვანცელაძის ვარაუდით, სამწიგნობრო ქართულის **ნარ-თანაინი** მრავლობითი, **ხუცესი** და ზანური კილოების **უჩაში** საშუალებას უნდა იძლეოდეს, ზანურის გამოყოფის დროდ განვსაზღვროთ ახ.წ. V საუკუნე; კერძოდ, **ხუცესი** ასახავს ხანმეტობის პერიოდს, ხოლო **უჩაში** – ჰემეტობისას (აზრი გამოთქმულია ზეპირი საუბრის დროს). იგივე ხ-პრეფიქსია სვანურ **ხოშა** “უფროსი“, “დიდი“ სიტყვაში (ხ-უცესი/უჩაში/ხოშა სიტყვებში ხანმეტობის **ხ-** პრეფიქსი გამოყო ა.შანიძემ; იხ. გ.როგავა, 1956, გვ. 293).

წარმოდგენილ მოსაზრებებთან მიმართებაშია გასააზრებელი **ხანმეტობის** პრობლემა და საერთოქართველურ **სა – ზან. ო** შესატყვისობის საკითხიც:

– **სვანურ და ფხოურ კილოებში გარკვეული მოდიფიცირებით პირის ნიშნად დღემდეა შემორჩენილი ე.წ. ხანმეტობის დროინდელი ხ-პრეფიქსი:**

ახ.წ. V-VII საუკუნეების ქართული ხანმეტო ტექსტების ნორმის მსგავსად, სვანურში ხ- პირის ნიშანი დაცულია ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე პირში (ხ-იშხი “იწვი“, ხ-ასყი “აკეთებ“, ხ-ატბიდე “ათბობ“... ხ-ალატ “უყვარს“, ხ-აჰტიდი “აძლევს“, ხ-ავდი “სძინავს“...). იგივე ხ-პრეფიქსი უნდა გამოიყოს პირველი პირის **ხ+ჟ-** სემენტში (საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ.: გ.როგავა, 1956; მ.სუხიშვილი, 1986; ნ.მაჭავარიანი, 1986), კერძოდ, საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის მსგავსად, სვანურ

კილოებშიც პირველი პირის ნიშანია ჟ/ვ, რომელიც არაბაგისმიერი ხმოვნების წინ დატულია უცვლელად, ბაგისმიერი ბგერების მეზობლად იკარგება, ხოლო თანხმონით დაწყებულ ზმნებში შემონახულია ინფიქსის სახით (მსგავსი დისტრიბუცია ჩვეულებრივია სხვა ქართველურ კილოებშიც). რაც შეეხება **ხ+ჟ-** სეგმენტის **ხ-**ს: ლოგიკური ჩანს, დავუშვათ:

ხ- პირველი პირის ზმნურ ფორმაში არსებული ირიბი ობიექტის ნიშანია; დროთა განმავლობაში, სვანურ ფორმებში **ხჟ-** ერთიან მორფემად გადაზარდა და სხვა შემთხვევებშიც განზოგადდა; გვიანდელი ანალოგიური მოვლენაა **-ნარ-** და **-ნებ-** ე.წ. რთული სუფიქსების წარმოქმნაც (ტ.ფუტყარაძე, 1986).

ჰ/ხ/ს (< სა-/რა-) პრეფიქსისათვის ამოსავალი ჩანს **კლას-კატეგორიის ნიშნობა** (არნ.ჩიქობავა, 1944), ვინაიდან სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ორი, გრამატიკულად განსხვავებული პირის – მესამე ობიექტისა და მეორე სუბიექტის წარმოდგენა ერთი და იმავე ნიშნით; შდრ., ძველი სამწიგნობრო ენის მონაცემები: აღხუმართე, შეხუბათ... ჰესცოდე, ჰკითხე.

ძველ სამწიგნობრო ქართულშიც და სვანურ, თუშურ, ხევსურულ მასალაშიც (მი-ხ-გვიან, ხ-ქონდა, და-ხ-კაზმავს, ხ-მკიდი, და-ხ-ფარვენ...) ამოსავალია **ს/ჰ**; დიალექტებში სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი: **ს/ჰ > ჰ > 0** და **ს/ჰ > ხ > (ღ)**: სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში სწორედ **ხ-**ს (და არა **ჰ-**ს) შეუძლია მოგვცეს მქდერი **ღ**: მადგვის, ღვანდი, ღგონება (შდრ., ა.შანიძე, 1920 და ა.ჭინჭარაული, 1960, გვ.96-98). გურულ-აჭარულ კილოებშიც გვაქვს პირის ნიშნად ფონეტიკურ ნიშნად მიღებული **ხ** (იხ. ქ.ლომთათიძე, 1938; მ.ცინცაძე, მ.ფალავა, 1998 და სხვ.), ოღონდ, აქ **ჰ > ხ** პროცესი ფუძისეული თანხმონითაცაა განპირობებული; შესაბამისად, გურულ-აჭარულში გამოვლენილი **ხ** ხანმეტობის პერიოდისად ვერ მიიჩნევა.

აშკარაა:

მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ხ** – ე.წ. ხანმეტობა **საერთოქართველური მოვლენა ჩანს**. საერთოქართველურშივე არსებული **ჰ/ხ** მონაცვლეობის შედეგი უნდა იყოს ზოგ კილოში **ჰ > 0** პროცესის განვითარება, ზოგან კი – **ხ-**ს დამკვიდრება (შდრ.:

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ხანმეტობა და ჰემეტობა საკუთრივ ქართული ენის ორ კილოს ასახავს).

გასარკვევი რჩება ამოსავალი ფონემის საკითხი:

ფონეტიკური პროცესების ხასიათის გათვალისწინებით, ლოგიკური ჩანს არნ.ჩიქობავასა და გ.როგავას თვალსაზრისი **ს-**ს უწინარესობის შესახებ. ნივთის კლას-ნიშანი **ს**, როგორც გ.როგავა ვარაუდობდა, ფონეტიკურ ნიშნად გვაძლევდა **ჰ-**სა და **ხ-**ს შორის ვარდამავალ ბგერას (არნ.ჩიქობავა, 1944; გ.როგავა, 1956). ჩანს, სამწიგნობრო ენის სტანდარტიზაციის ძველ ეტაპებზე ზოგი ლიტერატურული სკოლა პირის ნიშნად **ჰ-**ს აზოგადებდა, ზოგი სკოლა კი – **ხ-**ს; საბოლოო ნორმად კი დამკვიდრდა ზმნური ფუძის დასაწყისის შესაბამისი ბუნებრივი ფონეტიკური ვარიანტები: ბაგისმიერებთან და უკანანისმიერებთან – **ჰ**, წინანისმიერებთან – **ს**, სხვა შემთხვევებში – **0**. ე.ი. **ზანურ-სვანური კილოების ფორმირების პროცესში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნად** საერთოქართველურ ენაში (ენობრივ კონიეში) **გააქტიურებული იყო ხ ვარიანტი**.

– ცნობილია, რომ სამწიგნობრო ქართულის **სა- პრეფიქსს ზანურში შეესაბამება ო-**; ჯერ კიდევ ნ.მარისგან სამართლიანად მიჩნეულია, რომ ზანურში დაკარგულია თანხმონითი ნაწილი: საქათმე/ ოქოთუმე, სახლი/ოხორი, *სოცხალი/ცოცხალი/ოჩხარი... სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი:

საერთოქართვ. ***სა-/ჰა > ზან. ჰო/ო** (არ არის აუცილებელი, დავუშვათ, რომ ზანურში გვქონდა **ს-**ს შესატყვისი ისეთი **შ**, რომელიც ვერ ძლებს ო-ს წინ; შდრ., მ.ჩუხუა, 2003, გვ.338).

ვეფიქრობთ, სამწიგნობრო ქართულის **V-X** საუკუნეების ხანმეტობა-ჰემეტობა-სანნარეგობა, სვანურ-თუშურ-ხევსურული ხანმეტობა, ზანური ***ჰჩაში > უჩაში** და ***ჰო > ო** პროცესები დროის ერთ მონაკვეთში იღებს სათავეს. რამდენადაც, სვანურ-ფხოურმა კილოებმა პირის ნიშნად შემოინახა **-ხ/ღ**, ლოგიკურია დავუშვათ, რომ **ზანურ-სვანური დიალექტური წრე ფორმირდება ჰემეტობა/ხანმეტობის პერიოდში**; ეს დრო კი ემთხვევა ზანურ-სვანური დიალექტური წრის გამომიჯვნის ჩვენ მიერ ზემოთ ნაგარაუდებ პერიოდს – **ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს** (აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროიდან ჩნდება წყაროებში

ტერმინი **სოანას/შოანას** “სვანი“).

განვლილი 20 საუკუნის მანძილზე სამწიგნობრო ქართულის გავლენა უფრო აქტიური იყო ცენტრალურ ქართველურ კილოებზე და, ამიტომაც, ისინი ნაკლებად დაშორდნენ საერთოქართველურს, მაშინ როცა გრამატიკული ნორმების ჩარჩოებისგან თავისუფალი განაპირა კილოები მეტად შეიცვალნენ: ქართველური ენობრივი სისტემის ფარგლებში აქ ბევრი საინტერესო, იმანენტური ენობრივი მოვლენა გამოვლინდა; აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ნაირგვარი ლანდშაფტის (ზოგადად, გარესამყაროს) ნიჭიერად აღქმის გამო, დიალექტებზე მოლაპარაკე საზოგადოებამ მრავალი მხატვრული სახე და საერთოქართველური ლექსიკური ერთეული შემოინახა; შესაბამისად, **ქართველური ენობრივი სამყარო** - ნორმირებული მრავალსაუკუნოვანი ენა და ათეულობით დიალექტი - **ერთი მთლიანი და დიდი ზოგადქართული კულტურაა**.

დასკვნის ნაცვლად

წ. ნაშრომში გამოყენებულ ზოგ ტერმინთა განმარტება და ძირითადი დებულებები

ტერმინები

ეთნიკური ერთობის, ეთნიკური ჯგუფის, ეთნოსისა და ერის ძირითადი მახასიათებლებია:

ისტორიული დედაენა (ერთიანი ენობრივი ხედვა-აღქმა), **ისტორიული** კულტურა (ტრადიციული რელიგიურ-კულტურული ღირებულებანი), **ისტორიული** მენსიერება, **ისტორიული** ფსიქიკური წყობა (ტრადიციულ გარემოსთან მიმართებით ფორმირებული ენობრივ-კულტურული მენტალობა) და **ისტორიული** ტერიტორია/სახელმწიფო.

ეთნიკური ტერმინებით: **ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი, სუბეთნოსი** და მისთ. უნდა აღინიშნოს დამოუკიდებელი ეთნოსტრუქტურისა და საკუთარი ენის მქონე ადამიანთა ერთობები.

ტექნიკური ტერმინი **თემი** გულისხმობს ერთი ეთნოსის შიგნით არსებულ ლოკალურ ჯგუფებს; შდრ.: **ეთნოსი - თემი - პიროვნება** ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც **ენა - კილო - იდიოლექტი**. ეთნოლინგვისტური ასპექტით, დღეს ქართველი ერის ცალკეული თემებია: აჭარლები, გურულები, იმერლები, იმერხევლები (შავშელები), კახელები, ლაზები, ლეჩხუმლები, ლივანელები, მაჭახლელები, მეგრელები, მთიულელები, მოხეველები, რაჭველები, სამცხელები, სვანები, ტაოელები, ფერეიდნელები, ფშაველები, ქართლები, ჩადმათუშები, წოვათუშები, ხევსურები, ჯავახები, ჰერები (ინგილოები)...

ენა არის გარკვეული სემანტიკის მქონე ბევრით ნიშანთა - **ენობრივი ნიშანთა** - ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, ცოდნის შენახვის და კომუნიკაციის საშუალებას.

დედაენა (Muttersprache; Mother tongue, Native language) არის წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ენა, რომელიც, როგორც სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა, მრავალ თაობას აერთიანებს (მაგრამ თუ, მაგ., რომელიმე აფრიკელი დაიბადა საფრანგეთში და ის თავის დედაენად ფრანგულს თვლის, ბუნებრივია, მის დედაენად ფრანგული მიიჩნევა). დედაენა **მთავარი ენაა** და არა მაინცდამაინც მხოლოდ ბიოლოგიური მშობლის ენა.

დიალექტი არის მოცემული ერის/ნაციის საერთო-სახალხო (ოფიციალური) ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. **კონკრეტული სამეტყველო ერთეული** მონათესავე სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის დიალექტად ჩაითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას **ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში**. შესაბამისად:

უმწერლობო ენად უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ენთიკური ერთობის მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. **უმწერლობო ენა** ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს.

წინარექართველური და ქართველური ტომები/ხალხები უძველესი დროიდან ქრისტიანობამდე

ძვ.წ. V—III ათასწლეულებში კავკასიასა და წინა აზიაში ფართოდ იყვნენ განფენილნი **ერგატიული კონსტრუქციის ენის მქონე** კავკასიურ-ხურიტულ-ხათური ტომები. ძირითადად კავკასიურ-ხურიტულ მოსახლეობას უკავშირდება მტკვარ-არაქსის კულტურა.

ძვ. წ. III ათასწლეულში ინდოევროპული და სხვა ტომების დაწოლით **“ერგატიული კონსტრუქციის ენის მქონე ხალხი”** იწყებს სწრაფ დივერგენციას.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან წელთაღრიცხვათა მიჯნამდე საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქართველურად მისაჩნვეი და, შესაბამისად, ქართველურ ენა-კავებზე ანუ დიალექტებზე მოლაპარაკე შემდეგი მონათესავე ტომები: **მუშქები/მოსხები/მესხები, დაიანელები/დიაუხები/ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები/სასპეირები/საპირები, ქუთები/კოიტები/კვიტები, კორაქსები, მარები, ბექეძრები, ჰალიძონები/ხალიბები, ხალდეები/ქალდეები, მოსინოძეები/ჰეპტაკომეტები, დიძერები, ბიძერები, ძიდრიტები, მაკრონები/მაკროკეფალები, ფასიანები, მელანქლანები, ეკრიკტიკეს მცხოვრები/ეკექეძრები, ჰენიოხები, სანები/ჰანები, სანიგები/სანიკები, ლაზები, აფხაზები, აბასკები, აფსარები, სვანები/მისიმიელები, სვანო-კოლხები, ამარანტები (კოლხური ტომი), ტუსკები, კახები, კუხები, ცხუმები, ფხოველები, ჰერები...** არაიშვიათად, ქართველურ (ზოგჯერ კი მონათესავე იბერიულ-კავკასიურ) ტომებს თემონიმებად/ეთნონიმებად/ავტოეთნონიმებად აქვთ ერთი ფუძისგან ნაწარმოები სახელები; შდრ., მაგ., სიტყვა-ფორმების სამი რიგი: სანი, ზანი, სვანი... აფხაზი, აფსილი, აფშილი, აფსუა, აბაზა... ხალდეები, ქალდეები(ჰანები), ხალიბები...

ჰალისის, მტკვრის, ჭოროხის, რიონ-ყვირილის, ენგურის, ლიახვის... ხეობებში განფენილი ქართველური მოდგმა იმიერკავკასიაში მოსახლე ზოგ მონათესავე ტომთან ერთად ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან აქტიურად ქმნის **დიდ კოლხურ-ყობანურ კულტურას**; კოლხური კულტურის შემქმნელი ხალხის სახელმწიფოს **ძირითადი ენა**, სავარაუდოა, იყო საერთოქართველური კოინე/ენა.

ქართველთა ისტორიული **სამწიგნობრო ენა** ო სასულიერო მწერლობის ენა (ე.წ. ძველი ქართული ენა) ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ კოინეს; **ქართული სამწიგნობრო ენის თანამედროვე ვარიანტი და ქართველური დიალექტები (ლაზურ-მეგრული, სვანური, მესხური, ქართლ-კახური, რაჭული, ჰერული, ფხოური...)** უშუალო გაგრძელებაა საერთოქართველურისა და ისტორიული სამწიგნობრო ენისა; შესაბამისად, **ნაკლებსარწმუნოა მოსაზრება, რომ ქართული სალიტერატურო ენა ეფუძნება ქართლურს, კახურს, ან სხვა რომელიმე ერთ ქართველურ კილოს.**

სამწიგნობრო ქართულსა და ქართველურ კილოებს შორის სხვაობა მატულობს დედაქალაქთან (სასულიერო-კულტურულ და მმართველობით ცენტრთან) კილოს დაშორების პირდაპირპროპორციულად. სამწიგნობრო ქართულის გავლენის ველის კლების შესაბამისად, ქართველთა თანამედროვე საშინაო-სამეცხველო ერთეულები უნდა დაიყოს ცენტრალურ, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებულ დიალექტებად; თავის მხრივ, განაპირა დიალექტებს ექვს ჯგუფად წარმოვადგენთ, კერძოდ:

ცენტრალური კილოები:

კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული.

განაპირა კილოები:

მესხური კილოები: აჭარული, ლივანური, მაჭახლური, იმერხელი, ტაოური, სამცხური, ჯავახური;

ჰერული კილოები: კაკური, ალიბათური;

ფხოვური კილოები: ჩადმათუშური, ფშავური, ხევსურული, მოხევური, მთიულურ-გუდამაყრული; აქვე შეიძლება განვიხილოთ **წოვათუშურიც;**

რაჭული კილოები: ბარისრაჭული, მთარაჭული;

სვანური კილოები: ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული, ბალსქვემოური, ბალსზემოური

ზანური კილოები: მეგრული, ლაზური (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური).

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები:

ფერეიდნული, “ჩვენებურების ქართული“ (ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენსა და კაიზერის მიდამოებში გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება) და ყიზლარ-მოზდოკური ქართული.

მეზობელ ხალხთა ენებში ქართველურიდან შესული ონომასტიკური მასალის, ქართველური ნასესხობისა და ე.წ. თარიღიან ტოპონიმთა ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართველური ენა-კილოები (სამწიგნობრო ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური, ფხოვური, მესხური და სხვა კილოები) სათავეს იღებენ წველთაღრიცხვათა მიჯნიდან.

ურარტულ-კავკასიური ღვთაება **ხალდის** სახელი, ქართველური წარმომავლობის ეთნონიმები: **ხალდები, ქალდები (ძველი ხალიბები – სტრაბონი), კარდუხები; ქართველურ ტომთა საცხოვრისების აღმნიშვნელი ქორონიმები: ქალდია/ხალდეა/ხაიტიკი (იგივე ჭანეთი/ჭანივკი - მოვსეს ხორენაცი; გიორგი მთაწმინდელის “აკათისტოს საკითხავის“ ქართული ვერსიის მიხედვით - მეგრელთა მხარე), ადილური ენის შაფსულური დიალექტის ხაყურხურ კილოკავში ქართველის აღსანიშნი ძველი სახელი ხალგდე, ჭოროხის სათავეებთან მდებარე ვერცხლის საბადოების ქალაქის - ქალდიას სახელი და სხვა ფაქტები საფუძველს გვაძლევს დავუშვათ, რომ ქორონიმი ქართლი და ეთნონიმი ქართუელი მომდინარეობენ ურარტულ-კავკასიური ღვთაების - ქალდი/ხალდი/ქართუ/კარდუ-ს სახელისგან; ამოსავალ ფორმად სავარაუდოა: *ქარდ-/ქალდ-: *ქარდ- > ხალდ-; *ქარდ-/ქართ- > ქართ+ლ-; *ქარდ-/ქართ- > ქართუ > ქართუ-ელ-ი... ქართუ-ელ-ი ქართველთა უძველესი ავტოეთნონიმი (ენდოგენური ეთნონიმი), ქართლი კი - ქართველთა სახელმწიფოს უძველესი ქართულენოვანი ქორონიმი ჩანს.**

ობიექტურ კრიტიკას ექვემდებარება კახელთა, ჰერთა, იმერთა, ლაზთა, მეგრელთა, მესხთა, ფხოველთა და ა.შ. ქართველურ ტომთა ქართიზაცია/ქართველიზაციის თეორია - **სხვა ტომთა ასიმილაცია ე.წ. ქართის ტომის მიერ:**

ისტორიული წყაროები საერთოდ არ იცნობს ქართის ტომს, შესაბამისად, ლოგიკური ჩანს ვარაუდი: ძირითადად მრავალი ქართველური ტომის კონსოლიდაციით ძვ.წ. II დ I ათასწლეულების მიჯნაზე შექმნილი დიდი ქართველური/კოლხური გაერთიანების თვითსახელწოდებად მკვიდრდება არა რომელიმე ტომის სახელი, არამედ საერთო ღვთაებისგან მომდინარე სახელი **ქართუ-ელ-ი.**

9. იბერიულ-კავკასიური ენების, საერთოქართველური ენის, სამწიგნობრო ქართულისა და ქართველთა თანამედროვე დიალექტების მიმართების ამსახველი სქემა

ენათა გენეალოგიური ხე იგება მონათესავე ენობრივი ერთეულების მიმართების მიხედვით, მაგრამ ხშირად გათვალისწინებულია კონკრეტული ეთნოსის (ერის) ისტორიაც: ენად სახელდება ხდება ერის (ეთნიკური ერთეულის) მიხედვით; შესაბამისად, გენეალოგიური სქემები ვერ გამოდგება ენობრივ ერთეულთა სტატუსის ზუსტ განმსაზღვრელად (შდრ. გ.ცოცანიძე, 2002).

ჩვენ მიერ წიგნში წარმოდგენილი მსჯელობის გათვალისწინებით, მსოფლიოს ენათა გენეალოგიური სქემის იბერიულ-კავკასიურ ენათა შტოში შევა მხოლოდ ყოველთა ქართველთა საერთო ენა - ქართველური ენა; ყველა სხვა ენობრივი ერთეული ამ ზოგადქართული ენის კილოებად უნდა წარმოდგეს. ძველ წინააზიურ ენებთან მიმართების გათვალისწინებით, ქართველთა სამეტყველო ერთეულების ისტორიული სქემა შემდეგ სახეს მიიღებს (წარმოდგენილი დივერგენციული სქემა პირობითია, ვინაიდან ნებისმიერი ენობრივი ერთეულის ფორმირებისას გასათვალისწინებელია მეზობელ ენებთან/დიალექტებთან შერევის პერსპექტივა და კონვერგენციული პროცესები; მაგ., ამკარად ჩანს, რომ ქართველურისათვის ძირითად იბერიულ-კავკასიურ ფენაში ასახულია ხათური და ხურიტული შრეები; გარდა ამისა, გვაქვს ინდოევროპული სუპერსტრატული დაფენებაც...):

